ნაბიჯ-ნაბიჯ: პროგრამა ბავშვებისა და მშობლებისათვის

შევქმნათ ბავშვზე ორიენტირებული ჯგუფები

კრისტენ ა. ჰანსენი, როქსან კ. კაუფმანი, კეიტ ბურკ უოლში

წინასიტყვაობა: პამელა ა.კოგლინი

სოროსის ფონდი/ღია საზოგადოების ინსტიტუტი ფონდების, პროგრამების და ინსტიტუტების ქსელია, რომელიც ცნობილი ქველმომქმედის ჯორჯ სოროსის მიერ დაარსდა, მსოფლიოში და, განსაკუთრებით, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში ღია საზოგადოების ჩამოყალიბების და განვითარების მიზნით.ამჟამად სოროსის ფონდი ბავშვთა რესურსების საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობს, განათლების პროექტის განსახორციელებლად, რომელსაც ეწოდება "ნაბიჯ-ნაბიჯ: პროგრამა ბავშვებისა და მშობლებისათვის".

ბავშვთა რესურსების საერთაშორისო ორგანიზაცია არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც მდებარეობს ვაშინგტონში და ხელს უწყობს აშშ-ში შემუშავებული შესანიშნავი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას მსოფლიოს ცხრამეტ ქვეყანაში, ამ ქვეყნების კულტურული ტრადიციების გათვალისწინებით.

ბავშვთა რესურსების საერთაშორისო ორგანიზაცია ამ დოკუმენტის გამოყენების ნებას რთავს საზოგადოებრივ, არაკომერციულ, საგანმანათლებლო ორგანიზაციებს. ასლების რაოდენობა შეზღუდულია (20 ასლი). ამ წიგნის თავების ან ნაწყვეტების გამოქვეყნების ნებართვისათვის უნდა მიმართოთ ბავშვთა რესურსების საერთაშორისო ორგანიზაციას.

წინასიტყვაობა

წინამდებარე თხზულება "ნაბიჯ-ნაბიჯ" პროგრამის გამოცემათა სერიის პირველი წიგნია.პროგრამას საფუძველი ჩაეყარა 1994 წელს ჯორჯ სოროსის თაოსნობითა და ხელშეწყობით, როდესაც მან სოლიდური თანხა გაიღო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ღია საზოგადოების ინსტიტუტის მიერ სკოლამდელი ბავშვების განათლების პროექტის შექმნისა და განხორციელების მიზნით.ეს საოცარი საგანმანათლებლო წამოწყება მიზნად ისახავს ახალი მოქალაქეობრივი მრწამსის ჩამოყალიბებასა და განვითარებას საზოგადოების ყველაზე პატარა წევრებში და მშობელთა აქტიურ მონაწილეობას საკუთარი შვილების განათლების პროცესში.

პროგრამა ''ნაბიჯ-ნაბიჯ" გვთავაზობს ამერიკის შეერთებულ შტატებში დამკვიდრებულ განვითარების შესატყვისი სწავლების მეთოდიკის დანერგვას იმ ქვეყნების საბავშვო ბაღებსა და დაწყებით განათლების სისტემაში, რომლებიც ჩართულები არიან პროგრამის განხორციელებაში. "ნაბიჯ-ნაბჯ" პროგრამის მთავარი და არსებითი ნაწილია სასწავლო პროგრამის წერილობითი დოკუმენტი, სახელწოდებით " ბავშვი კლასის ცენტრში". ეს სახელმძღვანელო ეხმარება მასწავლებლებს კლასში აქტივობის ცენტრების ჩამოაყალიბებაში, საკლასო გარემოს მოწყობაში, ოჯახების და საზოგადოების სხვა წევრების სასწავლო პროცესში ჩაბმასა და იმგვარი ინდივიდუალური სწავლების მეთოდის დამკვიდრებაში, რომელიც ყოველი ბავშვის ინტერესებით, უნარითა და საჭიროებით იქნება განპირობებული.

"ნაბიჯ-ნაბიჯ" პროგრამის მიხედვით ისეთი კლასების შექმნა, რომლის ცენტრიც ბავშვია, ხორციელდება პარალელური ტრეინინგის თანხლებით. ყოველ ქვეყანაში, პროგრამის ხელმძღვანელ გუნდთან ერთი ან ორი ამერიკელი ტრენერი თანამშრომლობს და ეხმარება პროგრამის განხორციელებაში. საპროგრამო დოკუმენტი–ბავშვი კლასის ცენტრში, როგორც ალტერნატიული სასწავლო პროგრამა 19 ქვეყნის განათლების სამინისტრომ დაამტიცა და უკვე ითარგმნა კიდეც იმ ქვეყნების ენებზე. წინამდებარე გამოცემა დამატებით თავებსა და წესწორებებს შეიცავს.

პირველ წელს პროგრამს 250 კლასში განხორციელდა. მომდევნო წელს მონაწილე კლასების რაოდენობა 1500-მდე გაიზარდა და პროგრამაში ჩართული აღმოჩნდა 37 500 ბავშვი. ნიშანდობლივია, რომ "ნაბიჯ-ნაბიჯ" პროგრამა მარტო ბავშვთა მონაწილეობის თვალსაზრისით კი არ ეზრდილა, არამედ , გაფართოვდა მისი მასშტაბებიც. შეიქმნა დამატებითი სასწავლო პროგრამები : დაწყებითი კლასების ბავშვებისათვის, უმაღლესი საწავლებლების პედაგოგიური ფაკულტეტებისათვის; გამოქვეყნდა ნაშრომი-დემოკრატიის კულტურა და განათლება: ადრეული ასაკის ბავშვთა სწავლება. ამ თხზულებაში ერთმანეთს უკავშირდება ადრეული ასაკის ბავშვების სწავლება და დემოკრატიული პრინცპები.

ეს დოკუმენტი ჩვენი პარტნიორების თავდაუზოგავი შრომისა შედეგია. სწორედ ამ პარტნიორებს წყალობით განხორციელდა ჩვენი პროგრამა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. მათი წყალობით იქცა სინამდვილედ ჩვენი ოცნება. იმედს გამოვთქვამთ, რომ ეს გამოცდილება უკვალოდ არ ჩაივლის და ღია საზიგოდოებში მრავალი ადამიანის აქტიურ მონაწილეობას შეუწყობს ხელს.

პამელა ა.კოგლინი
ბავშვთა რესურსების საერთაშორისო ორგანიზაცია

სარჩევი

წინასიტყვაობა i
სარჩევი iii
სამადლობელი xii
შესავალი xiv

ნაწილი I. ბავშვზე ორიენტირებული აზროვნება

თავი I. შესავალი, პროგრამის არსი და მეცნიერული საფუძვლები I-1

შესავალი I-1
"ნაბიჯ-ნაბიჯ" პროგრამის არსი I-2
ადრეული ასაკის ბავშვთა განათლების თეორიები I-2
"ნაბიჯ-ნაბიჯ" პროგრამის მთავარი პრინციპები I-4
კონსტრუქტივიზმი I-4
განვითარების შესატყვისობა I-5
პროგრესული განათლება I-5
ინდივიდუალური სწავლება I-5
აქტივობის ცენტრები I-7
ოჯახის მონაწილეობა I-10
საოჯახო ოთახი I-11
საოჯახო მრჩეველთა კომიტეტი I-11
რა არის განვითარების შესატყვისი აქტივობა? I-11
ასაკობრივი შესატყვისობა I-12
ინდივიდუალური შესატყვისობა. I-12
ინდივიდუალიზაცია თამაშის პროცესში I-13
თეორიის პრაქტიკულად განხორციელება I-14

II. მიზნები და განვითარების დონის სახელმძღვანელო პრინციპები II-1

მიზნები და განვითარების დონის სახელმძღვანელო პრინციპები II-1
მიზნები II-1
ასაკის შესატყვისი ცვლილებები II-3
სამი წლის ასაკის ბავშვის ტიპიური თვისებები II-3
ოთხი წლის ასაკის ბავშვის ტიპიური თვისებები II-4
ხუთი წლის ბავშვების ტიპიური თვისებები II-4

ნაწილი II. ბავშვზე ორიენტირებული სწავლება

თავი III. მშობელთა მონაწილეობის ხელშეწყობა III-1

არსი III-1
რა სარგებლობა მოაქვს მშობელთა მონაწილეობას
აღზრდა-განათლების პროცესში III-2
დამოკიდებულებები III-2
ორმხრივი პასუხისმგებლობა III-3

თანამშრომლობის შესაძლებლობები III-3
კომუნიკაცია III-4
ოჯახთან ურთიერთობის მთავარი პრინციპები III-4
მოსალოდნელი შედეგები III-5
ოჯახებთან ურთიერთობის სტრატეგია III-5
არაოფიციალურ ურთიერთობათა სტრატეგია III-5
ბავშვების მოყვანის და წაყვანის დრო III-5
ბარათები და რვეულები III-6
საინფორმაციო დაფები III-6
რჩევები საინფორმაციო დაფების წარმატებით გამოყენებისათვის III-7
ცნობის ფურცელი III-8
ოფიციალური კომუნიკაცია III-8
სტუმრობა შინ III-8
მშობლები კლასში III-9
რა სარგებლობა აქვთ მშობლებს? III-10
რა სარგებლობა აქვთ მასწავლებლებს? III-10
საოჯახო ოთახი III-11
ბიბლიოთეკა III-11
მშობლები კლასში III-12
კლასის გაცნობა III-12
ბაღის დრამატული თამაშის ცენტრის აქტივობის
ამსახველი საინფორმაციო ბიულეტენი III-13
აქტივობის განმარტება III-14
მადლიერების გამოხატვა III-16
მამაკაცების ჩართვა სასწავლო პროცესში III-19
მშობელთა კრება III-20
მშობელთა ინტერესების დადგენა III-21
თემების შერჩევა მშობელთა კრებისათვის III-23
ოჯახის ინტერესების განსაზღვრა:(პროგრამის თანამშრომელთათვის) III-24
არაოფიციალური ღონისძიებებისა და შეხვედრების დაგეგმვა III-24
განრიგი III-25
მშობელთა მონაწილეობს წამახალისებელი ღონიძიებები III-25
საჭმელი და გართობა III-26
როგორ ჩავატაროთ კარგი შეკრება .....
მშობელთა შეკრების შეფასება .....
კონფიდენციალობა III-29

თავი IV. საზოგადოებრივი ერთობის შექმნა IV-1
განწყობილების შექმნა IV-2
განსხვავებული აზრის, კულტურის, ეროვნების პატივისცემა IV-4
მასწავლებლის პასუხისმგებლობა. IV-5
გადაწყვეტილების მიღება IV-7
საკლასო წესები IV-7
შეზღუდვის აუცილებლობა IV-7
თანმიმდევრობის მნიშვნელობა IV-8
ბავშვთა ჩართვა წესების ჩამოყალიბებაში IV-9
საკლასო წესების გადახალისება IV-9
კულტურული მრავალფეროვნებისა და თავისებურებების ხელშეწყობა IV-11
როგორ გამოვიყენოთ ეს კითხვარი? IV-14

თავი V. ბავშვთა განვითარების მიმდინარეობაზე დაკვირვება, ჩანაწერები და ანგარიშის შედგენა V-1

დაკვირვება და ჩანაწერების შედგენა V-1
მითითებანი დაკვირვების წარმოებისათვის V-2
არაოფიციალური დაკვირვების ტექნიკა V-3
ჩანაწერთა წარმოების ტექნიკა და საშუალებები. V-5
რას უნდა დავაკვირდეთ V-6
ინდივიდუალური მონაცემები V-6
ოჯახის წარმომავლობა და კულტურა V-6
ასაკი V-6
განვითარების დონე. V-7
პიროვნება და ტემპერამენტი. V-7
სქესი V-8
სწავლის სტილი V-8
ინტერესები. V-8
ძლიერი და სუსტი მხარეები. V-8
თვითრწმენა ან ღირსების გრძნობა. V-9
ბავშვთა ქცევის განხილვა. V-9
როგორ გამოვიყენოთ დაკვირვების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია V-10
ინდივიდუალური ადაპტაცია V-10
სკოლისგარე კონსულტაციები და კონსილიუმები. V-11
ნაკლის მქონე ბავშვები. V-12
ოჯახებისათვის ინფორმაციების მიწოდება. V-14
მასწავლებელთა/მშობელთა კონფერენციები. V-14
ანგარიში-მოხსენება. V-16

თავი VI. ინტეგრირებული პროგრამის დაგეგმვა VI-1

გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმის აუცილებლობა. VI-1
რა მნიშვნელობა აქვს წერილობით გეგმას VI-2
დღის განრიგის დაგეგმვა VI-2
ბაღში ან სკოლაში მოსვლა და საუზმე VI-3
დილის შეკრება. VI-3
სამუშაოს არჩევა VI-3
საუზმე და სადილი. VI-4
კბილების გაწმენდა. VI-4
ჯგუფში VI-5
ეზოში VI-5
ძილი/მოსვენება VI-6
გარდამავალი პერიოდი. VI-6
მშობელთა მომზადება ბაღისათვის. VI-7
სასწავლო წლის დაწყებამდე. VI-7
მშობლებთან განშორება VI-7
ოჯახებთან ურთიერთობა VI-8
ბაღიდან სკოლაში გადასვლა. VI-8
თემატური პროექტების დაგეგმვა VI-8
როგორ ვიმუშაოთ თემატურ პროექტზე. VI-9
თემატური პროექტის ნიმუში VI-11
რა ფაქტორები უნდა გავითვალისწინოთ გეგმის შედგენის დროს VI-15

ბავშვის განვითარება. VI-15
განსხვავება ჯგუფებს შორის VI-15
ინდივიდუალური სწავლება VI-16
ბავშვთა ინდივიდუალური პროგრესის აღწერა და დოკუმენტაცია VI-17

ნაწილი III. ბავშვზე ორიენტირებული სწავლა

თავი VII. სასწავლო გარემოს მოწყობა VII-1
საკლასო ოთახის მოწყობის საკონტროლო ფურცელი .....
საკლასო ოთახის უსაფრთხოება VII-5
უსაფრთხოების ნუსხა VII-5

თავი VIII. ხელოვნება VIII-1
ბავშვები თამაშის პროცესში: ხელოვნების აქტივობის ცენტრი VIII-1
ზემოქმედება განვითარების სფეროებზე VIII-2
ემოციური განვითარება VIII-3
ფიზიკური განვითარება VIII-3
სოციალური განვითარება VIII-3
ინტელექტუალური განვითარება VIII-3
შემოქმედებითი განვითარება VIII-3
ხელოვნების ცენტრის მოწყობა VIII-3
აღმზრდელთა ჯგუფის როლი VIII-4
შემოქმედებითი პროცესის სტიმულაცია VIII-5
"რა არის საჭირო" და "რა არ არის საჭირო" ხელოვნებისაკენ
ბავშვის მისწრაფების განვითარებისათვის VIII-6
აქტივობა და პროექტები VIII-7
თითებით ხატვა VIII-7
ღრუბლით ხატვა VIII-9
ლითოგრაფია VIII-9
ლაქებით ხატვა VIII-9
თასმებით ხატვა VIII-9
ცვილზე ხატვა VIII-9
სათამაშო ცომი VIII-10
თოჯინები VIII-10
ჩანთის ან საქაღალდის თოჯინები VIII-11
ჯოხიანი თოჯინები VIII-11
ჯოხიანი ნიღბები VIII-11
წინდებისა და ხელთათმანების თოჯინები VIII-11
ცოცხალი სურათები VIII-11
მობილური ანუ მოძრავი თოჯინები VIII-12
დაწვნა და კერვა VIII-12

თავი IX. კუბურები IX-1
ბავშვები თამაშის პროცესში: კუბურებით მშენებლობის ცენტრი IX-1
კუბურებით თამაშის სტადიები. IX-1
ზემოქმედება განვითარების სფეროებზე. IX-2
მეტყველების განვითარება. IX-2

სოციალურ ჩვევათა განვითარება IX-2
ბუნებისმეტყველებისა და მათემატიკის უნარის განვითარება IX-3
მოტორული განვითარება IX-3
სოციალური მეცნიერებების საფუძვლების დაუფლება IX-3
როგორ მოვაწყოთ კუბურებით მშენებლობის ცენტრი IX-4
აღმზრდელთა ჯგუფის როლი IX-5
საქმიანობა და პროექტები IX-7

თავი X. კულინარია X-1
ბავშვები თამაშის პროცესში: კულინარია და საჭმლის მომზადება კლასში. X-1
გავლენა განვითარების სფეროებზე X-2
წერა-კითხვა X-2
მათემატიკური აზროვნება X-2
ბუნებისმეტყველების საფუძვლები X-3
ფიზიკური განვითარება X-3
სოციალური ჩვევები და კულტურული მემკვიდრეობა X-3
ემოციური განვითარება X-3
შეგრძნებათა განვითარება. X-4
კულინარიის ცენტრის მოწყობა X-4
სამზარეულო ნივთები. X-5
ელექტრო-დანადგარები X-5
აღმზრდელთა ჯგუფის როლი. X-5
საჭმლის მომზადების პროცესის ორგანიზება. X-6
უსაფრთხოების წესები საჭმლის მომზადების დროს. X-7
საჭმლის მომზადება X-7
აქტივობები და პროექტები. X-8
სამზარეულო საქმიანობა, რაც საჭმლის მომზადებას არ გულისხმობს. X-8
თემა: ბოსტნეულის შესწავლა X-9
ფესვი X-10
ღერო X-10
ფოთლები X-10
ყვავილები X-11
ხილი X-11
საუზმე მამებისათვის X-12
კულინარიული რეცეპტები X-12
ერთი ულუფა კერძის რეცეპტები X-12
კერძების ჯგუფური მომზადება X-13
უსაფრთხოება მნიშვნელოვანია X-16

თავი XI. დრამატული თამაში XI-1
გავლენა განვითარების სფეროებზე XI-2
სოციალური განვითარება XI-2
ემოციური განვითარება XI-3
ინტელექტუალური განვითარება XI-3
დრამატული თამაშის როლი სკოლამდელი პროგრამის დღის წესრიგში XI-4
საზოგადოებრივი ცნებები XI-4
მათემატიკური ცნებები XI-4
ბუნებისმეტყველების საფუძვლები XI-4

მზაობა კითხვისათვის XI-5
როგორ არის დაკავშირებული დრამცენტრი აქტივობის სხვა ცენტრებთან XI-5
დრამცენტრის მოწყობა XI-5
მასალა XI-6
ძირითადი მასალა XI-6
ტანსაცმელი XI-6
საჭმლის მომზადება XI-7
დალაგება – დასუფთავება XI-7
მასალის შეგროვება XI-7
აღმზრდელთა ჯგუფის როლი XI-8
დაკვირვება XI-8
პრობლემების მოგვარება XI-8
პროგრესის ამსახველი ჩანაწერები XI-9
თამაშის გაფართოვების გზები XI-10
აქტივობები და პროექტები XI-10
რიტმული თამაში XI-10
ტაშის დაკვრა XI-11
მწყობრი სვლა XI-12
ხტუნვა და ასკინკილა XI-12
რწევა XI-12
თითებით თამაში და თოჯინები XI-12
თითებით თამაში XI-12
თითების სათამაშო თოჯინები XI-13
მოსიარულე თოჯინები XI-13
თოჯინები XI-13
როგორ გავაკეთოთ თოჯინები XI-14
პანტომიმა XI-15
შარადები XI-16
დრამატული თამაშისათვის საჭირო მასალა და მასალის კომპლექტები XI-17
სამზარეულო კომპლექტი XI-18
ბაზრის კომპლექტი XI-18
რესტორნის კომპლექტი XI-18
სასკოლო კომპლექტი XI-18
სამედიცინო კომპლექტი XI-19
გარეგნობის შესაცვლელი კომპლექტები XI-19
პოლიციელის კომპლექტი XI-19
დამლაგებლის კომპლექტი XI-19
თემატური კუთხე XI-19
დასკვნა XI-20

თავი XII. წიგნიერება XII-1
ბავშვები თამაშის პროცესში: წერა-კითხვის ცენტრი XII-1
წიგნიერების პროგრამა XII-1
ბიბლიოთეკა XII-2
გამომცემლობა XII-2
მოსმენა XII-2
აღმზრდელთა ჯგუფის როლი XII-2
აქტივობები და პროექტები XII-3

ბავშვთა ნამუშევრების მაგალითები XII-5
ენის სწავლის ბუნებრივი პირობები XII-9
ენობრივი გარემოცვა XII-9
დემონსტრირება XII-9
მოლოდინი XII-9
პასუხისმგებლობა XII-9
მუშაობა XII-9
მიმსგავსება XII-9
უკუგება XII-9

თავი XIII. მათემატიკა/მანიპულატივები XIII-1
ბავშვები თამაშის პროცესში: მათემატიკა/მანიპულატივები XIII-1
მათემატიკა დღის განრიგში XIII-2
მათემატიკის დაკავშირება აქტივობის სხვა ცენტრებთან XIII-4
მათემატიკის/მანიპულატივების ცენტრის მოწყობა XIII-5
აღმზრდელათა ჯგუფის როლი XIII-8
მათემატიკური აქტივობა და პროექტები XIII-9
დასკვნა XIII-10

თავი XIV. მუსიკა XIV-1
ბავშვები თამაშის პროცესში: მუსიკა კლასში XIV-1
გავლენა განვითარების სფეროებზე XIV-1
ემოციური განვითარება XIV-1
სოციალური განვითარება XIV-2
მეტყველების განვითარება XIV-2
ინტელექტუალური განვითარება XIV-3
მოტორული განვითარება XIV-3
მუსიკა საკლასო ცხრილში XIV-3
აღმზრდელთ ჯგუფის როლი XIV-4
მუსიკალური აქტივობა და პროექტები XIV-5
ჩხარუნების დამზადება XIV-5
ჩხარუნების გაკეთება XIV-5
ჩხარუნების გამოყენება XIV-6
ბუნებისმეტყველების ცენტრი და წყლით სავსე ბოთლების
მუსიკალური გამოყენება XIV-6
ბოთლების მომზადება XIV-6
ბოთლების გამოყენება XIV-7
სტუმრად ორღანთან XIV-7
ექსკურსიის შემდეგ XIV-8
დასკვნა XIV-8

თავი XV. სუფთა ჰაერზე XV-1
ბავშვები თამაშის პროცესში: სუფთა ჰაერზე XV-1
გავლენა განვითარების სფეროებზე XV-1
ფიზიკური განვითარება XV-2
სოციალური და კულტურული ჩვევების დაუფლება XV-2
ემოციური განვითარება XV-3
ინტელექტუალური განვითარება XV-3

როგორ მოვაწყოთ ეზო XV-4
ბავშვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა XV-4
მეთვალყურეობის აუცილებლობა XV-5
თამაში ეზოში XV-5
ცოცვა XV-5
მიწა, წყალი, ტალახი XV-6
ტრანსპორტი XV-6
დასვენება XV-7
ხეზე მუშაობა XV-7
ბაღი XV-8
საწყობი XV-8
დასკვნა XV-8
აღმზრდელთა ჯგუფის როლი XV-9
რა უნდა გავითვალისწინოთ ეზოში თამაშისას XV-9
ამინდი XV-9
ტანსაცმელი XV-10
კიდევ რა უნდა გავითვალისწინოთ XV-10
როგორ წარვმართოთ სწავლების პროცესი ეზოში XV-11
ჩავერიოთ თუ არა ბავშვის თამაშში XV-11
როგორ ვასწავლოთ ბავშვებს რიგის დაცვა და დაიმობა XV-12
გართობა ეზოში XV-12
აქტივობა და პროექტები XV-12
დრამცენტრი XV-12
მიწა, წყალი და ტალახი XV-13
ხელოვნება XV-14
ბუნებისმეტყველება XV-14
ფიზიკური აქტივობა XV-14
დასვენება XV-15
ჭამა სუფთა ჰაერზე XV-15
ხეზე მუშაობა XV-16
მებაღეობა XV-16
ექსკურსია XV-17
სეირნობა XV-18
მშობლების მონაწილეობა XV-18

თავი XVI. ქვიშა და წყალი XVI-1
ბავშვები თამაშის პროცესში: წყლისა და ქვიშის აქტივობის ცენტრი XVI-1
გავლენა განვითარების სფეროებზე XVI-1
მათემატიკა XVI-1
ბუნებისმეტყველება XVI-1
ფიზიკური განვითარება XVI-2
სოციალური და კულტურული ჩვევები XVI-2
ემოციური განვითარება XVI-2
ქვიშისა და წყლის აქტივობის ცენტრის მოწყობა XVI-2
აღმზრდელობითი ჯგუფის როლი XVI-4
აქტივობა და პროექტები XVI-5
საკლასო სამუშაოები XVI-6
ქაღალდის დამზადება. პროექტი წყლის მაგიდისთვის XVI-6

ბადეგადაკრული ჩარჩოს დამზადება XVI-7
დეკორატიული ქაღალდის დამზადება XVI-7

თავი XVII. ბუნებისმეტყველება XVII-1
ბავშვები თამაშის პროცესში: ბუნებისმეტყველების შემსწავლელი ცენტრი XVII-1
ბუნებიმეტყველების ცენტრის მოწყობა XVII-2
ბუნებიმეტყველების ცენტრი XVII-2
ბუნებიმეტყველების მასალა XVII-3
ბუნებისმეტყველების ჩართვა სხვა აქტივობის ცენტრებში XVII-4
აღმზრდელთა ჯგუფის როლი XVII-4
სამეცნიერო აქტივობა და პროექტები XVII-5
საკლასო მუზეუმი XVII-5
ეზოში XVII-6
წყალი XVII-7
მაგნიტიზმი XVII-8

ბიბლიოგრაფია

ბავშვთა რესურსების საერთაშორისო ორგანიზაციის პუბლიკაციები

სამადლობელი

დიდ მადლობას მოვახსენებთ, ბატონ ჯორჯ სოროსს, იმ განსაკუთრებული ღვაწლისათვის, რომელიც მას წინამდებარე ნაშრომისა და, საერთოდ, მთელი "ნაბიჯ-ნაბიჯ" პროგრამის შექმნაში მიუძღვის. მან პროექტის კონცეფციის ჩამოყალიბების, გეგმის შედგენისა და განხილვისათვის, არც დრო დაიშურა და არც ენერგია, რითაც კიდევ ერთხელ გამოხატა საკუთარი დამოკიდებულება ბავშვობის წლების უაღრესად დიდი მნიშვნელობის მიმართ.

ამ თამამ ოცნებას იქნებ არც კი ეწერა განხორციელება ქ-ნ ლიზ ლორანის თავდადების, ძალისხმევისა და ურყევი რწმენის გარეშე. იგი პროექტზე მუშაობის ყველა ეტაპზე მხარში გვედგა, გვამხნევებდა და გვეხმარებოდა. ჭეშმარიტად ფასდაუდებელია მისი ამაგი ბავშვებისა და მშობლების მიმართ, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში დემოკრატიული პრინციპების განხორციელების მიზნით. მისი იუმორი ხალისითა და სიცოცხლით გვავსებდა პროექტზე მუშაობის პროცესში, ხოლო მისი გონიერების წყალობით, ყველა ბუნდოვან საკითხს ნათელი ეფინებოდა.

აღსანიშნავია, სარა კლაუსის პირადი მონაწილეობა და წვლილი. სწორედ მისი წყალობით გახდა შესაძლებელი ამ მეთოდოლოგიის ევროპაში დანერგვა.

მადლობას ვუცხადებთ ბავშვთა რესურსების საერთაშორისო ორგანიზაციის აღმასრულებელ გუნდს, პამ კოლინის ხელძღვანელობით. მათი პროფესიონალიზმის, სიმტკიცისა და იუმორის გარეშე, ამ პროექტს, ნამდვილად არ ეწერა ხორცშესხმა. მადლობას მოვახსენებთ ჯული ემპსონსა და კეროლაინ რაჩს გაწეული სამსახურისათვის.

ეს პროექტი მრავალი ადამიანის ერთობლივი შრომისა და ძალისხმევის შედეგად შეიქმნა და გამოიცა. უდიდეს მადლობას ვწირავთ თითოეულ მათგანს უშურველად გაღებული შრომისა და ენერგიისათვის, პროექტის განხორციელებას რომ მოახმარეს. აღმოსავლეთ და ცნტრალური ევროპისა და საბჭოთა კავშირის კულტურული ტრადიციების წყალობით პროექტში გამოთქმული მოსაზრებები სინამდვილედ იქცა. უღრმეს მადლიერებას გამოვთქვამთ მონაწილე ქვეყნების ხელძღვანელობის, დირექტორების, მასწავლებლების, მასწავლებელთა ლექტორებისა და ტრენერების მიმართ, რომელთა თავდაუზოგავი შრომის შედეგად პროექტი ისეთი წარმატებით ხორციელდება, რომ შედეგმა ჩვენს მოლოდინსაც კი გადააჭარბა.

წინამდებარე თხზულების კონცეპტუალური ჩარჩო და ძირითადი პრინციპები დაამუშავეს და ჩამოაყალიბეს ბავშვთა რესურსების საერთაშორისო ორგანიზაციის წევრებმა დინა ჰელერმა და ჯუდი სტოლბერმა.

თხზულების შინაარსის შედგენაშიც მრავალ ადამიანს მიუძღვის წვლილი, მათი სახელებია:

ელენორ კეოტო
ნილ ფიცპატრიკი
ნანსი ჰესელტაინი
ადელ ჯაკობსი
ლიზ კულმანი
მერი მარსო
სტეფენ სეიფერი
ტაურა ტეილორი
სილვია ტომპსონი
ჯიმ უელჩი
სუზანა კირანძისკა

მადლობას მოვახსენებთ მერილენდის შტატის, როკვილის გრინაკრის სკოლისა და ვაშინგტონის, ბოვარის სკოლის კოლექტივებს ამ თხზულების მისამართით გაღებული ღვაწლისათვის. აგრეთვე, დიდი მადლობა, ბოვარის სკოლის ხელმძღვანელობას საკლასო ოთახებს სურათების გადაღების ნებართვისათვის.

ნაშრომის ილუსტრაციები უდიდესი სიყვარულით არის შესრულებული ბოვარის სკოლის ყოფილი ხატვის მასწავლებლის ჟან იკერის მიერ. მადლობას ვუძღვნით მას, ვინც სიტყვები ნახატებად აქცია და ბავშვური ფანტაზია შიგ ჩააქსოვა.

ულრმეს მადლობას ვწირავთ ყველა ამერიკელ ტრენერს, რომლბმაც არაერთხელ იმოგზაურეს პროგრამის მონაწილე 19 ქვეყანაში საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების გასაზიარებლად.

დიდ მადლობას მოვახსენებთ ლინდა ჰარტეკერს, რომელმაც უმოკლეს ვადაში შესბლო ამ ნაშრომის რედაქტირება.

კირსტენ ა. ჰანსენი როქსან კ. კაუფმანი კეიტ ბურკ უოლში

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი ''ნაბიჯ-ნაბიჯ'' პროგრამის ერთი შემადგენელი ნაწილია. მასში განხილულია სამიდან ხუთ წლამდე ასაკის ბავშვების საკლასო სწავლების მეთოდიკა. ეს სახელმძღვანელო საგანგებოდ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მასწავლებელთა დასახმარებლად შეიქმნა.

ნაწილი I,–*ბავშვი–მსჯელობის ცენტრი*,–გვაცნობს "ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრამის არსსა და რაობას. I თავში წარმოდგენილია პროგრამის არსი და მეცნიერული საფუძველი; II თავში ჩამოყალიბებულია პროგრამის მიზნები და აღწერილია ბავშვთა განვითარების საფეხურები.

ნაწილი II,–*ბავშვი–სწავლების ცენტრი*–განიხილავს მასწავლებლისა და მშობლის როლს ისეთი კლასის ჩამოყალიბებაში, რომლის ცენტრსაც ბავშვი წარმოადგენს. III თავში დაწვრილებით არის აღწერილი მეთოდები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი ხდება მშობელთა მოზიდვა და აქტიური მონაწილეობა ბავშვის განათლების პროცესში. IV თავში განხილულია კლასსა და სასწავლებელში საზოგადოებრივი ერთობის ჩამოყალიბების გზები. V თავი მიმოიხილავს ბავშვთა განვითარების მსვლელობაზე მასწავლებელთა დაკვირვებისა და დაკვირვებათა შედეგების მიხედვით ჩანაწერების წარმოების მეთოდებს. IV თავში მსჯელობა ეძღვნება ინტეგრირებული სასწავლო პროგრამის შექმნასა და დღის წესრიგის დაგეგმვას.

ნაწილი III,-*ბავშვი–სწავლის ცენტრი*–ეს ნაწილი VII-XVII თავებს მოიცავს და განიხილავს საწავლო გარემოს შექმნის შესაძლებლობებს. ცალ-ცალკე განიხილება ათი აქტივობის ცენტრის ჩამოყალიბების მეთოდიკა. ეს ცენტრებია: ხელოვნება, კუბები, კულინარია, წერა-კითხვა, მათემატიკა/მანიპულატივები, მუსიკა, დრამწრე, სუფთა ჰაერზე ჩატარებული აქტივოვები, ქვიშა და წყალი, ბუნებიმეტყველება. ნაშრომის ამ ნაწილში დაწვრილებით არის აღწერილი მასწავლებლის მოვალეობა ცენტრის მოწყობისა და შესატყვისი მასალის თავმოყრის თვალსაზრისით; განხილულია ყოველი ცენტრის საქმიანობა და პროექტები.

ყოველ თავში ნათლად და კონკრეტულად არის ჩამოყალიბეული მოსაზრებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვიმუშაოთ კლასში, რომლის ცენტრიც ბავშვია და, რომელიც დემოკრატიული პრინციპების პრაქტიკულად განხორციელებას ემსახურება. მუშაობის გასაადვილებლად, ნაშრომში უამრავი ნიმუში, ცხრილი, კითხვარი და ანკეტაა ჩართული. ეს წიგნი გამოცდილი მასწავლებლების მიერაა დაწერილი, რომელთაც უშუალო საკლასო სწავლების პრაქტიკა გააჩნიათ.

ნაწილი I

ბაგეშვზე ორიენტირებული აზროვნება

วิไล

I შესავალი, პროგრამის არსი და მეცნიერული საფუძვლები

შესავალი

თანამედროვე ბავშვები, სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ ისინი, თავიანთი ცხოვრების გზაზე არაერთხელ აღმოჩნდებიან ცვლილებათა წინაშე, სოციალური, პოლიტიკური და გარემოს ცვლილებები იქნება ეს, გარდაქმნები მეცნიერებასა და ტექნიკაში, წარმოების განახლება, რაც თავის მხრივ, გავლენას მოახდენს შრომის ბაზარზე. ასე სწრაფადცვალებად თანამედროვე სამყაროში ძალზე მნიშვნელოვანია ბავშვებში აღვზარდოთ მისწრაფება-ისწავლონ მთელი ცხოვრების მანძილზე.

ბავშვების თვითშემოქმედ მოსწავლეებად აღზრდისათვის პროგრამა "ნაბიჯ-ნაბიჯ" მათში იმგვარი დამოკიდებულების, ცოდნისა და უნარის ჩამოყალიბებას უყრის საფუძველს, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭებათ თანამედროვე თუ ოცდამეერთე საუკუნის მოთხოვნათა
დასაკმაყოფილებლად.

პროგრამა აღიარებს, ჯეროვნად აფასებს და ხელს უწყობს იმ თვისებათა განვითარებას, რომელთა ფლობაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სწრაფ გარდაქმნათა ეპოქაში. ეს თვისებებია:

- შეესატყვისებოდე გარდაქმნებს და თავად ახორციელებდე მათ;
- იყო კრიტიკულად მოაზროვნე და შეგწევდეს არჩევანის გაკეთების უნარი;
- შეგეძლოს პრობლემის დასმა და გადაწყვეტა;
- გაგაჩნდეს შემოქმედების, გამომგონებლობის და წარმოსახვის უნარი;
- ზრუნავდე საზოგადოებაზე, ქვეყანაზე, გარემოზე.

პროგრამა "ნაბიჯ-ნაბიჯ" უნიკალური პროგრმაა სამიდან ექვს წლამდე ასაკის ბავშვებისა და მათი ოჯახებისათვის. პროგრამაში ერთმანეთს ერწყმის ადრეული ასაკის ბავშვთა განათლების მეცნიერულ გამოკვლევებზე დაფუძნებული პრაქტიკული გამოცდილება და ოჯახებთან და საზოგადოებასთან მუშაობის ზუსტად განსაზღვრული მოდელი, რათა შესაძლებელი გახდეს თითოეული ბავშვის მიმართ ინდივიდუალური მიდგომის განხორციელება. პროგრამა ისეა შედგენილი, რომ იგი პასუხობს თითოეული ბავშვის განსაკუთრებულ მოთხოვნილებებს, აგრეთვე ითვალისწინებს მრავალეროვან კულტურულ ტრადიციებს. პროგრამის რამდენიმე მახასიათებელი ყველა კლასშია წარმოდგენილი, კერძოდ:

- სწავლების ინდივიდუალიზაცია თითოეული ბავშვისთვის;
- ბავშვთა დახმარება არჩევანის გაკეთებისას, დაგეგმილი აქტივობის მიხედვით
  და აქტივობის ცენტრების საშუალებით;
- ოჯახის მონაწილეობა.

"ნაბიჯ-ნაბიჯ" პროგრამის არსი

"ნაბიჯ-ნაბიჯ" პროგრამას საფუძვლად უდევს შეხედულება იმის შესახებ, რომ ბავშვი საუკეთესოდ აღიზრდება, თუკი იგი თავად, მთელი არსებით იქნება ჩართული სწავლის პროცესში. მზრუნველობით დაგეგმილი გარემო ბავშვს უბიძგებს დამოუკიდებელი კვლევისა და შემოქმედებისაკენ. ამავე დროს, აღმზრდელთა ჯგუფი საფუძვლიან ცოდნას უნდა ფლობდეს ბავშვის განვითარების შესახებ. სწორედ მათ უნდა შეუქმნან ბავშვს გარემო და უზრუნველყონ იგი სასწავლო მასალით. აღმზრდელთა ჯგუფის როლი იმაში მდგომარეობს, რომ თითოეულ ბავშვსა და, ასევე, ბავშვების ჯგუფს, დაუსახოს მათი ინტერესების შესატყვისი მიზნები ისე, რომ გამოვლინდეს და ჯეროვნად დაფასდეს ყოველი ბავშვის ინდივიდუალური უნარი და საჭიროება. ამვე დროს, არ უნდა ჩაიხშოს პატარა ბავშვისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი ცნობისმოყვარეობა, რითაც ხელი შეეწყობა ერთობლივი სასწავლო პროცესის განხორციელებას.

ადრეული ასაკის ბავშვთა განათლების თეორიები

ადრეული ასაკის ბავშვთა განათლების დარგში, რომლებიც განიხილავენ ბავშვთა სწავლებას სამიდან ექვსი წლის ასაკში, ორი ძირითადი მიმართულება გამოიკვეთება. პირველი გახლავთ ბიჰევიორისტული მიმართულება, რომლის თანახმადაც, ბავშვებში არ არსებობს ცნებათა აღმოცენებისა და სპონტანურად ჩამოყალიბების წინამძღვრები. ანუ, ყოველი ცნება ბავშვს გარედან მიეწოდება და ბავშვიც მათ შეიწოვს ან ითვისებს. ბიჰევიორისტული მიდგომის მიხედვით ჯგუფის ცენტრალური ფიგურა მასწავლებელია. მასწავლებელი ჩამოყალიბებული, მზამზარეული ინსტრუქციით "ტენის" ან "ავსებს" ბავშვს, ისევე, როგორც დროდადრო ჩვენ ვავსებთ ავზს ან რაიმე ჭურჭელს.

მასწავლებელი ბავშვს სპეციფიურ ინფორმაციას მზა რეცეპტის სახით აწოდებს. ჩვეულებრივ, ეს ინფორმაცია გულმოდგინედ არის გაანალიზებული, დანაწევრებული დავალებებად და ბავშვსაც თანმიმდევრულად მიეწოდება. ამ შემთხვევაში მასწავლებელი მთელი ინფორმაციის "მესაკუთრედ" ან "მფლობელად" წარმოგვიდგება. მისი მოვალეობაა ბავშვს ესა თუ ის ცოდნა გადასცეს. ბავშვიც, თავის მხრივ, სავარჯიშოებზე მეცადინეობით მანამ იწაფება, სანამ ცოდნას ისე არ დაეუფლება, რომ შემდგომ საფეხურზე გადავიდეს.

ბიჰევიორისტული თეორიის თანახმად, მასწავლებელმა გულისყურით უნდა შეაფასოს ბავშვის მიერ ათვისებული ინფორმაციის ხარისხი და შემდგომ საფეხურზე გადასვლამდე კვლავაც განამტკიცოს განვლილი მასალა. უამრავი სახელმძღვანელო, თვალსაჩინოება და ტესტი არსებობს, რომელთაც მასწავლებელი კლასში ცოდნის შესამოწმებლად იყენებს.

ბიჰევიორისტული თეორიის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან: ჯონ უოტსონი, ედვარდ თორნდაიკი და ბ.ფ.სკინერი.

ამის საპირისპიროდ, პროგრამა "ნაბიჯ-ნაბიჯ" სრულიად განსხვავებულ, განვითარების თეორიას იზიარებს. განვითარების ეს მოძღვრება ისეთ გარემოში წარმართავს ბავშვის აღზრდას, რომელიც ბავშვის ბუნებრივი ზრდა-განვითარების პროცესის შესატყვისია. ამ მოძღვრების თანახმად ბავშვები:

- არიან აქტიური მოსწავლეები. ისინი თამაშის პროცესში გამუდმებით ახალ-ახალ ინფორმაციას იღებენ გარესამყაროს შესახებ;

- მათი წინსვლა განვითარების წინასწარგანსაზრვრულ საფეხურებს შეესატყვისება;
- ისინი დამოკიდებულნი არიან გარე სინამდვილეზე, რადგან მათი ემოციური და გონებრივი განვითარება სოციალურ ურთიერთობათა მეშვეობით ხორციელდება;
- ისინი არიან უნიკალური ინდივიდები, რომლებიც სხვადასხვაგვარად ვითარდებიან;

მოძღვრებას ბავშვის განვითარების შესახებ საფუძვლად უდევს ჟან პიაჟეს, ერიკ ერიკსონისა და ლ. ს. ვიგოტსკის თეორიები.

პიაჟეც და ვიგოტსკიც ბავშვს განიხილავენ, როგორც ბიოლოგიურ არსებას. თუმცა, მათ განსხვავებული მოსაზრებები აქვთ იმის თაობაზე, თუ რა ზეგავლენას ახდენს ბუნება და საზოგადოება ბავშვის განვითარების პროცესზე. გლასმანი ამ ორი პედაგოგის კონცეფციებს შემდეგნაირად აჯამებს:

- განვითარების ორი ფრთა – ბუნებრივი და სოციალური განვითარება-უწყვეტად მონაწილეობს გონებრივი განვითარების პროცესში. თითოეულ მათგანს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება შემეცნების განვითარებისათვის;

- შემეცნების განვითარება საწყის ეტაპზე გარე სინამდვილიდან მიღებული გამოცდილების უშუალო შედეგია. თანდათანობით კი ბავშვებისთვის შესაძლებელი ხდება განახორციელონ მიღებული გამოცდილების აზრობრივი ტრანსფორმაცია შინაგანი რეფლექსიის გზით;

- ინდივიდუალური განვითარების ტემპი განპირობებულია სოციალური გარემოს ზემოქმედებით;

- შემეცნების განვითარება ცნებათა ძირეულ, ხარისხობრივ ტრანსფორმაციას გულისხმობს.

პიაჟეს თვალთახედვით, მოზარდი განვითარების მრავალ საფეხურს გადის. პირველი, სენსომოტორული პერიოდი დაბადებიდან ორი წლის ასაკამდე გრძელდება. ამას მოსდევს კონკრეტულ ოპერაციათა განვითარების საფეხური და იგი ორიდან თერთმეტი წლის ასაკამდე გრძელდება. მესამე ფაზა, ფორმალურ ოპერაციათა სტადია, ჩვეულებრივ, სიმწიფის ხანაში იწყება.

ვიგოტსკის თანახმად, აზროვნება რადიკალურ ტრანსფორმაციას განიცდის, როდესაც ბავშვს უვითარდება ლინგვისტური კომუნიკაციისა და სწავლების შედეგად საკუთარი აზრების შემუშავების უნარი.

ერიკსონის ფსიქოლოგიური განვითარების თეორია სამ ასაკობრივ ეტაპს მოიცავს და ასახავს ინდივიდის ურთიერთობას სოციალურ გარემოსთან. ერიკსონს მიაჩნია, რომ ბავშვის ჯანსაღი განვითარება განპირობებულია იმ წინააღმდეგობებით, რომლითაც ხასიათდება ყოველი ასაკობრივი სტადია. დაბადებიდან სამ წლამდე ასაკში ბავშვში ვითარდება ნდობა; ერთიდან სამ წლამდე ასაკი გამოირჩევა ავტონომიურობის ჩამოყალიბებით, ხოლო სამიდან ექვს წლამდე ასაკში ჯანსაღი ბავშვი ინიციატივის უნარით გამოირჩევა.

განათლების ეს კონცეფციები ამდიდრებენ ჩვენს ცოდნას ბავშვის განვითარების შესახებ და მეტად ყურადსაღებ მოსაზრებებს გვთავაზობენ თეორიული ცოდნის პრაქტიკულად განხორციელებისათვის. ეს თეორიები ძალზე დიდ სარგებლობას მოუტანს მასწავლებლებს, რადგან მათში უშუალოდ ბავშვის განვითარების პროცესია ასახული. როდესაც განვითარების თეორია პრაქტიკულად ხორციელდება, პროგრესიული განათლების ისტორიულ კონტექსტში სასწავლო პროგრამების დაგეგმვისას ბავშვი ამოსავალი წერტილი ხდება. სწორედ ეს განსაზღვრავს ისეთი ჯგუფების შექმნას, რომელთა ცენტრი ბავშვია.

"ნაბიჯ-ნაბიჯ" პროგრამის მთავარი პრინციპები

პროგრამა "ნაბიჯ-ნაბიჯ" მოიცავს ადრეული ბავშვობის სამ წამყვან პრინციპს, ეს პრინციპებია: კონსტრუქტივიზმი, განვითარების შესატყვისი აქტივობები და პროგრესიული განათლება.

კონსტრუქტივიზმი

კონსტრუქტივიზმის მიმდევრებს მიაჩნიათ, რომ სწავლის პროცესი იწყება მაშინ, როდესაც ბავშვი ცდილობს გაერკვეს გარე სამყაროში. ამგვარად, სწავლა ინტერაქტიური პროცესია, რომელშიც ჩართული არიან თავად ბავშვები, უფროსები, სხვა ბავშვები და მთელი გარე სინამდვილე. საერთოდ, ბავშვები თავად აგებენ და აშენებენ საკუთარ ცნობიერებას. ისინი გარე სინამდვილეს შეიმეცნებენ ადრე მიღებული ცოდნისა და ახალი გამოცდილების სინთეზის გზით. ჟაკლინ და მარტინ ბრუკები (1993) ამ პროცესს შემდეგნაირად აღწერენ:

> "ჩვენ ხშირად გადავაწყდებით რაღაც საგანს, მოვლენას ან ურთიერთობას, რომელსაც ვერ ვიგებთ. როდესაც ამგვარი, საწყისშივე გაუგებარი, წინააღმდეგობრივი საგნის, ინფორმაციის ან შეგრძნების წინაშე აღმოვჩნდებით, ჩვენ ან ამ უცნობი ობიექტისა და შეგრძნების ინტერპრეტაციას ვახდენთ ჩვენში იმჟამად არსებული ხატებისა და ცნებების ენაზე, რომელთა მეოხებითაც აქამდე განვმარტავდით და ვაწესრიგებდით ჩვენსავე სამყაროს, ანდა ახალ სახეებსა და ხატებს მოვუხმობთ, რომლებიც უკეთ შეგვაძლებინებს მოცემული ობიექტის შემეცნებას. ორივე შემთხვევაში ჩვენი შეგრძნებები და ცნებები უწყვეტად მონაწილეობენ იმ ფერხულში, რომელიც ჩვენს ცნობიერებას აყალიბებს"

კონსტრუქტიული სწავლების საილუსტრაციოდ შემდეგ მაგალითს მოვიყვანთ:

პატარა ბავშვი, რომელსაც შინ ძაღლი ჰყავს, მშობლებთან ერთად მანქანით ქალაქგარეთ სეირნობს. მანქანამ ძროხას ჩაუქროლა. ბავშვმა ძროხა შენიშნა და წარმოსთქვა "ძაღლი". მშობლებმა აუხსნეს, რომ ეს ძაღლი კი არა ძროხაა და იგი განსხვავდება ძროხისაგან. ამრიგად, ახალი ინფორმაცია ჩაენაცვლა არსებულს და ახალი აზრობრივი მიმართება დამყარდა.

მართალია, ბავშვები თავად ქმნიან საკუთარ ცნობიერებას, შემეცნებასა და ცოდნას, მედიატორის როლი, რომელიც უფროსებმა უნდა იკისრონ, მაინც არსებითია. აღმზრდელობითი ჯგუფი უზრუნველყოფს ბავშვებს სასწალო მასალით, დამხმარე ხელსაწყო იარაღებით. ხელმძღვანელობს და ხელს უწყობს, რომ მაქსიმალურად გამომჟღავნდეს ბავშვის მისწრაფება ცოდნისაკენ.

განვითარების შესატყვისობა

განვითარების შესატყვის სასწავლო პროგრამას საფუძვლად უდევს ცოდნა ბავშვის განვითარების შესახებ ანუ მოსაზრება, რომ ყველა ბავშვი განვითარების საერთო საფეხურების მიხედვით ვითარდება, ერთსა და იმავე ვადებში და ამავე დროს, ყოველი ბავშვი უნიკალური და ინდივიდუალური არსებაა. აღმზრდელობით ჯგუფს საფუძვლიანი ცოდნა უნდა ჰქონდეს ბავშვის განვითარების შესახებ, რათა სასწავლო მასალისა თუ აქტივობის შერჩევისას ბავშვს რეალისტური, შესატყვისი სასწავლო გარემო შეუქმნას. აღმზრდელებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ერთი ასაკობრივი ჯგუფის ბავშვების განსხვავებულ უნარსა და ინტრესებს (სიფელდტი, 1994; ბრიდკემპი, 1993) განვითარების შესატყვისი სასწავლო პროგრამა შედგენილია ბავშვთა ინტერესების, აზროვნების დონისა და მათი სოციალური და ემოციური სიმწიფის გათვალისწინებით. ამგვარად შედგენილი პროგრამა იმისკენ არის მიმართული, რომ ბავშვებს კიდევ უფრო გაუმძაფრდეთ ბუნებრივი ცნობისმოყვარეობა, სიამოვნება მიიღონ სწავლის პროცესში და გაუჩნდეთ მისწრაფება დამოუკიდებლად იკვლიონ საკუთარი იდეები.

განვითარების შესატყვისი პროგრამის მიზანია დაეხმაროს ბავშვებს დამოუკიდებლად გასცენ პასუხი მათ მიერვე დასმულ შეკითხვებს. როგორც კი ბავშვი კითხვას დასვამს, ავტომატურად ამოქმედდება ინტერესი, მოტივაცია და ყურადღება. მასწავლებლის როლი იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვმა თავად მიაგნოს პასუხს, თანაც ისე, რომ არც ზედმეტად გაამარტივოს კითხვა და არც ზედმეტი, დაუძლეელი ინფორმაციით გადატვირთოს ბავშვი. განვითარების შესატყვისი თეორიის პრაქტიკულად განხორციელება საშუალებას აძლევს მასწავლებელს, მონახოს ისეთი ბალანსი, რომელიც აკმაყოფილებს და აფართოვებს სასწავლო სიტუაციას.

პროგრესული განათლება

ჯონ დიუი პროგრესული განათლების მოძღვრების მამამთავრად არის აღიარებული და თვლის, რომ განათლება უნდა მოიაზრებოდეს, როგორც ცხოვრების პროცესი და არა, როგორც მზადება მომავალი ცხოვრებისათვის. დიუი (1938) აცხადებს, რომ განათლება, რომელიც მომავლი ზრდასრული ცხოვრებისთვისაა გამიზნული "ახშობს (უარყოფს) ბავშვის ბუნებრივ თვისებებს-აღმაფრენასა და ცნობისმოყვარეობას, რომლებიც ბავშვს სკოლაში მოაქვს. ამგვარი განათლების ყურადღების ცენტრში ბავშვის ინტერესები და შესაძლებლობები კი არ დგას, არამედ, გაცილებით აბსტრაქტული ცნებები, რაც ბავშვს მომავალში გამოადგება.

ჩვენი მოძღვრება, რომლის ცენტრიც ბავშვია, ორივე მიმდინარეობას იზიარებს, რადგან მიაჩნია, რომ აღნიშნული ორი თვალსაზრისი ურთიერთს არ გამორიცხავს. პროგრესული განათლების მოძღვრების პრაქტიკულად განხორციელებას საფუძვლად განვითარების თეორიისა და კონსტრუქტივიზმის პრინციპები უდევს. ჩვენ მხარს ვუჭერთ ისეთი სასწავლო გარემოს შექმნას, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს თითოეული ბავშვის ინდივიდუალური უნარისა და ინტერესების გამოვლენას და ასევე, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ სწავლებისას ბავშვების პატარა ჯგუფებად ან წყვილ-წყვილად დაყოფას.

ინდივიდუალური სწავლება

"ნაბიჯ-ნაბიჯ" პროგრამის აღმზრდელთა გუნდი ბავშვებში ისეთი თვისებების აღზრდას

უყრის საფუძველს, რომ ისინი მომავალში სრულყოფილ, მიზანდასახულ, აქტიურ პიროვნებებად ჩამოყალიბდნენ, რომლებიც იზრუნებენ სხვებზე და უნარი ექნებათ საუთარი კვალი დააჩნიონ გარე სამყაროს. ამასთანავე მასწავლებლები ითვალისწინებენ "აქ და ახლა" ფაქტორს, რომელიც ბუნებრივია ბავშვობის პერიოდისათვის.

ამ მიზნით, ისინი მიმართავენ თამაშსა და სწავლების ინდივიდუალურ მეთოდებს. სწავლების ინდივიდუალიზაცია ყოველი ბავშვის განვითარების საფეხურის განსაზღვრითა და ამ საფეხურის შესატყვისი აქტივობების დაგეგმვით მიიღწევა ისე, რომ დასახული ამოცანის შესრულებისას იყოს თითოეული ბავშვის წარმატება გარანტირებული. ინდივიდუალიზაციის მეთოდი მოიცავს ცოდნას ბავშვის განვითარების შესახებ, ანუ ცოდნას მისი ჯანმრთელობის, ფიზიკური, ემოციური და გონებრივი განვითარების შესახებ.

სანამ გარკვეულ გადაწყვეტილებას მიიღებდეს, მასწავლებელი გულდასმით აკვირდება ბავშვს, ამოწმებს და საზღვრავს სხვადასხვა სფეროში მისი განვითარების დონეს და მხოლოდ ამის შემდგომ უსახავს მას მისი განვითარების შესატყვის ამოცანას.

სწავლების ინდივიდუალიზაცია ნიშნავს, რომ საკლასო მუშაობის განრიგი შეეფერებოდეს ყოველი მოსწავლის აქტივობისა და დასვენების მოთხოვნილებებს. საკლასო აღჭურვილობა, მასალები და დამხმარე ხელსაწყოები ხელს უნდა უწყობდეს ყოველი მოსწავლის წინსვლას, ხოლო შერჩეული აქტივობანი კი უნდა წარმოაჩენდეს განვითარების დონეს. ამას გარდა, ყოველი აქტივობა ბავშვისათვის გამოწვევის ტოლფასი უნდა იყოს, რასაც თან უნდა ახლდეს მოსალოდნელი წარმატების შეგრძნებაც.

... ინდივიდუალიზაცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია, რომლის მისაღწევადაც უნდა გავისარჯოთ, რადგან, რაც უფრო ინდივიდუალიზებულია სწავლება, მით უფრო ადვილი ხდება კლასში მუშაობა. მოსწავლეთა ქცევა უმჯობესდება, ცოდნისა და განვითარების დონე იზრდება" (საიფერი, 1990, გვ. 46)

მაინც რისთვის გვჭირდება სწავლების ინდივიდუალიზაცია? ინდივიდუალიზაცია საშუალებას გვაძლევს ყოველი ბავშვის განვითარების საფეხური, მონაცემები და საჭიროება შევუსაბამოთ სასწავლო აქტივობას. ამგვარი თანხვედრის პირობებში ბავშვებს უჩნდებათ საკუთარი თავის რწმენისა და თვითშეფასების უნარი. ისინი მზად არიან ახალი გამოწვევის მისაღებად და ახალი ამოცანების გადასაწყვეტად.

ბავშვზე ორიენტირებული ჯგუფები ყოველმხრივ ხელს უწყობს სწავლების ინდივიდუალიზაციას. კლასის მოწყობილობა, მასალები და ხელსაწყოები ყოველი მოსწავლის წინსვლას გულისხმობს, ხოლო შერჩეული აქტივობები ასევე, ყოველი ბავშვის განვითარების შესაფერისია. ბავშვები თავად ახდენენ საკუთარი აქტივობის ინდივიდუალიზაციას, როდესაც ირჩევენ გარკვეულ წრეს ანუ აქტივობის ცენტრს, ანდა თორმეტნიშნა თავსატეხის ამოხსნას ხუთნიშნა თავსატეხის ამოხსნას ამჯობინებენ. ინდივიდუალიზაციის მეთოდი მასწავლებლისაგან მოითხოვს ისეთი აქტივობა შესთავაზოს ბავშვებს, რომ თითოეული მათგანი დაინტერესებულიც იყოს და კმაყოფილიც საკუთარი წარმატებით. ცხადია, ინდივიდუალიზაცია კლასში ძალზე ეფექტურად ხორციელდება. თავისუფალი და საინტერესო აქტივობის დაგეგმვით, აქტივობის პროცესში თითოეულ ბავშვზე გულმოდგინედ დაკვირვების შედეგად, მასწავლებელს შეუძლია საჭიროებისამებრ შეცვალოს მასალა და ყოველ ბავშვს შესატყვისი ამოცანა დაუსახოს. ჯგუფური აქტივობანი ძირითადად მცირერიცხოვან ჯგუფებში ხორციელდება, რათა შესაძლებელი გახდეს ინდივიდუალიზაციის ეფექტურად განხორციელება. დღიური განრიგი ყოველი ბავშვის აქტივობისა და დასვენების მოთხოვნილ-

ებებს უნდა შეეფერებოდეს. ინდივიდუალიზაცია ძალზე მნიშვნელოვანი ნაწილია იმ სასწავლო პროგრამისა, რომელიც ბავშვს სასწავლო პროცესის ცენტრში აყენებს, რადგან, რაც უფრო უკეთ ხორციელდება ინდივიდუალიზაცია მით უფრო ეფექტურია მასწავლებელის მუშაობა.

აქტივობის ცენტრები საშუალებას აძლევს ბავშვებს, ინდივიდუალური მონაცემებისა და ინტერესებიდან გამომდინარე, თავად მოახდინონ საკუთარი თავის ინდივიდუალიზაცია. ასე მაგალითად, ხელოვნების ცენტრში, ერთი ბავშვი მხოლოდ ხევს ფერცლებს, მაშინ როდესაც, მეორე – რთულ ფიგურებს ჭრის მაკრატლით. ასევე, მანიპულატივების ცენტრში, ერთი ბავშვი თუ ოთხნაჭრიან ხის ასაწყობ სათამაშოს ირჩევს, მეორე – ოცდახუთნაჭრიან მუყაოს ასაწყობ თავსატეხს ამჯობინებს. მასწავლებელი აკვირდება ყოველ ბავშვს და აღნიშნავს მათი განვითარების დონეებს. დროდადრო, იგი ყოველ მათგანს მათი განვითარების დონის მიხედვით, უფრო საინტერესო და რთულ ამოცანათა შესრულებას სთავაზობს, ხოლო, თუკი საჭიროა, თავად ეხმარება გარკვეულ უნართა დახვეწაში.

როდესაც სწავლების ინდივიდუალიზაცია სკოლამდელ ასაკში ხდება, ბავშვები საკუთარი ტემპით ვითარდებიან. "ნაბიჯ-ნაბიჯ" პროგრამის საკლასო ოთახი დინამიური, ცვალებადი გარემოა, სადაც მასალა და აქტივობა ბავშვის ინდივიდუალური ინტერესებისა და განვითარების შესაბამისად იცვლება. მასწავლებელთა გუნდი გეგმავს საკლასო სივრცესა და აქტივობებს ისე, რომ იგი შეესაბამებოდეს თითოეული ბავშვის განვთარების საფეხურს. დღიურ გეგმაში საკმაო დრო ეთმობა მუშაობას:ეს იქნება მცირე სასწავლო ჯგუფებში მეცადინეობა თუ ინდივიდუალური დავალებების შესრულება, ხან მასწავლებლის ხელმძღვანელობით, ხან-დამოუკიდებლად. ამგვარი დღის წესრიგი ეხმარება ბავშვებს დამოუკიდებლად გააკეთონ არჩევანი და გამოამჟღავნონ საკუთარი ინტერესები და უნარი. "ნაბიჯ-ნაბიჯ" პროგრამის მომუშავე ჯგუფში ყურადრება იმაზე მახვილდება, რომ ბავშვებმა ისწავლონ არჩევანის დამოუკიდებლად გაკეთება, შეეძლოთ პრობლემის გადაწყვეტა, შესწევდეთ სხვებთან კომუნიკაციის უნარი და ესწრაფვოდნენ საკუთარი მიზნების აღსრულებას.

აქტივობის ცენტრები

"ნაბიჯ-ნაბიჯ" პროგრამა საშუალებას აძლევს ბავშვებს თავად აირჩიონ კლასი. ყოველი საკლასო ოთახი რამდენიმე აქტივობის ცენტრს აერთიანებს, სადაც ცენტრის შესაბამისი სათამაშო და სასწავლო მასალა აწყვია. სხვადასხვა კლასში სხვადასხვა ცენტრია მოთავსებული, თუმცა, ცენტრებში მუშაობა ძირითადად შემდეგი მიმართულებებით მიმდინარეობს:

ხელოვნება
კუბურები
სამზარეულო
დრამწრე
წერა-კითხვა
მატემატიკა/მანიპულატივები
მუსიკა
სუფთა ჰაერზე

ქვიშა და წყალი
ბუნებისმეტყველება



ხელოვნების ცენტრში მუშაობა ხელს უწყობს ბავშვების შემოქმედებითი უნარის გამომჟღავნებასა და შესწავლას. ახალ მასალასთან შეხება ბავშვს ართობს და სიამოვნებას ანიჭებს. ამ სფეროში შემდეგი მასალა გამოიყენება: საღებავები, ქაღალდი, მაკრატელი, ფერადი ფანქრები, ცარცი, ქსოვილი, წებო. ამ ნუსხას შეიძლება დაემატოს სხვა მრავალი ბუნებრივი მასალა, როგორიცაა: ხე, ფოთლები, ქვიშა. ამ ცენტრში მუშაობა ხელს უწყობს ბავშვებში შემოქმედებითი უნარის, ვერბალური და ნონ-ვერბალური კომუნიკაციის, მცირე და დიდი მოტორული სისტემის განვითარებას; ზრდის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს და ბავშვში თვითშეფასების, ღირსების გრძნობას აღვიძებს.



კუბურებით თამაშის წრეში ათასგვარი სხვადასხვა ზომისა და ფორმის კუბურები აწყვია, წარმოსახული თუ ნაცნობი კონსტრუქციების ასაგებად, ეს გახლავთ: სახლები, ქალაქები, სოფლები, ფერმები, ზოოპარკები. კუბურებით მშენებლობა მრავალ რამეს ასწავლის ბავშვებს. ვითარდება მათემატიკური მონაცემები, აზროვნება, უმჯობესდება სოციალური ჩვევები და ყალიბდება პრობლემის გადაწყვეტის უნარი. ამ პროცესში ბავშვი ამჟღავნებს თავის შემოქმედებით მონაცემებს და განსაკუთრებულად უვითარდება კონცენტრაცია. შესაძლოა, მასწავლებელმაც და ბავშვებმაც სხვა მრავალი დამატებითი საგანი შემოიტანონ ამ ცენტრში. მაგ.: მანქანები, საბარგო მანქანები, ცხოველები, ადამიანები, თვითმფრინავები და ქსოვილის ნაკუწები.

სამზარეულოს წრე გვთავაზობს შესანიშნავ საშუალებებს, რათა ბავშვებს ბუნებისმეტყველების საფუძვლები გავაცნოთ. ამასთანავე, ისინი გემოს უსინჯავენ ახალ-ახალ საჭმელს, ხალისით მიირთმევენ საკუთარი ხელით მომზადებულ კერძებს და თან ისეთ მათემატიკურ სიდიდეებს ეუფლებიან, როგორიც არის ზომა და წონა. საჭმლის ერთად მომზადების პროცესში ბავშვები ეუფლებიან სოციალურ ურთიერთობათა წესებს, ეჩვევიან ჯგუფში და წყვილ-წყვილად მუშაობას, გაღებასა და გაზიარებას. სამზარეულოს წრე მრავალი არსებითი ჩვევის გამომუშავებას უწყობს ხელს. მასწავლებელი საუბრობს ფერებზე, რიცხვებზე, ფორმებზე, კვებასა და ბუნებაზე. სამზარეულოს წრე ნამდვილ ცხოვრებისეულ გამოცდილებას სთავაზობს ბავშვებს.

დრამატული თამაშისათვის განკუთვნილ ცენტრში უამრავი თეატრალური და საკარნავალო ტანსაცმელი აწყვია, რაც ბავშვებს საშუალებას აძლევს განასახიერონ საყვარელი პერსონაჟები, უკეთ შეიმეცნონ სამყარო, ითამაშონ სხვადასხვა როლები. ამ სფეროსათვის განკუთვნილი მასალა და ნივთები აღმზრდელთა ჯგუფის მიერ არის შერჩეული. ერთი კვირა, შესაძლოა გამოვიყენოთ რეცხვისათვის განკუთვნილი მოწყობილობანი და ბავშვებს რეცხვა ვასწავლით, ხოლო მეორე კვირას კი ასტრონავტები ვათამაშოთ ან საცირკო წარმოდგენები დავდგათ და შესაბამისი საგნები გამოვიყენოთ. აქვე შესაძლოა

გვქონდეს ცხოველთა მოვლისათვის საჭირო ნივთები. ნივთების არჩევანი დამოკიდებულია ბავშვთა ინტერესებსა და მისწრაფებებზე.

წერა-კითხვისათვის განკუთვნილ კუთხეში წიგნები, წერისა და მოსმენისათვის საჭირო მასალები აწყვია. სწორედ აქ ათვალიერებენ ბავშვები წიგნებს, ერთმანეთს უკითხავენ ან მასწავლებელსა და, ზოგჯერ მოხალისე მშობელს უსმენენ. "ნაბიჯ-ნაბიჯ" პროგრამის სკოლამდელი ასაკის ბავშვების დღის განრიგში ვრცლად გამოიყენება ლიტერატურა. ბავშვები თავად ქმნიან საკუთარ წიგნებს, თხზავენ ამბებს, ყვებიან ან უსმენენ.

მათემატიკის/მანიპულატივების ცენტრში უამრავი დასაშლელი და ასაწყობი სათამაშოა თავმოყრილი. მაგ.: კონსტრუქტორები, პატარა კუბურებისგან შედგენილი თავსატეხები და ა. შ. ამ ცენტრში ისეთი თამაშებია გათვალისწინებული, რომლებიც ბავშვს თვლას, შეფარდებასა და კლასიფიკაციას ასწავლის. ხშირად ბავშვები თავად იგონებენ თამაშებს, ავარჯიშებენ მეტყველებას. ეს ცენტრი ხელს უწყობს ბავშვის ინტელექტუალური დონის ამაღლებას, ავარჯიშებს მცირე და დიდ კუნთებს, ავითარებს მზერისა და მოქმედების კოორდინაციას. ამასთანავე, მსჯელობაში, პრობლემათა გადაწყვეტასა და აზრთა ურთიერთგაზიარებაში იხვეწება მათი სოციალური თვისებები.

მუსიკა მთელი დღის განმავლობაში თან ახლავს სხვადასხვა აქტივობებს. სიმღერა, ცეკვა, ტაში, საკრავ ინსტრუმენტებზე დაკვრა და მუსიკის მოსმენა კარგად ავსებს მთელ დღეს. მუსიკა ავითარებს გრძნობებს, რითმს. ასწავლის ბავშვებს თვლასა და ხვეწვს მეტყველებას. აძლიერებს მცირე და დიდ კუნთებს; ბავშვებს შემოქმედებითად განაწყობს.



დღის განრიგის ერთ-ერთი მთავარი აუცილებელი ნაწილი სუფთა ჰაერზე ყოფნაა. ყოველივე ის, რაც საკლასო ოთახში ისწავლება შეიძლება გარეთაც ისწავლებოდეს. სუფთა ჰაერზე ბავშვები პატივისცემითა და მადლიერებით იმსჭვალებიან ბუნების მიმართ, უვითარდებათ სოციალური ჩვევები. ეუფლებიან ბუნებისმეტყველებისა და მათემატიკის საფუძვლებს, სუფთა ჰაერზე თამაში ავარჯიშებს და აძლიერებს მცირე და დიდ კუნთებს. დრამატული წარმოდგენები და ჯგუფური თამაშები ზრდის მათ შემოქმედებით უნარს. მიზანშეწონილია, სუფთა ჰარზე განსაკუთრებული ღონისძიებების ჩატარებაც, მაგ. :საჭმლის მომზადება, სადილი, მებაღეობა, ღებვა, ხატვა, თეატრალური რეკვიზიტების დამზადება, თოვლში, გუბეში, თამაში. ადგილობრივი ბაზრებისა და სახანძრო სადგურების დათვალიერება სასარგებლო ცხოვრებისეულ გამოცდილებას სძენს ბავშვს. სუფთა ჰაერზე ბავშვი უკეთ ეცნობა გარე სამყაროს და სწავლობს უკეთ როგორ უნდა მოერგოს მას. სუფთა ჰაერზე გატარებული დრო ერთგვარად ავსებს საკლასო ოთახის განრიგს. და ისევე გულდასმით არის დაგეგმილი, როგორც ეს უკანასკნელი.

ქვიშითა და წყლით თამაში კლასშიც, ქვიშისა და წყლისათვის განკუთვნილ მაგიდასთან და გარეთაც, საქვიშესა და წყალში ძალზე სასარგებლოა ბავშვებისათვის. ამგვარ თამაშებში ბავშვის ყველა შეგრძნება ჩართულია. ბუნებრივი



მასალის შესწავლისას ბავშვები ქმნიან, აზროვნებენ, ურთიერთობენ. ისინი ავარჯიშებენ მცირე და დიდ კუნთებს. ამ სფეროში სამუშაოდ გამოიყენება ნიჩბები, საცერი, ძაბრი, ვედრო. ამგვარი თამაშები ბავშვში ავითარებს მათემატიკურ მონაცემებს, შემოქმედებით, კვლევით უნარს.
ბუნებისმეტყველების ცენტრი ხელს უწყობს ბავშვთა ცნობიერებაში რეალური სამყაროს ასახვას. ამ ცენტრში ბავშვები იკვლევენ ბუნებრივ საგნებს. მასწავლებელს საგანგებო ადგილები აქვს გამოყოფილი "განძის" შესანახად, რომელიც ბავშვებმა უნდა აღმოაჩინონ. ამ ცენტრისათვის განკუთვნილ კუთხეში ხშირად იცვლება საგნები, მასალა, ბავშვთა ინტერესების, წელიწადის დროთა ცვალებადობისა და თემატური სწავლების შესაბამისად. ფიზიკური ცდის საშუალებით ბავშვები ეცნობიან მაგნეტიზმის, გრავიტაციული მიზიდულობის კანონებს, წყლის თვისებებს.

ბავშვები ცოდნას იძენენ გარემოზე, ბუნებაზე, ხეებზე, მცენარეებსა და ცხოველებზე დაკვირვების საშუალებით. მასწავლებლის როლი იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვებს ინტერესი გაუღვივოს და განავრცოს მეცნიერული კვლევის პროცესი.
სხვადასხვა ცენტრისათვის განკუთვნილი მასალა ხშირად იცვლება და გადანაწილდება აქტივობათა შესაბამისად. მაგალითად, სათამაშო ცხოველებს ბავშვები ხშირად იყენებენ კუბურების ცენტრში, როდესაც ისინი კუბურებით ზოოპარკს აშენებენ.

აღმზრდელობითი ჯგუფი მთელი წლის განმავლობაში ცვლის და აახლებს აქტივობის ცენტრებისათვის განკუთვნილ მასალას, ბავშვთა ინტერესებისა და განვითარების შესაბამისად. თუ სივრცე საკმარისია, შესაძლებელია ზემოთჩამოთვლილ აქტივობებს ახალი აქტივობები დაემატოს. მაგალითად, ხეზე მუშაობა, კულინარია და ზეიმების მოწყობა.

აღმზრდელთა ჯგუფი ზრუნავს გარემოს შექმნაზე. მასწავლებელი ბავშვებს ისე ესაუბრება, რომ გარკვეული თემისადმი ინტერესი აღუძრას, ცნობისმოყვარეობა გაუღვივოს. გარდა ამისა, მასწავლებლები გულდასმით აკვირდებიან ყოველ ბავშვს, რომ არ გამოეპაროთ მათ განვიათარებაში მომხდარი ცვლილებები და დროულად მოაწოდონ შესატყვისი მასალა. ჯგუფური და ინდივიდუალური აქტივობები ჩვეულებრივ, ერთი კვირით არის ხოლმე დაგეგმილი, მშობელთა და მასწავლებელთა ერთობლივი მუშაობის შედეგად და მუდამ გარკვეული დავალების შესრულებისაკენ არის მიმართული.

როდესაც მშობლები საპროგრამო კლასის მუშაობას ესწრებიან, თავად რწმუნდებიან, რაოდენ ენერგიულად საუბრობენ, მსჯელობენ და სწავლობენ მათი შვილები. მართლაც ბავშვები ყოველდღიურად ახალ-ახალ ცოდნას იძენენ და ყველა იმ საჭირო ჩვევას ეუფლებიან, რაც შემოქმედებითი და ნაყოფიერი პიროვნების ჩამოყალიბებას განაპირობებს.

ოჯახის მონაწილეობა

"ნაბიჯ-ნაბიჯ"პროგრამის გამორჩეული და უნიკალური ნიშანია სასწავლო პროცესში მშობელთა მონაწილეობა. პროგრამა ითვალისწინებს, რაოდენ დიდია ოჯახის ზეგავლენა ბავშვზე და მიიჩნევს, რომ სწორედ ოჯახია პირველი მასწავლებელი. ყოველი მშობლის სანუკვარი ოცნებაა, შვილმა მომავალში წარმატებას მიაღწიოს და ღირსეულ, წარმატებულ მოქალაქედ აღიზარდოს. ამდენად, მშობლები უფრო აქტიურად უნდა ჩაებან შვილების აღზრდა-განათლების პროცესში და ხელი შეუწყონ მათ წინსვლას. როგორც აღვნიშნეთ ჩვენი პროგრამა მხარს უჭერს ბავშვთა სწავლების პროცესში მშობელთა მონაწილეობას. ამისათვის უამრავი გზა და ხერხი არსებობს: მაგალითად, მეზობელი ოჯახების დამეგობრება, რამდენიმე ოჯახთან ერთობლივი მუშაობა და სხვა. პროგრამის აღმზრდელობითი

ჯგუფი და ხელმძღვანელობა ყოველმხრივ ხელს უწყობს ყველა ოჯახს, აქტიურად ჩაებას პროგრამის ყველა ასპექტში.

საოჯახო ოთახი

პროგრამა ითვალისწინებს ე. წ. საოჯახო ოთახის შექმნას. ამ ოთახში მშობლები ხვდებიან მასწავლებლებს, ეცნობიან ლიტერატურას, სადაც ბავშვთა განვითარების პროცესია აღწერილი ან განხილულია მონაცემები ბავშვთა ჯანმრთელობის, მათი დიციპლინის შესახებ. მშობლებს შეუძლიათ ეს ლიტერატურა შინაც წაიღონ. ამ ოთახში ტარდება მშობელთა კრებები და სემინარები. მშობლებს მოხალისეებად იწვევენ, სთავაზობენ შეძლებიდაგავარად დაეხმარონ აღმზრდელობით ჯგუფს სხვა მშობლებთან ურთიერთობის დამყარებაში, სასწავლო პროცესის დაგეგმვაში და ა. შ. ზოგიერთი მშობელი, სასურველია მასწავლებლის თანაშემწედაც ავიყვანოთ სამსახურში; დანარჩენებს, თავისუფალ დროს თავ-თავისი წვლილი შეაქვთ პროგრამის წარმატებით განხორციელებაში. მაგალითად, ეხმარებიან მასწავლებელს სამუშაო გარემოს შექმნაში, თან დაჰყვებიან ექსკურსიებსა და ლაშქრობებში და სხვა.

აღმზრდელობითი ჯგუფისა და ოჯახების ურთიერთთანამშრომლობა "ნაბიჯ-ნაბიჯ" პროგრამის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ამ თანამშრომლობის ერთ-ერთი ფორმაა საოჯახო და სასკოლო ჟურნალების შემოღება, რომლებშიაც აღინიშნება ყოველი ბავშვის წარმატება თუ ჩამორჩენა. შესაძლებელი, აგრეთვე მშობელთა აქტივის შექმნა, მშობელთა კრებებისა და სემინარების მოწვევა, მასწავლებელთა სტუმრობა მოსწავლეთა ოჯახებში. მშობელთა კრებები და კონფერენციები რეგულარულად უნდა ტარდებოდეს. ამ კრებებზე მასწავლებლები და მშობლები იმსჯელებენ არსებულ პრობლემებსა და ხარვეზებზე, მეთოდის დადებით და უარყოფით მხარეებზე. აქვე ერთობლივად დასახავენ ახალ გეგმას ბავშვის შინ და სკოლაში სწავლების შესახებ.

საოჯახო მრჩეველთა კომიტეტი

პროგრამის მეორე მნიშვნელოვანი კომპონენტია მშობელთა კომიტეტის დაარსება, რომელიც დროდდრო ხვდება აღმზრდელობით ჯგუფს და მსჯელობს პროგრამის მიმდინარეობაზე. ცხადია, კომიტეტი მოსწავლეთა მშობლებისგან შედგება, თუმცა, არ არის გამორიცხული საზოგადოების სხვა წარმომადგენლებიც ავირჩიოთ წევრებად. მშობელთა კომიტეტი ოჯახებთან ცალკე მუშაობს, რათა სრულად შეისწავლოს და შეაფასოს ყოველი ბავშვის ოჯახური მდგომარეობა.

დაბოლოს, "ნაბიჯ-ნაბიჯ" პროგრამა მიზნად ისახავს კარგად შეკრული ორგანოს ჩამოყალიბებას, რომელშიაც ერთმანეთის გვერდიგვერდ ითანამშრომლებენ ბავშვების მშობლები, მასწავლებლები და საზოგადოების წარმომადგენლები. ამ ორგანოს წევრები ერთად იმსჯელებენ იმ საკითხებზე რომლებიც ბავშვთა განვითარებას და მათ ოჯახებთან მჭიდრო ურთიერთობას უწყობს ხელს.

რა არის განვითარების შესატყვისი აქტივობა?

ბავშვთა განათლების ეროვნული ასოციაცია, რომელიც აშშ-ში ერთ-ერთი წამყვანი ორგ-

ანიზაციაა ტერმინში "განვითარების შესატყვისი" ორ ასპექტს გამოყოფს: ასაკობრივ შესატყვისობას და ინდივიდუალურ შესატყვისობას (ბრიდკემპი, 1987)

ასაკობრივი შესატყვისობა

ადამიანის განვითარების შესახებ ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, ბავშვები დაბადებიდან სამი წლის ასაკამდე განვითარების წინასწარ დადგენილ, უნივერსალურ სისტემას ექვემდებარებიან. ეს ცვლილებები ბავშვთა განვითარების ყველა სფეროს მოიცავს: ფიზიკურს, ემოციურს, სოციალურსა და შემეცნებითს. ცოდნა ბავშვთა ტიპიური განვითარების შესახებ საფუძვლად უდევს განვითრების პროგრამას და აღმზრდელობითი ჯგუფის მიერ სასწავლო გარემოს შექმნასა და პროგრამის დაგეგმვას განაპირობებს (ბრედკემპი, 1987).

იმისათვის რომ განვითარების შესატყვისი აქტივობები შეთავაზოთ ბავშვებს, აღმზრდელთა ჯგუფს კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული ბავშვთა განვითარების სტადიები. მასწავლებლებმა ისიც კარგად უნდა იცოდნენ, რომ წინასწარდადგენილი განვითარების საფეხურების მიუხედავად, თავად სტადიები და მათგან გამომდინარე ცვლილებები ყველა ბავშვისათვის ერთდროული არ არის. ამდენად, ერთ კლასში განვითარების სხვადასხვა დონის ბავშვთა არსებობა გარდაუვალია.

ტიპიური განვითარების სქემაში, რომელიც წიგნის მეორე თავს ერთვის, აღწერიალია მცირე და დიდი კუნთების მოტორული განვითარების შესაბამისი ვადები, საკომუნიკაციო უნარის, აზროვნების, მეტყველების, სოციალურ და საყოფაცხოვრებო ჩვევების განვითარების საფეხურები. იმისათვის რომ, სასწავლო პროგრამა სწორად დაიგეგმოს, მასწავლებლებმა რეგულარულად უნდა გადახედონ სოლმე განვითარების სქემას.

როდესაც საკლასო მუშაობა არ შეესატყვისება განვითარების დონეს, ბავშვები გულგატეხასა და იმედიგაცრუებას განიცდიან. "ნაბიჯ-ნაბიჯ" პროგრამა მიზნად ისახავს ბავშვებმა წარმატების სიამოვნება განიცადონ და არა გულგატეხა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლებმა ყველაფერი როდი უნდა გაუადვილონ ბავშვებს. პირიქით, ბავშვებს დასაძლევი, მაგრამ რთული ამოცანები უნდა დაუსახოთ რათა, ინტერესი არ გაუნელდეთ.

ინდივიდუალური შესატყვისობა.

ყოველ ბავშვს განვითარების და წინსვლის ინდივიდუალური გზა და ტემპი აქვს. თუმცა, ყოველი ბავშვის პიროვნული თვისებები, ათვისების უნარი და საოჯახო პირობები განსხვავებული და განუმეორებელია. აქედან გამომდინარე, სასწავლო პროგრამაც და უფროსების დამოკიდებულებაც ყოველ ბავშვთან მისი ინდივიდუალური მონაცემების შესატყვისად უნდა განისაზღვროს. ყოველი ბავშვის ცოდნა ძველი გამოცდილებისა და ახალ საგნებთან, ცნებებთან და ადამიანებთან ურთიერთობათა ჯამია. ამდენად ყოველი ახალი გამოცდილება ზუსტად უნდა შეესატყვისებოდეს ბავშვის განვითარების დონეს, ბავშვში ინტერესსა და შემეცნების უნარს აღვიძებდეს.

იმისათვის რომ საკლასო მუშაობა ყოველ ბავშვს ინდივიდუალურად შეესატყვისებოდეს, აღმზრდელთა ჯგუფმა თითოეული ბავშვი კარგად უნდა შეისწავლოს, უნდა განისაზღვროს ბავშვის მონაცემები, სუსტი და ძლიერი მხარეები, საჭიროებანი, ინტერესები, ტემპერამენტი და ამის შესაბამისად დადგინდეს სწავლების მეთოდი. აგრეთვე, საჭიროა, ყოველი აქტივობის ცენტრის პოტენციურ შესაძლებლობათა კარგად ცოდნა.

ის ბავშვები, რომლებიც თავისი განვითარების დონისა და შესაძლებლობების შესაბამისად საქმიანობენ, თავს მუდამ კარგად გრძნობენ. ახალი საგნების დაუფლებისა და შესწავლისაკენ ისწრაფვიან. ხოლო ის ბავშვები, რომლებსაც განვითარების დონისათვის შეუფერებელ, ზედმეტად რთულ ან მარტივ მოთხოვნებს ვუყენებთ, როგორც წესი, ინტერესს მალე კარგავენ, იღლებიან, ბეზრდებათ და გული უცრუვდებათ.

ინდივიდუალიზაცია თამაშის პროცესში

თამაში ყველა გონივრულად დაგეგმილი საბავშვო პროგრამის სული და გულია. მეცნიერული გამოკვლევები ცხადყოფს, რომ თამაშს ბავშვების ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია (ჯონსონი, კრისტი, იოკი, 1987) თამაში და განვითარება თანხვედრი პროცესია, ამდენად, გარემო ბავშვებისათვის ისე უნდა დაიგეგმოს, მათ საკმარისი დრო ჰქონდეთ თავისუფალი თამაშისათვის. თამაშის მრავალი სახეობა არსებობს: მარტო თამაში სათამაშოებით ან საგნებით, არაორგანიზებული თამაში ორ ბავშვს შორის, ჯგუფური წარმოდგენების გამართვა თოჯინებით, ორგანიზებულ ჯგუფური თამაში უფრო მოზრდილი ბავშვებისათვის და სხვა. სპეციალისტებს მიაჩნიათ:

> "თამაში აუცილებელია ბავშვების შემეცნებითი და მოტორული განვითარებისათვის, სწორედ თამაშის საშუალებით ერკვევიან ბავშვები სოციალურ სამყაროში და იქ თავის ადგილს აგნებენ. ბავშვებს სოციალური ჩვევები თანატოლებთან თამაშში უვუთარდებათ-ეუფლებიან ქცევისა და ურთიერთობის წესებს, წარმოდგენა ექმნებათ სამართლიანობასა და უსამართლობაზე, ბავშვებთან ურთიერთობისას გამოიცდებიან და უყალიბდებათ თვითშეფასების გრძნობა. მოკლედ, ბავშვი სხვა ბავშვებთან თამაშში ვითარდებინ ფიზიკურად, პიროვნულად და ინტელექტუალურად. "(ფროსტი და ჯაკობსი, 1995, გვ, 47)

"ნაბიჯ-ნაბიჯ" პროგრამა ითვალისწინებს თამაშის უაღრესად დიდ მნიშვნელობას ბავშვის განვითარებაში. აღმზრდელობითი ჯგუფი ცდილობს თამაშისათვის მიმზიდველი გარემო შექმნას კლასებშიც და კლასების გარეთაც. ყოველი აქტივობის ცენტრების მუშაობა ისეა დაგეგმილი, რომ ყოველი საქმიანობა ზუსტად შეესაბამებოდეს თითოეული ბავშვის ნიჭსა და უნარს, ინტერესებს, ოჯახურ პირობებსა და საერთო განვითარების დონეს. ამდენად, ყოველი აქტივობის ცენტრი ერთგვარი ლაბორატორიაც არის ბავშვის ინიციატივის, ნიჭისა და წარმოსახვის უნარის გამოსამჟღავნებლად.

აქტივობის ცენტრების თემატიკა განსაზღვრავს კლასის მოწყობილობასა და გარემოს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი კონკრეტული ცენტრი არ ზღუდავს ახალი აქტივობის დამატებასა და ჩართვას მუშაობის პროცესში. მაგალითად, თოჯინებს ბავშვები ხელოვნების ცენტრში ამზადებენ, მაგრამ იგივე თოჯინები შეიძლება გამოვიყენოთ კუბურების ცენტრში მუშაობისას, როდესაც ბავშვები კუბურებით თეატრალურ სცენას აშენებენ, ანდა დრამწრეში, სადაც თოჯინების თეატრს აწყობენ. მასალის ამგვარი თავისუფალი გამოყენება კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ პროგრამის შინაარსი ძირითადად ბავშვების ინტერესებზეა დამოკიდებული.

დღის განრიგში საგანგებო დროა გამოყოფილი იმისათვის, რომ ბავშვი გაერკვეს და დამოუკიდებლად აირჩიოს, რომელ ცენტრში სურს მუშაობა. ბავშვები არ არიან ჩვეულნი ამგვარი მრავალფეროვანი გარემოსა და აღჭურვილობის ხილვას, ამიტომაც თავიდან ცენტრიდან ცენტრში სირბილის სურვილი უჩნდებათ, მაგრამ დროთა განმავლობაში ისინი თავისი ინტერესების შესაბამის ცენტრს ირჩევენ. თამაშიც და მუშაობაც უშუალო და

თავისუფალი უნდა იყოს ამიტომაც ბავშვებს სურვილისამებრ შეუძლიათ ცენტრიდან ცენტრში გადასვლა.

იმისათვის რომ ბავშვები გარკვეული მიმართულებით განვითარდნენ, უფროსებმა ისეთი თამაშები უნდა დაგეგმონ, რომლებიც მათ შემეცნებით და ემოციურ განვითარებას შეუწყობს ხელს. ბავშვთა ფსიქოლოგ სტენლი გრინსპენს, რომელიც წლების მანძილზე იკვლევდა ბავშვთა ემოციურ მოთხოვნილებებს, მიაჩნია, რომ მშობლებმაც და მასწავლებლებმაც საგანგებოდ უნდა შეარჩიონ დრო, როდესაც შეეძლებათ ბავშვებთან ერთად იატაკზე ითამაშონ (გრინსპენი, 1989). იატაკზე ბავშვის გვერდით მოკალათებულ უფროსს საშუალება ეძლევა, ნამდვილი ბავშვივით ჩაერთოს თამაშში. ისე უხელმძღვანელოს თამაშის მსვლელობას, რომ ბავშვებმა დამოუკიდებლად წარმართონ თამაშები.

ცენტრში თავმოყრილი მასალები ბავშვში სტიმულს აღძრავს ყველა შეგრძნება ჩართოს თამაშის პროცესში. ექსპერიმენტების, ცდის, კვლევისა და აღმოჩენების შედეგად, ბავშვები თავად აგნებენ პასუხებს საკუთარ კითხვებზე, დამოუკიდებლად მოიპოვებენ ინფორმაციას.

სწორედ აქედან იწყება არჩევანის, პრობლემის დასმისა და გადაწყვეტის უნართა ჩამოყალიბება, კრიტიკული აზროვნების განვითარება, თვალსაწიერის გაფართოვება.

ყოველი ცენტრიდან ზუზუნი და ხმაური მოისმის, რადგან ბავშვები თანატოლებთან ურთიერთობენ. როგორც აღვნიშნეთ, ბავშვი სხვებთან ურთიერთობაში იძენს სოციალურ ჩვევებს. თამაშის პროცესში ბავშვებს უვარჯიშდებათ დიდი და მცირე კუნთები, მზერისა დ მოქმედების კოორდინაცია.

მასწავლებელს ბავშვსა და გარესამყაროს შორის შუამავლის როლი აკისრია. მასწავლებელთა მოვალეობაა განავრცონ და უფრო საინტერესო გახადონ თამაშისა და მუშობის პროცესი. ისინი ბავშვებს ისეთ შეკითხვებს უსვამენ, რომლებიც უფრო ინტენსიურ აზროვნებას მოითხოვს. მათ კარგად იციან, როდის უნდა მიაწოდონ ბავშვს ახალი შესატყვისი ინფორმაცია, როგორ დაეხმარონ წინააღმდეგობათა დაძლევაში, როდის შესთავაზონ ახალი თუ დამატებითი მასალა ან, როდის დაგეგმონ ისეთი ექსკურსიები, რომლებიც ბავშვებს კიდევ უფრო გაუძლიერებს ინტერესს გარკვეული თემისადმი. ის მასწავლებლები, რომელთაც უყვართ და შეუძლიათ თამაში, უკეთეს სათამაშო გარემოს ქმნიან.

თეორიის პრაქტიკულად განხორციელება

ბავშვზე ორიენტირებული ჯგუფების შექმნა ორ ძირითად პრინციპს ეფუძნება:

1. ბავშვები თავად იძენენ ცოდნას, გარე სამყაროსთან ურთიერთობის პროცესში გამოცდილების დაგროვების გზით.

2. მასწავლებლები ხელს უწყობენ ბავშვის წინსვლასა და განვითარებას მისი ინტერესების, საჭიროებების, მოთხოვნილებებისა და ნიჭის შესატყვისი სასწავლო პროგრამის განხორციელებით.

საკლასო ოთახი ერთგვარ ლაბორატორიას წარმოადგენს, სადაც ბავშვი მრავალ ცდას ატარებს. იგი ხან მკვლევარია და მეცნიერი, ხან მხატვარი. სწორედ მასწავლებელმა უნდა აქციოს საკლასო ოთახი ლაბორატორიად და თავი მოუყაროს იმ მასალას, რომელიც ბავშვის შემოქმედებით უნარს გამოამჟღავნებს და თან საშუალებას მისცემს დამოუ-

კიდებლად აღმოაჩინოს, იკვლიოს და გადაწყვიტოს პრობლემები.

მასწავლებლები იმდენად აფასებენ ბავშვის იდეებს, რომ სწორედ ამ იდეების საფუძველზე ადგენენ სასწავლო პროგრამას. მასწავლებლები ბავშვთა მუშაობისა და თამაშის პროცესის თანამონაწილეები არიან. ისინი მაგალითს აძლევენ ბავშვებს და ამგვარად ასწავლიან სოციალურ ჩვევებს, მაგალითად, როგორ უნდა დაეხმარო სხვას, როგორ უნდა იზრუნო მოყვასზე და ა. შ. აქტივობის ცენტრებში მუშაობისას მასწავლებლები გულდასმით უსმენენ ბავშვებს, აკვირდებინ, იწერენ შენიშვნებს და შემდგომ შესაბამის დასკვნებს აკეთებენ. სწორედ ამ დასკვნების საფუძველზე ადგენენ სამუშაო გეგმებს და ეძიებენ ყოველ ბავშვთან ინდივიდუალური მუშაობის ხერხებს. ასეთ პირობებში, ანუ მაშინ, როდესაც მასწავლებლები ცდილობენ ბაეშვებმა ინტერესების შესაბამისად იმუშაონ, თავად ბავშვებს საკუთარი თავის რწმენა და თვით-ინიციატივა უვითარდებათ.

მასწავლებელს შემოაქვს კლასში განწყობილება. იგი თავად არის იმ თვისებების განსახიერება, რომელთა აღზრდაც მოსწავლეებში სურს. ეს თვისებებია: გულისყური, ზრუნვა, ენთუზიაზმი, ცოდნიმოყვარეობა. მასწავლებელს არც ის უნდა დაავიწყდეს, რომ გართობაც საჭიროა. ძნელად თუ რამე შეედრება იმ სიხარულს, რომელსაც ბავშვი განიცდის, როდესაც ის მასწავლებელთან ერთად თხზავს მოთხრობას, ან უბრალოდ, ხუმრობს. ხალისიან მასწავლებელს სწავლის პროცესში სიცოცხლე და აღტაცება შეაქვს, ხოლო ცივი, მკაცრი მასწავლებელი ხშირად აფრთხობს ბავშვს და მის განვითარებას აფერხებს.

მასწავლებლები და მოსწავლეები ერთობლივად წარმართავენ სწავლების პროცესსაც და თამაშსაც. თავიდანვე ინაწილებენ როლებს. იციან, ვინ რას უნდა უხელმძღვანელოს, ვინ უნდა დასვას შეკითხვა და ვინ უპასუხოს. მასწაელებელი ბაეშვებს აქეზებს თავად უხელმძღვანელონ სასწავლო პროცესს.

სწორედ მასწავლებელი ქმნის კლასში განწყობილებას. იგი თავად არის იმ თვისებების განსახიერება, რომელთა აღზრდაც სურს მოსწავლეებში. ეს თვისებებია: გულისყური, სიყვარული, მზრუნველობა, ენთუზიაზმი, ცოდნისმოყვარეობა. მასწავლებელმა არ უნდა დაივიწყოს, რომ გართობა და ხალისი მუშაობისას აუცილებელია. ძნელად თუ რამე შეედრება იმ სიხარულს, რომელსაც ბავშვი განიცდის, როდესაც იგი მასწავლებელთან ერთად მოთხრობას თხზავს, ხუმრობს, ოხუნჯობს ან თავის ინტერესებზე მსჯელობს.

მხიარულ, გულითად მასწავლებელს სიცოცხლე შეაქვს სწავლის პროცესში და ბავშვის აღტაცებას იმსახურებს, ხალისდაკარგული და მკაცრი მასწავლებელი კი პირიქით, ბავშვსაც აფრთხობს და მისი მისწრაფებების განვითარებასაც აფერხებს.

ჩვენი პროგრამის მონაწილე მასწავლებლები და მოსწავლეები ერთობლივად წარმართავენ და ხელმძღვანელობენ მუშაობისა და გართობის პროცესებს. ისინი დელიკატურად ადგენენ ვინ რას უნდა უხელმძღვანელოს, ვისი რიგია, შეკითხვა დასვას ან უპასუხოს. მასწავლებლები აქეზებენ ბავშვებს თავად უხელმძღვანელონ საქმიანობას. ყოველი შემოქმედებითი წინადადება ქებასა და დაფასებას იმსახურებს. მასწავლებლები ბავშვის სასარგებლოდ იყენებენ მის მრავალფეროვან ინტერესებსა და თამაშის სიყვარულს. აქ ბავშვს მრავალი შესაძლებლობა ეძლევა უშუალო კონტაქტი დაამყაროს ადამიანებთან, საგნებთან, გარე რეალობასთან, რაც ხელს უწყობს მის ინტელექტუალურ წინსვლას.

ყოველი აქტივობის ცენტრი ბავშვს სწავლისათვის მრავალფეროვან არჩევანს თავაზობს. მართალია, აქტივობის თემატიკა და პროექტები მასწავლებლის მიერ იგეგმება, მაგრამ

უთუოდ ბავშვთა ინტერესებს ეყრდნობა და ზოგჯერ ამ ინტერესებიდან გამომდინარე სრულიად იცვლება.

ბავშვებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იმუშაონ იმ თემაზე ან პროექტზე, რომელიც მათ არ აინტერესებთ. სწორედ ამიტომ, საკლასო ოთახში არჩევანის მრავალი შესაძლებლობაა. როგორც აღვნიშნეთ, სხვადასხვა აქტივობის ცენტრებში სამუშაოდ განსხვავებულ მასალასა და საგნებს იყენებენ და ბავშვებს მუდამ აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ.

ბავშვზე ორიენტირებული ჯგუფები:

- ბავშვებს არჩევანის შესაძლებლიბა აქვთ
- ბავშვები აქტიურად თამაშობენ
- სამუშაო მასალის რაოდენობა არ არის შეზღუდული
- ბავშვები ერთად თამაშობენ და უყვართ ერთმანეთი
- ბავშვები პასუხისმგებლობით ეკიდებიან საქმეს

ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრამის მიზანია ყოველდღიური განრიგი წინასწარ იყოს განსაღვრული და ბავშვთა უსაფრთხოებას ითვალისწინებდეს. მასალა ბავშვთა განვითარების შესატყვისად უნდა შეირჩეს და მასალის რაოდენობა არ უნდა იყოს შეზღუდული. მასწავლებლები აკვირდებიან ბავშვების ურთიერთობას თანატოლებთან მათ დამოკიდებულებას სამუშაოს მიმართ, მათ დაინტერესებას მასალით და ამ დაკვირვების საფუძველზე განსაზღვრავენ ბავშვთა განვითარების საფეხურს და მათს მოთხოვნილებებს. ბავშვებს თავიდანვე აჩვევენ ერთმანეთისადმი პატივიცემას და სიყვარულს, რაც სკოლამდელი პროგრამის ამოსავალი წერტილია.

ამბავი ლა ვანგვითარების ლინის საბოლოძლვანელო პრინციპები

II მიზნები და განვითარების დონის სახელმძღვანელო პრინციპები

მიზნები და განვითარების დონის სახელმძღვანელო პრინციპები

ოცდამეერთე საუკუნის ბავშვები დღევანდელობისათვის წარმოუდგენელი ცვლილებების წინაშე აღმოჩნდებიან. სწრაფი გარდაქმნები ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს. პრეტექნოლოგიურ ეპოქაში შეძენილი უნარი და თვისებები მომავლის სამყაროში აღარ გამოადგებათ. სწრაფი და ფართომასშტაბიანი გარდაქმნები გამუდმებულ გონებრივ ადაპტაციას მოითხოვს. იმისათვის რომ ბავშვები მზად იყვნენ მომავლის ამოცანათა გადასაჭრელად, მათში უნდა აღვზარდოთ მისწრაფება, მთელი ცხოვრების მანძილზე ისწავლონ. ჩვენი პროგრამის მიხედვით, ძალზე მნიშვნელოვანია, თანამედროვე ბავშვებში მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის მისწრაფებას ჩაეყაროს საფუძველი. პროგრამა ისეა შედგენილი, რომ თვითოეული ბავშვი მომავალი ეპოქის აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბდეს.

მიზნები

"ნაბიჯ-ნაბიჯ" პროგრამის მთავარი მიზანია, თვითოეული ბავშვი ისე განვითარდეს, რომ შემდეგი თვისებები ჩამოუყალიბდეს:

- შემოქმედების, წარმოსახვის, გამომგონებლობის უნარი.
- კრიტიკული აზროვნება და არჩევანის გაკეთების უნარი.
- პრობლემის დასმისა და პრობლემის გადაწყვეტის უნარი.
- სიყვარული და მზრუნველობა საზოგადოებაზე, ქვეყანასა და გარემოზე.

ამ თვისებათა აღზრდისათვის "ნაბიჯ-ნაბიჯ" პროგრამა მიზნად ისახავს, ისეთი სასწავლო გარემოს შექმნას, რომლის ცენტრსაც ბავშვი წარმოადგენს. ეს პროგრამა ხელს უწყობს ბავშვებს დამოუკიდებლად შეიმეცნონ:

- ფიზიკური სამყარო – გაზომვის, აწონვის, კუბურებით მშენებლობის, ხეზე მუშაობის, ქვიშასა და წყალთან თამაშის, ბორბლების, თოკებისა და საღებავების მეშვეობით.

- სოციალური და კულტურული ინფორმაცია-თამაშის, კულინარიის, კითხვის, დრამატულ თამაშში და საზოგადოებრივ ღონისძიებებში მონაწილეობით.

- ლოგიკა და მათემატიკა – გაზომვის, შედარების, თვლის, გამოთვლის, ტოლი სიდიდეების აღმოჩენის, წესრიგის, თანმიმდევრობის, შერჩევისა და კლასიფიკაციის მეშვეობით.

- წერა-კითხვა და მეტყველება – კითხვის, წერის, ხატვის, კარნახის, მოსმენის და საკუთარ მოსაზრებათა გამოთქმის გზით.

იმდენად, რამდენადაც ჩვენი პროგრამის საფუძველი არის ბავშვის განვითარების თეორია, სასწავლო პროგრამა მთლიანად ბავშვზე არის ფოკუსირებული, ანუ ითვალისწინებს ბავშვის

განვითარების ყველა ასპექტს-ფიზიკურს, სოციალურს, ემოციურსა და შემეცნებითს. პროგრამა ხელს უწყობს:

- ფიზიკურ განვითარებას – მოძრაობის, ცოცვის, ჭრა-კერვის, ხატვის, წერისა და ჩაცმის საშულებით.

- სოციალურ-ემოციურ განვითარებას – კამათის, კონფლიქტების მოგვარების, გრძნობათა გამოხატვის, იმპულსების მართვის, სხვების მიმართ პატივისცემის, ზრუნვისა და ინიციატივის გამომჟღავნებით, გაძღოლისა და გაყოლის უნარის განვითარებით, საგნებისადმი ფაქიზი დამოკიდებულებისა და თანამშრომლობის უნარის გამომუშავებით.

- გონებრივ განვითარებას – პრობლემის გადაწყვეტის გზით, საგანთა კლასიფიკაციის, წესრიგისა და ლოგიკური აზროვნების გამომუშავების, აზროვნების ორგანიზაციის, განსჯის, აზრის გამოთქმის შესაძლებლობის განვითარებით.

"ნაბიჯ-ნაბიჯ" პროგრამა იზიარებს განვითარების თეორიის პრინციპებს, კონსტრუქციული სწავლების თვალსაზრისს და საგანმანათლებლო პროგრესულ კონცეფციებს. პროგრამის მესვეურთ სწამთ, რომ ბავშვებს:

- საკმარისი დრო აქვთ იმისათვის, რომ გარე სამყარო იკვლიონ.

- მრავალფეროვანი საშუალებები გააჩნიათ ცოდნის შესაძენად – კულინარია, წერა-კითხვა, კუბურებით თამაში, დრამატული თამაში, ჰაერზე თამაში, ქვიშასა და წყალთან, ხელოვნება, ხეზე მუშაობა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება.

- უზრუნველყოფილია მათი უსაფრთხოება, ანუ შეუძლიათ ცდების ჩატარება და საკუთარი აზრების კვლევა, შეცდომების დაშვება და კონფლიქტების მოგვარება.

- შესაძლებლობა აქვთ დამოუკიდებლად აირჩიონ, რისი გაკეთება სურთ. საშუალება აქვთ გამოფინონ საკუთარი ნამუშევრები.

ამ პროგრამის მიხედვით აღმზრდელთა ჯგუფს:

- კარგად ესმის ბავშვის განვითარების პრინციპები.
- საკმარისი დრო აქვს, დააკვირდეს ბავშვებს მუშაობისა და თამაშის პროცესში.
- ისახავს ჯგუფურ და ინდივიდუალურ ამოცანებს, ბავშვთა ინტერესებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე.
- ცდილობს მოაწყოს თავისუფალი, ხშირად ცვალებადი გარემო.
- პატივს სცემს ბავშვებს და აფასებს მათ მოსაზრებებს.
- ხელს უწყობს ბავშვებს, დამოუკიდებლად გაართვან თავი საკუთარ პრობლემებს და პატივი სცენ ერთმანეთს.
- ბავშვებს მიზნობრივ შეკითხვებს უსვამს, რაც მათი აზროვნების სტიმულაციას ახდენს.

ასაკის შესატყვისი ცვლილებები

მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ბავშვი ინდივიდუალურად ვითარდება, ბავშვები საერთოდ, განვითარების ცნობილი საფეხურების ან სტადიების მიხედვით ჯგუფდებიან. ყოველ სტადიაზე ბავშვი, თავისი ასაკის ბავშვებისათვის დამახასიათებელ საერთო თვისებებს ავლენს.

სამი წლის ასაკის ბავშვის ტიპიური თვისებები

სამიდან ოთხ წლამდე ასაკში ბავშვები ცელქები, მოყვარულები და ამავე დროს უხეშები არიან. ისინი იბრძვიან და ცდილობენ გარე სამყაროში გარკვევას. მათ ჯერ უჭირთ ფანტაზიასა და რეალობას შორის საზღვრის გავლება. თუმცა, ამ ასაკში ისინი უკვე იწყებენ გაცნობიერებას, რომ მათ ყოველ ქმედებას გარკვეული შედეგი მოსდევს და თავადვე სწავლობენ, როგორ დაუდონ ზღვარი ზოგიერთ საკუთარ ქცევას. ამ ასაკობრივი ჯგუფის ბავშვები წუთით თუ ძალზე მიმნდობნი და მოყვარულნი არიან, მეორე წუთში მომთხოვნები და მბრძანებლები ხდებიან.

სამი წლის ასაკში ბავშვს სწრაფად უვითარდება მეტყველება და ბავშვური ტიტინი რთული აღწერითი წინადადებებით იცვლება. ამ ასაკის ბავშვები ხშირად ხმამაღლა ესაუბრებიან საკუთარ თავს თამაშის ან რაღაც საქმიანობის პროცესში. ამ ასაკის ბავშვებს განსაკუთრ-

ებულად მოზღვავებული ენერგია აქვთ. მათი ყურადღება ჯერაც უნებური, ანუ გაფანტულია, ამიტომ ისინი სწრაფად გადადიან ხოლმე ერთი აქტივობიდან მეორეზე. მათი თამაში ერთდროულად პარალელურიც არის და სოციალურიც. ხშირად, მასწავლებელი პირველი უფროსი ადამიანია, ოჯახის წევრების გარდა, რომლის მიმართაც ბავშვს შეჩვევისა და სიყვარულის გრძნობა უვითარდება.

ოთხი წლის ასაკის ბავშვის ტიპიური თვისებები

ოთხიდან ხუთ წლამდე ასაკში ბავშვები ხშირად მზად არიან ახალი ამოცანებისა და დაბრკოლებების გადალახვისათვის. უმცროსი ასაკის ბავშვებისაგან განსხვავებით, ეს ჯგუფი რთულ, ერთობლივ თამაშებში მონაწილეობს. მათ უკვე შეუძლიათ გამოხატონ აღფრთოვანება და ისაუბრონ საკუთარ, თუ სხვათა გრძნობებზე. ამ ასაკში ბავშვები ცდილობენ ქცევის საზღვრების დარღვევას და უკვე შეუძლიათ გააცნობიერონ საკუთარი საქციელი. ისინი თვითონ სიამოვნებით იტყუებიან, მაგრამ ძალიან ბრაზდებიან, თუკი ტყუილში უფროსებს გამოიჭერენ. მიუხედავად იმისა, რომ ოთხი წლის ბავშვის ყურადღება გაფანტულია და ხანმოკლე, მათ მშვენივრად შეუძლიათ პრობლემის გადაწყვეტა და, თუკი რამე განსაკუთრებით აინტერესებთ, დიდი ხნით ყურადღების მოკრება შეუძლიათ. უფრო მეტიც, მათ შეუძლიათ ერთი აქტივობის განზოგადება და ამ ზოგადი სახის მეორე აქტივობაში გადატანა.

ამ ასაკში ბავშვები ძალიან დიდ ინტერესს ამჟღავნებენ საკუთარ და სხვათა სხეულისადმი და შესაძლოა, ამ ინტერესისგან გამომდინარე, ჭრილობაც კი მიაყენონ საკუთარ თავს, ან დაშავდნენ. მათ ახასიათებთ შიშები, კოშმარული სიზმრები.

ამ ასაკის ბავშვების მოტორული განვითარება ძალზე სწრაფად ხდება. მათ განუწყვეტლივ შეუძლიათ ფიზიკურად ივარჯიშონ. უსაზღვრო ენერგია აქვთ, მათი ლექსიკონი გაცილებით მდიდარია, ისინი წარმოთქვამენ სტრუქტურულად გამართულ, ჩამოყალიბებულ წინადადებებს და გრამატიკულ სირთულეებსაც კარგად ართმევენ თავს.

ხუთი წლის ბავშვების ტიპიური თვისებები

ბავშვი ხუთიდან ექვს წლამდე ასაკში ძალიან საყვარელია და ყოველნაირად ცდილობს ასიამოვნოს უფროსებს. ისინი ძალზე გულღია სოციალური არსებები არიან და ხშირად სამოთხ მეგობართან ერთად თამაშობენ. ამ ასაკში ბავშვები უპირატესობას თავისივე სქესის ამხანაგებს ანიჭებენ. მათ უკვე ჩამოყალიბებული აქვთ იუმორის გრძნობა, უყვართ სულელური ანეკდოტების გამოგონება და განუწყვეტლივ ოხუნჯობენ. უყვართ სხვადასხვა თამაშები, მაგრამ სურთ მუდამ თვითონ იყვნენ გამარჯვებულნი. ამიტომაც, ხშირად არღვევენ თამაშის წესებს თავის სასარგებლოდ.

ამ ასაკში მათ ხანგრძლივი დროით შეუძლიათ ყურადღების მოკრება, აგრეთვე ამ ასაკში ვითარდება კომპლექსური აზროვნება და პრობლემის გადაწყვეტის უნარი. ანუ ბავშვს შეუძლია კონკრეტულ დავალებას ჩაუღრმავდეს და ძალღონეს არ იშურებს, რომ შედეგი შეესაბამებოდეს მის მიერვე დადგენილ სტანდარტებს. ხუთი-ექვსი წლის ბავშვებს ძალიან უყვართ საკუთარი აზრების გამოთქმა და სიტყვებით თამაში. მათი მეტყველება საგრძნობლად არის გაუმჯობესებული. ისინი რთულ წინადადებებს ამბობენ, საუბრობენ, ხშირად, თავად ასწორებენ დაშვებულ გრამატიკულ შეცდომებს.

ამ ასაკის ბავშვები ძალზე მოძრავები არიან და უყვართ ტანვარჯიში და ორგანიზებული სპორტული თამაშობები. მათი მოტორული განვითარება გაცილებით მაღალ დონეს აღწევს. ისინი თვითონ იცმევენ ტანსაცმელს, ჭრიან, ხატავენ, წერენ. ამ ასაკში ბავშვებს უკვე ახსოვთ წარსული, ხშირად იხსენებენ ამბებს, რომლებიც მაშინ მოხდა, როდესაც ისინი "პატარები" იყვნენ.

ხუთიდან ექვსი წლის ასაკის ბავშვების ქცევა დათმობასა და ოპოზიციონერობას შორის მერყეობს. ისინი ზუსტები და კონკრეტულები არიან. უყვართ კონსტრუქციების აგება და თანამიმდევრულობა.

ნორმალური განვითარების სქემა

	მოტორული განვითარება. დიდი კუნთები	მცირე კუნთები	კოგნიტიური უნარ-ზვლები	ენა
24-36 თვე	კარგად დარბის. შეუძლია ორივე ფეხით ერთ ადგილზე ხტუნვა შეუძლია ფეხის წვერებზე სიარული. 4-6 კიბის საფეხურზე ადის ფეხების შენაცვლებით. მიტყუპებული ფეხებით ხტება 15 სანტიმეტრის სიმაღლეზე. შეუძლია ბურთის უკან გადაგდება.	შეუძლია წიგნის გადაფურცვლა. ფერადი ფანქრები უჭირავს თითებით და არა მუჭით. უპირატესობას ანიჭებს ერთ ხელს. შეუძლია წრის, ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზების გამოსახვა. პლასტელინისაგან აკეთებს ბურთებს.	სურათებზე ამოიცნობს საგნებს. იცის საგნების დანიშნულება. იგებს კითხვას "რა?" "სად?" ესმის "არა, არ, ვერ, არ შეიძლება" 10-15 წუთი უსმენს ზღაპარს და მოითხოვს მის გამეორებას. შეუძლია საგნების დაწყობა ზედაპირზე, ჩაწყობა და იატაკზე დალაგება	აერთებს სიტყვებს, ამბობს 2-4 სიტყვიან წინადადებებს. სვამს კითხვებს- "რა? სად?" შეუძლია უარყოფითი წინადადების ჩამოყალიბება. პასუხობს-"დიახ, არა, "კითხვებს სვამს-"ეს რა არის? ეს რისთვის არის?" მომთხოვნია. ხმარობს მრავლობითს.

	შიდაპირული განვითარება. დიდი კუნთები	მცირე კუნთები	კომუნიკაციის ენა-ჟესტები	შეცვლილება
36-48 თვე	გვერდს უელის დაბრკოლებებს. შეუძლია ერთ ფეხზე წონასწორობის და-ცვა 5-10 წამით. დახტის ერთ ფეხზე. ახერხებს ღილაკის ჩართვას და გამორთვას. დამოუკიდებ-ლად შეუძლია სასრიალოდან ჩამოსრიალება. იჭერს გადაგდებულ ბურთს. 4-6 საფეხურს ჩადის ფეხმონაცვლებით. მართავს სამთელი-ან ველოსიპედს.	9 კუბურისაგან აშენებს კოშკს. შეუძლია ჯვრის გამოსახვა. პლასტელინისაგან აკეთებს ბურთებს, წრეებს, გველებს, ნამცხვრებს. ორივე ხელს ერთდროულად ხმარ-ობს. შეუძლია კვერცხის სათქვეფის ხმარე-ბა, ჩართვა და გამორთვა. შეუძლია ტრაფარეტის შემოხაზვა. შეუძლია ფურცლის გაჭრა.	ესმის შემდეგი მიმართებები-"თუ-მაშინ", "იმიტომ, რომ" შეუძლია განახორციელოს ორი-სამი დაკავშირებული მოძრაობა. კარგად იცის, რასაც ნიშნავს-" აბა, წარმოვიდგინოთ, რომ. . . "	წარმოთქვამს 4-5 სიტყვიან წინადადებებს. იხსენებს წარ-სულს. იყენებს გრამატიკულ წარსულ დროს. იყენებს პირის ნაცვალსახელებს-მე, ჩემზე. შეუძლია, სულ ცოტა, ერთი ლექსის გამეორება, მღერის. გასაგებად ესაუბრება უცხოებს. ზოგიერთ ბგერებს ამახინჯებს. სვამს შეკითხვებს-"ვინ? რა? რატომ?" პასუხობს შეკითხვებს-"ვინ? რა? რატომ? როგორ?"

	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
70-72 თვე	შეუძლია დასურათებული წიგნიდან ამბის შეთხზვა, სურათის საკმაოდ ზუსტი აღწერა. ასახელებს (ერთიდან ათამდე) ყველა ციფრს და თითქმის ყველა ას-ოს. ითვლის, და უმატებს თორმეტამდე. ადვილად ხმარობს ჩაკლასო ნივთებს მაკრატელს, საღებავებს საჭიროებისდა მიხედვით. შეუძლია მიმატება გამოკლების ოპერაციების შესრულება ხუთი მოცემული საგნით. ანსხვავებს ცნებ-ებსრამდენიმე, ყველაზე უფრო, ყველა, პირველი, შუა, ბოლო.	შეუძლია საათის დაკავშირება დღის განრიგთან. კითხულობს ათ უბრალო სიტყვას. საგრძნობლად იზრდება ყურადღების კონცენტრაცია. სწავლობს და თამაშობს უფროსების ხელმძღვანელობით თუკი რამით არის დაინტერესებული, ყურადღება დიდხანს არ ეფანტება. ერკვევა აწმყო, წარსულსა და მომავალ დროებში. გააზრებულად ამბობს ასეთ წინადადებას: "შობა ორ კვირაში დადგება. " შეუძლია აგვიხს-ნას, რითი განსხვა-ვდება ან, რითია მსგავსი საგნები. შეუძლია ათნაჭრიანი კონსტრუქტორის აწყობა.	თავისუფლად იცმევს ტანსაცმელს. თავად იკრავს ზონრებს. დაუხმარებლად იხეხავს კბილებს. დაუხმარებლად გადადის ქუჩაზე. შეუძლია ბუტერბროდის დამოუკიდებლად მომზადება. დამოუკიდებლად ივარცხნის თმას.	დამოუკიდებლად უმეგობრდება ბავშვებს. რთულ სიტუაციებში დათმობებზე მიდის. შეუძლია შეჯიბრი თამაშის პროცესში. სხვა ბავშვებთან ერთად ადვილად ერთვება კოლექტიურ თამაშებში, სადაც საჭიროა საერთო გადაწყვეტილებების მიღება, როლების განაწილება, ზღაპრების დადგმა. აქებს, ეხმარება და მხარს უჭერს სხვა ბავშვებს. შეუძლია დადებითი წინადადებების ჩამოყალიბება და ადამიანის თვისებების დახასიათე-ბა. შეუძლია დამოუკიდებლად ითამაშოს 20 წუთი. შეუძლია ხუთი საკლასო დავალების თანმიმდევრულად შესრულება.

	შეუცნობითი უნარ-ჩვევები		თვითმოსახლეობა	სოციალური უნარ-ჩვევები
36-48 თვე	ასახელებს ოთხ ფერს. წინასწარ გამიზნულად ალაგებს კუბურებს ან წრეებს ზომების მიხედვით. შეუძლია ორი სამი ნაწილისაგან შედგენილი ნახატის დახატვა. სვამს შეკითხვებს ინფორმაციის მიღების მიზნით-რატომ და როგორ? იცის საკუთარი ასაკი.	შეუძლია სხეულის ექვსი ნაწილის ჩამოთვლა და მათი ფუნქციების დასახელება. ზომის, ფერისა და ფორმის მიხედვით ახარისხებს საგნებს. უკეთ აცნობიერებს საგნების დანიშნულოებას. (შეუძლია სათამაშო სახლში ავეჯი ოთახების შესაბამისად განალაგოს). სურათებზე ახარისხებს კატეგორიებს. აცნობიერებს განსხვავებას წარსულსა და აწმყოს შორის (მაგ, გუშინ პარკში წავედით, დღეს ბიბლიოთეკაში მივდივართ).	კარგად ასხამს წყალს პატარა ტოლჩიდან. ღილებს იხსნის და იკრავს. ხელებს დაუხმარებლად იბანს. დამოუკიდებლად დადის ტუალეტში. დამოუკიდებლად ჭამს და შეუძლია კოვზის, ჩანგლისა და ჭიქის გამოყენება. ფეხსაცმელსა და ჩექმებს დამოუკიდებლად იცვამს. დამოუკიდებლად ხსნის ონკანს და ისხამს წყალს. დამოუკიდებლად ალაგებს სათამაშოებს.	ამყარებს მეგობრულ, გულითად ურთიერთობას უფროსებთან და ბავშვებთან. სხვებს უნაწილებს სათამაშოებს, საგნებს, საჭმელს. იწყებს როლების თამაშს, ხანდახან, წარმოადგენს მთელ სცენებს. (მაგ. მოგზაურობა, სახლობანა). განასახიერებს ცხოველებს. სხვების კუთვნილი ნივთების აღებისას ნებართვას ითხოვს. მონაწილეობს მცირე ჯგუფურ აქტივობაში მასწავლებლის ხელმძღვანელობით 10-15 წუთის განმავლობაში. თამაშობს ორ-სამ ბავშვთან 15 წუთის განმავლობაში. შეუძლია სურვილის შეკავება 5 წუთით.

	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
48-60 თვე	შეუძლია სიტყვების რითმებად დაწყობა. (წყალი-ბალი. ტალახი-ბალახი) ხატავს ადამიანის სხეულის რვა ნაწილს-თავი, ტანი, ხელები, ფეხები. შეუძლია საკუთარ სხეულზე გვაჩვენოს დახატული ნაწილები. ხატავს, ასახე-ლებს და აღწერს ნაცნობ საგნებს.	იცის თავისი ქუჩა და ქალაქი. ყურადღების კონცენტრაცია უფრო ხანგრძლივია. სწავლობს მოსმენის, დაკვირვების და ცდის საშუალებით. ყურადღება ადვილად ეფანტება.	რბილ საკვებს ჭრის სადილის და-ნით. იკრავს ფეხსაცმლის ზონრებს. ტანსაცმელს იც-მევს დამოუკიდებ-ლად, უფროსის დაუხმარებლად. ცხვირს იხოცავს პირველი შეხსენებისთანავე. კბილებს იხეხავს უფროსის დახმარებით. შეუძლია ელვის შეკვრა.	თამაშობს მარტივ სამაგიდო თამაშებს. როლების განსახიერება უფრო რეალისტური ხდება. მეტი ყურადღება ექცევა დეტალებს, დროს, სივრცეს. დამოუკიდებლად აგვარებს პრობლემებს თანატოლებთან: დაქვემდებარების, დათმობის და მოლაპარაკე-ბის საშუალებით. შეუძლია ახლო წარსულში მომხდარი ამბების გადმოცემა.

	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
48-60 თვე	შეუძლია უკანა ნაბიჯით სიარული ფეხის წვერებზეც და ქუსლებზეც. ათჯერ ისე ხტება, რომ წონასწორო-ბას არ კარგავს. ერთი ხელით ისვრის მძიმე ბურთს 4-6 ფუტის მანძილ-ზე. იჭერს სამი ფუტიდან ნასროლ ჩოგ-ბურთის ბურთს. კარგად სმარობს წებოს.	სიგრძეზე სწორად ჭრის ფურცელს. შეუძლია წრის გადახატვა. შეუძლია ოთკუთხედის გადახატვა. შეუძლია რამდენიმე ასოს დაბეჭდვა. თამაშისას იყენებს თითებს. ნახატს ამსგავ-სებს. აცნობიერებს მოვლენათა თანმიმდევრობას. მაგ, "ჩვენ ჯერ მაღაზიაში უნდა წავიდეთ, შემდეგ ნამცხვარს გამოვაცხობთ და ხვალ შევჭამთ".	შეუძლია თანმიმდევრულად შეასრულოს ერთმანეთთან დაუკავშირებელი სამი დავალება. არჩევს ზედსართავის შედარებით და აღმატებით ხარისხებს, "ლამაზი-უფრო ლამაზი-ულამაზესი. " თამაშისას ემორჩილება მითითებებს. არჩევს-ზევით, ქვევით, მაღლა, დაბლა.	სვამს შეკითხვებს-როდის? როგორ? რატომ? აერთებს წინადადებებს, მაგ, "მე მიყვარს შოკოლადის ნამცხვარი და რძე. " საუბრობს მიზეზ-შედეგობრიობაზე და იყენებს-"იმიტომ, რომ. . . " იყენებს არაწე-სიერ ზმნებს და არსებით სახე-ლებს. განსაზღვრავს ნაცნობ არსებით სახელებს. აცნობიერებს მეტ-ყველების მრავალ-გვარ ფურქციას: ინფორმაციის მოპოვება, ინფორმაციის გადაცემა, ემოციის გამოხატვა, აზრების გამოხატ-ვა.

	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
60-72 თვე	წონასწორობას არ კარგავს ბოგირზე გაელისას, წინ, უკან, გვერდულად. შეუძლია ორი მეტრის სიგრძეზე გადახტომა. თამაშობს სახტუნაოთი. დამოუკიდებლად ქანაობს საქანელაზე. შეუძლია რთული მოქმედებების შესრულება ბურთით, ფეხით და ხელით აკენწვლა, ჩაგდ-ება, მიზანში სრო-ლა.	შეუძლია უბრალო ფიგურების გამოჭრა. შეუძლია სამკუთხედის გადახატვა. ბეჭდავს თავის სახელს. წერს რიცხვებს ერთიდან ათამდე. აფერადებს. უფროსებივით უჭირავს ფანქარი. ამკარად არის გამოხატული, არის ცაცია თუ არა.		მცირე განსხვავებაღა იგრძნობა ბავშვისა და უფროსის გრამატიკაში. ჯერ კიდევ სჭირდება ქვემდებარე შემასმენლის შეთანხმებისა და ზმნის წარსული დროების სწავლა. საუბარს არ აწყვეტინებს სხვებს და ელოდება თავის რიგს. კარგად ურთიერთობს ოჯახთან, მეგობრებთან, ამხანაგებთან. პასუხობს შეკითხვებს ჯგუფური აქტივობის დროს 10-15 წუთი. თხზავს და წარმოადგენს ამბებს.

	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
48-60 თვე	შეუძლია ოთხი ანალოგის ურთიერთდაკავშირება. (ყინული ცივია, ცეცხლი-ცხელია) ამზადებს რეალისტურ წინაპირობას ამბის ან მოთხრობისათვის. ასახელებს რამდენიმე ასოსა და რიცხვს.	დროის შეგრძნება ისე აქვს განვითარებული, რომ უკვე შეუძლია თქვას, რა მოხდა გუშინ, ერთი კვი-რის წინ, დიდი ხნის წინათ, დღეს და რა მოხდება ხვალ. ზუსტად აღნიშნავს საგნების რიცხვს ერთიდან ხუთამდე. შეუძლია სამი ძირითადი ფაქტი ამოკრიბოს მოთხრობიდან და შინაარსი გადმოსცეს.	ასრულებს ერთ საკლასო დავალებას პირველი შეხსენებისთანავე. დამოუკიდებლად იღებს ან აბრუნ-ებს დავალების შესრულებისათვის საჭირო ნივთებს და მასალას.	შეუძლია დაასახელოს მიზეზები თავისი თანატოლე-ბის გრძნობების აღწერისას. ცდილობს დამოუკიდებლად შეასრულოს განვითარე-ბის შესაბამისი მოქმედება. ფრთხილად ეპ-ყრობა სხვების ნივთებს. პირველივე შენიშვნისთანავე წყვეტს ცუდ ქცევას.

	შეიცნობითი უნარ-ჩვევები	ფინანსურები	სოციალური უნარ-ჩვევები
70-72 თვე	შეუძლია დასურათებული წიგნიდან ამბის შეთხზვა, სურათის საკმაოდ ზუსტი აღწერა. ასახელებს (ერთიდან ათამდე) ყველა ციფრს და თითქმის ყველა ასოს. ითვლის, და უმატებს თორმეტამდე. ადვილად ხმარობს საკლასო ნივთებს მაკრატელს, საღებავებს საჭიროებისდა მიხედვით. შეუძლია მიმატება გამოკლების ოპერაციების შესრულება ხუთი მოცემული საგნით. ანსხვავებს ცნებებს-რამდენიმე, ყველაზე უფრო, ყველა, პირველი, შუა, ბოლო.	შეუძლია საათის დაკავშირება დღის განრიგთან. კითხულობს ათ უბრალო სიტყვას. საგრძნობლად იზრდება ყურადღების კონცენტრაცია. სწავლობს და თამაშობს უფროსების ხელმძღვანელობით თუკი რამით არის დაინტერესებული, ყურადღება დიდხანს არ ეფანტება. ერკვევა აწმყო, წარსულსა და მომავალ დროებში. გააზრებულად ამბობს ასეთ წინადადებას: "შობა ორ კვირაში დადგება. " შეუძლია აგვიხსნას, რითი განსხვავდება ან, რითია მსგავსი საგნები. შეუძლია ათნაჭრიანი კონსტრუქტორის აწყობა.	თავისუფლად იცმევს ტანსაცმელს. თავად იკრავს ზონრებს. დაუხმარებლად იხეხავს კბილებს. დაუხმარებლად გადადის ქუჩაზე. შეუძლია ბუტერბროდის დამოუკიდებლად მომზადება. დამოუკიდებლად ივარცხნის თმას.	დამოუკიდებლად უმეგობრდება ბავშვებს. რთულ სიტუაციებში დათმობებზე მიდის. შეუძლია შეჯიბრი თამაშის პროცესში. სხვა ბავშვებთან ერთად ადვილად ერთვება კოლექტიურ თამაშებში, სადაც საჭიროა საერთო გადაწყვეტილებების მიღება, როლების განაწილება, ზღაპრების დადგმა. აქებს, ეხმარება და მხარს უჭერს სხვა ბავშვებს. შეუძლია დადებითი წინადადებების ჩამოყალიბება და ადამიანის თვისებების დახასიათება. შეუძლია დამოუკიდებლად ითამაშოს 20 წუთი. შეუძლია ხუთი საკლასო დავალების თანმიმდევრულად შესრულება.

ჭაოქაზე ოთიერცეიერქყლი
ჩნაოლერა

ნაწილი II

ქუჩაში ერთად

III მშობელთა მონაწილეობის ხელშეწყობა

არსი

პატარა ბავშვები ოჯახზე დამოკიდებულნი არიან შემდეგნაირად:

- ფიზიკურად-რაც გულისხმობს, კვებას, სახლ-კარს, ჩაცმას, ჯანმრთელობას.
- ემოციურად-რაც გულისხმობს: სიყვარულს, ურთიერთობას, მკაცრ შენიშვნებს, მოფერებას, ავისა და კარგის გარჩევის მიზნით.
- განვითარებით-რაც გულისხმობს: ურთიერთობას, ხოხვას, ცოცვას, სირბილს, სიარულს, თამაშს და სხვა საყოფაცხოვრებო ჩვევათა გამომუშავებას.

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ყველა პროფესიონალი ოჯახს უმთავრეს მნიშვნელობას ანიჭებს და უფრო მეტიც, ოჯახს ბავშვის პირველ მასწავლებელს უწოდებს. სკოლამდელი განათლების დაწყებამდე მშობლები ბავშვს უამრავ რამეს ასწავლიან. იქიდან დაწყებული, როგორ უნდა დალიოს ჭიქიდან, როგორ ისროლოს ბურთი, როგორ ისიამოვნოს ზღაპრების წაკითხვისას. ბაღი პირდაპირ კავშირს ამყარებს მშობლებთან და ყველანაირად ხელს უწყობს მათ პროგრამის ყველა ასპექტში მონაწილეობას.

პროგრამა "ნაბიჯ-ნაბიჯ" მიიჩნევს, რომ მშობელთა მონაწილეობა ბავშვის აღზრდისა და განვითარების პროცესში საშუალებას იძლევა საკლასო სწავლება ისე გაფართოვდეს, რომ ბავშვის მიერ შინ გამომჟღავნებულ ინტერესებს მიესადაგოს. ამგვარი ორმხრივობა სახლსა და სკოლას შორის კარგად ასახავს ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთდახმარების პრინციპებს, რომელთა მხარდაჭერაც ამ პროგრამის მიზანია. მშობელთა საბავშვო პროგრამებში მონაწილეობას მხარს უჭერს ფსიქოლოგი იური ბრონფენბრენერი (1975), რომელიც მიიჩნევს, რომ "... პროგრამები, რომლებიც მშობლების მონაწილეობას ბავშვთა აღზრდა განვითარებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ, ძირითადად მათ ასაკობრივ თავისებურებებს ითვალისწინებს, მაგრამ რაც უფრო ადრეულ ასაკში იწყება ბავშვის აღზრდა-განვითარებაზე ზრუნვა, რაც უფრო დიდხანს გრძელდება ეს პროცესი, მით უფრო სასარგებლოა ეს თავად ბავშვისათვის..." (გვ. 465)

მშობელთა გავლენა ადრეული ასაკის ბავშვის განვითარებაზე უდაო ფაქტია. ბავშვები საკუთარ ოჯახებში იზრდებიან და მათზე ოჯახის პირობები უდიდეს ზემოქმედებას ახდენს. მათ ცხოვრებაში სწორედ მშობლები არიან ის ადამიანები, რომლებიც მათზე ზრუნავენ, ასწავლიან და, მათ ნაცვლად გადაწყვეტილებებს იღებენ. ადრეული ასაკის ბავშვთა აღმზრდელებმა და მასწავლებლებმა კარგად უნდა გააცნობიერონ ეს ფაქტი და ხელი შეუწყონ ბავშვსა და მშობელს შორის ჩამოყალიბებული, პირველადი დამოკიდებულების გაღრმავებას. (ჯონსტონი. 1982, გვ. 51)

ოჯახები მრავალგვარია. ოჯახი შეიძლება იყოს პატარა ან დიდი. შესაძლოა, ოჯახში იყვნენ და-ძმა, ანდა ოჯახში მხოლოდ დედისერთა ბავშვი იზრდებოდეს. ბავშვი შეიძლება იყოს ნაშვილები, შესაძლებელია, მას ნათესავები ზრდიდდნენ. ზოგჯერ ბავშვს ძალზე ახლო ურთიერთობა აქვს ბიძებთან, დეიდებთან, ბებიებთან, პაპებთან, ოჯახის მეგობრებთან და

ა. შ. ამიტომაც პროგრამაში გათვალისწინებულია იმ პირებთან ურთიერთობის დამყარება, რომელთაც გარკვეული ზეგავლენა აქვთ ბავშვის ცხოვრებაზე.

პროგრამა "ნაბიჯ-ნაბიჯ" ახლო კონტაქტებს ამყარებს ყველა იმ უფროსთან, რომელიც გარს ახვევია ამ პროგრამში ჩართულ ბავშვს.

მიუხედავად იმისა, რომ ოჯახს ცენტრალური ადგილი უჭირავს ბავშვის ცხოვრებაში, ბავშვები მაინც ძალზე საჭიროებენ პროგრამის მონაწილეთა და, საერთოდ, საზოგადოების მხრიდან ხელის შეწყობას. ოჯახი გადამწყვეტ როლს თამაშობს ჯანსაღი, ღონიერი და მოყვარული ბავშვების აღზრდაში. თუმცა, ჩვენი აზრით, ვერც ერთი ოჯახი ვერ განახორციელებს ამ ფუნქციებს ისე, როგორც საჭიროა, თუკი არ ექნება მხარდაჭერა საზოგადოების მხრიდან, რომელიც ოფიციალურად თუ არაოფიციალურად გაუწევს დახმარებას. (ჰობსი, 1984, გვ. 46). პროგრამის მიხედვით, იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ ბავშვთა წინსვლასა და განვითარებას, უნდა ვიცოდეთ ის ინტერესები, პრობლემები, პრიორიტეტები, რაც აწუხებთ ბავშვებს, მშობლებს და მთელ საზოგადოებას.

რა სარგებლობა მოაქვს მშობელთა მონაწილეობას აღზრდა-განათლების პროცესში

მშობელთა მონაწილეობა ბავშვთა აღზრდა-განათლების პროგრამაში სასარგებლოა ბავშვებისთვის, მშობლებისთვის და პროგრამისთვის. ჩვენ ქვემოთ ჩამოვაყალიბებთ, თუ რა სარგებლობა მოაქვს მშობელთა ჩართვას აღზრდა-განათლების პროცესში, პროგრამის ყველა მონაწილისათვის.

ემოციურად ყველას საშუალება აქვს:

- კარგად იგრძნოს თავი.
- ნაყოფიერად იშრომოს.
- იყოს ენერგიული.
- ჰქონდეს ძალა თავი გაართვას ცხოვრებისეულ პრობლემებს.
- იყოს მხიარული და ლაღი.
- იგრძნოს, რომ ეხმარება ვიღაცას, ან რაღაცას.
- იგრძნოს, რომ ჯგუფის წევრია.

ფიზიკურად:

- ყველას უვითარდება ახალი უნარი-ჩვევა
- ყველას ავიწყდება საკუთარი პრობლემები.
- ყველა ერთობა და იცინის.
- ყველა ისვენებს.
- ყველა ეცნობა ახალ ადამიანებს.
- ყველა ადვილად უმკლავდება სტრესს.

დამოკიდებულებები

მასწავლებლებსაც და ოჯახის წევრებსაც კარგად ახსოვთ სკოლის წლები, რაც ხელს

შეუწყობთ სწორი დამოკიდებულება გამოიმუშავონ, ოჯახის სასწავლო პროცესში მონაწილეობის საკითხში. მრავალ ქვეყანაში სკოლა და ოჯახი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობს. მშობლები ბავშვებს სკოლის კართან ტოვებენ და წარმოდგენა არა აქვთ, რა ხდება კარს მიღმა. მასწავლებლები მიჩვეულნი არიან, რომ სასწავლო პროცესის განმავლობაში, ბავშვები მათ განკარგულებაში არიან და თავის მხრივ, არაფერში არ რევენ ოჯახებს. იმ ქვეყნებში, სადაც ამგვარი ტრადიციაა დამკვიდრებული, მშობლების აქტიური მონაწილეობის შემოღება სასწავლო პროცესში, სრული სიახლე იქნება. არც მასწავლებლებს და არც მშობლებს არ ეცოდინებათ, როგორ უნდა იურთიერთონ-გაცვალონ ინფორმაცია, შეიმუშავონ ერთობლივი გეგმა, ან კლასში ერთად როგორ უნდა იმუშავონ. მათთვის ძნელი დასაძლევი იქნება ეს სიახლე და გაუჭირდებათ ახალ მოთხოვნებთან შეგუება. ამგვარ ვითარებაში რთული იქნება ოჯახების მონაწილეობის სიკეთის დემონსტრირება და დამტკიცება მასწავლებლებისთვისაც და მშობლებისთვისაც.

თვით იმ სასწავლო პროგრამის მასწავლებლებიც კი, რომელთაც ტრადიციულად ახლო ურთიერთობა აქვთ მშობლებთან, ხშირად შიშით ხვდებიან მშობელთა აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესში და მათ გაკვეთილებზე დასწრებას. მასწავლებლები თავს ხშირად უხერხულად გრძნობენ, ყველანაირად ცდილობენ, "სრულყოფილად" ჩაატარონ გაკვეთილი, ღელავენ, რომ შეცდომა არ დაუშვან, ან ცუდად არ წარმართონ სამუშაო საათები. თავის მხრივ, მშობლებიც, განსაკუთრებით კი ისინი, ვისაც ცუდად ახსენდება თავისი სკოლა და მასწავლებლები, ხშირად ადგილს ვერ პოულობენ კლასში. მათ უჭირთ ხოლმე საკუთარი შენიშვნების და მოსაზრებების ხმამაღლა გამოთქმა. ზოგიერთი მშობელი კი, პირიქით, ყველანაირად ხელს უწყობს მასწავლებელს სკოლამდელი ასაკისთვის განკუთვნილი სამუშაოების ჩატარებაში.

ორმხრივი პასუხისმგებლობა

მასწავლებლები და მშობლები ერთად მუშაობით ინაწილებენ პასუხისმგებლობას და თანამშრომლურ ურთიერთობას აღწევენ. კონტაქტი, ურთიერთპატივისცემა, განსხვავებული აზრის დაფასება და ბავშვთა ინტერესების წინ წამოწევა, მყარ საფუძველს ქმნის კეთილგანწყობისა და კარგი ურთიერთდამოკიდებულებისათვის. არ არის საკმარისი პედაგოგიური კოლექტივისა და ოჯახის მიმართ ახალი დამოკიდებულების შემუშავება. ხშირად თავად მასწავლებლებმაც და მშობლებმაც ახალი ჩვევები უნდა გამოიმუშავონ, რომ მათი თანამშრომლობა მაღალ დონეზე წარიმართოს.

თანამშრომლობის შესაძლებლობები

მშობლებსა და ოჯახის წევრებს პროგრამაში მონაწილეობის მრავალი შესაძლებლობა ეძლევათ. ოჯახში მასწავლებლების სტუმრობა, ოჯახისათვის შესაფერის დროს, სკოლის ხელმძღვანელობას საშუალებას აძლევს მოინახულოს და გაეცნოს ბავშვებს მათთვის ჩვეულ გარემოში. მშობლებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ საკლასო მუშაობას დაესწრონ. სასურველია, რომ ისინი ბავშვებს დაეხმარონ ხეზე მუშაობასა ან "კერვაში" – ბლინდების გაკეთებაში. აგრეთვე, საინტერესოა მათი შენიშვნები, რასაც ისინი იმ რვეულებში წერენ, ბავშვ-

ებს ყოველ კვირა შინ რომ მიაქვთ. მშობლები ატყობინებენ მასწავლებლებს ყველა ღირსშესანიშნავი მოვლენისა და სიახლის შესახებ. მაგალითად, დაბადების დღე, მოგზაურობა, ახალი სამსახური, ნათესავების სტუმრობა. ამგვარად, მასწავლებელს საშუალება ეძლევა, ახსნა მოუძებნოს ცვლილებებს ბავშვთა ქცევაში და ამ მოვლენაზე ბავშვს ესაუბროს.

ოჯახის წევრების საკლასო მუშაობაში მონაწილეობის ინტენსივობა, ცხადია, მშობლების შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. მოსამსახურე მშობლებს, ჩვეულებრივ, ნაკლები დრო აქვთ ხოლმე. ამიტომაც სკოლა კვარტალურად, შაბათ-კვირას მართავს საუბმეს და იწვევს ყველა ოჯახს. ამას გარდა, ყოველი კვირის ბოლოს, მასწავლებლები მშობლებს ბარათებს უგზავნიან, სადაც მათი შვილის წარმატებები და საყვარელი საქმიანობაა აღწერილი. ზოგ ოჯახში მშობელთა მოუცლელობის გამო, ბავშვებზე ბებია ან პაპა ზრუნავენ. და ხშირად, დიდი სიამოვნებითაც ერთვებიან საკლასო მუშაობაში – მაგალითად, კულინარიულ გამოცდილებას უზიარებენ ბავშვებს. ბავშვები, ჩვეულებრივ, ძალზე კმაყოფილები არიან, როდესაც ოჯახის წევრები მათი ცხოვრების მონაწილეები ხდებიან. გარდა ამისა, ოჯახის პაპა ან ბებია მასწავლებლებს ესაუბრება ბავშვის მშობლებსა და ოჯახურ გარემოზე და თავადაც ეცნობა ბავშვის სკოლაში საქმიანობას.

კომუნიკაცია

მშობლებთან კონტაქტი აღმზრდელთა ჯგუფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა. ყოველი ოჯახი დაინტერესებულია საკუთარი შვილების ბედით და მოწადინებულია, რომ შვილი კარგი მოსწავლე იყოს. ბაღი, ალბათ, პირველი ოჯახგარე გამოცდილებაა ბავშვისათვის და ბუნებრივია, მშობლებს ყოველი მისი წარმატება, თუ წარუმატებლობა აღელვებთ. თავის მხრივ, აღმზრდელთა ჯგუფს საჭიროდ მიაჩნია, ბავშვის ოჯახთან სასკოლო საქმიანობაზე მსჯელობა, მისი ნიჭის და პრობლემების გამოვლენა. გულწრფელი ურთიერთობისა და ნდობის მოპოვებას დრო სჭირდება. როგორც აღენიშნეთ, ზოგიერთ მშობელს ცუდად აგონდება სკოლის წლები. და შესაძლოა, დღესაც აფრთხობდეს მასწავლებლებთან ურთიერთობა. სხვები, მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ "მასწავლებელმა უკეთ იცის" და ამიტომაც ერიდებათ შეკითხვების დასმა. თავის მხრივ, მასწავლებლებსაც აქვთ ხოლმე უარყოფითი გამოცდილება მშობლებთან ურთიერთობის. შესაძლოა, რომელიმე მშობელი თავის დროზე ასწავლიდა და მიუთითიებდა, თუ როგორ უნდა ესწავლებინათ მისი შვილისთვის და ა.შ. ამგვარი წინააღმდეგობრივი მიმართებები და განცდები შესაძლებელია შესანიშნავი ურთიერთობების კალაპოტში მოექცეს. ამისათვის აღმზრდელთა ჯგუფი პროგრამის დასაწყისშივე უნდა შეხვდეს მშობლებს და აუხსნას, რას მოითხოვს მისგან, რა ინფორმაციას ელის. მთავარია, ორივე მხარეს შეეძლოს ყურადღებით მოსმენა. მარტივი კითხები, როგორიცაა "რისი გაკეთება უყვარს თქვენს შვილს შინ?" ან "რას გიამბობთ ბავშვი ბაღის საქმიანობის შესახებ?" შვილებზე სასაუბროდ განაწყობს მშობლებს. მასწავლებლებიც უნდა შეეცადონ, მშობლისათვის გასაგებ ენაზე ისაუბრონ და შესაძლებლობა მისცენ მათ, შეკითხვები დასვან ან აზრი გამოთქვან.

ოჯახთან ურთიერთობის მთავარი პრინციპები

- გამოვყოთ დრო და შესაძლებლობა მივცეთ მშობელს, საკუთარი აზრი გამოთქვას, ისაუბროს თავის პრობლემებზე, მიზნებზე, მისწრაფებებზე.

- გამოვყოთ ადგილი, სადაც შესაძლებელი გახდება, სხვათა დაუსწრებლად ვესაუბროთ ყოველ მშობელს და დავარწმუნოთ, რომ მოპოვებული ინფორმაცია არ

გახმაურდება.

- ხშირად მშობლები ძალზე პირადულ საკითხებზე ესაუბრებიან მასწავლებლებს. ამიტომაც აუცილებელია შეგვეძლოს, საიდუმლოს შენახვა. პროგრამამ უნდა შემოიღოს კონფიდენციალობის პოლისი, რომლის პირობებსაც დაემორჩილებიან მასწავლებლებიც და მშობლებიც.

ბაღის წლებში ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მშობლებმა და მასწავლებლებმა მჭიდროდ ითანამშრომლონ. ბაღი სკოლა და ოჯახი ერთობლივად უნდა ზრუნავდეს ბავშვის აღზრდაზე. რაც უფრო უკეთესი ურთიერთობა მყარდება მასწავლებლებსა და მშობლებს შორის, მით მეტ წარმატებებს აღწევენ ბავშვები ბაღში სწავლისას. თუ მასწავლებელს გაცნობიერებული აქვს, რაოდენ არსებითია ბავშვის ოჯახთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება, იგი ყოველდღიურად ცდილობს განამტკიცოს ეს კონტაქტი.

მოსალოდნელი შედეგები

მრავალი სკოლამდელი პროგრამის მესვეურთათვის ცნობილია ის ფაქტი, რომ, შესაძლოა, აღმზრდელთა და მშობელთა მიზნები არ დაემთხვეს, ამიტომაც ძალზე მნიშვნელოვანია, მშობლებს სასწავლო წლის დასაწყისშივე გავაცნოთ პროგრამის არსი, მჭიდრო კონტაქტი დავამყაროთ მათთან, რაც მთელი წლის განმავლობაში გაგრძელდება. განსხვავებული დამოკიდებულება სწავლების მიზნებისა და შედეგების მიმართ, ზოგჯერ გაუგებრობის მიზეზი ხდება და აბრკოლებს ორმხრივ ურთიერთობას. ასევე აუცილებელია, სასწავლო წლის დასაწყისშივე გავარკვიოთ, რას მოელიან მშობლები სკოლისაგან, ან, როგორ წარმოუდგენიათ შვილების წინსვლა და წარმატება, ან, რა შედეგები ეოცნებებათ. ასევე საინტერესოა, რას გულისხმობენ მშობლები სიტყვა "წარმატებაში". თუკი თავიდანვე გავარკვევთ ყველა ამ საკითხს, ურთიერთობა სკოლასა და ოჯახს შორის საგრძნობლად გამარტივდება.

ოჯახებთან ურთიერთობის სტრატეგია

ამ თავში აღწერილია ოფიციალური და არაოფიციალური ურთიერთობების ფორმები. რაც უფრო მრავალფეროვანია ურთიერთობების ფორმები, მით მეტი შესაძლებლობა ჩნდება, განსხვავებულ ოჯახთა მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად.

არაოფიციალურ ურთიერთობათა სტრატეგია

ბავშვების მოყვანის და წაყვანის დრო

მშობლები, ჩვეულებრივ, ისე არიან დაკავებულნი მთელი დღის განმავლობაში, რომ ბევრი დრო აღარ რჩებათ. ამიტომაც, აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ არაოფიციალური შეხვედრები მშობლებთან სასაუბროდ, რათა საფუძველი ჩავუყაროთ ორმხრივ ურთიერთობას.

მაგალითად, მრავალი მასწავლებელი მშობლებს დილა-საღამოს, ბავშვების მოყვანისა და წაყვანის დროს ესაუბრება. ამ დროს, მასწავლებელი მშობლებს აცნობს დღის განმავლობაში ბავშვის მიერ ჩატარებულ სამუშაოს, აღნიშნავს მის წარმატებებს, წინასწარ ამცნობს, თუკი რაიმე შეხვედრა, ან ღონისძიება არის დაგეგმილი. დილა-საღამოს სხვა ბავშვების მშობლებიც ხვდებიან ერთმანეთს. საუბრობენ, ერთობლივ შეკითხვებს უსვამენ მასწავლებლებს, თუ საჭიროება მოითხოვს, შეხვედრაზე უთანხმდებიან, ცოტა ხანს შვილებთან და მათ ამხანაგებთან ერთად თამაშობენ, ზოგჯერ წიგნებსაც უკითხავენ ბავშვებს. ამ დროს

არავითარ შემთხვევაში არ უნდა განიხილებოდეს პრობლემები და ხარვეზები. მითუმეტეს, ბავშვების თანდასწრებით. ამ მიზნით, მშობელი საგანგებოდ უნდა მოვიწვიოთ.

იმისათვის, რომ მშობლებს ცოტაოდენი დრო დავუთმოთ, საკლასო განრიგი, შეძლებისდაგვარად, თავისუფალი უნდა იყოს. ბავშვთა საქმიანობა დასვენებით უნდა დავიწყოთ და დავასრულოთ. თავიდანვე უნდა გადაწყდეს, რომ მშობლები კლასში შეყვნენ ბავშვებს, დაეხმარონ გახდასა და სასწავლო დღისათვის მომზადებაში.

დღის პირველი და ბოლო ნახევარი საათი თავისუფალი დროა. ამ დროს მშობლებსა და ბავშვებს შესაძლებლობა ეძლევათ, ერთად ითამაშონ და იმუშაონ კლასში. ეს დრო სასწავლო ცხრილში საგანგებოდ უნდა იყოს აღნიშნული და ამ წესს რეგულარულად უნდა მივდიოთ. მშობლები ყავასა და ნამცხვრებზე უნდა მივიწვიოთ ხოლმე, ერთ-ერთი მასწავლებელი მაინც უნდა იყოს თავისუფალი, რომ შეძლოს მშობლებთან გასაუბრება. მშობლებს ნებისმიერ დროს საშუალება უნდა ჰქონდეთ, ყოვლისმომცველი ინფორმაცია მიიღონ პროგრამისა და ბავშვის შესახებ. როგორც კი მშობელი უხერხულობას დაძლევს და თავს შინაურად იგრძნობს, მიიპატიჟეთ იგი საოჯახო ოთახში, მიეცით საშუალება, დაგეხმაროთ, თავ-თავისი ადგილი მიუჩინოს სათამაშოებს, შემოიტანოს საუზმე და სხვა.

ბარათები და რვეულები

ბავშვის ხელით მოკლე, არაოფიციალური ბარათების გაგზავნა მშობლებთან, ხელს უწყობს ურთიერთობის გაღრმავებას. წვრილებში გამოთქმული შენიშვნები ზუსტ მიზანს უნდა ისახავდეს. ანუ, აღწერდეს ბავშვის საგანგებო წარმატებებს სწავლასა და ქცევაში, აგრეთვე ამ წერილებით უნდა გამოვხატოთ მადლიერება მშობლებისადმი, რომლებიც დაგვეხმარნენ, ან რამით შეეწიენ პროგრამას. სასურველია, თუ ოჯახები საპასუხო ბარათებს გამოუგზავნიან მასწავლებლებს. ეს მეთოდი განსაკუთრებულად ეფექტურია მაშინ, როდესაც ბავშვს პრობლემები აქვს და მასწავლებლები განსაკუთრებულ ამოცანას უსახავენ, ხოლო მშობლები ცდილობენ, შინ შეუწყონ ხელი ბავშვს, ამ მიზნის მისაღწევად.

ასევე კარგ შედეგს იძლევა რვეულების შინ გატანება. ეს განსაკუთრებით იმ შემთხვევაშია გამოსადეგი, როდესაც მშობლებს ძალზე ცოტა დრო რჩებათ სკოლასთან ურთიერთობისათვის, ან არა აქვთ ტელეფონი. ეს ჩვეულებრივი რვეულებია, რომლებსაც თავად ბავშვები აფორმებენ და ჩანთით დაატარებენ. რვეული საშუალებას იძლევა, რომ არც მშობელსა და არც მასწავლებელს არ გამოეპაროს ის პრობლემები და ცვლილებები, რომლებიც თავს იჩენს ბავშვის განვითარებაში. დროულად მიიღონ გადამჭრელი ზომები მათ აღმოსაფხვრელად. სასურველია, რვეული ბავშვს შინ კვირაში ერთხელ გავატანოთ. ეს მეთოდი ძალზე მოსწონთ მშობლებს. , რომელთაც უყვართ წერილობით აზრთა გაცვლა-გამოცვლა. და თუ ეს ასე არ არის, სხვა უამრავი გზა და ხერხი არსებობს ორმხრივი ურთიერთობის გასამყარებლად.

საინფორმაციო დაფები

საინფორმაციო დაფების გამოყენება, ასევე, ხელს უწყობს მშობლებსა და სკოლას შორის ურთიერთობის განმტკიცებას. ესეც არაოფიციალური კომუნიკაციის ერთ-ერთი სახეობაა. საინფორმაციო დაფებზე გამოკრულია მშობელთა კრებების თარიღები, ბავშვთა განვითარებისა და კვების გრაფიკები და სხვა. ამგვარ დაფებზე მოთავსებულია ხოლმე დღის განრიგი, სასწავლო გეგმა. გამოფენილია ბავშვთა შემოქმედება, მათი ნახატები, თოჯინები, მოთხრობები, ბავშვებისა და მშობლების ფოტოსურათები. აქვეა მოცემული მოხალისეთა

მუშაობის განრიგი. დაფაზე გამოკრული ინფორმაცია შეიძლება განმეორდეს ოჯახებში დაგზავნილ შეტყობინებებსა და ბარათებში.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ამგვარი სინფორმაცია დაფები ნათელი და მხიარული ფერებით იყოს გაფორმებული. თვალს იტაცებდეს და ხშირად იცვლებოდეს. თუ დაფაზე ძველი ინფორმაციაა შემორჩენილი ან თავად დაფა უფერულია, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მშობლები მას ზედაც არ შეხედავენ. დაფების გამოცვლა აღმზრდელთა ჯგუფის ერთ-ერთი მოვალეობაა. შესაძლებელია, საგანგებოდ მოვიწვიოთ ვინმე დაფების გასაფორმებლად. მთავარია ამ საკითხს შემოქმედებითად მივუდგეთ და დაფების მეშვეობით სკოლაში კომუნიკაციის ატმოსფერო შევქმნათ.

შესაძლოა, მშობლებსაც ვთხოვოთ, დაფების გაფორმებაში დაგვეხმარონ. ვთქვათ, ერთ-ერთი მშობელი კარგი მხატვარია. მაშინ ის უნდა მოვიწვიოთ ბავშვებთან ერთად სახატ-

რჩევები საინფორმაციო დაფების წარმატებით გამოყენებისათვის:

√ ინფორმაცია მოთავსებული უნდა იყოს ადამიანის თვალის სიმაღლეზე.

√ ხშირად უნდა იცვლებოდეს.

√ გახსოვდეთ, რომ ყველას უყვარს საკუთარი სახელისა და შვილების სახელებისა და სურათების ხილვა.

√ გამოფინეთ ბავშვთა ნამუშევრები.

√ ინფორმაცია უნდა იყოს მოკლე.

√ სთხოვეთ მშობლებს, დაგეხმარონ საინფორმაციო დაფების გაფორმებაში.

√ აუცილებლად აღნიშნეთ რომელიმე ოჯახის დამსახურება, ან მის მიერ გაწეული დახმარება და საჯაროდ გამოუცხადეთ მადლობა დაფაზე გაკრული წერილით.

√ შეეცადეთ, რომ დაფა ორმა ადამიანმა მაინც გააფორმოს. ეს საქმესაც აადვილებს და სახალისოც არის.

ავად და შემდეგ ერთობლივი ნამუშევროები დაფაზე გამოვფინოთ.

ცნობის ფურცელი

ცნობის ფურცელი, ანუ ახალი ამბების ბიულეტენი, მშობლებთან კონტაქტის ერთ-ერთი ხერხია. ორკვირეული ან ყოველთვიური ცნობის ფურცელი ყველა ოჯახს აუწყებს მიმდინარე სიახლეთა შესახებ. ცნობის ფურცელის თემატიკა, შესაძლოა, მრავალფეროვანი იყოს. ზოგიერთი პროგრამა ვრცელი ფორმატის ცნობის ფურცლებს უშვებს, სადაც აღწერილია სკოლაში მიმდინარე პროცესები და მოვლენები. ზოგი პროგრამა ერთ გამოშვებას გარკვეულ თემას უძღვნის და სხვადასხვა კუთხით განიხილავს. ხშირად ცნობის ფურცელი დაყოფილია თემატურად და ცალ-ცალკე გამოყოფს მიმდინარე მოვლენებს, ნარკვევებს ბავშვთა განვითარების შესახებ და სასარგებლო რჩევა-დარიგებებს აძლევს მშობლებს.

რა იწერება ცნობის ფურცელში:

- კრებების, განსაკუთრებული ღონისძიებების და ექსკურსიების თარიღები.
- თხოვნა, გარკვეული პროექტისათვის საჭირო მასალებისა და სხვა დახმარების შესახებ.
- ინფორმაცია საზოგადოების შესახებ.
- მიმდინარე წლის სასწავლო ამოცანები.
- რჩევა-დარიგებები მშობლებისათვის.
- მადლობის წერილები მოხალისე მშობლებისადმი.
- მოხალისეთა მოსაწვევი განცხადებები.

ცნობის ფურცელი მოკლე და ადვილი საკითხავი უნდა იყოს. უმჯობესია, მოკლე ცნობის ფურცლის გამოშვება ხშირად, ვიდრე დიდი მოცულობის ინფორმაციით გადატვირთული ბიულეტენის გამოშვება, იშვიათად. ცნობის ფურცლების ავტორებმა, დროდადრო, ყველა ბავშვი და ოჯახი უნდა მოიხსენიონ.

ოფიციალური კომუნიკაცია

ზოგჯერ აუცილებელია მშობლებთან ოფიციალური შეხვედრების მოწყობა. ოფიციალურ კომუნიკაციათა რიცხვს მიეკუთვნება მშობელთა კრებები და კონფერენციები. წერილობითი ანგარიშები, რაც დაწვრილებით წიგნის მე-5 თავშია განხილული და რომელიც მოიცავს დაკვირვებებს, შენიშვნებსა და შემაჯამებელ დასკვნებს თვითოეული ბავშვის განვითარების შესახებ.

სტუმრობა შინ

მასწავლებლის სტუმრობა ბავშვთა ოჯახებში მრავალ ბაღსა და სკოლაშია დამკვიდრებული. ამგვარი ვიზიტები ჩვეულებრივ, წელიწადში ორჯერ იგეგმება-წლის დასაწყისსა და ბოლოს. ამგვარი სტუმრობის მიზანია, მასწავლებელმა უკეთ გაიცნოს ბავშვის ოჯახი. ეს შესანიშნავი გზაა ოჯახის წევრებთან გულითადი ურთიერთობის დასამყარებლად.

ზოგჯერ მასწავლებელსაც და მშობელსაც აფრთხობს ხოლმე მოსალოდნელი სტუმრობა. თუკი სტუმრობის მიზანია, უფრო ახლო გაეცნოს ოჯახს, და სტუმარიცა და მასპინძელიც შესაფერისად იქცევიან, ყველაფერი კარგად დასრულდება. აი, ბავშვები კი, მუდამ აღფრთოვანებით ხვდებიან მასწავლებლის სტუმრობას. ამიტომაც, ბავშვს აუცილებლად უნდა დავრთოთ ნება, სტუმარს თავისი ოთახი დაათვალიერებინოს, აჩვენოს სათამაშოები, გაა-

ცნოს შინაური ცხოველები. კარგი იქნება, თუ მასწავლებელი ბავშვს რაიმე ახალ და საინტერესო სათამაშოს მიუტანს, რათა თავად საშუალება მიეცეს, მშიდად ესაუბროს ოჯახის წევრებს.

სტუმრობა აუცილებლად ოჯახთან შეთანხმებით, მათთვის ხელსაყრელ დროს დაგეგმეთ. საუბარი დადებითი მხარეების განხილვით დაიწყეთ, მაშინაც კი, თუ სტუმრობის მიზანი ხარვეზების გამოსწორებაა. მასწავლებელმა თავიდანვე უნდა ჩამოაყალიბოს სტუმრობის მიზანი და აღნიშნოს, რამდენ ხანს გასტანს მისი სტუმრობა. შესაძლოა, ოჯახმა იფიქროს, რომ მასწავლებლის სტუმრობა ავის მომასწავებელია, რომ ბავშვს რაღაც უჭირს და სხვა. აუცილებლად განმარტეთ, რომ თქვენი სტუმრობის მიზანია, უკეთ გაეცნოთ ბავშვის ჩვეულ გარემოს, მეტი შეიტყოთ ბავშვსა და მის ოჯახზე, თან იქონიეთ ბავშვის ნამუშევრები მათემატიკასა და ხელოვნებაში, რათა საშუალება გქონდეთ, მშობლებს სასწავლო პროგრამაზე გაესაუბროთ.

დასაწყისშივე, კიდევ ერთხელ განმარტეთ სტუმრობის მიზანი, საუბარი აუცილებლად დადებითი მხარეების განხილვით დაიწყეთ. თუ რაღაც განსაკუთრებული ამბის უწყებას აპირებთ ოჯახისათვის, თან იქონიეთ ჩანაწერი, მშობლებს დაუტოვეთ და სთხოვეთ, უთქვენოდ გაეცნონ. მარტო თქვენ ნუ ილაპარაკებთ, ადროვეთ, მშობლებმაც გიამბონ თავისი ოჯახის შესახებ. გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები.

არასოდეს ისაუბროთ ბავშვზე სხვა ბავშვების თანდასწრებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბავშვის საქციელი, ან წარმატება თქვენს გულწრფელ აღფრთოვანებას იმსახურებს და მისი ქება დადებით გავლენას მოახდენს დანარჩენ ბავშვებზე.

ოჯახში სტუმრობა ორივე მხარისათვის სასარგებლოა. მასწავლებლები უამრავ სიახლეს იტყობენ ბავშვის ჩვეული გარემოს, ოჯახური ტრადიციების, ოჯახური ურთიერთდამოკიდებულებებისა და მისწრაფებების შესახებ. მშობლები უკეთ ეცნობიან მასწავლებლებს, თავად აფასებენ, როგორი ურთიერთობა არსებობს მასწავლებელ-მოსწავლეს შორის. ოჯახს შეუძლია მასწავლებელს გაუზიაროს ყველა პრობლემა და ესაუბროს ყველა საჭირბოროტო საკითხზე, ბავშვის ინტერესებზე, მიზნებზე, წარმატებებსა და წარუმატებლობებზე. თუკი მასწავლებელსაც და მშობელსაც ნათელი წარმოდგენა აქვთ სტუმრობის მიზანზე, ამგვარი ვიზიტები ტრადიციად გადაიქცევა ხოლმე, გააღრმავებს ორმხრივ ურთიერთობას და ბავშვს კეთილად წაადგება.

მშობლები კლასში

მშობელთა მოწვევა გაკვეთილებზე დასასწრებად, თანაც ისე, რომ მათ კლასში თავი შინაურად იგრძნონ, გაცილებით მეტ მუშაობას მოითხოვს, ვიდრე წერილობითი აზრთა

გაცვლა-გამოცვლა და თუნდაც, ოჯახში სტუმრობა. ოჯახში პირველივე სტუმრობისას მასწავლებელი განმარტავს, რაოდენ მნიშვნელოვანია სკოლისა და ოჯახის თანამშრომლობა, ბავშვის წარმატებისათვის. აღმზრდელობითი ჯგუფი ყველანაირად უნდა ეცადოს, დაარწმუნოს მშობლები, რომ მათი მონაწილეობა პროგრამაში მართლაც ძალზე სასურველია. მშობლები ავსებენ ანკეტებს (ერთვის ამ თავს), სადაც პასუხობენ შეკითხვებზე და აღნიშნავენ საკუთარ მოთხოვნებს. სკოლას საგანგებო ფორმა აქვს შემუშავებული, სადაც აღწერილია მშობელთა პროგრამაში მონაწილეობის სხვადასხვა გზები. მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ მშობელთა პროფესია, მათი ნიჭი და უნარი, ინტერესები, რათა პროგრამაში მონაწილეობის შესაფერისი ფორმა შესთავაზონ მათ.

ნდობის ატმოსფეროს შექმნა ურთიერთპატივისცემაზეა დამოკიდებული, რასაც გარკვეული დრო სჭირდება. პროგრამა მშობლებისთვის მრავალი სიკეთის მომტანია.

რა სარგებლობა აქვთ მშობლებს?

მშობლები, რომლებიც მონაწილეობენ სასწავლო მუშაობაში, თავად ატარებენ გაკვეთილებს, ან უძღვებიან სასწავლო პროცესს:

- პროგრამის სრულუფლებიან წევრებად გრძნობენ თავს.
- აკვირდებიან შვილებს სხვა ბავშვებთან ურთიერთობისას.
- ცოდნას იძენენ ბავშვის განვითარების შესახებ.
- ეცნობიან და პატივისცემით იმსჭვალებიან აღმზრდელთა ჯგუფის მიმართ.
- სწავლობენ სახალისო თამაშებს, რაც შინაც შეიძლება გამოიყენონ.
- ეცნობიან შვილების მეგობრებს.
- უმეგობრდებიან სხვა მშობლებს.
- შესაძლებლობა ეძლევათ, შინაც ასწავლონ შვილს.

რა სარგებლობა აქვთ მასწავლებლებს?

მშობელთა სასწავლო პროცესში ჩართვით, მასწავლებლებს:

. მეტი დრო რჩებათ თვითოეული ბავშვისათვის და შეუძლიათ უფრო მცირე ჯგუფებთან იმუშაონ.

- აკვირდებიან, რა გზებით აიძულებენ მშობლები შვილებს რაიმე დავალების შესრულებას.
- ეცნობიან, როგორ ეხმარებიან მშობლები შვილებს რაიმე პრობლემის დაძლევაში.
- ეცნობიან მრავალეროვან კულტურულ ტრადიციებს.
- უკეთ ერკვევიან, რა განსაკუთრებული ნიჭი და უნარი აქვთ მშობლებს, რას ასწავლიან შვილებს, მაგ, მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრას, მზარეულობას თუ სხვ.

მასწავლებლები სთხოვენ მშობლებს, რაც შეიძლება, მეტი შეკითხვა დასვან, გამოთქვან მოსაზრებები, გაუზიარონ მათ თავიანთი დარდი თუ წუხილი, რასაც შედეგად, პრობლემათა ერთობლივი გადაწყვეტა და ერთობლივი გეგმის შემუშავება მოყვება ხოლმე. მშობლები და მასწავლებლები ერთად უკეთ ერკვევიან ბავშვის საქციელში. ბავშვებიც ხვდებიან, რომ, რაც მეტი უფროსია კლასში, მით მეტი ყურადღება ექცეა თვითოეულ ბავშვს და

ინდივიდუალური მუშაობაც უკეთ მიმდინარეობს. მოკლედ, ამგვარი კონტაქტები მყარ საფუძველს უყრის ერთობლივ თანამშრომლობას, რაც, თავის მხრივ, აადვილებს წინააღმდეგობათა დაძლევას და კავშირს ოჯახსა და სკოლას შორის.

საოჯახო ოთახი

მშობლებისათვის გამოყოფილ ადგილას ამგვარი პლაკატია გაკრული "კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ჩვენ თქვენ გვჭირდებით!" ასეთი ადგილი შესაძლებელია რომელიმე ოთახში მოეწყოს, ან ცალკე ოთახში განთავსდეს. ასევე თუ ისე, ეს სივრცე ძალზე მიმზიდველად უნდა გამოიყურებოდეს და მშობლებს პროგრამაში მონაწილეობის სხვადასხვა ვარიანტებს სთავაზობდეს. ოთახი გემოვნებით უნდა იყოს მოწყობილი, უნდა ეგოს სალიჩა, იდგეს რბილი ავეჯი, მოხერხებული სკამები, შესაძლებელი უნდა იყოს ჩაისა და ყავის მომზადება. კედლებს ბავშვთა ნახატები და ნამუშევრები უნდა ამშვენებდეს. აქვე უნდა იდგეს სათამაშოებით სავსე ყუთი, უმცროსი დებისა და ძმების გასართობად. ამ ოთახში ტარდება მშობელთა კრებები, ამიტომაც სივრცე ყველა მონაწილისათვის საკმარისი უნდა იყოს.

თუ ეს ოთახი პროგრამის თანამშრომელთა ოფისის ფუნქციასაც ასრულებს, დღის განმავლობაში გარკვეული დროით უნდა დაიკეტოს. თუმცა, აუცილებელია, რომ ოთახი მშობელთა სრულ განკარგულებაში იყოს. ვთქვათ, ორი საათი დილით და საათნახევარი ან ორი საათი საღამოთი. დანარჩენი დრო მშობელთა და მასწავლებელთა ინტერესების და ცხრილის შესაბამისად უნდა დაიგეგმოს. ოთახის გამოყენების ყოველკვირეული განრიგი მშობლებს წინასწარ უნდა ვაცნობოთ.

ბიბლიოთეკა

მშობლებს ნებისმიერ დროს უნდა შეეძლოთ, ისარგებლონ სკოლის ბიბლიოთეკის წიგნებითა და სათამაშოებით. სათმაშოები საოჯახო ოთახში აწყვია. სკოლაში უნდა არსებობდეს საგანგებო ბარათები, სადაც აღნიშნული იქნება, ვინ რა წაიღო და რამდენი ხნით. სასურველია წიგნების ორი-სამი კვირით თხოვება. საბავშვო წიგნების კითხვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მშობლისა და ბავშვისათვის. კითხვა ბავშვში ლიტერატურისადმი სიყვარულს აღვიძებს, რაც მათ მთელი ცხოვრების მანძილზე მიჰყვება. წიგნების გაცემა საბარათო სისტემით უნდა ვაწარმოოთ. საბავშვო წიგნების გარდა, ბიბლიოთეკაში უნდა გვქონდეს წიგნები ბავშვთა განვითარების შესახებ, რომელსაც რეგულარულად უნდა ეცნობოდნენ მშობლები. თუ ბიბლიოთეკაში არ აღმოჩნდა წიგნი, სადაც კონკრეტული საკითხია გაშუქებული, აღმზრდელობითმა ჯგუფმა მშობლისათვის უნდა მოამზადოს საინფორმაციო ბიულეტენი, სადაც დაწვრილებით იქნება განხილული ყველა ის საკითხი, მშობლებს რომ აინტერესებთ. წიგნების გაცნობის შემდეგ, მშობლებს საშუალება ექნებათ, მშობელთა კრებებზე საკუთარი მოსაზრებები გაუზიარონ სხვა მშობლებსა და მასწავლებლებს. ზოგიერთი მათი მოსაკრება, შესაძლოა ბიულეტენში გამოქვეყნდეს. შეიძლება თვით მშობლებმაც

რიგრიგობით უხელმძღვანელონ ბიბლიოთეკას, თავად გასცენ წიგნები და სათამაშოები. თავად შეადგინონ ბარათები და სხვ. დაგვიანების შემთხვევაში შეახსენონ მშობლებს წიგნისა და სათამაშოს მოტანის ვადები.

მშობლებს თავისუფლად უნდა შეეძლოთ ბიბლიოთეკიდან წიგნებისა და სათამაშოების გატანა. ისინი წინასწარვე უნდა დავამშვიდოთ, რომ შესაძლოა სათამაშო გატყდეს და წიგნი დაიხეს, მაგრამ საშიში არაფერია. მათთვის ისედაც ნათელია, რომ ბიბლიოთეკის საკუთრებას უნდა გაუფრთხილდნენ, მაგრამ არც ის იქნება გაუგებარი, თუ შემთხვევით რამე გაუფუჭდათ. გატეხილი სათამაშოები სახიფათოა ბავშვებისათვის. თუ შესაძლებელია, დახეული წიგნი უნდა დაწებდეს, გატეხილი სათამაშო უნდა შეკეთდეს. ზოგ მშობელს ეხერხება ჩხირკედელაობა და ცხადია, მისასალმებელი იქნება მათი ამ ხაზით პროგრამაში ჩართვა.

მშობლები კლასში

პროგრამა "ნაბიჯ-ნაბიჯ" მიიჩნევს, რომ მშობლები ყველაზე უკეთ იცნობენ საკუთარ შვილებს და ძალაუნებურად, აქტიურად მონაწილეობენ მათი აღზრდა- განათლების პროცესში. მშობლებმა უნდა იცოდნენ, რომ მათი მონაწილეობა სასწავლო პროცესში, არა მარტო სასურველია, არამედ ძალზე საჭიროც. ამგვარ დამოკიდებულებას მასწავლებლები მათ შეხვედრისთანავე აგრძნობინებენ.

ურთიერთპატივისცემა, ნდობა და გულწრფელი დამოკიდებულება მასწავლებელსა და მშობელს შორის ურთიერთობის აუცილებელი კომპონენტია. საერთო მიზნები, საერთო საქმე და ურთიერთ თანამშრომლობა ყველას პროგრამის სრულუფლებიან წევრად ხდის. ზოგჯერ მშობლები თავს უხერხულად გრძნობენ კლასში და თვლიან, რომ "ეს მასწავლებლების სამფლობელოა", მათ უხერხულობას ის იწვევს, რომ:

- შესაძლოა, მათ არ სჯერათ, რომ აღმზრდელთა ჯგუფს ნამდვილად სჭირდება მათი დახმარება.
- მათ არ იციან, რა უნდა აკეთონ, არ სურთ რამე აურდაურიონ.
- ფიქრობენ, რომ ვერაფერში გამოადგებიან მასწავლებლებს.
- არ იცნობენ კლასის შინაგანაწესს.

მშობლების მოზიდვა აღმზრდელობითი ჯგუფის მოვალეობაა. სასწავლო წლის დასაწყისში უნდა განიმარტოს, რომ მშობლებს გაკვეთილებზე დასწრება ნებისმიერ დროს შეუძლიათ. ზოგიერთ სკოლაში შემოღებულია საგანგებო ჟურნალი, სადაც მშობლები წინასწარ აღნიშნავენ, როდის აპირებენ გაკვეთილებზე დასწრებას, ან სასწავლო პროცესში მონაწილეობას, ანდა, უბრალოდ, მიუთითებენ, როდის აქვთ თავისუფალი დრო.

ცხრილში საგანგებოდ არ არის გამოყოფილი მშობელთა დასწრების დრო. ზოგიერთ მშობელს მხოლოდ შესვენების დროს სცალია. მას შეუძლია შვილთან ერთად ისაუზმოს. ზოგიერთი მშობელი კვირაში რამდენიმე საათის დახმარებას სთავაზობს მასწავლებლებს. ცხადია, ესეც და, ნებისმიერი ფორმის მონაწილეობა, მისაღები და მისასალმებელია.

კლასის გაცნობა

მრავალი სკოლამდელი პროგრამა პირველ მშობელთა კრებას საკლასო ოთახში ატარებს. მშობლები კლასში გაკვეთილების დაწყებისთანავე შედიან, როგორც მოსწავლეები. ისინი

ბალის დრამატული თამაშის ცენტრის აქტივობის ამსახველი საინფორმაციო ბიულეტენი

სალამი ძვირფასო მშობლებო – კეთილი იყოს თქვენი მობრძანება დრამწრეში. ამ ცენტრში მუშაობა ძალზე სახალისოა და ჩვენ შესანიშნავად ვატარებთ დროს.

ჩვენ აქ ვსწავლობთ, როგორ გავხდეთ დიდები და უამრავ როლს ვასახიერებთ. ჩვენ ვსაწვლობთ მზარეულობას, დალაგებას, სხვადასხვაგვარი ტანსაცმლის მორგებას და ტარებას. ასევე ვსწავლობთ, როგორ ვიურთიერთოთ ერთმანეთთან. ვავარჯიშებთ ენასა და მეტყველებას. ჩვენ აქ ვიძენთ მეგობრებს და ვსწავლობთ, როგორ შევინარჩუნოთ ისინი. ზოგჯერ მასწავლებლები ახალ მასალას გვთავაზობენ და ჩვენც ხალისით ვეუფლებით, როგორ გავახვიოთ ჩვილი ბავშვები, როგორ დავვარცხნოთ თმა. ხან ფოსტალიონები ვართ, ხან მძღოლები და ხან კიდევ რა.

ჩვენ აქ ცხოვრებას ვსწავლობთ. და ხშირად თქვენ განსახიერებთ. რადგან სწორედ თქვენა ხართ ჩენი მაგალითი და ნიმუში. თუკი შინ "გამოპრანჭულები" დაგიხვდით, იცოდ5ეთ, რომ ახლადშეძენილ ცოდნას ვამტკიცებთ.

მობრძანდით და ჩვენთან ერთად იმხიარულეთ! მოუთმენლად ველით თქვენს სტუმრობას და იმედი გვაქვს, ჭიქა ჩაიზეც დაგვეწვევით. აბა, ყოჩაღად და სუფთად! ჩვენც ასევე დაგხვდებით!

სიყვარულით, თქვენი შვილები.

ადაპტირებულია: "მშობელთა მოტივაცია, მშობელთა დახმარების სემინარები. ბარბარა ვულფი".

ეცნობიან მასალას, თამაშებს, თვითონ ხატავენ, უსმენენ მუსიკას, საუბმობენ, მოკლედ, მშობლები, სრულად ეცნობიან შვილების სასწავლო დღეს. ყოველი საგნის

მასწავლებელი, ან აქტივობის ცენტრის ხელმძღვანელი უხსნის მშობლებს, რას სწავლობენ ბავშვები ამა თუ იმ საგანში. მშობლებს ურიგდებათ საინფორმაციო ბიულეტენები, სადაც აღწერილია თვითოეული აქტივობის ცენტრის მოღვაწეობა. (იხ. დრამცენტრის აღწერა).

ამგვარად, მშობლები ეჩვევიან კლასს, ერკვევიან აქტივობის ცენტრების საქმიანობაში. პირველივე შეკრებაზე მასწავლებლები უხსნიან მშობლებს, რაში შეიძლება გამოიხატოს მშობელთა დახმარება. მშობლებმა კარგად უნდა იცოდნენ პროგრამის შინაგანაწესი და პროცედურა. მათ ურიგდებათ პროგრამის შინაგანაწესი და მთელი წლის განმავლობაში ეგზავნებათ საინფორმაციო ბიულეტენები. ინფორმაცია შეიძლება ეხებოდეს ყოფაქცევის, სისუფთავისა და ტუალეტის საკითხებს.

აქტივობის განმარტება

ყოველდღიურად კლასებში ასობით აქტივობა მიმდინარეობს. მშობლებმა, რომლებიც სასწავლო პროცესში მონაწილეობას აპირებენ, არ იციან ხოლმე რა და როგორ უნდა აკეთონ. მასწავლებელმა თავიდანვე უნდა განმარტოს, რომ, თუკი მშობელი დაიბნა და რაღაცას ვერ იგებს, მას ნებისმიერ დროს შეუძლია მიმართოს მასწავლებელს. თუკი მშობლებმა წინასწარ შეგატყობინეს მოსვლის თარიღი, თქვენც წინასწარვე აცნობეთ, რისი გაკეთება მოუწევთ იმ დღეს. მშობლებს ეგზავნებათ ბარათი და საინფორმაციო ბიულეტენი მითითებებით (იხ. ბარათი მონაწილე მშობლებს).

გამარჯობათ!

გმადლობთ, რომ კონსტრუქტორების აწყობასა და თავსატეხების ამოხსნაში გვეხმარებით. ასაწყობი სათამაშოები გვეხმარება სივრცობრივი მიმართებების შესწავლაში. გარდა ამისა, გვივითარდება პრობლემის გადაწყვეტის უნარი, თანაც გვივარჯიშდება თითები. ზოგიერთი ასაწყობი სათამაშო მხოლოდ რამდენიმე ნაწილისაგან შედგება, ზოგი კი მრავალნაწილიანია. თუკი გვეხმარებით, გთხოვთ, ჩვენს ნაცვლად ნუ შეაერთებთ ნაწილებს. უბრალოდ, გეზი მოგვეცით. მაგალითად ასე: "შემოაბრუნე ეს ნაწილი, ან იქნებ ის ნაწილი იქ ჩასვა?" ზოგჯერ ჩვენ ისეთ სათამაშოს ვირჩევთ, რომლის აწყობაც გვიძნელდება და თქვენი დახმარება გვჭირდება. თუ სულ არაფერი გამოგვივა, მხოლოდ მაშინ დაგვეხმარეთ ნაწილების შეერთებაში. ანდა, უბრალოდ, გვითხარით, რომ ეს რთული სათამაშოა და უმჯობესი იქნება, ჯერ ნაკლებ ნაწილებიანი სათამაშო ავაწყოთ. თამაშის დამთავრების შემდეგ, გთხოვთ, შეგვახსენოთ, რომ ყველა ნაწილი ყუთში ჩავაწყოთ, ყუთს კი თაროზე თავისი ადგილი მივუჩინოთ.

მუშაობისას ხშირად გვკითხეთ რა ნაწილებისგან შედგება ესა თუ ის სათამაშო, რა ფერის ან რა ფორმისაა ნაწილები.

გმადლობთ, ჩვენ გვიყვარს თქვენთან ერთად მუშაობა.

ბარათი პროგრამის მონაწილე მშობლებს.

დილა მშვიდობისა ქ-ნო _____

როდესაც ბავშვები ოთახში შემოვლენ, მიესალმეთ და თვითოეულ მათგანს სახელით მიმართეთ. დაეხმარეთ პალტოს გახდასა და დაკიდებაში. თვითონ ნუ გახდით, ჯობს, უბრალოდ, მიეხმაროთ.

ჩვენ დღეს ფერებზე ვმუშაობთ. თქვენთან იმუშავებენ ეს ბავშვები (ბავშვების სია). ფერების შესწავლაში ლოტო დაგეხმარებათ. აჩვენეთ ბავშვებს რომელიმე ფერი და სთხოვეთ ლოტოს ფურცლებზე მონახონ შესაბამისი ფერები. თუ ბავშვი რამდენიმე ცდის შემდეგაც ვერ შეათანხმებს ფერებს, აჩვენეთ, რომელი ფერები შეეხამება ერთმანეთს და სთხოვეთ, ისევ სცადოს.

გთხოვთ, აგრეთვე, დაგვეხმაროთ საუზმის გაწყობაში. შემოიტანოთ თასები და ჭიქები. თუ შეიძლება საუზმისას ბავშვებთან იყავით და ესაუბრეთ. გამოკითხეთ, რა გააკეთეს და რა ისწავლეს დღის განმავლობაში.

გმადლობთ, ჩვენ დიდად ვაფასებსთ თქვენს დახმარებას.

(ადაპტირებულია ბარბარა ვულფის სემინარების სახელმძღვანელოდან "მშობელთა მოტივაცია").

მითითება ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ ყველა მშობელს შეეძლოს მისი გაგება. ასევე სასურველია, დროდადრო გამოვაკრათ ინფორმაცია ყოველი ახალი აქტივობის შესახებ. მაგ. მანიპულატივებით/სათამაშოებით გაწყობილი მაგიდა. აქტივობის ცენტრში სამუშაოდ მშობლებს აუცილებლად სჭირდებათ საგანგებო მითითებები კონსტრუქტორების აგების, სათამაშოების აწყობისა და თავსატეხების ამოსახსნელად.

კლასში მუშაობის ზოგად მითითებებში აღწერილია, როგორ უნდა დალაგდეს მასალა, როგორ უნდა იხელმძღვანელოს მასწავლებელმა დღის განრიგით, დაამყაროს წესრიგი, როგორ უნდა იურთიერთოს ბავშვებთან სხვადასხვა აქტივობის ცენტრში. წერილობითი მითითებები ეხმარება მშობლებს, უკეთ გაართვან თავი კლასში მუშაობას და სურვილი აღეძრათ მომავალშიც დაეხმარონ მასწავლებლებს. (იხ. ზოგადი ინფორმაცია სასწავლო პროცესში მონაწილე მშობლებისათვის).

ზოგიერთი მშობელი დროს ვერ პოულობს კლასში მოსასვლელად და არც აინტერესებს ეს საქმიანობა. უნდა გვახსოვდეს, რომ პროგრამაში მონაწილეობის უამრავი გზა არსებობს: მასალების გამოგზავნა, შეკრებებზე დასწროება, გარემოს მოწყობა, ეზოს დასუფთავება, ბავშვებისათვის წიგნების კითხვა და სხვ. ყოველგვარი წვლილი მისაღები და დასაფასებელია. ზოგიერთ მშობელს უჭირს მარტო მოსვლა. მას ის მშობლები უნდა გავაცნოთ, რომლებიც უფრო გამოცდილები და კლასში გაშინაურებულები არიან. ოჯახების ერთმანეთთან დაკავშირება ახალ მშობლებს მოიზიდავს პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.

თუკი ბავშვის მშობელი საკლასო მუშაობაში არ არის ჩართული, მაგრამ სხვაგვარად ეხმარება პროგრამას, მასწავლებელმა ეს აუცილებლად უნდა შეატყობინოს ბავშვს, რომ ბავშვმა თავი დაჩაგრულად არ იგრძნოს.

მადლიერების გამოხატვა

ყველას უყვარს, როდესაც მის წვლილს აფასებენ. ამ მხრივ გამონაკლისს არც პროგრამის მშობლები წარმოადგენენ. ისინი ძვირფას დროს ხარჯავენ პროგრამაში მონაწილეობისათვის და ნამდვილად იმსახურებენ დაფასებასა და მადლიერებას. ეცადეთ, მუდამ გამოხატოთ მადლიერება მშობლისადმი, რომელიც თქვენს დასახმარებლად მოდის და ასევე დაინტერესდით მისი აზრით. ჰკითხეთ, იქნებ, თქვენ შეგიძლიათ რაიმე შესთავაზოთ, რაც მომავალში მის მუშაობას გააუმჯობესებს. (მშობლისადმი მადლობის გამოხატვის მაგალითები).

ზოგადი ინფორმაცია საკლასო მუშაობაში მონაწილე მშობლებს

√ ჩაერთეთ ჯგუფურ აქტივოებებში, იყავით ბავშვებთან.

√ წააქეზეთ ბავშვები, დამოუკიდებლად გაიხადონ პალტოები, ჩექმები, ქუდები, ხელთათმანები. ჰკითხეთ ბავშვებს, რას უწოდებენ ამა თუ იმ ტანსაცმელს, სთხოვეთ, აგიხსნან, რა დანიშნულება აქვს თვითოეულ მათგანს.

√ ხატვისას, კუბურებით შენებისას ან ხეზე მუშაობის დროს ნუ შეუშლით მათ ხელს. ბავშვებმა თავად უნდა დაასათაურონ ყოველი ნამუშევარი. სთხოვეთ, აგიხსნან, რა შექმნეს.

√ მასწავლებლებს შესაფერის დროს დაუსვით კითხვები.

√ ისე ჩაიცვით, რომ შეგეძლოთ, ბავშვებთან ერთად იატაკზე ჯდომა და ეზოში თამაში.

√ არ იმსჯელოთ რომელიმე კონკრეტული ბავშვის ქცევაზე სხვა ბავშვებთან, მშობლებთან, ან მისი ოჯახის წევრებთან. თუ ბავშვთან დაკავშირებით რაიმე პრობლემას გადააწყდით, საკუთარი მოსაზრება გაგიჩნდათ, მიმართეთ აღმზრდელთა ჯგუფს, ან ხელმძღვანელს.

√ გააცანით თქვენი მოსაზრებები სწავლის პროცესის შესახებ აღმზრდელთა ჯგუფს, რომელიც თქვენს სასარგებლო რჩევებს პროგრამაში გამოიყენებს.

√ თუ თქვენ განსაკუთრებული უნარი ან ნიჭი გაქვთ, შეატყობინეთ პროგრამის პერსონალს.

√ კლასში შესვლამდე, გაეცანით დისციპლინის შინაგანაწესს. ჰკითხეთ მასწავლებლებს, როგორ უნდა მოიქცეთ, თუკი ბავშვები ერთმანეთს ეჩხუბებიან ან უწესოდ იქცევიან.

√ ბავშვების ქცევაზე მათი თანდასწრებით არ ისაუბროთ.

√ აღროვეთ ბავშვებს, დამოუკიდებლად შეასრულონ სამუშაო, ვიდრე დახმარებას შესთავაზებდეთ, ან მათ ნაცვლად გააკეთებდეთ რამეს.

მადლიერების გამოხატვა ოჯახის წევრებისადმი

√ ყოველ მშობელს პერსონალურად გადაუხადეთ მადლობა.

√ მშობელს აუცილებლად სახელით მიმართეთ და საუბარში არ დაგავიწყდეთ მისი შვილის სახელის ხსენებაც.

√ გონივრულად დაგეგმეთ მშობელთა საქმიანობა. აუხსენით, რა უნდა გააკეთონ და იქვე გაარკვიეთ, რაიმე შეკითხვები ხომ არა აქვთ. აგრეთვე, კითხეთ, თავად რისი გაკეთება სურთ. მიეცით არჩევანის შესაძლებლობა.

√ გამოყავით დრო კლასში მომუშავე მშობელთა მოსამზადებლად. გააცანით თანამშრომლები, დამხმარე პერსონალი და დაათვალიერებინეთ ის ადგილი, სადაც უნდა იმუშაონ.

√ გამოყავით ადგილი, სადაც მშობლები დაისვენებენ და პირად ნივთებს დააწყობენ.

√ წინასწარ მოიმარაგეთ საკვები, რომლითაც გაუმასპინძლდებით დამხმარე მშობლებს.

√ დაფაზე გამოაკარით მშობლებისათვის საჭირო ინფორმაცია, დამხმარე მშობლებს კლასში მასწავლებლები უნდა დახვდნენ და მისცენ მითითებები.

√ საინფორმაციო ბიულეტენში, ცნობის ფურცელში, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მშობელთა წვლილი.

√ მშობლებს გაუგზავნეთ ბარათები, სადაც აღწერილი იქნება სხვა მშობელთა მონაწილეობა პროგრამაში.

√ დაამზადეთ ღირსების მედლები და სიგელები, რომლითაც დაჯილდოვდებიან მშობლები.

√ მოაწყეთ წვეულებები იმ ადამიანთა საპატივცემულოდ, ვისაც გარკვეული წვლილი შეაქვს პროგრამის წარმატებით განხორციელებაში.

√ ყველანაირად დაეხმარეთ მშობლებს, კვლავაც და კვლავაც გადაუხადეთ მადლობა, სთხოვეთ, მოიყვანონ მეგობრები, მეუღლეები, დაგეგმეთ ბავშვების მამებისათვის განკუთვნილი საგანგებო ღონიეძიებები (ეზოს მოწყობა, ასაწყობი სათამაშოებით თამაში). საგანგებოდ მოიწვიეთ მამები. მოიწვიეთ ხოლმე ბებიები და პაპები. გაარკვიეთ, რისი გაკეთება სურთ ბებიებს და პაპებს.

მამაკაცების ჩართვა სასწავლო პროცესში

დასაწყისში მასწავლებლები კონტაქტს, ძირითადად, დედებთან ამყარებენ. მამები, ბიძები, ძმები, პაპები და მეგობარი მამაკაცები, რატომღაც, უყურადღებოდ რჩებიან. ყველანაირად უნდა ვეცადოთ, ბავშვის ახლობელი მამაკაცებით ჩაერთონ პროგრამაში.

პროგრამის დასაწყისშივე უნდა დაიგეგმოს ოჯახში სტუმრობა. ოჯახის წევრების გაცნობა, შეკრებები, სემინარები ისე, რომ მამაკაცებსაც შეეძლოთ მონაწილეობის მიღება. სემინარების მსვლელობაში ყველანაირად შეეცადეთ, რომ მამაკაცები აქტიურად ჩაერთონ დისკუსიაში. დაუსვით შეკითხვები შვილის შესახებ, ბარათები და მოსაწვევი ბარათები აუცილებლად ორივე მშობლის სახელზე გაგზავნეთ. ასევე, თუ სადმე მშობლის ხელმოწერა გჭირდებათ, მოითხოვეთ, რომ საბუთს ორივე მშობელმა მოაწეროს ხელი. ამით თქვენ მამას აგრძნობინებთ, რომ მის არსებობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ.

მამების პროგრამაში ჩართვისათვის, თქვენ შეგიძლიათ:

- დაგეგმოთ ისეთი ღონისძიების ჩატარება, რომელშიც მხოლოდ მამაკაცები მიიღებენ მონაწილეობას. მოიწვიეთ ბავშვები მამებთან ან სხვა ახლობელ მამაკაცებთან ერთად, საგანგებოდ მათთვის დაგეგმილ ღონისძიებაზე.

- ჰკითხეთ მამაკაცებს, რა წვლილი შეუძლიათ შეიტანონ პროგრამაში.

- მოიწვიეთ ორი მამა შეხვედრაზე, ან კლასში ერთად სამუშაოდ. ეს მათ დაეხმარებათ, უკეთ იგრძნონ თავი და ერთმანეთს ხელი შეუწყონ.

- დაგეგმეთ ღონისძიებები "მხოლოდ მამაკაცებისათვის", სადაც მამები იმსჯელებენ შვილებზე და გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს.

- ჩაატარეთ სემინარები "მხოლოდ მამაკაცებისათვის", რომლებსაც ასევე, მამაკაცი უხელმძღვანელებს. მამას გააცანით ის საქმიანობები, სადაც შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ. ამგვარ სემინარების ჩატარების შედეგად, აუცილებლად ყალიბდება ხოლმე ეგრეთ წოდებული, "დამხმარე ჯგუფი", რაც ძალზე სასარგებლოა.

- საკუთარი ხარჯებით მოაწყეთ საოჯახო საღამოები, წვეულებები, სადაც ორივე მშობელს მოიწვევთ.

- დაგეგმეთ დილა, როდესაც მამები სამსახურში წასვლამდე სკოლაში მოვლენ. გაესაუბრეთ მამებს, რომლებსაც ბავშვები სკოლაში მოჰყავთ. სთხოვეთ, ცოტა ხნით შეყოვდნენ. სკოლაში ერთად გატარებულ რამდენიმე წუთსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბავშვისთვისაც და მამისთვისაც.

- შაბათ-კვირას მოაწყეთ ხოლმე საოჯახო წვეულებები, "ზიარი ვახშამი", რომელშიც ყოველი მშობელი თავის წვლილს შეიტანს. ამგვარ ვახშამზე მოიწვიეთ არა მარტო მშობლები, არამედ ოჯახის სხვა წევრებიც.

მშობელთა კრება

მშობელთა კრება "ნაბიჯ-ნაბიჯ" პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილია. ზოგიერთ სკოლაში მშობელთა კრებას თვეში ერთხელ იწვევენ.

მასწავლებლები, მშობლები და სკოლის ადმინისტრაცია ერთობლივად გეგმავს შეკრებაზე განსახილველ თემატიკას და იმასაც, რა სახის შეხვედრა უნდა მოეწყოს. მშობელთა შეკრების მრავალი სახე არსებობს: ინსტრუქციული, მრჩეველთა, არაოფიციალური, დამხმარე ჯგუფის შეკრება.

ინსტრუქციული შეკრება ძირითადად ინფორმაციულ სემინარს წარმოადგენს. ამ დროს, ხშირად იწვევენ ხოლმე გარკვეული დარგის სპეციალისტებს, რომლებიც ამა თუ იმ საკითხზე ესაუბრებიან მშობლებს.

სემინარის მონაწილე მშობლები ჩართულები არიან სემინარის მუშაობაში და აქტიურ გადაწყვეტილებებს იღებენ. პროგრამის თანამშრომლებმა შესაძლოა, კითხვარები გამოიყენონ, ანდა ზეპირი გასაუბრების შედეგად დაადგინონ, რა თემები აინტერესებთ მშობლებს. ზოგიერთი თემა, მაგ, ბავშვის აღზრდა-განვითარების შესახებ, შესაძლოა, ოფიციალურმა მომხსენებელმა წაიკითხოს. სემინარის სხვა თემები ნაკლებად ოფიციალურ ხასიათს ატარებს და მშობელთა მონაწილეობით მიმდინარეობს. ამგვარი თემა შეიძლება იყოს: ადამიანთა ურთიერთობის ტექნიკა.

ასევე ოფიციალურ ხასიათს ატარებს მრჩეველთა კომიტეტის შეკრება. მიზანი ამ კომიტეტის შეკრებისა, რომელსაც ადმინისტრაციული მუშაკი ხელმძღვანელობს და კვარტალში ერთხელ იმართება, არის პროგრამის მიმართ მშობელთა დამოკიდებულების გარკვევა. ამგვარ შეკრებებზე მშობლები თანამშრომლებს უზიარებენ საკუთარ მოსაზრებებს, პროგრამის დადებით თუ უარყოფითი მხარეების, ხარვეზების, ფინანსების მოპოვების და სხვ. საკითხთა შესახებ. ამ შეკრებებზე განიხილება მშობელთა და მასწავლებელთა ერთობლივი კონფერენციების, საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენელთა მოწვევის, ოჯახების პროგრამაში ჩართვისა და სხვ, სოციალურ ღონისძიებათა მოწყობის საკითხები. მრჩეველთა კომიტეტი ყოველნაირად აქეზებს მშობლებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ პროგრამაში - სასწავლო პროცესის დაგეგმვა იქნება ეს თუ პროგრამის განხორციელება. ამგვარი შეკრებების შედეგად, მშობლები გარკვეულ ცოდნას იძენენ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩატარდეს კრება, როგორ უნდა მართონ საქმე, მოიპოვონ ფინანსები, იმუშაონ კომიტეტში, რას ნიშნავს სტრატეგიული გეგმა და სხვ. მასწავლებლები და პროგრამის ხელმძღვანელობა ყურადღებით ისმენს მშობელთა კომიტეტის რეკომენდაციებს, ითვალისწინებს მათ, ან დასაბუთებულად განმარტავს, რატომ არ არის სასურველი ამა თუ იმ წინადადების მიღება. პროგრამის ხელმძღ-

ვანელობა მჭიდროდ თანამშრომლობს კომიტეტის წევრებთან – ერთობლივად წყვეტენ პრობლემებს და ხელს უწყობენ ახალ წამოწყებათა განხორციელებას.

არაოფიციალურ შეხვედრებზე მშობლები ერთობიან. ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, საუბრობენ და უმტკიცდებათ იმის შეგრძნება, რომ ყველანი პროგრამის სრულუფლებიანი წევრები არიან. ოჯახები ამ შეხვედრებს პროგრამის თანამშრომლებთან ერთად გეგმავენ. შესაძლოა, ასეთი შეხვედრები დილაობით გაიმართოს ხოლმე საოჯახო ოთახში, ყავისა და მსუბუქი საუზმის თანხლებით. შესაძლოა, მოეწყოს პიკნიკები, ექსკურსიები, სადილები, სადღესასწაულო წვეულებები და სხვადასხვა გასართობი საღამოები.

დამხმარე ჯგუფი რამდენიმე ოჯახის წევრებისაგან იქმნება, რომელთაც განსაკუთრებულად აწუხებთ ესა თუ ის პრობლემა და სურთ მეტი ინფორმაცია მიიღონ ამ საკითხზე. განსაკუთრებული პრობლემებისა და ინტერესების მქონე ოჯახები იკრიბებიან, მსჯელობენ მათთვის საჭირბოროტო საკითხებზე, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და სთავაზობენ მხარდაჭერასა და დახმარებას. ასეთი ჯგუფები, შესაძლოა, მხოლოდ მამებისაგან შეიქმნას, ანდა მარტოხელა მშობლებისაგან, რაიმე ნაკლის მქონე ბავშვების მშობლებისგან, ახალბედა მშობლებისა და დედებისაგან.

ამგვარი ჯგუფებიც საოჯახო ოთახში იკრიბება. პროგრამის ხელმძღვანელობამ ყოველნაირად ხელი უნდა შეუწყოს ამ შეხვედრებს. უნდა გამოიყოს ადგილი, დაიწყოს სკამები, მშობლებს ყავით უნდა გაუმასპინძლდნენ.

მშობელთა ინტერესების დადგენა

მშობელთა აქტიურ ჩართვას პროგრამაში გარკვეული დრო, გეგმა და მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების ცოდნა სჭირდება. იმისათვის, რომ გავარკვიოთ, რა მიმართულებით შეუძლია ჩაერთოს მშობელს პროგრამის მუშაობაში, შესაძლებელია კითხვარებისა და ანკეტების შემოღება. სასურველია, ამგვარი კითხვარები პირველსავე შეხვედრაზე დაურიგდეთ მშობლებს. რაც მათი აქტიური მონაწილეობის დასაბამი გახდება. (იხ. მშობელთა ინტერესების ანკეტა).

მშობელთა ინტერესების ანკეტა

მშობლის სახელი გვარი _____
ბავშვის სახელი _____
სწავლის დაწყების თარიღი _____

ძვირფასო ბატონო და ქალბატონო_____

ჩვენ ძალიან გვიხარია, რომ თქვენი შვილი წელს ჩაირიცხა "ნაბიჯ-ნაბიჯ" პროგრამაში. მოუთმენლად ველით თქვენთან მუშაობის დაწყებას. როგორც თქვენთვის ცნობილია, ჩვენ ყველანაირად ხელს ვუწყობთ მშობლებს, აქტიურად ჩაებან პროგრამის მიმდინარეობაში. იმისათვის, რომ ვიცოდეთ, რა მიმართულებით გსურთ პროგრამაში მონაწილეობის მიღება, გთხოვთ აღნიშნოთ თქვენი ინტერესების სფერო.

გმადლობთ, მოუთმენლად ველით თქვენთან შეხვედრას.

მშობელთა ინტერესების ანკეტა

რით შემიძლია ან მაინტერესებს დავეხმარო პროგრამას:

_____ დავესწრო ყოველთვიურ მშობელთა შეკრებებს.

_____ ვიმუშაო კლასში. თუ თანახმა ხართ, გთხოვთ აღნიშნოთ, კონკრეტულად რომელ საქმიანობას მოიდებთ ხელს (წიგნების კითხვა, ხატვა, ასაწყობი სათამაშოები, მუსიკა).

_____ მშენებლობა, სამუშაო მასალების დამზადება, კერვა (ეზოს მოწყობა, თოჯინების ტანსაცმლის კერვა).

_____ დახმარება ექსკურსიების მოსაწყობად.

_____ განსაკუთრებული ღონისძიებების აღნიშვნა (დაბადების დღე, დღესასწაული).

_____ აღმზრდელთა ჯგუფთან თანამშრომლობა - კლასის მოწყობის, საკლასო სამუშაოს დაგეგმვის საკითხებში.

_____ მასალათა მოწოდება.

_____ მშობელთა ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.

_____ დამხმარე ჯგუფებში ჩართვა.

ამ ანკეტის მიზანია, მშობლებმა წინასწარ იცოდნენ, როგორ ითანამშრომლონ პროგრამის პერსონალთან საკუთარი ინტერესების შესაბამისად. როგორ გამოიყენონ საკუთარი ნიჭი და თვისებები პროგრამის სასარგებლოდ, რამდენი დრო დაუთმონ პროგრამაში მონაწილეობას. ყოველი მშობლის ყოველგვარი წვლილი დასაფასებელია,

მიუხედავად იმისა, რომ ყველა მშობელი, ცხადია, ერთნაირი ინტენსივობით ვერ ჩაერთვება პროგრამაში, მშობელთა ჩართვა პროგრამაში გარკვეულ დროსა და პროგრამის თანამშრომელთა აქტიურ შრომას მოითხოვს. მაგრამ, ამისათვის ძალ-ღონე არ უნდა დავიშუროთ. რადგან შედეგად, მთელი ოჯახი ერთად გაიზრდება და ისწავლის. პროგრამაში მონაწილეობა მშობლებს შესაძლებლობას აძლევს, საფუძვლიანი ცოდნა შეიძინონ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეუწყონ ხელი ბავშვთა აღზრდა-განვითარებას.

თემების შერჩევა მშობელთა კრებისათვის

იმისათვის, რომ გავიგოთ, რა თემაზე სურთ მშობლებს საუბარი, პროგრამა საგანგებო კითხვარებს იყენებს. მშობლები აღნიშნავენ მათთვის საინტერესო საკითხებს და შემდეგ კენჭს უყრიან. ცხადია, ის თემა იმარჯვებს, რომელიც მშობელთა მეტ ხმას მოაგროვებს. მშობელთა შეკრებებზე შეიძლება შემდეგი თემები განვიხილოთ:

- ბავშვის აღზრდა-განვითარება.
- ცუდი ყოფაქცევის გამოსწორება.
- ბავშვთა კვება.
- ბავშვთა დაავადებანი.
- სწავლა თამაშის პროცესში.
- თვითშეფასების ან ღირსების გრძნობის ჩამოყალიბება.
- მეტყველების განვითარება.
- ფიზიკური განვითარება.
- სათამაშოების შერჩევა.
- პროგრამის განხილვა.
- საზოგადოებრივი რესურსები.

კითხვარების შედგენისას ცალკე მიანიშნეთ, რა თემა განიხილება სემინარზე. დაწვრილებითი ინფორმაცია მშობლებს საშუალებას აძლევს, გაერკვნენ, მართლაც აინტერესებთ თუ არა თემა და წინასწარვე გადაწყვიტონ, დაესწრებიან თუ არა სემინარს. მაგ. :

ყოფაქცევის გამოსწორების ხერხები

სემინარზე განხილული იქნება, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, როდესაც ბავშვი უარს გვეუბნება დავალების შესრულებაზე, უწესოდ იქცევა, გვცემს და იცბინება.

ბავშვთა კვება

სემინარზე განხილული იქნება, რა საკვებია აუცილებელი სამიდან ხუთ წლამდე ბავშვებისათვის და რატომ. ასევე განვიხილავთ იმ საკვებს, რომელიც, ჩვეულებრივ, ბავშვებს უყვართ.

კითხვარები იმისთვის არის საჭირო, რომ მშობელთა შეკრებებზე სწორედ ის საკითხები განვიხილოთ, რაც მშობლებს აინტერესებთ. თუ ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა კითხვას მშობელი უარყოფითად უპასუხებს, მაშინ კითხვარის ფორმა უნდა შეიცვალოს.

ოჯახის ინტერესების განსაზღვრა:(პროგრამის თანამშრომელთათვის)

ეს პროცესი:

√ არკვევს, რა გზით სურთ მშობლებს პროგრამაში მონაწილეობა? ___ დიახ ___ არა

√ საშუალებას აძლევს მშობლებს, თუ ვერ გაერკვნენ რაიმე საკითხში, მობრძანდენ გასაუბრებაზე, თუ მხოლოდ მეორე კითხვარის შევსებას სთავაზობს? ___ დიახ ___ არა

√ სთხოვს მშობლებს, დაახასიათონ საკუთარი მონაცემები, ნიჭი და ინტერესები? ___ დიახ ___ არა

√ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ მშობლები მოვიზიდოთ და თანაც ისე, რომ მათ ეს ძალდატანებად არ მიიჩნიონ? ___ დიახ ___ არა

√ პატივს სცემს ეროვნულ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს? ___ დიახ ___ არა

√ საინტერესოა? (ათვალიერებინებს მშობლებს გასული წლის ალბომებს, იწვევს გასული წლის პროგრამაში მონაწილე მშობლებს გამოცდილების გასაზიარებლად და სხვ) ___ დიახ ___ არა

√ ითვალისწინებს მშობელთა აზრს, სთხოვს გასული წლის პროგრამაში მონაწილე მშობლებს, დაეხმარონ ახალ მშობლებთან ურთიერთობასა და მათი ინტერესების განსაზღვრაში? ___ დიახ ___ არა

მშობელთა მოთხოვნებისა და ინტერესების დადგენის პროცესი მთელი წლის განმავლობაში გრძელდება და თანდათანობით აღრმავებს ორმხრივ ურთიერთობას. მშობლებთან ახლო კონტაქტი პროგრამის მესვეურთ საშუალებას აძლევს, დამატებითი ინფორმაცია მოიპოვონ მშობელთა ნიჭის, ინტერესების, მოთხოვნების შესახებ და შეკრებებზე უფრო შესაფერისი თემები შესთავაზონ. პროგრამის პერსონალი თავად განსაზღვრავს, კიდევ რა სასარგებლო ღონისძიებების დაგეგმვაა შესაძლებელი და თავადვე ადგენს, როგორ შეიძლება ახალი გამოცდილების გამოყენება.

არაოფიციალური ღონისძიებებისა და შეხვედრების დაგეგმვა

რაკი მშობლებს თავისუფალი დრო არ ენანებათ შეკრებებზე დასასწრებად და პროგრამაში მონაწილეობის მისალებად, მათი ინტერესებისა და მოთხოვნების განსაზღვრის პროცესში, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, კონკრეტულად რა საქმიანობა ანიჭებს სიამოვნებას, თვითოეულ ოჯახს და მშობელს, მოცალეობის ჟამს. როგორც კი ამ ინფორმაციას მოვიპოვებთ, პროგრამის გეგმაში შემოქმედებითი იდეები მომრავლდება.

კითხვები ამ ინფორმაციის მოსაპოვებლად:

- რას აკეთებთ თავისუფალ დროს?
- როგორ ერთობით თქვენ და თქვენი ოჯახი?
- რის გაკეთებას ისურვებდით, დრო რომ გქონოდეთ?
- რის გაკეთებას ისურვებდით, რაც არასდროს გაგიკეთებიათ?

ამავე მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ ანკეტაც. სთხოვეთ მშობლებს, ანკეტაში აღნიშნონ ის საქმიანობა, რისი გაკეთებაც თავისუფალ დროს სიამოვნებას ანიჭებთ.

რისი გაკეთება გიყვართ თავისუფალ დროს?

____ ოჯახში ყოფნა.
____ კარტის თამაში.
____ საჭმლის მომზადება.
____ პარკში სეირნობა.
____ განმარტოვება.
____ წიგნის კითხვა.
____ სტუმრად წასვლა.
____ ჰაერზე ყოფნა.

რა საქმიანობას ანიჭებთ უპირატესობას შვილთან ერთად ყოფნისას?

____ თამაშობთ.
____ სუფთა ჰაერზე სეირნობთ.
____ ეკლესიაში დადიხართ.
____ ზღაპრებს ყვებით.
____ პარკში დადიხართ.
____ ნათესავებთან სტუმრობთ.

განრიგი

მშობლები ძირითადად, ძალიან დაკავებულები არიან. ამიტომ კრებებისა და სხვა ღონისძიებების განრიგი, შეძლებისდაგვარად, მოქნილი უნდა იყოს. შესაძლოა, მამები საღამოთი მოვიწვიოთ ხოლმე, დამხმარე ჯგუფებში სამუშაოდ, ხოლო არაოფიციალური შეხვედრები შაბათ-კვირას დავნიშნოთ. თუკი შეკრება შესაფერის დროს არის დანიშნული, კარგად არის ორგანიზებული, საშუალებას აძლევს ყველა მშობელს აქტიურად ჩაერთოს შეკრების პროცესში, ხაზგასმულია ორმხრივი ურთიერთობის უპირველესი მნიშვნელობა, შეკრება ხალისიანად მიმდინარეობს - დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მშობლები შეკრებებს აღარ გააცდენენ.

მშობელთა მონაწილეობს წამახალისებელი ღონიძიებები

სუფთა ჰაერზე

ლაშქრობა - მონაწილეები ბუნების წიაღში შესანიშნავად ისვენებენ და გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს.

სიმღერა - სიმღერა, თამაშები, ამბების თხრობა ყველას უყვარს.

ციგურაობა - თუ არავინ არის კარგი მოციგურავე, არა უშავს, მაინც ბევრს იცინებთ.

თევზაობა - ბავშვებსაც და უფროსებსაც იტაცებთ თევზაობა. წყალში ჭყუმპალი

და წუწაობა გართობის ამ სახობას კიდევ უფრო ხალისიანს ხდის

მშენებლობა ან სათამაშო მოედნების მოწყობა -- აქ ყველას შეუძლია ჩაერთოს. განსაკუთრებით აქტიურობენ მამები.

მებაღეობა – ბავშვები უვლიან მცენარეებს, თავად კრეფენ ხილსა და ბოსტნეულს. მშობლები ეხმარებიან სუფთა, ნატურალური მოსავალის აღებაში.

ფრანების დღესასწაული – ბავშვები მშობლებთან ერთად ამზადებენ ფრანებს. დღესასწაულზე ეპატიჟებიან მეგობრებს, ნათესავებს და ა. შ

კლუბები და ლექციები. სხვადასხვა ტიპის ჯგუფების ჩამოყალიბება მრავალ შესაძლებლობას სთავაზობს მშობლებს დასამეგობრებლად.

ჭრა-კერვის, ხატვის და ტანვარჯიშის კლასი-გაკვეთილებს ატარებს ერთ-ერთი თანამშრომელი ან მშობელი.

ხელმარჯვე ოსტატის კლუბი -მშობლები ერთმანეთს ასწავლიან სკამების, ავეჯის, აღჭურვილობის შეკეთებას, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის დაკერებას.

საიდუმლო მეგობრები – წლის დასაწყისში საიდუმლოდ დააწყვილეთ ორი მშობელი, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში ყურადღებას არ აკლებენ ერთმანეთს, ისე, რომ არც იციან ერთმანეთის ვინაობა (უგზავნიან მისალოც ბარათებს, წერენ წერილებს, ჩუქნიან საჩუქრებს და ა.შ.), წლის ბოლოს წყვილები საზეიმოდ ეცნობიან ერთმანეთს.

უფროსი ძმა ან უფროსი და – სთხოვეთ გასული წლის პროგრამაში მონაწილე მშობლებს, უფროსი დის ან ძმის როლი იკისრონ ახალბედა მშობლების მიმართ. ანუ დაეხმარონ, გაერკვნენ პროგრამის არსში, წააქეზონ შეკრებებზე დასასწრებად. პროგრამაში მონაწილე გამოცდილი მშობლები საუკეთესო დამხმარეები არიან პროგრამის წარმატებით განხორციელებაში.

საჭმელი და გართობა

სხვადასხვა ეროვნული კერძების ფესტივალის ჩატარება საუკეთესო ხერხია სხვადასხვა ეროვნებისა და კულტურის ხალხთა გასაცნობად და დასამეგობრებლად. წააქეზეთ მშობლები, სთხოვეთ, საგანგებო კერძი მოამზადონ ფესტივალისათვის. ჩამოაყალიბეთ მშობელთა და ბავშვთა ჯგუფები, როემლებიც საჭმელების მომზადებაში მიეხმარებიან გამოცდილ მზარეულებს. ფესტივალის განუყოფელი ნაწილია მუსიკა და ცეკვები. შესაძლოა, ბავშვებმაც წარმოადგინონ საკუთარი შემოქმედება (სიმღერა, ამბების თხრობა და სხვ.).

ასევე შეიძლება მოეწყოს "საყვარელი კერძის საღამო". მშობლები შვილებს უამბობენ საყვარელი კერძების შესახებ და შემდეგ ერთად ამზადებენ კერძებს საღამოზე წარმოსადგენად.

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმისა, რისი მოფიქრებაც შეგიძლიათ, რათა სასიამოვ-

ნოდ გაერთოთ მშობლებთან ერთად. მშობელთა ანკეტებისა და კითხვარების გაცნობის შემდეგ, შეგეძლებათ მრავალი ახალი ღონისძიება დაგეგმოთ. მცირედით დაიწყეთ და ყოველი გამარჯვების შემდეგ უფრო და უფრო გააფართოვეთ მოღვაწეობა. ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ მშობლები თან გაერთონ, თანაც ისწავლონ.

როგორ ჩავატაროთ კარგი შეკრება

სასიამოვნო და თავისუფალი ატმოსფეროს შექმნისათვის სხვადასხვა ხერხები უნდა მოვიფიქროთ. მაგ. სთხოვეთ მონაწილეებს ერთმანეთს სახელებით მიესალმონ, ანდა მისალმება გამოიხატოს საყვარელი კერძის დასახელებით, ანდა იმ ბოლო სიტყვით, რომელიც შეილმა უთხრა შინიდან წამოსვლისას. შეხვედრებს ატარებს აღმზრდელთა ჯგუფი, მშობლები, ადგილობრივი ხელმძღვანელობა, ან საზოგადოების სხვა წევრები.

- ეცადეთ დისკუსია აქტიურად წარიმართოს. ეს მიიღწევა მიზნობრივი კითხვების დასმით, მონაწილეთა დაწყვილებით, პატარა ჯგუფების ჩამოყალიბებით, რათა მონაწილეებმა უხერხულად არ იგრძნონ თავი აზრების გამოთქმისას.
- შეხვედრა კომფორტულ, მეგობრულ ვითარებაში ჩაატარეთ.
- უზრუნველყავით შეხვედრის ადგილი ბავშვთა მომვლელებით, იმ შემთხვევისათვის, თუ მშობლებს შინ ბავშვის დამტოვებელი არა ჰყავთ.
- სკამები წრეში განალაგეთ, რათა ყველას შეეძლოს ერთმანეთის დანახვა.
- თემის განსამტკიცებლად, მოიშველიეთ თვალსაჩინოებები - ჟურნალ-გაზეთები, სახელმძღვანელოები, თამაშები.
- თუ თქვენ განიხილავთ ბავშვთა განვითარების საკითხს, გამოიყენეთ აუდიო კასეტები, ანდა პროგრამის მონაწილე ბავშეთა სურათები.
- დაგზავნეთ პერსონალური მოსაწვევი ბარათები და შეეცადეთ, პირადად გაესაუბროთ თვითოეულ მშობელს.
- მოიტოვეთ დრო, რომ მშობლებმა ერთმანეთთან გასაუბრება შეძლონ.
- დააწყვილეთ აქტიური მშობელი ახალბედასთან. შესაძლებელია ისინი შეკრების დაწყებამდე შეხვდნენ ერთმანეთს და ისაუბრონ.
- მოკლედ იმსჯელეთ თემაზე, უფროსებსაც მალე ეფანტებათ ყურადღება, განსაკუთრებით მძიმე სამუშაო დღის შემდეგ.
- ხშირად იუმორით შეაზავეთ გამოსვლები. სიცილი ყველას უყვარს!

თუკი ოჯახმა ვერ შეძლო შეკრებაზე დასწრება, გაუგზავნეთ ბარათი, სადაც აღწერილი იქნება, რა საკითხები იყო შეკრებაზე განხილული და იმედი გამოთქვით, რომ შემდეგ შეკრებაზე შესაძლებლობა მოგეცემათ, იხილოთ ისინი.

მშობელთა შეკრების შეფასება

რადგან მშობელთა კრებები პროგრამის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, აუცილებელია, შევაჯამოთ და შევაფასოთ შედეგები, რათა არ გამოგვეპაროს მშობელთა მოთხოვნები და ინტერესები. მშობელთა კრების შესაფასებლად შესაძლებელია გამოვიყენოთ კითხვარები, ან ანკეტები.

მშობელთა კრების შეფასების ანკეტა

	დიახ	არა
მშობლებს ჰქონდათ შესაძლებლობა საკუთარი აზრი გამოეთქვათ ან გამოცდილება გაეზიარებინათ?	____	____
ფიზიკურად ყველა კარგად გრძნობდა თავს?	____	____
კრების თემა შეესატყვისებოდა მშობელთა ინტერესებს?	____	____
შეკრების ზოგი მონაკვეთი იყო თუ არა სახალისო?	____	____
მომხსენებელმა ერთზე მეტი თვალსაჩინოება გამოიყენა ინფორმაციის საილუსტრაციოდ? (სახელმძღვანელო, აქტივობა)	____	____
დაესწრებოდით შეკრებას, ეს რომ თქვენი სამსახურეობრივი მოვალეობა არ ყოფილიყო?	____	____
უზრუნველყოფილი იყო შეკრება ბავშვთა მომვლელებითა და ტრანსპორტით?	____	____
მშობლები გააცნეს ერთმანეთს?	____	____

კონფიდენციალობა

კონფიდენციალობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც იმ ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვა, რომელიც მშობელმა გაგვანდო და რომელიც მხოლოდ უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში უნდა გავუმხილოთ პროფესიონალებს, რომელთა დახმარება მხოლოდ სარგებლობას მოუტანს ოჯახს.

"ნაბიჯ-ნაბიჯ" პროგრამის პერსონალი ნდობის ატმოსფეროს ქმნის და განაწყობს მშობლებს, თანამშრომლებს თავისი დარდი გაუზიარონ. ხშირად მშობლები შვილებზე ესაუბრებიან მასწავლებლებს, ზოგჯერ საოჯახო პირობებს აცნობენ, ხშირად ძალზე პირად საკითხებსაც ანდობენ.

მეგობრული პროგრამის ჩამოყალიბებისათვის გაწეული შრომა წყალში გადაყრილი აღმოჩნდება, თუკი ოდესმე, რომელიმე მშობელი შეიტყობს, რომ მის მიერ საიდუმლოდ განდობილი ინფორმაცია, საჯარო მსჯელობის საგანი გახდა. ყველას, ვინც ჩართულია პროგრამის მუშაობაში, თანამშრომელი იქნება ეს თუ მშობელი, კარგად უნდა ახსოვდეს, რომ მშობლებთან საუბარი და ამ საუბრის მოკლე ჩანაწერი, საჯაროდ არ უნდა გახმაურდეს. ანუ დაცული უნდა იქნეს კონფიდენციალობა. ჩანაწერი ჩაკეტილი უნდა ინახებოდეს და მისი წაკითხვის უფლება მხოლოდ რამდენიმე წამყვან თანამშრომელს უნდა ჰქონდეს. მანაც ამ ჩანაწერის გატანისას, ხელი უნდა მოაწეროს საგანგებო ჟურნალში და აღნიშნოს გატანის თარიღი, დაბრუნების ვადა, ბავშვის გვარი და გატანის მიზეზი.

პროგრამის თანამშრომლები პასუხს აგებენ ყოველგვარი პირადი ინფორმაციის კონფიდენციალობაზე, ზეპირი იქნება ეს თუ წერილობითი. ვიდრე ინფორმაცია მშობელთა შესახებ სხვებს ეცნობება, საჭიროა მშობლების წერილობითი ნებართვა. მშობლებმა უნდა იცოდნენ, რა ინფორმაცია შეიძლება გაიცეს მათ შესახებ და რა მიზნით, აგრეთვე, მშობლებს უფლება აქვთ, რომ თავად ნებისმიერ დროს გაეცნონ ჩანაწერებს საკუთარი ოჯახისა და ბავშვის შესახებ.

პროგრამის პერსონალს წელიწადში ერთხელ მაინც უნდა ჩაუტარდეს საგანგებო დანიშნულების სემინარები, ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის შესასწავლად. კონფიდენციალობის შენარჩუნება რომ აუცილებელია, ეს ფაქტი მშობლებთან პირად საუბარშიც აღინიშნება და საერთო ჯგუფურ შეკრებებზეც.

პროგრამის მიერ ჩაწერილი ინფორმაცია ობიექტური, ფაქტობრივი და სასარგებლოც უნდა იყოს. ჭორები, ჩვეულებრივ, გამოუსადეგარია. ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაცია იმის დასტურია, რომ პროგრამის პერსონალს ნამდვილად შეუძლია ყოველ ოჯახსა და ბავშვს გაუწიოს შესაფერისი დახმარება.

პროგრამამ უნდა შეადგინოს წერილობითი კონფიდენციალობის პოლისი, რომელშიც აღინიშნება შემდეგი საკითხები:

- ადგილობრივ საზოგადოებრივ სააგენტოებსა და პიროვნებებისათვის ინფორმაციის გადაცემა.
- როგორ იყენებს პროგრამა კონფიდენციალურ ინფორმაციას.

- საგანგებო მომზადება ობიექტური საინფორმაციო ჩანაწერის გასაკეთებლად.
- მშობელთა უფლებები.
- თანამშრომლებისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება.
- დამსჯელი ზომები, რაც გამოიყენება კონფიდენციალობის დარღვევის შემთხვევაში.
- თანამშრომლებისა და მშობლების ამ საკითხში გათვითცნობიერება.

კონფიდენციალობის პოლისში აღნიშნული უნდა იყოს, რომ პროგრამის თანამშრომლები პროგრამის მონაწილე ბავშვებსა და მშობლებზე არავისთან არ იმსჯელებენ, საკუთარი ოჯახის წევრების ჩათვლით.

აგრეთვე პერსონალი ინფორმაციას არ გადასცემს ოჯახის დანარჩენ წევრებს, რომლებიც პროგრამაში თანამშრომლობენ. ამ ინფორმაციაში იგულისხმება პირადი საუბრები, მსჯელობა შეკრებებზე, მშობელთა მიერ საკუთარი მოსაზრებების გამოთქმა და სხვა. თუ გარეშე პირი ითხოვს ინფორმაციას ამა თუ იმ ოჯახის შესახებ, მან უნდა წარმოადგინოს ოჯახის წერილობითი თანხმობა.

სახელმძღვანელო ინსტრუქციები კონფიდენციალობის დაცვის უზრუნველსაყოფად

მშობლებს აქვთ უფლება, დარწმუნებული იყვნენ, რომ ნებისმიერი პირადი, ზეპირი თუ წერილობითი ინფორმაცია დაცული იქნება პროგრამის თანამშრომლების მიერ.

უნდა გვახსოვდეს შემდეგი პრინციპები:

1 მშობლები მათი საკკუთარი ოჯახის შესახებ ინფორმაციის პირველწყაროდ უნდა ჩავთვალოთ. მათ მიერ გამჟღავნებული ინფორმაციიდან უნდა ამოიკრიბოს არსებითი.

2 მშობლებს და მოხალისეებს ეკრძალებათ კონფიდენციალური ინფორმაციის წაკითხვა, გარდა იმ ჩანაწერებისა, რაც მათ და მათ შვილებს ეხებათ.

3 ბავშვებსა და ოჯახებზე ჩანაწერების წაკითხვის უფლება აქვთ მხოლოდ თანამშრომლებს, ანდა პროგრამის საგანგებო მრჩევლებს, თუკი ეს აუცილებელია.

4 ოჯახებს უნდა ეცნობოს ინფორმაციის გაცემის შესახებ. მშობლის მიერ ხელმოწერილ წერილობით თანხმობაში გარკვევით უნდა იყოს აღნიშნული, ვის შეიძლება მივცეს ინფორმაცია ამა თუ იმ ოჯახზე. თუ ეჭვი გვეპარება, ამა თუ იმ ინფორმაციის გაცემის აუცილებლობის თაობაზე, ერთხელ კიდევ უნდა ავიღოთ ნებართვა ოჯახის წევრებისაგან.

5 ინფორმაცია გარეშე პირებზე არ გაიცემა, მშობლების თანხმობაზე ხელმოწერის გარეშე, ან გაიცემა მხოლოდ ის ინფორმაცია, რაც ხელწერილში იქნება აღნიშნული.

6 კონსულტაციები სხვა სააგენტოებთან და გარეშე პირებთან დასაშვებია მხოლოდ ოჯახის თანხმობით.

7 მშობლებმა და მასწავლებლებმა წინასწარ უნდა დაგეგმონ, რა ინფორმაციის შეგროვება სურთ, ვის შეუძლია ამ ინფორმაციის მომზადება და როგორ.

8 მშობლებმა უნდა იცოდნენ, რა ფორმით გაიცემა ინფორმაცია, რა ფორმით მიეწოდება, საჭიროების შემთხვევაში, სხვა სააგენტოებს და როგორ არის დაცული ინფორმაციის კონფიდენციალობა.

9 ინახება მხოლოდ იმ ინფორმაციის ჩანაწერი, რომელიც გამოსადეგია ოჯახისათვის გარკვეული დახმარების აღმოსაჩენად. განსაზღვრეთ სააგენტოების მიერ ჩანაწერთა გამოყენების და მშობელთა თანხმობის პროცედურა.

[პედ სტარცი, სოციალური მომსახურების სასწავლო სახელმძღვანელო.]

მშობელთა პროგრამაში მონაწილეობის შესაძლებლობები

სტუმრობა ოჯახში:
ადრე შემოდგომა – სექტემბერი, ოქტომბერი. გაზაფხული – აპრილი, მაისი.

ანგარიში-მოხსენება:
დეკემბერი – წერილობითი ანგარიში, ანკეტები კომნეტარით.
მაისი – წერილობითი ანგარიში, მომდევნო, კლასში მუშაობის გამგრძელებელი მასწავლებლებისათვის.

კონფერენციები:
ნოემბერი – ყველა ოჯახის მონაწილეობით.
მარტი – ყველა ოჯახის მონაწილეობით.

წერილობითი კონტაქტები:
საკონტაქტო რვეულები – ყოველ კვირა ეგზავნება მშობლებს ბიულეტენები.
ყოველთვიური კალენდარი:
საგანგებო შენიშვნები – საჭიროების მიხედვით.
ბავშვთა ნამუშევრების ნიმუშები – ხშირად.

მშობლები კლასში:
დილით და საღამოს - ყოველდღიურად
განსაკუთრებულ დღეებში - დაბადების დღე, დღესასწაული.
ბავშვებთან მუშაობა - წინასწარ არის დაგეგმილი, კონკრეტული საქმიანობის აღნიშვნეით - კულინარია, კითხვა, ხეზე მუშაობა.
მშობელი ბავშვთან

მშობელთა კრებები:
პროგრამის "ნაბიჯ-ნაბიჯ" არსისა და სასწავლო მეთოდის გაცნობა - სექტემბერი.
ბავშვთა განვითარება - დისკუსიები ბავშვის განვითარების მხარეებზე და მშობელთა მიერ დასმულ პრობლემებზე - სიხშირე დამოკიდებულია მშობელთა ინტერესზე და მათ თავისუფალ დროზე.
მოწვეული მომხსენებლები. საგანგებო თემები - ბავშვის კვება, ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, მუსიკა.

საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქცევა

IV საზოგადოებრივი ერთობის შექმნა

ხუთი წლის ბავშვი 2012 წელს ოცდაერთი წლის პიროვნება იქნება. მას დღევანდელობისაგან სრულიად განსხვავებულ სამყაროში მოუწევს ცხოვრება. საზოგადოებები იცვლებიან. ქვეყნები გარდაიქმნებიან. რა უნდა იღონონ მშობლებმა და მასწავლებლებმა, როგორ უნდა მოამზადონ ბავშვი ისე, რომ, ის მომავალი ეპოქის წარჩინებულ მოქალაქედ ჩამოყალიბდეს? რა სოციალური ჩვევები დასჭირდებათ მას? ბრაზილიელი საზოგადო მოღვაწე პაოლო ფრეირი თვლის, რომ მასწავლებელმა ოცნებითა და ფანტაზიით უნდა იხელმძღვანელოს. "მე პატივს არ ვცემ იმ მასწავლებელს, რომელიც არ ოცნებობს გარკვეული, თუნდაც, უტოპიური საზოგადოების ჩამოყალიბებაზე, სადაც იგი ბედნიერად იგრძნობს თავს." – აცხადებს ბრაზილიელი მოღვაწე.

ჩვენ გვეძლევა შანსი შევქმნათ ისეთი საზოგადოებრივი ერთობა, სადაც ერთმანეთს გავუზიარებთ ჩვენს ოცნებებს ჩვენი შვილების ნათელი მომავლის შესახებ და ერთად ვადევნებთ თვალს მათს წინსვლასა და წარმატებებს. ისეთი საზოგადოებრივი ერთობის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვებში მომავალი ეპოქისათვის აუცილებელი სოციალური ჩვევების აღზრდას, "ნაბიჯ-ნაბიჯ' პროგრამის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს.

რუთ ჩარნი წიგნში "როგორ ვასწავლოთ ბავშვებს ერთმანეთზე ზრუნვა" წერს: "დღეს მთავარია, მოვახერხოთ ჩვენი მეობის ტყვეობიდან თავის დაღწევა. ვისწავლოთ თვით კონტროლი- მართვის გაკვეთილებზე. ჩვენ გზა უნდა ვიპოვოთ ერთმანეთისაკენ და შევძლოთ ჯგუფებად გაერთიანება – იქნება ეს ინტიმური ჯგუფი, საზოგადოებრივი ერთობის, თუ მსოფლიო ჯგუფი. ბავშვებს ის უნდა ვასწავლოთ, როგორ გასცენ სიყვარული და როგორ მოიპოვონ იგი, როგორ იზრუნონ სხვებზე და როგორ დააფასონ სხვების ზრუნვა" (1992, გვ, 32).

ჩარნის მიაჩნია, რომ მასწავლებლმა იმისათვის, რომ საზოგადოებრივი ერთობის ჩამოყალიბება შეძლოს შემდეგი პირობები უნდა უზრუნველყოს:

ბავშვებმა უნდა იცოდნენ ერთმანეთის სახელები: ბავშვები ერთმანეთს სახელებით მიმართავენ და სწავლობენ ერთმანეთის ჭირისა და ლხინის გაზიარებას.

უნდა შეეძლოთ რიგის დაცვა: ბავშვები სწავლობენ რიგის დაცვას. მომავალში ეს თვისება ძალიან გამოადგებათ და აუღელვებლად დაელოდებიან თავის რიგს.

შეეძლოთ გაღება: ბავშვები სწავლობენ, როგორ უნდა დაუთმონ ერთმანეთს დრო, ყურადღება, ნივთები და სათამაშოები.

ადგილის დათმობა: ბავშვები სწავლობენ, როგორ უნდა დაუთმონ ადგილი ახლად შემოსწრებულებს და ისხდნენ იმ ბავშვების გვერდით, ვინც მათი საუკეთესო მეგობრები არ არიან.

აქტივობაში ჩაბმა: ბავშვები სწავლობენ, როგორ უნდა ჩაებან ჯგუფურ აქტივობაში.
სხვების ჩაბმა საქმიანობაში: ბავშვები სწავლობენ, როგორ ჩააბან სხვები საქმიანობაში.

მეგობრობა: ბავშვები სწავლობენ, როგორ გამოხატონ ინტერესი და თანაგრძნობა სხვების მიმართ.

თანამშრომლობა: ბავშვები სწავლობენ, როგორ იმუშაონ ერთობლივად პროექტებზე, როგორ გადაწყვიტონ პრობლემები ერთად, როგორ ჩამოყალიბდნენ გუნდად, როგორ გაერთიანდნენ ჯგუფებში.

კონფლიქტების მოგვარება: ბავშვები სწავლობენ, როგორ ისაუბრონ პრობლემებზე, როგორ გამოხატონ საკუთარი გრძნობები და აზრები, როგორ მოაგვარონ კონფლიქტები.

განწყობილების შექმნა

აღმზრდელობითი ჯგუფი აწყობს საკლასო ოთახს, არჩევს მასალას, ადგენს დღის წესრიგს, გეგმავს სასწავლო პროგრამას და რაც ყველაზე მეტად არის მნიშვნელოვანი, ქმნის განწყობილებას. სწორედ ამ განწყობილებაზეა დამოკიდებული საკლასო ოთახის ატმოსფერო, ურთიერთპატივისცემა, გულწრფელობა, იუმორი და ხალისი კლასში. მარფი და ლიპერი აღნიშნავენ:

"კლასში ბავშვზე ყველაზე დიდ გავლენას მასწავლებელი ახდენს. მთელი პროგრამა მასზეა დამოკიდებული. იგი უძღვება კლასს. დამხმარე უფროსები ხელს უწყობენ მასწავლებლის ბავშვებთან ურთიერთობის გაღრმავებას. . . პროფესიონალ, მცოდნე მასწავლებელს, რომლის უპირველესი მიზანი არის ბავშვებზე ზრუნვა, შეუძლია, მართლაც, რთული და საინტერესო პროგრამის განხორციელება, მაშინაც კი, თუ ამისათვის იდეალური ფიზიკური პირობები არ არსებობს... კარგი მასაწავლებელი კარგად მოწყობილ გარემოს წარმატებით იყენებს ბავშვის სასიკეთოდ" (მარფი და ლიპერი, 1974).

ურთიერთპატივისცემა ჯანსაღი საკლასო კოლექტივის აუცილებელი პირობაა. მასწავლებლები მაგალითს აძლევენ ბავშვების ქცევას, ურთიერთპატივისცემასა და მზრუნველობაში. ბავშვებში ღირსების გრძნობის ჩამოყალიბება, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დონეზე შეუძლიათ მათ სხვების პატივისცემა. საკუთარი ღირსების გრძნობა კი, სხვებთან კარგი ურთიერთობის საფუძველია.

როდესაც აღმზრდელობითი ჯგუფი პატივისცემას გამოხატავს ყოველი ბავშვის მიმართ, ბავშვებიც სწავლობენ, როგორ უნდა მოექცნენ სხვებს - მაგალითად, ბავშვს, რომელიც სხვებზე ცუდად დარბის, ან მეორე ბავშვს, რომელიც შესანიშნავად ხატავს, ან თუნდაც, უცნაურ, ცუდი ყოფაქცევის ბავშვს. როდესაც ბავშვები გრძნობენ, რომ ყოველ მათგანს

ბავშვის მიმართ პატივისცემის გამომჟღავნების გზები

√ ბავშვს მუდამ სახელით მიმართეთ.

√ რაც შეიძლება ხშირად მიმართეთ თითოეულ ბავშვს პირადად.

√ როდესაც ბავშვს ესაუბრებით, შეეცადეთ ბავშვის სიმაღლეზე აღმოჩნდეთ: ჩაიმუხლეთ ან დაბალ სკამზე დასხედით.

√ ყურადღებით მოუსმინეთ, რას გეუბნებათ ბავშვი და შეეცადეთ, სათანადო პასუხი გასცეთ.

√ თუკი ბავშვებს დაპირდებით რაღაცის გაკეთებას, აუცილებლად შეასრულეთ დანაპირები.

√ გულწფელად დააფასეთ ბავშვის შრომა.

√ მიეცით ბავშვს საშუალება, სხვებს გაუზიაროს თავისი ინტერესები, დაათვალიერებინოს თავისი ნამუშევრები.

√ გამოიყენეთ ბავშვთა მოსაზრებები და წინადადებები და აღნიშნეთ მათი წვლილი ან დამსახურება.

√ ბავშვებსა და მსაწავლებლებს შორის კლასში ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო უნდა სუფევდეს.

პატივისცემით ეპყრობიან, ისინი მალე გაშინაურდებიან, გასთავისუფლდებიან დაძაბულობისგან და უკეთ გამოავლენენ საკუთარ თავსა და მისწრაფებებს.

აღმზრდელობითმა ჯგუფმა კარგად უნდა გააცნობიეროს, რომ ბავშვები, ისევე როგორც უფროსები, კარგად გრძნობენ და ხვდებიან მათ მიმართ დამოკიდებულებას და უპატივცემულობა ღირსებას ულახავთ.

ბავშვის ნამუშევარი აუცილებლად უნდა შევაქოთ, პირადად, ბავშვის თანდასწრებით. ურთიერთობა ბავშვთან უნდა იყოს ბუნებრივი და ყოველგვარ ძალდატანებას უნდა ვერიდოთ.

ბავშვებს ძალიან უყვართ და კარგად იგებენ მათი ასაკის შესაფერის ხუმრობას. უფროსებს არ უნდა ეშინოდეთ, რომ კლასში წესრიგი დაირღვევა, თუ ბავშვებთან ერთად იცინებენ და იხუმრებენ. პირიქით, ხუმრობა და სიცილი თბილ, მეგობრულ ურთიერთობას ბადებს ბავშვებსა და მასწავლებლებს შორის და ხელს უწყობს კლასში ერთობლივ მუშაობას.

განსხვავებული აზრის, კულტურის, ეროვნების პატივისცემა

დღევანდელ აღსაზრდელებს მომავალში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოუწევთ სხვადასხვა ხალხთან ურთიერთობა. მსოფლიოში სხვადასხვა ეროვნებისა კულტურის ხალხები ცხოვრობენ და უცხო ენებზე საუბრობენ. აუცილებელია, ბავშვს წინასწარ ვასწავლოთ სხვა ეროვნებისა და კულტურის ხალხთა პატივისცემა და მათ გვერდით მშვიდობიანი თანაარსებობა. ადამიანებმა, თუკი ბავშვობაშივე არ ისწაელეს განსხვავებული აზრის, კულტურისა და ეროვნების პატივისცემა, მომავალში მრავალი პრობლემების წინაშე აღმოჩნდებიან.

პატარა ბავშვები თანდათან ერკვევიან გარე სამყაროში, საკუთარი გამოცდილების საფუძველზე უყალიბდებათ გარკვეული აზრი ამა თუ იმ მოვლენის შესახებ. ისინი ცდილობენ, გაერკვნენ მსგავსებისა და სხვაობის ცნებებში. მშობლებმა და მასაწავლებლებმა ბავშვს გეზი უნდა მისცენ.

"ნაბიჯ-ნაბიჯ" პროგრამის მიხედვით, მრავალსახეობისა და განსხვავებული აზრის, კულტურის, ეროვნების ფაქტორებს გვერდი კი არ უნდა ავუაროთ და მოვერიდოთ, არამედ, პირიქით, უნდა დავაფასოთ, შევისწავლოთ. მასწავლებელთა და მშობელთა ვალია, ბავშვებს აუხსნან, რა მწარეა, თუკი ვინმე აგითვალიწუნებს, ამოგიჩემებს და დაგჩაგრავს. სამართლიანობა ბავშვებისათვის ძალზე მნიშვნელოვანი გრძნობაა და სწორედ, ეს დაგვეხმარება ცხადად დავანახოთ ბავშვებს, რა უსამართლობაა მეზობლების ან მეგობრების სხვადასხვა ფენებად ან კატეგორიებად დაყოფა.

მრავალეროვან საზოგადოებაში ცხოვრება და შეგუება გარკვეულ დროსა და გამოცდილებას მოითხოვს. პროგრამის მონაწილე ბავშვები თავიდანვე იმ შეგნებით უნდა აღვზარდოთ, რომ განსხვავებულ ერში, ადამიანში დადებითი თვისებები ეძიონ და აღმოაჩინონ. განსხვავების, სხვაობის თემები ფართოდ არის გაშუქებული სასწავლო პროგრამაში და ცხრილშიც საკმარისი დრო ეთმობა. ეს დაკარგული დრო არ არის. ამ დროს შეძენილი ცოდნა ბავშვებს საკუთარი თავის შეცნობაში დაეხმარება. მასწავლებელთა მოხსენებებიდან ირკვევა, რომ განსხვავებულ კულტურაზე მსჯელობისას მთელი კლასი აქტიურად არის

ჩართული გაკვეთილის მსვლელობაში და აღწერით აზროვნებას – ანალიტიკური აზროვნება ცვლის.

მასწავლებელი სხვაობისა და მსგავსების ცნებებში გასარკვევად ბავშვებთან ურთიერთობაში ამგვარი სტრატეგიით ხელმძღვანელობს:

> ყურადღებით უსმენს ბავშვების საუბარს.
>
> მშვიდ თავისუფალ ატმოსფეროს ქმნის, რომ ბავშვებს ადვილად შეეძლოთ საკუთარი აზრების ჩამოყალიბება და გამოთქმა.
>
> მიმართავს წახალისების სხვადასხვა ფორმას. ბავშვებს აქებს შემდეგი სიტყვებით: "მე მჯერა შენი".
>
> განმარტავს ამოცანას, რამდენჯერმე იმეორებს მთავარ დებულებას, სიტყვებსა და ფრაზებს.
>
> მიმართავს წახალისებას, წაქეზებას
>
> მიმართავს წახალისებას, წაქეზებას: "ღმერთო ჩემო, რა საინტერესო აზრია", "როგორ მოიფიქრე?", "რამ გაფიქრებინა?", "სხვა აზრი ხომ არა აქვს ვინმეს?", "ერთხელ ვიღაცამ მითხრა..." "როგორ ფიქრობ?..."
>
> ცდილობს, არ შეაფასოს ბავშვების აზრები შემდეგი გამოთქმებით: "კარგი აზრია", "სწორი გადაწყვეტილებაა", რადგან ამგვარი შეფასება ბავშვებს აფიქრებინებს, რომ რაღაც საკითხზე მხოლოდ ერთადერთი სწორი პასუხი არსებობს და მასწავლებელიც მათგან სწორედ ამ პასუხს მოითხოვს (რედლიფ პრესი, 1991, გვ. 119-200).

დისკრიმინატორულ გამოხტომებზე მასწავლებლის საპასუხო რეაქცია შემდეგნაირი უნდა იყოს:

- არ წაუყრუოთ.
- უნდა ახსნათ, რა მოხდა და დიალოგისაკენ მოუწოდოთ მონაწილეებს.
- გამოთქვათ საკუთარი დამოკიდებულება.
- შეეცადეთ გაუგოთ ორივე მხარეს.
- გამოხატეთ საკუთარი უარყოფითი დამოკიდებულება.
- მოიყვანეთ სანიმუშო ქცევის მაგალითი მოცემულ სიტუაციაში.
- ჩაერიეთ საუბარში.
- ნუ განსჯით.
- განმარტეთ, რით განსხვავდება კატეგორიული და სტერეოტიპული აზროვნება.

სასწავლო გარემო და პროგრამა უნდა ასახავდეს მოსწავლეების და მათი ოჯახების ეროვნებას, კულტურას, ენას და ადთ-ჩვეულებებს. დართული ანკეტა დაგეხმარებათ კულტურული მრავალფეროვნებით გაამდიდროთ პროგრამა.

მასწავლებლის პასუხისმგებლობა.

ბავშვები გაცილებით უკეთ უვლიან თავიანთ ნივთებს, ზრუნავენ პირად სისუფთავეზე და

დამოუკიდებლად ართმევენ თავს მოცემულ სამუშაოს, ვიდრე ეს უფროსებს წარმოუდგენიათ. ყველა კარგად შედგენილი საბავშვო პროგრამა ცდილობს ბავშვებს უამრავი შესაძლებლობა მისცეს იმისათვის, რომ დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები, თავად იგრძნონ პასუხისმგებლობა და რაც შეიძლება მეტად გამოამჟღავნონ დამოუკიდებლობა. ყოველი გამოცდისა და გამარჯვების შემდეგ ბავშვები უფრო მეტად ეუფლებიან გარკვეულ საგანს და თვით-რწმენა უმტკიცდებათ.

მასწავლებელმა ბავშვები დამოუკიდებლობას უნდა მიაჩვიონ. ბაგა-ბაღის ბავშვებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ისწავლონ დამოუკიდებლად ჭამა, ჩაცმა და ტუალეტით სარგებლობა. როდესაც უფროსები აჭმევენ ბავშვებს, ასუფთავებენ, აცმევენ, ანდა სხვაგვარად ანებივრებენ, ამით ისინი ბავშვს ჩააგონებენ, რომ მას ამის გაკეთება დამოუკიდებლად არ შეუძლია. მასწავლებლებმა ბავშვები სწორედ იმაში უნდა დაარწმუნონ, რომ თვითონაც მშვენივრად გაართმევენ ყველაფერს თავს. ბავშვები სიამაყით ივსებიან, როდესაც თავად მოახერხებენ პალტოს ჩაცმას ან სუფრის ალაგებას.

მასწავლებლებმა კარგად უნდა გააცნობიერონ განსხვავება ჩარევასა და დახმარებას შორის: ბავშვს უნდა დავეხმაროთ, როდესაც იგი ვერ უმკლავდება ფიზიკურად ან ასაკობრივად შეუსაბამო საქმეს, მაგრამ არასოდეს არ უნდა ჩავერიოთ, როდესაც იგი ძალას არ იშურებს რაღაც დავალების დამოუკიდებლად შესასრულებლად. ხშირად მასწავლებლები ვერ ითმენენ და ერევიან, რადგან, მართლაც, მათი დახმარებით საქმე უფრო სწრაფად და მარტივად მიდის წინ და საქმეს შეჭიდებული ბავშვების ცქერაც გულს გვიჩუყებს. მაგალითად, თუკი ბავშვი ვერაფრით ვერ ჭრის ხორცს, მასწავლებლებმა უნდა შესთავაზონ მოხარშული კარტოფილის, პურის და სტაფილოს დაჭრა.

ბავშვებში თავიდანვე უნდა აღვზარდოთ პასუხისმგებლობის გრძნობა, რათა მომავალში ისინი პასუხისმგებლობით აღსავსე მოქალაქეებად ჩამოყალიბდნენ. ყოველდღიური ვარჯიშით, ბავშვები თანდათან აცნობიერებენ, როგორ მოიხმარონ მატერიალური საგნები და როგორ იურთიერთონ ადამიანებთან. სკოლამდელი აღზრდა-განათლების პროგრამა მრავალ შესაძლებლობას სთავაზობს ბავშვებს ამ ძალზე მნიშვნელოვანი საყოფაცხოვრებო ჩვევების დასაუფლებლად. წარწერებითა და მიმანიშნებელი ნახატებით დანიშნული თაროები, ბავშვებს თავიდანვე აჩვევს ნივთების თავ-თავის ადგილზე დაწყობას. მორიგეობის დაწესება და ბავშვებს შორის მოვალეობის განაწილება, როგორიცაა, მიმტანი (საუზმის შემოტანა, სუფრის გაწყობა და ალაგება) დამლაგებელი (იატაკის დაგვა), ზოოპარკის მუშაკი (შინაური ცხოველების დაპურება), ბოტანიკოსი (მცენარეების მორწყვა), საშუალებას აძლევს ბავშვებს აქტიურად ჩაებან კლასგარეშე საქმიანობაში.

როდესაც ბევშვები ჩართულნი არიან საკლასო წესების ჩამოყალიბებაში და ცდილობენ დაიცვან ეს წესები, ისინი დემოკრატიულ საზოგადოებაში დამკვიდრებულ წეს-ჩვეულებებს იძენენ. როდესაც მასწავლებელი 10 ბავშვისაგან მოითხოვს თავად გამოიტანონ განაჩენი, ბავშვები ეჩვევიან იმ აზრს, რომ ყოველ მოქმედებას შესაბამისი შედეგი მოჰყვება. კლასში, რომლის ცენტრსაც ბავშვი წარმოადგენს, ბავშვებს ენდობიან და თავის წილ პასუხისმგებლობას აკისრებენ. ისინი დამოუკიდებლად უძღვებიან საქმეს და საქმის მართვაშიც მონაწილეობენ. მასწავლებლები დიდი სიამოვნებით რთავენ ბავშვებს სასწავლო პროგრამის მართვის პროცესში.

საზოგადოებად ჩამოყალიბებული კლასი დინამიური კლასია. მოსწავლეები ენერგიითა და ხალისით მუშაობენ. ბავშვები, რომლებსაც საშუალება აქვთ თავად ჩაატარონ გაკვეთილები, საოცარ პასუხისმგებლობას ამჟღავნებენ და ყოველთვის ამართლებენ მასწავლებელთა ნდობას. მათ უძლიერდებათ თვით-რწმენა, პასუხისმგებლობა და ძალ-ღონეს არ იშურებენ წარმატების მისაღწევად.

გადაწყვეტილების მიღება

ბავშვზე ორიენტირებული კლასის არსებითი ნიშანია ბავშვებში გადაწყვეტილების მიღების უნარის აღზრდა. აქტივობის, მასალის, საკვებისა და ტანსაცმლის დამოუკიდებლად არჩევა, ბავშვებს გადაწყვეტილების მიღებას აჩვევს, ისინი თავიდანვე პასუხს აგებენ საკუთარ არჩევანსა თუ მოქმედებაზე და აცნობიერებენ, რომ ყოველ მოქმედებას გარკვეული შედეგი მოსდევს. ბავშვი ამგვარ შეკითხვებს უსვამს თავს "ახლა თუ კუბურებით ვითამაშებ, კულინარიის გაკვეთილი გამიცდება. რა უფრო მნიშვნელოვანია ჩემთვის?".

როდესაც მასწავლებელი ბავშვებს სთავაზობს კენჭი უყარონ კლასის ბაჭიისათვის ახალი სახელის დარქმევას, ბავშვები სწავლობენ, რომ მათ, როგორც ჯგუფს, გარკვეული ზემოქმედების მოხდენა შეუძლიათ გადაწყვეტილებაზე. ისინი იმასაც სწავლობენ, რომ დემოკრატიულ პირობებში ჯგუფმა შესაძლოა, მხარი არ დაუჭიროს მათ პირად არჩევანს.

არჩევანის გაკეთების უნარი ვარჯიშით ყალიბდება. სკოლამდელი პროგრამა ბავშვებს არჩევანის მრავალ შესაძლებლობას სთავაზობს: სად დაჯდეს წრეში, რომელი აქტივობის ცენტრში იმუშაოს, ვისთან ერთად ითამაშოს ეზოში, დიდი ბურთი ისროლოს თუ პატარა, პლასტელინისაგან რა გამოძერწოს. არჩევანის პროცესს ფიქრი და განსჯა აფერხებს, არჩევანის გაკეთების უნარი გამოცდილებითა და პრაქტიკით მიიღწევა. იმ პროგრამის მონაწილე ბავშვები სადაც არჩევანის უნარის აღზრდა სასწავლო პროგრამაშია შეტანილი, სწავლობენ, რას ნიშნავს აწონ-დაწონვა, შეფასება, სასარგებლო და მომგებიანი გადაწყვეტილების მიღება. ბავშვობაში ჩამოყალიბებული არჩევანისა და გადაწყვეტილების უნარი, მათ გაცილებით გაუადვილებთ ამ რთულ სამყაროში ცხოვრებას.

საკლასო წესები

შეზღუდვის აუცილებლობა

ჩვენს ოჯახებში ყველა ჩვენი წესების, განრიგისა და რიტუალების შესაბამისად ვცხოვრობთ. ჩვენებური ცხოვრების წესი ჩვენთვის მოხერხებულია. ჩვენ გვეჩვენება, რომ სწორედ ასე უნდა მოვიქცეთ და ვიცხოვროთ. ჩვენ ჩვენივე ცხოვრების წესს "მართებულად" აღვიქვამთ. ბავშვები მიჩვეულნი არიან ოჯახის წესებსა და მათ ბუნებრივად მისდევენ.

სკოლამდელი ასაკის ბავშვს, სკოლაში ან ბაღში, ჯგუფური ცხოვრებისა და მუშაობისათვის აუცილებელი წესების შესრულება უხდება, რაც, შესაძლოა, სრულიად განსხვავდება შინაური წესებისაგან. საკლასო წესების ხასიათი და არსი სხვადასხვაგვარია და ძირითადად დამოკიდებულია მასწავლებელზე, პროგრამაზე, ცხრილზე, ფიზიკურ გარემოზე და თავად ბავშვებზე. ბავშვების უმრავლესობა მოწადინებულია ზუსტად შეასრულოს სკოლის წესები. ისინი უკეთ იქცევიან, როდესაც ზუსტად იციან რისი გაკეთება შეიძლება და, რისი – არა და, რა მოსდევს წესრიგის დარღვევას.

ბავშვები სხვადასხვაგვარად ასრულებენ წესებს და განსხვავებულად იქცევიან. ერთ-ერთი საუკეთესო ხერხი, რომელც დაგვეხმარება ბავშვებმა ძალდაუტანებლად დაიცვან წესრიგი, არის თავად ბავშვების ჩართვა წესების დადგენისა და ჩამოყალიბების, შეცვლისა და ახალი წესების შემოღების პროცესში.

ბავშვებთან მუშაობის პროცესში ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ბავშვები თვით-კონტროლს მივაჩვიოთ. შეუფერებელი ყოფაქცევის შედეგებზე საუბრითა და ახსნით, მასწავლებელი ეხმარება ბავშვებს თავად გააცნობიერონ ცუდი ქცევის უარყოფითი მხარეები და ეძიონ გამოსწორების გზები. ამით ბაშვები თვითმართვას ანუ თვითკონტროლს ეჩვევიან. ბავშვთა ჩართვა წესრიგის დაცვის პროცესში გაცილებით უკეთეს ნაყოფს გამოიღებს, ვიდრე ტრადიციული წახალისება-დასჯის მეთოდი. საკლასო წესების დადგენა და შესრულება მიზნად ისახავს ბავშვთა თვითკონტროლის ამაღლებას.

ზოგადი მითითებები საკლასო წესების შესახებ

- მასწავლებლებს ცხადად უნდა ჰქონდეთ წარმოდგენილი, რა არის დასაშვები და რა – არა.
- აღმზრდელთა ჯგუფს კარგად უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული, თე რას ნიშნავს მოსაწონი საწციელი.
- აღმზრდელთაა ჯგუფმა ბავშვებთან ერთად უნდა დაადგინოს წესები.
- დროდადრო ბავშვები უნდა დარწმუნდნენ, რომ წესები ერთნაირად მოქმედებს კლასის ყველა წევრზე.

თანმიმდევრობის მნიშვნელობა

უფროსი, რომელიც იცავს სამართლიანობას და არ არღვევს წესებს, კარგ მაგალითს აძლევს ბავშვებს. ბავშვები მშვიდად არიან, როდესაც უფროსი თავს კარგად ფლობს. სიცხადე მრავალ პოტენციურ პრობლემას აგვაცილებს. თუკი ბავშვებმა იციან, რომ ეზოდან დაბრუნებისთანავე ქურთუკები მათთვის განკუთვნილ კარადებში უნდა დაკიდონ, ხოლო წიგნის არჩევის შემდეგ საკითხავად მოემზადონ, და თუკი ისინი ამას ყოველდღიურად გაიმეორებენ, მათ ამგვარი მოქმედება ჩვევად ექცევათ, ამ წესს მტკიცედ შეითვისებენ და არ დაარღვევენ. თუკი განრიგი არ არის ზუსტი, საკლასი წესები კი - გარკვეული და ბავშვებმა არ იციან, რას მოითხოვენ მათგან უფროსები, კლასში ქაოსი ისადგურებს, ბავშვები აქეთ-იქეთ აწყდებიან, დარბიან, ხმაურობენ და იკლებენ იქაურობას.

თანმიმდევრულობის დაცვა. თავად გარემო პირობები კარნახობს ბავშვს, როგორ უნდა მოიქცეს. თანმიმდევრულობა ისეთ ატმოსფეროს ქმნის, რომ ცნობიერად თუ არაცნობიერად ბავშვს წესრიგისაკენ განაწყობს.

- ყველა ბავშვს გააცანით წესები; მაგალითად ერთ-ერთი წესი შეიძლება იყოს "ცემა აკრძალულია." თქვენ ამგვარად უნდა განმარტოთ: "სხვებს კეთილად უნდა მოვეპყრათ, არავის დაარტყათ. მეც არავის მივცემ უფლებას თქვენ გცემოთ".
- ბავშვს მუდამ უნდა განუმარტოთ მიზეზი, რის საფუძველზე შეიქმნა ესა თუ ის წესი. თუკი ბავშვებმა ცემა-ტყება ატეხეს, თქვენ ჯერ ისინი უნდა გააშველოთ და შემდეგ აუხსნათ, რატომ არ უნდა სცემონ ერთმანეთს და რა შედეგი

შეიძლება მოჰყვეს ცემას.
- წესები მტკიცებითი ფორმით უნდა ჩამოაყალიბოთ, ნაცვლად იმისა, რომ თქვათ "ნუ დარბიხართ", ბავშვებს უნდა უთხრათ "გთხოვთ, იაროთ".

ზოგი წესი და შეზღუდვა სხვადასხვა მასწავლებლის ხელში სახეს იცვლის; აგრეთვე, ბევრია დამოკიდებული ჯგუფზეც, მაგალითად:

- ხმაურისადმი დამოკიდებულება, კლასის აკუსტიკური პირობებიდან გამომდინარე, სხვადასხვაგვარია. ამდენად, წესები რომელთა მიხედვით დაშვებულია – "ლაპარაკი" კლასში და "ყვირილი" ეზოში, სხვადასხვაგვარად დგინდება.

- აგრეთვე, კლასში სირბილის ამკრძალავი წესებიც იქედან გამომდინარეობს, რა ფართობია კლასში და რა შესაძლებლობას იძლევა ეზო.

ბავშვთა ჩართვა წესების ჩამოყალიბებაში

როდესაც გარემო პირობები იწვევს ბავშვების უწესო ქცევას, ზედმეტ აღგზნებას ან უგუნებობას, საჭირო ხდება გარკვეული შეზღუდვების ან ლიმიტის დაწესება და თავად ბავშვების ჩართვა ამ წესების ჩამოყალიბების პროცესში. მაგალითად:

ევანი და მაიკლი კუბურებით მშენებლობაზე მუშაობენ. მათ ააშენეს გასტრონომი და ერთი სული აქვთ მასწავლებელთან მოიწონონ თავი. ამ დროს, გამოიქცა მარიანა, დაეჯახა "გასტრონომს" და დაანგრია. დავუშვათ, ეს შემთხვევით არ მომხდარა, ანდა ყოველდღიური მოვლენაა ხოლმე. როგორ იქცევა მასწავლბელი?

მასწავლებელმა ერთად უნდა დასხას სამივე ბავშვი და ჰკითხოს:

- რა მოხდა?
- რამ გამოიწვია პრობლემა?
- როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდეს?

როგორც კი ბავშვები გააცნობიერებენ, რომ მთავარი მიზეზი კლასში სირბილი ყოფილა, ისინი მარტივად გამოიტანენ დასკვნას. მასწავლებელმა ისე უნდა წარმართოს საუბარი, რომ ბავშვებმა თავადვე დაასკვნან: *სირბილი კუბურების ცენტრში აკრძალულია!.* როგორც კი ბავშვები ამგვარ დასკვნამდე მივლენ, მასწავლებელმა მათ უნდა ჰკითხოს: "როგორ გავაგებინოთ ეს გადაწყვეტილება დანარჩენ ბავშვებს?". შესაძლოა, ბავშვებმა თვითონვე მოითხოვონ აბრის გაკვრა წარწერით "ფრთხილად!" ან "აქ სირბილი აკრძალულია!". შესაძლოა, მათ ამ აბრის გაკეთება მასწავლებელს სთხოვონ.

ამგვარი რამ შეიძლება სხვა ბავშვებსაც ნებისმიერ დროს შეემთხვეთ. მასწავლებელმა ეს წესი მათაც უნდა გააცნოს. როდესაც ახალი წესის შემოღებას ვაპირებთ, ბავშვები თავად პრობლემაზე, მის გადაწყვეტასა და აღმოფხვრაზე უნდა დაფიქრდნენ და არა იმ კონკრეტული ბავშვის საქციელზე, რომელმაც ამ მომენტში გამოიწვია პრობლემა.

საკლასო წესების გადახალისება

თუ ბავშვები არ ასრულებენ დადგენილ წესებს, აღმზრდელია ჯგუფი ხელახლა მსჯელობს შემდეგ საკითხებზე:

- ბავშვებისათვის ნამდვილად გასაგებია, რას მოითხოვეენ მათგან?
- ზედმეტად რთული ხომ არ არის მათთვის მოცემული აქტივობა?
- დიდ ხანს ხომ არ უწევთ ბავშვებს ჯდომა? ან მწკრივში დგომა?
- ბავშვებს საკმარისი დრო რჩებათ მოძრაობისათვის?
- უფროსები ხომ არ ასრულებენ ბავშვების სამუშაოს, ხოლო ბავშვები კი მათ შესცქერიან?
- რა განსაკუთრებული მიზეზები არსებობს, კონკრეტული ბავშვის ცუდი ყოფაქცევისათვის? (მაგალითად, ოჯახური პირობები, გარემო პირობებთან შეგუების პრობლემა)

როდესაც მშობლებს და ბავშვებს ვუხსნით ყოველ წესს და და მის მნიშვნელობას, ეს

ხელს უწყობს უფრო ადვილად შეეგუონ შინაური პირობებიდან სკოლისა პირობებზე გადასვლის გარდამავალ პროცესს. როდესაც ბავშვები თავად მონაწილეობენ საკლასო წესების ჩამოყალიბების პროცესში, მათ პრობლემათა მოგვარებისა და თვით-მართვის

თვისებები უვითარდებათ. მშობლებსაც შეუძლიათ ამ პრაქტიკის შინ დამკვიდრება, ანუ ბავშვთა ჩართვა საოჯახო წესების ჩამოყალიბების პროცესში.

კულტურული მრავალფეროვნებისა და თავისებურებების ხელშეწყობა

ამ დარგში მომუშავე თანამშრომლებისა და დამხმარე
პერსონალის პიროვნული თვისებების შეფასება

მითითება: ყოველი კითხვის პასუხად აირჩიეთ ა, ბ, ან გ.

ა = ხშირად
ბ = იშვიათად
გ = ძალზე იშვიათად ან არასოდეს

ფიზიკური გარემო, მასალა და მატერიალური რესურსები.

____ 1 გამოვფენ ჩემი მოსწავლეების ეროვნების, ეთნოსისა და კულტურის ამსახველ სურათებს, პლაკატებს, სხვადასხვა მასალებს.

____ 2 სპექტაკლზე მუშაობისას, ვარჩევ, სხვადასხვა კულტურისა და ეროვნების ამსახველი რეკვიზიტები გამოვიყენო (მაგალითად, თოჯინები, ტანსაცმელი, საზარეულო და საოჯახო ნივთები, ავეჯი).

____ 3 ვცდილობ, რომ წერა-კითხვის აქტივობის ცენტრში მქონდეს ალბომები და წიგნები, რომლებიც მოსწავლე ბავშვების ისტორიული სამშობლოს კულტურასა და ეროვნულ თავისებურებებს ასახავს.

____ 4 ვცდილობ, რომ გამოფენილი სათამაშოების და თოჯინების სახით ჩემი საზოგადოების ყველა ხალხი და ეროვნება იყოს წარმოდგენილი.

____ 5 ჩემს მოსწავლეებს ვუკითხავ წიგნებს, რომლებიც მოგვითხრობს უცხო ქვეყნების კულტურის, სხვადასხვა ეროვნების ხალხების ცხოვრებაზე.

____ 6 თუკი ამგვარი წიგნები არა მაქვს, ვთხოვ, სხვადასხვა ეროვნების მშობლებს, თავად დაწერონ საკუთარი წიგნი, რომელსაც კლასის ბიბლიოთეკაში გამოვიყენებთ.

____ 7 ვთხოვ სხვადასხვა ეროვნების ბავშვებსა და მშობლებს, საკუთარი გამოცდილება გაგვიზიარონ, გვიამბონ ზღაპრები, დაამზადონ თოჯინები, მარიონეტები და სხვა თეატრალური რეკვიზიტები.

____ 8 ვატარებ ექსკურსიებს იმ მიზნით, რომ ბავშვები და მშობლები გაეცნონ, როგორც საკუთარ ისტორიული წარსულს, ასევე, სხვათა ისტორიასა და

კულტურას.

____ 9 ვარჩევ ისეთ ვიდეოფილმებს, სლაიდებს, ჟურნალებსა და ა. შ. , სადაც ასახულია სხვადასხვა ეროვნების ხალხების მრავალფეროვანი კულტურა. ბავშვებსა და მათ ოჯახებთან ერთად, ვმსჯელობთ, ვსაუბრობთ.

____ 10 ბავშვებს ვასმენინებ სხვადასხვა ერების მუსიკასა და ვაცნობ განსხვავებულ საკრავ ინსტრუმენტებს.

____ 11 ვცდილობ, რომ ბავშვთა მენიუში წარმოდგენილი იყოს ყველა ის ტრადიციული საკვები, რომელიც პროგრამის მონაწილე ბავშვთა ეროვნებას ეკუთვნის.

____ 12 ბავშვებს შესაძლებლობას ვაძლევ თავად მოამზადონ ან წარმოადგინონ შინ მომზადებული ეროვნული კერძები.

____ 13 ჩემი კლასი რომ მხოლოდ ერთი ეთნიკური ჯგუფის მოსწავლეებისა და მშობლებისაგან შედგებოდეს, ვფიქრობ, მაინც ვეცდებოდი იმგვარი აქტივობით ჩართავს სასწავლო და გასართობ პროგრამებში, რომლებიც ჩვენი საზოგადოების ეროვნულ და კულტურულ მრავალფეროვნებას ასახავდა.

____ 14 მე მიმაჩნია, რომ ცხრილში აღნიშნული უნდა იყოს არა მარტო ქვეყნის ოფიციალური დღესასწაულების, არამედ პროგრამის მოსწავლე ყველა ეროვნების ბავშვის ტრადიციული დღესასწაულები, რომელსაც პროგრამის ფარგლებში ერთად ვიზეიმებთ.

საკომუნიკაციო გზები

____ 15 პროგრამაში მონაწილე სხვა ეროვნების ბავშვებთან უფრო ახლო და ღრმა კონტაქტის დასამყარებლად, მე აუცილებლად ვისწავლი რამდენიმე მთავარ სიტყვასა და ფრაზას მათი მშობლიურ ენაზე.

____ 16 იმ ბავშვებთან ურთიერთობისას, რომლებიც ჩემი ქვეყნის ოფიციალურ ენას ჯერ ვერ ფლობენ, გამოვიყენებ ჟესტებს, დამხმარე საშუალებებს, ილუსტრაციებსა და ა. შ.

____ 17 იმ მშობლებთან ურთიერთობისას, რომლებმაც ცუდად იციან ჩემი ქვეყნის სახელმწიფო ენა, აუცილებლად გავითვალისწინებ, რომ :

- ენობრივი შეზღუდულობა, არავითარ შემთხვევაში არ ასახავს მათი ინტელექტის განვითარების დონეს.
- ჩემი ქვეყნის სახელმწიფო ენის არცოდნა, არამც და არამც, არ ნიშნავს, რომ მათ მშობლიურ ენაზე ეფექტური კომუნიკაციის უნარი არ შესწევთ.
- არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად კარგად ფლობენ ისინი თავის მშობლიურ თუ ქვეყნის სახელმწიფო ენას.

____ 18 თუკი შესაძლებელი იქნება, ვეცდები, რომ ბარათები და კომუნიკეები მშობლებს თავის მშობლიურ ენაზე დაეგზავნოთ.

____ 19 მიმაჩნია, რომ, ხშირ შემთხვევაში, აუცილებელი ხდება მშობლებთან გასაუბრება, რადგან, ზოგჯერ, წერილობით კონტაქტზე უკეთესი შედეგი პირად შეხვედრას მოაქვს ხოლმე.

____ 20 დავიხმარებ უცხო ენის მცოდნე თანამშრომლებს ან მოხალისეებს სხვა ეროვნების მშობლებთან შეხვედრის დროს. თარჯიმნების გამოყენება მიზანშეწონილია მშობელთა კრებების, კონფერენციების და სხვა ღონისძიებათა დროსაც.

____ 21 მოვერიდები დიალექტური გამოთქმები შევუსწორო იმ ბავშვებს, რომლებსაც განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობა აქვთ.

____ 22 მიუხედავად იმისა, კარგად ფლობენ მშობლები სახელმწიფოს ოფიციალურ ენას თუ არა, მე მაინც ვეცდები ისინი ისევე აქტიურად ჩაერთონ პროგრამის მიმდინარეობაში, როგორც სხვა დანარჩენი მშობლები

ფასეულობები და დამოკიდებულებები.

____ 23 გვერდს ავუვლი იმ ღირებულებათა დამკვიდრებასა და განხილვას, რომელიც მიუღებელია ან ეწინააღმდეგება პროგრამაში მონაწილე სხვადასხვა ეროვნული ჯგუფების ტრადიციებს.

____ 24 ბავშვებს ნებას არ დავრთავ ისეთი რასობრივი და ეთნიკური ჟარგონები გამოყენონ, რამაც, შესაძლოა, შეურაცხყოს ვინმეს ეროვნული გრძნობები.

____ 25 წინასწარ შევამოწმებ და შევარჩევ ვიდეო, კინო და აუდიო მასალას, წიგნებს, ჟურნალებს, რათა უარყოფითად არ იყოს გაშუქებული რასობრივი, ეთნიკური და ეროვნული სტერეოტიპები და უნებურად არ შევურაცხყო პროგრამაში მონაწილე ოჯახების ეროვნული გრძნობები.

____ 26 სასწავლო პროგრამას ისე შევადგენ, რომ ბავშვებს საშუალება ჰქონდეთ გაეცნონ, ისწავლონ და დააფასონ სხვადასხვა ხალხთა თვისებები, მსგავსება თუ განსხვავება.

____ 27 მე აუცილებლად ჩავერევი, თუკი შევნიშნე, რომ რომელიმე თანამშრომელი, რაიმე ფორმით, უპატივცემულობას ავლენს რომელიმე ეთნიკური ჯგუფის, კულტურის ან ეროვნების მიმართ.

____ 28 მესმის და მხარს ვუჭერ, როდესაც სხვადსხვა ეროვნული წარმომავლობის ოჯახები სახელმწიფოს ეროვნული კულტურის გაცნობისა და შესწავლის სურვილს გამოთქვამენ.

____ 29 მესმის და ვითვალისწინებ ეროვნულ ტრადიციებს, რომელთა მიხედვით მამაკაცთა და ქალთა როლები სხვადასხვაგვარად არის განაწილებული ოჯახში (მაგალითად, ის, თუ ვისი ხმა არის გადამწყვეტი გადაწყვეტილების მიღებისას, ვის რა როლი აკისრია სოციალური ურთიერთობისა და გართობის პროცესში).

____ 30 მიუხედავად იმისა, რომ, შესაძლებელია, მე განსხვავებული პროფესიონალური თვალსაზრისი მქონდეს რაიმე საკითხთან დაკავშირებით, მიმაჩნია, რომ ბავშვის აღზრდა-განათლებაში გადამწყვეტი სიტყვა ოჯახს ეკუთვნის.

____ 31 მესმის და ვითვალისწინებ, რომ განათლების ღირებულებას სხვადასხვა ეროვნებისა და კულტურის ხალხებში სრულიად განსხვავებული დატვირთვა აქვს.

____ 32 მესმის, რომ სხვადასხვა რელიგიისა და რწმენისგან გამომდინარე, ოჯახები განსხვავებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ ავადმყოფობის, ხეიბრობის, სიკვდილის ფაქტების მიმართ.

____ 33 ვაცნობიერებ, რომ ბავშვთა ყოფაქცევას, გარკვეულწილად ოჯახური ტრადიციები განსაზღვრავს.

____ 34 მესმის, რომ სხვადასხვა კულტურის ხალხებს განსხვავებული ადათ-წესები აქვთ. ასევე განსხვავებულია მათი დამოკიდებულება კვების, სხვადასხვა საკვების მიმართ, განსხავდება საჭმლის მომზადების წესებიც.

____ 35 ყველანაირად ვეცდები, რომ პროგრამის მისია, მიზნები და ამოცანები, სტრატეგიული მიმართულებები და პროცედურა ისე ჩამოყალიბდეს, რომ ფართოდ იყოს წარმოდგენილი და გათვალისწინებული მრავალფეროვანი ეროვნული და კულტურული ტრადიციები.

როგორ გამოვიყენოთ ეს კითხვარი?

ამ კითხვარის მიზანია, გამოავლინოს თანამშრომელთა დამოკიდებულება სხვადასხვა ეროვნებისა და კულტურის ხალხების მიმართ. აგრეთვე, ისიც, თუ რამდენად არის გათვალისწინებული სკოლამდელი საგანმანათლებლო პროგრამაში საზოგადოების ეროვნული და კულტურული მრავალფეროვნება. კითხვარი ხელს უწყობს პროგრამაში ისეთი ღონიძიებების ჩართვასა და გამოყენებას, რომელიც მას კულტურულად გაამდიდრებს. ამ კითხვარს არა აქვს გასაღები, რომელიც ერთადერთ მართებულ პასუხს განსაზღვრავს. თუმცა, თუ თქვენს პასუხებში "გ" პასუხი უფრო ხშირია, მაშინ არ გირჩევთ, იმ პროგრამაში მონაწილეობას, რომლის მიზანია კულტურული და ეროვნული მრავალფეროვნებების შესწავლა და ხელშეწყობა.

ავტორი: ტოუარა დ. ტეილორი. ადრეული ასაკის ბავშვთა განათლება, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტი, ბავშვთა განვითარების პროგრამა, ვაშინგტონი (1989, ივნისი) ახალი გამოცემისათვის (1993) ადაპტირებულია ბავშვთა რესურსების საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, 1995 წლის თებერვალი.

ბავშვთა ეანგითარების მიმდინარეობაზე
დაკვირვების, ჩანაწერების და ანეარიცხის წარმოება



V ბავშვთა განვითარების მიმდინარეობაზე დაკვირვება, ჩანაწერები და ანგარიშის შედგენა

დაკვირვება და ჩანაწერების შედგენა

როგორ უნდა გაიგონ მასწავლებლებმა, რომ აქტივობის ცენტრებში გამოყენებული მასალა ნამდვილად შეესატყვისება ბავშვთა ინტერესებს? როგორ ირკვევა, რომ თავად აქტივობა ბავშვთა განვითარებას უწყობს ხელს? როგორ უნდა გაუზიარონ, მიაწოდონ მასწავლებლებმა მშობლებს ინფორმაცია, რომელიც ზუსტად აღწერს მათი შვილების საქმიანობას სკოლასა თუ ბაღში? როგორ უნდა შექმნან მასწავლებლებმა თითოეული ბავშვის ქცევისა და განვითარების ამსახველი დოკუმენტი? როგორ უნდა განისაზღვროს თითოეული ბავშვის ინდივიდუალური სწავლება?

ამ და, მრავალ სხვა კითხვაზე უნდა გასცენ პასუხი მასწავლებლებმა, ვიდრე სასწავლო პროგრამის შედგენას, გარემოს მოწყობასა და მუშაობას შეუდგებოდნენ.

მასწავლებლები გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად ერთ-ერთი ძალზე სასარგებლო მეთოდი არის ბავშვზე დაკვირვება მისთვის ჩვეულ გარემოში - შინ, კლასში, ეზოში - და ამ დაკვირვებათა შედეგების ჩაწერა. ამგვარად, მათ ხელთ ექნებათ ობიექტური ინფორმაცია, რომელსაც მშობლებსა და სხვა მასწავლებლებს გაუზიარებენ.

დაკვირვება - ნიშნავს ყურადღებით შეისწავლო ბავშვის ქცევა აქტივობის პროცესში ისე, რომ მის საქმიანობაში არ ჩაერიო.

ჩანაწერების წარმოება - არის ბავშვის დაკვირვების შემდეგ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე წერილობითი დოკუმენტის შექმნა.

თუმცა, მასწავლებლები, ამას, ბუნებრივია, ისედაც აკეთებენ, ამგვარი სისტემის დამკვიდრება მაინც ძალზე სასარგებლოა, რადგან ჩანაწერების საფუძველზე ვრწმუნდებით, რომ ბავშვები, ჩვულებრივ, ცხრილით გაუთვალისწინებელ მრავალ აქტივობაში არიან ხოლმე ჩაბმული.

მასწავლებელთა მიმოხილვაში ძალზე დაწვრილებით უნდა იყოს აღწერილი ბავშვის ქცევა და თვისებები. პატარა ბავშვები, ჩვეულებრივ , სიტყვებით ვერ გამოხატავენ იმას, რაც მათ ქცევაში ვლინდება. ბავშვმა, რომელიც მაკრატლით ვერ ჭრის ფურცელს, შესაძლოა, თავისი გულისწყრომა ძალზე აშკარად გამოხატოს იმით, რომ მაკრატელიცა და ფურცელიც იატაკზე მოისროლოს. ასევე ბავშვი, რომელიც პირველად აფოფხდება სასრიალოს თავზე, გამარჯვებას ბედნიერი ღიმილით აღნიშნავს ხოლმე. კოუენი და სტერნი აღნიშნავენ:

> ”ბავშვები ჩვენ თვალების, ხმის ტემბრისა და სხეულის მოძრაობის, ჟესტების, გრიმასების, ღიმილის, ხტუნვის უხალისობის ენაზე გვესაუბრებიან. მათ შინაგან სამყაროში ჩაწვდომა შესაძლებელია იმაზე დაკვირვებით, როგორ იქცევიან, რას საქმიანობენ, როგორ საქმიანობენ. თუკი ჩვენ ბავშვის ქცევას მათი თვალებით შევხედავთ, ანუ შევეცდებით ჩავწვდეთ, რა შინაგანმა იმპულსმა მისცა ბიძგი ამგვარ გარეგნულ გამოვლინებას, ჩვენ იმასაც შევძლებთ, გავუგოთ მათ. მათ ქცევაზე დაკვირვება და დაკვირვებათა შედეგების ჩაწერა გვეხმარება ნათლად დავინახოთ, სინამდვილეში, როგორები არიან ისინი.“

(კოუენი და სტერნი, გვ. 5 1974).
ჩანაწერების წარმოებისას, მასწავლებლები დოკუმენტს ქმნიან ბავშვის ყოველდღიური ქცევისა და მუშაობის შესახებ. ამგვარი ინფორმაცია მათ ეხმარებათ თითოეული ბავშვის შეფასებასა და მისთვის ინდივიდუალური ამოცანების დასახვაში. დროთა განმავლობაში, ამგვარი დაკვირვების საფუძველზე დგინდება ბავშვის ქცევის თავისებურებები, მისი მიდრეკილებები, ნიჭი, უნარი და წინსვლა განვითარებაში.

მითითებანი დაკვირვების წარმოებისათვის

იმისათვის, რომ დამკვირვებლის ფუნქცია შეასრულოს, მასწავლებელმა საგანგებოდ უნდა შეარჩიოს დრო და მოიმარაგოს საჭირო ნივთები დაკვირვების ჩასაწერად. ცხადია, ვერც ერთი მასწავლებელი ვერ იქნება აბსოლუტურად ობიექტური. თუმცა, მასწავლებელი უნდა შეეცადოს, რაც შეიძლება, ზუსტად აღწეროს ბავშვის ქცევა, სუბიექტური კომენტარის გარეშე. ობიექტური დაკვირვება მასწავლებლის მოსაზრებებსა და პროგნოზებს კი არ გულისხმობს, არამედ ბავშვის ქცევის შეძლებისდაგვარად ზუსტ გადმოცემას.

ობიექტური დაკვირვება ფაქტებს უნდა ეფუძნებოდეს. მაგ: "ჯომ აიღო კუბურა და სამუელს ესროლა", ანდა "როდესაც ბავშვები ეზოში თამაშობდნენ, მერი ხის ქვეშ იჯდა".

სუბიექტური დაკვირვება გულისხმობს განსჯას, შეფასებას, განსაზღვრას, მოქმედებისათვის სახელის დარქმევას და კონტექსტის გარეშე მსჯელობას. მაგ. : "აგრესიულია" ან "მარია ზარმაცია"- ამგვარი იარლიყი არ არის იმ ინფორმაციის მატარებელი, რომელიც დაგვეხმარება ბავშვის განვითარებაში გა-
ვერკვეთ.

დაკვირვება უნდა იყოს დაწერილებითი და აღწერითი. მოვიყვანთ ერთი დაკვირვების ჩანაწერის მაგალითს, "ადამმა გადაწყვიტა კუბურების ცენტრში მუშაობა და კუბებით რაღაცის შენებას შეუდგა. "მართალია, ამ ჩანაწერში მოცემულია ინფორმაცია, ადამის გადაწყვეტილებისა და იმ მასალის არჩევის შესახებ, რომელიც ადამმა მუშაობაში გამოიყენა, მაგრამ იგი მაინც არ არის დასრულებული და მრავლისმთქმელი ინფორმაცია და ვერ შეედრება ქვემოთაღნიშნულ მაგალითს, კერძოდ: "როგორც კი ადამი საკლასო ოთახში შემოვიდა, მან თავის ამხანაგებს მიკას და სოლს გამოუცხადა, რომ სურს ამ ქალაქში ყველაზე მაღალი სახლის აშენება. მან ამხანაგებიც მოიწვია სამუშაოდ. სამივემ ერთად კლასში არსებული ყველა კუბურა გამოიყენეს და უზარმაზარი შვიდოთახიანი სახლი ააგეს. ადამმა მთხოვა წარწერა გამეკეთებინა მისი სახლისათვის. მე წარწერა დავწერე, მან კი წარწერა ყვითელ ფურცელზე გადაიწერა. წარწერა ასეთია – "დიდი სახლი". ადამმა კუბურების ცენტრში ორმოცდაათი წუთი დაჰყო".

ამ ჩანაწერიდან ნათლად ჩანს, რა სამუშაო აირჩია ადამმა. ცხადია ისიც, რომ ადამი სკოლაში მოსვლამდე გეგმავდა და უკვე იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა. აქ აღწერილია ისიც, რომ მან სამუშაოში სხვა ბავშვებიც ჩართო, თავისი მოსაზრება სხვებს გაუზიარა და

კუბებით მუშაობაში წერა-კითხვის ელემენტიც გამოიყენა. და ბოლოს, მისი ყურადღება ხანგრძლივად იყო კონცენტრირებული ერთ კონკრეტულ საქმიანობაზე.

მასწავლებელს დიდი დრო არ დაუხარჯავს ადამის საქმიანობის დაწვრილებით აღწერისას. მაგრამ ეს ჩანაწერი მას გამოადგება ადამისათვის მომავალში მისი მიდრეკილებებისა და უნარის შესატყვისი აქტივობის დაგეგმვისას. აგრეთვე, მას ხელთ აქვს საინტერესო ჩანახატი, რასაც ბავშვის მშობლებსაც გააცნობს.

დაკვირვების სხვაგვარი ფორმებიც არსებობს. იქნება ეს, მოკლე შენიშვნები, თუ ვრცელი ანკეტა, რომელიც კონკრეტული ბავშვის აქტივობას განიხილავს.

არაოფიციალური დაკვირვების ტექნიკა

ეპიზოდური ხასიათის ჩანაწერი – არის კონკრეტული შემთხვევების აღწერა და დაფიქსირება. ამგვარი დახასიათება სურათს სიტყვებით გადმოგვცემს. იგი მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა მოხდა, როდის მოხდა და სად. რამ გამოიწვია ესა თუ ის მოქმედება, რა საპასუხო რეაქცია ჰქონდა ბავშვს, როგორ დასრულდა ესა თუ ის კონკრეტული შემთხვევა? ამგვარ დახასიათებაში ციტირებული უნდა იყოს ბავშვის სიტყვები, აღწერილი უნდა იქნეს მისი ქცევა. აღნიშნული მაგალითი, ადამის ქცევის შესახებ, სწორედ ამგვარ დახასიათება-ჩანახატს წარმოადგენს.

თხრობა ან დღიურის წარმოება. მთელი დღის განმავლობაში ჩაწერილი შენიშვნები და შთაბეჭდილებები ჯგუფის ან აქტივობის შესახებ, დღის ბოლოს ჯამდება და იწერება. ამგვარ ჩანაწერებს სუბიექტური ელფერი დაჰკრავს და ხშირად წამიერ შთაბეჭდილებას და განწყობილებას ასახავს. ამგვარად, ხდება ყოველდღიური წარმატებისა თუ წარუმატებლობის დაფიქსირება, რის საფუძველზეც მომავალში ვაჯამებთ ჩვენი მუშაობის მიმდინარეობასა და შედეგებს. მაგალითად:

> დღეს ბავშვებმა დახუჭობანა ითამაშეს. თამაში უხალისოდ მიდიოდა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ბავშვები დაღლილები იყვნენ. მათ გაცილებით მეტი სიამოვნება მიიღეს ბუნების გაკვეთილზე და ერთი სული აქვთ, როდის გამოჩეკავს სალამანდრა კვერცხებს. მიშელი განსაკუთრებით დაიტერესდა ნაკადულის კვლევით. ის დიდხანს იკვლევდა წყალს გამადიდებელი შუშით და ათვალიერებდა ჭიაყელებს. ის იმდენად ჩაერთო ამ კვლევაში, რომ კლასში არ მოდიოდა, სანამ სამჯერ არ დავუძახე.

ყოველდღიური სამედიცინო შემოწმება. ყოველ დილას ბავშვების კლასში შემოსვლისთანავე, მასწავლებელი ამოწმებს ბავშვებს და ინიშნავს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას. აქვს თუ არა ბავშვს სურდო, უჭირს თუ არა სუნთქვა, აქვს თუ არა სიცხე ან იქნებ ლოყები უხურს? იქნებ გამონაყარი აქვს ვინმეს? იქნებ ნაკაწრი ან ჩალურჯებული აქვს სხეულზე? თვალები ეცრემლება თუ არა? თავს ხომ არ იტკივებს, ყურებს ხომ არ იტკივებს, ან ხომ არ აცემინებს ან ახველებს? იქნებ კოჭლობს. კუჭი ხომ არა აქვს

აშლილი და ა. შ. თუკი ბავშვი თავს ცუდად გრძნობს, მასწავლებლებმა მაშინვე უნდა შეატყობინონ მშობლებს და მათ მოსვლამდე თავად ბავშვი, სხვა ბავშვებისაგან განცალკევებით, მშვიდ ატმოსფეროში მოასვენოს. მასწავლებლის მიერ ბავშვების ყოველდღიური შემოწმების გარდა, ბავშვებს ასევე ყოველდღიურად ამოწმებენ სკოლის ექიმები და ექთნები. თითოეული ბავშვის აცრების ვადები დაფიქსირებულია.

ანკეტა. ანკეტის მიზანია გამოავლინოს კონკრეტული საქციელი. განვითარების ანკეტაში სისტემატურად ფიქსირდება ბავშვის ქცევის და ქმედების სხვადასხვა ასპექტი. ანკეტაში ჩამოთვლილია სხვადასხვა საგნები, ჩვევები და უნარები, იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს სასწავლო პროგრამაშია გათვალისწინებული. ანკეტაში შეტანილია დიდი და მცირე კუნთების განვითარება, ექსპრესიული და რეცეფტიული მეტყველება, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური და თვითმომსახურების ჩვევების განვითარება. ამ ანკეტის მიხედვით ადვილად დგინდება, რისი გაკეთება შეუძლია ბავშვს თითოეულ სფეროში, სად შეინიშნება ჩამორჩენა. ამ ანკეტას მასწავლებლები იყენებენ ყოველი ბავშვისათვის ინდივიდუალური ამოცანების დასადგენად, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ბავშვების წინსვლასა და განვითარებას. განვითარების ანკეტის მაგალითი დართულია ამ თავის ბოლოს.

არსებობს სხვა ანკეტებიც, რომლებშიც დაფიქსირებულია, ბავშვის მიდრეკილებები, აღრიცხულია რომელ აქტივობას ირჩევს ბავშვი და რამდენჯერ რა მასალას იყენებს მუშაობისას. ამგვარი ანკეტა ავლენს ბავშვის მიდრეკილებებს და, თუ, ვთქვათ, რომელიმე ბავშვი ძირითადად ხელოვნების ცენტრში მუშაობს, მასწავლებლები ცდილობენ იგი სხვა საქმიანოაშიც ჩააბან და სხვა ინტერესებიც გაუღვივონ. მაგალითად, მასწავლებელი ამგვარ ბავშვს ავალებს ღრუბლებისა და ცის მოხატვას მშენებლობის წრეში, სადაც სხვა ბავშვები კუბურებით ციხესიმაგრეს აშენებენ.

სიხშირისა და დროის აღრიცხვა. ეს მეთოდი მასწავლებელს საშუალებას აძლევს, ზუსტად იცოდეს ესა თუ ის მოქმედება რამდენჯერ გამეორდა ან რა ხანს გრძელდებოდა ბავშვის ქცევაში. აღრიცხვა წარმოებს კონკრეტულ დროის მონაკვეთში. მაგ:□"სიუმ ხუთჯერ დაარტყა ბავშვს ეზოში თამაშის დღეს", ან "ტომასი რვა წუთის განმავლობაში ტიროდა, როდესაც სადილობამდე ხელების დაბანა ვთხოვეთ". ამგვარი ჩანაწერები გვეხმარება ბავშვის უწესო ქცევის ხანგრძლივობა თანდათან შევამციროთ და ბოლოს, საერთოდ, აღმოვფხვრათ. მაგალითად: თუ მასწავლებელი გაარკვევს, რომ ტომასი, ერთი საქმიდან მეორეზე გადასვლისას, ყოველთვის ტირის, მაშინ იგი შეეცდება ტომასი წინასწარ შეამზადოს ამ გარდამავალი დროისათვის, რათა იგი უმტკივნეულოდ გადავიდეს განსხვავებულ აქტივობაზე. ეს მეთოდი იმ შემთხვევაში ამართლებს, როდესაც საქმე გვაქვს აშკარად გამოხატულ ქცევასთან, ხშირად რომ მეორდება.

ბავშვის ნამუშევრების ნიმუშების პორტფოლიო. ცალკე პორტფოლიოში ერთად ინახება ბავშვის ნამუშევრები: ნახატები, მათ მიერ შეთხზული ზღაპრების ჩანაწერები, ბავშვის მიერ გამოყვანილი ასოები და ციფრები და მისი მეტყველებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები. ანუ ის სიტყვები და ფრაზები, რომელთაც ბავშვი ამახინჯებს ან რაღაც მოვლენის ან საგნის აღსანიშნავად იყენებს. ამავე პორტფოლიოში ინახება ბავშვის ფოტოები, სადაც ბავშვი მუშაობის პროცესშია აღბეჭდილი. აქვე შეიძლება გვქონდეს აუდიოკასეტებზე ჩაწერილი ბავშვთა მეტყველება. ყოველ ბავშვზე საკუთარი პორტფოლიოა გახსნილი.

ბავშვებს ძალიან უყვართ ამ პორტფოლიოების დათვლიერება მასწავლებლებთან ერთად. ისინი ხალისით იხსენებენ, როდის რა გააკეთეს და იმ დროს რას განიცდიდნენ. მათ ასევე

უყვართ პორტფოლიოსათვის საუკეთესო ნამუშევრების შერჩევა. მშობელთა კრებებზე მასწავლებლები მშობელთა თანდასწრებით განიხილავენ პორტფოლიოებში მოგროვილ ნამუშევრებს და მათი დახმარებით ახასიათებენ ბავშვებს. მშობლები გაოცებული რჩებიან, იმდენად მრავალფეროვანი და განსხვავებულია სხვადასხვა პორტფოლიოები, შინაარსით, შესრულების მანერით, ინტერესებით და სხვა. ბავშვებმაც იციან, რომ მასწავლებლები ამ პორტფოლიოში ჩაკრულ ნამუშევრებს აუცილებლად დაათვალიერებინებენ მათ მშობლებსა და ოჯახის წევრებს.

ინტერვიუ და საუბარი. ბავშვებს ძალიან უყვართ თავის მოსაზრებათა გამოთქმა, მსჯელობა და უფროსებთან მუშაობა. მაგრამ ამასთანავე, დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ უფროსს, მართლაც, აინტერესებს მათთან ერთად ყოფნა და პატივისცემით ეპყრობა მათ. როდესაც მასწავლებელი უსმენს ბავშვს, რომელიც აღწერს თავის ნახატს ან თავის საყვარელ ბიძაშვილზე საუბრობს, ბავშვი სიამაყით ივსება, ხოლო მასწავლებელი უკეთ იგებს და აფასებს ბავშვის ამა თუ იმ თვისებებს. მიზნობრივი შეკითხვა, როგორიცაა, მაგალითად, "რატომ არის ღრუბელი ცაში?" ან "როგორ დაფრინავს თვითმფრინავი?" საშუალებას გვაძლევს ღრმად ჩავწვდეთ ბავშვის შინაგან სამყაროს, მის წარმოდგენებს მოვლენათა შესახებ და სხვა. მასწავლებელი თანდათან ართულებს კითხვებს, მაგალითად: შემდეგი კითხვა იქნება – "რითი გვანან ერთმანეთს ფრინველები და თვითმფრინავები?".

ნუ შეეწინააღმდეგებით ბავშვებს. ყველანაირი პასუხი მისაღებია. ამგვარი გამოკითხვის მიზანია მეტი ინფორმაცია მოვიპოვოთ ბავშვთა აზროვნების განვითარების შესახებ.

ბავშვთა გამოკითხვა წერა-კითხვის ცენტრში. ხუთი-ექვსი წლის ბავშვებს ხშირად უნდა მოუწყოთ გამოკითხვა, რათა გავიგოთ რამდენად წინ წავიდნენ წერა-კითხვაში, მეტყველებაში და რაც მთავარია, რამდენად არიან მზად, შემდგომ უფრო რთულ საფეხურზე გადასასვლელად. ბავშვი, რომელიც კითხვაზე, "საიდან იცი, როგორ უნდა წავიკითხოთ სიტყვები?", გპასუხობთ, რომ სიტყვები ასოებისაგან შედგება, ხოლო ყოველ ასოს საკუთარი ბგერა აქვს. ჩვენ ენასა და ტუჩებს სასაცილოდ ვამოძრავებთ და ასე წარმოვთქვამთ ბგერას". ცხადია, მზად არის უფრო რთულ საფეხურზე გადასასვლელად, ხოლო ბავშვი რომელიც იგივე კითხვაზე პასუხობს, რომ "სიტყვები ნახატებია, რომელიც უფროსებმა იციან", ჯერ კიდევ არ არის მზად რთული პროგრამის ასათვისებლად, რადგან კითხვას ჯერ კიდევ გარეგნულ პროცესად აღიქვამს. ასეთმა ბავშვმა უნდა განაგრძოს ზღაპრებისა და მოთხრობების მოსმენა, რიცხვებითა და ასოებით თამაშით შეეცადოს ასოებით სიტყვები გამოიყვანოს.

ამგვარად, ეს გახლავთ ბავშვებზე დაკვირვებისა და ჩანაწერების წარმოების მეთოდი. მასწავლებლებმა თავად უნდა გადაწყვიტონ რას, როდის და სად უნდა დააკვირდნენ. თითოეულ ბავშვზე დაკვირვება უნდა ჩატარდეს აქტივობის ყველა ცენტრსა და ეზოში, დღის სხვადასხვა დროს, მთელი წლის მანძილზე.

ჩანაწერთა წარმოების ტექნიკა და საშუალებები.

მასწავლებლები სხვადასხვა გზებსა და საშუალებებს მიმართავენ ჩანაწერთა ორგანიზებულად წარმოებისათვის. ერთ-ერთი ასეთი მეთოდია, ბლოკნოტისა და კალმის ჯიბით ტარება, რათა ნებისმიერ დროს შეგვეძლოს აღვწეროთ საინტერესო მოვლენა და არაფერი გამოგვეპაროს. ასევე საკლასო ოთახში უნდა ინხებოდეს საგანგებო ჟურნალი, სადაც ჩაიწერება საჭირო ინფორმაცია. დღის ბოლოს მოკლე ჩანაწერები აიკინძება ან ამ ჩანა-

წერთა საფუძველზე ვრცელი, დეტალური ინფორმაცია ჩაიწერება რვეულებში ან დაფიქსირდება კომპიურეტერზე. ზოგ მასწავლებელს დღის ბოლოს დღიურში შეაქვს დღის განმავლობაში წარმოებული დაკვირვებების შედეგები. ზოგი მასწავლებელი თითოეულ ბავშვზე ცალკე საქაღალდეს ქმნის, ბარათებს ადგენს და ბარათებზე ჩაინიშნავს ინფორმაციას. ბარათების მეშვეობით უფრო ადვილი ხდება ცალკეულ ბავშვზე ჩაწერილი ინფორმაციის დახარისხება, ისე, რომ არაფერი გამოგვრჩეს. ანკეტა, შესაძლებელია, საკლასო ოთახის კედელზე გამოვაკრათ და ყოველდღიურად აღვნიშნოთ, რა საქმიანობა აირჩია თითოეულმა ბავშვმა. თუკი მასწავლებელს სურს ბავშვთა მოტორული განვითარების შემოწმება, მან შესაბამისი აქტივობა უნდა შესთავაზოს ბავშვებს და შედეგები განვითარების სქემაზე აღნიშნოს. (მაგალითად: წონასწორობის დაცვა, კიბეებზე სიარული თუ სირბილი, ბოგირზე გასვლა თუ ცოცვა, ძრომა, დაბრკოლებების გადალახვა და ა.შ.) ბავშვთა ფოტოები და აუდიო კასეტებიც თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს ბავშვთა განვითარების ეტაპებს. დაკვირვებების შედეგების ჩაწერა და ჩანაწერთა ანალიზი, საშუალებას გვაძლევს თითოეულ ბავშვს მიზნობრივი სასწავლო პროგრამა შევუდგინოთ.

რას უნდა დავაკვირდეთ

ინდივიდუალური მონაცემები

ყოველი მოსწავლის ინდივიდუალური მონაცემების განსაზღვრა ეფექტური სწავლის საფუძველია. მთავარი ის არის, რომ ყოველი ბავშვის ინდივიდუალური მიდრეკილებები და ნიჭი განვავითაროთ და არა ის, რომ შევაფასოთ ან ნიშანი დავუწეროთ. ყოველი ბავშვის ინდივიდუალური შესწავლისათვის მასწავლებელმა შემდეგი მონაცემები უნდა შეისწავლოს:

ოჯახის წარმომავლობა და კულტურა

ოჯახის დონე თავისი წარმომავლობითა და კულტურით განისაზღვრება. სწორედ კულტურა განსაზღვრავს ადამიანთა ქცევას, ღირებულებებსა და წარმოდგენებს. ბავშვებიც ზუსტად ისევე იქცევიან, როგორც ეს მათ ოჯახებშია მიღებული.

მასწავლებლის სტუმრობა ოჯახში აუცილებელია, რადგან სწორედ ამ სტუმრობის შედეგად ექმნება მას წარმოდეგნა ოჯახზე. მასწავლებლებმა წინასწარვე უნდა ჰკითხონ მშობლებს ტრადიციულად რა იკრძალება მათ ოჯახში. (ვთქვათ, ოჯახი არ ჭამს ღორის ხორცს), რა რელიგიურ დღესასწაულებს აღნიშნავენ განსაკუთრებით საზეიმოდ. (ვთქვათ ხანუკას დღესასწაულიც შეიძლება ისევე ზეიმით აღვნიშნოთ, როგორც შობას აღვნიშნავთ ხოლმე), ან რომელია ბავშვის მშობლიური ენა (შესაძლოა, ბავშვი შინ სხვა ენაზე საუბრობს) ან, როგორი დამოკიდებულებაა ოჯახში დროის ფაქტორის მიმართ (ზოგი ეროვნებისა და კულტურის ხალხები დროის ფაქტორს ძალზე თავისუფლად ეკიდებიან). მასწავლებლები შინ სტუმრობისას იმასაც აკვირდებიან, რას სახის ურთიერთობა აქვთ მშობლებს შვილებთან. ზოგიერთი მშობელი ცდილობს, რომ ბავშვი „იქვე იყოს და არ ხმაურობდეს", ზოგი კი, პირიქით, ყოველგვარ საუბარსა და საქმიანობაში აქტიურად რთვას ბავშვებს. ზოგ მშობელს მიაჩნია, რომ ბავშვი თუ უფროსებს თვალს გაუსწორებს, ამით თავის უპატივისმცემლობას გამოხატავს. საშინაო ვიზიტების დროს წარმოებული დაკვირვება მასწავლებელს ძალზე ეხმარება თითოეული ბავშვის ქცევის ახსნაში.

ასაკი

ცხადია, სამი წლის ბავშვის ქცევა სრულიად განსხვავდება ოთხი ან ხუთი წლის ასაკის ბავშვთა ქცევისაგან. მასწავლებლისათვის აუცილებელია განვითარების სქემის კარგად ცოდნა. მაგალითად, ხუთი წლის ბავშვთა უმრავლესობა გაცილებით უკეთ მეტყველებს, უკეთ ამყარებს კონტაქტს სხვებთან, ყურადღების მოკრება შეუძლია გაცილებით ხანგრძლივად, უკეთ ერთვება ჯგუფურ თამაშებში და უკეთ ერკვევა ზოგად მცნებებში, ვიდრე სამი ან ოთხი წლის ბავშვები. სწორედ ბავშვის ასაკი უნდა განსაზღვრავდეს, რა უნდა გავაკეთებინოთ ბავშვს, როგორ უნდა გავაკეთებინოთ და რამდენ ხანს უნდა გასტანოს საქმიანობამ (იხ. განვითარების პრინციები თავი II).

განვითარების დონე.

სამი წლის ასაკის ბავშვების ჯგუფში ხშირად ძალზე განსხვავებული შესაძლებლობებისა და მონაცემების ბავშვები გვხვდებიან. ზოგი ორი წლის ბავშვივით ირჯება, ზოგი კი - განვითარებით ოთხი წლის ბავშვებს არ ჩამოუვარდება. ხშირად ბავშვის განვითარება სვადასხვა სფეროში სხვადასხვა დონეზეა. მაგალითად, ბავშვი შეიძლება თანატოლებს მეტყველებაში უსწრებდეს, მაგრამ მოტორულ განვითარებაში ჩამორჩებოდეს. თითქმის ყველა კლასში, რომელიც ერთი ასაკის ბავშვებით არის დაკომპლექტებული, განვითარების დონეებს შორის განსხვავება დაახლოებით ორი წლის საზღვრებშია მოქცეული. თუკი კლასში განსაკუთრებულად ნიჭიერი და საგრძნობლად ჩამორჩენილი ბავშვებიც არიან, მაშინ განსაკუთრებით თვალშისაცემი ხდება ხოლმე ეს განსხვავება. ამიტომაც, მხოლოდ ქრონოლოგიური ასაკის გათვალისწინება არ არის საკმარისი, ბავშვთა სწავლების ინდივიდუალიზაციის მისაღწევად, მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მისი განვითარების დონე.

პიროვნება და ტემპერამენტი.

ადამიანის პიროვნების და ტემპერამენტის სხვადასხვა ტიპები არსებობს. ყოველი ტიპი გარკვეულ კატეგორიას მიეკუთვნება და ბავშვებიც, პიროვნული ხასიათისა და ტემპერამენტიდან გამომდინარე ამ კატეგორიებს უნდა შევუსაბამოთ. ეს კატეგორიებია:

- სერიოზული/გულღია
- ენერგიული/მშვიდი
- ექსტროვერტი/ინტროვერტი
- ცნობისმოყვარე/გულგრილი
- ლაღი/დაძაბული
- ფაქიზი/თხუპნია
- რისკიანი, გაბედული/ფრთხილი
- მიმნდობი/უნდობელი

მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ, რომ მათი ხასიათი და ტემპერამენტი შეიძლება დაემთხვეს ან არ დაემთხვეს ბავშვების ხასიათსა და ტემპერამენტს. ამ სხვაობის დადგენის შედეგად, მასწავლებელი ბავშვს მისი ხასიათის შესაბამისად ექცევა.

ზოგ ბავშვს, იმისთვის რომ ისწავლოს, აუცილებლად სჭირდება საუბარი და სხვებთან ურთერთობა, ზოგი კი პირიქით, მშვიდად და დამოუკიდებლად მუშაობისას უკეთ სწავლობს. ამგვარი პარამეტრების ცოდნა, მასწავლებელს საშუალებას აძლევს თვალი ადევნოს, ნამდვილად თავისი პიროვნების შესაფერისი საქმე აირჩია ბავ-

შვმა, თუ მორცხვობს ან არ უნდა სხვებს ჩამორჩეს და იძაბება, ან მაქსიმალურად ვერ ავლენს თავის თვისებებს და სხვა. ეს საკმაოდ რთული პროცესია. ბავშვები სხვადასხვა მიზეზით არ აკეთებენ რაღაცას. და, თუკი მათ რაიმე არ ეხერხებათ, ხშირად საერთოდ უარს ამბობენ ამ საქმიანობაზე.

სქესი

სქესობრივი განსხვავება იმდენად აშკარად იჩენს თავს ბავშვთა თამაშის პროცესში, რომ მსწავლებელს დაკვირვებაც კი არ სჭირდება. მასწავლებლებმა იციან, რომ ბიჭებს უყვართ ხმაურიანი, ფიზიკური, ცელქი, ონავრული თამაშები, ხოლო გოგონები კი - მშვიდ, სოციალურ, ორგანიზებულ თამაშს ანიჭებენ უპირატესობას. ბუნებრივია, ბავშვებს უფლება უნდა მივცეთ თავად აირჩიონ მეგობრებიცა და თამაშის სახეც, მით უფრო, თუ თამაშის საფუძველი მათი სქესით არის განსაზღვრული. მთავარია, ბავშვს განუვითარდეს თავისი თავის რწმენა და ყოველნაირად გამოამჟღავნოს თავისი მონაცემები.

სწავლის სტილი

ბავშვები განსხვავებული ტემპით სწავლობენ. სწავლის ტემპი არ არის გონებრივი განვითარების მაჩვენებელი, რადგან ხშირად ის ბავშვები, რომლებიც ნელა ითვისებენ, გაცილებით ღრმად ფლობენ საგანს, ვიდრე ის ბავშვები, რომლებმაც რამდენიმე წუთში ისწავლეს. ზოგი ბავშვი სწავლის პროცესში სხვებზეა დამოკიდებული, ზოგი კი პირიქით, დამოუკიდებლად უკეთ სწავლობს. ხშირად ბავშვს უშუალოდ სენსორული აღქმა აქვს განვითარებული. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მხედველობის მეშვეობით უკეთ შეიმეცნებს, მოიპოვებს ინფორმაციას და ერკვევა სამყაროში. მას სწავლისას ძალზე გამოადგება თვალსაჩინოება. ზოგი ბავშვი სამყაროს შეიმეცნებს კარგად განვითარებული სმენის ან შეხების, გრძნობების მეშვეობით. ისევე როგორც, ტემპერამენტი და ხასიათი, სწავლის მანერაც პიროვნების ხანგრძლივი თვისებაა. ამგვარი თვისებები მით უფრო თვალსაჩინოა, თუკი ისინი ძლიერად არის გამოხატული ბავშვში. ამ შემთხვევაში, აუცილებელია, სწავლების მეთოდი შეესბამებოდეს ბავშვის ინდივიდუალურ თვისებებს.

ინტერესები.

ბავშვებს, ძირითადად, ერთი გამორჩეული ინტერესი ან განსაკუთრებული მიდრეკილება აქვთ. ზოგი მანქანებსა და საბარგო მანქანებზე გიჟდება, ზოგი დინოზავრებზე, სპორტის რომელიღაც სახეობაზე ან გარკვეულ საკლასო აქტივობაზე. ამ ინტერესების ცოდნის საფუძველზე მასწავლებელს საშუალება აქვს სასწავლო პროგრამა და თამაშები კონკრეტული ბავშვების ინტერესთა შესაბამისად დაგეგმოს. ზოგჯერ ბავშვები საკუთარ ინტერესებს მხოლოდ შინ ამჟღავნებენ. ამ შემთხვევაში მშობლებს უნდა ვკითხოთ, რა აინტერესებს ბავშვს განსაკუთრებულად.

ძლიერი და სუსტი მხარეები.

ყველა ბავშვს გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ანუ ყოველი ბავშვი განსაკუთრებულად კარგად აკეთებს ერთ რაღაცას, ხოლო მეორე საგანში ჩამორჩება. ბავშვების ძლიერი და სუსტი მხარეები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და ერთმანეთისაგან გამომდინარეობს. კარგი მასწავლებელი ბავშვის ნიჭსა და მიდრეკილებებს სწორედ იმისთვის იყენებს, რომ დაეხმაროს ჩამორჩენის დაძლევაში. მაგალითად, ჯუდი-

თი შესანიშნავად ხატავს და ცხადია, მუდამ სახატავ წრეში არჩევს მუშაობას. მას ნაკლებად ან სულაც არ აინტერესებს მათემატიკა. მასწავლებელი მას უნდა დაეხმაროს მათემატიკური ცნებები ხელოვნების გზით შეიცნოს. იგი ბავშვს ეკითხება, რამდენი ფერის შეზავებას აპირებს პალიტრაზე. შემდეგ იგი ეკითხება, როგორ გააზავა საღებავები და გამოიყენა თუ არა ცნობილი რეცეპტი, რომლის მიხედვითაც, ნახევარი ჭიქა საღებავის ფხვნილი ნახევარ ჭიქა წყალში იხსნება. მეორე დღეს მასწავლებელი იგივე ბავშვს სთხოვს პლასტელინის ბურთები მოუმზადოს ხელოვნების წრეში მომუშავე ბავშვებს. ჯუდითი თვლის ბავშვებს და პლასტელინის გუნდას ხუთ ტოლ ნაწილად ყოფს. ჯუდითი ადვილად ეუფლება მათემატიკას თავისი საყვარელი სგანებისა და მასალის გამოყენებით.

თვითრწმენა ან ღირსების გრძნობა.

თვითრწმენა ყალიბდება იმის მიხედვით, რამდენად კარგად იციან ბავშვებმა თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები და როგორ აფასებენ ისინი საკუთარ შესაძლებლობებს. ყველა ბავშვს თავიდან განსხვავებულ დონეზე აქვს განვითარებული თვითრწმენა. ზოგს გონია, რომ არაფრის გაკეთება არ შეუძლია, ზოგი პირიქით, ზედმეტად არის დარწმუნებული საკუთარ შესაძლებლობებში. ბავშვების უმრავლესობა კი ამ ორ უკიდურესობას შორის მერყეობს. საკუთარი შესაძლებლობების გადაჭარბებულად შეფასება ისეთივე პრობლემაა, როგორც საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობა. მასწავლებლები ეხმარებიან ბავშვებს რეალისტურად შეაფასონ საკუთარი ძალები და, თუკი რომელიმე დავალება მათ ძალებს აღემატება (ამის აღიარება, რეალობის შერძნების მნიშვნელოვანი ფაქტორია), მშვიდად შეძლოთ გადაწყვეტილების მიღება და პრობლემის მოგვარება. რეალობის გრძნობის განვითარება ხელს უწყობს თვითრწმენის გაძლიერებას.

ბავშვთა ქცევის განხილვა.

ქვემოთ მოყვანილ ნუსხაში ის ქცევებია ჩამოთვლილი, რომელთაც მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს კლასში:

- როგორ ეგუება ბავშვი რეჟიმს.
- როგორ ართმევს თავს ბავშვი მშვიდი საქმიანობიდან აქტიურზე და, ინდივიდუალური მუშაობიდან ჯგუფურ საქმიანობაზე გადასვლას. დააკვირდით, როგორ იქცევიან ბავშვები მშობლებთან განშორების, ჭამის, ტუალეტში გასვლის, ჩაცმის, ხელპირის დაბანისა და დასვენების დროს.
- რა მასალებს იყენებენ ბავშვები და როგორ?. დააკვირდით, როგორ ხმარობენ სხვადასხვა მასალას (როგორ უჭირავთ ფუნჯი) იყენებს თუ არა ყველა საშუალებებს ხელოვნების ცენტრში, თუ მხოლოდ საღებავებს აზავებს პალიტრაზე? დააკვირდით, როგორ მუშაობს ბავშვის წარმოსახვა (ბავშვი კუბურების გამოყენების ახალ გზებს იგონებს თუ მხოლოდ ერთმანეთზე აწყობს მათ?), ასევე უნდა გაირკვეს, რა დონეზეა განვითარებული ესა თუ ის უნარი (რამდენი ნაწილისაგან შედგება ასაწყობი სათამაშო?) და ცნებებით აზროვნება (რამდენად განვითარებული

აქვს მათემატიკური აზროვნება, როდესაც ბავშვი თავის კუთვნილ კუბურებს იღებს?).

- როგორ ურთიერთობს ბავშვი სხვა ბავშვებთან? ის ბევრ სხვადასხვა ბავშვთან ერთად თამაშობს თუ ერთი ან ორი ამხანაგი ჰყავს? ბავშვი თავის სათამაშოებს უყოფს სხვებს? ბავშვი თვითონ იწყებს თამაშს, თუ ელოდება, როდის დაუძახებენ ან შესთავაზებენ ითამაშოს? რა ართობს ბავშვს სხვებთან თამაშის ან მუშაობისას.
- როგორ ამყარებს ურთიერთობას ბავშვი მასწავლებელთან და სხვა უფროსებთან? შეუძლია თუ არა ბავშვს დახმარება ითხოვოს? ბავშვი დიდ ყურადღებას მოითხოვს უფროსისაგან? ბევრი მითითება სჭირდება ბავშვს რაიმე აქტივობის შესრულების პროცესში? ბავშვი მუდამ ქებას მოითხოვს? უყვარს ბავშვს მასწავლებელთან საუბარი? ბავშვი რჩება ხოლმე უფროს სტუმრებთან ერთად კლასში?
- კონკრეტულად რა ადგილას თამაშობს ბავშვი კლასში. დააკვირდით, როგორ მოძრაობს ბავშვი კლასში. იგი ყველა აქტივობის ცენტრში ახერხებს ცოტა ხნით მაინც მუშაობას? რომელი აქტივობის ცენტრში მუშაობას ანიჭებს უპირატესობას ბავშვი? ბავშვი ადვილად გადადის ერთი აქტივობის ცენტრიდან მეორეში თუ მას უფროსების დახმარება სჭირდება?
- როგორ მეტყველებს ბავშვი. გასაგებად გამოთქვამს ბავშვი სიტყვებს? ბავშვს შეუძლია თუ არა გამოხატოს თავისი სურვილები? რა ტემბრის ხმა აქვს ბავშვს? ბავშვი უფროსებს და ბავშვებს ერთნაირად ესაუბრება? რამდენად მდიდარია მისი ლექსიკონი?
- როგორ მოძრაობს ბავშვი, დააკვირდით ბავშვის ქცევას ეზოში. ბავშვი დახტის, დარბის, ცოცავს? შეუძლია თუ არა წონასწორობის შენარჩუნება? უყვარს თუ არა ბავშვს ფეხბურთი, ცეკვა , მოძრავი თამაშები?
- დააკვირდით ბავშვის ხასიათსა და ტემპერამენტს. ბავშვი ლაღია თუ დაძაბული? ხშირად ტირის? იცინის თუ იღიმება? შეუძლია თუ არა გრძნობების ვერბალურად ანუ სიტყვიერი გამოხატვა? აწარმოებს თუ არა უფროსებთან და ბავშვებთან მოლაპარაკებას?
- დააკვირდით, რომელ როლს ირჩევს ბავშვი ჯგუფური თამაშის დროს (მაგალითად, ლიდერია, წინამძღოლია იგი თუ მიმდევარი, მსმენელია თუ მომხსენებლი?).

მასწავლებელთა დაკვირვებები, შეფასების შედეგები და მშობელთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია უნდა გამოვიყენოთ ყოველი ბავშვის უკეთ გაცნობისა და მისთვის ინდივიდუალური პროგრამის შედგენისათვის.

როგორ გამოვიყენოთ დაკვირვების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია

ინდივიდუალური ადაპტაცია

დაკვირვების ჩატარების უმთავრესი მიზანი არის იმ ინფორმაციის მოპოვება, რომელიც მასწავლებელს დაეხმარება ბავშვისათვის ისეთი პროგრამა დაგეგმოს და შეადგინოს, რომელიც მისწრაფებებსა და საჭიროებას შეესატყვისება. დაკვირვების შედეგად დაგეგმილი აქტივობების კლასში გატარება შემდეგი გზებით მიიღწევა:

ბავშვის ინტერესების გამოყენება. იმ ბავშვისათვის, რომელიც ვერ ბედავს აქტივობათა რეპერტუარის გაფართოებას, მასწავლებელმა ბავშვის ნაცნობ აქტივობაში ახალი აქტივობა უნდა ჩართოს. მაგალითად:

> „ტალს ძალიან უყვარს მშენებლობა, მაგრამ ვერ ბედავს ხატვას და წერას. მასწავლებელი კუბურებთან ერთად ფანქრებსა და ფერად ფურცლებს სთავაზ-

ობს და სთხოვს მას გააკეთოს წარწერა „არ შემაწუხოთ", რომელიც მან მშენებლობის ადგილას უნდა გამოაკრას.

ევა ისე ჩუმად ლაპარაკობს, რომ თითქმის არავის ესმის მისი ხმა ჯგუფში. მასწავლებელი ევასა და მის ამხანაგს თოჯინებს ურიგებს და სთხოვს სიმღერის დროს რეფრენის შემოძახებას.

ბავშვთა დაწყვილება და ჯგუფებად დაყოფა. პიაჟეს მიაჩნია, რომ ბავშვები ერთმანეთისაგან უკეთ სწავლობენ. ისეთი ბავშვის დაწყვილება, რომელიც რაღაცას ვერ იგებს, მეორე ბავშვთან, რომელიც ამ საკითხს კარგად ფლობს, ხელს უწყობს მათ ერთმანეთს გააგებინონ ის, რაც გაუგებარია. მაგალითად, ბავშვი, რომლისათვისაც გაუგებარია, რას ნიშნავს კუთვნილებითი მიმართება "ერთი – ერთს" გულისყურით შესცქერის თავის მეგობარს, რომელიც აჩვენებს და „ასწავლის" როგორ უნდა განალაგოს კოჭები სათამაშო დაფის თითო უჯრაზე.

აქტივობათა შენაცვლება. მასწავლებლებმა, შესაძლოა, ერთი და იგივე მასალის უამრავი კომბინაცია გამოიყენონ და ისე ათამაშონ ბავშვები. ამგვარი შენაცვლება განპირობებულია იმით, თუ როგორ აითვისეს ბავშვებმა განვლილი მასალა. მაგალითად, როდესაც ბავშვები თავსატეხი სათამაშოებით არიან დაკავებულნი, მასწავლებელმა ისინი უნდა მოამარაგოს სხვადასხვა რაოდენობის ნაწილებისაგან შედგენილი სათამაშოებით, ანდა ჯგუფური თამაშების დროს, მასწავლებელი ერთ-ერთ ბავშვს სთხოვს უფრო რთული დავალების შესრულებას, მაგალითად ასკინკილას, დანარჩენები კი ორი ფეხით ხტუნავენ ადგილზე. მოკლედ, ერთსა და იმავე აქტივობაში ბავშვები სხვადასხვანაირად არიან ჩართულნი.

სპეციპიკური ამოცანების დასახვა. ზოგიერთი ჩვევის გამოსამუშავებლად თუ სასწავლად, მასწავლებელი მიზნობრივი სწავლების მეთოდს მიმართავს ხოლმე. მაგალითად, თუკი მასწავლებელმა შენიშნა, რომ ბავშვებს უჭირთ მაკრატლის ხმარება, იგი მათ ჯერ თევზაობას ავალებს, ე.წ. „საცეცებით" ნივთების ჭერას, ანდა ჭიკარტებს არჭობინებს დაფაზე, რათა თითის მცირე კუნთები გაივარჯიშონ. ამის შემდგომ, ეს ბავშვები გადადიან ფურცლის გახევაზე, ხოლო, როცა აითვისებენ, კვლავ შეეცდებიან მაკრატლით ფურცლის გაჭრას.

სკოლისგარე კონსულტაციები და კონსილიუმები.

იშვიათად, ისეც ხდება ხოლმე, რომ მასწავლებელი ბავშვის ქცევით ძლიერ არის შეშფოთებული და არცთუ უსაფუძვლოდ. ზოგჯერ საადაპტაციო მუშაობის ჩატარების მიუხედავად, ბავშვის ქცევა უცვლელია. მასწავლებელი მიდის იმ დასკვნამდე, რომ პრობლემა ყოველმხრივ სერიოზულ კვლევას საჭიროებს. ამ დროს აუცილებელია მასწავლებელმა ჩამოაყალიბოს პრობელმა და მისი კორექციისათვის საჭირო ზომები და თავისი მოსაზრებები ამ საკითხზე მშობლებს გაუზიაროს. შესაძლოა, ოჯახმა და მასწავლებელმა ერთად გადაწყვიტონ მოცემულ საკითხზე დამატებითი ინფორმაციის მოპოვება. შესაძლოა, ბავშვი ექიმმა ან ფსიქოლოგმაც გასინჯოს და რეკომენდაციებიც მოგვცეს, ჩარევის აუცილებლობასა თუ დახმარების სხვა ფორმების შესახებ. შესაძლოა, ბავშვს განსაკუთრეული რეჟიმი და მკვეთრად ინდივიდუალური პროგრამა სჭირდება. ოფიციალურად განვითარებული პარამეტრები და პროფესიული მეთოდები დამატებით ინფორმაციას მოგვაწვდიან, მაგრამ აუცილებელია, რომ ყველა ეს სქემა და მეთოდი სარწმუნო და სანდო იყოს. მასწავლებლები წინასწარ უნდა მოემზადონ, რათა ეს მეთოდები სწორად გამოიყენონ.

ზოგი დიაგნოსტიკური შემოწმება მხოლოდ გარკვეული დარგის სპეციალისტმა უნდა ჩაატაროს, მაგალითად ფსიქოლოგმა, მეტყველების პათოლოგიის სპეციალისტმა, შრომითერაპიის სპაციალისტმა ან ექიმმა.

ნაკლის მქონე ბავშვები.

ნაკლის მქონე ბავშვთა მიღება სკოლაში შეახსენებს მთელ საზოგადოებას – ჩვენთვის ყველა ადამიანი ერთნაირად ფასეულია. ბავშვებში მსგავსება მეტია, ვიდრე განსხვავება. ამიტომაც, მასწავლებლებისა და მშობლების დახმარებით ასეთი ბავშვებიც ისევე გაიფურჩქნებიან, როგორც დანარჩენები, რადგან იგრძნობა, რომ ამ კლასში ყველა ბავშვი პიროვნებაა, მისი უნიკალური თვისებები და ინდივიდუალობა ძალზე ფასეულია. ნორმალური განვითარების ბავშვები თავიდანვე ეჩვევიან სხვადასხვა უნარმოკლებულ ადამიანებთან მეგობრობას, თამაშსა და მუშაობას.

სკოლის პერსონალი, რომელსაც ნაკლის მქონე ბავშვებთან არასოდეს უმუშავია, თავიდან ძალზე ღელავს და არ იცის, შეძლებს თუ არა მუშაობას. ამ შემთხვევაში, საჭიროა, წინასწარ საუბრები ჩავუტაროთ თანამშრომლებს, გავაცნოთ კონკრეტული დავალებები და, აგრეთვე, საშუალება მივცეთ თავისი ღელვა გაგვიზიარონ. სშირად, ნაკლის მქონე ბავშვის მშობლები საუკეთესოდ არიან ინფორმირებულნი საკუთარი ბავშვების დაავადებათა შესახებ და შესანიშნავად იციან, როგორი მოვლა და მოქცევა სჭირდებათ მათ. მათ შეუძლიათ დახმარება გაგვიწიონ ბავშვის ინტერესებისა და საჭიროების დადგენაში.

მშობელთა ნებართვით, შესაძლოა, ბავშვები მეტყველების სპეციალისტმა და ექიმმა გასინჯოს და პროფესიული რჩევები მოგვცეს ბავშვის კონკრეტულ აქტივობაში ჩართვის ან კონკრეტული მასალის გამოყენების შესახებ. შესაძლოა, სპეციალისტები მოვიწვიოთ, რომლებიც ინდივიდუალურად იმუშავებენ ბავშვებთან, ანდა ამ ბავშვებს მცირე ჯგუფებში ჩართავენ. მასწავლებლებმა, შესაძლოა, ინდივიდუალური პროგრამა მოითხოვონ ინვალიდი ბავშვებისათვის.

ინდივიდუალური ადაპტაციის ტექნიკა დაეხმარება მასწავლებელს ყველა ბავშვთან წარმატებით იმუშაოს.

ზოგჯერ საგანგებო ცვლილებების განხორციელება მოგვიხდება, ესენია:

- ფიზიკური ჩამორჩენა. ამ დროს საჭიროა კლასი ისე გადავაკეთოთ, რომ შესაძლებელი იყოს ინვალიდის სავარძლით მოძრაობა. კიბის გვერდით უნდა გაკეთდეს სავარძლის სავალი დაღმართი. სახატავი დაფები უფრო მაღლა უნდა აიწიოს, წყლით სათამაშო მაგიდაც უნდა დამაგრდეს, სავარძელში ბავშვი მოხერხებულად უნდა

იჯდეს ან იწვეს. მსხვილწვერა ფერადი ფანქრები და კალმები უნდა შევურჩიოთ, ფუნჯებზე ლენტი უნდა დავახვიოთ, რათა ხელიდან არ გაუსხლტეს; იგივე მიზეზით ასაწყობი სათამაშოები არ უნდა იყოს გლუვი, ასევე, თუ შესაძლებელია, შესაბამისი სამუშაო იარაღები უნდა შევარჩიოთ.

- მეტყველების დეფექტი. ბავშვთან მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ისაუბროთ და მარტივი წინადადებები გამოიყენოთ. საუბრისას გამოიყენეთ დამხმარე თვალსაჩინოება - სურათები, ანდა ნივთები. რამდენჯერმე გაიმეორეთ მოთითება და სთხოვეთ ბავშვსაც გაიმეოროს ახალი ინფორმაცია. აუცილებელი, რომ მსმენელი/მასწავლებელი მშვიდად უსმენდეს ბავშვს და არ განსჯიდეს.

- სმენის დეფექტი. თუკი ბავშვი ჟესტების ენით საუბრობს, თქვენ აუცილებლად უნდა მოიწვიოთ ვინმე, ვინც დანარჩენ ბავშვებს, მარტივ ჟესტებს ასწავლის. შეამოწმეთ ხოლმე სმენის აპარატის ბატარეები. გამოიყენეთ თვალსაჩინოება: სურათები, ფოტოები და საგნები. სანამ ინფორმაციას გადასცემდეთ ან ზღაპრის მოყოლას დაიწყებდეთ, ჯერ სმენადაქვეითებული ბავშვის ყურადღება მიიპყარით. აწარმოეთ ახალი აქტივობის და ახალი მასალის დემონსტრაცია.

- მხედველობის დეფექტი ან სიბრმავე. ისეთი მასალა გამოიყენეთ, რომელთა გამოყენებაც შეგრძნებების სხვა ორგანოების მეშვეობით არის შესაძლებელი. მაგალითად, ზუმფარისაგან გამოჭრილი ასოები და რიცხვები; ასაწყობი სათამაშოების ასაწყობად მოიხმარეთ წებო. კლასში ბავშვს უსაფრთხოდ უნდა შეეძლოს გადაადგილება. ბავშვს არ მოშორდეთ ან რომელიმე ბავშვი მიუჩინეთ კლასში შესვლისა და გამოსვლის დროს. ბავშვების ყურადღების მისაპყრობად გამოიყენეთ ზარი. ხშირად დაუკარით და იმღერეთ. ხელი შეუწყვეთ ბავშვებს იგრძნონ ახალი მასალა და აღჭურვილობა.

- გონებრივი ჩამორჩენა. ბავშვს განვითარების შესატყვისი მასალა და აქტივობა შესთავაზეთ, რომ არ დაიჩაგროს. ასწავლეთ, როგორ უნდა დაიყოს რაღაც დავალება მარტივ ნაწილებად. მარტივი, გასაგები და ცხადი მითითებები მიეცით და ხშირად შეახსენეთ. შეეცადეთ, რომ ბავშვი ჯგუფურ თამაშში ჩაერთოს.

- ყურადღების დეფექტი. საუბრისას მარტივი წინადადებები გამოიყენეთ და მოკლე მითითებები მიეცით. ჯგუფური აქტივობის დრო შეამცირეთ. დაიხმარეთ თვალსაჩინოება. ბავშვი მასწავლებლის გვერდით დასვით ჯგუფური აქტივობის დროს. ბავშვს მუშაობისას საკმარისი ადგილი გამოუყავით, რათა უკეთ შეძლოს კონცენტრაცია თუ დასვენება.

- ემოციური ან ქცევის დეფექტი. დაეხმარეთ ბავშვს სიტყვებით გამოხატოს გრძნობები და შეიკავოს სურვილები. აუცილებლად უნდა გვქონდეს ცალკე ოთახი, სადაც სიწყნარეში ბავშვს შეეძლება დაისვენოს და დამშვიდდეს. შეეცადეთ, დადებითი მუხტი გადასცეთ, განვითარების შესატყვისი დავალებები მიეცით. გამოიყენეთ თოჯინები, სათამაშო ცხოველები, რათა ბავშვმა გამოხატოს თავისი გრძნობები და აზრები. დანარჩენი ბავშვები უნდა შეეჩვიონ თავშეკავებას, დეფექტურ ბავშვთან უსაფრთხო ურთიერთობას. ამგვარი ბავშვებისათვის უმჯობესია სხვა ბავშვების თამაშს უყურონ, სანამ თამაშში ჩაერთვებიან. დაეხმარეთ ამ ბავშვებს მეგობრების შეძენაში.

ოჯახებისათვის ინფორმაციების მიწოდება.

მასწავლებელთა/მშობელთა კონფერენციები.

მასწავლებელთა და მშობელთა შეხვედრები და ურთიერთობა ძირითადად არაოფიციალურ ხასიათს ატარებს. არაოფიციალური შეხვედრები ძალზე მნიშვნელოვანია და ორივე მხარის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. თუმცა, დროდადრო აუცილებელი ხდება ოფიციალური შეკრებებისა და კონფერენციების მოწვევა. ამგვარი კონფერენციების მიზანია, მასწავლებლებმა იმსჯელონ ბავშვის ზრდისა და განვითარების მიმდინარეობაზე, ხოლო მშობლებმა კი პროგრამის თანამშრომლებს საკუთარი მოსაზრებები, დაკვირვებები და გულის ნადები გაუზიარონ. პრობლემებზე მასწავლებლები და მშობლები ერთად მსჯელობენ, გადაწყვეტილებებსაც ერთად იღებენ. კონფერენციებზე განისაზღვრება ბავშვებისათვის ინდივიდუალ-

კონფერენციის წარმატებით ჩატარების პრინციპები:

მშობლები მოიწვიეთ მათთვის ხელსაყრელ დროს, მაგალითად, საღამოს ან შაბათ-კვირას, რათა მშობლებს არ დასჭირდეთ სამსახურის გაცდენა. წინასწარ აცნობეთ მშობლებს კონფერენციის მიზანი. თუ გსურთ, რომ მშობლებმა გარკვეული ინფორმაცია წარმოადგინონ კონფერენციაზე, წინასწარ გააფრთხილეთ და აუხსენით, რა გჭირდებათ.

კონფერენციები დაგეგმეთ საოჯახო ოთახს ან საკლასო ოთახში, რათა მშობლებმა თავი შინაურულად იგრძნონ. გაუმასპინძლდით ყავით და უალკოჰოლო სასმელებით. თუ საჭიროა, სხვა მასწავლებელს სთხოვეთ ბავშვებს მიხედონ. საუბარი დაიწყეთ დადებითი ინფორმაციით ბავშვების განვითარებისა და წინსვლის შესახებ.

მშობლებს წინასწარ დაურიგეთ თეზისები, კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები და სხვა საჭირო ინფორმაცია. მოიშველიეთ ბავშვთა ნამუშევრები საკითხის განხილვის საილუსტრაციოდ. ბავშვის განვითარების შესახებ იმსჯელეთ მისი ნამუშევრების საფუძველზე. მიეცით საშუალება მშობლებს შეკითხვები დაგისვან, გამოთქვან გულისწუხილი, გაგიზიარონ დარდი და სიხარული. კონფერენციის მიზანია ორმხრივი ინფორმაციის გაზიარება. შესაძლოა, მშობლებს ვთხოვოთ ისაუბრონ, თუ რისი გაკეთება უყვარს ბავშვს შინ ან წიგნებით თუ არის გატაცებული ბოლო ხანებში; ასევე გამოკითხეთ, რომელი ოჯახის წევრია ავად, რომელსაც ბავშვი გამუდმებით ახსენებს. ბავშვის ყოფაქცევაზე ხშირად და ბევრს მსჯელობენ მშობლებიცა და მასწავლებლებიც და, შესაძლოა, ეს ორივე მხარისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა იყოს.

განიხილეთ კლასში მიღებული ყოფაქცევის წესები, გააცანით მშობლებს, თუ როგორ მიიღწევა წესრიგი კლასში და რა მეთოდებით აღმოიფხვრება უწესრიგობა. კონფერენციები (შეხვედრები, კრებები, საინფორმაციო ბიულეტენები და სემინარები) ამტკიცებს ხარვეზების აღმოფხვრას ბავშვის ყოფაქცევაში შინ თუ კლასში.

გაითვალისწინეთ, რომ მშობლებს სხვა საქმეც ბევრი აქვთ და თუკი კონფერენცია 30 წუთით არის დანიშნული, ზუსტად ამ დროით შემოიფარგლეთ. თუკი ვერ მოსაწარით ყველა პრობლემის განხილვა, მომავალში შემდეგი კონფერენცია დანიშნეთ, ორივე მხარისათვის ხელსაყრელ დროს. კონფერენცია დადებითი განწყობილებით დაასრულეთ. დრო მოიტოვეთ მშობელთა კითხვებისათვის.

ური ამოცანების დასახვა. მშობლები მასწავლებლებს ესაუბრებიან, თუ რა მეთოდებს იყენებენ ბავშვების აღზრდისათვის შინ. კონფერენციები, ჩვეულებრივ, 30-45 წუთს გრძელდება და ერთი საპროგრამო წლის მანძილზე ორ-სამჯერ ტარდება.

ანგარიში-მოხსენება.

ანგარიშიც და მოხსენებაც მშობლებისათვის ინფორმაციის გაზიარების ოფიციალური მეთოდია. მოხსენებაში აღწერილია ბავშვის წინსვლა-განვითარების პროცესი, საერთო განვითარების დონე, მიდრეკილებები, ურთიერთობის მანერა. მოხსენებაში ნათლად უნდა აისახოს ტიპიური ბავშვის ქცევა ერთი დღის განმავლობაში. ამ თავს ერთვის მოხსენებისა და ანგარიშის ნიმუშები – ანკეტა და მოხსენება.

დადებითი დახასიათებით დაიწყეთ. აღნიშნეთ ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეები. ყოველნაირად შეეცადეთ, უსამართლოდ არ განსაჯოთ ბავშვის ქცევა, როდესაც მშობლებისათვის მოხსენებას ამზადებთ. ინფორმაცია უნდა იყოს ობიექტური და დაკვირვების შედეგად მოპოვებული. შესთავაზეთ ბავშვის ყოფაქცევისა და სწავლის გამოსწორების ხერხები. ურჩიეთ, გაეცნონ ამა თუ იმ ლიტერატურას. შეეცადეთ, რაც შეიძლება კონკრეტულად გააშუქოთ საკითხი. მოხსენებას ბოლოს ხელი მოაწერეთ და აღნიშნეთ თქვენი საკონტაქტო ტელეფონი ან მისამართი.

თუკი მოხსენება ექიმს, ფსიქოლოგს ან სკოლის ხელმძღვანელობას ეგზავნება, მასწავლებელმა იგი წინასწარ უნდა გააცნოს მშობლებს, რათა მათ შესწორებები შეიტანონ და ნებართვა მისცენ მასწავლებელს, მათი შვილის შესახებ ინფორმაციის გარეშე პირისათვის მიწოდების შესახებ. მშობლები წინასწარ ეცნობიან და ნებართვის ხელწერილს წერენ, რომლის თანახმადაც, ნებისმიერი ინფორმაცია მათი შვილის შესახებ ეგზავნება სკოლის ხელმძღვანელობასა, თუ სხვა დარგის სპეციალისტებს.

მოხსენებაში აღნიშნული ინფორმაცია ახალი არასოდეს უნდა იყოს მშობლებისათვის. მათ არაოფიციალური შეხვედრების შედეგად კარგად უნდა იცოდნენ, რა პრობლემები არსებობს ბავშვის განვითარებაში. ამგვარად, წერილობითი მოხსენება მხოლოდ იმ ფაქტებს უნდა აღნუსხავდეს, რომლებზეც არაერთხელ საფუძვლიანად გიმსჯელიათ მხობლებთან.

მასწავლებლისა და მშობლის ხშირი კონტაქტი ხელს უწყობს ბავშვის წარმატებით განვითარებას და აგრეთვე, ეხმარება მშობლებსა და მასწავლებლებს სწორად წარმართონ აღზრდის პროცესი. ამგვარი კონტაქტი საშუალებას აძლევს მშობლებსა და მასწავლებლებს აღზარდონ, დააინტერესონ და შემდეგ ერთად გაიხარონ ბავშვების წარმატებით.

დაკვირვების საწარმოებელი ანკეტა მასწავლებლისათვის.

ბავშვის სახელი და გვარი _____

თარიღი _____ დღე და რიცხვი_____

დამკვირვებლის სახელი და გვარი_____

აღნიშნეთ ის პუნქტები, რომელთაც ბავშვი ასრულებს. თუ დაკვირვება არ გიწარმოებიათ, პუნქტის გასწვრივ დაწერეთ " არა". აგრეთვე, ყოველი პუნქტის გასწვრივ აღნიშნეთ, როგორია შესრულების ხარისხი ან რა შენიშვნა გაქვთ.

განვითარების სფეროები

ენა და მეტყველება

საუბრობს ბავშვებთან _____

საუბრობს უფროსებთან _____

საუბრობს გასაგებად _____

წარმოსთქვამს დასრულებულ წინადადებებს _____

საუბრობს თამაშის პროცესში _____

სპონტანურად იყენებს ენას _____

თავად იწყებს საუბარს _____

გრძნობებს სიტყვებით გამოხატავს _____

სენსორული განვითარება (მხედველობა, სმენა)

ახამებს ფერებს და ზომებს _____

ამჩნევს ახალ მასალას ან სათამაშოს _____

ცნობს საკუთარი სახელის ნაბეჭდ გამოსახულებას _____

არჩევს და ცნობს ჩვეულ ხმებსა და ხმაურს _____

ეგუება ხმაურს _____

უსმენს და იგებს მითითებებს _____

უსმენს ზღაპრებს და საკუთარ კომენტარს აკეთებს _____

მონაწილეობას იღებს მუსიკასა და ვარჯიშში _____

დიდი კუნთების მოტორული განვითარება

მიტყუპებული ფეხები ახტება საგანს _____

წონარსწორობას იცავს ბოგირზე _____

ადვილად ადი_ჩადის კიბეზე _____

ისვრის ბურთს _____

ზუსტი სროლისათვის ხმარობს დომინანტურ ხელს _____

ფეხით აგორებს ბურთს _____

ზუსტი დარტყმისას ხმარობს დომინანტურ ფეხს _____

დარბის, ისე რომ არ ეცემა _____

ადვილად ატარებს ველოსიპედს _____

საქანელაზე ქანაობს _____

შეუძლია საცურაო დაფაზე აცოცება და ჩამოცურება _____

მცირე კუნთების მოტორული განვითარება

იკრავს და იხსნის ღილებს _____

იკრავს და იხსნის ელვას _____

აგორებს კამათელს და კენჭებს _____

აწყობს ასაწყობ სათამაშოებს _____

სწორად აერთებს სათამაშოს ნაწილებს _____

შეუძლია შემოხაზოს საგანი _____

კარგად ჭრის მაკრატლით _____

ხაზავს მარტივ ფიგურებს _____

აჭედებს ლურსმნებს (ხეში) _____

დანა_ჩანგალს თითქმის დაუხმარებლად ხმარობს _____

შემეცნებითი მონაცემები

შეკითხვებს სვამს მასალის შესახებ _____

ითვლის სწორად (მიუთითეთ სადამდე) _____

ცნობს ზოგიერთ ასოსა და რიცხვს _____

საგნებს ალაგებს ზომების, ფორმისა და ფერის მიხედვით _____

არჩევს მსგავსებასა და განსხვავებას _____

ადვილად იჭრება როლში _____

აინტერესებს წიგნები _____

ცნობს ზოგიერთ დაწერილ სიტყვას _____

კითხულობს _____

კუბურებით გრძელ რიგს აგებს _____

კუბურებით ხიდებს აგებს _____

კუბურებით ზღუდეებსა და გალავნებს აშენებს _____

დღის რეჟიმის დაცვა

ადვილად ირჩევს აქტივობის ცენტრს _____

სამუშაოს სანამ არ დაარულებს, არ წყვეტს _____

ადვილად გადის ერთი აქტივობის ცენტრიდან მეორეში _____

კარგად თამაშობს თანატოლებთან _____

ემორჩილება კლასის წესებს _____

მონაწილეობს ჯგუფურ აქტივობაში _____

ტუალეტით დამოუკიდებლად სარგებლობს _____

ჭამს ყველანაირ საკვებს _____

უყვარს ეზოში გასვლა _____

შეუძლია დასვენება. _____

სოციალური და ემოციური განვითარება

ადვილად ეწყობა ბავშვებს _____

ადვილად ეწყობა უფროსებს _____

შეუძლია განაწილება, გაზიარება _____

შეუძლია რიგის დაცვა _____

ბრაზს შესაბამისად გამოხატავს _____

ჰყავს ერთი ან მეტი უახლოესი მეგობარი _____

გვეხმარება დალაგებაში _____

ერთვება ჯგუფურ თამაშებში _____

თამაშობს მცირე ჯგუფებში ერთ ან ორ ბავშვთან ერთად _____

იცის თავისი სახელი და გვარი _____

პიროვნებას, ვისაც ესაუბრება, თვალებში უყურებს _____

ფაქიზად ეპყრობა მასალას _____

უტირლად ემშვოდოებება მშობლებს _____

უმეტესწილად იღიმება და მხიარულია _____

იშვიათად უშლის ხელს სხვა ბავშვებს _____

კმაყოფილია საკუთარი მიღწევებით _____

არ ეშინია სიახლის _____

უსაფუძვლოდ არ ეშინია ცხოველებისა და მწერების _____

ჯანმრთელობა

იშვიათად აცდენს _____

იშვიათად ავადმყოფობს _____

შეუძლია მოთმენა _____

ძირითადად ჯანსაღი იერი აქვს _____

მცირე ალერგია აქვს ან სულ არა აქვს _____

იშვიათად ჩივის, რომ ცუდად არის _____

გთხოვთ, ჩამოთვალოთ ბავშვის საყვარელი საქმიანობები:

გთხოვთ, ჩამოთვალოთ ბავშვის საყვარელი წიგნები და ზღაპრები:

სხვა შენიშვნები (კომენტარი):

ნახევარწლიური ანგარიში - მოხსენება /ნიმუში/

სახელი: ანა

მასწავლებელი: კრისი და როქსანი

თარიღი: 19 იანვარი 1994

ჩვენ ძალზე კმაყოფილების ვართ ანასი. ანა მთელი წელი ჯანმრთლეად იყო და სკოლა მხოლოდ ერთხელ გააცდინა ყურის ტკივილის მიზეზით. ანა კარგი მჭამელია და სიამოვნებით მიირთმევს ახალ-ახალ საჭმელებს საუზმეზე და სადილზე. მისი საყვარელია საჭმელია იუგურტი ხილით და მას ერთი სული აქვს ხოლმე, სანამ იუგურტს შეექცევა. ანა თვითონ იხდის პალტოს და ქუდს, თვითონვე იკრავს ღილებს. იგი ცდილობს ელვის დამოუკიდებლად შეკვრას, მაგრამ ჩექმების ჩაცმაში დახმარება ჯერ კიდევ სჭირდება. ანა ტუალეტით დამოუკიდებლად სარგებლობს და არც ხელების დაბანა ავიწყდება.

რაც დრო გადის, ანა სულ უფრო ადვილად ემშვიდობება ბებიას დილაობით. ახლა იგი გამომშვიდობებისას ერთს ჩაეხუტება „ბებოს", ჩაკოცნის და კლასისაკენ მორბის. კლასში იგი ჩვეულებრივ ენთუზმიაზმით აღსავსე შემოდის, ყველას ესალმება, – მასწავლებელსაც და ბავშვებსაც. ანა სწრაფად ამთავრებს საუზმეს და ერთ-ერთი აქტივობის ცენტრისკენ მიეშურება. მას უყვარს სხვა ბავშვებთან ერთად თამაში და სიამოვნებით უყოფს თავის სათამაშოებსა და მასალას. მას შეუძლია თავადაც წამოიწყოს თამაში და სხვების თამაშშიც ჩაებას. ანა დარწმუნებულია თავის თავში, რადგან სიამაყით აჩვენებს ხოლმე ნახატებს თავის მეგობრებს.

ანას ერთი აქტივობის ცენტრიდან მეორეში გადასვლა არ უჭირს და მასწავლებლის დახმარება არ სჭირდება. ანას საყვარელი საგნებია წერა-კითხვა, ქვიშა და წყალი, ხელოვნება, მანიპულატივები. ანა აშენებს ძალზე საინტერესო, მრავალნაირ ნაგებობებს და ლამის მშენებლობის ცენტრში არსებულ ყველა კუბურას იყენებს: გასულ კვირას მან, რაც კი კლასში კუბურა იყო, ყველა ცხოველების სახლის აშენებას მოახმარა. მას შესანიშნავად აქვს განვითარებული მცირე კუნთები, რასაც ადასტურებს ის, რომ ანა ძალზე ოსტატურად ხმარობს მაკრატელს, ფაქიზად აწებებს ერთმანეთს ხის პატარა ნაჭრებს. მას საათნახევარი შეუძლია კოლაჟს უტრიალოს, ან პლასტელინით ძერწოს ან დაასურათოს წიგნები.

ანას უკვე აინტერესებს ასოები და სიტყვები და ხშირად გვთხოვს ჩავწეროთ მისი სურათის აღწერა. როგორც იცით, ანა ცდილობს საკუთარი სახელი დაწეროს. მისი ასკისათვის შესაფერისი კალამი ხელში სწორად უჭირავს.

მანიპულატივების ცენტრში მუშაობისას ანა სხვა ბავშვებთა ერთად კუბურებს ფერებისა და ფორმების მიხედვით ახარისხებს. მას უყვარს სუფრის გაწყობა და შვიდამდე ითვლის საგნებს, ფანქრებს, ხელსახოცებს, დანა-ჩანგალს. ეს ყოველივე მისი ლოგიკური და მათემატიკური აზროვნების განვითარებაზე მიუთითებს.

ჯგუფური აქტივობის დროს ანა ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ გარბის წერა-კითხვის ან

ხელოვნების ცენტრში და განმარტოებით მუშაობს. საერთოდ, ანა ჯგუფურ მუშაობაში ყურადღებიანი და აქტიურია. განსაკუთრებით უყვარს მუსიკა და წიგნების კითხვა. მისი საყვარელი მოთხრობაა „გაიქეცი ბაჭიავ". ის მუდამ ამ მოთხრობის წაკითხვას ითხოვს. ანა მოითმენლად ელის ეზოში გასვლას და ერთ-ერთი პირველთაგანი იცმევს პალტოს და იხურავს ქუდს. ეზოში მისი საყვარელი თამაშია სასრიალოდან ჩამოსრიალება და ყვითელ სახლში გოგონებთან ერთად თამაში. ისინი ხშირად თამაშობენ, ვითომ ლეკვები ან კნუტები არიან და ტყეში ცხოვრობენ. უკანასკნელ ხანს მან დაიწყო ბურთის მიზანში სროლა. თუ ბურთი კარში გაუტანეს ან მიზანს ააცილა, სულაც არ დარდობს.

დაკვირვებამ ცხადყო, რომ ანა ასაკის შესაფერისად ინარჩუნებს წონაწორობას, ასევე შესაფერისად აქვს განვითარებული ხტომისა და ცოცვის უნარი. იგი სიამოვნებით დარბის და ახლახან დაიწყო ველოსიპედის ტარება.

ანა ხშირად ყვება, სად წაიყვანეს მშობლებმა შაბათ-კვირას. განსაკუთრებით უყვარს ახალდაბადებულ ბიძაშვილ ემილიზე საუბარი. ეს საუბრები ხშირად ზოგად საუბრებში გადადის და ბავშვებს სურვილი უჩნდებათ საკუთარი, ახალშობილობის დროინდელი, სურათები მოიტანონ და საბავშვო ალბომი ან წიგნი გააკეთონ. ჩვენ ძალზე მადლიერები ვართ, რომ ანას ბებიამ ბავშვებს კულინარიის გაკვეთილები ჩაუტარა. ანა სიამოვნებით

მზარეულობდა და თან უხაროდა, რომ ბებიამისი სხვა ბავშვებმაც გაიცნეს.

ანას დიდი წვლილი მიუძღვის ჯგუფის მუშაობაში და ჩვენ მოულოდნელად ველოდებით მის ახალ მიღწევებს.

მოსწავლის მოსწრების ანგარიში

ბ ა ბ ა - ბ ა ღ ი

სახელი _____ წელი _____

მასწავლებელი _____

თარიღი. _____

ნაწილი I:

მშობლებისათვის შედგენილ ანგარი-მოხსენებებში ჩვენ აღვწერთ ბავშვის ინდივიდუალურ მიღწევებს ზოგადი პროგრამის ფარგლებში. ეს ნუსხა ანგარიშის ნაწილია. აქ ჩამოთვლილია ყველა ის მასალა და აქტივობა, რასაც ბავშვებს ვთავაზობთ.

ჩვენ შემოვხაზავთ იმ აქტივობას, რომელსაც თქვენი შვილი ირჩევს და ვარსკვლავით (*) აღვნიშნავთ იმ სფეროს, რომლისადმიც ის განსაკუთრებულ ინტერესს ამჟღავნებს.

<u>კლასში</u>

დიდი კუბურები
პატარა კუბურები
ცდების ჩასატარებელი მაგიდა (წყალი, ქვიშა, თესლები)
წიგნები, ბღაპრები, ლექსები
მუსიკა (სიმღერა, ცეკვა)
ფირფიტები
ასაწყობი სათამაშოები - (თავსატეხები)
ფილმები
პლასტელინი (სათამაშო ცომი)
დაფა და ცარცი
დრამწრე
მანიპულატივები (ლეგო, დაფები, ასაწყობი კუბურები)
გაფერადება
ჭრა
სურათების ჩაკვრა
ხატვა (ფერადი ფანქრები, ცარცი, ფანქარი)
დაწებება
საუბმე

<u>განსაკუთრებული პროექტები:</u>

წიგნების დამზადება
საჭმლის მომზადება, ცხობა.
ხეზე მუშაობა.

<u>ეზოში</u>

ქვიშა
საქანელა
საქანელა ბორბალი
აიწონა-დაიწონა
თოვლში თამაში
ცოცვა
ხერხვა
სათამაშო სახლები
ვაგონები
ბურთები

<u>სპეციალური საგნები</u>

მუსიკა
ბიბლიოთეკა
ფიზიკური აღზრდა

სახელი/ ბაგა-ბაღი K - 2

სახელი _____ წელი _____

ნაწილი II: გარე სამყაროს შესახებ ცოდნის გაღრმავება, წერა-კითხვა, მათემატიკური და ლოგიკური აზროვნების განვითარება.

სწავლა მთლიანი პროცესია. მაგალითად კუბურებით მუშაობისას ერთი ბავშვი განსაკუთრებით ფორმითა და ესთეტიკური მხარით არის დაინტერესებული, მაშინ, როდესაც მეორე – საკითხს მათემატიკურად უდგება – თვლის, ზომავს, უმატებს და სხვა. თქვენი ბავშვი ყველა იმ აქტივობაში იღებს მონაწილეობას და იმ მასალებს იყენებს, რომელთა სიაც მოცემულია ანგარიშის პირველ ნაწილში და ამგვარად იძენს ცოდნას გარე სამყაროს შესახებ. ამგვარად უვითარდება მას მათემატიკური და ლოგიკური აზროვნება და წერა-კითხვის ელემენტებსაც ეუფლება.

ბავშვი _____ მუშაობს მასალით და ჩვენი დაკვირვების შედეგად:

ზამთარი			გაზაფხული			
ი	ზ	ჩ	ი	ზ	ჩ	გასაღები: ი - იშვიათად; ზ - ზოგჯერ; ჩ - ჩვეულებრივ;
						ცდებს ატარებს და იკვლევს საგნების (ქსოვილებს და ა.შ) ფიზიკურ თვისებებს
						აკვირდება სხვების მუშაობას მასალებით
						გეგმავს რა უნდა გააკეთოს სამუშაოს მიმდინარეობისას
						აკვირდება და პასუხობს „რა ხდება"
						ირჩევს მასალათა ორგანიზაციის საკუთარ გზებს
						აკვირდება ცვლილებებს გარემოში
						დასტატებულია მასალებით მუშაობაში

კომენტარი:

სახელი/ ბაგა-ბაღი K - 4

სახელი _____ წელი _____

ნაწილი III: სოციალურ-ემოციური განვითარება.

ყოველ ბავშვს სკოლაში გარკვეული ცოდნა აქვს საკუთარი მეობის შესახებ. ეს ცოდნა მას შეძენილი აქვს მშობლებთა და ოჯახის წევრებთან უშუალოდ კონტაქტში (რასაც ემატება ბაგის, ბაღის ან სკოლის გამოცდილება). ამ ნაწილში ჩვენ გაგაცნობთ ჩვენი დაკვირვებების შედეგებს იმის შესახებ, როგორ განაგრძობს ბავშვი სოციალურ-ემოციურ განვითარებას სასკოლო გარემოში. ბავშვებსა და უფროსებთან ურთიერთობაც და დამოუკიდებლობაც მისი ზრდის მაჩვენებელია.

_____ -თან მუშაობის პროცესში დაკვირვების შედეგად

აღმოჩნდა, რომ: _____

ზამთარი			გაზაფხული			
დ	ზ	ჩ	დ	ზ	ჩ	გასაღები: დ - დასაწყისი სტადია, ზ- ზოგჯერ, ჩ - ჩვეულებრივ.
						ადვილად ურთიერთობს უფროსებთან
						შეუძლია დაეხმაროს უფროსები
						თანამშრომლობს უფროსებთან
						მონაწილეობს მასწავლებლის ხელმძღვანელობით ჩატარებულ ჯგუფურ აქტივობებში
						ადვილად ამყარებს თანატოლებთან ურთიერთობას
						ადვილად ურთიერთობს თანატოლებთან მცირე ჯგუფში
						დამოუკიდებლად ირჩევს სამუშაოს
						უფრთხილდება თავს და საკუთარ ნივთებს
						სიტყვიერად გამოხატავს ერძნობებს
						აკვირდება სხვების მუშაობას
						შეუძლია მიბაძოს სხვას ან მაგალითი გადაიღოს
						შეუძლია დამოუკიდებლად მუშაობა
						კომპეტენტურია თავის საქმეში
						შეუძლია იმპულსის გაკონტროლება
						შეუძლია რიგის დაცვა
						შეუძლია თანატოლებთან უთანხმოების მოგვარება

კომენტარი:

სახელი/ ბაგა-ბაღი K - 3

სახელი _____ წელი _____

მათემატიკაში _____

ზამთარი			გაზაფხული			
ი	ზ	ჩ	ი	ზ	ჩ	გასალები: ი - იშვიათად, ზ - ზოგჯერ, ჩ - ჩვეულებრივ
						არკვევს შეფარდებასა და ტოლობას (უფრო დიდი, უფრო პატარა, ერთნაირი, სხვადასხვა)
						რიგზე აწყობს და აწესრიგებს მასალას
						არჩევს, ახარისხებს და ანგარიშობს
						აჩნევს კანონზომიერებას და შეუძლია მისი გამოყენება
						ითვლის
						ესმის და იყენებს თანაფარდობას ერთი - ერთზე
						რიცხვით სახელებს უსადაგებს ნივთების კრებულს

ზამთარი			გაზაფხული			
ი	ზ	ჩ	ი	ზ	ჩ	გასალები: ი - იშვიათად, ზ - ზოგჯერ, ჩ - ჩვეულებრივ
						უსმენს, როცა სხვები ლაპარაკობენ
						ესმის და იღებს ინფორმაციას
						ესმის ზეპირი ინფორმაცია და შესაბამისად პასუხობს
						ინტერესით ეკიდება ლექსიკონის გამდიდრებას
						სიტყვიერად გადმოსცემს აზრს, მოსაზრებებს
						წინადადებებით მეტყველებს
						აინტერესებს წიგნები
						ინტერესით ეკიდება წაკითხულის შინაარს
						გვკარნახობს წარწერებს, სურათის აღწერასა და ზღაპრებს
						წერას, მეტყველების ჩანაწერად აღიქვამს
						ინტერესს ამჟღავნებს ასოებისა და სიტყვების წერის მიმართ
						თავად ცდილობს დაწეროს ასოები
						ცნობს დაწერილ ნაცნობ სიტყვებს და სახელებს
						ბეჭდური ასოებით გამოყავს საკუთარი სახელი
						ცნობს დიდ ასოებს
						ცნობს ლექსებს

1
კომენტარი:

სახელი/ ბაგა-ბაღი K - 5

სახელი _____ წელი _____

ნაკვეთი IV: მემკვიდრეობით მიღებული სოციალური ინფორმაციის ათვისება.

ზოგი ცოდნა თაობიდან თაობას გადაეცემა. კულტურული და სოციალური ტრადიციები მხოლოდ სხვა ადამიანებისაგან შეგვიძლია შევითვისოთ (ცოდნისაგან განსხვავებით). სოციალური მეცნიერების საფუძვლების სწავლებას ერთიდან რვა წლამდე ასაკის ბავშვებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება და დიდი დრო ეთმობა. თუმცა, ყოველი ბავშვი თავისებურად აღიქვამს მიღებულ ინფორმაციას. ამგვარი ცოდნის პიროვნულად აღქმასა და დამუშავებას ხელი ეწყობა პროგრამის ყველა სფეროში მუშაობისას.

დაკვირვების შედეგად გამოირკვა: _____

ზამთარი			გაზაფხული			
ა	დ	ხ	ა	დ	ხ	

გასაღები: ა-არ ამჟღავნებს ჯერ, დ-დასაწყის სტადიაშია, ხ - ხშირად
საკუთარი ოჯახის შემადგენლობის, საშინაო რეჟიმის, დღესასწაულების ცოდნა და ა. შ.
ოჯახს გარე ურთიერთობების, განრიგის, დღესასწაულების ცოდნა
საკლასო ცხრილისა და დღის რეჟიმის ცოდნა
კლასგარეშე ადგილების და ხალხის ცოდნა და ცნობა
ცოდნა ოჯახსა და კლასის გარე არსებული საზოგადოების, ქვეყნის შესახებ
მდიდარი ლექსიკონი
ენის გამოყენების უნარი
მემკვიდრეობით მიღებული სოციალური ინფორმაციის ინდივიდუალურად აღქმისა და გაცნობიერების უნარი

კომენტარი:

სახელი/ ბაგა-ბაღი K - 6

სახელი _____ წელი _____

ნაწილი V: ფიზიკური განვითარება.

ბავშვი აცნობიერებს საკუთარ ფიზიკურ მხარეს იმდენად, რამდენადაც ამ მხრივ ვითარდება. ეს ბავშვს ეხმარება ფიზიკური გარესამყაროს აღქმაში.

ბავშვის ფიზიკურ განვითარებაში ჩვენ ვგულისხმობთ მისი დიდი და მცირე კუნთების მოტორულ განვითარებას, სიარულს, ხოხვას, სირბილს, ხტუნვას, ასკინკილას, ხტომას, წონასწორობის დაცვას, საქანელაზე გართობას, ცოცვას, მაკრატლის ხმარებას, ღილების შეკვრას, ელვისა გახსნასა და შეკვრას, პატარა ნაწილების შეერთებას, ჩაჭედებას, კერვას, ფანქრისა და ფერადი ცარცის ხმარების უნარს, დაწებებას, აკინძვას, გადახვევას, ღებვას, ჩაცმასა და გახდას, ჩადებას, ამოღებას, საგნის აღებას, აწევას, საგნის ჭერას, ტარებას, სითხის ჩამოსხმას.

_____ ამ მასალით მუშაობისას კლსაში და ეზოში დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა: _____

1

	მამთარი			გაზაფხული		
გასაღები: გ-განვითარების სტადია, მ-ასაკის შესატყვისი, ფ-ფრიად	გ	მ	ფ	გ	მ	ფ
მეტყველება						
მცირე კუნთების კონტროლი და კოორდინაცია						
დიდი კუნთების კონტროლი და კოორდინაცია						
განსხვავებულ ფიზიკურ გარემოსთან შეგუების უნარი						
სივრცობრივი მიმართების ცოდნა (ქვეშ, ზემოთ, წინ, უკან)						
საკუთარი ფიზიკური შესაძლებლობების ზუსტი განსაზღვრის უნარი						
ფიზიკურ საჭიროებათა მოთმენის უნარი						
საკუთარ ფიზიკურ მონაცემებში დარწმუნებულობა						
ახალ ფიზიკურ ამოცანებთან შეჭიდების მისწრაფება						

კომენტარი:

ინტერესიმიერ ბავშვი ნიმი-
ნაოძის ლაბერეძეა
ABC

VI ინტეგრირებული პროგრამის დაგეგმვა

პროგრამის შედგენისა და განხორციელებისათვის უპირველესი მნიშვნელობა დაგეგმვას ენიჭება. კარგი გეგმა, საშუალებას აძლევს აღმზრდელთა ჯგუფს მშვიდად და შეუფერხებლად იმუშაოს; არ შეიქმნას გაუგებრობა როლებისა და მოვალეობის განაწილების პროცესში. მასწავლებლებმა ყოველ კვირას უნდა ჩაატარონ შეკრებები.

პროგრამის შედგენას სულ ცოტა სამი ძირითადი ფაქტორი განაპირობებს: ინდივიდუალურ ბავშვზე დაკვირვების შედეგებისა და იმ ამოცანების განხილვა, რაც მასწავლებლებმა დასახეს. მასწავლებლის აზრი კონკრეტულ ჯგუფზე (ბავშვთა ინდივიდუალური ინტერესები, ნიჭი, უნარი, საჭიროება, დახასიათება, პრობლემები, ოჯხური პირობები), მასწავლებელთა ცოდნა ზოგადად ბავშვის განვითარების შესახებ. მაგალითად, მასწავლებელმა კარგად იცის, რომ სამი წლის ბავშვს გაცილებით მარტივი, კონკრეტული და სენსორული აქტივობა სჭირდება, ვიდრე ექვსი წლისას.

გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმის აუცილებლობა.

მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ, რაოდენ მნიშვნელოვანია და როგორ უნდა შედგეს გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმა. გრძელვადიანი გეგმის შედგენისას, მასწავლებლები მთელი წლის პროგრამას ითვალისწინებენ. ისინი მსჯელობენ იმაზე, თუ როგორ უნდა დახვდნენ ბავშვებს წლის დასაწყისში, როგორ ჩართონ მუშაობაში მშობლები. ასევე განიხილება ისიც, თუ როგორ უნდა იზეიმონ დაბადების დღეები, დღესასწაულები, როგორ აღნიშნონ წელიწადის ოთხივე დრო, სასწავლო წლის დამთავრება და სხვა საგანგებო ღონისძიებები. გრძელვადიან გეგმაში არ შედის ცალკეული საგნის სწავლება ან ცალკეული ჯგუფისათვის საქმიანობის დაგეგმვა, თუმცა, ზოგადი ხაზი და წლის მნიშვნელოვანი მოვლენები დაწერილებით არის განხილული. გრძელვადიანი გეგმა ეხმარება მასწავლებელს, წინასწარ განიხილოს ყველა დაბრკოლება და საფეხური. მასწავლებლები ისე გეგმავენ პროგრამას, რომ ბავშვმა ყველა საფეხურებრივი წინააღმდეგობა გადალახოს და წინ წავიდეს. ამგვარი გეგმა საშუალებას გვაძლევს შევცვალოთ გარემო საკლასო ოთახსა და ეზოში, ახალი აღჭურვილობა შევიძინოთ და სხვა.

მოკლეადიანი გეგმა არის ყოველკვირეული გეგმა. აღმზრდელთა ჯგუფი იკრიბება და მსჯელობს ბავშვთა ინდივიდუალური მისწრაფებებისა და პრობლემების შესახებ. ამგვარი თათბირის შედეგად, მასწავლებლები ადგენენ ახალ პროექტებსა და ცვლილებებს, რაც სასწავლო ცენტრებში უნდა განხორციელდეს. აქვე დგინდება, ვის რა მოვალეობა ექნება დაკისრებული ან ვინ მოამზადებს პროექტისათვის საჭირო მასალას. მასწავლებლები განიხილავენ თუ როგორ უნდა ჩართონ ესა თუ ის მშობელი სასწავლო პროცესში და, როგორ უნდა დაეხმარონ მშობლებს წარმატებით გაუძღვნენ დაკისრებულ საქმეს. აგრეთვე, მასწავლებლები ინაწილებენ ყოველდღიურ მოვალეობებს. მაგალითად, შესაძლოა, ერთმა მასწავლებელმა ასწავლოს; მეორემ – დაკვირვებები აწარმოოს; მესამემ – ინდივიდუალურად ამეცადინოს ბავშვები ან მცირე ჯგუფებში იმუშაოს. აქტიური და მშვიდი საქმიანობა, ორგანიზებული მუშაობა და დასვენება თანაბრად ენაცვლება ერთმანეთს. ამავე თათბირებზე იგეგმება დაბადების დღეებისა და სხვა ღირშესანიშნავი თარიღების

საგეიმო აღნიშვნა. მასწავლებლები ზუსტად ინაწილებენ საქმიანობას. მაგალითად, ამ ითითბირების შემდეგ დგინდება, ვინ იმუშაევებს ბიბლიოთეკაში, ვინ დაურეკავს მშობლებს, ვინ მოიპოვებს დაწერილებით ცნობებს გრიპის ეპიდემიის შესახებ, რის მიზეზითაც ბევრი ბავშვი აცდენს. მასწავლებლები გეგმავენ მშობელთა საქმიანობას, გზავნიან მათთან ბარათებს, ურჩევენ, რომელი სათამაშო და წიგნი წაიღონ შინ ბიბლიოთეკიდან. ისინი მსჯელობენ ბავშვის წარმატებებზე და ერობლივად განსაზღვრავენ, რა ინდივიდუალური ამოცანები უნდა დაუსახონ თითოეულ ბავშვს.

რა მნიშვნელობა აქვს წერილობით გეგმას

სასწავლო გეგმა უნდა დაიწეროს. მასწავლებლები სხვადასხვა გზებს მიმართავენ, რაც დაგეგმვაში ხელს შეუწყობს. ზოგიერთი მასწავლებელი კალენდარს იყენებს, სადაც დღეების მიხედვით ანაწილებს ძირითად აქტივობებსა და საკუთარ მოვალეობას, ერთი კვირის ან ერთი თვის განმავლობაში. ზოგიერთი მასწავლებელი ფურცლის თავში ჰორიზონტალურად ჩამოთვლის საგნებს, კვირის დღეებს კი შვეულად ჩამოწერს და გადაკვეთის უჯრაში იწერს აქტივობის დახასიათებას. ზოგიერთი მასწავლებელი ინდივიდუალურ გეგმას ადგენს ბავშვებისათის და გარკვეული მიზნის მისაღწევად საგანგებო ამოცანებს უსახავს თითოეულ ბავშვს. გეგმა შესაძლოა უფრო მარტივიც იყოს და უბრალოდ, ჩამოთვლილი იყოს აქტივობის სახეები, მასალა და მასწავლებლის საქმიანობა კვირის განმავლობაში.

წერილობითი გეგმა მასწავლებელს ხელს უწყობს პროგრამის ორგანიზებაში, რადგან მას საშუალება აქვს, დროდადრო, წაიკითხოს, რა აქტივობები ჩაატარა ან რა ცვლილებები შეიტანა. ამგვარი გეგმა ძალზე ეხმარება გარეშე მოხალისე პირებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ სასწავლო პროგრამაში. ამ თავის ბოლოს გთავაზობთ გეგმის ნიმუშებს.

ასევე საჭიროა თემატური გეგმის შედგენა. თემატური გეგმა ნათლად წარმოაჩენს, როგორ უნდა დამუშავდეს ესა თუ ის თემა ძირითად აქტივობის ცენტრებში. აქვე მოცემულია ბავშვების ცოდნა და წინადადებები. (იხ. თემატური გეგმის ნიმუში)

დღის განრიგის დაგეგმვა

დღის განრიგი აქტივობის, მუშაობისა და თამაშის ორგანიზაციაში გვიწყობს ხელს. დღის განრიგი ბავშვებს რეჟიმს აჩვევს. ცხრილი დგება ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ასე რომ, სამი წლის ბავშვებს გაცილებით მეტი სათამაშო დრო, ნაკლები სასწავლო და მცირეხნიანი ჯგუფური აქტოვობები აქვთ დაგეგმილი, ვიდრე ხუთი-ექვსი წლის ბავშვებს.

განრიგი არ უნდა იყოს ძალზე შეზღუდული, იგი საშუალებას უნდა გვაძლევდეს ღირშესანიშნავი მოვლენები აღვნიშნოთ. მაგალითად, მოვაწყოთ ექსკურსიები, ან მშობლის მიერ შემოთავაზებულ საქმიანობაში ჩავერთოთ და აგრეთვე, განრიგი უნდა ითვალისწინებდეს ბავშვების განწყობილებას ან თუნდაც, ამინდს. თუ მაგალითად, სამდღიანი წვიმების შემდეგ თბილი, მზიანი დღეა, ბავშვები

მეტ ხანს უნდა იყვნენ ჰაერზე, მიუხედავად იმისა, როგორი განრიგი აქვთ. თავისუფალი განრიგი საშუალებას გვაძლევს ახალი აქტივობები ჩავრთოთ. ამგვარი განრიგი საშუალებას აძლევს ბავშვებს მშვიდად დაასრულონ დაწყებული საქმე ან თამაში და არავის აიძულებს სურველის საწინააღმდეგოდ იმოქმედოს.

დღის განრიგით მუშაობას დასვენება აწონასწორებს. ასევე, გამოყოფილია დრო, ბავშვის ინტერესების შესაბამისი აქტივობისათვის საკლასო ოთახში და ეზოში. განრიგით გარკვეული დრო ეთმობა ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასასვლელ პერიოდს. ამ დროს მასწავლებლები აკვირდებიან ბავშვებს, ესაუბრებიან თითოეულ ბავშვს ან მცირე ჯგუფებს. ილუსტრირებული დღის განრიგი გამოკრული უნდა იყოს.

ამ ნაწილში წარმოდგენილია, როგორ უნდა გამოიყურებოდეს დღის განრიგი. დღის განრიგი იცვლება ბავშვის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებისა და დღის ხანგრძლივობის მიხედვით (იხ. ცხრილის ნიმუში).

ბაღში ან სკოლაში მოსვლა და საუზმე

ბავშვების მოსვლამდე, მასწავლებლები დილის სამუშაოსათვის განსაზღვრულ მასალებს ამზადებენ. ერთ-ერთი მასწავლებელი ხვდება ბავშვებსა და მშობლებს, ესალმება თითოეულ მათგანს და იწვევს კლასში. ბავშვები, შეიძლება, სხვადსხვა დროს მოვიდნენ, ამიტომაც დილით მშვიდი აქტოვობებია დაგეგმილი, როგორიცაა: წიგნების დათვალიერება, ფერადი ფანქრებით ხატვა და ა.შ. საუზმე მაშინ იწყება, როდესაც ყველა ბავშვი სახეზეა. ზოგიერთ ბავშვს საუზმემდე გართობა სჭირდება, ზოგიერთი – მოსვლისთანავე საუზმობს. საუზმის შემდეგ ბავშვები ალაგებენ სამუშაო მაგიდებს და იწყება დილის შეკრება.

დილის შეკრება.

დილის შეკრებაზე ბავშვები თავად განსაზღვრავენ, რისი გაკეთება სურთ მთელი დღის განმავლობაში. მასწავლებლები აცნობენ დღის გეგმასა და მასალებს და ბავშვებს აქტივობათა ფართო არჩევანს სთავაზობენ. სამი წლის ასაკის ბავშვებისათვის ამგვარი შეკრებები ძალიან მოკლე უნდა იყოს. უბრალოდ, უნდა გაირკვეს თითოეული ბავშვი რის გაკეთებას აპირებს. ამ ასაკში ბავშვებს არჩევანის გაკეთებისას მასწავლებლებიც ეხმარებიან. "დღეს ჩვენ ფანქრებით ვხატვავთ, ხელოვნების წრეში", ან "დღეს ჩვენ მივდივართ რძის მაღაზიის სანახავად", ან "გუშინ თქვენ მუყაოსაგან შენობა გაკეთეთ, დღეს იქნებ გავაფერადოთ?" და ა.შ.

ოთხი, ხუთი და ექვსი წლის ბავშვები ეცნობიან დღის განრიგს და თავად განსაზღვრავენ, რისი გაკეთება სურთ დღის მანძილზე. ხუთი-ექვის წლის ბავშვები სიამოვნებით ათვალიერებენ გამოკრულ განრიგს, რომელიც შედგენილია ამინდისა და კალენდრის შესაბამისად. დილის შეკრებებზე ბავშვების ერთმანეთს უამბობენ, როგორ გაატარეს დრო შინ, ვინ ესტუმრათ, სად იყვნენ ან სად აპირებენ წასვლას. ზოგჯერ, ხუთი-ექვსი წლის ბავშვების დილის შეკრება მათემატიკაში შეჯიბრით, გამოცანების გამოცნობით ან სხვა "სახალისო" საქმიანობით იწყება.

სამუშაოს არჩევა

საკლასო მუშაობისათვის დაგეგმილია დილა და შუადღე. ამ დროს ბავშვები დამოუკიდებლად ან მცირე ჯგუფებში მუშაობენ. მასწავლებლები წინასწარ აწყობენ გარკვეული

აქტივობისათვის საჭირო მასალას. ბავშვები ამ მასალას შემოქმედებითად იყენებენ. ისინი თავად ირჩევენ, რა ითამაშონ, თავადვე იწვევენ თანატოლებს სათამაშოდ. მაგალითად, ლოტოს თამაშისას თავად ალაგებენ კოჭებს. მასწავლებლები ათვლიერებენ ბავშვების ნამუშევრებს, შეკითხვებს უსვამენ და ამხნევებენ. უფროსი ბავშვები მასწავლებლების ხელმძღვანელობით მუშაობენ წერა-კითხვისა და მათემატიკის ცენტრში. სამუშაო საათებში ხდება კულინარიისა და ხელსაქმის გაკვეთილების ჩატარება, რომლებსაც მოწვეული მშობლები უძღვებიან ხოლმე. მასწავლებლისათვის მნიშვნელოვანია, რას ირჩევს ბავშვი, როგორ მუშაობს, მარტო მუშაობს თუ სხვებთან ერთად, რამდენ ხანს მუშაობს ერთ კონკრეტულ ცენტრში და ა. შ. ბავშვს მუშაობა სიამოვნებას უნდა ანიჭებდეს და იგი თავის ტემპით უნდა მუშაობდეს. მასწავლებლის ვალია, ბავშვს შემოქმედებითი და საინტერესო მიზნები დაუსახოს.

საუზმე და სადილი.

ზოგიერთი მასწავლებელი საუზმეს ერთ მაგიდაზე აწყობს, ისე რომ, ბავშვებს შეუძლიათ აირჩიონ რაც სურთ და, სადაც უნდათ, იქ მიირთვან. ზოგიერთ მასწავლებელს კი ურჩევნია, რომ ბავშვებმა ერთად ჭამონ. საუზმე ნოყიერი და უბრალო უნდა იყოს. ბავშვები უნდა მიეჩვიონ მორიგეობას საუზმის შემოტანისა და ალაგების დროს.

სადილი, უნდა მომზადდეს ბავშვთა კვების მოთხოვნილებთა გათვალისწინებით. სადილი მხოლოდ ჭამის პროცესი კი არ არის, არამედ ბავშვებში სოციალურ და კულტურულ ჩვევებს აყალიბებს. ბავშვები პატარა მაგიდებთან სხედან, თავად ეჩვევიან, როგორ უნდა გადაიღონ ესა თუ ის კერძი, ერთმანეთს საჭმელს სთავაზობენ, მიირთმევენ, საუბრობენ. ბავშვებს განაწილებული უნდა ჰქონდეთ მოვალეობები (მაგალითად, ერთი ბავშვი სუფრას აწყობს, შემოაქვს თეფშები, ხელსახოცები, ჭიქები ან ფინჯნები, მეორეს – საჭმელი მოაქვს, მესამე – სუფრას ალაგებს, მეოთხე – ჭურჭელს რეცხვას და ა.შ.)

ბავშვები ძალზე ბევრ რამეს სწავლობენ, როდესაც უფროსებს სადილის მომზადებასა თუ სუფრის გაწყობაში ეხმარებიან. ისინი იწაფებიან თვლაში. თუკი თითოეულ სკამზე დამაგრებულია ბავშვის სახელი, ბავშვები სახელების კითხვას სწავლობენ. სადილის დროს ბავშვები ისვენებენ და სასიამოვნოდ ატარებენ დროს. მასწავლებლები ბავშვებთან ერთად სხედან. ისინი ბავშვებთან საუბრობენ და თან ბავშვებს ქცევის მაგალითს აძლევენ.

ბავშვები სხვადასხვაგვარად ჭამენ. ზოგი ჩქარა ჭამს, ზოგი კი – ნელა. განსხვავებას ხაზი არ უნდა გაესვას. ბავშვები, რომლებიც მალე ამთავრებენ ჭამას, დგებიან, ალაგებენ თავიანთ ჭურჭელს და სათამაშოდ მიდიან.

კბილების გაწმენდა.

ბავშვები უნდა შევაჩვიოთ ჭამის შემდეგ კბილების გახეხვას. ყოველ ბავშვს საკუთარი კბილის ჯაგრისი უნდა ჰქონდეს. ჯაგრისებს წარწერა უნდა ეკრას ბავშვის სახელით. კბილის ჯაგრისები ცალ_ცალკე უნდა ელაგოს, ისე, რომ ერთმანეთს არ ეხებოდნენ და

თან არ დასველდნენ. იდეალურია, თუკი თითოეულ ბავშვს არამარტო საკუთარი კბილის ჯაგრისი, არამედ პასტა და ფინჯანი ექნება. ყოველ ნივთს ბავშვის სახელი უნდა ეწეროს. თუკი რომელიმე ბავშვს საკუთარი კბილის პასტა არ აღმოაჩნდა, მასწავლებელმა ჯაგრისზე ისე უნდა გადმოიღოს პასტა, რომ პასტის ტუბი თავად ჯაგრისს არ შეეხოს, რათა ბავშვები დაცული იყვნენ გადამდები დაავადებისაგან. კბილების გაწმენდის პროცესი მასწავლებელთა მეთვალყურეობით ტარდება მცირე ჯგუფებში.

კბილების სწორად გახეხვა ბავშვებს კლასში უნდა ვასწავლოთ. შემდეგ, როდესაც თითოეული ბავშვი გაიწმენდს კბილს, შეამოწმეთ და შეაქეთ, უთხარით, რომ სუფთა კბილებით გაცილებით ლამაზად იღიმება. კბილების წმენდის პროცესში აუცილებლად უხელმძღვანელეთ, რათა დარწმუნდეთ, რომ ბავშვები სწორად იხეხავენ კბილებს. თავიდან, ზოგიერთ ბავშვს მოუხერხებლად უჭირავს ჯაგრისი და კბილებსაც არასწორად იხეხავს, მაგრამ, მთავარია, ბავშვობიდანვე შეეჩვიოს ამ პროცესს და მიხვდეს, რომ აუცილებელია კბილების მოვლა.

ჯგუფში

მასწავლებლებმა დღის განრიგი ისე უნდა შეადგინონ, რომ დღის განმავლობაში, სულ ცოტა, ორჯერ მაინც მთელი ჯგუფი ერთად შეკრიბოს. თუ ჯგუფი დიდია, მაშინ ორად უნდა გაიყოს. ჯგუფური შეხვედრების ხანგრძლივობა დამოკიდებულია ბავშვთა ასაკზე. სამი წლის ბავშვები ჩვეულებრივ 10 წუთზე მეტს ვერ ძლებენ, ხოლო ექვსი წლის ბავშვები ნახევარ საათსაც არ იღლებიან. ამ დროს, ბავშვები ერთმანეთს ესაუბრებიან, უზიარებენ თავის სიხარულს, წარმატებასა თუ დარდს. ამ დროს, მასწავლებლები ბავშვებს წიგნებს უკითხავენ, ამღერებენ, საუბრობენ დღის მოვლენებზე, ათვალიერებენ მათ ნამუშევრებს, ხუმრობენ და ერთობიან. თუკი ბავშვებს დაღლა შეატყვევს, მასწავლებლებმა ჯგუფის შეკრების დრო უნდა შეამოკლონ. მასწავლებლებმა ან მოხალისეებმა ყოველდღიურად უნდა უკითხონ წიგნები ბავშვებს. პატარები ხშირად ადრევე იღლებიან და თავიანთ ცნეტრებს უბრუნდებიან.

ეზოში

ყველა ბავშვს სჭირდება ეზოში თამაში. სასრიალო, სახტუნაო, სავარჯიშო და დრამწრის აღჭურვილობა ან, უნდა შევიძინოთ ან, უნდა ვითხოვოთ. ეზოში თამაში ისე უნდა იყოს დაგეგმილი, როგორც საკლასო მუშაობა. ბავშვებს კარგად აღჭურვილი სათამაშო მოედანი უნდა ჰქონდეთ. მასწავლებლებმა წინასწარვე უნდა გაიტანონ ეზოში ხეზე სამუშაო მასალები, "წყლისა და ქვიშის მაგიდები" და დრამცენტრის რეკვიზიტები. ეზოში ბავშვები უკეთ ეცნობიან ბუნებასა და ბუნების მოვლენებს, მშენებლობას, ფიზკულტურას, ხიდებს, ბოგირებს, თხრილებს, შუქ _ ჩრდილის თამაშსა და სხვა. მასწავლებელმა ეს დრო უნდა გამოიყენოს ბავშვების კუნთების მოტორული განვითარების, ჯგუფური სოციალური ჩვევების გამომუშავების და თამაშის წესების სწავლებისათვის.

ძილი/მოსვენება

ბავშვების ჭამისა და ტუალეტის ინდივიდუალური მოთხოვნილებები აქვთ. იგივე ითქმის ძილზეც. ზოგი ბავშვი ძილისგუდაა და აუცილებლად სჭირდება შუადღეს გამოძინება, ზოგს წათვლემაც ჰყოფნის, ზოგი კი – საერთდ არ იძინებს. ცხრილში გათვალისწინებული უნდა იყოს ამგვარი სხვაობა. ბავშვებს მოსვენების ან ძილის დრო უნდა მივცეთ. ბავშვებს, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში აქტიურად არიან ჩაბმულნი საკლასო მუშაობაში, აუცილებლად სჭირდებათ დასვენება. ბავშვებს, რომლებიც არ იძინებენ ან სხვებზე ადრე იღვიძებენ, შესაძლებლობა აქვთ წიგნები დაათვალიერონ ან ასაწყობი სათამაშოები ააწყონ. თავიდანვე დააწესეთ, როდის, როგორ უნდა მოიქცნენ ბავშვები, სად ითამაშონ თუ არ ეძინებათ. როგორც წესი, პატარებს მეტი ძილი სჭირდებათ, ვიდრე ექვსი წლის ბავშვებს.

ზოგ ბავშს უჭირს დამშვიდება, ცქმუტავს და ვერ ისვენებს. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს ამგვარ ბავშვებს. მოასმენინოს დამამშვიდებელი მუსიკა, წაუკითხოს წიგნი, მოეფეროს ზურგზე, ჩააბნელოს ოთახი, ერთმანეთს დააშოროს საწოლები, სთხოვოს მშობლებს შინიდან მოიტანონ ბავშვის საბანი ან საყვარელი სათამაშო, რომელიც ბავშს ძილისთვის განაწყობს.

მასწავლებლები ხშირად ჩივიან, საკმარისია, ერთმა გაიღვიძოს, რომ მთელი კლასი ფეხზეაო. მიეცით ბავშს არჩევანის საშუალება. დაე, თვითონ გაერკვეს, როდის სჭირდება დასვენება მის სხეულს. მასწავლებლის ვალია, დაეხმაროს ბავშს უკეთ გაერკვეს, თუ როდის რა სჭირდება. ერთ დღეს ბავშვი შეიძლება სხვების მიბაძვით წამოხტეს და თამაში დაიწყოს, მაგრამ მეორე ან მესამე დღეს იგი აუცილებლად იმას აირჩევს, რაც მის ინდივიდუალურ საჭიროებას შეესაბამება, ანუ დაიძინებს, თუკი ეძინება, წიგნებს დაათვალიერებს, თუკი მხოლოდ დასვენება სჭირდება ან ითამაშებს, თუკი თავს მხნედ გრძნობს.

გარდამავალი პერიოდი.

ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასვლა ბავშვებს ხშირად უჭირთ ხოლმე. ამ დროს ბავშვები იწყებენ სირბილს, ხმაურს. მასწავლებელები უნდა შეეცადონ ისე დაგეგმონ დღე, რომ ბავშვები ერთი აქტივობიდან მეორეზე მაქსიმალურად ნელა და შეუმჩნევლად გადავიდნენ. ბავშს უნდა შეეძლოს თავისი ინდივიდუალური ტემპით იმუშაოს. მას საშუალება უნდა ჰქონდეს დაასრულოს სამუშაო, იმის მიუხედავად, თუ რა არის დაგეგმილი. მასწავლებლებმა პატივი უნდა სცენ ბავშვების შრომას და არჩევანი უნდა შესთავაზონ. რამდენიმე რჩევას მოგცემთ, თუ როგორ უნდა გადახვიდეთ ერთი აქტივობიდან მეორეზე აუღელვებლად:

- გამოაცხადეთ როდის იცვლება ერთი აქტივობა მეორით. მაგალითად, "როდესაც ეს ფირფიტა დამთავრდება, ვიწყებთ სადილისათვის მზადებას, ხელპირის დაბანას", ან უფროსი ბავშვებისათვის "ჩვენ ათი წუთიღა დაგვრჩა სადილამდე", "შემდეგ სადილამდე ხუთი წუთი რჩება" და ა. შ.

- მიდით ბავშვებთან და დაეხმარეთ მეორე საქმიანობაზე გადასვლაში. მაგალითად "მე ჩაგაწყობინებ პლასტელინს ყუთში".

- ადროვეთ ბავშვებს დაასრულონ სამუშაო. ვისაც უკვე დამთავრებული აქვს საქმე, სთხოვეთ წიგნები დაათვალიერონ.

- ყოველდღიურად ამორიგევეთ ბავშვები, მორიგეები უფროსებს დაეხმარებიან ალაგებაში, სუფრის გაწყობასა და სხვა.

- ბავშვებმა, რომლებმაც მაინც ვერ დაასრულეს სამუშაო, შესაძლოა ამგვარი წარწერები მიამაგრონ მაგიდას "ხელი არ ახლოთ", რაც საშუალებას მისცემთ მოგვიანებით განაგრძონ დაწყებული სამუშაო.

მშობელთა მომზადება ბაღისათვის.

სასწავლო წლის დაწყებას მღელვარებით ეგებებიან მასწავლებლები, მშობლები და ბავშვები. მასწავლებლები ემზადებიან ახალი ჯგუფის მისაღებად, წინასწარ გეგმავენ, რა ჯგუფური აქტივობები ჩაატარონ და როგორ იმუშაონ ინდივიდუალურად თითოეულ ბავშვთან. ისინი ადგენენ დღის წესრიგს და საკლასო წესებს, რათა შეეძლოთ, წარმატებით გაუძღვნენ კლასს. აგრეთვე, გეგმავენ წამახალისებელი ღონისძიების ჩატარებას ინდივიდუალური იქნება ეს თუ ჯგუფური.

მშობლებიც ღელავენ. მათ არ იციან, როგორ გაძლებს მათი შვილი სხვა უფროსებთან, ისინი ცდილობენ საკუთარი დღის რეჟიმი მიუსადაგონ ბაღის განრიგს, ეცნობიან სხვა ბავშვების მშობლებს, ცდილობენ გაერკვნენ პროგრამის არსში.

იმისათვის, რომ გარდამავალმა პერიოდმა – შინიდან ბაღში – წარმატებით ჩაიაროს, აუცილებელია, ყველაფრის წინასწარ მოფიქრება და დაგეგმვა. ამგვარ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს შემდგომი მოსაზრებები და სტადიები:

სასწავლო წლის დაწყებამდე.

თუკი შესაძლებელია, ბაღთან და სკოლასთან შეგუება თანდათანობით უნდა განხორციელდეს. მშობლებმა და ბავშვებმა უნდა გაიცნონ ერთმანეთი, მოინახულონ ბაღი, გაეცნონ დღის წესრიგს. რაც უფრო მეტს იგებენ მშობლებიცა და ბავშვებიც, მით უფრო ადვილად ეგუებიან გარდამავალ ეტაპს.

მასწავლებლებმა სხვადასხვა ხერხს უნდა მიმართონ, რათა ეს შეგუების პროცესი მაქსიმალურად ბუნებრივად გამოიყურებოდეს. მასწავლებლებმა:

- უნდა მოიწვიონ ახალბედა ბავშვები და მშობლები კლასში.
- თავად უნდა ესტუმრონ ოჯახებს.
- მოაწყონ მცირე ჯგუფებთან შეხვედრა.
- მოიწვიონ მშობელთა კრება, სადაც მშობლებს გააცნობენ პროგრამასა და ისაუბრებენ ახალი სასწავლო წლის შესახებ.

მშობლებთან განშორება

საყვარელ ადამიანებთან განშორება შიშით აღავსებს პატარებს. თავიდან მათ ძალიან უჭირთ ბაღში ან სკოლაში წასვლა. უამრავი ბავშვი ძნელად ეგუება ამ პროცესს. იმ ბავშვებს, რომლებსაც უჭირთ მშობლებთან განშორება, ხელი უნდა შევუწყოთ, რომ დასძლიონ შიში და გაშინაურდნენ. ისინი დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ მშობლები მალე მოვლენ მათ წასაყვანად და მათ მოსვლამდე მათზე სხვებიც კარგად იზრუნებენ.

როდესაც ბავშვს უჭირს მშობლებთან განშორება, მასწავლებლებმა და მშობლებმა ერთობლივად უნდა იმუშავონ, რათა ბავშვმა შიში დასძლოის და ახალ გარემოს შეეგუოს. რჩევები ამ პრობლემის მოსაგვარებლად:

- სთხოვეთ მშობელს ცოტა ხნით დარჩეს ბაღში, სანამ ბავშვი კლასსა და ახალ ბავშვებს შეეჩვევა.
- გაარკვიეთ, რა სათამაშოები და თამაშები უყვარს ბავშვს და წინასწარვე მოიმარაგეთ.
- ბავშვს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ, სანამ იგი ახალ გარემოს მიეჩვეოდეს.
- ბავშვს საშუალება მიეცით თავისი გრძნობები ხატვით გადმოსცეს ანდა გულისნადები გაუზიაროს "ერთგულ მეგობარს" ან უფროსს.
- ნება დართეთ ბავშვს შინიდან მოიტანოს საყვარელი სათამაშო ან საგანი, რათა გაუადვილდეს ახალ გარემოსთან შეგუება.
- ძალზე მნიშვნელოვანია ბავშვისათვის უსაფრთხო გარემო პირობები შეექმნათ.

ოჯახებთან ურთიერთობა

ოჯახებთან რაც შეიძლება ხშირი კონტაქტი, დღის განრიგის მნიშვნელოვანი ნაწილია (ეს დაწვრილებით არის განხილული წიგნის III თავში, "ოჯახის მონაწილეობა"). დაგეგმეთ მშობლებთან კონტაქტის დრო – კრებები, საოჯახო სტმუმრობა და გამოაკარით კედელზე, გამოაქვეყნეთ საინფორმაციო ბიულეტენებში, აღნიშნეთ რვეულებში.

ბაღიდან სკოლაში გადასვლა.

ბაღიდან სკოლაში გადასვლა ძალზე ამაღელვებელი მომენტია. მაგრამ ასევე შეიძლება პრობლემად გადაიქცეს ბავშვისა და მშობლისათვის. მასწავლებლებმა მშობლებიც და ბავშვებიც ამ გარდამავალი პერიოდისათვის უნდა მოამზადონ. კერძოდ:

- ბავშვმა უნდა გაიცნოს ახალი კლასი და მასწავლებელი.
- ბაღის ერთ-ერთ კუთხეში გამოყავით ადგილი "კოლობანას" სათამაშოდ.
- მოამზადეთ მოხსენება – ანგარიში ბავშვის შესახებ (მშობლების თანხმობით), რომელიც მომავალ მასწავლებელს გადაეცემა.
- შეხვდით ახალ მასწავლებელსა და ბავშვის მშობელს.
- მოიწვიეთ ახალი მასწავლებელი ბაღში.

თემატური პროექტების დაგეგმვა

ბავშვების ზრდა და განვითარება ინტეგრალური პროცესია. ყოველი საგანი, სფერო და განვითარების საფეხური მჭიდროდ არის ურთიერთდაკავშირებული. როდესაც ბავშვები საკუთარი ინეტერესების შესაბამისად მუშაობენ ისინი გარკვეულ ცოდნას იძენენ და დასკვნებს ახლადშეძენილი ინფორმაციის შესაბამისად აკეთებენ. მათ პრობლემის გადასაწყვეტად შეიძლება გამოიყენონ ლოგიკური მათემატიკური აზროვნება, მეტყველება, ცდა და შეცდომის მეთოდი. ყველა ეს უნარი ცალ-ცალკე კი არ მოქმედებს, არამედ ერთდროულად. სწავლა, ინტეგრალური პროცესია.

უკანასკნელი სამეცნიერო გამოკვლევების მისედვით ბავშვების სწავლისა და ათვისების

უნარი უსაზღვროა, რადგან უსაზღვროა ტვინის (გონების) შესაძლებლობები, ახალი ინფორმაციის ათვისების, ემოციური თუ შეგრძნებითი ცოდნის შეძენის თვალსაზრისით (ფორსტონი, რეიფი, გვ. 26). გონების განვითარება გარე სამყაროზეა დამოკიდებული. მრავალფეროვანი გარე სამყარო, რთული სხვადასხვა სახის გამოცდილება "სასარგებლოა გონებრივი განვითარებისათვის". "მთელი ცხოვრების მანძილზე შესაძლებელია შეიცვალოს ტვინის სინაპტიკური წყობა გარემოს მეშვეობით". (რესტაკი რ. მ. 1984, გვ. 21) მრავალფეროვანი მასალა და აქტივობა, რაც შემოქმედებით უნარს ანვითარებს, ხელს უწყობს ინტეგრირებულ სწავლების პროცესს. მასწავლებლები, რომლებიც ასწავლიან ბავშვებს ცნებების დაკავშირებას, სხვადასხვა პროექტებსა და თემებზე მუშაობისას მათ ინდივიდუალურ შემოქმედებით იმპულსების გამოვლენას ცდილობენ, გაცილებით ნაყოფიერად მუშაობენ და მათი ბავშვებიც უკეთეს შედეგებს აღწევენ. რეიფი და ჯეკსონი აღნიშნავენ, რომ "ბავშვების აღფრთოვანებას იწვევს სხვადასხვა წყაროს გამოყენება, თემის მრავალი კუთხით განხილვა და წარმოჩენა და ბავშვების წახალისება სხვადსხვა საშუალებებით გამოხატონ ერთი და იგივე საგანი". (გვ. 26).

"ნაბიჯ-ნაბიჯ" პროგრამის კლასში მრავალი აქტივობის ცენტრია მოწყობილი, რომლებიც ბავშვთა ინდივიდუალური მონაცემებისა და ინტერესების შესაბამისად იცვლება. მასწავლებლებმა ან თავად მოსწავლეებმა ერთობლივად უნდა დაიწყონ მუშაობა გარკვეულ თემაზე. პროექტზე ან თემაზე მუშაობა განპირობებული უნდა იყოს ბავშვის ან ბავშვების ძლიერი ინტერესით. თუკი მუშაობის პროცესში ბავშვი კვლავაც ამჟღავნებს დაინტერესებას ამა თუ იმ კონკრეტული საკითხით, პროექტი უნდა გაფართოვდეს, განვითარდეს ან დაკონკრეტდეს თავად ბავშვის ან მასწავლებლის მიერ.

შესაძლოა, კონკრეტული პროექტები ბავშვებს მასწავლებლებმა შესთავაზონ, მაგრამ უფრო ეფექტურია, თუ თავად ბავშვები მოიფიქრებენ რაღაცის დამუშავებას. ანუ, ბავშვები უნდა წავახლისოთ უფრო ღრმად და საფუძვლიანად შეიწავლონ ის საკითხი, რომელიც მათ აინტერესებთ.

როგორ ვიმუშაოთ თემატურ პროექტზე.

თემატური პროექტები შეიძლება სხვადასხვა სფეროში განხორციელდეს, მაგრამ თამატიკა აუცილებლად ბავშვების ინტერესებიდან უნდა გამომდინარეობდეს, რათა ჭეშმარიტად სასარგებლო შედეგს მივაღწიოთ. მასწავლებელი თუ ყურადღებით უსმენს ბავშვების შეკითხვებს, ადვილად ხვდება, თუ რა აინტერესებთ მათ და შესაბამისად, ადვილად ადგენს პროექტის თემას. შესაძლოა, ეს იყოს რაღაც მოვლენა, თავად ბაღში ან საზოგადოებაში, რომელიც ბავშვების ცხოველ ინტერესს იწვევს; შესაძლოა, რომელიმე ბავშვს ძმა ან და შეეძინა; ან იქნებ, ქალაქში ცირკი ჩამოდის? თუ ასეა, ბავშვებს აუცილებლად მოუნდებათ საცირკო წარმდგენის დადგმა კლასში. საცირკო წარმოდგენის მომზადებაში, შეიძლება

ჯგუფი ჩავრთოს და მზადების პროცესმა ერთ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდეს. თემატური პროექტის ხანგრძლივობა განპირობებულია უმრავლესობის ინტერესებით და ვადებს მასწავლებელი ადგენს. თემებზე და პროექტებზე მუშაობა უფრო ოთხი წლის ასაკისა და უფროს ბავშვებს შეჰფერით.

თემატური პროექტის დადგენისათვის სასარგებლოა შემდეგი კითხვარის გამოყენება, კითხვარში სამი კითხვაა მოცემული:

- რა ვიცით?
- რისი ცოდნა გვსურს?
- რა ვისწავლეთ?

მასწავლებელი იწყებს თემის განხილვას და ბავშვებს ეკითხება, რა იციან მოცემული საკითხის შესახებ. ვთქვათ, განიხილება ცირკის თემა, მასწავლებელი ბავშვებს ეკითხება: "რა იცით ცირკის შესახებ?" ან "მითხარით, რაც იცით ცირკზე."

მასწავლებელი იწერს ბავშვების პასუხებს დიდი ზომის ფურცელზე, ისე რომ ყველას შეეძლოს დანახვა. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ყოველი ბავშვის სახელი მათი პასუხის ან კომენტარის გასწვრივ. მეორე კითხვა: "რისი ცოდნა გვსურს ცირკის შესახებ ან რა გვინდა ვიცოდეთ ცირკზე?" მასწავლებელი კვლავ იწერს ბავშვების პასუხებს. სწორედ ამ პასუხებით განისაზღვრება პროექტის შინაარსი. ყველა შეკითხვა იწერება, რა უაზრო და სულელურიც არ უნდა ჩანდეს. ამის შემდეგ მასწავლებელი ბავშვებს ეკითხება "როგორ უნდა გავცეთ პასუხი ჩვენსავე შეკითხვებს?

ინფორმაციის მოპოვება გულისხმობს:

- წიგნების დათვალიერებას.
- მშობლებისათვის შეკითხვების დასმას.
- სპეციალისტის მოწვევას.
- ცდის ჩატარებას.
- საკვლევი ობიექტის თუ ადგილის მონახულებას.
- ობიექტის ან მოვლენის წარმოდგენას, შექმნას.

ბავშვების წინადადებებს მასწავლებელი ლოგიკურ სასწავლო გეგმად გარდაქმნის. შესაძლო აქტივობები:

- ცირკზე მოთხრობების წაკითხვა.
- ბიბლიოთეკაში წასვლა და ცირკზე წიგნების კლასში მოტანა.
- სპეციალისტის მოწვევა, მაგალითად, მიმი, კლოუნი, ცხოველების მომთვინიერებელი და სხვა. კლასში ბავშვებთან ერთად ცირკის წარმოდგენის გამართვა.
- ბავშვები ინაწილებენ როლებს, ვინ კლოუნია, ვინ ცხოველი ან ტანმოვარჯიშე და ეკვილიბრისტი.

კითხვარის მესამე კითხვა არის "რა ვისწავლეთ?" ამ შეკითხვაზე პასუხით მასწავლებელი ამოწმებს ბავშვების ცოდნას. მასწავლებლის მიერ ბავშვების ცოდნის შეფასება პროექტის დასრულებისთანავე ძალზე მნიშვნელოვანია ცოდნის გაღრმავებისათვის. სხვადასხვა აქტივობის ანალიზი, მასვე დაეხმარება შემდგომი პროექტების უფრო წარმატებით განხორციელებაში. ეს ანალიზი შემდეგნაირად კეთდება. პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს:

პროექტის რომელი ნაწილი შესრულდა წარმატებით? რა უნდა შევცვალოთ შემდეგ პროექტზე მუშაობისას? რა ახალი ცოდნა შეიძინეს ბავშვებმა? რა გაგვიჭირდა? რატომ?

და ბოლოს, მთელს კლასთან ერთად შეავსეთ პროექტი. სთხოვეთ ბავშვებს, იფიქრონ ყველა იმ აქტივობის შესახებ, რომლებიც მათ ცირკის პროექტთან დაკავშირებით შეასრულეს. ახლიდან წაიკითხეთ ის კითხვები, რომლებიც ბავშვებმა დასვეს პროექტის დასაწყისში, ანუ შეახსენეთ, რისი ცოდნა აინტერესებდათ ცირკის შესახებ. ცალ-ცალკე შეჩერდით ყოველ შეკითხვაზე და ადროვეთ ბავშვებს რიგ-რიგობით გიპასუხონ. იქვე განმარტეთ ყველა მცდარი აზრი და გაუგებრობა. შეგიძლიათ დასვათ შემდეგი კითხვები:

- ვინ რა ახალი ამბავი გაიგო ამ საკითხზე?
- რა შეიტყვეთ ისეთი, რაც აქამდე არ იცოდით?
- რაიმე ისეთი გაიგეთ ცირკზე რამაც გაგაოცათ?
- განსაკუთრებით რა მოგეწონათ?
- რა უნდა შეცვალოთ მომავალში ახალ პროექტზე მუშაობისას?

ცირკზე მუშაობის პროცესი საკლასო წიგნში უნდა აღიბეჭდოს, რომელსაც ბავშვები თვითონვე შექმნიან. პროექტის ყველა საფეხური ბავშვებმა უნდა აღწერონ და დახატონ. მომავალში ბავშვები დიდი სიამოვნებით დაათვალიერებენ ცირკზე მუშაობის ამსახველ წიგნს, და დიდად გაიხარებენ საკუთარი ნახატებითა და ჩანაწერებით. წიგნში, ასევე, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მშობლების და საზოგადოების სხვა წევრების წვლილი.

მუშაობის გასაფართოებლად და გასაუმჯობესებლად შესაძლოა შემდეგი წინადადებები შემოგთავაზოთ:

- აქტივობის შეცვლა მუშაობის გაუმჯობესების მიზნით.
- ინდივიდუალური მუშაობის გაუმჯობესება.
- ჩამორჩენილი განვითარების ბავშვების ჩართვა პროექტში.
- მონათესავე თემების კვლევა.

თემატური პროექტის ნიმუში

ერთ-ერთი პროექტი განხორციელდა ვეშაპების თემაზე, რადგან ჯგუფში ბავშვები განსაკუთრებულად იყვნენ დაინტერესებული ზღვის ცხოველებით. მასწავლებელმა ჯგუფს შეკითხვები დაუსვა ვეშაპების შესახებ. კითხვების შედეგად გაირკვა, რომ ერთ-ერთ ბავშვს სცოდნია ვეშაპების სხვადასხვა სახეობის არსებობის შესახებ. მან კიდეც დაასახელა: ცისფერი ვეშაპი და გრელანდიური ვეშაპი. მეორე ბავშვი ამტკიცებდა, რომ ვეშაპების მხოლოდ ერთი სახეობა არსებობს. მასწავლებელმა სთხოვა ამ ორ ბავშვს, მთელი კლასისათვის გამოეკითხათ, თუ რა იცოდნენ ვეშაპების შესახებ. დისკუსიაში მთელი ჯგუფი ჩაება. დღის ბოლოს ბავშვებმა გადაწყვიტეს მშობლებისათვის ეკითხათ ვეშაპების შესახებ.

მეორე დღეს ერთ-ერთმა ბავშვმა დიდი წიგნი მოიტანა ვეშაპებზე, მეორემ კი თქვა, რომ დედამისი უნივერსიტეტში სწავლობს ვეშაპებს. ბავშვები გაფაციცებით უგდებდნენ ყურს ვეშაპის ამბებს, ათვალიერებდნენ წიგნს, ადგენდნენ მოწვევის ბარათს იმ მშობლისადმი, რომელმაც კარგად იცოდა ეს საგანი, ბარათში სთხოვდნენ მოსულიყო და, რაც შეიძლება მეტი, ეამბნა მათთვის ვეშაპების შესახებ. ერთი კვირის თავზე ბავშვები ბიბლიოთეკაში წავიდნენ, რათა მეტი წიგნი მოეძიათ ვეშაპების შესახებ, თავად დახატეს ვეშაპები,

თუნუქისაგან გამოჭრეს და ფირფიტებზე "ვეშაპის სიმღერის" ჩანაწერებს მოუსმინეს. ისინი ამ თემამ ძალზე გაიტაცა, მათ წერილიც კი მისწერეს გარემოს დაცვის საზოგადოებას და თავისი შეშფოთება გამოთქვეს ვეშაპების დახოცვის გამო.

ვეშაპებზე მსჯელობისას, მასწავლებელმა ბავშვებს სთხოვა გამოეანგარიშებინათ, თუ რა ფართობი დასჭირდებოდა ჰატარა ვეშაპს. ბავშვებმა სანტიმეტრებით გაზომეს საკლასო ოთახი და აღმოჩნდა, რომ თვით უმცირესი ვეშაპიც კი მათ საკლასო ოთახზე დიდი ყოფილა. მაშინ მათ გადაწყვიტეს, რომ ეზოში კუბურებით ვეშაპის ფორმა გამოესახათ. მთელს ბაღში არ აღმოჩნდა ვეშაპისათვის საკმარისი კუბურები; მასწავლებლებმა ბავშვებს ურჩიეს თოკები და ზონრებიც მოეშველიებინათ.

ვეშაპების შესწავლაში მთელი ჯგუფი იყო ჩაბმული საკმარისად დიდი დროის განმავლობაში. ხოლო სამი ბავშვი მთელი თვე ამ თემით იყო გატაცებული. აქ ნათლად არის წარმოჩენილი რა ღრმად შეუძლიათ გამოიკვლიონა და შეისწავლონ ბავშვებმა ესა თუ ის საგანი. ამა თუ იმ თემის კვლევისას, ისინი ეუფლებიან მათემატიკურ სიდიდეებს, წერა-კითხვას, ფიზიკური სამყაროს ცოდნას; უვითარდებათ პრობლემის გადაწყვეტის უნარი. ბავშვებს შეუძლიათ დამოუკიდებლადაც იმუშაონ და ჯგუფურადაც. მასწავლებელიც ბავშვებივით მოსწავლე ხდება. ამ საყოველთაო სწავლის პროცესში ჩაბმულები არიან მშობლებიც და მთელი საზოგადოება. პროექტი ხშირად მოითხოვს ახალი, დამატებითი მასალის გამოყენებას და ზოგჯერ კვლევა საკლასო ოთახის ფარგლებს სცილდება.

და ბოლოს, თემატური პროექტი წარმატებით ხორციელდება, თუკი მასწავლებლის მიერ კარგად არის დაგეგმილი. მომდევნო გვერდზე გთავაზობთ ამგვარი პროექტის გეგმის ნიმუშს. ეს ნიმუში დაგეხმარებათ თემატური პროექტების დაგეგმვასა, წარმატებით განხორციელებასა და შედეგების შეფასებაში. ეს პროფესიონალურად შედგენილი დოკუმენტია,

თემატური პროექტის გეგმა.

I. პროექტის თემა და წანამძღვრები.

II. მონათესავე თემების კვლევა და პროექტთან დაკავშირებული აქტივობები:

III. საჭირო მასალა:

IV. პროექტის თემის გაცნობა შეკითხვების გზით:

რა იცით _____ შესახებ?
(წარმოაჩენს საწყის ცოდნას)

რა გსურთ რომ იცოდეთ _____ შესახებ?
(კვლევის მიზანი)

როგორ უნდა გავიგოთ _____ შესახებ?
(კვლევის გეგმა)

V. შეფასება: რა შევიტყვეთ (ბავშვების აზრით, მასწავლებლის აზრით).

VI. წინადადებები პროექტის გავრცობისა და გაუმჯობესებისათვის:

- ინდივიდუალური მუშაობა.
- მონათესავე თემების შესწავლა.
- აქტივობათა შეცვლა პროექტის გაუმჯობესების მიზნით.
- რა უნდა გამოვრიცხოთ და რა დავამატოთ

რომელიც საშუალებას მოგცემთ პროექტის განხორციელების გზები თქვენს კოლეგებს გაუზიაროთ.

რა ფაქტორები უნდა გავითვალისწინოთ გეგმის შედგენის დროს

ბავშვის განვითარება.

აქტივობათა დაგეგმვას და მათი ბავშვებისათვის მიწოდების ფორმას განაპირობებს მასწავლებლის ცოდნა ბავშვების განვითარების დონის შესახებ. ზოგიერთი თემა უმრავლეს ქვეყანაში სამი წლიდან შვიდ წლამდე ბავშვების უმრავლესობას აინტერესებს. ამგვარი თემებია: ოჯახი, შინაური ცხოველები, ჩვილი ბავშვები, წყალი, მანქანები და სატვირთო მანქანები, განშორება, სამართლიანობა, საყვარელი საჭმელი, მუსიკა, მეგობრები, შიშისმომგვრელი მოვლენები, საყიდლებზე სიარული – მოკლედ ყველაფერი ის, რასთანაც ბავშვებს ყოველდღიურ ყოფაში აქვთ შეხება. ყოველი თემა, თუკი იგი ასაკის, განვითარების, ნიჭის, მონაცემების, ეროვნული წარმომავლობის და ჯგუფის შემადგენლობის შესაბამისად დაიგეგმა, აუცილებლად წარმატებით განხორციელდება ბაღის პირობებში და კარგ შედეგებსაც მოგვიტანს.

მასწავლებელმა წყლის თემა სრულიად განსხვავებულად უნდა წარმოადგინოს ორი-სამი წლის ასაკის ბავშვების ჯგუფში, ვიდრე ამას ექვსი-შვიდი წლის ასაკის ბავშვების ჯგუფში წარმოადგენს. უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის დაგემილი აქტივობა უნდა იყოს მარტივი, კონკრეტული და სენსორულ შეგრძნებებზე აგებული. მასალა უნდა იყოს მრავალფეროვანი (ძაბრები, მილები, ფინჯნები, საცერი); ბავშვებს უნდა ავუხსნათ წყლის თვისებები – გაყინვისა და გალღობის (ყინულის მაგალითზე); წყალთან არის დაკავშირებული წვიმაში სეირნობა და გუბეებში ჭყუმპალაობა, წყალი სასმელად გამოიყენება; წყალს აკვარელით სატვისასაც ვიყენებთ. უფროსი ბავშვებისათვის გაცილებით რთული და ზოგადი აქტივობები იგეგმება; მაგალითად: ტბორის წყლის მიკროსკოპით კვლევა და მიკროორგანიზმების აღმოჩენა; წყლის გაყინვისა და დუღილის ტემპერატურის დადგენა; მდინარეების, ტბების, ტბორების და ზღვის დათვალიერება; აორთქლებისა და კონდესაციის პროცესებს შესწავლა; იმის გარკვევა, თუ როგორ ხვდება წყალი წყაროდან ონკანში.

განსხვავება ჯგუფებს შორის

შემდეგი ფაქტორი, რომელიც, გარკვეულწილად, განაპირობებს პროგრამის დაგეგმვას, არის კონკრეტული ჯგუფი. ყოველი ჯგუფი უნიკალურია. მასწავლებელი და ჯგუფის წევრი ბავშვები პატარა საზოგადოებას ქმნიან, რომელიც საკუთარი კულტურის მატარებელია. ამდენად, გეგმის სტილი, თემატიკა და წარდგენის ფორმა უნდა შეეფერებოდეს ჯგუფის დონესა და მოთხოვნებს; რაც ერთ ჯგუფს იტაცებს, სრულებითაც არ აინტერესებს მეორე ჯგუფს. მაგალითად, ერთმა მასწავლებელმა ორკვირიანი თემატური პროექტი დაგეგმა ობობებზე, რადგან შენიშნა, რომ აღმოჩენილმა ობობამ ბავშვებში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. მეორე მასწავლებელმა გადაწყვიტა შეესწავლა "დათვის" თემა, რადგან ბავშვები განსაკუთრებით მოიხიბლნენ სურათებიანი წიგნით დათვის შესახებ. მესამე მასწავლებელმა გადაწყვიტა ჯგუფთან ერთად შეესწავლა "ჩვილი ბავშვების" თემა, რადგან მისი ჯგუფის სამი მშობელი ფეხმძიმედ იყო და მეოთხემ, ის-ის იყო, იმშობიარა. მეოთხე ჯგუფი საავადმყოფოს თემას იკვლევდა, რადგან ორი მათი ჯგუფელი საოპერაციოდ ემზადებოდა. ერთ-ერთი ჯგუფის კვლევითი პროექტი მეთევზეობას შეეხებოდა, რადგან ბავშვებმა სეირნობისას თვალი ვერ მოსწყვიტეს მეთევზეებს. ბაღის მახლობლად სახლი დაიწვა და კვლევითი პროექტის თემაც გაჩნდა – ხანძართან ბრძოლა და უსაფრთხოების ზომები.

თემის ფარგლებში კვლევა და მასთან დაკავშირებული აქტივობები განპირობებულია ბავშვთა მონაცემებით, უნარითა და ინტერესებით. ერთ-ერთ ჯგუფში "დათვის" თემის შესწავლისას, მასწავლებელმა და ერთ-ერთმა მშობელმა ბავშვებს ააწყობინეს ოცდახუთ-ნაწილიანი დათვის ასაწყობი ბუნაგი. მეორე ჯგუფში, სადაც ხელოვნებით გატაცებული ბავშვები სწავლობდნენ, ნატურალური სიმაღლის დათვი გააკეთეს მუყაოსაგან. ამ დათვის აწყობამ, დაგეგმვამ, ორგანიზებამ, დაწებებამ, შეღებვამ და დადგმამ – ორ კვირაზე მეტ ხანს გასტანა.

თემატური მუშაობის პროცესში მასწავლებელმა ინდივიდუალური ამოცანები უნდა დაუსახოს ბავშვებს მათი უნარის შესაბამისად. მაგალითად, ბავშვს, რომელმაც უნდა ისწავლოს ათამდე თვლა, ავალებენ დათვისათვის ასაწყობად საჭირო ყუთების დათვლას.

ინდივიდუალური სწავლება

ბავშვებზე დაკვირვების და მშობლებთან საუბრის შედეგად, მასწავლებელმა კარგად იცის თითოეული ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეები, საჭიროება, უნარი და ინტერესები. ამ მონაცემთა საფუძველზე, მასწავლებებს შესაძლებლობა აქვს თითოეულ ბავშვს ინდივიდუალური ამოცანა დაუსახოს. ერთი ბავშვისათვის მთავარი ამოცანაა ჯგუფურ აქტივობაში ჩაებას და შეეჩვიოს სხვა ბავშვებთან ურთიერთობას, რიგის დაცვას, ერთად თამაშს. მეორე ბავშვისათვის აუცილებელია ათამდე თვლა ისწავლოს და უფრო აქტიურად ჩაებას საუბარში სადილობისას. ამოცანების დასახვისას გათვალისწინებულია სოციალური, ემოციური, გონებრივი, ფიზიკური და მეტყველების უნართა განვითარება.

სტრატეგია ნიშნავს განსაკუთრებული მეთოდების ერთობლიობას, რომლებიც ბავშვებს მიზნების მიღწევაში ეხმარება. ეს მეთოდები ბავშვთა ინტერესების, ნიჭის, ათვისების უნარისა და ხასიათის შესაბამისი უნდა იყოს. შესანიშნავია, თუ ყოველი მიზნის მიღწევისათვის სხვადასხვა შესაძლებელი სტრატეგიული მეთოდები დამუშავდება. სტრატეგიული მეთოდი იმ ბავშვის განვითარებისათვის, რომელიც დამოუკიდებლად ითვლის ათამდე, შეიძლება ითვალისწინებდეს თვლას და სხვადასხვა აქტივობას, თამაშისა და დღიური მოვალეობების შესრულების დროს. მასწავლებელი მას ავალებს ათი მრგვალი კუბურის დალაგებას თაროზე, სათამაშოების დალაგების დროს. სტრატეგიული მეთოდი იმ ბავშვის დასახმარებლად, რომელსაც ათამდე თვლაში დახმარება სჭირდება, ითვალისწინებს დათვლას მასწავლებელთან ან მის მეგობართან ერთად; მაგალითად: მასწავლებელი მას



აწყვილებს უფროს ბავშვთან ერთად და ავალებს დათვალოს თეფშები სადილის სუფრის ალაგების შემდეგ; ანდა ეს ბავშვი სხვა ბავშვებთან ერთად ითვლის.

ბავშვთა ინდივიდუალური პროგრესის აღწერა და დოკუმენტაცია

მასწავლებელთა დაკვირვებების შედეგები და ჩანაწერები, რაც წიგნის V თავშია აღწერილი, ძალზე ფასეული საშუალებაა გეგმის შესადგენად. ძალზე სასარგებლოა, რომ ინფორმაცია ყოველ ბავშვზე ცალკე საქაღალდეში ინახებოდეს. გაკვეთილის გეგმის შედგენისას, საჭიროა გვქონდეს ბავშვების სია, თითოეული ბავშვისათვის დასახული მიზანი და სტრატეგიული მეთოდი მიზნის მისაღწევად. გაკვეთილის გეგმა ითვალისწინებს მოკლე ინფორმაციას ათ ბავშვზე, რომლებსაც ინდივიდუალური აქტივობა დაევალება: უნდა ჩამოიწეროს მათი სახელები (ან ინიციალები), როგორ და როდის უნდა გავაცნოთ აქტივობა (სტრატეგია), გაკვეთილის გეგმაში აღწერილი უნდა იყოს ინდივიდუალიზაციის პროცესი. ბევრი მასწავლებელი ძალზე შემოქმედებითად უდგება ამ საკითხს და ძალზე ეფექტურ ინდივიდუალურ აქტივობას სთავაზობს ბავშვებს. მასწავლებელმა აქტივობის და მისი

ყოველდღიური ცხრილის ნიმუში სამი-ოთხი წლის ასაკი ბავშვებისათვის	
7:00 - 10:00	ბაღში მოსვლა, საუზმე, დილის აქტივობები, ბავშვები შემოდიან, მათ მასწავლებელი ესალმება და საუზმეზე იწვევს. საუზმის დამთავრებისთანავე მათ შეუძლიათ აირჩიონ რომელი აქტივობის ცენტრში სურთ მუშაობა.
10:00 - 10:15	ჯგუფური აქტივობა. ერთი დიდი ან ორი პატარა ჯგუფი ხვდება მასწავლებელს. მუშაობით გართულ ბავშვებს შეუძლიათ განაგრძონ საქმიანობა და არ მიიღონ მონაწილეობა შეკრებაში
10:15 - 10:30	საუზმე და სუფრის ალაგება
10:30 - 11:30	ეზოში
11:30 - 12:30	ხელ-პირის დაბანა, სუფრის გაშლა, სადილი
12:30 - 12:45	წიგნის კითხვა ჯგუფში ან ინდივიდუალურად წიგნების თვალიერება
12:45 - 2:15	მოსვენება, ძილი
2:15 - 3:15	თავისუფალი დრო. ბავშვები თავად ირჩევენ აქტივობის ცენტრებს
3:15 - 3:30	საუზმე და სუფრის ალაგება
3:30 - 4:30	ეზოში
4:30 - 4:45	ჯგუფური აქტივობა ერთი დიდი ან ორი პატარა ჯგუფი ხვდება მასწავლებელს. საქმეში გართულ ბავშვებს შეუძლიათ განაგრძონ მუშაობა და არ მიიღონ მონაწილეობა ჯგუფურ შეკრებაში
4:45 - 5:30	დასვენება

ყოველდღიური ცხრილის ნიმუში ხუთი-ექვსი წლის ასაკი ბავშვებისათვის	
9:00 - 9:15	დილის შეკრება. აქტივობის ცენტრის არჩევა. მასწავლებლები მიმოიხილავენ დღის განმავლობაში დაგეგმილ განსაკუთრებულ მოვლენებს, მასალებს, ბავშვები დამოუკიდებლად ირჩევენ სამუშაო ცენტრს. ბავშვები ერთმანეთს ესაუბრებიან; უამბობენ ახალ ამბებსა და მოვლენებზე.
9:15 - 10:30	სამუშაოს არჩევანი. ბავშვები მუშაობენ იმ წრეში, რომელიც თავად აირჩიეს და საქმის დამთავრებისთანავე სხვა წრეში გადადიან სამუშაოდ.
10:30 - 11:00	დალაგება და საუზმე
11:00 - 12:00	ეზო
12:00 - 12:45	ხელ-პირის დაბანა, სუფრის გაშლა, სადილი
12:45 - 1:15	ჯგუფში ზღაპრების კითხვა, ინდივიდუალური კითხვა
1:15 - 2:30	მოსვენება, ძილი
2:30 - 3:10	სამუშაო დრო. ბავშვები განაგრძობენ მუშაობას არჩეულ ცენტრებში
3:10 - 3:30	საუზმე და სუფრის ალაგება
3:30 - 4:15	ეზოში
4:15 - 4:45	ჯგუფის შეკრება. ბავშვები მიმოიხილავენ იმ დღეს ჩატარებულ საქმიანობას, თამაშობენ, მღერიან ან ზღაპრებს უსმენენ
4:45 - 5:30	მშვიდი საქმიანობა. მშობლებთან შეხვედრა


თემა - მეგობრობა
ციტატები
"ნამდვილი მეგობარი გაბედნიერებ-ბამი გამოიცნობთ" - ანდაზა
"მეგობარი ის არის, ვინც უყვარს" - ჯონ ანგლუნდი
კითხვა
წაიკითხეთ სამაგვლო ლექსები მეგობრობაზე:
- "ახალი მეგობარი", მარჯანი ანდერსონი
- "მეგობრები", სონია დენი,
- შეადგინეთ ლექსების რეკვლი
- ამერიკის რუკაზე აღნიშნეთ, სად ცხოვრობენ მეგობრები
სოციალური მეცნიერება
- რომელი მეგობრის მოყვანა გინდათ ჯგუფში?
- წერილები მისწერეთ ჯგუფელებს და სხვა მეგობრებს
- ინტერვიუ აიღეთ მეგობრისაგან და დაწერეთ მისი ბიოგრაფია;
- შექმენით აკროსტიქი მ-ე-გ-ო-ბ-ა-რ-ი
- დაწერეთ კლიფლეტის მოთხრობები
- რამოწერეთ, რისი გაკეთება გიყვართ უახლოეს მეგობართან ერთად;
FRIEND
SHIP
დრამატული
ბუნებისმეტყველება
მათემატიკა
ხელოვნება
- გაიკეთეთ დასაკიდი ბუმბები და ამოჭრილი ფანჯრების ადგილას დაიწერეთ მეგობრების ის სიტყვები. ბუმბები ჭერზე დაკიდეთ;
- დახატეთ უახლოესი მეგობრის პორტრეტი
- ალწერეთ თქვენი მეგობრის თვისებები, ფიქრები (თმა, თვალების ფერი, ასაკი).
- გაიკეთეთ მეგობრობის ხეენი, ჯგუფის ბიუროს ბახეებით და ნახატებით.
მუსიკა
- ეიმღერეთ:
- მეეიმანთი ახალი მეგობრები - სკაუტი გოგონების სიმღერა
- რენ ბავშვს მეგობარი - ბეტი კლეანის სიმღერის მიხედვით - მიმღერეთ ამბავი, წამიკითხე სიმღერის ფირფიტა
ჩვენ ახალი მეგობარი გვყავს
და მას ჰქვია _____
მისი სახელია _____
გამბარჯობა _____,
გამბარჯობა _____,
ძალიან გაგვიხარდა შენი მოსვლა!
კითხვა
წაიკითხეთ:
- რაც უფრო ხშირად ვართ ერთად
- კლიფლეტის დამბალების დღე, ნორმან ბრიდლეკელი. ისაუბრეთ კლიფლეტის მეგობრებზე;
- პეტუნიას ზღაპრები - რიოჯენ დუგლიმინი
- მეგობრები - ჰაინე, ჩამოთვალეთ კარგი მეგობრის თვისებები
- ბაყაყი და გომბეში, ანრილ ლაბიერი: შეადარეთ მეგობრები, რითი გასხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან
- ცხრიბილი გამოიქმნები მეგობრობაზე და დასკვნა

ფერმა

ჩვევები კონტექსტის მიხედვით

ჩვევები კონტექსტის მიხედვით

— დამოკიდებულია განვითარების დონეზე —

დრამცენტრი

- ფერმა
  კონცერტი-წარმოდგენა ან
  თოჯინების თეატრი
- ქალბატონი წყალკვინტილა
- ჭროღა ვარიკა

ლიტერატურა

- ილუსტრაციები: ბეე, ბეე, შავო ბატკანო.

წერა

- სტუმრობა ფერმა-ში, აღწერეთ თქვენი შთაბეჭდი-ლებები
- შეცვალეთ ტექსტი: კონცერტი ფერმაში ჰელოუინის კონცერტი კონცერტი ტბაზე კონცერტი ზოოპარკშI.

მათემატიკა

- შეაგრვეთ მარკები ფერმის თემაზე;
  ნელი ეჯი 1-800-523-4594
- ამოტვიფრეთ ფიგურები
- ფისის ჭიაყელები
- ფისის გოჭები

ბუნებისმეტყველება

- შეისწავლეთ ერთი ცხოველი(მაგ, ცხვა-რი) და გაარკვიეთ რა გზით შევიტყობთ მის შესახებ, იქნება ეს:
  ინტერვიუ
  სამეცნიერო გამოკვლევა
  სტუმარი ფერმერი მქსოველი.
- კარაქის გაკეთება
- კვერცხებიდან წიწილების გამოჩეკვა
- ჩამოთვალეთ რას გვაძლევენ ცხოველები
  (მაგ, ცხვარი გვაძლევს მატყლს)

სოციალური მეცნიერება

- დაკიდეთ რუქა - ისაუბრეთ "ძველი დრო-ის" ქალქებსა და სოფლებზე;
- მოიტანეთ სკოლაში ძველებური სამუშ-აო იარაღები;
- ესტუმრეთ ფერმის მუზეუმს ან მოიწვი-ეთ ფერმერი სკოლაში, რომელიც გიამბ-ობთ "გარდასულ დღეებზე".

მუსიკა

- ფერმერი მინდორში
- ჩვენს მაკდონალდს ჰქონდა ფერმა

ხელოვნება

- გააკეთეთ ფერმის დიორამა
- მოქსოვეთ პატარა დაზგებზე
- კედლის მხატვრობა: კონცერტი ფერმა-ში
- გააკეთეთ დიდი წიგნი ქ-ნ წყალკვინტი-ლაზე

ერთი კვირის ცხრილი

	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
დილის შეკრებები	წავუკითხოთ წიგნი მდინარეებზე, ვისაუბროთ წყალზე/ხიდებზე	ვისაუბროთ ექსკურსიის შესახებ ბუნების წიაღში. ბავშვებს დავურიგოთ ფერადი ფანქრები და ფურცლები, სახატავ დაფაზე რამდენიმემ ერთად ხატოს	ვთხოვოთ ბავშვებს რამე ჩაწერონ ახალი ამბების წიგნში. ნეტავ რას დაწერენ?	შეახსენეთ ბავშვებს მაღაზია. დაარიგეთ სათამაშო ფული;	
ხელოვნება	კოლაჟისათვის ახალი მასალა დაამატეთ;	შუადღისას დაამატეთ საღებავები;	ღრუბლით ხატვა;	მაღაზიისათვის ააწყვეთ კონსტრუქციები;	გააწყვეთ სუფრა კულინარიისათვის;
წერა-კითხვა	წიგნები მდინარეებზე და ხიდებზე;	წიგნები მდინარეებზე და ხიდებზე;	ახალი ამბების წიგნი. გეეხმარება ქ-ნ ნ-ი. P	ფასები დაადეთ "მაღაზიაში" საქონელს;	ფერადი ფურცლები და მარკერები;
კუბურები	დაამატეთ ლურჯი ქაღალდი, რომ ბავშვებს მდინარეები გააკეთონ;	დაამატეთ ლურჯი ქაღალდი, რომ ბავშვებმა მდინარეები გააკეთონ;	მასწავლებელი ეხმარება ხიდების მშენებლობაში	დაამატეთ ნავები და ხალხი.	
ოჯახი-დრამცენტრი	ექიმის ჩანთა			დაამატეთ ნავები, მეზღვაურის ქუდებით;	დაამატეთ ნავები, მეზღვაურის ქუდებით;
ქვიშა/წყალი	დღეს ეზოში	მხოლოდ შუადღეს	დააწყვეთ ნავები წყლის მაგიდაზე;	დაამატეთ მანქანები, დაფები, ნავები;	დაამატეთ მანქანები, დაფები, ნავები;
მანიპულატიევები	ახალი ლოტოს თამაშის სწავლა, მასწავლებელი მონაწილეობს თამაშში;	შუადღისას ეთამაშობთ ლოტოს;	აიღეთ კოჭები ლოტოს დაფიდან;	მაღაზიაში ახალ საქონელს დავადოთ ფასი;	გადავარჩიოთ ღილები;
ჯგუფური აქტივობა	მუსიკა ქ-ნი დაუკრავს გიტარაზე და ბავშვებს სიმღერებს ასწავლის;		მეტყველების გაკვეთილი- მოთხრობა ხიდზეთხზავენ ბავშვები;	მაღაზიაში	ეკითხულობთ ბავშვების შეთხზულ მოთხრობას;
სხვა აქტივობები	საუზმე - სტაფილოს დაჭრა მრგვალ მაგიდაზე შუადღისას;	დახურული ხიდის მონახულება;	შეშის შეგროვება, სერნობა ბუნების წიაღში;	მერის დაბადების დღე, ტორტი სადილის შემდეგ;	კულინარია- ხილის სალათის მომზადება შუადღის საუზმისათვის;

მთავარი თემა - წყალი და ხიდები

რა უნდა გავაკეთო: უნდა გავაგზავნო ბარათები მშობლებთან ხიდზე ექსკურსიის შესახებ. მოვიწვიო მშობლები. ვთხოვო ჯოს დეიდას "ახალი ამბების" წიგნის შევსებაში დაეხმაროს ბავშვებს. გავუგზავნო ბარათი ქ-ნ ზ-ს, შევახსენო, გიტარაზე დაკვრისა და სიმღერის გაკვეთილის დრო.
ხუთშაბათს მერის დაბადების დღეა.

ერთი თვის ცხრილი

ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშბათი	პარასკევი
ხელოვნება_ფოთლების კოლაჟი. მოთხრობა ან ახალი წიგნები. ბიბლიოთეკაში წასვლა. კარტის თამაშის სწავლება.	ფერების შეზავება. კარტოფილის პიურეს მომზადება. საპონი და ღრუბელი წყლის მაგიდისთვის. ახალი წიგნები.	სათამაშო ცომის მოზელვა. კუბურებით მანქანების და სატვირთო მანქანების აგება. სეირნობა, ფოთლების შეგროვება. საღამოს შეხვედრა "ბავშვები და თამაში".	ფოთლების გადახატვა. მეცნიერება. მოტივტიევ და ჩასაძირი სათამაშოები. ფოთლები და რკოები დავაწყოთ სინზე.	პურის გამოცხობა. ბ-ნი ჟ. გვეხმარება. ბუნებისმეტყველება-მოტივტიევ და ჩასაძირი სათამაშოები. გავაკეთოთ ფოთლების სტენდი კედლისათვის.
თოჯინების გაკეთება. ახალი ზღაპარი. გვესმარება ქნი ზ. ხის ნაკეთობა ტყავით დავამაგროთ.	თოჯინების გაკეთება. სათამაშო მაგიდაზე დავამაგროთ მაგნიტი. თოჯინები ოჯახის ცენტრში	აღვნიშნოთ ლარას დაბადების დღე. გამოვაცხოთ ნამცხვარი დავამზადოთ მოსაწვევი ბარათები და გავაფერადოთ. თოჯინების თეატრისათვის მუყაოს ყუთისგან გავაკეთოთ სცენა. ბავშვები შეღებავენ	ხელოვნება-თოჯინები; ფერადი ქაღალდები; ცომით თამაში; თოჯინების თეატრი.	ვისაუბროთ: საიდან გაჩნდა საჭმელი. ექსკურსია ბაზარში. გვეხმარებიან ბ-ნი ჟ. და ქ-ნი ზ. ვთხზავთ მოთხრობას, ვიწერთ.
ოჯახის წრეში-ბაზარი მოვაწყოთ. ახალი წიგნები გვეხმარებიან: ქ-ნი უ. პ. წიგნი საჭმელებზე	სათამაშო ფული მაღაზიისათვის საღებავი იატაკისა და კედლების შესაღებად	პლასტელინის "საჭმლის" გაკეთება ბაზრისათვის სასწორი საჭმლის ასაწონად.	წვნიანის მომზადება სადილად გვეხმარება ქ-ნი ბ. მწვანე სალათის დაკრეფა ბაღში წვნიანისათვის.	სასწორზე სხვადასხვა წონის საგნების აწონვა.
ხარიხა-წონასწორობის დაცვა. ეზოში მთელი კვირა - დააკვირდეთ, როგორ იცავენ წონასწორობას ბავშვები.				
ახალი წიგნები, ახალი ზღაპრები. გვეხმარება ქ ნი-უ. დაამატეთ ტილო ხელოვნების ცენტრში	შევაგროვოთ ქვები ასაწონად და შესაღებად. ბაღში ამოვიღოთ სტაფილო, გავრეცხოთ, საუზმისათვის მოვამზადოთ. ახალი დაფის თამაშის სწავლა.	მუსიკა - სარა ვიოლინოს მოიტანს. მუსიკალური საკრავები საოჯახო ცენტრში დავაწყოთ.	წიგნები მუსიკის შესახებ. კითხვა. ფოთლები, ჯოხები და რკოები ქვიშის მაგიდაზე დავაწყოთ.	უნოს დაბადების დღე. დავამზადოთ ბარათები და გავაფერადოთ. მოვამზადოთ ვაშლის პიურე. ბაზარში დავამატოთ საქონელი. გავაკეთოთ წიგნები.
ეზოში დიდი და პატარა ბურთებით თამაში - დააკვირდით, როგორ ისვრიან და იჭერენ ბავშვები ბურთს.				

ნაწილი III

ჭაეშკეზე ოპერაციერეკლი
[illegible]

საშინაოდ გამოქმის ამოცანა



VII სასწავლო გარემოს მოწყობა

ფიზიკურ გარემოში იგულისხმება საბავშვო ბაღის მთელი ტერიტორია. იატაკი, კედლები, საკლასო ოთახების ფორმა, ზომა, ეზო, სათამაშო მოედნები, ავეჯი, მასალა, აღჭურვილობა, სათამაშოები – ეს ყველაფერი გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს ბაღის აღსაზრდელებზე. ესთეტიურად მომხიბლავი და მოხერხებული საკლასო ოთახი კარგ განწყობას უქმნის მასწავლებელსაც და ბავშვსაც. მზიანი ოთახები, ბუნებრივი, ნათელი ფერები, კაშკაშა ნათურები მხიარულ ატმოსფეროს ქმნის. ოთახები ავეჯით არ უნდა გადაიტვირთოს, საკმარისი ადგილი უნდა დავტოვოთ სასიარულოდ, უსაფრთხო გადაადგილებისათვის. მასწავლებელსაც უნდა ჰქონდეს ადგილი საიდანაც ადვილად შეძლებს ბავშვებს დააკვირდეს. შენობის ინტერიერიცა და ეზოც ისე უნდა დაიგეგმოს, რომ სივრცე მიზნობრივად იქნას გამოყენებული. კარგად დაგეგმილი და მოწყობილი გარემო საშუალებას იძლევა ბავშვებმა რთული თამაშები ითამაშონ, დამოუკიდებლად იმუშაონ, იურთიერთონ და პრობლემები მოაგვარონ. ბავშვები სწორად დაგეგმილ გარემოში სიამოვნებით სწავლობენ, ატარებენ ცდებს, იკვლევენ საგნებს, იძენენ ცოდნას. (იხ. საკლასო ოთახის ორი პროექტი ამ თავის ბოლოს).

საკლასო ოთახი ბავშვებს ეკუთვნის და ის ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ სრულად ასახავდეს ბავშვების ინტერესებსა და კულტურას. ოთახში ლამაზად არის გამოფენილი ბავშვების ნამუშევრები. მათი სამეცნიერო ცდების შედეგებიც ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას აწყვია. კუბურებით აშენებული და დაუმთავრებელი ნაგებობები შესაძლებელია არ დავშალოთ იმავე დღეს, რათა მეორე დღეს, საინტერესო გამოფენა მოვაწყოთ. ხელოვნების ნიმუშები, წიგნები და საკვები სხვადასხვა ეროვნების ბავშვთა თვითმყობად კულტურას ასახავს. სხვადასხვა თემისა და პროექტის შესაბამისად საკლასო ოთახი ხან ბაღად გადაკეთდება, ხან მაღაზიად და ხან სადგურად.

ნივთებისადმი ფაქიზი დამოკიდებულება და ბავშვების ცნობისმოყვარეობა ძალზე საინტერესო შედეგებს მიგვაღწევინებს. ბავშვებს ასწავლიან, რომ ნივთებს მოვლა ჭირდება. აგრეთვე, თავიდანვე აჩვევენ ოთახის დალაგებას, სათამაშოების თავ-თავის ადგილებზე დაწყობას. წარწერებიანი თაროები და უჯრები აადვილებს წესრიგის დაცვას. საკლასო



ოთახის ნივთები და მასალა ბავშვთა აქტივობის ცენტრებში აწყვია. ყოველ საკლასო ოთახის რამდენიმე აქტივობის ცენტრი აქვს, კერძოდ:

ხელოვნება	მათემატიკა/მანიპულატივები
კუბურები	მუსიკა
კულინარია	ეზო
დრამცენტრი	ქვიშა და წყალი
წერა-კითხვა	ბუნებისმეტყველება.

თითოეულ აქტივობის ცენტრში მრავალფეროვანი მასალა აწყვია, რომელსაც ბავშვები შემოქმედებითად იყენებენ. მასალას ყურადღებით არჩევს მასწავლებელი და ლამაზად აწყობს თაროებზე. ბავშვებს ხელი უნდა შევუწყოთ, რომ დამოუკიდებლად იმუშაონ მასალაზე.

მრავალი მეცნიერი და თეორეტიკოსი მიიჩნევს, რომ ბავშვის მუშაობა არის თამაში. მართლაც, პატარა ბავშვებისათვის სწავლა თამაშია და თამაში – სწავლა. ეს ორი ცნება არ უნდა დავაცალკევოთ. ბავშვებს თამაშის პროცესში უვითარდებათ ნიჭი, უნარი, ჩვევები და ოსტატობა. "ნაბიჯ-ნაბიჯ" პროგრამა თამაშს სწავლების საფუძვლად მიიჩნევს და თვლის, რომ მასწავლებლის მიერ სწორად შერჩეული შესატყვისი მასალა და თამაში აქტივობის ცენტრებში საფუძველს უყრის ბავშვთა განათლებას. ბავშვები ერთმანეთისაგან ბევრ რამეს სწავლობენ; აქტივობის ცენტრებში მუშაობა და მცირე ჯგუფური აქტივობა მათ ბუნებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბების საშუალებას აძლევს. ისინი სწავლობენ პრობლემების მოგვარებას, გადაწყვეტილების მიღებას, საკუთარი აზრებისა და გრძნობების გამოხატვას, სხვაობისა და მსგავსის გარჩევას, დამოუკიდებლობას.

მასწავლებლებმა, აქტივობის ცენტრების მოწყობისას, აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ სივრცის ფაქტორი. მაგალითად, კუბურების ცენტრი საკმაოდ დიდ ფართობს უნდა მოიცავდეს, რათა რამდენიმე ბავშვმა ერთდროულად შეძლოს უბარმაზარი ნაგებობის აშენება. კარგია თუ ამ ცენტრში სალიჩას ან რბილ იატაკს დავაგებთ. რაც ხმაურსაც შეამცირებს და ბავშვებიც მოხერხებულად იგრძნობენ თავს. დრამცენტრი ხშირად კუბურების ცენტრის გვერდზეა ხოლმე მოთავსებული. ეს ორივე ცენტრი ხმაურიანი და აქტიურია. ბავშვები ხშირად აერთებენ ამ ორი ცენტრის მასალას და უფრო რთულ თამაშებს იგონებენ. მაგალითად, თოჯინებს ათავსებენ კუბურებით აშენებულ სახლებში, სათამაშო ცხოველებს-თაველებსა და ფარეხებში, მეხანძრეების ქუდებს ამაგრებენ სახანძრო მანქანებზე და სხვა. ბუნებისმეტყველების ცენტრი მზიან და ნათელ მხარეს უნდა განვათავსოთ, ფანჯარასთან, რათა უკეთ აღმოცენდნენ თესლები და გაიხარონ ოთახის მცენარეებმა. წარა-კითხვის ცენტრი შესაძლოა უფრო მომცრო ტერიტორიაზე განლაგდეს, იატაკზე ხალიჩები დავაფინოთ, დავდგათ რბილი ავეჯი, რბილი სკამები და საწერი მაგიდები. ხელოვნების ცენტრთან ახლოს უნდა იდგეს ონკანი და ნიჟარა, რათა ბავშვებს შეეძლოთ საღებავით მოთხუპნული ხელ-პირის იქვე დაბანა. ქვიშისა და წყლის მაგიდებიც ონკანთან ახლოს უნდა იდგას, რათა ადვილად გადავღვაროთ ზედმეტი წყალი და სუფთა წყლით ავავსოთ ხოლმე ჭურჭელი. ყოველ აქტივობის ცენტრში აწყვია თაროები, საკიდები და სხვა ავეჯი. ამგვარი ავეჯით არის გადატიხრული და გამოყოფილი ცენტრები ერთმანეთისაგან, რაც საშუალებას გვაძლევს თითოეული ცენტრი დამოუკიდებელ სივრცედ აღვიქვათ, განვსაზღვროთ თითოეულ ცენტრში მომუშავე ბავშვების რაოდენობა და შესაძლებელი გავხადოთ საკლასო ოთახში უსაფრთხოდ გადაადგილება. ბავშვებს აგრეთვე ჭირდებათ საკუთარი კარადები (რომელთა კარზეც მათი სურათები იქნება მიმაგრებული) პალტოების დასაკიდად, ჩანთებისა და ჩექმების დასაწყობად.



ყოველ ცენტრში მრავალფეროვანი მასალა აწყვია, ისე რომ, ბავშვებს შეუძლიათ ერთდროულად იმუშაონ. მაგალითად, ხელოვნების ცენტრში ერთი ბავშვი რომ პლასტელინით ძერწავს, მეორე კოლაჟს აკეთებს, მესამე მოლბერტზე ხატავს, ორი ბავშვი კი კედლის მოხატვით არის დაკავებული.

აქტივობის ცენტრები ერთგვარ ლაბორატორიებს წარმოადგეს, სადაც ბავშვები მასალების საშუალებით, თამაშის პროცესში ცოდნას იძენენ. ბავშვებს უფლება აქვთ ნებისმიერი მასალა აირჩიონ და თავის ნებაზე ითამაშონ. ასე რომ, ლეგოს, თუ ერთი ბავშვი სახლის ასაწყობად იყენებს, მეორე – თვლას სწავლობს, ხოლო მესამე, ფერების მიხედვით აწყობს ნაწილებს.

ბავშვები თავისუფლად გადაადგილდებიან ერთი ცენტრიდან მეორეში. ყოველი ბავშვი სხვადასხვა დროს ანდომებს თითოეულ ცენტრში მუშაობას. როდესაც ბავშვები ჩართულები არიან თამაშში, შემოქმედებითად იყენებენ მასალას, დაინტერესებულები არიან საქმით, ისინი იშვიათად გადადიან მეორე ცენტრში და საკმაოდ დიდ ხანს უთმობენ სამუშაოს.

მასწავლებლები ხშირად ანახლებენ ცენტრებს, ისინი მოყირჭებულ მასალას ახალი მასალით ცვლიან. ისინი ბავშვების ინტერესების შესაბამისად აწყობენ ცენტრებს. მაგალითად დრამცენტრის ტერიტორია, ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება, კოსმოსურ ცენტრად გადაიქცეს, რათა ბავშვმა შეისწავლოს ის, რაც აინტერესებს, ამ შემხვევაში -ასტრონავტიკა. მასწავლებელს მოაქვს ალუმინის ფოლგა, კოსმონავტების ჩაფხუტები, მუყაოს დაფა. მეორე ბავშვს, რომელიც გველებით არის დაინტერესებული, ერთ დღესაც წერა-კითხვის ცენტრში ქვეწარმავლების შესახებ წიგნი დახვდება. ანდა, თუკი ბავშვი გატაცებულია ნაოსნობით, ძალზე კმაყოფილი დარჩება, როდესაც კუბურების ცენტრში, თაროზე ნავები და მანქანები დახვდება.

საკლასო ოთახი დინამიური სივრცეა. მასწავლებელმა უნდა შეაფასოს, რამდენად მოხერ-

ხებულად არის განლაგებული ავეჯი და, თუკი საჭიროდ ჩათვლის გადაადგილოს წლის განმავლობაში. ქვემოთ მოვიტანთ საკლასო ოთახის გარემოს მოწყობისათვის აუცილებელი ნივთების ნუსხას:

საკლასო ოთახის მოწყობის საკონტროლო ფურცელი

სახეზეა?

_____ სივრცე დაყოფილია განსაზღვრულ აქტივობის ცენტრებად: ეზო, ხელოვნება, დრამ-ცენტრი, თამაში, წერა-კითხვა, მათემატიკა/მანიპულატივები, კუბურები, ქვიშა და წყალი, მუსიკა, ბუნებისმეტყველება.

_____ კლასში მოიპოვება ის მასალა, რაც საჭიროა მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების საფუძვლების დასაუფლებლად.

_____ მასალა ლოგიკურად არის დანაწილებული და საკლასო ოთახში კუთვნილი ადგილი აქვს მიჩენილი.

_____ აქტივობის ცენტრები მკაფიოდ არის შემოფარგლული. თაროები, ხალიჩები, კარადები, მოლბერტები, დაფები, მაგიდები და სხვა ავეჯი შეიძლება გამოვიყენოთ სივრცის დასაყოფად.

_____ მასალასა და აქტივობის ცენტრებზე წარწერებია გაკრული.

_____ ავეჯი და დანადგარები ისე დგას ოთახში, რომ ბავშვებს უსაფრთხოდ შეუძლიათ კლასში გადაადგილება (მაგ. გასასვლელებში ყველგან რბილი იატაკი ან ხალიჩა უნდა დაიგოს, საწმენდი საშუალებები და სხვა სახიფათო მასალა ბავშვებისათვის მიუწვდომელ თაროებზე უნდა ელაგოს).

_____ საკლასო ოთახის ფართობი საშუალებას უნდა გვაძლევდეს მცირე და დიდი ჯგუფური აქტივობის ჩასატარებლად.

_____ მოსასვენებელი და აქტიური ზონები ერთმანეთისაგან მოშორებით უნდა იყოს, რომ ბავშვები ხმაურმა არ შეაწუხოს (ხმაური მოძრაობის და მოქმედების სურვილს იწვევს).

_____ რბილი ავეჯი, ბალიშები, გასაბერი სავარძლები, სავარძელი-საქანელა, წერა-კითხვის, მუსიკისა და დასასვენებელ ოთახებში უნდა განლაგდეს.

_____ ლინოლიუმის ან ხის იატაკი უნდა დაიგოს ღებვის, ქვიშისა და წყლის აქტივობის ცენტრებში.

_____ საკმარისი მაგიდები და სკამები უნდა გვქონდეს საუზმის და სადილისათვის (მაგიდები სხვადასხვა ცენტრებში უნდა იდგეს).

_____ საკლასო ოთახი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ მასწავლებელი ყველა აქტივობის ცენტრსა და ბავშვს ხედავდეს.

_____ ბავშვებს უნდა ჰქონდეთ ეზო და სათამაშო მოედანი სუფთა ჰაერზე.

_____ მასალა და ბავშვეთა ნამუშევრები ბავშვების თვალის სიმაღლეზე უნდა ეწყოს.

_____ უნდა იყოს ადგილი ბავშვის პირადი ნივთების შესანახად.

საკლასო ოთახის უსაფრთხოება

მასწავლებელი პასუხს აგებს ბავშვების ემოციურ და ფიზიკურ უსაფრთხოებაზე. შემოგთავაზებთ ნუსხას, სადაც ჩამოთვლილია რა არის აუცილებელი ბავშვთა უსაფრთხოებისათვის ეზოში თამაშის დროს. ემოციურ უსაფრთხოებაზე ვისაუბრეთ ამ წიგნის თავში "საზოგადოებრივი ერთობის შექმნა". შენობის შიგნით უსაფრთხოების წესები რომ დავიცვათ საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებით დაიგეგმოს ინტერიერი, აღჭურვილობა და დანადგარები მწყობრში იყოს, ხშირად ვაწარმოოთ აღწერა. ქვემოთმოყვანილი ნუსხა დაგვეხმარება იმაში, რომ ბავშვები ჯანსღად და უსაფრთხოდ შევინახოთ.

უსაფრთხოების ნუსხა

- საკლასო ოთახს დატანებული აქვს კვამლის გამწოვი დეტექტორები და ცეცხლგამანეიტრალებლები?
- გასაწმენდი საშუალებები, წამლები და სხვა სახიფათო ნივთიერებები ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას აწყვია?
- კედელზე გაკრულია თუ არა უახლოესი საავადმყოფოს, სანეპიდსადგურის, სასწრაფო დახმარებისა და სახანძროს ნომრები?
- ელექტრომავთულები და სხვა ელექტრომოწყობილობები არის თუ არა დაცული-დახურული? ელექტროდამცველები არის თუ არა სრულ წესრიგში?
- ვიცით თუ არა, რომელი მცენარეებია შხამიანი და ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას თუ აწყვია?
- არსებობს კლასში პირველი დახმარების ჩანთა?
- გავლილი აქვთ თუ არა თანამშრომლებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების კურსები და იციან თუ არა გულისა და ფილტვების მოსმენა?
- ავეჯს და სხვა სათამაშოებს აქვს თუ არა ხიწვები ან ბასრი წიბოები?
- იციან თუ არა თანამშრომლებმა და ბავშვებმა, როგორ უნდა მოიქცნენ ხანძრის შემთხვევაში?
- არის თუ არა კლსაში სამედიცინო ფორმა ყოველ ბავშვზე, სადაც აღნიშნულია, რა იწვევს ბავშვში ალერგიას, ბავშვის მკურნალი ექიმის გვარი და ტელეფონის ნომერი, მშობლებისა და ბავშვის აღმზრდელების სამსახურის ტელეფონის ნომრები?

მომდევნო თავებში (VIII-XVIII) სათითაოდ იქნება აღწერილი ყოველი აქტივობის ცენტრი, მასალა, აღჭურვილობა, დანადგარები და იქ მიმდინარე მუშაობა, მასწავლებელთა როლი. აგრეთვე, შემოგთავაზებთ ჩვენს თვალსაზრისს აქტივობის ცენტრებსა და იქ განხორციელებულ პროექტებზე. მასწავლებელმა ცხრილი ინდივიდუალური საჭიროებისა და ინტერესების შესაბამისად უნდა შეადგინოს. უნდა გაითვალისწინოს ბავშვების მისწრაფება და მშობლების მონაწილეობა სასწავლო პროცესში.


წიგნები
ჯგუფური ადგილი
ინფორმაციული ცენტრი
ინფორმაციული ცენტრი
წერის ცენტრი
ღია თაროები
ქვიშისა და წყლის მაგიდა
თაროები
კომპიუტერებით აღჭურვილი ოთახის ცენტრი
თაროები
დრამცენტრი
მატემატიკა/მანიპულაცია
ბუნებისმეტყველების ცენტრი
ხელოვნების მასალა
გასახდელი


ხელოვნების ცენტრის თაროები
თაროები
ხელოვნების ცენტრის თაროები
მათემატიკის ცენტრი
მანიპულატივები
ქვიშისა და წყლის მაგიდა
წერა-კითხვის ცენტრი
წიგნები
ბუნებისმეტყველება
თაროები
თაროები
სცენა
შეხვედრების ადგილი
გასახდელი

ხელოვნება



VIII ხელოვნება

ბავშვები თამაშის პროცესში: ხელოვნების აქტივობის ცენტრი

ხელოვნების ცენტრში ბავშვები ხალისით, აღტაცებით და კმაყოფილებით ივსებიან. ამ ცენტრის მიზანია ბავშვში განავითაროს შემოქმედებითი უნარი, ცნობისმოყვარეობა, წარმოსახვა და ინიციატივა.

თუ ბავშვებს შემოქმედებითი მასალით მუშაობისთვის საკმარისი დრო, საშუალება და თავისუფლება აქვთ, თუ მათ არავინ უშლით აღმოაჩინონ, ხელოვნებისთვის განკუთვნილი მასალებით ცდები ჩაატარონ ან თავისი იდეები განახორციელონ, ისინი ძალზე სწრაფად იწყებენ წინსვლას დ მათ აკადემიურ ცოდნასა და შემოქმედებით სიმწიფეს მტკიცე საფუძველი ეყრება.

ე.პოლ ტორანსი წიგნში "შემოქმედებითი აზროვნების განვითარება სკოლაში", შემოქმედებას შემდეგნაირად განსაზღვრავს:

> "შემოქმედებითი პროცესი არის იდეების ან ჰიპოთეზების აღმოცენების, ფორმირების, გამოცდისა და განხორციელების პროცესი. ამ განსაზღვრების მიხედვით, შემოქმედება ნიშნავს სიახლის დამკვიდრებას, მანამდე არარსებული რაღაცის შექმნას. ... ეს არის ძიების, აღმოჩენის, გაკვალული გზის უარყოფის, საზღვრების რღვევის, დაკანონებული მოდელების მსხვრევისა და გამოუცნობი სამყაროს დაპყრობის (პროცესი). საერთოდ, შემოქმედებითი იდეები ხორცს ისხამენ მეცნიერულ თეორიებში, აღმოჩენებსა და გამოგონებებში, რომანებში, ლექსებში, არქიტექტურასა და მხატვრობაში და ა.შ."

ხელოვნების აქტივობის ცენტრში ბავშვები მთელი არსებით არიან ჩართულნი მუშაობაში. ისინი სხვადასხვა გზებსა და საშუალებებს ცდიან. ისინი ფუნჯებითაც ხატავენ და საკუთარი თითებითაც. ძერწავენ, ფერადი ფანქრებითა და ფლომასტერებით ხატავენ, იყენებენ ფუნჯებს, ფერად ცარცს, ქმნიან კოლაჟებს, იყენებენ ფერად ქაღალდებს, ცარცს, ტუშს, წებოს, მაკრატელს და უამრავ სხვა მასალას. მნიშვნელოვანი ის არის, რომ თავად მასალის კვლევის პროცესია ყველაზე აქტიური და ცოცხალი პროცესი.

მაღალი დონის მხატერული განათლების საბავშვო პროგრამა მრავალფეროვანი მასალის გამოყენებით, ბავშვთა შემოქმედებითი უნარის გამოვლენასა და აღზრდას ეწყობა ხელი. ბავშვები ქმნიან ორპლანიან (ხატვა და ფერწერა) და სამპლანიან (კონსტრუქცია, ქსოვილები) ნაწარმოებებს. პროგრამით გათვალისწინებულია, რომ ბავშვებმა დაათვალიერონ ხელოვნების ნიმუშები და ისაუბრონ ხელოვნებაზე, ამგვარად, მათ შესაძლებლობა აქვთ გამოხატონ, რა მოსწონთ, რა ანიჭებთ სიამოვნებას და, საერთოდ, რა გრძნობებს იწვევს მათში ხელოვნება. მოკლედ, ბავშვები ცოდნას იძენენ კულტურის, ისტორიისა და საზოგადოების შესახებ.

ბავშვები აღფრთოვანებული არიან საკუთარი მუშაობითა და ნამუშევრებით, თუმცა, ზოგჯერ მათი ნამუშევარი გამოუცნობი რჩება უფროსებისათვის. გულისხმიერი მასწავლებლ-

ებლები ჯეროვან პატივს მიაგებენ ყოველი ბავშვის გრძნობებსა და ძალისხმევას. მათ კარგად იციან, რომ ერთი ასაკის ბავშვებს, შესაძლოა, განვითარების სხვადასხვა დონე ჰქონდეთ. მცირე ასაკის ბავშვებში ხელის კუნთები სუსტად არის განვითარებული, რაც იწვევს ჯღაბნას (ორიდან სამ წლამდე ასაკი). პირველი სტადია, ანუ შეგრძნებათა კინესტეტიკური განვითარების სტადია, ძალზე მნიშვნელოვანი საფეხურია.

ორიდან ოთხ წლამდე ასაკში ბავშვს უკვე შეუძლია ისეთი ფორმების დახატვა, როგორიცაა, წრე, ოთხკუთხედი, სამკუთხედი. ერთ მშვენიერ დღეს, ბავშვმა შეიძლება წრეში ორი პაწაწინა წრეც ჩახატოს და აღტაცებით შეჰყვიროს სახე დავხატეო. ეს, ჩვეულებრივ, ოთხი და ხუთი წლის ასაკში ხდება ხოლმე. რაც მეტს ხატავს, ბავშვი, მით უფრო უვითარდება ე. წ. მოტორული კონტროლი, ანუ ეუფლება კუნთებს. თანდათან, ბავშვი იწყებს წინასწარგანზრახული ფორმების ხატვას და ამ ფორმებს სახელებს არქმევს ან, ცდილობს გადმოგვცეს დახატულის შინაარსი. ხუთი წლის ასაკში ბევრი ბავშვი ხატავს სურათებს ადამიანების მონაწილეობით და თხზავს ამბებს ამ ადამიანებზე. მასწავლებელმა უნდა აუცილებლად ცალკე საქაღალდეში შეინახოს ყოველი ბავშვის ნახატები, რათა, მანაც და მშობლებმაც, თვალი ადევნონ ბავშვის განვითარებასა და წინსვლას. მშობლებსაც წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ განვითარების საფეხურებზე, რათა შესძლონ წააქეზონ და შეაქონ შვილი.

ბაღის აღმზრდელებმა ხელი უნდა შეუწყონ ყოველ ბავშვს გამოავლინოს თავისი ორიგინალობა. მასწავლებლები, ზოგჯერ, თავისდაუნებურად, აფერხებენ ბავშვის შემოქმედებით ზრდას, რადგან ნიმუშებს სთავაზობენ. უფროსის ნიმუშის წაბაძვის ცდა, ხშირად გულგატეხვით მთავრდება, რადგან ბავშვს, ჯერ არც მზერისა და ხელის კოორდინაცია აქვს სათანადოდ განვითარებული და არც ხელი აქვს გაწაფული.

ზემოქმედება განვითარების სფეროებზე

ხელოვნების ცენტრს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს განათლების პროგრამაში, რადგან ბავშვის განვითარების ყველა სფეროზე ახდენს ზემოქმედებას.

ემოციური განვითარება

- ბავშვს საშუალება ეძლევა სიტყვების დაუხმარებლად დაამყაროს ურთიერთობა.
- გამოხატოს გრძნობები – განიმუხტოს ემოციური დაძაბულობისაგან.
- იგრძნოს საკუთარი ძალა.
- განიცადოს შემოქმედებითი კმაყოფილება.

ფიზიკური განვითარება

- ვითარდება მოტორული კონტროლი მცირე კუნთებზე.
- ვითარდება შეხების შეგრძნება.
- ვითარდება ფიზიკური აღქმა.
- იხვეწება სხეულის მოძრაობა.
- იწაფება მზერისა და ხელის კოორდინაციის უნარი.

სოციალური განვითარება

- ბავშვები ეჩვევიან დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებასა და პრობლემების მოგვარებას.
- ხელს უწყობს დამოუკიდებლობის განვითარებას.
- ბავშვებს სხვებთან ერთად მუშაობასა და რიგის დაცვას აჩვევს.
- ბავშვები ეჩვევიან ნივთებზე ზრუნვას და უვითარდებათ პასუხისმგებლობის გრძნობა.
- ეჩვევიან ერთმანეთის მოსაზრებათა პატივისცემას.

ინტელექტუალური განვითარება

- მდიდრდება ლექსიკონი.
- ერკვევიან მიზეზ-შედეგობრივ მიმართებაში, ანუ, რა, როგორ და რატომ ხდება.
- სწავლობენ კონტურს, ფერს, ფორმასა და მასალის თავისებურებას.
- სცნობენ საკუთარ დაწერილ სახელს. მასწავლებელი ყოველ ნამუშევარს აწერს ბავშვის სახელსა და თარიღს. თანდათან თავად ბავშვები იწყებენ საკუთარი სახელების წერას.
- ვითარდება ყურადღების კონცენტრაცია.
- ითვისებენ ორგანიზების უნარს, თანმიმდევრობასა და დაგეგმვას.

შემოქმედებითი განვითარება

- ვითარდება არასტანდარტული აზროვნება, თავისუფალი არჩევანის მეოხებით.
- ვითარდება კულტურული და მხატვრული მემკვიდრეობის აღქმის უნარი.

ხელოვნების ცენტრის მოწყობა

ღია თაროებზე აწყვია ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, მაკრატლები (მემარჯვენე და ცაცია ბავშვებისათვის) საკოლაჟე მასალა, წებო, პლასტელინი, ქაღალდი, (გაზეთები,



ძაფი, სიმებიც აქვეა, რათა ბავშვებს სამგანზომილებიანი კონსტრუქციის შექმნა შეეძლოთ. ეს მასალა ყოველდღიურად ივსება.

აგრეთვე, ბავშვებს ყოველდღე შეუძლიათ ხატონ. აქ მრავლად არის ტილოგადაჭიმული მოლბერტები(24 36), აკვარელი (წითელი, ლურჯი, ყვითელი), საღებაეები პატარა ჭურჭელშია ჩასხმული, რათა ბავშვებს გაუადვილდეთ მათი ხმარება. საღებავის დამთავრებისთანავე მასწავლებელი ჭურჭელს ახალი საღებავით ავსებს.

ყველა საღებაეისათვის გრძელტარიანი ფუნჯია განკუთვნილი. უმცროსი ასაკის, ანდა მოლბერტთან მუშაობაში ნაკლებად გამოცდილ ბავშვებს, მოკლეტარიანი ფუნჯით ხატვა უფრო უადვილდებათ. ფუნჯების სიმრავლე ბავშვებს საშუალებას აძლევს ისე ხატონ, როგორც მათთვის უფრო მოსახერხებელია. მოლბერტის ახლო-მახლო სამუშაო წინსაფრები ან ხალათები უნდა ეკიდოს, რათა ბავშვებმა საღებავებით არ დაისვარონ ტანსაცმელი. ბავშვს უნდა შევახსენოთ ხოლმე ხატვისას ჩაიცვან სამუშაო ტანსაცმელი.

რბილი თიხა და პლასტელინიც აუცილებლად უნდა გვქონდეს ხელოვნების ცენტრში. თიხას სველი ნაჭერი უნდა შემოვახვიოთ და ღრმა ჭურჭელში შევინახოთ. დაფები და ჩაქუჩები თიხის სამუშაოებისათვის თაროებზე დავაწყოთ.

აღმზრდელთა ჯგუფის როლი

ბავშვებს ყოველდღე უნდა შეეძლოთ ხატვა. საღებავები სწავლის დაწყებისთანავე უნდა გავაცნოთ ბავშვებს. ზოგი მასწავლებელი თავიდანვე სამ ძირითად ფერს აცნობს ბავშვებს; ზოგი კი-თითო ფერით იწყებს და თანდათან სხვა ფერებზე გადადის. ბავშვებს ჯერ წითელი ფერი უნდა გავაცნოთ, შემდეგ ლურჯი და ბოლოს ყვითელი. ამ სამი ფერის შეზავებით სწავლობენ ბავშვები სხვა ფერებს. წლის განმავლობაში შეგიძლიათ ბავშვებს ასწავლოთ თეთრი ფერის საშუალებით პასტელის ფერების მიღება.

წლის განმავლობაში ფურცლის ფორმატის თანდათანობით შეცვლის შემდეგ, ბავშვები შეიძლება უკვე მოლბერტთან მივიყვანოთ(მაგალითად, შესაძლოა, ტილო წრეებად დავჭრათ).

ბავშვები არ უნდა შევზღუდოთ და ნება უნდა დავრთოთ, რამდენიც უნდათ იმდენი ხატონ, გარდა იმ შემთხვევებისა, თუკი სხვა ბავშვები ელოდებიან თავის რიგს. თუკი რიგი მაინც გაჩნდა, რიგში მდგომ ბავშვებს უნდა შევთავაზოთ მაგიდასთან დასხდნენ და ხატონ, ანდა იატაკზე ხატონ. იატაკი რომ არ დაისვაროს, გაზეთები უნდა გავაფინოთ.

იმისათვის რომ ბავშვებმა სხადასხვა საშუალებებით მოსინჯონ ხატვა შეგიძლიათ მათ შესთავაზოთ:

- პატარა ფუნჯები.
- ძველი კბილის ჯაგრისები.

- შპრიცები.
- ბამბის ტამპონები.
- დაჭრილი ღრუბელი ან ბოსტნეული.
- კოჭები ან სამღებრო საგორავები.

ზოგი მასწავლებელი სხვადასხვა ექსპერიმენტს მიმართავს, მაგალითად თითებით ხატვა, თასმებით, საპნით, ცვილით ხატვა, დაგრუნტვა, თოჯინებისა და მანქანების ნაწილების შეღებვა.

შემოქმედებითი პროცესის სტიმულაცია

თითქმის ყველაფერი განაწყობს ბავშვებს შემოქმედებისა და ექსპერიმენტისაკენ. ზოგი ბავშვი ადვილად ამჟღავნებს ინიციატივას, ზოგს_უფრო უჭირს საკუთარი გრძნობებისა და აზრების გამოხატვა. მასწავლებლები ბავშვებს ათასგვარ საგნებს, სურათებს, აზრებსა და წინადადებებს სთავაზობენ ხელოვნებით დააინტერესების მიზნით.

მასწავლებელს შეუძლია:

- მოიტანოს კლასში ხელოვნების აქტივობისათვის საჭირო საგნები, რათა ბავშვებმა დაათვალიერონ და ისაუბრონ.
- გამოფინონ ცნობილი ხელოვნების ნიმუშების ასლები კლასში.
- ისაუბროს საბავშვო წიგნებში მოცემული მხატვრობის შესახებ.
- შეაგროვონ ბუნებრივი საგნები და გამოიყენონ მხატვრულ პროექტებში.
- ბავშვებს ახატინოს მუსიკის თემაზე.
- ცალ-ცალკე ჩაატაროს ცდები გემოვნების, ყნოსვის, სმენის, შეხების, მოძრაობის შეგრძნებებზე და სთხოვს ბავშვებს ეს განცდები მხატვრულად გამოხატონ.

სასარგებლოა მუზეუმების დათვალიერება; ხელოვნების ნიმუშების გაცნობა, ხელოვნების ისტორიაზე საუბარი. ასევე ძალზე საინტერესო იქნება, თუკი ადგილობრივ მხატვარს მოიწვევთ და რამდენიმე საათს ბავშვებთან ერთად იმუშავებს. ხელოვნების ჩართვა განათლების ყველა სფეროში, ავითარებს ბავშვის შემოქმედებით უნარს; გამომგონებლობის, შემოქმედების ჯადოსნური შესაძლებლობები ბავშვში ბუნებრივ აღფრთოვანებას იწვევს, სურვილს ულვიძებს განაგრძოს ძიება და ცდები და ნამდვილ შემოქმედად იგრძნოს თავი.

პრაქტიკული წინადადებები იმ უფროსებისათვის, რომლებიც პატარა ბავშვებს ხელოვნებას ასწავლიან, გულისხმობს "რა შეიძლება" ბავშვთან მუშაობისას. ამის ცოდნა აუცილებელია, რადგან ბავშვები ხშირად სთხოვენ უფროსებს მათ ნაცვლად გააკეთონ რამე (მაგალითად: "გამიკეთე დინოზავრი"). ეს ძალიან მაცდუნებლად ჟღერს ხოლმე უფროსებისათვის, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ძნელია, წინ აღუდგე ბავშვის დაჟინებულ თხოვნას, არამედ თავად მასალა, რომელიც თავმოყრილია ხელოვნების ცენტრში უფროსებსაც სურვილს აღუძრავს იმუშაონ. უამრავ ადამიანს არასოდეს ჰქონია საშუალება გამოემჟღავნებინა ხელოვნების ნიჭი და ამიტომაც გატაცებით ჩაერთვებიან ხოლმე მუშაობაში. ნათქვამია, მასწავლებელი დგამს სცენას, მაგრამ როლს თავად არ ასახიერებს. როდესაც ბავშვს უფროსი უხატავს, ბავშვი შეიძლება უბრალოდ, დაფრთხეს, და აღარ სცადოს.

"რა არის საჭირო" და "რა არ არის საჭირო" ხელოვნებისაკენ ბავშვის მისწრაფების განვითარებისათვის

"საჭიროა"

ყოველ ბავშვს საკმარისი ფართობი ჰქონდეს იმისათვის, რომ სხვების ჩაურევლად იმუშაოს.

საღებავი საკმაო რაოდენობით უნდა იყოს კლასში, რომ რამდენიმე ბავშვს შეეძლოს ერთდროულად მუშაობა.

გვერდზე მოუსხედით ბავშვს, რომელსაც წაქეზება ჭირდება. გამოამჟღავნეთ ინტერესი და ენთუზიაზმი.

შეაქეთ ბავშვები მუშაობისას და დაუფასეთ შრომა. ღიმილი, თავზე ხელის გადასმა, კომენტარი ფერსა თუ კონტურზე, მათ კარგა ხანს ემახსოვრებათ. ძალზე სასარგებლოა, აღნიშნოთ, "შენ მართლაც ძალიან ბევრი იშრომე", თუკი ეს სინამდვლეს შეეფერება.

აუცილებლად გულწრფელად და სამართლიანად შეაქეთ ან შეაფასეთ ბავშვების ნამუშევრები. გახსოვდეთ, ხშირად თქვენი სახის გამომეტყველება თქვენსავე სიტყვებს არ შეესაბამება. ამიტომაც, თუკი არ ფიქრობთ, რომ ნამუშევარი მართლაც მშვენიერია, ნურაფერს იტყვით.

ადროვეთ ბავშვებს დამოუკიდებლად სცადონ, ჩაატარონ ექსპერიმენტი. ცოდნის ათვისების გზაზე ბავშვისათვის პირველადი პროცესი არევ-დარევაა.

დაეხმარეთ ბავშვებს საღებავებით მუშაობისას სამუშაო ხალათები ჩაიცვან. თუკი ბავშვი გიამბობთ თავისი ნამუშევრის შესახებ, ჩაიწერეთ.

მოძრაობაშეზღუდული ბავშვები, უმჯობესია, მუსიკის თანხლებით ხატავდნენ. თითებით, ხელებით, ფეხის თითებითა და ფეხებით ხატვაც ძალზე სახალისოა.

"არ არის საჭირო"

არ აჩვენოთ ბავშვს ზუსტად როგორ გააკეთოს რამე, მაგალითად, როგორ შემოხაზოს კონტური, ან როგორ მოუსვას ფუნჯი ან როგორ გააფერადოს ფანქრებით.

არ უთხრათ ბავშვებს, რა უნდა გააკეთონ. მიაწოდეთ იდეა, შესთავაზეთ ნატურა და მრავალფეროვანი სამუშაო მასალა.

არ მიანიჭოთ განსაკუთრებული მნიშვნელობა შედეგს. მთავარია მუშაობის პროცესი.

არ უთხრათ ბავშვებს, "საკმარისია", მათთვის არასოდეს არაფერი არის საკმარისი.

არ ჰკითხოთ ბავშვს, რას აკეთებს. შესაძლოა, არც ფიქრობდეს იმ დროს ამაზე და არც იცოდეს რას აკეთებს. თუკი იცის, რასაც აკეთებს და თქვენ ვერ გამოიცანით, ამით თქვენ მის მარცხს აღიარებთ. ფრთხილად მოეკიდეთ გამოთქმას "მშვენიერია". შესაძლოა, იმ დროს ბავშვი საშიშ ურჩხულს ხატავს. თუ გსურთ საუბარი წამოიწყოთ ჰკითხეთ ბავშვს, როგორ აკეთებს რაღაცას.

ნუ ააჩქარებთ ბავშვს.

ნუ შეადარებთ ერთმანეთს ბავშვების ნახატებს. მეტოქეობა ხელს უშლის ტოლებს შორის დადებითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

ნუ გამოფენთ მხოლოდ "საუკეთესო" ნიმუშებს.

ნუ გგონიათ, რომ აუცილებლად ყველა ნამუშევარზე აზრი უნდა გამოთქვათ.

ნუ დაუშვებთ რომ რაიმე მასალა ან იარაღი გამოუყენებელი დარჩეს.

"საჭიროა"

იცოდეთ, რომ პროპორციების დარღვევა ნახატზე, შესაძლოა, ბავშვის გრძნობებსა და სატკივარზე მიგვანიშნებდეს. აგრეთვე, პროპორციების დარღვევა ხშირად ბავშვის განვითარების სტადიას შეესაბამება.

იცოდეთ, რომ ბავშვების აღქმა სრულიად განსხვავდება უფროსების აღქმისაგან. მათი შრომა მათივე თვალით შეაფასეთ და არა უფროსების საზომით.

საჭიროა, ყველა ბავშვის რამდენიმე ნამუშევარი კედელზე გამოფინოთ;

ნახატები ბავშვის თვალის სიმაღლეზე დაკიდეთ. გამოაკარით ნახატები საინფორმაციო დაფებზე მშობლებისათვის.

რადგან შეუძლებელია ყველა ბავშვის ყველა ნახატის ყოველდღე გამოფენა, შეეცადეთ, არც ერთი ბავშვი არ დაგრჩეთ უყურადღებოდ.

ასწავლეთ ბავშვებს პატივი სცენ ერთმანეთის შრომას.

ნება დართეთ ბავშვებს შინ წაიღონ საკუთარი ნაწარმოებები. ყოველი წლის დასაწყისში მშობელთა კრებაზე, მშობლებს აუხსენით ბავშვთა ნახატების შესაბამისობა განვითარების საფეხურებთან.

ბავშვებს საკუთარ მაგალითზე ასწავლეთ ფაქიზად მოეპყრან ნივთებს.

ბავშვები შეაჩვიეთ ალაგებას მუშაობის დასრულების შემდეგ, მაგრამ თქვენც მათთან ერთად აალაგეთ ხოლმე.

"არ არის საჭირო"

ნუ გგონიათ, რომ ბავშვები ალაგებას დაიწყებენ უფროსის დახმარების გარეშე.



აქტივობა და პროექტები

თითებით ხატვა

თითებით ხატვისათვის საკმაოდ დიდი ფართობია საჭირო, ამიტომაც უმჯობესია მცირე ჯგუფებმა მორიგეობით ხატონ. ბავშვის სახელი და თარიღი წინასწარ დააწერეთ პრია-

ლა ქაღალდის მეორე მხარეს სანამ ქაღალდს დაასველებდეთ. გაასწორეთ ქაღალდზე წარმოქმნილი ნაკეცები, სანამ ბავშვი ხატვას შეუდგებოდეს. ბავშვებს სამუშაო ხაღათები უნდა ეცვათ.

აუხსენით ბავშვებს, რომ თითებით ხატვისას ისინი ხმარობენ თითებს, ხელებს და მუჭებს. ამ დროს მათ არა აქვთ ფუნჯები. ამ აქტივობის დროს ბავშვები საკმაოდ ხმაურობენ და ცელქობენ. ამიტომაც, თქვენ გარკვეული ქცევის წესები უნდა დააწესოთ. აქტივობა იმდენად სახალისოა, რომ ბავშვები თანახმა არიან წესრიგი დაიცვან.

თითებით ხატვა შესაძლებელია პლასტიკატის მაგიდაზე. სპეციალურად თითებისათვის განკუთვნილ საღებავს მოვათავსებთ მაგიდაზე, დავადებთ სველ ქაღალდს და თითებით რასაც გვინდა იმას აღებეჭდავთ. როდესაც ბავშვები მუშაობას ამთავრებენ ‹აგიდის ალაგება ძალზე ადვილია. თითების საღებავი იყიდება და შეგვიძლია შევიძინოთ ან თვითონ დაამზადოთ.

სიმინდის სახამებლის თითებით ხატვის საღებავი.

√ ერთი წილი სიმინდის სახამებელი სამ წილ წყალზე.

√ კარგად ავურიოთ წყალში, სანამ სულ არ გაისსნება.

√ დავდგათ ცეცხლზე და ვხარშოთ სანამ არ გამჭვირვალდება და პუდინგს სისქე არ ექნება.

√ დაუმატეთ ბოსტნეულის წვენი ფერის მისაცემად, სანამ თბილია.

ბავშვების მცირე ჯგუფი შესაძლებელია მასალის "მომზადების" პროცესსაც დაესწროს. ისინი შეიძლება დავიხმაროთ სახამებლის არწყვასა და სახამებლის ათქვეფაში.

სარეცხი სახამებლის თითებით ხატვის საღებავი

√ 1, 5 ჭიქა სარეცხი სახამებელი
√ 1, 5 ჭიქა საპნის ფხვნილი
√ 4 ჭიქა ადუღებული წყალი
√ 0, 5 ჭიქა ტალკი
√ გუაში ან საკვების საღებავი

ავურიოთ სახამებელი იმდენ წყალში, რომ რბილი პასტისებრი მასა მივიღოთ. დავუმატოთ ადუღებული წყალი ნელ-ნელა და თან ვურიოთ. დაბალ ცეცხლზე დავდგათ და ვურიოთ, სანამ გასქელდება. თბილ მასაში ჩავყაროთ საპნის ფხვნილი, შემდეგ აურიოთ ტალკი. როდესაც გაცივდება შეგვიძლია ხატვისათვის გამოვიიყენოთ.

თუკი ხელთა გაქვთ არატოქსიკური თხევადი სახამებელი, მაშინ აურიეთ იგი თხევად ტემპერას ან საღებავის ფხვნილში.

საპნის ფხვნილის საღებავი

ათქვიფეთ საპნის ფხვნილი ან გახეხილი საპონი ბისკვიტი ცომის კონსისტენციამდე. თუკი რომელიმე ბავშვი ვერ ითმენს და თითებს ყოფს საპნის ქაფში, ათქვეფაში დაიხმარეთ, ანდა ფუნჯებით მოართვევინეთ მაგიდაზე გამოსახული ფიგურები.

შემდეგ, ამ ქაფში ჩაასხით წყლის საღებავი. "შეღებილი" მაგიდის ზედაპირის გაწმენდა ღრუბლითაც შეიძლება.

ღრუბლით ხატვა

ღრუბელი სხვადასხვა ფორმებად დაჭერით. ბავშვები ღრუბელს აწობენ საღებავში და ბეჭდავენ ან ხატავენ ფურცელზე. ზოგიერთი ბავშვის ხატვის ან ბეჭდვის ნაცვლად ღრუ-ბელს მთელს ფურცელზე უსვამს. თანდათან, ისინიც ისწავლიან როგორ უნდა დაბეჭდონ.

ლითოგრაფია

შეაგროვეთ ფართო ღილები, გორგოლაჭები, პლასტმასის ჩანგლები, ბოთლის საცობები და სხვა ამგვარი საგნები. საღებავი პლასტმასის ჭურჭელში ან თუნუქის ფორმებში ჩაასხით.
ბავშვები ირჩევენ საგანს და ღებავენ. შემდაგ აღბეჭდავენ ფურცელზე. თითოეული ბავშვი შედეგად სხვადასხვა ანაბეჭდს იღებს. ჯერ მასწავლებელი აჩვენებს, როგორ უნდა გამოიყვანონ ანაბეჭდები. ბავშვები მალე ითვისებენ და დამოუკიდებლად მუშაობ-ენ.

ლაქებით ხატვა

ბავშვები გაკეცილ ფურცელზე აწვეთებენ საღებავს (ამის გაკეთება უფრო ადვილია ვიწ-როყელიანი პლასტმასის ბოთლით). შემდეგ ისინი ერთხელაც კეცავენ ფურცელს ისე, რომ გვერდები ერთმანეთს მაგრად მიეკრას. ამის შემდეგ ისინი ხსნიან ფურცელს და ათვალიერებენ რა გამოსახულება დაიხატა მათ მიერ დასხმული საღებავის წვეთით. ბავშვები საუბრობენ იმაზე, თუ რას ხატავენ ისინი ფურცელზე, რას აგონებთ ესა თუ ის გამოსახულება. ეს აქტივობა ძალზე სასარგებლოა მეტყველების განვითარებისათვის. აგრეთვე, ბავშვები გამოხატავენ შიშებს, მაგალითად "მე ვხედავ ღამურას". ბავშვების ასაკის გათვალისწინებით მასწავლებელმა თავიდან შესაძლოა ნახევარი ფურცელი გაკე-ცოს. ბავშვები მალე სწავლობენ როგორ უნდა "დახატ-ონ" და დამოუკიდებლად იწყებენ მუშაობას.



თასმებით ხატვა

ბავშვები ასველებენ საღებავებში თასმებს და დაკეცილ ფურცელში არჭობენ. თუკი თასმას რამდენჯერმე გავატ-არებთ, ძალზე საინტერესო გამოსახულებას მივიღებთ. ბავშვებს უნდა ეცვათ სამუშაო ხალათები.

ცვილზე ხატვა

ბავშვები ფერადი ფანქრებით ხატავენ ცვილზე. მათ უჭირთ ხატვა, ხშირად სანთლებსაც იყენებენ ფიგურების ამოსატვიფრად. ამის შემდეგ წყალში გაზავებული საღებავით ღებავენ მთელს ნახატს. ცვილი ვერ იჭერს საღებავს და მხოლოდ ფიგურების კონტურები იღებება. ბავშვები ამას ხშირად "ჯადოსნობას" უწოდებენ. მასწავლებლებმა ეს მეთოდი მეცნიერულად უნდა აუხსნან ბავშვებს.

სათამაშო ცომი

პლასტელინი ან სათამაშო ცომი ყველგან იყიდება. მაგრამ შინაც შეიძლება დავამზადოთ. ბავშვებს ძალიან უყვართ ცომის მოზელვა.

სათამაშო ცომის რეცეპტი

- 1 ჭიქა ფქვილი
- 0, 5 ჭიქა მარილი
- 0, 5 ჭიქა წყალი

მარილი ფქვილში აურიეთ. დაუმატეთ წყალი და კარგად აურიეთ (1 სადილის კოვზი ზეთით ცომს უფრო რბილად მოზილავთ). დაუმატეთ ტემპერას საღებავი ან თქვენთვის სასურველი საკვების საღებავი.

ცომი არ უნდა იყოს მაგარი. შენახეთ დახურულ ჭურჭელში.

თავიდან შეუფერადებელი ცომით დაიწყეთ. შემდეგ ერთი ფერი დაამატეთ. შემდეგ შეგიძლიათ სხვადასხვაფერის ცომის მომზადება.

თოჯინები

თოჯინები რამდენიმე აქტივობის ცენტრის შემაკავშირებელია. ნაყიდი თოჯინები თოჯინების წარმოდგენისათვის გამოიყენება დრამცენტრში; ასევე გამოიყენება მანიპულატივების ცენტრში, კუბურების ცენტრში, მეოჯახეობის ცენტრში, წერა-კითხვისა და მუსიკის ცენტრში. ხელოვნების ცენტრში ბავშვები თავად აკეთებენ თოჯინებს; ამით მათი წარმოსახვა და შემოქმედებითი უნარი სხვა განზომილებაში გადადის.

თოჯინების გაკეთება მრავალნაირად შეიძლება. ვიწყებთ მარტივით. ბავშვები ჯერ კარგად ეუფლებიან მარტივი თოჯინების გაკეთების ხელოვნებას და შემდეგ უფრო რთულ თოჯინებზე გადადიან. თოჯინებს მცირე ჯგუფიც აკეთებს და ბავშვები დამოუკიდებლადაც მუშაობენ. მოვშვით რეალიზმს! დაე, ფანტაზიამ თვითონ მართოს ბავშვები.

თავიდან, უმჯობესია, მოკლე სახელდახელო თოჯინების წარმოდგენა გავმართოთ მცირე ან მთელს ჯგუფში. დაგეგმილი თოჯინების სპექტაკლი დაიდგმება ნაცნობი და საყვარელი წიგნისა და ზღაპრის მიხედვით. სცენა კუბურებით უნდა აიგოს. შესაძლოა მუყაოს ყუთებითაც გაკეთდეს, უბრალოდ, ძირი უნდა გამოვაცალოთ.

ჩანთის ან საქაღალდის თოჯინები

გამოიყენეთ მცირე ზომის საქაღალდეები, რომელიც კარგად დაეკიდება (მაგრამ, არა თავისუფლად) ბავშვს ხელზე. აჩვენეთ ბავშვებს, როგორ უნდა ჩაყონ ხელი ჩანთაში და თითებით როგორ უნდა ამოძრაონ ჩანთის დაკეცილი ძირი. ბავშვები მიხვდებიან, სად უნდა იყოს თოჯინის პირი.

ბავშვებმა შეიძლება კოლაჟის მასალა და წებოც გამოიყენონ (ღილები თვალებისათვის, ჩხირები პირისათვის, დაჭრილი ნაჭრები ცხვირისა და ლოყებისათვის). ასევე გამოიყენება ფერადი ფანქრები, ტემპერას საღებავები, ფლომასტერები სახის დასახატად.

საქაღალდეების თოჯინების გაკეთება სხვანაირადაც შეიძლება. საქაღალდე უნდა გაიტენოს დაჭმუჭნული გაზეთებით ისე, რომ საქაღალდეს მიეცეს ბურთის ფორმა. შემდეგ თასმებით უნდა შეიკრას. ეს იქნება თავი. ბავშვები ან ღებავენ ან კოლაჟის მასალის საშუალებით ამზადებენ თოჯინებს. თოჯინები შეიძლება იყოს ცხოველები, გამოგონილი არსებები ან ადამიანი.

ჯოხიანი თოჯინები



გამოჭერით ადამიანის, ცხოველების, მანქანებისა და საბარგო მანქანების სურათები ჟურნალებიდან. დააკარით ეს სურათები მუყაოზე. შემოაჭერით გვერდები. გაასწორეთ. მიაწებეთ ეს ფიგურები ჯოხებზე. თუკი ბავშვები უკვე ისე ხატავენ, რომ შეუძლიათ ცხოველების ან ადამიანების დახატვა, სურათების ნაცვლად მათი ნახატები გამოიყენეთ.

როდესაც ჯოხიან თოჯინებს ათამაშებთ, ჯოხები სცენაზე არ უნდა ჩანდეს და მხოლოდ სურათები უნდა ამოძრავოთ.

ჯოხიანი ნიღბები

ჯოხიანი ნიღბები ხშირად ჯოხიანი თოჯინების მეორე ვარიანტია. პატარა ბავშვებს ხშირად ეშინიათ თავდაყირა და თვალებზე აფარებული ნიღბების. ჯოხიანი თოჯინები შეიძლება ნიღბებად გამოვიყენოთ და ამის საშუალებით ბავშვები შიშს დაძლევენ.

წინდებისა და ხელთათმანების თოჯინები

საჭიროა, წინდები ან ხელთათმანები, ღილები, ძაფის გორგალი, ნაკუწები, წებო, კალმები. მასწავლებელმა უნდა აუხსნას ბავშვებს როგორ ამოჭრან და ჩამოაცვან ხელზე წინდა ან ხელთათმანი, აგრეთვე ასწავლოს ბავშვებს როგორ ამოძრაონ თითები.

ცოცხალი სურათები

ცოცხალი სურათები, მოძრავი სურათების სამგანზომილებიან კოლაჟს წააგავს. ცოცხალი სურათები შემდეგნაირად მზადდება.

საფუძველი კეთდება თოკის, სათამაშო ცომის ან სტეარინის საპნისაგან. სტეარინის

საპონი თითო ნაჭერი 6-8 დიუმიან სწორკუთხედებად უნდა დაიჭრას და ბავშვებს ვაჩვენოთ ამგვარ საფუძველზე როგორ ბრუნავენ საგნები. საფუძველში უნდა აღვმართოთ ვერტიკალური ღერძები. ამისთვის გამოვიყენოთ პატარა ნაფოტები, ჩხირები, ჯოხები, მავთული, ჩიბუხის საწმენდი ჩხირი, სხვადასხვანაირი წკირები.

კოლაჟის მასალა უნდა დამაგრდეს ღერძებზე. შეიძლება დავაწებოთ, მოვაბათ მავთულით, დავამაგროთ ან შევკრათ.

მობილური ანუ მოძრავი თოჯინები

მოძრავ სურათებს უფროსი ასაკის ბავშვები აკეთებენ, რომლებსაც უკვე შეუძლიათ ხელით წონასწორობის დაცვა. ვერტიკალურ ღერძად ვიყენებთ ტანსაცმლის საკიდს ან ხარიხას. ბავშვები თასმებით ან სარჭებით ამაგრებენ ღერძზე საგნებს. ღერძი ხელში უჭირავთ და ამოძრავებენ. მთავარია, შეძლონ ხელით წონასწორობის დაცვა.

დაწვნა და კერვა

ბავშვებს შეიძლება ვასწავლოთ სხვადასხვაგვარი წნულების გაკეთება ქაღალდის, ძაფის, თასმებისა და სხვა ამგვარი მასალისაგან. მასწავლებელი ასწავლის დაწვნის პრინციპებს და შემდეგ ბავშვები თავად აკეთებენ წნულებს.



ასევე შეიძლება ბავშვებს ვასწავლოთ მარტივი კერვა, ამისათვის საჭიროა ვიხმაროთ დიდი ზომის ნემსი და ძაფი. უფროსები ასწავლიან ბავშვებს, როგორ იხმარონ ნემსი უსაფრთხოდ კერვის პროცესში.

ხელოვნების გაკვეთილებზე ბევრი უფროსია ჩართული. რაც უფრო მრავალფეროვანი მასალა გვექნება, მით უკეთესია. ხელოვნება იმდენად ფართო ცნებაა, რომ დამხმარე ადამიანი არასოდეს არის ზედმეტი. ამიტომაც მშობლები აქტიურად მონაწილეობენ სწავლების ამ სფეროში.

მშობლებსა და ოჯახის წევრებს მრავალგვარი მასალის მოწოდება შეუძლიათ ხელოვნების ცენტრისათვის. კერძოდ:

ყუთები
ქილები, სტეარინის საპონი
ჟურნალები
ძველი სამღებრო ფუნჯები (გარედან შესაღებად)
მარცვლები
ხის სარჭები
ღილები
ქსოვილები
გაზეთები
ძველი მაისურები(სამუშაო ხალათებად)
ჩხირები, წკირები
ძაფი, თასმები
ლენტები.

STOP

IX კუბურები

ბავშვები თამაშის პროცესში: კუბურებით მშენებლობის ცენტრი

კუბურებით მშენებლობის ცენტრში ბავშვები დამოუკიდებლადაც თამაშობენ და ჯგუფურადაც. ისინი სხვადასხვა ზომისა და ფორმის კუბურებს იყენებენ. ბავშვები დილიდანვე აწყდებიან ამ ცენტრს, რადგან აქ მუდამ მხიარულებაა. კუბურებით მშენებებლობა სახალისოც არის და საინტერესოც. მასწავლებლები ხელს უწყობენ ბავშვებს სხვადასხვა ნაგებობები ააგონ კუბურებით და შემდეგ ეს ნაგებობები დრამცენტრში გამოიყენონ.

კუბურებით თამაში ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბავშვების განვითარებაში, სახელდობრ: ვითარდება მეტყველება, მათემატიკური აზროვნება, ყალიბდება სოციალური ჩვევები, მოძრაობის კოორდინაცია, მოტორიკა.

კუბურების ცენტრში ბავშვები აშენებენ შენობებს, სწავლობენ სიმაღლისა და წონის ცნებებს, არჩევენ ფორმებს, იწაფავენ მზერისა და ხელის კოორდინაციას, ეჩვევიან საქმის დამთავრებისთანავე ნივთების ალაგებასა და თავ-თავის ადგილებზე დაწყობას.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ბავშვები კუბურების ცენტრში განვითარების დონის შესაბამისად თამაშობენ. მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მათი ასაკობრივი განვითარების საფეხურები. პატარა ბავშვები მხოლოდ ხელით დაატარებენ კუბურებს; განვითარების შემდგომ სტადიაში ისინი მწკრივში აწყობენ და ერთმანეთზე აწყობენ მათ. კუბურებით თამაში საშუალებას აძლევს ბავშვებს – შექმნან, დაშალონ, ახლად შექმნან, შეცვალონ, გადააკეთონ და ა. შ. მოკლედ, თავისი სურვილის მიხედვით იმოქმედონ. არ არსებობს დადგენილი კანონები, თუ როგორ უნდა აშენო კუბურებით. თავიდან ბავშვები მარტივ კონსტრუქციებს აგებენ და თანდათან თავად ართულებენ ამოცანას.

კუბურებით თამაშის სტადიები.

- ხელით ტარება. ბავშვები კუბურებს აქეთ-იქეთ დაატარებენ და არ იყენებენ მშენებლობისათვის. ამგვარად მცირე ასაკის ბავშვები იქცევიან.

- მწკრივები. ბავშვები იატაკზე ჰორიზონტალურად რიგში ამწკრივებენ, ან ერთმანეთს აწყობენ და ერთ ვერტიკალურ სვეტს აგებენ.



- ხიდი. ბავშვი ორ კუბურას ერთმანეთისაგან მოშორებით აწყობს და ზემოდან მესამე კუბურას ახურავს.

- ზღუდე. ბავშვები ისე ალაგებენ კუბურებს, რომ შემოფარგლონ ან შემოზღუდონ სივრცე.

- ხიდები და ზღუდეები მცირე ასაკის ბავშვების სამშენებლო „ტექნიკაა", რომელსაც ბავშვები ადვილად სძლევენ. კუბურებით თამაშის დაწყებისთანავე ბავშვები ცდილობენ ამ „ტექნიკის" გამოყენებას.



- დეკორატიული სტილი. როგორც კი ბავშვები კარგად ეუფლებიან კუბურებით მშენებლობას, მათ ნაგებობებში თავს იჩენს დეკორატიული ელემენტები. ისინი ცდილობენ მაქსიმალურად დაიცვან სიმეტრია. ამ ეტაპზე ნაგებობებს ჯერ კიდევ არ ერქმევა სახელები.

- სახელების დარქმევა. როგორც კი ბავშვი ნაგებობებს სახელებს დანიშნულების მიხედვით არქმევს, კუბურებით თამაში დრამცენტრის აქტივობის სტადიაში გადადის. შესაძლოა ბავშვი ადრეც გარკვეულ სახელს არქმევდა თავის ქმნილებას, მაგრამ როგორც კი ეს სახელი ფუნქციონალური ხდება, ანუ შეესატყვისება კონსტრუქციის დანიშნულებას, ბავშვი განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე გადადის.

- სახელების დარქმევა და თამაში. ამგვარად, სახელდარქმეული კონსტრუქციები კონკრეტული, რეალური სტრუქტურებია. ეს სტრუქტურები, შესაძლოა, ნაცნობი შენობები იყოს, ანდა ბავშვის ფანტაზიის ნაყოფი. ამ ეტაპზე, ბავშვებს უნდებათ ამ სტრუქტურებით თამაში და სწორედ აქ ხდება დრამცენტრისა და კუბურების ცენტრის აქტივობათა სინთეზი.

ზემოქმედება განვითარების სფეროებზე.

მეტყველების განვითარება.

კუბურებით თამაშის პროცესში მეტყველება ვითარდება. კონსტრუქციისათვის სახელის დარქმევა, საუბარი იმის შესახებ, რა ააშენა ბავშვმა, კონსტრუქციის ზომებსა და ფორმებზე მსჯელობა, ახალი კონსტრუქციის დაგეგმვა რამდენიმე ბავშვის მიერ, თემატური კონსტრუქციის აგება, წიგნების კითხვა კუბურებით მშენებლობის შესახებ და ლექსიკონის შევსება სიტყვებით: „მსგავსი", „ერთნაირი", „სხვადასხვანაირი", „გრძელი", „მოკლე" და ა.შ., მეტყველების განვითარებას უწყობს ხელს. ბავშვები ნაგებობებზე წარწერებს ამაგრებენ და ამით, წერის საფუძვლებსაც ეუფლებიან.

სოციალურ ჩვევათა განვითარება

ბავშვებს კუბურებით თამაშის პროცესში სოციალური ჩვევებიც უყალიბდებათ. ორი ბავშვი ხშირად ერთმანეთის გვერდი-გვერდ მუშაობს. ისინი აკვირდებიან ერთმანეთს, ადარებენ შენობებს, ბაძავენ, ერთობლივად იწყებენ მუშაობას, ეთანხმებიან ან არ ეთანხმებიან ერთმანეთს, კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისას, ინაწილებენ კუბურებს, ერთმანეთისაგან თხოულობენ, ცვლიან, ერთად გეგმავენ, ერთად თამაშობენ აშენებული კონსტრუქციით და ერთად მონაწილეობენ დრამატულ წარმოდგენებში, რომლებიც მათი ნაგებობების საფუძველზე იდგმება. ისინი სწავლობენ ერთმანეთის შრომის პატივისცემას. მათ უვითარდებათ თვითრწმენა, როდესაც დასახულ მიზანს აღწევენ. მათ კმაყოფილებას ანიჭებთ ერთად თამაში.

ბუნებისმეტყველებისა და მათემატიკის უნარის განვითარება

კუბურებით თამაშისას ბავშვები ეცნობიან შემდეგ ცნებებს, კერძოდ:

- ზომა, ფორმა, წონა, სიმაღლე, სიმძიმე, სივრცე, მიმართულება, სიბრტყე, გეგმარება.
- დაკვირვება, კლასიფიკაცია, თანმიმდევრობა, წინასწარგანსაზღვრა.
- ერთიდაიგივე საგნის სხვადასხვაგვარად გამოყენება (მაგ. კუბურების ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად განლაგება).
- წონასწორობა, ბალანსი, მდგრადობა.
- გაზომვა და თვლა.
- მსგავსება და განსხვავება.
- ტოლობა (ორი კუბურა ერთი ორმაგი კუბურის ტოლია).
- ზომისა და ფორმის მიხედვით დალაგება.
- პრობლემის გადაწყვეტა.
- შემოქმედებითი აზროვნების და წარმოსახვის განვითარება.
- მდგარადობა, მიზიდულობა, ძალთა ურთიერთქმედება, საგნის თვისებები.
- ცდისა და შეცდომის დაშვების პრაქტიკა.

მოტორული განვითარება

კუბურებით თამაში ავითარებს დიდ და მცირე კუნთებს. ბავშვები სხვადასხვა ზომის, ფორმის და წონის კუბურებით თამაშობენ, სწავლობენ, როგორ უნდა გაწონასწორდეს საგნები და, რაც მთავარია, მუშაობენ თითებით ანუ ავარჯიშებენ მცირე და დიდ კუნთებს. აგრეთვე ისინი ეჩვევიან კონკრეტულ, განსაზღვრულ ადგილას თამაშს. მათ უვითარდებათ ხელისა და მზერის კოორდინაცია და ეჩვევიან მოძრაობის სიზუსტეს. ისინი თითებით იღებენ და ერთმანეთზე ალაგებენ კუბურებს, ამით კი მათ ხელები უვარჯიშდებათ და მათი მოძრაობა საგრძნობლად გაწაფული ხდება. ვითარდება მხედველობითი შეგრძნება, რადგან ისინი ხშირად თვალით ზომავენ.

სოციალური მეცნიერებების საფუძვლების დაუფლება

ბავშვები მშენებლობის პროცესში მეტ ცოდნას იძენენ გარემოცვაზე, რომელშიც ცხოვრობენ. თავად კუბურები, მათ საშუალებას აძლევს მეტი შეიტყონ ხის შესახებ და იმის შესახებაც, თუ როგორ მზადდება კუბურები, სად მზადდება კუბურები, რატომ არსებობს საზომი ერთეულების სტანდარტები. აგრეთვე ბავშვები სწავლობენ, რომ ადამიანები ერთმანეთზე არიან დამოკიდებულნი. ადამიანებს სხვადასხვა პროფესიები აქვთ, ადამიანები აშენებენ სახლებს, ქალაქებს. ბავშვები თანდათან იწყებენ იმის სწავლას, თუ როგორ აშენებენ ადამიანები შენობებს.

როგორ მოვაწყოთ კუბურებით მშენებლობის ცენტრი

გამოყავით მყუდრო ადგილი, რომელიც მოშორებული იქნება კარს და გასასვლელებს. კუბურები ისეთ ადგილას უნდა ეწყოს, რომ არ გადმოიყაროს ბავშვების სირბილის ღროს. კუბურების ცენტრი ცალკე ტერიტორიაა და იქ სხვა აქტივობებს არ ვატარებთ. შესაძლებელია, იქ აშენებული კონსტრუქციები სხვადასხვა აქტივობის ცენტრებში გადავიტანოთ ხოლმე, თუკი ეს საჭიროა.

რადგან თამაში და მუშაობა ძირითადად იატაკზე ხდება, საჭიროა იატაკზე დაკაგოთ ხალიჩა ან რბილი იატაკი, რომელიც ხმაურსაც ამცირებს და ბავშვებისათვისაც მოხერხებულია.



კუბურების ცენტრში თამაში ხშირად დრამცენტრის ელემენტებს შეიცავს და ხშირად "სახლობანას" თამაშად გადაიქცევა ხოლმე. ამიტომაც, სასურველია, კუბურების ცენტრი დრამცენტრის გვერდით ან ახლოს იყოს მოწყობილი.

კუბურების რაოდენობა, ფორმათა მრავალფეროვნება და ცენტრის ფართობი განპირობებულია ჯგუფში ბავშვთა ასაკით. დიდი კუბურები, ცილინდრები, გრძელი დაფები, რკალები, სამკუთხედები, კიბეები რთული კონსტრუქციების ასაშენებლად გამოიყენება. შესაძლოა, მუყაოს კუბურების გამოყენებაც, რომლებიც გაცილებით მსუბუქია და ბავშვები უფრო ადვილად ხმარობენ. სასურველია, ხისა და მუყაოს კუბურების ერთდროული, კომბინირებული გამოყენებაც.

ასევე უნდა გვქონდეს პატარა კუბურები, რომლებსაც ბავშვები მაგიდაზე მშენებლობისას იყენებენ. გარდა ამისა, პატარა კუბურები დიდი კუბურების შესაერთებლად გამიდგება. მაგალითად, ბავშვებმა, შეიძლება, ციხე-სიმაგრე დიდი კუბურებით ააგონ და დეკორატიული

დეტალებისათვის პატარა კუბურები გამოიყენონ.

კუბურები ღია თაროებზე აწყვია, ბავშვებისათის მისაწვდომ სიმაღლეზე, ისე რომ , ბავშვები თავად იღებენ და შემდეგ თავად ალაგებენ თავ-თავის ადგილას. ერთი ზომისა და ფორმის კუბურები ერთად აწყვია. კუბურები ისე უნდა ეწყოს, რომ კარგად ჩანდეს რა სიგრძის, სიმაღლის და ფორმის არის თითოეული მათგანი. კუბურები ისე არ უნდა ეწყოს თაროზე, რომ ბავშვმა მხოლოდ მათ კიდეებს მოჰკრას თვალი.

კუბურების თაროებზე სათანადო წარწერები და სურათები უნდა ეკრას, რათა ბავშვმა იცოდეს საიდან აიღოს და სამუშაოს დამთავრების შემდეგ სად დააწყოს კუბურები. ამისათვის, თითოეულ თაროს გარედან უნდა ეკრას იმ ფორმისა და ზომის კუბურა, რომლებიც იქ აწყვია, სურათის დაკვრას, ჯობს, თითო კუბურა მივაკრათ ყოველ თაროს. კუბურების ცენტრის სხვა სათამაშოებიც (მაგ. სათამაშო თოჯინები, ცხოველები, მანქანები, თვითმფრინავები, ნავები, გემები, ქსოვილები) კუბურებთან ერთად უნდა დავაწყოთ თაროებზე, ცალ-ცალკე ყუთებში. შესაძლოა, სხვა სათამაშოებიც დავამატოთ (მაგ. მუშის ქუდი, მატარებლის ბილეთები, სათამაშო ფული, ბორბლები, თოკები). დიდ მანქანებს, სატვირთო კონტეინერს, თვითმფრინავსა და გემებს ცალკე ადგილი აქვთ მიჩენილი კუბურების ცენტრში.

ისევე, როგორც სხვა საკლასო ნივთები, კუბურებსაც ფაქიზი მოპყრობა და მოვლა ჭირდება. დრო და დრო საპნიანი წყლით უნდა გავრეცხოთ. თუკი კუბურების წიბოები გაუხეშდა ან გაიცვითა, ზუმფარას ქაღალდით უნდა გავწმინდოთ.

აღმზრდელთა ჯგუფის როლი

უწინარეს ყოვლისა, აღმზრდელთა ჯგუფს ევალება ისე მოაწყოს კუბურების ცენტრი, რომ იქ მუშაობა ყველა ბავშვს შეეძლოს. კუბურებისა და სათამაშოების რაოდენობა და სირთულე ბავშვების ასაკით არის განპირობებული. რა ასაკის ბავშვებიც არ უნდა იყვნენ ჯგუფში, მასალათა მთელი არსენალი წლის დასაწყისში არ უნდა გამოვაწყოთ თაროებზე. მასალა უნდა ხშირად დავამატოთ, გამოვცვალოთ, ბავშვთა ინტერესების შესაბამისად.

მასწავლებელს კუბურებით ცენტრში მუშაობისას შემდეგი მოვალეობა აკისრია კერძოდ:

- დააკვირდეს, როგორ არის ჩართული თითოეული ბავშვი მუშაობაში, რა სახის კონსტრუქციებს აშენებს და მარტო მუშაობს, თუ სხვა ბავშვებთან ერთად.
- ხელი შეუწყოს იმას, რომ ყველა ბავშვმა იმუშაოს კუბურების ცენტრში; ყურადღება მიაქციოს იმას, რომ გოგონებიც ისევე აქტიურად მუშაობდნენ კუბურების ცენტრში, როგორც ბიჭები.
- კონსტრუქციული შენიშვნები მისცეს ბავშვებს (“ვხედავ, რომ სამი ერთი ზომის კუბურა გაქვს” ან “კუბურებს ერთმანეთზე აწყობ, რომ მაღალი შენობა ააშენო? ან, როგორ გაამაგრებ ხიდს?”).
- მასწავლებელმა ისეთი კითხვები უნდა დასვას, რომლებიც პასუხს კი არ ითვალისწინებს, არამედ ბავშვებს პრობლემის გადაწყვეტაში დაეხმარება.
- დაამატოს მასალა, თუ საჭიროა.

- მოიძიოს და ბავშვებს წაუკითხოს ისეთი წიგნები, რომლებშიც მოთხრობილია მათ ნაგებობებზე.
- მოაწყოს ექსკურსია კონკრეტული შენობის დასათვალიერებლად ან იმ იემის გასაღრმავებლად, რომელიც ბავშვებს აინტერესებთ.
- ნაგებობებს წარწერები გაუკეთოს.
- ნება დართოს ბავშვებს ხელუხლებლად დატოვონ ნაგებობა მეორე დღემდე, თუ ეს ბავშვს სურს და შესაძლებელია.

წონასწორობის, სიმაღლის და წონის განზომილებათა შესწავლა მრავალგვარ ექსპერიმენტს, ცდასა და შეცდომას შეიცავს. კონსტრუქციები ირღვევა, შენობები ინგრევა. ეს კუბურებით თამაშისას გარდაუვალი და სწავლის პროცესის განუყოფელი ნაწილია. ბავშვები მუშაობისა ან თამაშის პროცესშI სწავლობენ; ამგვარად იწყება პრობლემების მოგვარების უნარის ჩამოყალიბება. ამიტომაც ყოველი სიტუაცია ინდივიდუალურ გადაწყვეტას მოითხოვს. შეუძლებელია, დადგინდეს შენობის სიმაღლის საზღვრები. მაგრამ, თუკი ბავშვი ხშირად აშენებისთანავე ანგრევს შენობას, თანაც ისე, რომ სხვებსაც ხელს უშლის, ამგვარი ქცევა უნდა აღიკვეთოს.

შემდგომი ასპექტი, რაც ბავშვებზე დაკვირვების პროცესში უნდა გაირკვეს ის არის, თუ რამდენი ბავშვი მუშაობს ერთდროულად კუბურების ცენტრში. ცხადია, ბავშვთა რაოდენობას ფართობის სიდიდეც განაპირობებს, მაგრამ იმაზეც არის დამოკიდებული, რა სიდიდის შენობებს აგებენ ბავშვები. თუკი საჭიროება მოითხოვს მომუშავე ბავშვთა რაოდენობის განსაზღვრასა და შეზღუდვას აქტივობის ცენტრში, აუცილებელია, ეს სიტუაცია ბავშვებთან ერთად განვიხილოთ და ერთობლივად მივიღოთ გადაწყვეტილება.

როდესაც საჭიროა და შესაძლებელი, ნაგებობა მეორე დღემდე დაუშლელი უნდა დავტოვოთ. შესაძლოა ეს ყოველდღე არ გაკეთდეს, მაგრამ, თუკი ბავშვმა ან ბავშვების ჯგუფმა დიდი შრომა და ენერგია მოახმარეს შენობის აგებას, თუ იგი მათ კვლავაც იტაცებს ან მისი დრამცენტრში გამოყენება შეიძლება, მაშინ კარგი იქნება, თუ მას არ დავშლით და შევინახავთ. უნდა შევეცადოთ ნაგებობა ისე დავდგათ, რომ იგი არ დაიწალოს. თუკი ბავშვის ნაგებობას უყურადღებოდ დავტოვებთ და მაშინვე დავშლით, ბავშვმა შეიძლება იფიქროს, რომ შრომა არ დაუფასდა. ამიტომაც, თუ გვინდა რომ ხელი შევუწყოთ თამაშსა და სწავლას, უმჯობესია, ხშირად დაუშლელი დავტოვოთ ბავშვთა აგებული კონსტრუქციები. ალაგება შეიძლება სახალისო სწავლის პროცესად გადაიქცეს, თუკი შემდეგი სიტყვებით მიმართავთ ბავშვებს:

"ვინ დააწყობს პატარა კუბურებს?"

"ხომ არ მომიძებნით ყველა კვადრატს?"

"ყველამ ორ-ორი კუბურა მოიტანეთ?"

"დღეს ერთდროულად ოთხ-ოთხი კუბურა დავაწყოთ თაროზე".

"კუბურებით მატარებელი გავაკეთოთ".

"წამოიღეთ ერთი დიდი და ერთი პატარა კუბურა".

შეიძლება, ორმა ბავშვმა დამხარისხებლის როლი განასახიეროს. თაროებთან დადგნენ და კუბურები დააწყონ, დანარჩენები "მზიდავები" იქნებიან – მიუტანენ და ჩააბარებენ იატაკზე დარჩენილ კუბურებს.

საქმიანობა და პროექტები

მასწავლებელი, დროდადრო, ბავშვებს კუბურების ცენტრში სხვადასხვა პროექტების განხორციელებას სთავაზობს, მაგალითად, თევზის მაღაზიაში ექსკურსიის შემდეგ ბავშვები ამ თემას მრავალმხრივ განიხილავენ – თხზავენ მოთხრობას, ხატავენ, თევზის კერძებს ამზადებენ. მათ შორის, ერთ-ერთი პროექტი შეიძლება იყოს კუბურებით თევზის მაღაზიის მშენებლობა. მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს, ექსკურსიის დროს თევზის მაღაზიის გარდა სხვა რომელი მაღაზია და შენობა ნახეს.

კუბურების პროექტში შესაძლოა აქტივობის სხვა ცენტრები ჩაერთონ; მაგალითად, ავეჯი შეიძლება სადურგლო ცენტრში დამზადდეს; "სახლობანას" თამაში დრამცენტრმა წარმოდგენად აქციოს; შესაძლოა, სამასკარადო ტანსაცმელი გამოვიყენოთ ან კულინარიის ცენტრს დავესესხოთ ქვაბები და ტაფები.



ხელოვნების ცენტრის მასალა და ბავშვთა ნამუშევრებიც გამოგვადგება პროექტში ჩასართველად. ბავშვები აკეთებენ საგზაო ნიშნებს, მაღაზიის წარწერებს და ა.შ. პლასტიკატითა და ჯოხებით ამზადებენ საგზაო ნიშანს "შეჩერდი", რომელიც ეხმარებათ მანქანებისა და სატვირთო კონტეინერებით თამაშისას საგზაო წესები დაიცვან. ამ თამაშში ბავშვები ეუფლებიან საზოგადოებრივ წესებს, საგზაო წესებს, სწავლობენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა მოვალეობებს, ფერთა სიმბოლიკას. თუკი ბავშვები ხიდებსა და სანაოსნო პროექტებს აშენებენ, ისინი ქაღალდზე მდინარეს ხატავენ.

ბავშვებს უყვართ საკუთარ ნაგებობებს სახელები დაარქვან ან დეკორატიული წარწერებით გაალამაზონ – მასალა ხელოვნების ცენტრიდან მოაქვთ. ბავშვები სწავლობენ ნაგებობათა სქემების ხაზვას, სადაც მითითებულია თავად შენობის ზომები და ფორმა და აგრეთვე სამშენებლო მასალის ზომები, რაოდენობა, ფორმა. კუბურების წონა შეიძლება კლასში არსებულ სხვა მასალასთან შეფარდებით დავადგინოთ.

ძალზე სახალისოა მთელს კლასში დაბრკოლებათა აღმართვა სპორტული შეჯიბრების მიზნით. ცხადია, ამგვარ თამაშს თითქმის მთელი საკლასო ოთახის ფართობი სჭირდება და, ამ დროს, სხვა აქტივობის ცენტრების მუშაობა დროებით ჩერდება. წონასწორობის დაცვა, ცოცვა, მაგიდების ქვეშ ძრომიალი, ბაგირებზე სიარული, დაბრკოლებების გადალახვა დიდ სიამოვნებას ანიჭებს ბავშვებს და ამ აქტივობაში მთელი კლასი ჩართულია.

X კულინარია

ბავშვები თამაშის პროცესში: კულინარია და საჭმლის მომზადება კლასში.

საჭმელი ჩვენი ყოფის არსებითი ნაწილია. ჩვენ ვჭამთ, რათა გამოვკვებოთ სხეული და შევინარჩუნოთ ენერგია. მაგრამ, ადამიანთა უმრავლესობისათვის საჭმელი მხოლოდ სხეულის კვება როდია. საჭმელი ადამიანს წარსულის მოგონებებს აღუძრავს. ადამიანს აგონდება განსაკუთრებული დღეები და ადამიანები, ვისთანაც ერთად იგემა ესა თუ ის საჭმელი. ახალი, თბილი პურის სურნელი ჩვენს მახსოვრობაში ბებიას აცოცხლებს, რომელიც დაბრაწულ პურს აცხობდა, ჭრიდა და თაფლთან და კარაქთან ერთად მოგვართმევდა ხოლმე. შემწვარი გოჭის გამაბრუებელი სურნელი ალბათ ზოგიერთ ჩვენგანს სადღესასწაულო სუფრას აგონებს; ამას მოსდევს ბებიებისა და დეიდების, ბიძაშვილებისა და მეგობრების გახსენება, რომლებიც გარს უსხდნენ სუფრას; ხუმრობდნენ, იცინოდნენ, საინტერესო ამბებს ყვებოდნენ. მოკლედ საჭმელს კულტურული დატვირთვა აქვს. საჭმელი ხალხთა ეროვნული სიამაყეც არის.

საჭმლის საშუალებით, ბავშვები ეცნობიან სხვა ხალხებსა და ქვეყნებს. მასწავლებლები ბავშვებს რაიამე ეროვნული კერძით გაუმასპინძლდებიან, შემდეგ ასწვლიან (მაგ: ატრია) მის მომზადებას, კულინარიის გაკვეთილზე კი ერთად მოამზადებენ. წიგნების მოშველიებით, მასწავლებელი ბავშვებს უამბობს, რომ ატრიას თითქმის ყველა ქვეყანასა და ყველა ოჯახში ამზადებენ, თუმცა, მას ყველგან სხვადასხვა სახელი აქვს და სხვადასხვანაირად მზადდება და შესახედავადაც სხვადასხვაგვარია. იტალიაში მას რავიოლი ჰქვია, ისრაელში – კრეპლახი, ჩინეთში – უონ-ტონი, ინდოეთში – სამოსა. ბავშვები სხვადასხვა ფორმის ატრიას მოამზადებენ და სხვადასხვა ქვეყნებზე ისაუბრებენ. თუ ჯგუფი მრავალეროვანია, საუბარი მით უფრო საინეტერესო გამოვა.

ზოგიერთი მშობელი თავდაუზოგავად შრომობს, რომ შვილებისათვის მეტი სარჩო მოიპოვოს, ზოგ ქვეყანაში ხალხი შიმშილობს, ზოგს ისე უჭირს, რომ საჭმელი სანატრელი აქვს. ყველა ამ ხალხისათის საკვები ძალზე ძვირფასია. ზოგი მშობელი ძალიან განიცდის, როცა შვილს შია და საათობით საჭმლის რიგში დგას, რომ ბავშვი გამოკვებოს. ამგვარ პირობებში გაზრდილი ბავშვი, თავიდანვე სწავლობს საჭმლის პატივისცემას. ის არასოდეს გადაყრის ან გაანიავებს საკვებს და ეცდება ულუფა ბოლომდე შეჭამოს. ზოგიერთი ბავშვი ძალზე აზიზი მჭამელია, მუდამ არჩევს და ყველაფერს როდი მიირთმევს.

მაგრამ, ყველა ბავშვი დიდი სიამოვნებით ეხმარება უფროსებს საჭმლის მომზადებაში. ორი-სამი წლის ასაკი ბავშვებსაც კი შეუძლიათ მოხარშული კარტოფილის ასრესვა, ჯემის პურზე წასმა, ცომის გაბრტყელება. საჭმლის მომზადება ბავშვებს უზომო სიხარულითა და სიამაყით ავსებს.

საჭმლების მრავალფეროვნება ხელს უწყობს ბავშვებისათვის ჭამის წესების სწავლებას. ისინი ადრევე ერკვევიან, რომ ზოგი საჭმელი სასარგებლოა ჯანმრთელობისათვის, ზოგი – კი მავნებელი. ბავშვები უნდა შეეჩვიონ ჯანსაღი საკვებით კვებას. ბავშვები ცალ-ცალკე იკვლევენ თესლებს, მარცვლეულს, ლობიოს მარცვლებს, კაკალს, თხილს, ბოსტნეულს, ხილს. მათ იციან, როგორ მზადდება კერძები ამ ნედლეულისაგან და სწავლობენ საკვების

წარმოშობასა და მის მომზადებას. წარმოიდგინეთ, რა საოცარ განცდას იწვევს ბავშვში ხორბლის დათესვა და მისი ზრდის პროცესზე დაკვირვება. რა აღფრთოვანებით შეჰყურებს იგი ჯეჯილს, ანდა ხორბლით სავსე თავთავებს. შეიძლება, ბავშვებს თავად დავაფქვევინოთ ხორბალი, საკუთარი ხელით დამზადებული ფქვილით ცომი მოზილონ, ცომისაგან პური გამოაცხონ, დატკბნენ საფუარის ტკბილის სურნელით, დაბრაწული პურის ქერქი და ფუმფულა გული კი გემრიელად მიირთვან.

კლასში ბავშვები უფროსებს ეხმარებიან საუზმის, სადილისა და სადღესასწაულო ნამცხვრების მომზადებაში. კერძების რეცეპტები თავიდან მარტივია და თანდათან რთულდება. იმისათვის, რომ ბავშვები სრულყოფილად დაეუფლონ კვების საფუძვლებს, კულინარიის ხელოვნებას და ჭამის წესებს, უმჯობესი იქნება კულინარიის ცენტრი სხვა აქტივობების ცენტრთან დავაკავშიროთ.

საჭმლის მომზადება ზოგადი ცოდნის შეძენის საუკეთესო საშუალებაა და ბავშვის განვითარებას ყველა სფეროზე ახდენს ზემოქმედებას.

გავლენა განვითარების სფეროებზე

წერა-კითხვა

ბავშვები კერძების რეცეპტების კითხვით, წერა-კითხვაში იწაფებიან. აგერთვე, სწავლობენ სიმბოლური ნახატებისა და აღნიშვნების ამოკითხვასა და მოქმედებაში ტრანსფორმაციას. მათ ძალიან უყვართ კერძების რეცეპტების „კითხვა". ზოგიერთი ბავშვი იხატავს და იწერს რეცეპტებს. ბავშვები საჭმლის მომზადების პროცესში სწავლობენ თანმიმდევრობის დაცვას. მასწავლებელი ბავშვებს ესაუბრება საჭმელებზე და ეკითხება, როგორ მოამზადეს მათ ესა თუ ის საჭმელი. საუბარში ბავშვები ხვეწენ მეტყველებას. მათი ლექსიკონი მდიდრდება ისეთი სიტყვებით, როგორიცაა გაცრა, მოზელვა, გაბრტყელება. ამის ჰემდეგ ისინი სწავლობენ, როგორ უნდა გამოწურონ ლიმონი, დაალბონ ქელატინი, გალღონ კარაქი.

მათემატიკური აზროვნება



საჭმლის მომზადების პროცესში ბავშვები ეუფლებიან ზომისა და რაოდენობის სიდიდეებს. ისინი იგებენ, რას ნიშნავს არწყვა, როდესაც ერთ ჭიქა წვენსა და ორ სადილის კოვზ შაქარს მიქსერით თქვეფენ. აგრეთვე იწაფებიან თვლაში, როდესაც მაგ, უნდა აითქვიფოს სამი კვერცხი, ხუთი ჩაის კოვზი ფქვილი და ერთი მეოთხედი ჭიქა რძე.

ბავშვები ერკვევიან წილადებსა და გაყოფის ცნებებში, როდესაც თხუთმეტ ნაწილად ჭრიან ნამცხვარს ან ერთ მეოთხედ ჭიქა ფქვილს ყრიან ჯამში. ისინი დროის განაწილებასაც სწავლობენ, რადგან თითოეული კერძის ან ნამცხვრის მომზადებას გარკვეული დრო ჭირდება. ნამცხვარს ერთი საათის განმავლობაში აცხობენ, პუდინგს ათი წუთი ხარშავენ და სხვა.

ბუნებისმეტყველების საფუძვლები

კულინარიას საფუძვლად უდევს ქიმიური და ფიზიკური მოვლენები. ბავშვები აკვირდებიან დულილის პროცესში როგორ ფუვდება საფუარი და სითბოში როგორ იწევს პური. ისინი საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამენ ამ პროცესების შესახებ. აინტერესებთ, რა როგორ ხდება და რატომ? ისინი აკვირდებიან, ქურის სიმხურვალე როგორ ასქელებს საწებელს და ადნობს შოკოლადს. ბავშვები ერთმანეთს ადარებენ და ანსხვავებენ სხვადასხვა საჭმლის გემოს. ცდილობენ გაერკვნენ რითი განსხვავდება ლიმონის გემო ფორთოხლისაგან. აგრეთვე, სწავლობენ, რომ ერთი და იმავე პროდუქტით მრავალგვარი საჭმლის მომზადება შეიძლება. მაგალითად, სტაფილო უმად იჭმევა; მოხარშული, მოთუშული სტაფილოსაგან გემრიელი კერძები და ნამცხვარიც კი მზადდება. ბავშვები საკვების წარმოშობაშიც ერკვევიან, რადგან თვითონ თესავენ და რგავენ საკვებ მცენარეებს, რწყავენ ნარგავებს და იღებენ მოსავალს. თვითონვე კრეფენ ბოსტანში მწვანე სალათის ფოთლებს. ბავშვები იგებენ, საიდან ჩნდება კვერცხი და გაცხარებული მსჯელობენ, კვერცხი უფრო ადრე გაჩნდა თუ ქათამი, შემდეგ ამ თემას ავრცობენ და, ზოგადად, სიცოცხლის წარმოშობაზე საუბრობენ.

ფიზიკური განვითარება

არწყვა, გაფცქვნა, გათლა, გაცრა, ათქვეფა, არევა, მოზელვა ხელს უწყობს მცირე კუნთებისა და მოძრაობის კოორდინაციის განვითარებას. როდესაც ბავშვი მარილს ჩაის კოვზზე ყრის და შემდეგ კერძში ურევს, მას ეხვეწება თვალისა და ხელის კოორდინირებული მოძრაობა. პურის მოზელვა და კარაქის ათქვეფა მოითხოვს ძლიერ მკლავის, მხრისა და ზურგის კუნთებს.

სოციალური ჩვევები და კულტურული მემკვიდრეობა

ბავშვები ეჩვევიან რიგ-რიგობით საქმის კეთებასა და რიგის დაცვას, როდესაც, მაგალითად, ნაღებით სავსე ქილა ხელიდან ხელში გადადის, და მანამ ითქვიფება სანამ კარაქად არ იქცევა. ისინი სწავლობენ საჭმლის გაზიარებას, რადგან ცდილობენ საკუთარი ხელით მომზადებული კერძი თუ ნამცხვარი ყველას ერგოს. ისინი ეჩვევიან ერთად მუშაობას, ანუ ერთად ამზადებენ საუზმეს. ისინი ხვდებიან რომ ადამიანებს განსხვავებული გემოვნება აქვთ, რადგან ერთ ბავშვს ძალიან უყვარს ქოქოსის გემო, მეორეს კი - ქოქოსი უგემურად ეჩვენება. ბავშვები ეჩვევიან განსხვავებული ეროვნული კერძების გარჩევას და ჭამას, რომელთა მომზადებასაც სხვადასხვა ეროვნების მშობლები ასწავლიან.

ემოციური განვითარება

ჭამა – სიამოვნებაა და ბავშვებსაც ის საჭმელი უნდა მოვუმზადოთ, რომელიც მათ განსაკუთრებით უყვართ; მითუმეტეს, თუ ბავშვი უგუნებოდ არის ან მისთვის მნიშვნელოვანი დღესასწაული აღინიშნება. ბავშვსაც უფროსებივით უყვარს განსაკუთრებული საჭმლის მომზადება და თავისი მომზადებული კერძით სხვების გამასპინძლება. ბავშვის თვითრწმენა იზრდება, როდესაც იგი რეალურ შედეგს ხედავს. მეორეს მხრივ, გული გაგიტყდება, დახარჯული დრო და შრომა დაგენანება, თუკი პური გამოცხობისას ჩავარდა და არ გაფუვდა. ეს შემთხვევაც სასარგებლოა ბავშვთა სწავლისათვის, რადგან ბავშვები აანალიზებენ საკუთარ შეცდომებს და არკვევენ რა მიზეზით არ ამოვიდა პირი.

შეგრძნებათა განვითარება.

ბავშვები აკვირდებიან ფერებს საჭმლის მომზადების პროცესში. ფორთოხლის წვენი ნარინჯისფერია, ჭარხლის წვენი – წითელი, სალათა – მწვანე. ბავშვები სწავლობენ განსხვავებული ფორმების გაკეთებას: ცომის გუნდა მრგვალია, ატრია სამკუთხედებად იჭრება, სტაფილო – ალყა-ალყად. ყველა შეგრძნება, გემოვნება, ყნოსვა, შეხება და მხედველობა - აქტიურად არის ჩართული საჭმლის მომზადების პროცესში.

კულინარიის ცენტრის მოწყობა

მრავალ სკოლამდელ პროგრამას ნამდვილი სამზარეულო არცა აქვს. ნებისმიერ კლასში შეიძლება მოეწყოს დროებითი სამზარეულო კუთხე. თუკი ბაღში არსებობს სამზარეულო, მაშინ უფროსი მასწავლებელი ან მშობელი გაუძღვება ბავშვების მცირე ჯგუფს და ასწავლის საჭმელების მომზადებას. თუ არა და ბავშვებს საჭმლის მომზადება საკლასო ოთახშიც შეუძლიათ. ანდა, შეიძლება, საკლასო ოთახში დაიჭრას, აითქვიფოს მასალა და სამზარეულოში მხოლოდ მოსახარშად ან გამოსაცხობად შევიდეთ. პროდუქტი მაცივარში უნდა შევინახოთ, საკლასო ოთახის ონკანი და ნიჟარა ალაგების დროს გამოგვადგება. ამ აქტივობის მიზანია, ბავშვებმა, რაც შეიძლება, მეტი რამ იცოდნენ საკვების შესახებ და თავად გამოსცადონ ის სიამოვნება, რაც ადამიანს საჭმლის მომზადების პროცესში ენიჭება.

როდესაც პატარა სამზარეულო კუთხეს ვაწყობთ, უნდა შევეცადოთ ახლო-მახლოს იდგეს ონკანი და ნიჟარა. ხელოვნების ცენტრში მუდამ არის ხოლმე ონკანი და მაგიდა, რომელიც შეგვიძლია სამზარეულო მაგიდადაც გამოვიყენოთ. თუკი კლასში არ არის ონკანი, მაშინ სამზარეულო მაგიდა იქ უნდა გავმართოთ, სადაც ელექტროშტეპსელია დამაგრებული. იმისათვის, რომ ყველა საჭირო სამზარეულო იარაღი ხელთ გვქონდეს, კარგი იქნება თუ მათ საგანგებო წარწერებიან ან ნახატებიან ყუთებში ჩავაწყობთ. თუ საკლასო ოთახში მაცივარი არ არის, მაშინ სიცივის შესანარჩუნებლად ან პროდუქტის გასაყინად საჭიროა, ყინულიანი ჭურჭელი გამოვიყენოთ.



სამზარეულო ნივთები.

პურის საცხობი კეცები
ნამცხვრის საცხობი ფორმები
კონსერვის გასახსნელი დანა
დაფები
ტაფა
ძაბრი
სახეხი
წვენსაწური
საწყაო ჭიქა, მენზურა
საწყაო კოვზი
ჯამები
სათქვეფელა
კარტოფილის საჭყლეტი კოვზი
მოსართავი შპრიცი
ელექტრომიქსერი
ხუფიანი ქვაბები (დიდი, პატარა)
სასწორი
მაკრატელი
ბასრი, პატარა დანები
საცერი, ფილტრი
სამუშაო ხალათები და წინსაფრები
ჩამჩა
ნიჩაბი
საათი
ბოსტნეულის საფხეკი დანა
ხის კოვზები

ელექტრო-დანადგარები



- ღუმელი (თუ ღუმელი არ არის, შეგიძლით გამოიყენოთ ტოსტერი)
- ქურა (თუ ქურა არ არის, შეგიძლიათ, სანაცვლოდ გამოიყენოთ ცხელი თეფში).
- ელექტრო ტაფა
- ელექტრო მიქსერი.

სამზარეულო კუთხე ისეთ ადგილას უნდა მოვაწყოთ, სადაც ბავშვები იშვიათად თამაშობენ და უფროსი ადვილად უხელმძღვანელებს მცირე ჯგუფის მუშაობას ისე, რომ ბავშვები არ დაშავდნენ. სამზარეულოს მაგიდის ზედაპირი ადვილად უნდა იწმინდებოდეს ღრუბლითა და საპნიანი წყლით. იატაკიც ადვილად მოსაწმენდი უნდა იყოს, ანდა მუშაობის პროცესში ცელოფანი ან გაზეთები უნდა გავშალოთ. შეიძლება, რამე დაგეპნეთ ან "სამზარეულო" აირიოს, მაგრამ გახსოვდეთ, რომ ესეც სწავლის ნაწილია.

სამზარეულოს მოწყობისათვის სკოლის პროგრამის ბიუჯეტში უნდა იყოს გამოყოფილი შესაბამისი თანხები ელექტროდანადგარებისა და აღჭურვილობისათვის: მშობლები, თუკი შესაძლებლობა აქვთ, გვიგზავნიან გარკვეული კერძის მომზადებისათვის საჭირო მასალას. პატარა ბოსტანი კიდევ უფრო სრულყოფილს გახდის სამზარეულოს ცენტრის მუშაობას და ბავშვებს რეალურ ცოდნას შესძენს იმის შესახებ, თუ, როგორ და რისგან მზადდება საჭმელი.

აღმზრდელთა ჯგუფის როლი.

ბავშვებს საჭმლის მომზადება ცალ-ცალკე ან მცირე ჯგუფებში უნდა ვასწავლოთ. მათ ხანგრძლივად უნდა ივარჯიშონ, სანამ ერთი კონკრეტული კერძის მომზადებას დაეუფლებიან. მცირე ჯგუფი ხუთი ან ექვსი ბავშვისაგან შედგება და აუცილებლად უფროსის უშუალო ხელმძღვანელობით სწავლობს კულინარიის საფუძვლებს.

მშობლები და ოჯახის სხვა წევრები აქტიურად არიან ჩაბმული სამზარეულო წრის მეცადინეობაში. ისინი, ხან ბავშვებს ხელმძღვანელობენ, ხანაც თავად ასწავლიან საჭმლის მომზადებას. მოაქვთ კერძების რეცეპტები, საჭირო მასალა, მუშაობენ ბოსტანში და, ხშირად, ბავშვებს შინ მომმზადებული კერძებითაც უმასპინძლდებიან. აღმზრდელები მშობლებს აცნობენ უსაფრთხოების წესებს და სამზარეულო ტექნიკას. საჭმლის მოამზადება ბავშვებისათვის სახლისო უნდა იყოს. უფროსებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ საჭმლის მომზადების პროცესი გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე თვით კერძი. საჭმლის მომზადება ბავშვებში ავითარებს თვითრწმენას, დამოუკიდებლობას და კვლევის უნარს. ბავშვები დამოუკიდებლად მუშაობენ, უფროსები კი ხელმძღვანელობენ და თვალყურს ადევებენ.

საჭმლის მომზადების პროცესის ორგანიზება.

სანამ ბავშვები საჭმლის მომზადებას შეუდგებოდნენ, შეამოწმეთ, გაქვთ თუ არა ყველა საჭირო პროდუქტი და სამზარეულო მოწყობილობა.

მარტივით დაიწყეთ: ბანანის გაფქვნა და დაჭრა, ბატიბუტის მომზადება, პურზე იაფლის წასმა, მუხუდოს დარჩევა; თანდათან უფრო რთული საჭმლის მომზადებაზე გადადით. მასწავლებელმა ბავშვებს ზეპირად უნდა გააცნოს დავალება. ბავშვები მათთვის ახალ სამზარეულო ტერმინოლოგიას ეუფლებიან: "გაფცქვნით ვაშლს, დააგუნდავებთ ცომს, გამოწურავთ ლიმონს, გატეხავთ და ათქვეფთ კვერცხს."

გაითვალისწინეთ ბავშვების სურვილებიც. შეეცადეთ ის კერძი მოამზადებინოთ, რომელიც სურთ.

სამზარეულოშიც გაითვალისწინეთ ის ინტერესებიც, რომლებიც ბავშვებს სხვა აქტივობის ცენტრში მუშაობისას გაუჩნდათ. მაგალითად, ბავშვებმა წაიკითხეს წიგნი ვაშლის ხეებზე და დაიწყეს საუბარი ვაშლით მომზადებულ საჭმელებზე. მასწავლებელმა სამზარეულოში ვაშლის დღე უნდა მოაწყოს, ანუ ბავშვებმა სხვადასხვა საჭმელი უნდა დაამზადონ ვაშლისაგან - ვაშლის კერძები, ვაშლის საწებელი, ვაშლის ნამცხვარი, მოთუშული ვაშლი, დაჭრილი ვაშლი თაფლით. საკვების თემა მათემატიკური და ბუნებისმეტყველების თვალსაზრისითაც განიხილეთ. უყურადღებოდ არ დაგრჩეთ იმპროვიზაციის მცდელობა!

კერძის დამზადების წესი ისეთ ადგილას გამოაკარით, რომ ბავშვებმა ადვილად დანახონ. გამოიყენეთ სურათები, ნახატები და სიტყვები, რათა ბავშვებისათვის გასაგები იყოს, რომელი სამზარეულო მოწყობილობა უნდა გამოიყენონ, რის შემდეგ რა გააკეთონ ან რა რაოდენობის ინგრედიენტები იხმარონ. სურათებიანი რეცეპტები სხვადასხვაგვარად შეიძლება დაიხატოს. პატარა ბავშვებისათვის ყოველ სურათზე თითო მოქმედება უნდა იყოს ასახული. შეიძლება ფურცელი გარმონივით დაიკეცოს და ყოველ ნაკეცზე აისახოს მომდევნო მოქმედება. შეიძლება მოლბერტის ან დაფის გამოყენებაც, რომელზეც დაიხატება ან





დაიწერება კერძის დამზადების წესი. უფროსი ბავშვებისათვის შესაძლოა რვეულებიც გამოვიყენოთ, სადაც ყოველ გვერდზე ცალკე კერძის დამზადების წესი იქნება მოცემული. "კულინარიის წიგნი" საჭმლის მომზადებისას იქვე უნდა იდოს, რომ ბავშვებმა შიგ ხშირად ჩაიხედონ. უფროს ბავშვებს ხშირად, ერთი სული აქვთ, საკუთარი რეცეპტები გიკარნახონ ან თვითონვე ჩახატონ და ჩაწერონ "კულინარიის წიგნში".

- შეახსენეთ ბავშვებს დაიბანონ ხელები და სამუშაო წინსაფრები ან ხალათები ჩაიცვან. კედელზე დაამაგრეთ სურათი, რომელიც ხელების დაბანას მიანიშნებს.
- შეამოწმეთ სუფთა არის თუ არა სამზარეულო მაგიდის ზედაპირი და თუ არ არის სუფთა, სთხოვეთ ბავშვებს გაწმინდონ.
- ბავშვებთან ერთად განიხილეთ საჭმლის მომზადების წესი და საჭირო მასალა.
- ბავშვებს აჩვენეთ, როგორ იხმარება ესა თუ ის სამზარეულო მოწყობილობა და დანადგარი. სთხოვეთ, რიგრიგობით სცადონ და თვითონაც გაიმეორონ.
- შეძლებისდაგვარად, მეტი ბავშვი ჩართეთ სამზარეულო ჯგუფში. ზოგი საჭმლის მომზადება ერთდროულად რამდენიმე ბავშვს შეუძლია. (მაგალითად, ლანჩისათვის ყველიანი სენდვიჩების მომზადება), ხოლო ზოგი კერძი, ნამცხვარი მხოლოდ ერთმა ან ორმა ბავშვმა უნდა მოამზადოს.
- საპნიანი წყლით სავსე ჯამი და ღრუბელიც იქვე გქონდეთ, რომ, როგორც კი რამე დაისვრება, მაშინვე გაწმინდოთ.

უსაფრთხოების წესები საჭმლის მომზადების დროს.

ბასრი საგნები ბავშვებმა მხოლოდ უფროსების მეთვალყურეობით უნდა იხმარონ.

აღნიშნეთ ყველა ის საფრთხე, რაც თან ახლავს საჭმლის მომზადების პროცესს, სახელდობრ, დამწვრობის საშიშროება შიშველი ხელებით ცხელი საგნების აღებისას, ელექტროდანადგარების გამორთვის აუცილებლობა; აგრეთვე, არ დაგავიწყდეთ, რომ ადილად აალებადი ნივთიერებები ქურასთან ახლოს არ უნდა იდგეს, ქვაბების სახელურები ქვაბს ცეცხლზე დადგმისას უნდა მოვაშოროთ და სხვა.

აჩვენეთ ბავშვებს როგორ იხმარება ესა თუ ის მოწყობილობა. მცირეწლოვანმა ბავაშვებმა ჯერ უფროსებს უნდა უყურონ საჭმლის მომზადებისას, განსაკუთრებით, ცხელი წვნიანის მორევისა ან ნამცხვრის გამოცხობის დროს. უფროსი ბავშვები კი ყველაფერს თვითონ აკეთებენ. წინასწარ უნდა იცოდეთ ყოველი ბავშვის მონაცემები და შესაძლებლობები, სანამ ნებას დართვათ "სახიფათო" დავალება შეასრულონ.

ასწავლეთ ბავშვებს როგორ უნდა გადმოდგან ქვაბი ან ტაფა სადგარზე ისე, რომ მაგიდა არ დაეწვათ.

საჭმლის მომზადება

ბავშვებს, სანამ საჭმლის მომზადებას დაიწყებდნენ, საშუალება უნდა ჰქონდეთ, ნახონ, შეეხონ, უსუნონ და, თუ შესაძლებელია, გემო გაუსინჯო იმ მასალას, რასაც შემდეგ საჭმელში გამოიყენებენ.

ხელი შეუწყვეთ ბავშვებს, დააკვირდნენ და იმსჯელონ სხვადასხვა ინგრედიენტებზე, განიხილონ მათი ფორმა, აგებულება, ფერი, ზომა, მსგავსება და განსხვავება. ბავშვებს

კითხვები დაუსვით "როგორი გემო აქვს, ტკბილი თუ მჟავე? იუოგურტს ისეთივე გემო აქვს, როგორც ჯემს? რევანდის გემო გირჩევნია თუ მარწყვის? რატომ?

დაეხმარეთ ბავშვებს, ფიზიკური და ქიმიური თვალსაზრისით განიხილონ კულინარიული პროცესი. რა ხდება, როდესაც ორ ინგრედიენტს ვაერთებთ, მაგალითად, როდესაც საფუარს წყალში ვხსნით ან შაქარს შევურევთ? რა ხდება, როდესაც საკვებ პროდუქტს ვაცხელებთ ან ვაცივებთ? საჭმლის მზადების პროცესში ახსენით, რომ წყალი სითხეა და დუღილის პროცესში გაზისებრ ნივთიერებად იქცევა, რასაც ორთქლი ეწოდება, ხოლო, გაყინვის შემდეგ კი – მყარ სხეულად, ანუ ყინულად. გამოიღეთ ყინულის ნაჭრები და სთხოვეთ ბავშვებს გამოიცნონ, რა მოუვა ყინულს გათბობის შედეგად. ჩაწერეთ მათი პასუხები და ცდის შედეგები. დღის ბოლოს სთხოვეთ, ისაუბრონ კულინარიულ გამოცდილებაზე და განამტკიცონ შეძენილი ცოდნა.

შეეცადეთ გრძელი წინადადებების მოშველიებით აღწეროთ კულინარიული პროცესი, მაგალითად "ყველა თხევადი ინგრედიანტი მშრალ პროდუქტს შეურიე. რაში უნდა გამოიყენო ცომის საგორავი? როგორ შეიცვალა კარტოფილი, რძის დამატების შემდეგ?" შეეცადეთ, ისეთი სიტყვებით გაამდიდროთ ბავშვის ლექსიკონი, რომ თავადაც შეძლონ საკუთარი ქმედების აღწერა.

ბავშვებს საკმარისი დრო უნდა მისცეთ საჭმლის მომზადებისათვის. პროცესში ჩაბმულ ყველა ბავშვს უნდა შეეძლოს, შეენაცვლოს ამხანაგს ან თვალყური ადევნოს საჭმლის მომზადებას, თუკი ამისი სურვილი აქვს. გამოაკარით მონაწილე ბავშვების სია და საშუალება მიეცით დანარჩენებს, რიგი დაიკავონ. ამ პროცედურის შემდეგ, ბავშვებს ზუსტად ეცოდინებათ, როდის უნდა მოვიდნენ სამზარეულოში. რიგი აუცილებლად დაიცავით და რიგში ჩაწერილ ბავშვებს უპირატესობა მიანიჭეთ. თუკი იმდენი მასალა ან დრო არა გაქვთ, რომ რიგის მომლოდინე ყველა ბავშვი დააკმაყოფილოთ, იგივე საჭმელი მეორე დღესაც მოამზადეთ.

ყველას მიეცით საშუალება გასინჯოს ბავშვის ნახელავი. თუ შესაძლებელია, მთელ კლასს ამყოფინეთ. ყველა ბავშვი, ვინც საჭმლის მომზადებაში მონაწილეობს, აგრეთვე, მონაწილეობს ალაგების პროცესში. წინასწარვე მოამზადეთ საპნიანი წყლით სავსე ქვაბები და ღრუბელი. იქვე გქონდეთ ცოცხი და იატაკის საწმენდი ჯოხი. უხელმძღვანელეთ სამზარეულო მოწყობილობების გაწმენდა-გასუფთავებას. სახიფათო საგნები და განსაკუთრებულად ჭუჭყიანი ქვაბები გვერდზე გადადეთ, სანამ რომელიმე უფროსი მოიცლის მათ გასასუფთავებლად. გახსოვდეთ, რომ ბავშვები ისე ვერასოდეს გაასუფთავებენ და გაწმენდენ, როგორც უფროსები. ნუ დაუწუნებთ ნახელავს, პირიქით, შეაქეთ და წაახალისეთ.



(ადაპტირებულია: გუდუინი და პოლენი 1974)

აქტივობები და პროექტები.

სამზარეულო საქმიანობა, რაც საჭმლის მომზადებას არ გულისხმობს.

- სამზარეულოს საგნების წყლით ავსება (ფინჯნები, ჯამები, სათქვეფი ქილები)
- მშრალი პროდუქტის არწყვა და აწონვა (ბრინჯი, ფქვილი, სიმინდის ფქვილი)

- უმი ხილისა და ბოსტნეულის გასინჯვა და შედარება (მწვანე და წითელი წიწაკა)
- დაჭრა, დაკუწვა, დარჩევა (სალათის ფოთლები, ლობიო, მუხუდო)
- არევა და არწყვა (კაკაო და რძე, ჯემი და იუგურტი)
- დანით პურზე წასმა (კარაქის, თაფლის, არახისის კარაქის)
- ორივე ხელით დაგორგოლება (ყველის გორგოლები)
- წვენის გაწურვა საწურში (ლიმონი, ფორთოხალი)
- გაფცქვნა (მოხარშული კვერცხის, ბანანის, ფორთოხლის)
- დაჭრა დანით (რბილი საკვებიდან (ბანანი) თანდათან გადავდივართ მაგარი საკვების დაჭრაზე (ვაშლი))
- გაფხეკა დანით (კარტოფილი, სტაფილო)
- გახეხვა (ყველი, კარტოფილი)
- ათქვეფა ხელის სათქვეფელით (ხილი, რძე, იუოგურტი)

(ადაპტირებულია "კულინარია კლასში - ყოველდღიური საქიანობა")

თემა: ბოსტნეულის შესწავლა

თემა მხოლოდ მაშინ არის ეფექტური, თუ ბავშვს იგი ნამდვილად აინტერესებს. ეს გახლავთ ნიმუში ერთ-ერთი პროექტისა, რომელიც განხორციელდა ბავშვთა ერთი ჯგუფ-ის მიერ. ბავშვებს ჰქონდათ საკუთარი ბოსტანი, სადაც რგავდნენ და უვლიდნენ ბოსტნ-ეულს. მათ სურდათ მეტი რამ შეეტყოთ იმ მცენარეების შესახებ, რომელთაც ისინი უვლიდნენ.

თუკი თქვენ ჰკითხავთ ბავშვებს, უყვართ თუ არა თესლები, ფესვები, ღერო და ფოთლები, ისინი აუცილებლად გიპასუხებენ "არაო". ბოსტნეულის დარგვა და მოვლა საუკეთესო გზაა, ბავშვებს ვასწავლოთ, რა ნაწილებისაგან შედგება მცენარე: ფესვი, ღერო, ფოთო-ლი, ყვავილი, ნაყოფი, თესლი.

დაიწყეთ წიგნების კითხვა მცენარეებზე; ისაუბრეთ, როგორ იზრდება მცენარე, რისგან შედგება, სად არის მოთავსებული ფესვი სად ღერო და ფოთლები, სად ისხავს ყვავილებს და სად იგროვებს თესლს.

ბავშვებმა მცენარეების სურათები ჟურნალებიდან უნდა ამოჭრან, თავად კი საყვარელი მცენარე დახატონ.

დაარგვევინეთ ბავშვებს რომელიმე სწრაფად მზარდი მცენარე, მაგალითად, ბოლოკი;

ბავშვები ყოველდღე მორწყავენ ბოლოკს და თან დააკვირდებიან როგორ იზრდება.

შეისწავლეთ მცენარის თითოეული ნაწილი.

ფესვი

მოიტანეთ სხვადასხვა ძირნაყოფა ბოსტნეული, როგორიცაა, ჭარხალი, სტაფილო, კარტოფილი, ბოლოკი. ბავშვები ჯერ გაასუფთავებენ და დაჭრიან ბოსტნეულს და შემდეგ გემოს გაუსინჯავენ. უმცროსი ასაკის ბავშვებს მასწავლებელი თვითონ დაუჭრის ბოსტნეულს. სთხოვეთ, აღწერონ თითოეული ბოსტნეული და დაასახელონ მათი განმასხვავებელი ნიშნები: ფერი, ფორმა, გემო.

ბავშვებს კარტოფილით ქაღალდზე ან რელიეფზე ამოატვიფრინეთ რამე. სხვადასხვა ფორმებად დაჭრილი კარტოფილი ჩააწეთ საღებავში და ფურცელზე გამოიყვანეთ ფიგურები. აჩვენეთ ბავშვებს წიგნებში გრავიურების ნიმუშები და უთხარით, რომ ისინიც შესანიშნავი მხატვრები არიან.

მოხარშეთ ბოსტნეული და ჰკითხეთ ბავშვებს, როგორ შეიცვალა ბოსტნეულის გემო. მოამზადეთ: მოხარშული კარტოფილი, მოთუშული, ტკბილი კარტოფილი. რით განსხვავდება ერთმანეთისაგან? ჰკითხეთ ბავშვებს რით განსხვავდება უმი სტაფილო, გახეხილი და ნამცხვარში ჩართული სტაფილოსაგან?

ღერო

მოიტანეთ ნიახური, რევანდი ან სატაცური. აჩვენეთ ბავშვებს მთელი მცენარე თავისი ფოთლებით და აუხსენით, რომ საკვებად ჩვენ მხოლოდ ღეროს ვიყენებთ. რევანდის ფოთლები შხამიანია, ამიტომაც გაფრთხილდით, ბავშვებმა პირში არ ჩაიდონ. მათთან ერთად დააკვირდით, როგორ აკავშირებს ღერო ფესვებსა და ფოთლებს.

ბავშვებს ნიახურის ღერო ბოსტნეულის წვენით შეფერილ წყალში ჩააწობინეთ და ერთად დააკვირდით როგორ გადაეცემა წყალი, ღეროს გავლით, ფოთლებს.

სთხოვეთ ბავშვებს, გამოიცნონ რამდენი "ნიახურის ღეროს"სიმაღლის არიან. ვარაუდების გამოთქმის შემდეგ ბავშვები იატაკზე წვებიან და ერთმანეთს ღეროთი ზომავენ. დახაზეთ სქემა, სადაც აღნიშნული იქნება რამდენი ნიახურის ღეროა საჭირო ყოველი ბავშვის სიმაღლის გასაზომად.

ბავშვებს მოახარშინეთ რევანდი, შეაზავეთ თაფლით ან შაქრით, შემდეგ გასინჯეთ და დაადგინეთ, რამდენად განსხვავებული გემო აქვს უმ და მოხარშულ ბოსტნეულს.

ბავშვებს სთხოვეთ, ნიახურის ღეროები გახეხილი ყველით დაატენონ.

სთხოვეთ ბავშვებს, დააკვირდნენ, როგორ იცვლის ფერს ნიახური ან სატაცური, როდესაც ცოტაოდენ წყალში გავთუთქავთ ელექტროტაფაზე.

ფოთლები

წაიყვანეთ ბავშვები ბოსტანში სხვადასხვა ბოსტნეულის ფოთლების დასაკრეფად, დაკრიფეთ

კომბოსტო, მწვანე სალათა, ისპანახი, ჭარხლის ფოთოლი, ოხრახუში. თუ ბოსტანი არა გაქვთ, მაშინ იყიდეთ, ანდა ბავშვებთან ერთად ეწვიეთ ბაზარს ან ბოსტნეულის მაღაზიას და ბოსტნეული ერთად შეიძინეთ.

სთხოვეთ ბავშვებს, დააკვირდნენ ფოთლებს და გითხრან, რით განსხვავდება სხვადასხვა ბოსტნეულის ფოთლები ერთმანეთისაგან და რა აქვთ მათ საერთო. ჩაიწერეთ მათი პასუხები.

სთხოვეთ ბავშვებს გახეხონ კომბოსტოს ფოთლები სალათისათვის, აურიონ გათუთქული ისპანახი, ხოლო მწვანე სალათის ფოთლებში ხორცის ნაჭრები გაახვიონ.

ყვავილები

ბავშვები ხშირად გაოცებულები რჩებიან, როდესაც აღმოაჩენენ რომ ბროკოლი, ყვავილოვანი კომბოსტო და ბრიუსელის კომბოსტო, თურმე, ყვავილები ყოფილა. ბავშვებს თითოეული ეს ბოსტნეული გამადიდებელი შუშით დაათვალიერებინეთ და დარწმუნდებიან, რომ ბოსტნეულის ყოველი თავი უამრავი გაუშლელი კოკრისაგან შედგება, რომლებიც სადაცაა გაიფურჩქნება. თუ შესაძლებელია აჩვენეთ ბავშვებს ბროკოლის აყვავებული ღერო.

ბავშვებს გაასინჯეთ უმი ბოსტნეული და სთხოვეთ, შეადარონ მოხარშული ბოსტნეულის გემოს. ბავშვებს მოამზადებინეთ ბროკოლი: ბროკოლის პიურეს დაასხით ცოტაოდენი რძე და დაფხვენით ყველი, კარგად აურიეთ და შემდეგ მიირთვით. ბავშვები დარწმუნდებიან, რომ ამ კერძში ბროკოლის სრულიად განსხვავებული გემო აქვს.

ბროკოლის ან ყვავილოვანი კომბოსტოსა და ბროკოლის ყვავილები ჩავაწოთ ბოსტნეულის საღებავში, ფურცელზე ნაირ-ნაირი ფიგურები ამოვტვიფროთ.

ხილი

პამიდორი, ფაქტიურად, ხილია. იგივე ითქმის ყაბაყსა და გოგრაზეც. გოგრის მრავალნაირად გამოყენება შეიძლება. წააჭერით გოგრას თავი, დაურიგეთ ბავშვებს კოვზები და სთხოვეთ, ამოფხიკონ თესლები, სანამ მთლიანად არ გაასუფთავებენ. გარეცხეთ გოგრის თესლი, მოაყარეთ მარილი და მოხალეთ ცეცხლზე. ზოგ ბავშვებს ძალიან მოსწონს გოგრის რბილი შიგთავსი, ზოგი პირიქით – ვერ იტანს. ამოტვიფრეთ სახე გოგრაზე და უამბეთ ბავშვებს ჰალოუინის (სულთა) დღესასწაულზე. საჭმლის საშუალებით ბავშვები შესანიშნავად სწავლობენ ტრადიციულ ადათ-წესებსა და დღესასწაულებს.

ბავშვებს ჯერ უმი პამიდორი გაასინჯეთ, შემდეგ პამიდვრის საწებელი გააკეთეთ ბრინჯზე ან მაკარონზე მოსასხმელად, ბოლოს კი – პამიდვრისაგან წვენი გამოწურეთ.

ბოსტნეულის თემა ბავშვების შეთხზული მოთხრობების კითხვით აღნიშნეთ ან მოაწყვეთ ე. წ. წვნიანის დღე. "ქვის წვნიანი" – ცნობილი ხალხური ზღაპარია. ყოველ ბავშვს შინიდან მოაქვს რაღაც ბოსტნეული. მოიწვიეთ მშობლები ბოსტნეულის ზეიმზე და გაუმასპინძლდით ყველა სახის ბოსტნეულით. თეფშზე კოხტად ჩაამწკრივეთ ბოსტნეულის ღეროები, ფოთლები, ყვავილები და ნაყოფი. სხვა თეფშებზე ბოსტნეულის სალათები დააწყვეთ თავ-თავისი საწებლებით. აგრეთვე, სტუმრებს მიართვით ბავშვების მომზადებული ბოსტნეულის წვნიანი. ზოგი კერძი შეიძლება რამდენიმე დღით ადრე მომზადდეს და მაცივარში

თავდახურულ ჭურჭელში შეინახოს. სთხოვეთ ბავშვებს, მშობლებს უამბონ, რა ისწავლეს ბოსტნეულის შესახებ, აჩვენონ საკუთარი ნახატები, დაათვალიერებინონ ბოსტანი და შემდეგ ერთად მიირთვან ბოსტნეულის კერძები.

(ადაპტირებულია: ჩერჩი, 1994)

საუზმე მამებისათვის

სკოლამდელ პროგრამებში მამები დიდი გაჭირვებით ებმებიან ან სულაც არ მონაწილეობენ. ამ პრობლემის გადასაწყვეტად ერთ-ერთი პროგრამა ყოველი თვის პირველ პარასკევს მამებისათვის ან ოჯახის მამაკაცი წევრებისათვის საუზმეს მართავდა. ბავშვები ადგენენ მენიუს, თვითონ ამზადებენ საჭმელს, რთავენ მაგიდებს, აწყობენ სუფრას და დიდი სიამოვნებით უმასპინძლდებიან მამებს საკუთარი კულინარიული ნახელავით. ამ წამოწყებას დიდი წარმატება ხვდა წილად. თქვენც შეგიძლიათ ეს იდეა დანერგოთ თქვენს ბაღში.

კულინარიული რეცეპტები

ქვემოთ გთავაზობთ რამდენიმე კერძის რეცეპტს, რომლებიც შეგიძლიათ კლასში მოამზადოთ. რეცეპტები ბავშვებისათვის არის გათვალისწინებული. შეეცადეთ, კიდევ უფრო გაამარტივოთ, ანდა არ გაართულოთ მაინც. გახსოვდეთ, რომ საჭმლს ბავშვები ამზადებენ. შეგიძლიათ სხვადასხვა პროდუქტები გამოიყენოთ, წელიწადის დროის მიხედვით. შემოქმედებითად მიუდექით ამ საკითხს და ყველაფერი გამოიყენთ რასაც იშოვით. ცხადია, რეცეპტებისა და მასალის შეცვლა შესაძლებელია.

ერთი ულუფა კერძის რეცეპტები

ამ კერძებს ამზადებს ერთი ბავშვი ან ბავშვების ჯგუფი, მაგრამ ყოველი ბავშვი დამოუკიდებლად მუშაობს.



"ყიყლიყო"

- √ 1 კვერცხი
- √ 2 სადილის კოვზი რძე ან წვენი
- √ დარიჩინის ფხვნილი
- √ 1 ნაჭერი პური
- √ 1 სადილის კოვზი კარაქი ან ზეთი

პლასტმასის ჯამში ათქვიფეთ კვერცხი რძესთან ან წვენთან ერთად და დაუმატეთ დარიჩინი. ჩააწეთ პური სითხეში, გადააბრუნეთ და იმდენ ხანს დატოვეთ ჯამში, სანამ პური მთლიანად არ შეიწოვს გამზადებულ სითხეს. გაადნეთ კარქი ან ზეთი ტაფაზე. შეწვით პური ჯერ ერთ მხარეს, როდესაც ყავისფრად დაიბრაწება, გადააბრუნეთ და ახლა მეორე მხარეს შეწვით. გადმოიღეთ ტაფიდან და მიირთვით ჯემით ანთაფლით.

მწვანე სალათის ფოთლებში გახვეული ხორცი

√ სალათის ფოთოლი
√ 1 ჩაის კოვზი მაიონეზი
√ 1 ნაჭერი ლორი



გარეცხეთ სალათის ფოთოლი. წაუსვით მაონეზი, ლ ი.

ვაშლის სალათი

√ 1 ვაშლი
√ 1 დაჭრილი ნიახური
√ 2 კაკალი (ნიგოზი)
√ 10 ქიშმიში
√ 1 სადილის კოვზი იუგურტი

გარეცხეთ ვაშლი და ნიახური. გაჭერით ვაშლი, ამოაცალეთ თესლები. ვაშლი წვრილად დააჭერით, წვრილად დააჭერით ნიახურიც. დაჭერით ნიგოზი. წვრილად დაჭრილი მასალა ჩაყარეთ ჯამში, დაუმატეთ ქიშმიში და იუგურტი და კარგად აურიეთ.

ხორცის გუფთა

√ 2 უნცია (70 გრ) დაფქული ხორცი
√ 1 კვერცხი. ნაჭერი ხმელი პური
√ 2 სადილის კოვზი რძე
√ მარილი და პილპილი
√ 1 სადილის კოვზი ზეთი (ტაფაზე მოსახმელად)

ჩადეთ დაფქული ხორცი ჯამში, დააფხვენით პური. გატეხეთ კვერცხი, გათქვიფეთ რძესთან ერთად და ჩაასხით ჯამში. აურიეთ ხელით ან ხის კოვზით. დაუმატეთ პილპილი და მარილი. თეფშზე დააგუნდავეთ პატარა გუნდებად. შეწვით ზომიერ ცეცხლზე ზეთმოსხმულ ტაფაზე, ერთხელ გადააბრუნეთ.

კერძების ჯგუფური მომზადება

დაფქული მუხუდოს წვნიანი

√ 2 ჭიქა დაფქული მუხუდო
√ 2 ჭიქა წყალი
√ 1 ხახვი
√ 4 ნიახურის ღერო
√ 3 სტაფილო
√ 3 კარტოფილი
√ 1 ჩაის კოვზი მარილი
√ 3/4 ჩაის კოვზი პილპილი
√ 1 დაფნის ფოთოლი



ბავშვებს მუხუდო წყალში დაალბობინეთ მთელი ღამით. გაწურეთ მუხუდო. გარეცხეთ. დაჭერით ხახვი, ნიახური, კარტოფილი და სტაფილო. დაჭრილი ბესტნეული და მუხუდო ჩაყარეთ დიდ ქვაბში და დაასხით 9 ჭიქა წყალი. დაუმატეთ მარილი, პილპილი, დაფნის ფოთოლი და ნელ ცეცხლზე ადუღეთ სამი საათი. თუ წვნიანი ძალიან გასქელდა, დაუმატეთ წყალი.

რბილი ორცხობილა

√ 1 ჭიქა ფქვილი
√ 1/4 ჭიქა წყალი
√ 2 ჩაის კოვზი საფუარი
√ 1 ჩაის კოვზი შაქარი
√ 1/2 ჩაის კოვზი მარილი
√ 1 კვერცხი



2 დიდ ჯამში აურიეთ ფქვილი, წყალი, საფუარი, შაქარი და მარილი. ხელით მოზილეთ რბილი ცომი. პატარა გუნდებად დაყავით. ნებისმიერი ფორმა მიეცით. ათქვიფეთ კვერცხი პატარა თასში და ორცხობილას ზემოდან გადაუსვით. გამოცხვეთ ცხელ ღუმელში, თოთხმეტი წუთი.

ვაშლის ფხვიერი ნამცხვარი

√ 6 ვაშლი
√ 1 ლიმონი
√ 1 ჭიქა შვრია
√ 1/4 ჭიქა ფქვილი
√ 1/4 ჭიქა შაქარი
√ 1 ჩაის კოვზი დარიჩინი



√ 1/4 კარაქი

გარეცხეთ და დაჭერით ვაშლი. ჩააწყვეთ კარაქწასმულ ტაფაში. შუაზე გაჭერით ლიმონი და ვაშლს დააწურეთ. გაადნეთ კარაქი. ოდნავ გააგრილეთ. ჯამში აურიეთ ფქვილი, შვრია, დარიჩინი და შაქარი. დაუმატეთ გამდნარი კარაქი. აურიეთ ხელით, სანამ ფხვიერ მასას არ მიიღებთ. მოაყარეთ ვაშლს. აცხვეთ საშუალო ცეცხლზე, ღუმელში ოცი წუთი ან ნახევარი საათი, სანამ ვაშლი არ დარბილდება.

მაკარონის სალათი

√ 3 ჭიქა მაკარონი
√ 9 ჭიქა წყალი
√ 2 კიტრი
√ 3 სტაფილო
√ 4 ნიახური ღერო
√ 8 კვერცხი
√ 1/2 ჭიქა იუგურტი
√ 1/2 ჭიქა მაიონეზი
√ 1 ლიმონი
√ მარილი და შაქარი

მაკარონი წყალში ხარშეთ, მანამ არ დარბილდება. გაწურეთ და გააცივეთ. მაგრად მოხარშეთ კვერცხი. გარეცხეთ ბოსტნეული. დაჭერით ნიახური და კიტრი. გახეხეთ სტაფილო. გაფცქვენით კვერცხი და დაჭერით. გაწურეთ ლიმონი. ეს ყველაფერი მაკარონში აურიეთ. დაუმატეთ იუგურტი, მაიონეზი და ლიმნის წვენი. შეანელეთ მარილით და პილპილით.

უსაფრთხოება მნიშვნელოვანია

ბავშვებს მხოლოდ მაშინ დართეთ ბასრი საგნების გამოყენების უფლება, როცა უფროსები თვალყურს ადევნებენ.

აღნიშნეთ ყველა ის საფრთხე, რომელიც ბავშვებს საჭმლის მომზადებისას ემუქრებათ – კერძოდ, შესძალოა, დაიწვან ცხელ საგნებთან შეხებით, ადვილად აალებადი ნივთიერებები სითბოსაგან მოშორებით უნდა შევინახოთ, ელექტროდანადგარები აუცილებლად უნდა გამოირთოს, ქვაბის სახელურები ქურას უნდა მოვაშოროთ.

ასწავლეთ ბავშვებს ამა თუ იმ მოწყობილობის ხმარების წესები. პატარა ბავშვებმა უფროსებს უნდა უყურონ საჭმლის მომზადების პროცესში, (ცხელი წვნიანის მორევა, ცომის გამოცხობა და სხვა) ხოლო უფროსი ბავშვები თვითონ ამზადებენ ყველაფერს. წინასწარ უნდა იცოდეთ ყველა ბავშვის შესაძლებლობა და მონაცემები, სანამ "სახიფათო" საქმეს მიანდობდეთ.

ასწავლეთ ბავშვებს ქვაბებისა და ტაფების სახელურების ხმარების წესი. მიაჩვიეთ ცხელი ქვაბი ან ტაფა სადგარზე დადგან, რომ მაგიდა არ დაიწვას.

წინასწარვე გაარკვიეთ აქვს თუ არა რომელიმე ბავშვს ალერგია გარკვეულ საკვებზე. გააფრთხილეთ უფროსი დამხმარეები, რომ ბავშვი მოარიდონ იმ საკვებს. ალერგიული ბავშვებისათვის მათთვის სასარგებლო საჭმელი მოამზადეთ.

ყურადღება მიაქციეთ, რომ ბავშვებმა საგულდაგულოდ დაიბანონ ხელები საპნით, სანამ საკვებს მიეკარებიან. გაასუფთავეთ სამუშაო მაგიდა.

საჭმლის მომზადების მთელი პროცესის განმავლობაში აუცილებელია უფროსი ადამიანის მეთვალყურეობა.

ფრთხილად იხმარეთ ელექტრომოწყობილობა. წინასწარვე შეამზადეთ ბავშვები და ასწავლეთ რას ნიშნავს "ცხელია", ბავშვები სიფრთხილთ უნდა ეკიდებოდნენ გაზქურას, ღუმელს, სათქვეფელას, ცხელ ტაფებს, ელექტროჩაიდნებს და ელექტროტაფებს. ნუ დართავთ ნებას ბავშვებს, ხელი ახლონ ჩართულ ელექტროდანადგარებს.

ელექტრომოწყობილობა ისე უნდა ჩაირთოს, რომ ბავშვები მავთულებს არ გამოედონ. ელექტროდანადგარები საქმის დამთავრებისთანავე გამორთეთ ელექტროქსელიდან.

წინასწარვე ისეთ ჭურჭელში მოათავსეთ საკვები პროდუქტები, რომლებიც ადვილად არ იმტვრევა.

სთხოვეთ ბავშვებს დასხდნენ, როდესაც დანებს, საფხეკებს, სახეხებსა და სხვა ბასრ საგნებს ხმარობენ.

მასწავლებლებმა წინასწარი მომზადება უნდა გაიარონ და შეეძლოთ პირველი დახმარების აღმოჩენა ჭრილობის, დამწვრობისა და ხუთვის შემთხვევაში.

ლოთაძეცოლი თაძაძი

XI დრამატული თამაში

დრამატული წარმოდგენები და თამაში სპონტანური აქტივობაა, ამ პროცესში ბავშვები ცდიან თავის შესაძლებლობებს, არკვევენ და ცოდნას იძენენ საკუთარი თავისა და გარესამყაროს შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვების თამაშის დეტალები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვაგვარია, მათი თამაშის თემატიკა, მუდამ ერთია. თამაშის პროცესში ბავშვები წარმოადგენენ მათთვის კარგად ცნობილ სცენებს, ბაძავენ მშობლებს, ოჯახის წევრებს და ასახიერებენ საზოგადოების სხვა წევრების როლებს. ისინი ისე წარმოაჩენენ სამყაროს, როგორც ესმით, ანდა თამაშობენ იმას, რაც მათ აბნევთ და აშინებთ.

ადრეული ასაკიდანვე ბავშვები იმეორებენ იმ ხმებს, რომლებიც ესმით, და იმ მოძრაობებს, რომელთაც ხედავენ. ბავშვები იმიტაციის დიდი უნარით არიან დაჯილდოვებულნი და ყოველ ახალ სიტუაციას მოძრაობითა და ბგერებით ეხმაურებიან. მოკლედ, ბავშვები თამაშობენ. თუკი მათ თამაშს ხელს შევუწყობთ, იგი შეიძლება დრამატულ სპექტაკლადაც გადაიქცეს: ხელოვნების ნიმუშად, ურთიერთობის სახედ და ცოდნის შეძენის ერთ-ერთ გზად და ხერხად.

რუთ ჰარტლი და მისი თანაავტორები წიგნში „ბავშვის თამაში" (1964), როლებით თამაშს შემდეგნაირად განმარტავენ.

> "როლების თამაში პატარა ბავშვის თავისუფალი თამაშია. ეს ბავშვებისათვის სამყაროს შესწავლის ერთ-ერთი ხერხია, გარშემომყოფთა ქცევის, მოძრაობის იმიტაციის გზით. ბავშვები ადრეული ასაკიდანვე იწყებენ როლების განსახიერებას, მაგრამ მათი თამაში დრამატულ სპექტაკლში ან წარმოდგენაში არ უნდა აგვერიოს. ბავშვის მიერ როლების განსახიერება ფრაგმენტულია და მხოლოდ აწმყოში არსებობს. თუ ბავშვს განსაკუთრებულად ძლიერი ინტერესი გაუჩნდა, შესაძლოა, რამდენჯერმე გაიმეოროს ერთი და იგივე როლი და არც ეს უნდა აგვერიოს რეპეტიციაში. ეს, უფრო, შემოქმედებითი ექსპერიმენტის გამეორებაა და ბავშვი სიამოვნების ხელმეორედ განცდას ესწრაფვის. დრამატურგიული თვალსაზრისით ამ თამაშს არც დასაწყისი აქვს, არც კულმინაცია და არც დასასრული.

შემოქმედებითი თამაში ან როლების განსახიერება ადრეული ასაკის ბავშვები არ არის შემოფარგლული დროითა და სივრცით. როლების განსახიერება კლასში იქნება ეს თუ შინ ან სხვაგან, ხელს უწყობს გარკვეული პასუხისმგებლობის გრძნობა განუვითარდეს ბავშვს, ახალი ინტერესები გაუჩნდეს და ახალი ინფორმაცია მოიპოვოს.

დრამა ანუ როლების თამაში ყველაზე უფრო ინდივიდუალური, პიროვნული და ინტიმური სწავლის პროცესია. როლების თამაში, ცხადია არ არის ის, რასაც ოფიციალურად დრამა ეწოდება. ეს არ არის სპექტაკლი, სადაც მსახიობები თავ-თავის როლებს იმახსოვრებენ და პერსონაჟთა სამოსში გამოწყობილები აუდიტორიის წინაშე წარსდგებიან. შემოქმედებითი დრამატული თამაშის დროს ბავშვები სპონტანურად შედიან როლში, იგონებენ,

ქმნიან და საკუთარი ინტერპრეტაციით ასახიერებენ მათთვის ნაცნობ სიტუაციებსა და თემებს. სკოლამდელ ასაკში ბავშვები, ჩვეულებრივ, მათთვის ნაცნობ რეალურ და გამოგონილ სიტუაციებს ასახიერებენ, როგორიცაა: ბავშვის მოვლა, მანქანის ტარება, ზოოპარკში წასვლა. როლებით თამაშისას ბავშვები საკუთარ სამყაროს ქმნიან, რათა უკეთ შეიცნონ გარე სინამდვილე. ამ გამოგონილ, წარმოსახულ სამყაროში ბავშვები ცდილობენ რეალური, ყოფითი პრობლემები გადაჭრან. ისინი იმეორებენ, ასახიერებენ და ხორცს ასხამენ ყოფით გამოცდილებას, ანუ რეალობას. ამგვარად, როლებით თამაში ბავშვს ეხმარება დაარღვიოს თავისი პიროვნების ეგოცენტრული საზღვრები და შესძლოს სხვებთან, გარესამყაროსთან ურთიერთობა.

გავლენა განვითარების სფეროებზე



როლების თამაშისას ბავშვი ხშირად სხვას ან სხვის ქცევას ასახიერებს. (მაგალითად, მეხანძრეა და აქრობს ხანძარს). აგრეთვე, მოცემულ საგნებსაც სხვა საგნებად წარმოადგენს (მაგალითად, ზის ყუთზე და თან ქუჩაში სატვირთო მანქანა მიჰყავს) და მისთვის ნაცნობ სიტუაციებს ასახიერებს (მიდის ბაზარში ან მაღაზიაში საჭმლის საყიდლად). სკოლამდელი ასაკის ბავშვისათვის ამგვარი თამაში იდეალური გზა არის გარე სამყაროს შეცნობისათვის. როლების თამაში ბავშვის განვითარების ყველა სფეროზე ახდენს ზემოქმედებას. თუკი მასწავლებელი სწორად დაგეგმავს თამაშს, ბავშვის გონებაც და სხეულიც თანაზომიერად ვითარდება.

როლებით თამაში სკოლამდელი ასაკის ბავშვზე შემდეგ დადებით ზეგავლენას ახდენს:

- ხელს უწყობს ხუთივე შეგრძნების განვითარებას;
- ვითარდება შინაგანი და გარეგანი მეტყველება;
- ეხმარება ბავშვს გაერკვეს ადამიანთა ტიპებსა და მათ ურთიერთობაში;
- აყალიბებს ურთიერთობას;
- ავითარებს შემოქმედებით აზროვნებას და პრობლემათა გადაწყვეტის უნარს;
- აყალიბებს თვითშეფასების უნარს;
- ვითარდება გრძნობებისა და ემოციების გამოხატვის უნარი;
- ვითარდება დიდი და მცირე კუნთები;
- ლაღ და ბედნიერ ბავშვობას წარმოაჩენს.

დრამატული თამაშის მეშვეობით ბავშვები სწავლობენ კონცენტრაციას, ავარჯიშებენ წარმოსახვას, უჩნდებათ ახალი იდეები, ბაძავენ უფროსების ქცევას, და გარე სამყაროს ეუფლებიან. გარდა ამისა, ბავშვებს უვითარდებათ მშვენიერების აღქმის უნარი, რიტმის შეგრძნება, შეიცნობენ გარე სამყაროს აგებულებას და საკუთარ სხეულს, უკეთ აცნობიერებენ საკუთარ აზრებს, გრძნობებსა და ემოციებს.

სოციალური განვითარება

დრამატული თამაში ხშირად სხვა ბავშვების მონაწილეობასაც გულისხმობს და ამდენად,

ეს თამაში, თანდათანობით გადაიქცევა ბავშვის სოციალურ არსებად ჩამოყალიბების საუკეთესო გზად. თამაშის პროცესი შეიცავს ერთობლივი დაგეგმვისა და თანამშრომლობის ელემენტებს: „მე დედა ვიქნები და შენ შვილი, კარგი?" ან „მოდი, ვითომ მაღაზიაში მივდივართ. ბობი მამა იქნება". ხშირად კონფლიქტური სიტუაციებიც თამაშდება „მე მინდა ფართოფარფლებიანი ქუდი დავიხურო; არა, არ დაიხურავ!" მიუხედავად იმისა, რომ თამაშისას ბავშვები ხშირად კამათობენ და ერთმანეთზე ბრაზდებიან, ამ პროცესში ისინი სწავლობენ ერთმანეთთან ურთიერთობას. ისინი იმასაც სწავლობენ რომ სხვებთან ერთად მუშაობა – სიამოვნებაა.

ემოციური განვითარება

ბავშვები თამაშისას იმას ამჟღავნებენ, რაც მათ იციან ცხოვრებაზე ან რა წარმოდგენაც აქვთ. ბავშვებს თან მოაქვთ შიშები (იმედი, ზოგჯერ მტკივნეული განცდები). პატარა ბავშვებს, რომლებსაც ჯერ არა აქვთ კარგად განვითარებული მეტყველება, თამაში გარე სამყაროს დასაუფლებლად სჭირდებათ.

ბავშვების თამაში ზუსტად აირეკლავს მათ წარმოდგენებს საზოგადოებრივ როლებსა და ურთიერთობებზე. მაგალითად, მათ კარგად იციან, რა ხდება ოჯახში – ვინ ამზადებს საჭმელს, ვინ რეცხავს, ვინ მუშაობს, ჩხუბობენ თუ არა მშობლები. თანხმობაში, ბედნიერად ცხოვრობს თუ არა ოჯახი და ა.შ. აქედან გამომდინარე, ბავშვები თავად ირჩევენ როლებსაც – ვინ ექიმია, ვინ ექთანი, მასწავლებელი და გამყიდველი. ბავშვები როლს ასახიერებენ საკუთარი წარმოდგენებისა და ცოდნის შესაბამისად.

ბავშვებს იმ მოვლენების დრამატიზება და წარმოდგენაც შეუძლიათ, რისთვისაც ყური მოუკრავთ ან თავად განუცდიათ. მაგალითად, შესაძლოა, ავტოავარია გაითამაშონ ანდა საყვარელი მოგონებები დადგან, რათა ხელახლა განიცადონ ბედნიერება.

გამოგონილი როლების თამაშისას, ბავშვებს უყვართ სხვადასხვა ტანსაცმლის ჩაცმა და საოცნებო პერსონაჟების განსახიერება. ბავშვი, ხან ავტორიტეტული მშობელია და, ხანაც ექიმი. მშიშარა ბავშვი, ვაჟკაცს თამაშობს; ბავშვი, რომელსაც უმცროსი და ან ძმა შეეძინა, ხშირად თავად ასახიერებს ჩვილ ბავშვს. ბავშვები ადამიანებს ან მოვლენებს მხოლოდ ისე კი არ წარმოაჩენენ, როგორც ეს რეალობაში არის ან შესაძლებელია, რომ იყოს, არამედ, თამაშით ისინი გამოხატავენ საკუთარ ოცნებასა და იმედის გაცრუებას, მარცხსა და შიშებს. თამაში საშუალებას აძლევს ბავშვებს უარყოფითი ემოციები გამოხატონ, რომელთაც სიტყვებით ვერ გადმოსცემენ.

როლების თამაშით ბავშვები ცხოვრებას თამაშობენ; ისინი რეალობას ისე წარმოაჩენენ და როლებსაც ისე ინაწილებენ, რომ ემოციურად დაიცვან თავი. თამაშის პროცესში ბავშვს შესაძლებლობა ეძლევა შეიცნოს საკუთარი ძალა და სისუსტე; გაიგოს, რა მოსწონს და, რა არ მოსწონს, ლიდერია თუ მიმდევარი, შეუძლია სხვებს წარუძღვეს, თუ თვითონ უნდა გაჰყვეს წინამძღოლს. ამგვარად, ბავშვი იწყებს საკუთარი მეობის გაცნობიერებას.

ინტელექტუალური განვითარება

როლების თამაშის პროცესში ხდება ბავშვის გონებრივი განვითარება. ბავშვი სწავლობს ცნებების დაკავშირებას, მოდელების დაუფლებას და ინფორმაციის ორგანიზაციას. ამ დროს ბავშვი ამოწმებს საკუთარ მოსაზრებებს და სწავლობს ცდისა და შეცდომის გზით, აწყობს

გეგმებს და ახორციელებს მათ, არჩევს წარსულს, აწმყოსა და მომავალს. ბავშვების მეხსიერება აქტიურად არის ჩართული ადამიანებისა და მოვლენების განსახიერების, წარმოჩენის პროცესში. ისინი სათამაშოებსა და საგნებს, სრულიად ახალ, გამოგონილ ფუნქციებს ანიჭებენ, საკუთარ მიზნებს რომ მოარგონ. ამგვარად, როლებით თამაში ხელს უწყობს ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებას, არა მხოლოდ შემოქმედებითი უნარის გამოცოცხლების მეშვეობით, არამედ, თამაშის პროცესში განვითარებული მეტყველება არსებით როლს თამაშობს ბავშვის აზროვნების და კომუნიკაციის უნარის ჩამოყალიბებაში.

დრამატული თამაშის როლი სკოლამდელი პროგრამის დღის წესრიგში

დრამატული თამაში არა მხოლოდ ზოგად, აბსტრაქტულ ცნებათა ჩამოყალიბებით შემოისაზღვრება, არამედ მჭიდროდ არის დაკავშირებული ობიექტურ რეალობასთან, ანუ პროგრამით არის გათვალისწინებული, კერძოდ:

საზოგადოებრივი ცნებები

ბავშვებს უყალიბდებათ ცოდნა ადამიანების, მათი როლებისა და ქცევის შესახებ. გარდა ამისა, თამაშის პროცესში ბავშვებს უვითარდებათ ინტერპერსონალური და სოციალური ჩვევები, რაც ძალზე მნიშვნელოვანია.

მათემატიკური ცნებები

როლებით თამაშის პროცესში ბავშვი მათემატიკის საფუძვლებსაც ეუფლება. დრამცენტრში თამაშისას, ბავშვებს მასალისა და საგნების კატეგორიებად დაყოფის უნარი შესწევთ. თეფშებს ისინი სამზარეულო მოწყობილობის ერთ ქვეკატეგორიას მიაკუთვნებენ, ხოლო ქვაბებსა და ტაფებს – მეორეს. პიაჟე ამას „კლასიფიკაციას" უწოდებს, ხოლო „კლასიფიკაციის" უნარის განვითარებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ლოგიკური აზროვნების ჩამოყალიბებისათვის. რადგანაც შეუძლებელია, სკამს მიუმატო ან გამოაკლო ვაშლი, ბავშვი იწყებს საგანთა კატეგორიებად დაყოფას.

ბავშვები კუთვნილების კატეგორიას ეუფლებიან, როდესაც სათამაშო სადილებს მართავენ და სუფრას აწყობენ. თითოეული ადამიანისათვის ერთი სკამის, თეფშის, ჭიქის, დანის, ჩანგლის მიკუთვნება, მათ საშუალებას აძლევს გააცნობიერონ სიდიდეები: "საკმარისი", "ზედმეტი", "ნაკლები" და "იგივე". აგრეთვე, ისინი სწავლობენ რომ, თურმე რაღაც უფრო დიდი ყოფილა ან უფრო პატარა, უფრო ფართო ან უფრო ვიწრო, უფრო მაღალი ან უფრო დაბალი, უფრო მძიმე და უფრო მსუბუქი. ტაშის დაკვრა, სიმღერა და რიტმული სვლა ხელს უწყობს თვლის, თანმიმდევრობისა და გამეორების ცნებების დაუფლებას.

ბუნებისმეტყველების საფუძვლები

როლებით თამაში ბუნებისმეტყველების საფუძვლებსაც მოიცავს. ბავშვები ხშირად ამგვარად თამაშობენ: "რა მოხდებოდა რომ, ... ?" ან "თუ ამას გავიმეორებ, იგივე მოხდება?" ბავშვები სწავლობენ გარესამყაროს, დაკვირვების (დაკვირვება მეცნიერული მეთოდია), შედარების, მსგავსებისა და სხვაობის დადგენის საშუალებით. ისინი ადგენენ პრობლემას და კერძო შემთხვევას აზოგადებენ ანუ კერძოდან ზოგადისაკენ მიდიან. ამგვარი თვისებები ბავშვების მეცნიერული აზროვნების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

მზაობა კითხვისათვის

ლექსიკონის გამდიდრება და ცნებებით აზროვნება აუცილებელი წინამძღვრებია კითხვისა და წაკითხულის გაგებისათვის. როლებით თამაშისას ბავშვები მეტყველების საშუალებით ამყარებენ ურთიერთობას, ერთმანეთს უზიარებენ აზრებს, რაც იწვევს მათი ლექსიკონის გამდიდრებასა და მეტყველების განვითარებას. საგნების კლასიფიკაცია, კატეგორიებად დაყოფა, ერთნაირი საგნების ერთად მოთავსება, განსხვავებული საგნების გადარჩევა, ხელს უწყობს ბავშვის დაკვირვების უნარის განვითარებას. მსგავსებისა და სხვაობის გარჩევა კი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ასოების ცნობისა და კითხვის დასაუფლებლად.

ბავშვები საკუთარი აზრების ორგანიზაციას ახდენენ, როდესაც გარკვეულ როლს ასახიერებენ. მათ უვითარდებათ მოსმენილი აზრის აღქმის უნარი, რაც, აგრეთვე, აუცილებელია კითხვისას, სადაც ყოველ მოთხრობას გააჩნია დასაწყისი, მოვლენათა თანმიმდევრობა და დასასრული.

დრამცენტრში სათამაშო ტელეფონებზე ასოებია აღნიშნული. ქილებსა და ყუთებსაც წარწერები აქვთ, რომელიც მასწავლებელმა დააწერა. ბავშვები თანდათან ეჩვევიან ასოებისა და სიტყვების ცნობას.

როგორ არის დაკავშირებული დრამცენტრი აქტივობის სხვა ცენტრებთან

დრამატული აქტივობა, ანუ როლებით თამაში არ უნდა იყოს შემოფარგლული მხოლოდ დრამცენტრისათვის განკუთვნილი ფართობით; სასურველია, ის სხვა აქტივობის ცენტრებში იყოს ჩართული.

წერა-კითხვის აქტივობის ცენტრი უამრავ საშუალებას გვთავაზობს როლების განსახიერებისა და შემოქმედებისათვის. წიგნები, სიმღერები, სათამაშოები, ცხოველი და სხვა საგნები, რომლებიც თავმოყრილია ამ ცენტრში, აუცილებლად გამოგვადგება დრამცენტრშიც.

მუსიკის აქტივობის ცენტრი ყოველმხრივ ხელს უწყობს შემოქმედებითი თამაშის განვითარებას და ამდიდრებს მას სიმღერებით, საკრავი ინსტრუმენტებით, ფირებით, დასარტყამი ინსტრუმენტებით.

კუბურების აქტივობის ცენტრში უამრავი მასალა მზადდება დრამცენტრისათვის. უბრალო კუბურების შეკვრა შეიძლება ან სახანძრო მანქანად ვაქციოთ, ან ციხესიმაგრედ და კოშკად. მუყაოს ყუთი შეიძლება თავშესაფარიც იყოს და ფორტიც. კუბურების ცენტრის მასალა და ნაგებობები თავისუფლად უნდა გამოვიყენოთ დრამცენტრში; თამაშის დასრულების შემდეგ მასალა თავის ადგილზე უნდა დავაბრუნოთ.

მასწავლებლებიც და ბავშვებიც ხელოვნების ცენტრში ცდილობენ დეკორაციებისა და რეკვიზიტების დამზადებას დრამწრის პროექტისათვის. ხელოვნების ცენტრში ბავშვები ღებავენ ციხე-სიმაგრეებს, ამზადებენ ქაღალდის ქუდებს, მუყაოსაგან აკეთებენ ულვაშებს, თასმებს იყენებენ საცირკო წარმოდგენებში.

დრამცენტრის მოწყობა

მრავალი გზა არსებობს, დრამცენტრს ისეთი ადგილი მივუჩინოთ კლასში, რომ ბავშვებმა

მყუდროდ იგრძნონ თავი, განეწყონ როლებით თამაშისათვის და, ამავე დროს, ადვილად შეეძლოთ სხვა აქტივობის ცენტრებთან დაკავშირება; აგრეთვე, მასწავლებელს საშუალება ჰქონდეს კლასის ყველა კუთხიდან თვალყური ადევნოს ბავშვების მოქმედებას. თან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ადგილზე სხვადასხვა სიტუაციების დადგმა და წარმოდგენა ადვილად ხორციელდებოდეს.

დრამცენტრი ჩვეულებრივ ოთახის ერთ-ერთ კუთხეშია მოთავსებული. ეს კუთხე კარისგან მოშორებით უნდა იყოს, რომ ბავშვებს თამაშში ხელი არ შეეშალოთ. კუბურების ცენტრი ხელს უწყობს დრამცენტრის წარმატებით მუშაობას და ამიტომაც, ხშირად ეს ორი წრე ერთმანეთის გვერდიგვერდ არის ხოლმე მოთავსებული და აქტიურად თანამშრომლობს.

დრამცენტრის ტერიტორია მკაფიოდ უნდა იყოს შემოფარგლული. ტიხარი ყოველნაირად იცავს თამაშში გართულ ბავშვებს, სხვა ბავშვების სირბილისა და ხმაურისაგან. ტიხარი ბავშვებს განმარტოების საშუალებას აძლევს. ამავე დროს, ცხადია, ეს სივრცე მთლიანად არ უნდა იყოს დახურული, რომ სხვა ბავშვებსაც საშუალება ჰქონდეთ თავისუფლად ჩაერთონ თამაშში, თუკი ამისი სურვილი აქვთ. ტიხარი შეიძლება ავეჯითა და თაროებით გაკეთდეს. ავეჯი და თაროები არ უნდა იყოს ძალიან მაღალი, რომ უფროსებს საშუალება ჰქონდეთ თვალყური ადევნონ ბავშვების მოქმედებას.

მასწავლებლებმა ბავშვებს არ უნდა დაუშალონ თამაშის პროცესში ადგილის გამოცვლა. თამაში ხშირად საოჯახო კუთხეში იწყება, სადაც ბავშვები როლების შესაბამისად გამოეწყობიან ხოლმე და, ქვიშის მაგიდასთან გრძელდება, რომელიც ზღვის სანაპიროს განასახიერებს. ბავშვები თამაშით რომ გაერთობიან, ადგილის გამოცვლა მოუნდებათ ხოლმე; ამიტომაც ისინი ხშირად "მიდიან სკოლაში", ანუ წერა-კითხვის ცენტრში, "მიდიან მაღაზიაში" – მანიპულატივების ცენტრში.

მასალა

ძირითადი მასალა

ძირითად სათამაშო ავეჯს შეადგენს: სათამაშო ქურა, ნიჟარა, მაცივარი, საყინულე, კომოდი, თაროები, სამასკარადო ტანსაცმლისა და თოჯინების ტანსაცმლის საკიდი; თოჯინების საწოლები, რომელშიც ბავშვიც თავსდება, ბუფეტი ან თაროები, სადაც აწყვია ქვაბები, ტაფები, დანა-ჩანგალი, თეფშები, გამოგონილი პროდუქტები (ცარიელი ქილები და ყუთები), მაგიდა და ოთხი სკამი, დიდი სარკე. (სარკე იმ მასალისაგან უნდა იყოს დამზადებული, რომელიც არ ტყდება).

ტანსაცმელი

ყოველ დრამცენტრში აუცილებლად უნდა იყოს ტანსაცმელი; მამაკაცისა და ქალის ქუდები, ყელსახვევები, ჰალსტუხები, ქალის კაბები და ქვედაკაბები (ისე უნდა დამოკლდეს, რომ ბავშვს სიარულში ხელი არ შეეშალოს), შალები, ჩანთები, ფეხსაცმელი, საფულეები, გასაღებები, სამგზავრო ჩანთები, წინსაფრები და სხვა, მოკლედ, ყველაფერი რაც საჭიროა "სახლობანას" თამაშისათვის. აქვე უნდა იყოს თოჯინის ტანსაცმელი, "ბავშვების" გახვევისა და ჩაცმისათვის საჭირო ქსოვილის ნაჭრები, "ჩვილი ბავშვის" ქვეშაგები, საბნები და ა.შ.

საჭმლის მომზადება

სათამაშო ქვაბებით და ტაფებით ბავშვები "ვითომ საჭმელს" ამზადებენ; შემდეგ სუფრას აწყობენ სათამაშო თეფშებით, დანა-ჩანგლით და "ერთმანეთს უმასპინძლდებიან". პლასტმასის ბოთლებიდან "შვილებს" რძეს ასმევენ. ჩაიდანი ან ყავადანი, ხის კოვზები, ჩამჩა, საცერი, სათქვეფელა, საწყაო ჭიქები, თასებიც ძალზე გამოსადეგია თამაშში. აგრეთვე, თაროებზე აწყვია ცარიელი კონსერვის ქილები ნახატებითა და წარწერებით; "ლობიო", "შუხუდო", "ატამი" (წინასწარ უნდა შევამოწმოთ ქილები, რომ ბავშვებს ხელი არ გაეჭრათ) ცარიელი ყუთები "ბრინჯის, მაკარონის, შაქრისათვის" და ა.შ.

დალაგება - დასუფთავება

დრამცენტრის კუთხეში ცალკე აწყვია ცოცხი, იატაკის საწმენდი ჯოხი და ტილო, რბილი მტვრის ტილოები და ჯაგრისები. "საწმენდი სითხის" ნაცვლად ნახატებიანი და წარწერებიანი ცარიელი ბოთლები გამოვიყენოთ.

მასალის შეგროვება



როლებით თამაში თანდათან უფრო ვითარდება და ცხრილშიც მეტი დრო ეთმობა. შესაბამისად, ბავშვებს დრამცენტრში თანდათან უფრო რთულ და საინტერესო მასალას ვთავაზობთ. თავიდან დრამცენტრისათვის განკუთვნილი მთელი მასალა არ უნდა გამოვფინოთ თაროებზე. მასალის შეგროვება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია და შეიძლება მთელი წელიც გაგრძელდეს. ამ პროცესში აქტიურად არიან ჩაბმული მშობლები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ა. შ.

შესაძლოა, ძირითადი მასალა კლასში იყოს თაემოყრილი, მაგრამ რაღაც მნიშვნელოვანი მაინც დაგვაკლდეს. ამისათვის საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სია, რომელიც მშობლებს ამცნობს, თუ რა მასალა სჭირდება ცენტრს და, რით დაგვეხმარონ.

როლებით თამაშისას დრამცენტრში გამოიყენება შემდეგი მასალა:

ძველი საყვირი
ძველი საჭე
ძველი საბურავი
ძველი ტელეფონი
ბეწვეული
ზარები
კუბურები
ღილები
ჩექმები
მოსასხამები
მუყაო
მუყაოს ყუთები
ფერადი ქაღალდები
გვირგვინები
სათვალეები, მზის სათვალეები
ხელთათმანები
წებო
ქუდები
მუსიკალური საკრავები
სამზარეულო მოწყობილობა
დიდი სარკე
დიდი კუბები
კოსმეტიკა
ნიღბები
პატარა ხალიჩები
საბავშვო ლექსები
ძველი ბიჟუტერიის სამკაულები
ქაღალდის ჩანთები
ლექსები
ქვაბები და ტაფები
ფირზე აღბეჭდილი ცხოველთა ხმები
შარფები
ფეხსაცმლის ყუთები
ფეხსაცმელი
წინდები, თოჯინების დასამზადებლად
ზღაპრების წიგნები
საწრუპავები
თასმები
ყელსახვევების ჰალსტუხები

თოჯინები	ქაღალდის თეფშები	სარწყავები
„დიდების" ტანსაცმელი	ხელსახოცები	გასახვევი ქაღალდი
სამასკარადო კოსტიუმები	ცხოველების სურათები	ძაფის გორგლები
დოლები	ძაბრები	

ცხოველების განსახიერებისათვის საჭირო საგნები (კუდები, ყურები, დრუნჩები)
სიმღერების ჩანაწერები და ფირები (განსაკუთრებულად რიტმული სიმღერები)

აღმზრდელთა ჯგუფის როლი

მასწავლებელი გადამწყვეტ როლს თამაშობს როლებით თამაშის სწორად და საინტერესოდ წარმართვაში. მასწავლებელი აწყობს გარემოს, გამოყოფს სივრცესა და დროს, აგროვებს მასალას და ისეთ პირობებს უქმნის ბავშვებს, რომ მათი წარმოსახვა ამუშავდეს. მასწავლებელი ისეთ მასალას აგროვებს, რომ ბავშვებს მაქსიმალურად მრავალფეროვანი როლების განსახიერება შეეძლოთ. მასწავლებელი ცდილობს, ბავშვებმა თავისუფლად გამოხატონ საკუთარი გრძნობები. მასწავლებელი სტიმულს აძლევს ბავშვებს. მასწავლებელი ყურადღებით აკვირდება ბავშვებს და სასარგებლო რჩევებს სთავაზობს.

დაკვირვება

ბავშვები თავისუფლად ირჩევენ დრამცენტრში როლებსა და თამაშებს (ამ ცენტრში მოთამაშე სხვა ბავშვებთან შეთანხმებით). ზოგჯერ, მათი თამაში ლოგიკურად ვითარდება (უფროსების თვალთახედვით), ზოგჯერ კი – სრულიად მოულოდნელი მიმართულებით წარიმართება ხოლმე. მასწავლებლები, ჩვეულებრივ, სათამაშო სივრცის გარეთ არიან. თუმცა, ისე შორსაც არ მიდიან, რომ თვალყური ვერ ადევნონ ბავშვების მოქმედებას. მასწავლებლები შესაფერის რეკვიზიტებს სთავაზობენ ბავშვებს, გეგმავენ ისეთ აქტივობას, რომელიც ხელს შეუწყობს მათ განვითარებას ამა თუ იმ სფეროში.

მასწავლებლები უხეშად არ უნდა ჩაერიონ ბავშვების თამაშის პროცესში, უშუალოდ არ უნდა წარმართონ თამაში და მხოლოდ იმ შემთხვევაში განმუხტონ სიტუაცია, როდესაც ამას ბავშვთა ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება მოითხოვს. ჩარევა აფერხებს უშუალო, თავისუფალ თამაშს. გახსოვდეთ, ბავშვები ისე თამაშობენ, როგორც ესმით. მათი თამაში წარმოსახვის ვარჯიშია. ამას შეიძლება ილუზიით თამაშიც ეწოდოს და, რაც მთავარია, მათ საშუალება უნდა ჰქონდეთ თავისუფლად გამოხატონ გრძნობები, აზრები და საკუთარი თავი.

პრობლემების მოგვარება

როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი, თუკი ბავშვები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ერთსა და იმავე თემას უტრიალებენ და ერთი და იგივე თამაშს თამაშობენ? ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი არ არსებობს. უწინარეს ყოვლისა, მასწავლებელი კარგად უნდა იცნობდეს ბავშვებს და თავად გადაწყვიტოს, რამდენად სჭირდებათ მათ ეს თამაში, ან, რამდენად კონსტრუქციულია ესა თუ ის თამაში. ერთის მხრივ, თამაშის განმეორება, იმის მიმნიშნებელია, რომ დრამწრეში ვერ ხერხდება ბავშვებისათვის ახალი იდეების მიწოდება. მასწავლებელმა ახალი, საინტერესო მასალა და რეკვიზიტები უნდა შესთავაზოს ბავშვებს, ახალი იდეების ხორცშესასხმელად. თამაშის გამეორება იმაზეც მიანიშნებს, რომ ბავშვებს აკლიათ თამაშის გამოცდილება. ამისათვის, მასწავლებელმა ისე უნდა დაგეგმოს ცხრილი, რომ ბავშვებს თავად მოუნდეთ თამაშის გავრცობა და განვითარება. დაბოლოს, თამაშის

განმეორება, იმასაც ნიშნავს, რომ ბავშვები ვერ თავისუფლდებიან მიღებული ემოციური ტრამვისაგან, ან იმ მომენტში განიცდიან გარკვეულ ემოციურ მდგომარეობას, ხოლო მათი თამაში ერთგვარი საპასუხო რეაქციაა რეალობაში არსებული პრობლემებისადმი. ამ შემთხვევაში, მრავალჯერადი თამაში სამკურნალო მნიშვნელობას იძენს. თუკი ასევა საქმე, მასწავლებლებმა უნდა აღიარონ, რომ ისინი ფსიქოთერაპევტები არ არიან. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელი ყოველმხრივ ცდილობს გაუგოს და დაეხმაროს ბავშვს, ბაღი ან სკოლა მაინც არ არის შესაფერისი ადგილი ფსიქოთერაპევტული სეანსების ჩასატარებლად. როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი, როცა თამაში დაკა-დაკასა და ჩხუბში გადაიზრდება? ზოგჯერ ასეც ხდება, რადგან უამრავი მასალაა დაგროვილი, რომელთაგან ზოგი, არაორგანიზებულობისაკენ უბიძგებს ბავშვებს. ამ შემთხვევაში, მასწავლებელმა მასალა, რომელიც არეულობას იწვევს, მშვიდად უნდა აალაგოს, ცენტრში წესრიგი დაამყაროს და ბავშვებს საშუალება მისცეს თამაში განაგრძონ.

როგორ უნდა მიეხმაროს მასწავლებელი ზედმეტად მორცხვ ბავშვს, რომელსაც დრამცენტრში შესვლისაც კი ეშინია? მასწავლებელმა ბავშვს ხელი უნდა ჩაკიდოს და ჩართოს თამაშში, (თან კარზე უნდა დააკაკუნოს და თამაშში ჩართულ ბავშვებს უთხრას "დეიდა მერი გესტუმრათ" ანდა "ტომი დაბრუნდა სოფლიდან") როგორც კი, ბავშვები მორცხვ ბავშვს მიიღებენ, მასწავლებელი შეუმჩნევლად უნდა გაშორდეს ცენტრს.

თუ ბავშვები ხმაურობენ და ერთმანეთს ხელს უშლიან, მასწავლებელი მაშინვე ერევა და აღკვეთს ამგვარ ქცევას. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ ზოგჯერ უწესო ქცევა გარკვეული მიზეზებით არის გამოწვეული, რასაც, შეიძლება, მასწავლებელი (და ვერც უწესო ბავშვი) ვერ ხვდება. ამიტომაც, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვუწოდოთ ბავშვს "უწესო" ან გავაგდოთ თამაშიდან. მასწავლებელი უნდა შეეცადოს გაარკვიოს, რამ გამოიწვია ბავშვის ცუდი ქცევა. მასწავლებელმა უნდა გაუგოს ბავშვს, უნდა ჩაწვდეს ემოციურ მიზეზებს, რაც მის "უწესობას" განაპირობებს, მაგრამ უწესო ქცევა არ უნდა დაუშვას. მასწავლებელი უნდა იყოს მშვიდი და მკაცრი. მან ბავშვი სხვა საქმიანობაზე უნდა გადართოს. (მაგალითად "შენ შეგიძლია თიხას ურტყა, რამდენიც გენებოს, მაგრამ შენს ამხანაგს არ უნდა დაარტყა", ანდა "შენ შეგიძლია ლურსმნები დააჭედო სკამს, მაგრამ სკამები არ უნდა აბრახუნო").

პროგრესის ამსახველი ჩანაწერები

სასწავლო წლის მანძილზე მასწავლებელთა ჩანაწერებში უნდა აისახოს წინსვლა ბავშვების განვითარებაში – ინფორმაციის, მეტყველების, თვით-შეფასების ამაღლების, თანამშრომლობის უნარის, ქცევის, ურთიერთობისა და ცოდნის ამაღლების თვალსაზრისით. მკაფიოდ უნდა იყოს გამოხატული, რა სარგებლობა მოაქვს დრამცენტრში როლებით თამაშს ბავშვებისათვის. ყურადღება უნდა მიექცეს შედეგ ასპექტებს, კერძოდ:

- გარდასახვის უნარი ანუ სხვების განსახიერება;
- საგნების სხვა დანიშნულებით გამოყენება;
- სიტუაციის, ან საგნის აღწერა და წარმოჩენა ჟესტებით, ხმებითა და სიტყვებით;
- თამაშში სხვების ჩართვა;
- თამაშის დროს სხვებთან საუბარი თამაშის კონტექსტში

თამაშის გაფართოების გზები

წიგნები, რომლებიც ბავშვთა თამაშის თემას ეხება, სხვადასხვაგვარად გამოიყენება. თუკი ბავშვი კონკრეტული თემით არის დაინტერესებული, წიგნები კიდევ უფრო გაუღვივებენ ინტერესს. თუკი ბავშვს აშკარა შიში ემჩნევა რაღაც თემის მიმართ (მაგალითად ექიმთან წასვლა, საავადმყოფოში მოხვედრა), წიგნების მეშვეობით, მან შეიძლება კარგად შეისწავლოს სიტუაცია და დასძლიოს უსაფუძვლო შიში. თუკი თამაშმა გამოამჟღავნა, რომ ბავშვმა რაღაც არ იცის ან არასწორად იცის, წიგნი საშუალებას მოგვცემს მართებული ინფორმაცია მივაწოდოთ აღნიშნულ საკითხზე. წიგნები ახალ იდეებს სთავაზობენ ბავშვებს, ფრთებს ასხამენ მათ ფანტაზიას და თამაშიც უფრო შინაარსიანი გამოდის.

თამაშის განვითარებას ხელს უწყობს ექსკურსიები საზოგადოებრივ ადგილებში. ექსკურსიების შედეგად ბავშვები მრავალ ახალს იტყობენ, მრავალ საინტერესო დაწესებულებას ეცნობიან და რეალური წარმოდგენები უყალიბდებათ საგნებსა და მოვლენებზე. ექსკურსიები შეიძლება მოეწყოს პურის საცხობში, მაღაზიაში, სახანძრო სადგურში, პოლიციაში, კბილის ექიმთან, საავადმოყოფოში, პოლიკლინიკაში. კლასის სტუმრებიც ძალზე საინტერესოდ შეგვიძლია ბავშვების განვითარების პროცესში ჩავრთოთ. ყოველი პროფესია საინტერესოა ბავშვებისათვის. სტუმარი შეიძლება იყოს ექიმი, დამლაგებელი, მევიოლინე, პურისმცხობელი და ა.შ. თუკი ისინი უამბობენ ბავშვებს თავიანთი პროფესიის შესახებ, ბავშვები ძალზე დაინტერესდებიან და მოსმენილს მეორე დღესვე გაითამაშებენ. მშობლების, ნათესავების, ოჯახის მეგობრებისა და უბრალო ნაცნობების სტუმრობაც ძალზე ახარებთ ბავშვებს და სიამაყით აღავსებთ. ამგვარი სტუმრობის შემდეგ მათ მეტი სტიმული აქვთ როლების განსახიერებისათვის.

ბავშვების მიერ არჩეული თემის შესაბამისი სურათები კედლებზე უნდა დავკიდოთ. შესაძლოა, ბავშვებს სურათების აღწერა ვთხოვოთ, რაც ხელს უწყობს ცნებითი აზროვნების განვითარებას. ექსკურსიის შემდეგ, კარგია თემატური სურათების გამოფენა, რაც კიდევ უფრო გააღრმავებს შეძენილ ცოდნას.

ბავშვებთან საუბარი და მსჯელობა ნებისმიერ თემაზე, ძალზე სასარგებლოა. განსაკუთრებით საჭიროა თემატური საუბრების ჩატარება ექსკურსიის წინ – ამ დროს ბავშვებს ვუამბობთ, რის ნახვას ვაპირებთ, როგორ უნდა მოიქცნენ კონკრეტულ ადგილას, რით არის ეს ადგილი საინტერესო და ა.შ. – და ექსკურსიის შემდეგ, – ბავშვები თავად საუბრობენ, რა ნახეს, რა გაიგეს, სვავენ შეკითხვებს, კამათობენ. მასწავლებელი ეხმარებათ დამატებითი ინფორმაციის მიწოდებით და მიღებული ცოდნის განმტკიცებით.

საუბარი აუცილებელია, როდესაც მნიშვნელოვანი ამბავი ხდება უბანში ან ქალაქში ან, სულაც, ბავშვის ოჯახში. საუბარს, ბავშვების მხრივ, შეკითხვები მოსდევს ხოლმე და ზოგჯერ აღმოჩნდება, რომ ბავშვს სრულიად სხვაგვარად წარმოუდგენია ესა თუ ის საკითხი, ვიდრე ის რეალობაში არის.

აქტივობები და პროექტები

რიტმული თამაში

რიტმული თამაში მოძრაობაში თვითგამოხატვის ერთ-ერთი საშუალებაა. რიტმული თამაში მუსიკისა და ცეკვის ერთ-ერთი სახეობაა.

საწყის სტადიაზე ბავშვები სწავლობენ მუსიკის თანხლებით ადგილზე რწევასა და ხტომას. სწორედ აქედან წარმოიშობა მოძრაობა. სკოლამდელ ასაკში რიტმული თამაში ხელს უწყობს კუნთებისა და მოძრაობის დაუფლებასა და გრძნობების მოძრაობით გამოხატვის შესაძლებლობას. თანდათანობით ბავშვები თავისუფლად ეუფლებიან რიტმულ მოძრაობებს.

საწყის სტადიაში რიტმის განვითარება ხდება ტაშის დაკვრით, მწყობრი ნაბიჯის, ხტუნვის, ასკინკილისა და რიტმული რხევის სწავლებით.

ტაშის დაკვრა

<u>გაკვეთილი პირველი</u>: რიტმული ტაში თვლის თანხლებით

- ბავშვების ჯგუფი დასხით იატაკზე ან დააყენეთ წრეში;
- ტაში დაუკარით მარტივ თვლაზე - ერთი-ორი-ტაში;
- ასწავლეთ ბავშვებს ტაშის აწყობა მეორე ტაქტზე;
- ბავშვები ეუფლებიან ტაშის დაკვრას მეორე ტაქტზე;
- წრეში სიარული. ბავშვები ტაშს აყოლებენ მეორე ტაქტს;
- ერთ - ერთი ბავშვი ითვლის და დანარჩენები ტაშს აყოლებენ;
- შეგვიძლია რიტმული ტაში მასწავლების მონაწილეობით თანდათანობით გავართულოთ.

<u>გაკვეთილი მეორე</u>: რიტმული ტაში მუსიკის თანხლებით

- დაუკარით მკაფიოდ გამოხატული რიტმული მუსიკა;
- ტაში ააყოლეთ რიტმს;
- აიყოლიეთ ბავშვები;
- დაუკარით სხვადასხვა ფირები და ბავშვებთან ერთად ტაშით გამოსახეთ რიტმი. სთხოვეთ ბავშვებს, განასხვავონ სხვადასხვა რიტმები (წააქეზეთ, შეაქეთ, კითხვები დაუსვით, თუ საჭირო გახდა, აჩვენეთ, როგორ უნდა აყვნენ რიტმს).

<u>გაკვეთილი მესამე</u>: ტაში, თხრობის თანხლებით

- ბავშვებს წაუკითხეთ ნაცნობი პატარა მოთხრობა, სადაც თხრობა, რიტმულია და ხშირად მეორდება სიტყვები.
- გამეორებული სიტყვების ნაცვლად ბავშვებმა ტაში უნდა დაუკრან, ისე რომ მოთხრობის რიტმი არ დაირღვეს.
- სიტყვები რიტმული ტაშით გამოსახონ.

მწყობრი სვლა

მარში, მწყობრი სვლა, პარადი, პროცესია, - რაც შეიძლება ხშირად უნდა დაიდგას საკლასო ოთახში. სკოლამდელ ასაკში მწყობრი სვლა საუკეთესო ფიზიკური ვარჯიშია. იგი ხელს უწყობს მოძრაობის კოორდინაციას და გრძნობათა გამოხატვის უნარის განვითარებას. მწყობრი სვლაში ვარჯიში საკლასო ოთახშიც შეიძლება და ეზოშიც. შესაძლოა, მწყობრი ნაბიჯით გადავიყვანოთ ბავშვები ერთი აქტივობიდან მეორეზე.

მწყობრი სვლა მუსიკის თანხლებით მიმდინარეობს. შესაძლოა, რიტმების გაძლიერება დოლით ან თვითნაკეთი საკრავების საშუალებით.

<u>მწყობრი სვლის ან მარშის ტიპები:</u>

- ადგილზე ნაბიჯით სვლა – მაღალი ნაბიჯი (დაბალი ნაბიჯი);
- მწყობრი სვლა მარცხენა ფეხის ბაკუნით, ან მარჯვენა ფეხის ბაკუნით;
- მწყობრი სვლა, – ბრუნი მარჯვნივ, მწყობრი სვლა – ბრუნი მარცხნივ;
- მწყობრი სვლა წინ, ბრუნი და უკან სვლა;
- მწყობრი სვლა ტაშის, ბაკუნის, ან შეძახილის თანხლებით;
- მწყობრი სვლა ხელების მოძრაობის თანხლებით;
- მწყობრი სვლა წრეში, მწკრივში, რიგებად;
- მწყობრი სვლა დაბრკოლებების გადალახვით.

ხტუნვა და ასკინკილა

ხტუნვა და ასკინკილა ბავშვებს არ ესწავლებათ. ორივე - ბავშვისათვის ბუნებრივი მოძრაობაა. ბავშვები ხტუნვისას ზოგჯერ ცხოველებს ბაძავენ. სწორედ ეს შეგვიძლია გამოვიყენოთ როლებით თამაშისათვის. ხტუნვა, შეიძლება, ბუნებრივად შემოქმედებით თამაშად ვაქციოთ.

ამგვარი აქტივობა უმჯობესია ეზოში ჩატარდეს, სადაც მეტი სივრცე და თავისუფლებაა.

რწევა

პატარა ბავშვები ხშირად მუსიკასთან შეწყობილად ირწევიან. მათ ძალიან უყვართ დოლის დაკვრა, სიტყვების დამარცვლით წარმოთქმა, ზღაპრის მოსმენისა ან ჩვეულებრივ ყოფით სიტუაციებში.

რიტმული რწევა ან მთელი ტანით რხევა ყოველმხრივ უნდა განვავითაროთ. ბავშვები წააქეზეთ მოძრაობაში მკლავები და ხელებიც ჩართონ, თავი, მხრები და ფეხებიც ამოძრაონ.

თითებით თამაში და თოჯინები

თითებით თამაში

უამრავი ძალიან სასაცილო და საინტერესო თამაშების გამოგონება შეიძლება თითების

ხატოთ. ეს როლების თამაში არ არის, არამედ "უბრალოდ თამაშია". თითების მოძრაობას უნდა შევუწყოთ ხმები, სიტყვები და საუბარი, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს თითებით წარმოდგენილ ხატს.

ბავშვებს თითების მოძრაობით შეუძლიათ წარმოადგინონ მთელი სიმღერა ან ზღაპარი. თითების მოძრაობით ცხოველების გამოსახვა ავითარებს წარმოსახვის უნარს.

თითების სათამაშო თოჯინები

მასალა: ქაღალდი, მაკრატელი, ფერადი ცარცი, წებო.

მომზადების წესი:

1. გამოჭერით ქაღალდის ცხოველი ან ადამიანის თავი. ფიგურა ისე გამოჭერით, რომ ყოველ მხარეს ნაწიბურები დაატანოთ.

2. გააფერადეთ საჭირო ნაკვთები ფერადი ცარცით.

3. ნაწიბურები ერთმანეთს შეაწებეთ ისე, რომ თოჯინა ადვილად ჩამოიცვათ ერთ თითზე.

4. ჩამოიცვით თოჯინა თითზე, თითი ამოძრავეთ ისე, რომ თოჯინამ თავი თქვენი სურვილისამებრ ამოძრაოს.

მოსიარულე თოჯინები

მასალა: ქაღალდი, მაკრატელი, ფერადი ცარცი, წებო.

მომზადების წესი:

1. ნებისმიერი ფიგურის ტანი და თავი გამოჭერით ქაღალდისაგან. მოიტოვეთ ნაწიბურები (იხ. ქვემოთ).

2. შეღებეთ ან ფერადი ცარცით გააფერადეთ ნებისმიერი ნაწილები.

3. ნაწიბურები ერთმანეთს ისე მიაწებეთ, რომ საჩვენებელი და შუა თითი შიგ გაუყაროთ ისე, რომ ბავშვის თითები თოჯინის ფეხებად იქცევა. ამგვარი თოჯინა დადის, დარბის, ცეკვავს. (პლატსი, 1966).

თოჯინები

თოჯინები საკლასო მუშაობას სიცოცხლით ავსებენ. თოჯინები წარმოსახვის, შემოქმედებითი მიდგომის, თვითგამოხატვის უნარის ჩამოყალიბებისათვის საუკეთესო საშუალებაა. თითქოს თოჯინა და დედოფალა ერთია, მაგრამ თოჯინა მაინც მეტია დედოფალაზე. თოჯინები გაცილებით მეტ, დახვეწილ ფანტაზიასა და წარმოსახვის უნარს მოითხოვენ ბავშვებისაგან ვიდრე, დედოფლები. თუნდაც თოჯინების თეატრი გავიხსენოთ.

ბავშვებისათვის საკუთარი ხელით დამზადებული თოჯინები და ტიკინები განსაკუთრებულად ძვირფასია. თოჯინა მათი საკუთრება ხდება. თოჯინების გაკეთების პროცესი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შედეგი. ბავშვები განსაკუთრებულად იწაფებიან მეტყველებაში, როდესაც საკუთარი ხელით დამზადებული თოჯინების ალაპარაკებას ცდილობენ. როდესაც ბავშვი თოჯინებით თამაშობს, იგი დიალოგის ორივე მხარეს თვითონ ახმოვანებს. ბავშვი თოჯინებით თამაშისას თავის საყვარელ როლს ასრულებს ხოლმე. მას შეუძლია ტელევიზორში ნანახი სიტუაცია გაითამაშოს. შესაძლოა, მშობლებს ან მეგობრებს მიბაძოს.

შესაძლოა, დასაწყისში ბავშვებს საყვარელი ზღაპრის მაგალითზე აჩვენოთ, როგორ მოძრაობენ, მოქმედებენ და ლაპარაკობენ თოჯინები.

რჩევები კლასში თოჯინების წარმოდგენების განსახორციელებლად

- ჩამოაყალიბეთ თოჯინების ცენტრი, სადაც დიდ ყუთში ჩააწყობთ თოჯინების დასამზადებლად საჭირო მასალას და დამზადებულ თოჯინებს.
- ბავშვები წინასწარ ათამაშეთ მზა თოჯინებით და შემდეგ დააწყებინეთ საკუთარი ხელით თოჯინების დამზადება.
- ბავშვები სარკის წინ ავარჯიშეთ თოჯინებით, რათა უკეთ ისწავლონ მათი მოძრაობა, ჟესტები, გახმოვანება.

როგორ გავაკეთოთ თოჯინები

ხელზე დახატული თოჯინები

1) შეკარით მუშტი. ცერა თითი უნდა ეხებოდეს საჩვენებელი თითის მეორე სახსარს.

2) პომადითა და სახის საღებავებით ხელის ზურგზე დაიხატეთ სახე.

3) მუშტის თავზე ძაფებით თმა გაიკეთეთ და შემოახვიეთ შარფი.

4) ცერის დახმარებით "თოჯინა" ამოძრავეთ და ალაპარაკეთ.

წინდის თოჯინა

ძველი თეთრი წინდისაგან შესანიშნავი თოჯინა კეთდება

1) ძაფებით გააკეთეთ თმა და დააკერეთ წინდაზე. ღილები თვალებისა და ცხვირისათვის გამოიყენეთ.

2) გაარღვიეთ ნაკერი, გადაკეცეთ და თითოეული ნაკეცი ცალ-ცალკე ამოუხვიეთ ძაფით, ასე გამოგივათ პირი.

3) ნაკუწებისაგან გააკეთეთ ყურები, წვერები და სხვა.

ქაღალდის თეფშის ნიღაბი

ნიღაბი მზადდება მოხატული ქაღალდის თეფშის ძირით.

1) აიღეთ ფერადი ქაღალდი ან ქაღალდის თეფში.

2) თეფშის მეორე მხარეს დაამაგრეთ მტკიცე ხელტარი, რომლითაც ბავშვები ათამაშებენ ნიღაბს.

დაკეცილი ქაღალდის თეფშის ტიკინები

1) ორად გადაკეცეთ ქაღალდის თეფში ისე, რომ რომელიმე ცხოველის ყბებს მიამსგავსოთ.

2) გააფერადეთ და მორთეთ ფერადი ქაღალდებით.

3) ასეთი ტიკინები ცერითა და თითებით ათამაშეთ.

ფეხის ტიკინები

1) ბავშვს ფეხის გულზე დაახატეთ თოჯინის სახე. ფეხის თითები თმების მაგივრობას გასწევს.

2) ბავშვები ფეხებს სკამზე აწყობენ და ფეხის ტიკინებს ათამაშებენ. ბავშვებს ძალიან ართობთ ეს უჩვეულო თამაში.

3) ბავშვებს წინ სარკე დაუდგით, რომ თავად დატკბნენ საკუთარი "ფეხის ტიკინებით".

პანტომიმა

პანტომიმა სპონტანური დრამატული თამაშისა და წარმოდგენის ერთ - ერთი სახეობაა. პანტომიმა დრამატული წარმოდგენის შესანიშნავი საფუძველია. პანტომიმაში ბავშვები სიტყვებისა და დიალოგების ნაცვლად ჟესტებისა და მოძრაობის საშუალებით გამოხატავენ გრძნობებს, აზრებსა და მოქმედებას. მაგალითად, შინაური ცხოველების თემის პანტომიმური წარმოდგენისას, ბავშვების ერთი ჯგუფი "აჭმევს ცხოველებს", მეორე ჯგუფს კი – "უკავია ცხოველები."

პანტომიმა ეხმარება ბავშვებს დაეუფლონ სხეულს. რადგან პანტომიმა ფიზიკური მოქმედებაა, ყოველი ცნება ბავშვის აღქმაში უფრო კონკრეტულ სახეს იღებს.

პატარა ბავშვებს უფროსების დახმარება სჭირდებათ პანტომიმის შესწავლაში. მათ ჯერ

> პანტომიმის რამდენიმე გაკვეთილი პატარა ბავშვებისათვის:
>
> - საბავშვო ლექსების პანტომიმაში გამოსახვა.
> - პერსონაჟის ან ცხოველის განსახიერება საყვარელი სიმღერიდან ("მე პატარა ჩაიდანი ვარ").
> - ყოფითი საქმიანობის წარმოდგენა, როგორიცაა, ხელების დაბანა, კბილების გახეხვა, ნამცხვრის გამოცხობა, ბურთის სროლა.
> - ბავშვებმა უნდა წარმოიდგინონ, რომ ჯუნგლების ცხოველები არიან, იხტუნონ, ირბინონ, ინადირონ.

სჭირდება ახსნა, მაგალითის ჩვენება და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლიათ საკუთარი ინტერპრეტაცია შემოგვთავაზონ. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს: "აბა, მაჩვენე სვეულით", "მაჩვენე სახით".

შარადები

შარადებიც, პანტომიმის მსგავსად, გამოცანებით თამაშია, მაგრამ ამ შემთხვევაში, ბავშვები ამბებს იგონებენ და გამოიცნობენ ხოლმე. ბავშვებს შეუძლიათ წარმოადგინონ საკუთარი "გამოცანები", სათანადოდ გამოეწყონ, დამხმარე საგნები მოიშველიონ, ითამაშონ და ა. შ. სთხოვეთ, საყვარელი პერსონაჟი განასახიერონ. ვთქვათ, ბავშვები წარმოადგენენ "სამ გოჭს", შეწყვიტეთ თხრობა იმ ადგილას, როდესაც ავი მგელი გადასანსვლით ემუქრება თითოეულ გოჭს და სთხოვეთ, თავად გაითამაშონ ეს სცენა.

იმიტაცია

იმიტაცია არის ნაცნობი მოძრაობის ან მიხვრა-მოხვრის ზუსტი მიმსგავსება. იმიტაციის მეშვეობით ბავშვები ან რომელიმე პიროვნებას ბაძავენ, ან ცხოველს ან მანქანას. ისინი მაქსიმალურად ძაბავენ წარმოსახვას და სასურველ შედეგსაც აღწევენ.

რჩევები იმიტაციისათვის:

ადგა ბიჭი	ყვავილების კრეფა
პეპლების ჭერა	ველოსიპედის ტარება
შეშის ჩეხვა	ნიჩბების მოსმა
კედელზე ცოცვა	კალათბურთი
გველის სრიალი	როკ მომღერალივით სიმღერა
ორმოს ამოთხრა	ციგურაობა
ჩიტის ფრენა	თევზივით ცურვა
ცხენის ჭენება	ფარიკაობა
ბაყაყის ხტუნვა	იხვის გოგმანი
სახტუნაო თოკზე ხტუნვა	დათვის ბაჯბაჯი
ცომის მოზელვა	ობობას სიარული
ირმის ნავარდი	სარეცხის რეცხვა.

იმიტაციას ვიწყებთ მარტივი ფიზიკური მიხვრა-მოხვრის მიმსგავსებით. ამას ემატება ხმოვანი ხმების წაბაძვა. შემდეგ ჩავრთავთ ემოციას და უფრო რთულ კომბინაციას მივიღებთ. მაგალითად:

- აჩვენებთ ბავშვებს ძაღლის, ცხენის, მაიმუნისა და ვეფხვის სურათებს.
- სთხოვეთ ბავშვებს მიბაძონ ამ ცხოველების მოძრაობას. (ძაღლი ქუჩაში მიძუნძულებს. ცხენი მინავარდობს, მაიმუნი ხეზე კიდია და ქანაობს, ვეფხვი მიპარვით, ფრთხილად დააბიჯებს).
- ისაუბრთ, რა ხმებს გამოსცემენ ეს ცხოველები, სთხოვეთ ბავშვებს, მიამსგავსონ ხმები (ძაღლი ყეფს. ცხენი ჭიხვინებს. მაიმუნი ჭყივის. ვეფხვი ბრდღვინავს).
- ჰკითხეთ ბავშვებს, რას განიცდიან ეს ცხოველები? (ძაღლი მხიარულია. ცხენი თავისუფალია. მაიმუნი აღტაცებულია. ვეფხვი მშიერია).
- სთხოვეთ ბავშვებს, შეაერთონ მოძრაობა, ხმა და გრძნობა. (მხიარული ძაღლი ყეფა-ყეფით მიძუნძულებს ქუჩაში. ცხენი თავისუფლად მინავარდობს ველზე. აღტაცებული მაიმუნი ხის ტოტზე ჰკიდია და ჭყივის. მშიერი ვეფხვი ფრთხილად მიიპარება მსხვერპლისკენ).

იმიტაციის კომბინაციები უსასრულოა. თანდათან ბავშვები ამგვარ იმიტაციას თამაშში ჩართავენ.

თემები იმიტაციისათვის: დათვი, ფრინველები, ბაყაყი, ირემი, მგელი, კლოუნი, მწყესი, ძროხა, იხვი, ღორი, გველი, კატა, დურგალი, მზარეული, მფრინავი, ჯამბაზი, მეთევზე, მოდელი, ხაბაზი, მსტომელი.

დრამატული თამაშისათვის საჭირო მასალა და მასალის კომპლექტები

ბავშვებს უყვართ უფროსების მიბაძვა. ჩანს ისინი მშვენივრად ერგებიან საქმიანი ადამიანების როლებს. "სახლობანას" თამაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული თამაშია დრამცენტრში; თუმცა, ხშირად ახალ-ახალი თემა შემოიჭრება ხოლმე მათ სამყარ-

ოში, ხშირად ეს ახალი თემა განპირობებულია რეალობით. ბავშვი თავის წუხლსა და სატკივარს აუცილებლად თამაშით გამოხატავს. ამდენად, დრამცენტრი ხშირად ექიმის მისაღებად, საავადმყოფოდ, მაღაზიად, სკოლად, სახანძრო სადგურად ან პოლიციის განყოფილებად გადაიქცევა ხოლმე. არ არის აუცილებელი ყველაფრის გადაკეთება. საკმარისია თუ მხოლოდ ერთ კუთხეს მოვაწყობთ შესაბამისად და ბავშვებს შეეძლებაი "შინიდან" "ექიმთან" წასვლა. თუ სივრცე საკმარისია, სასურველია მაღაზია და სხვა დაწესებულებები დრამწრის ფარგლებს გარეთ მოეწყოს, რათა ბავშვები "შინიდან" გამოვიდნენ, სხვაგან წავიდნენ და ისევ "შინ" დაბრუნდნენ. მრავალფეროვანი თამაშისათვის აჭიროა მრავალფეროვანი მასალის კომპლექტები.

კომპლექტებში:

- თემასთან დაკავშირებული ნამდვილი საგნები და იარაღები აწყვია.
- კომპლექტების დახმარებით ბავშვებს კიდევ უფრო უღვივდებათ ინტერესი და სურვილი უჩნდებათ თამაში განავრცონ.
- კომპლექტები საშუალებას გვაძლევს ყოფითი სიტუაციები და როლები კარგად ვითამაშოთ.
- კომპლექტები გვეხმარება პროფესიული ინტერესების გამოვლენაში.

ყოველ კომპლექტში თავმოყრილია კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული ნივთები: ეს შეიძლება იყოს, გასაბერი ლეიბი და მზის სათვალე, გარუჯვის საწინააღმდეგო ღოსიონი და ზღვაზე სათამაშო ბურთი. ნამდვილი ნივთები უფრო საინტერესოა და შინარსიანს ხდის ბავშვის თამაშს.

მასწავლებლის მოვალეობაა ახალი იდეებისა და როლებისადმი ინტერესი გაუღვიძოს ბავშვებში. აგრეთვე, მოამარაგოს ბავშვები მასალით. ბავშვი არ დაახანებს თამაშს და როლის განსახიერებას, თუ თქვენ შესაბამის ნივთებს მიაწვდით.

სამზარეულო კომპლექტი

ქვაბები, ტაფები, ჯამები, სათქვეფელა, კოვზები, საწყაო ჭიქები და კოვზები, მჭიდურები, ტორტის საცხობი ფორმები და სხვა. გადმობრუნებული მუყაოს ყუთი შეიძლება "ღუმელიც" გახდეს.

ბაზრის კომპლექტი

სათამაშო ფულის სათვლელი მანქანა, სათამაშო ფული, ფასების აღმნიშვნელი იარლიყები, ჩამოფასების აღმნიშვნელი იარლიყები, გაუხსნელი კონსერვები, ცარიელი კონსერვის ან სხვა საკვების ყუთები, სანთლის ხილი და ბოსტნეული.

რესტორნის კომპლექტი

პლასტმასის ან ქაღალდის ფინჯნები, ლამბაქები, თეფშები, დანა - ჩანგალი, ხელახოცები, ცარიელი თასები, ბოთლები, სუფრები, თვითნაკეთი მენიუ.

სასკოლო კომპლექტი

ქაღალდი, ფანქრები, ფერადი ცარცი, პატარა დაფა, წიგნები.

სამედიცინო კომპლექტი

ბინტი, მარლა, სხვადასხვაგვარი სახვევები, სტეტოსკოპი, პატარა პლასტმასის ბოთლები, მენზურები, ბამბა, ექთნის ქუდი.

გარეგნობის შესაცვლელი კომპლექტები

შავი სათვალე, ძველი ქუდი, ულვაშები, ცხვირის ნიღაბი, კოსმეტიკა, წვერი, პარიკი.

პოლიციელის კომპლექტი

მუყაოსაგან დამზადებული პოლიციის ნიშანი; სასტვენი, გამადიდებელი შუშა, რადიოგადამცემი და მიმღები, ბლოკნოტი, ფანქარი.

დამლაგებლის კომპლექტი

ცოცხები, იატაკის საწმენდი ჯოხები, ტილოები, ღრუბლები, ქაღალდის პირსახოცები.

როლების თამაშისა და წარმოდგენების გამართვისათვის ბავშვებს სჭირდებათ სათანადო ნივთები, კომპლექტები, სივრცე და დრო, მიუხედავად იმისა, რომ მათი როლები და თამაშის თემატიკა ხშირად იცვლება. თუკი ბავშვებს აქტიურად ჩავრთავთ ნივთების მოგროვებასა და მოფიქრებაში, ისინი თავმოყრილ ნივთებს გაცილებით შინაარსიანად გამოიყენებენ. ყველანაირად ეცადეთ, რომ ხელი შეუწყოთ მათ, რაც შეიძლება მეტი ნივთები გამოიყენონ თამაშისას. (აისენბერგი, 1993).

თემატური კუთხე

თემატური კუთხე ისეთი აქტივობის ცენტრია, რომელიც მხოლოდ ერთი კონკრეტული თემის დამუშავებას ემსახურება. ამ კუთხეში თავმოყრილია იმ თემის შესატყვისი მასალა, რა თემაც ამჟამად ყველაზე მეტად აინტერესებთ ბავშვებს. თემატური კუთხე ხელს უწყობს ბავშვებს მრავალფეროვანი თამაშისათვის (ვუდვორდი, 1985). თემატურ კუთხეებში შეისწავლება კონკრეტული თემები, მაგ. შინაური ცხოველები, რომელთაც ბავშვები, ისედაც, კარგად იცნობენ, მაგრამ მათ შესახებ გაცილებით მეტ ცოდნას იძენენ.

აისენბერგი და იალონგო (1993) წიგნში "შემოქმედებითი თვითგამოხატვა და თამაში ადრეული ბავშვების პროგრამაში" გვთავაზობენ ხუთ რჩევას, თემატურ კუთხეში ბავშვების აქტიური შემოქმედებითი თამაშის წარმართვისათვის:

1. წინასწარ მოამზადეთ ბავშვები კონკრეტული თემისათვის. დაათვალიერებინეთ სურათები, წაუკითხეთ წიგნები, ესაუბრეთ. ბავშვებმა კარგად უნდა იცოდნენ როლი, რათა შესძლონ მისი განსახიერება.

2. მიმზიდველად მოაწყვეთ კუთხე, ჩამოკიდეთ პლაკატები, სურათები, მოიმარაგეთ წიგნები. ფიზიკური გარემო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ბავშვთა განწყობის ჩამოსაყალიბებლად.

3. მოიმარაგეთ უბრალო, გამძლე რეკვიზიტები. ეს ხელს შეუწყობს ბავშვებს უკეთ შევიდნენ როლში.

4. ჩაერიეთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს აუცილებელია. ახალი თემატური კუთხის მოწყობისთანავე, ბავშვებთან ერთად დააწესეთ, რამდენი ბავშვი მიიღებს მონაწილეობას ამ თემის განხორციელებაში.

5. წააქეზეთ ბავშვები თავად გამოთქვან აზრები თემის ირგვლივ. პერიოდულად ახალ-ახალი თემატური კუთხეები დაარსეთ. ბავშვებსაც შეუძლიათ აუცილებელი რეკვიზიტების შეგროვება.

თემატური კუთხისათვის ერთ - ერთი საინტერესო თემაა "სათამაშოების მაღაზიის" მოწყობა. კუთხე, მართლაც, სათამაშოების მაღაზიას უნდა დაამსგავსოთ. პლაკატებზე და სურათებზე ყველანაირი სათამაშოები უნდა იყოს გამოფენილი. სათამაშოები და ცხოველები კოხტად უნდა ეწყოს თაროებზე "გასაყიდად". ბავშვებმა უნდა განასახიერონ გამყიდველიცა და მყიდველიც. მოაწყვეთ სალარო და ბავშვებს დაურიგეთ სათამაშო ფული, რათა თამაში უფრო შინაარსიანი და საინტერესო გახდეს.

"სათამაშოების მაღაზიაში" ბავშვებმა შეიძლება ჩამოფასებული სათამაშოების კუთხეც მოაწყონ; დათვალონ საქონელი, დაახარისხონ, დათვალონ ფული, დაახურდავონ, შეახვიონ სათამაშოები და შეხვეული გაატანონ "მყიდველს".

თემატური კუთხეები შეიძლება მოეწყოს შემდეგ საკითხებზე:

აეროპორტი	ყვავილების მაღაზია
პურის მაღაზია	ბენზინის გასამართი სადგური
ბანკი	საავადმყოფო
საპარიკმახერო	ბიბლიოთეკა
სილამაზის სალონი	ბაზარი
დაბადების დღე	ფოსტა
ავტობუსი	სახელოსნო
კემპინგი	მეცნიერული ლაბორატორია
ცირკი	თეატრი
ტანსაცმლის მაღაზია	სადგური
აფთიაქი	ზოოპარკი
სახანძრო სადგური	

დასკვნა

შემოქმედებითი თამაში საშუალებას აძლევს ბავშვებს, შინაგანი სამყარო გამოხატონ. იგი ყველა ბავშვის აღზრდას უწყობს ხელს და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა პროგრამის აუცილებელი ნაწილია. თამაში ავითარებს ბავშვის წარმოსახვას, პრობლემების გადაწყვეტისა უნარსა და კომუნიკაბელობას.

ঘুগুলু

XII წიგნიერება

ბავშვები თამაშის პროცესში: წერა-კითხვის ცენტრი

ბავშვები უშუალო, ცნობისმოყვარე, კონკრეტულად მოაზროვნე არსებანი არიან, რომელთაც ერთი სული აქვთ უფროსების სამყაროში შეაღწიონ. წერა-კითხვის დაუფლება ამ სამყაროს ერთ-ერთი გასაღებია.

წიგნიერებას განაპირობებს ეროვნულ კულტურაში დამკვიდრებული ენის საფუძვლების დაუფლება. ენის საფუძვლები მოიცავს წერას, კითხვას და მეტყველებას. მეცნიერული გამოკვლევები ცხადყოფს, რომ წიგნიერების დაუფლება ჩვილი ასაკიდან იწყება (ჰეთი და ტეილორი, 1983). როდესაც ბავშვები ბაღში მოდიან, ისინი უკვე მეტყველებენ. ანუ მათ უკვე შეუძლიათ მოსმენა, სიტყვების გამოთქმა და ლაპარაკი. მეტყველების საშუალებით ისინი სოციალურ ურთიერთობას ამყარებენ გარესამყაროსთან. ბაღში ბავშვებს საშუალება აქვთ მეტი მოისმინონ და მეტი ილაპარაკონ. არა მარტო გააღრმავონ და განამტკიცონ ის ცოდნა, რაც თან მოიტანეს, არამედ, საწყისი ცოდნის საფუძველზე, მათი კულტურულ - ეროვნული წარმომავლობის მიუხედავად, ჭეშმარიტ წიგნიერებას დაეუფლონ, ანუ იმეტყველონ გამართულად და ისწავლონ წერა-კითხვა (ჰარსტი, 1989).

წიგნიერების პროგრამა



წერა-კითხვის ცენტრის ჩამოყალიბებისას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სათანადო ფიზიკური გარემოს შექმნას. პროგრამა, რომლის მიზანია წიგნიერი ბავშვების აღზრდა, უწინარეს ყოვლისა წიგნიერი ატმოსფეროს შექმნას გულისხმობს. თავიდანვე უნდა გავითვალისწინოთ პიროვნული სხვაობა ბავშვებს შორის და განვითარების სხვადასხვა დონე (მოროუ, 1989). ჟან პიაჟეს მიაჩნია, რომ ბავშვები გარე სამყაროს შეიმეცნებენ საგნებთან და ადამიანებთან ფიზიკური ურთიერთობის შედეგად. ისინი ქმედების პროცესში სწავლობენ. (პიაჟე და ინჰელდერი, 1969). ამიტომაც, საკლასო ოთახი რეალურ, ყოფით სიტუაციას უნდა ასახავდეს, ხოლო იქ თავმოყრილი მასალა ბავშვებისათვის ნაცნობიც უნდა იყოს და, ამასთანავე, მათ სწავლისათვის განაწყობდეს.

წიგნიერების წრეში ცალკეა გამოყოფილი წერის შესწავლის კუთხე, ბიბლიოთეკა, გამომცემლობა, და წიგნების კითხვის კუთხე. ყოველი კუთხე ისეა მოწყობილი, რომ ბავშვებს არჩევანის საშუალება ჰქონდეთ, წერის კუთხეში ბავშვს უამრავი კალამი, ფანქარი, ფლომასტერი, ფერადი ცარცი და ფურცლები (ხაზიანი და უხაზო) დახვდება. მასალა ყოველდღიურად ივსება. ასე რომ, ბავშვს მრავალფეროვანი არჩევანის საშუალება აქვს.

ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკის კუთხე ძალზე მყუდრო და მიმზიდველი უნდა იყოს; შესანიშნავია, თუ იატაკზე ხალიჩას დავაგებთ და რბილ სკამებსა და დივანს დავდგამთ. წიგნები კოხტად უნდა იყოს გამწკრივებული თაროებზე, ბავშვთა განვითარების დონისა და ინტერესების შესაბამისად. ქვედა თაროებზე დასურათებული წიგნები აწყვია, მცირე ასაკის ბავშვებისათვის, ზედა თაროებზე კი უფრო საინტერესო და რთული წიგნებია მოთავსებული. რას არ ნახავთ აქ: დასურათებული წიგნები, ზღაპრები, საინფორმაციო წიგნები, პოეზია, გამოჩენილ ადამიანთა ბიოგრაფიები, მოთხრობები და ლექსიკონები. წიგნები აუცილებლად უნდა შეესატყვისებოდეს ბავშვთა დონესა და ინტერესებს.

გამომცემლობა

ამ კუთხეში ბავშვებს თავი ნამდვილი მწერლები ჰგონიათ ხოლმე. სხვადასხვა ზომისა და ფორმის წიგნის ფორმატის სუფთა ბლოკნოტებში ბავშვები წერენ ლექსებს, დიალოგებს, მოთხრობებს და გრაფიკულ ილუსტრაციებს ურთავენ. აქ ბლომად არის ქაღალდი, სტეპლერი, თასმები, ყდები, მოკლედ, ყველაფერი, რაც წიგნის აკინძვისათვის არის საჭირო. კომპიუტერი და პრინტერი ამ კუთხის მშენებაა. ამგვარი ატმოსფერო ბავშვებს დამოუკიდებლობის გრძნობას უღვივებს. ისინი რწმუნდებიან, რომ წერა-კითხვის ცოდნის საფუძველზე, უკვე "ნამდვილი" წიგნების შექმნასაც შეუძლიათ. ბავშვების მიერ შექმნილი წიგნები ბიბლიოთეკაში ცალკე თაროზეა მოთავსებული.

წიგნის შექმნის დამთავრებისთანავე "ავტორი" "საზოგადოების" წინაშე წარსდგება თავისი, ახალი წიგნით. ამ მიზნით, აქ დგას ე.წ. "ავტორის სავარძელი". ამგვარი წარდგინების შემდეგ წიგნი ბიბლიოთეკას გადაეცემა. წიგნების განხილვის დროს, ბავშვები კითხვებს უსვამენ "ავტორს", შენიშვნებს აძლევენ, უწონებენ ან უწუნებენ ნამუშევარს. "ავტორი" ცდილობს დაიცვას თავისი შემოქმედების ნაყოფი. დისკუსია ამ წრეში ყოველთვის აქტიური და ცოცხალია.

მოსმენა

ამ კუთხეში მოთავსებულია მაგნიტოფონები, ფირსაკრავები, ვიდეომაგნიტოფონები, პლეიერები და აუდიოკასეტები, სხვადასხვა მოთხრობებისა და ზღაპრების ჩანაწერებით. ბავშვს შეუძლია კითხვის პარალელურად აუდიოკასეტასაც უსმინოს. აუდიოკასეტებზე იწერება ბავშვების საყვარელი ლექსები და ზღაპრები. მასწავლებელი ბავშვების ნაამბობ ზღაპრებსაც იწერს. ამ კუთხეში მრავალი ჩანაწერი და ფირფიტაა, რომლებზეც მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების შემოქმედებაა აღბეჭდილი. აქვეა სიმღერებისა და მითების ჩანაწერები. ჩანაწერების მრავალფეროვნება განპირობებულია ბავშვების ინტერესებითა და მისწრაფებებით. ბავშვების ინტერესები განაპირობებს წიგნებისა და ჩანაწერების შერჩევას (მაგ. იაპონია, ფოტოგრაფია და სხვა).

აღმზრდელთა ჯგუფის როლი

წერა-კითხვის მასწავლებელი ორიენტირებულია სწავლის პროცესზე. სწავლა ნიშნავს ნაცნობიდან უცნობზე გადასვლას. ამიტომაც მასწავლებელმა, უწინარეს ყოვლისა, უნდა დაადგინოს, რა იციან ბავშვებმა, რათა შეძლოს მათი ცოდნის გაფართოება. მასწავლებლები მშობლებისაგან იტყობენ, რა აინტერესებთ და, რა იციან ბავშვებმა წიგნების,

ასოების, ხატვის, ლიტერატურის, მუსიკის და სხვა საგნების შესახებ. უმჯობესია, თუ ამგვარი ინფორმაცია სასწავლო წლის დაწყებამდე შეგროვდება, მშობელთა კრებებისა და მშობლებთან შეხვედრების შედეგად. მასწავლებელი მარტივ შეკითხვებს უსვამს მშობლებს, მაგ: "მიამბეთ რა აინტერესებს თქვენს შვილს, რისი გაკეთება უყვარს ყველაზე მეტად? რომელი ზღაპარი, მოთხრობა ან სიმღერა უყვარს? რომელი თამაში უყვარს?" წერა ხომ არ უცდია? მშობლებისა და მასწავლებლის კონტაქტი, არსებით როლს თამაშობს ბავშვისათვის სასწავლო პროგრამის განსაზღვრაში.

მასწავლებელი არა მხოლოდ ინფორმაციის მიმწოდებელია, არამედ არქიტექტორი, რომელიც გეგმავს საკლასო ოთახის გარემოსა და თავს უყრის ბავშვის ასაკის შესატყვის მასალას. სათანადო მასალისა და ნივთების შერჩევის შედეგად, მასწავლებელი საფუძველს უყრის მეტყველებისა და ენის აქტიურ განვითარებას. წიგნიერების წრეში, მასწავლებელი ბავშვის პარტნიორია საუბრისა და მსჯელობისას; აგრეთვე, მასწავლებელი ბავშვის ხელმძღვანელია და მზრუნველი, რომელიც ყველანაირად ცდილობს ბავშვს ლიტერატურისადმი სიყვარული ჩაუნერგოს. მასწავლებელი ეხმარება ბავშვებს, აირჩიონ წიგნები, იწერს მათ ნაკარნახევ მოთხრობებს, ასწავლის როგორ უნდა იკითხონ და დაათვალიერონ წიგნები ერთად და პასუხობს მათ შეკითხვებს. მასწავლებელი დაკვირვების შედეგებს იწერს. იგი თითოეულ ბავშვს ცალ-ცალკე აკვირდება და აფიქსირებს მათ წარმატებებსა და წინსვლას. იგი მზრუნველობას არ აკლებს, არც ერთ ბავშვს, იგი ყველაზე უკეთ აცნობს კლასის ყველა წევრს.

აქტივობები და პროექტები

წიგნიერება სოციალური აქტივობაა. ბავშვები უკეთ სწავლობენ მყუდრო, მშვიდ გარემოში. ბავშვი უკეთ სწავლობს, როდესაც მისი სჯერათ და ხელს უწყობენ სწავლის პროცესში. მასწავლებელი ისეთ საკლასო ავტმოსფეროს ქმნის, რომ ბავშვს ყველა პირობა ჰქონდეს სწავლისათვის. ენისა და მეტყველების სოციალური ასპექტი ყველაზე უკეთ მიანიშნებს ბავშვის წინსვლაზე. წიგნიერება მიიღწევა სხვებთან ურთიერთობის გზით. კარგი პროგრამა საშუალებას აძლევს მასწავლებელსა და ბავშვს იმსჯელონ, ისაუბრონ, აზრები გაუზიარონ ერთმანეთს მშვიდ წიგნიერ გარემოში.

თანდათან, ვარჯიშისა და გამოცდილების შედეგად, ბავშვს თავად უყალიბდება წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს იყო წიგნიერი. უფროსები, რომლებიც ხმამაღლა და ჩუმად კითხულობენ, წერილებს წერენ, შენიშვნებს იწერენ, ადგენენ ნუსხებს, კომუნიკაციისათვის კომპიუტერს იყენებენ, – წიგნიერი ადამიანები არიან. საზოგადოებრივ თავყრილობებზე დასწრება, გამართული მეტყველების მოსმენა, ლექსიკონის გამდიდრება ხელს უწყობს ბავშვებში წიგნიერების აღზრდას. ეს ადვილად მისაღწევია, როდესაც დადგენილია, რა მოთხოვნებს ვუყენებთ ბავშვებს და რისკენ ვისწრაფვით.

საუბარს და მსჯელობას, კითხვა-პასუხს და ზღაპრების თხრობას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. ფანქრები და ქაღალდი აქტივობის ყველა ცენტრში უნდა იყოს, რომ ბავშვს ნებისმიერ დროს შეეძლოს მათი გამოყენება. ფიზიკური ინფორმაცია, ანუ სურათები,

წარწერები, სქემები და დიაგრამები ბავშვებს კიდევ უფრო უძლიერებს ინტერესს. მაკრატელი, ფერადი ფანქრები, საღებავები, წებო და სხვა ამგვარი ნივთები, ისევე როგორც, ხეზე მუშაობისთვის საჭირო იარაღები, ყოველნაირად ხელს უწყობს ბავშვებს გამოხატონ საკუთარი აზრები, გრძნობები და იდეები.

ეფექტური პროგრამა ბავშვს ადრეულ ასაკშივე აღუძრავს ინტერესს კითხვის, წერისა და მეტყველებისადმი. ბავშვის ძალისხმევა უნდა სათანადოდ დაფასდეს. ბავშვების ბუნებითი ცნობისმოყვარეობა ასოების გამოყვანისა და სიტყვების დაკავშირებისადმი შესანიშნავი საფუძველია პროგრამისათვის. ყველა ბავშვი სიამოვნებით ჯღაბნის, ვითომ წერს. სამი ოთხი წლის ბავშვების გრაფიკული ნახატები თანდათან უფრო ემსგავსება ასოების გამოსახულებას. ადრეულ ასაკში ბავშვის ცდა დაწეროს, იმ მხრივაც არის მნიშვნელოვანი, რომ ბავშვი იწყებს მიმართების დამყარებას ნაწერსა და წარმოთქმულ სიტყვებს შორის. მას უკვე ესმის, რომ ნაწერის წაკითხვა შეიძლება; ყოველ ფურცელზე სხვადასხვა რამ წერია, სიტყვები გარკვეული მანძილით არის ერთმანეთისგან გამოყოფილი, არსებობს სასვენი ნიშნები და ა.შ.

კლასში ხშირად შეამჩნევთ ბავშვებს, რომლებიც ბევრითად "წერენ" და შემდეგ მთელს კლასში ავრცელებენ თავის ნაწერებს. ამ ბავშვებს სურთ, ყველას გააგებინონ, რომ მათაც იციან "წერა". ზოგჯერ ბავშვი დასურათებული წიგნის მიხედვით ზღაპარს უამბობს მეორე ბავშვს, ანუ "ასწავლის", თანაც, სწორედ იმ დროს, როდესაც სხვა ბავშვებს მასწავლებელი ან ვინმე უფროსთაგანი, წიგნებს უკითხავს.

ოთახის მეორე კუთხეში რომელიმე ბავშვი თოჯინების თეატრს მართავს. თოჯინებს სწორედ ბოლო ხანს მოსმენილი ზღაპრის პერსონაჟების სიტყვებით ალაპარაკებს. ყოველდღიურად ეკითხება წიგნები, როგორც მთელს ჯგუფს, ასევე ცალკეულ ბავშვებს, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს ამჟღავნებენ კითხვისადმი. აუცილებელია, განმეორებით წავუკითხოთ ხოლმე ბავშვებს საყვარელი წიგნები. განმეორება ბავშვში ავითარებს მეტყველების უნარს, აჩვევს ენასა და ენობრივ სიმბოლოებს.

ბავშვებს განსაკუთრებულად კარგად უვითარდებათ მეტყველება თუ კლასში ენის გამოყენების მრავალფეროვანი საშუალებები არსებობს – საუბარი, მსჯელობა, როლების თამაში, დრამწრე, სიმღერა.

მასწავლებლები ხშირად კითხვა-პასუხის გაკვეთილებს ატარებენ. შეკითხვებს უსვამენ ბავშვს, ისმენენ მათ პასუხებს, აქებენ უფრო ვრცლად უპასუხონ შეკითხვას. კითხვა-პასუხი ბავშვში ავითარებს საკუთარი აზრების გამოხატვისა და გაზიარების უნარს.

თამაშები, მუზეუმების დათვალიერება, ექსკურსიები ბიბლიოთეკაში, ზოოპარკში, კონცერ-

ტზე, მაღაზიებში, კიდევ უფრო განავრცობს საუბარს, ახალ სადისკუსიო თემებს სთავაზობს ბავშვებს, რაც ჯგუფურადაც განიხილება და ორი ბავშვის დიალოგშიც.

ტელეფონებით თამაში, თოჯინების თეატრი, დინამიკას მატებს და ხელს უწყობს ბავშვთა მეტყველების განვითარებას.

ჯგუფური თამაშები თითებითა და ხელის ტიკინებით, მუსიკა და სიმღერა, რიტმული თამაშები მეტყველების სახალისო სავარჯიშოა.

ბავშვი ასახელებს სურათზე გამოსახულ საგნებს ან აღწერს სურათს. მასწავლებელი ხელს აფარებს სურათის ნაწილს და ეკითხება ბავშვებს "რა გვაკლია?"

კედლებზე უნდა ეკიდოს საბავშვო ლექსებისა და ზღაპრების პერსონაჟებისა და შინაარსის ამსახველი ნახატები. მათი მეშვეობით ბავშვები ადვილად ეუფლებიან ზღაპრის ფაბულას, მოვლენათა თანმიმდევრობას, იმახსოვრებენ პერსონაჟებს და იმეორებენ მათ სიტყვებს.

ბავშვები აქტიურად უნდა ჩაერთოთ მომავალი ექსკურსიების დაგეგმვის, საჭირო მასალების ნუსხის შედგენისა და ახალი პროექტების შექმნის პროცესში. ამ პროცესში მონაწილეობით ისინი უკეთ აცნობიერებენ წერის დანიშნულებასა და მნიშვნელობას. უფროსი ბავშვები თვითონ ადგენენ ნუსხებს, ხოლო მცირე ასაკის ბავშვები კარნახობენ მასწავლებლებს საკუთარ წინადადებებს.

საკლასო მუშაობა, მშობელთა მონაწილეობა სასწავლო პროცესში, დასწრების აღმრიცხველი ჟურნალები, შენიშვნები, საინფორმაციო ბიულეტენები და წარწერები საგულდაგულოდ უნდა მომზადდეს და კედელზე გამოიფინოს. სურათები და წარწერები ბაშვებს ეხმარება გააცნობიერონ წერა-კითხვის აუცილებლობა. ბავშვები თავიდანვე ჩართულები არიან იდეებისა და წინადადებები ჩაწერის, ფურცელზე გადატანის პროცესში, რაც საფუძველს უქმნის კითხვის შესწავლას. ისინი ადგენენ დასურათებულ ლექსიკონებს და იწყებენ ბგერებისა და ასოებს შორის მიმართების დამყარებას.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ბავშებს, ასოების გამოსახულება გამოვაჭრევინოთ ქაღალდისგან, დავახაზინოთ ქვიშაზე, ასაწყობი ასოებითა და მოძრავი ანბანით ვათამაშოთ. ეს ყოველივე ხელს უწყობს ხელის გაწაფვასა და ასოების წერისათვის საჭირო მოძრაობათა ათვისებას. ბავშვები გარემოცული უნდა იყვნენ წარწერებითა და ასოების გამომსახველი პლაკატებით, სურათებით, წიგნებით. მათ თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა უნდა შევუქმნათ; თავისუფლად უნდა შეეძლოთ საკუთარი ინტერესების შესატყვის საქმიანობაში ჩაებან, მიბაძონ მათთვის ავტორიტეტულ უფროსებს. ჩამოთვლილი ხერხები დაგვეხმარება ეფექტურად განვახორციელოთ წიგნიერების პროგრამა და სკოლამდელ ბავშვებს წერა - კითხვა შევასწავლოთ.

ბავშვთა ნამუშევრების მაგალითები

ბავშვები წიგნიერებისაკენ მისწრაფებას სხვადასხვა ასაკში ამჟღავნებენ. ქვემოთ წარმოდგენილია ოთხი, ხუთი და ექვსი წლის ამერიკელი ბავშვების ნაწერები. ეს ნიმუშები კარგად ასახავს, თუ როგორ ერკვევიან ბავშვები წერის დანიშნულებაში, როგორ ეუფლებიან სიტყვებს შორის ურთიერთმიმართებებს, და როგორ უყვართ ლიტერატურა.

ეს გახლავთ ოთხი წლის ბავშვის შეთხზული მოთხრობა, რომელიც თანმიმდევრულად ასახავს კლასის ექსკურსიას, თხზულება ბავშვის კარნახით მასწავლებლის მიერ არის ჩაწერილი.



ჩვენ მივდივართ ქარხანაში.



ეს არის სახლი, რომელიც მოყვითავთ. არის თავზე ყვავილებია დაძაგებული.



აქ ვართ თუ გალმოვიხედავ, ქვემო ნაოთულის ოთახებს ლაინავთავ.

ჩვენ ავტობუსით სკოლაში ვბრუნდებით.

ხუთი წლის ბავშვები ძირითადად რითმებით არიან დაინტერესებულები. ქვემოთ წარმოდგენილ ნიმუშში ბავშვი ვარჯიშობს -რი – ბოლო მარცვლიან სიტყვების გარითმვაში:



ექვსი წლის ბავშვი სპილოებით დაინტერესდა. სპილოებზე წიგნის წაკითხვის შემდეგ დაწერა.

სპილო უზარმაზარი ოთხფეხა ცხოველია. სპილო მიწის თხილს ნაჭუჭებიანად ჭამს. თუ თავს დაესხმები სპილოს, ისიც შეგებრძოლება.

თუ სპილოს კარგად მოექცევი, ისიც კარგად მოგექცევა. სპილოს თავისი შხაპი აქვს ხორთუმში.



ენის სწავლის ბუნებრივი პროცესები

ენობრივი გარემოცვა

დაბადების წუთიდან ბავშვი იძირება მეტყველების მორევში, რომელიც მას ღვიძილისას განუწყვეტლივ გარს აკრავს.

დემონსტრირება

როგორც კი ბავშვი ტიტინს დაიწყებს, მეტყველების დემონსტრაციის (მოდელი, ნიმუში) ათასგვარი ხერხი და საშუალება არსებობს, სამეტყველო ენის განვითარებისათვის.

მოლოდინი

თუკი ბავშვი ხეიბარი არ არის, ყველა მშობელს ერთი სული აქვს, სანამ ის ფეხს აიდგავს და ტიტინს დაიწყებს. მშობელთა სურვილი იმდენად ძლიერია, რომ მშობლები უხილავ იმპულსებს უგზავნიან ბავშვებს და ბავშვებიც, საპასუხოდ, "მართლაც" იდგავენ ფეხსა და ლაპარაკობენ.

პასუხისმგებლობა

როგორც კი ლაპარაკს დაიწყებს, ბავშვი ერთგვარ პასუხისმგებლობას კისრულობს იმაზე, თუ რას ისწავლის და როდის. ყოველი ბავშვის ათვისების უნარი და სწავლის მეთოდი განსხვავებული და მკვეთრად ინდივიდუალურია. ბავშვი გაუცნობიერებლად იმ გზას ირჩევს, რომელიც უფრო შეესაბამება მის ბუნებას, თუმცა, რომელ გზასაც უნდა დაადგეს – მიზანი ერთია.

მუშაობა

ბავშვები არც დროს ზოგავენ და არც შესაძლებლობას კარგავენ, რათა დახვეწონ მეტყველება და უკეთ ილაპარაკონ.

მიმსგავსება

როგორც კი ბავშვი ენას გაიტეხს, იგი, ცხადია მაშინვე დიდი ადამიანივით არ საუბრობს. ამიტომაც მათ მაშინ ვაქებთ, როდესაც „მიახლოებით" ამბობენ რამეს.

უკუგება

მშობლები ან უფროს და-ძმა, რომლებიც პატარა ბავშვს ლაპარაკს ასწავლიან, შემდეგნაირად იქცევიან. მაგ. ბავშვი ამბობს, "აი წიქა", უფროსი პასუხობს: „ჰო, აი, ჭიქა". ბავშვი კმაყოფილია, რადგან უფროსმა დადებითად შეაფასა მისი ცოდნა („ჰო") ამავე დროს იგი იმახსოვრებს სწორ გამოთქმას და არ აფრთხობს საკუთარი შეცდომა. შესაძლოა, ბავშვი მაშინვე ან მეორე დღესვე სწორად არ ალაპარაკდეს, მაგრამ უფროსი უნდა ეცადოს ენა არ მოუჩლიქოს, თუმცა, არც ბავშვისგან უნდა მოითხოვოს გამართული საუბარი, სანამ თავად ბავშვი არ შეეცდება "დიდივით" იალაპარაკოს. (ბრაიან კომბორნე, სემინარის თეზისები).



ᏕᏣᏓᏅᏘᏳᏍᏗᏱ
ᏕᏣᏓᏅᏘᏳᏍᏗᏱ
ᏕᏣᏓᏅᏘᏳᏍᏗᏱ

XIII მათემატიკა/მანიპულატივები

ბავშვები თამაშის პროცესში: მათემატიკა/მანიპულატივები

მათემატიკა, ენისა არ იყოს, მთელი კაცობრიობის ისტორიას მოიცავს. მათემატიკური სიდიდეები ყველა ქვეყნისა და ერის ყოველდღიურ ყოფაშია დამკვიდრებული – დროის ათვლა იქნება ეს თუ გაზომვა. მათემატიკის გარეშე წარმოუდგენელია სოფლის მეურნეობა თუ მშენებლობა, და, წარმოიდგინეთ, თვით საჭმლის მომზადებაც კი. მათემატიკის ცოდნა აუცილებელია ყველგან, დაწყებული საკვების მაღაზიიდან, დამთავრებული გლობალური ფინანსური ოპერაციებით. სწორედ მათემატიკას ეფუძნება, მართლაცდა, გასაოცარი ტექნიკური პროგრესი, რომლის წყალობითაც, ჩვენი ეპოქა კოსმოსურ ეპოქად გადაიქცა, ხოლო დღევანდელი მსოფლიო კი – ტელეკომუნიკაციურ სამყაროდ. როგორც კი ოცდამეერთე საუკუნეში შევაბიჯებთ, ჩვენი შვილები ტექნიკური ინფორმაციის სამყაროში აღმოჩნდებიან. ეკონომიური ძლიერების საფუძველს მათემატიკის ცოდნა იძლევა. ჩვენ საფუძველი უნდა ჩავუყაროთ, საწყის მათემატიკურ ცოდნას, რომლის შესწავლასაც ბავშვები სკოლაში გააგრძელებენ. წარმატებას რომ მიაღწიონ, ბავშვებს უნდა შეეძლოთ მათემატიკური აზროვნება, პრობლემათა მათემატიკურ ჭრილში განხილვა და შემეცნება.

მათემატიკა მიმართებათა ორგანიზაციისა და წესრიგის დამყარების აბსტრაქტული, ზოგადი სისტემაა. პატარა ბავშვები კი ძალზე კონკრეტული აზროვნებით გამოირჩევიან. მათთვის რაოდენობისა და თანმიმდევრობის ცნებები არაფერს ნიშნავს, თუკი კონკრეტულ საგნებს არ დათვლიან და მოაწესრიგებენ. ამიტომაც, პატარა ბავშვები მათემატიკურ ცნებებს მანიპულატივებით თამაშის გზით ეუფლებიან, სადაც მათ საშუალება აქვთ დათვალონ და დაახარისხონ საგნები. ამგვარი თამაშით, ბავშვები, ცხადია, უფროსის ხელმძღვანელობით, თანდათან წვდებიან მოელენათა არსს. სკოლამდელი ბავშვების აღმზრდელები ხელს უწყობენ ბავშვებს ააწყონ სათამაშო და ამ გზით შეიცნონ ძირითადი მათემატიკური სიდიდეები რომლებიც ყოველდღიურ ყოფაშია დამკვიდრებული. ამ ასაკში მათემატიკური ცნებების დაუფლებაში სახელმძღვანელო ვერ ეხმარება ბავშვებს. მათ არ ჭირდებათ რვეულები და კალმები. გაცილებით სასარგებლოა, მათ გარესამყაროსთან უშუალო' ურთიერთქმედებით ჩამოუყალიბდეთ მათემატიკური სიდიდეების ცოდნა, და განუვითარდეთ მათემატიკური აზროვნება. პრაქტიკული საქმიანობით შეძენილ ცოდნას ბავშვები ეუფლებიან, ითავსებენ, განაზოგადებენ და რეალურად იყენებენ.

მათემატიკის კონცეპტუალური საფუძვლები მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვადასხვა საგნებთან, და განსაკუთრებით, ენასა და ლოგიკასთან. საკითხის გამარტივებისა და დაკონკრეტების მიზნით „ნაბიჯ-ნაბიჯ" პროგრამა შემდეგი მათემატიკურ კონცეფციების სწავლებას გთავაზობთ:

- მიმართება "ერთი – ერთს", საგნებს შორის ისეთი მიმართების დამყარებას ნიშნავს, როდესაც თითო ბავშვს თითო ნამცხვარი ერგება, ყოველ საწოლზე ერთი ბალიში დაიდება, ან თითოეულ ბავშვს თითო სკამი ეკუთვნის.

- სერიებად გამწკრივება ნიშნავს ბავშვის უნარს გაამწკრივოს საგნები ჯერ ზომის მიხედვით (პატარიდან – დიდისკენ) შემდეგ რიცხვების მიხედვით. უკანასკნელი ოპერაციის შესასრულებლად ბავშვი უნდა ცნობდეს რიცხვებს და უნდა შეეძლოს რიცხვისა და მის შესატყვის რაოდენობას შორის მიმართების დამყარება.

- თვლა, ნიშნავს რიცხვისა და მისი შესატყვისი რაოდენობის ცოდნას. ბავშვს შეუძლია პასუხი გასცეს კითხვებს "ეს რა რიცხვია?", "ამ რიცხვს რომელი რიცხვი მოსდევს?".

- ანგარიში არის მიმატებისა და გამოკლების ოპერაციათა დაუფლება, კონკრეტული საგნების მაგალითზე.

- კლასიფიკაცია ნიშნავს საგნების დახარისხებას მათი ნიშან-თვისებათა მიხედვით (მაგ. ფერი, ფორმა, ზომა). ბავშვი პასუხობს შეკითხვებს "რატომ აწყვია ეს საგნები ერთად?".

- გაზომვა ნიშნავს საგნის ზომის რიცხვითი სიდიდის დადგენას.

- შედარება ნიშნავს გაარჩიო, რომ ერთი საგანი უფრო დიდია მეორეზე, უფრო პატარაა მეორეზე ან ორივე საგანი ერთმანეთის ტოლფასია.

- გეომეტრია სივრცულ მიმართებებს შეისწავლის. პატარა ბავშვისათვის საკმარისია საგნის ფორმის, ნაყშის ან სახეების შეწავლა და საგნებს შორის ურთიერთმიმართებების დაუფლება.



- სახეების, ნაყშისა და მოდელის თემაც მათემატიკას უკავშირდება. მათი შესწავლა ბავშვს საშუალებას აძლევს გაერკვეს ნაწილებს შორის ურთიერთმიმართებას და კავშირში; შესძლოს განზოგადება და გამოცნობა ან პროგნოზირება. სახეების, ნაყშისა და მოდელის დაუფლებით, ბავშვი სწავლობს, რომ სახეები მეორდება და შესაძლებელია, მოდელის საფუძველზე, მათი წინასწარ განსაზღვრა, გამოცნობა.

  — კანონზომიერება ზოგჯერ ელემენტარულ მთელშია მოცემული: ყვითელი - წითელი, ყვითელი – წითელი.
  — ზოგჯერ, შეიძლება კანონზომიერების ნიმუშის გავრცობა: ტაში – ვაშა, ტაში – ტაში – ვაშა.
  — ბუნების კანონზომიერება: შემოდგომა, ზამთარი, გაზაფხული, ზაფხული.

ბავშვი პატარაობიდანვე უნდა მიეჩვიოს თანაზომიერ და განმეორებად სისტემას – ოთხრაობის, ფერის, ბგერის, პოზიციისა და რაოდენობის სიდიდესთან კავშირში. სახეებს ან წყობას შემდეგი თვისებები აქვს; თავის თავში შეიცავს, აფართოვებს, გადადის, გარდაიქმნება და ახალ სახეებს აყალიბებს.

მათემატიკა დღის განრიგში

კლასის დღის განრიგი მრავალ შესაძლებლობას გვთავაზობს მათემატიკის გამოყენებისთვის. კერძოდ:

ბავშვები ბაღში მოსვლისთანავე კიდებენ პალტოებს და ვარჯიშობენ მიმართებაში ,ერთი – ერთს ", მაგ. ერთ საკიდზე – ერთი პალტო.

სიის ამოკითხვისას ბავშვებს ვავარჯიშებთ თვლასა და ანგარიშში. რამდენი ბავშვია

კლასში? რამდენი არ არის? სულ რამდენი ბავშვი უნდა იყოს? დღეს ათი ბავშვია, მაგრამ თოთხმეტი უნდა იყოს. რამდენი ბავშვი გვაკლია? ამ დროს, შეგვიძლია ბავშვების ფოტოსურათების გამოყენება და ანგარიში.

საუბმის დროს ბავშვები კვლავაც ვარჯიშობენ მიმართებაში „ერთი – ერთს", ყოველ ბავშვს ერთი სკამი ეკუთვნის, თითო ბავშვს – თითო თეფში, თითო ფინჯანი, თითო ხელსახოცი.

საკლასო მუშაობის დროს ბავშვები ისმენენ ზღაპრებს, მღერიან, ამბობენ ლექსებს და ვარჯიშობენ რიტმსა და წყობაში. აგრეთვე, ბავშებს ამ დროსაც შეუძლიათ ივარჯიშონ ანგარიშში. მაგ. რამდენი გოგოა ჯგუფში? რამდენ ბავშვს აცვია წითელი ტანსაცმელი? რამდენ ბიჭს აცვია თეთრი წინდები?

ეზოში ბავშვები ფიზიკურად ვარჯიშობენ და უამრავი შესაძლებლობა აქვთ მათემატიკა გამოიყენონ. ყოველი აქტივობა, რომელიც რიტმულ მოძრაობაზეა აგებული, შესანიშნავად ავარჯიშებს ბავშებს თვლაში. ვითვლით კიბის საფეხურებს, ვითვლით ყოველ მეორე საფეხურს; ხტუნვის დროს და ბურთის თამაშის დროსაც, ვითვლით. ყოველ აქტივობას ბავშვი თვლის თანხლებით ახორციელებს. იგი მთელი არსებით შეიგრძნობს რიცხვს. მექანიკურ თვლას, კონკრეტული მოქმედების გარეშე, ამ ასაკში არავითარი სარგებლობა არ მოაქვს.

საპირფარეშოც კი მათემატიკაში სავარჯიშოდ გამოიყენება. მაგ. მასწავლებელი ბავშვებს ეკითხება: სამი ონკანია და ოთხი ბავშვი. რამდენი ბავშვი ელოდება რიგს? პირსახოცების დარიგებაც კი მიმართება „ერთი – ერთს" ასახავს.

დღის განრიგი ბავშვებს დროის გაგომვას, განაწილებასა და საათის ცნობას აჩვევს. კედელზე სხვადასხვაგვარი საათები კიდია. ისრებიან საათზე ბავშვები სწავლობენ წუთების ცნობას. ასევე კარგია, თუ კლასში დავაწყობთ წამმზომებს. კლასში დროის გაზომვის სხვა ხელსაწყოებიც უნდა გექონდეს, მაგალითად, სამწუთიანი ქვიშის საათი გამოგვადგება მცირე შესვენების მოსაწყობად, ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასვლის დროს. სამზარეულოს წამმზომი, მომართვის შემდეგ, ზარით გვატყობინებს დანიშნულ დროს. საათები იმ მხრივაც სასარგებლოა, რომ მოუთმენელ ოთხი წლის ბავშვებს, მოთმინებას აჩვევს.

კალენდარი და ამინდი, სკოლამდელი ბავშვების სასწავლო პროგრამაში, ერთ-ერთი საყვარელი თემაა. სტანდარტული კალენდარი პატარა ასაკის ბავშვებისათვის არ არის, მაინცდამაინც, შესაფერისი. ერთი თვე ბავშვებისთვის ძალიან დიდი დროა. ისინი იბნევიან ბევრი რიცხვის დანახვაზე და ინტერესი უქრებათ. უმჯობესია, მასწავლებელმა ყოველკვირეული კალენდარი შეადგინოს, ანუ თითოეულ ფურცელზე ჩამოწეროს ერთი კვირა, და ყოველი დღე სხვადასხვა ფერად გააფერადოს. მთელი თვის განმავლობაში ორშაბათი ერთ ფერად უნდა იყოს გაფერადებული, სამშაბათი სხვა ფერად და ა. შ. ცალკე უნდა გამოვყოთ შაბათ-კვირა და დღესასწაულები. მოკლედ, ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რომ სადაგი და უქმე დღეები სხვადასხვანაირად აღინიშნება კალენდარზე.

წვემოთ წარმოგიდგენთ კალენდრის ნიმუშს, სადაც ყოველდღიური ამინდი არის აღნიშნული. კვირის ბოლოს დაანგარიშდება რამდენი მზიანი და რამდენი ღრუბლიანი დღე ყოფილა გასულ კვირას. კალენდარზე უნდა აღინიშნოს ღირსშესანიშნავი თარიღები. აგრეთვე, ბავშვის მოსწრება. ბავშვი თუ ავად არის და არ მოდის ბაღში, კალენდარზე

აღნიშნულია მისი გაცდენის დღები, შემდეგ, თავად ბავშვი ანგარიშობს რამდენი დღე გაუცდენია. ვთქვათ, რომელიმე ბავშვი საავადმყოფოში წევს. კალენდარზე უნდა აღვნიშნოთ მისი დაბრუნების დღე. ეს ეხმარება ბავშვებს დროის ცნების დაუფლებაში. ბავშვებს, განვითარების დონის შესაბამისად, წარმოდგენა ექმნებათ რამდენ ხანს, ან რამდენ დღეს არ იქნება მათი ამხანაგი კლასში.



ექსკურსიებიც შესანიშნავი საშუალებაა მათემატიკაში სავარჯიშოდ. წინასწარ აღვნიშნეთ ექსკურსიის დღე კალენდარზე. ბავშვები იწყებენ დღეების თვლას და სიამოვნებით ელოდებიან ღირსშესანიშნავი თარიღის მოახლოებას. აგრეთვე, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, იმაზე, თუ რა დრო გჭირდება ბაღიდან საექსკურსიო ადგილზე მისასვლელად. ექსკურსიის დროს ყოველ ორ ბავშვს ერთი უფროსი ჰყავს მიჩენილი. ბავშვები წინასწარ ანგარიშობენ, სულ რამდენი უფროსი გაჰყვებათ ექსკურსიაზე. ყოველთვის, როდესაც ბავშვი კიბეზე ადის, მან კიბის საფეხურები უნდა დათვალოს.

ექსკურსია მაღაზიაში, განსაკუთრებით, მდიდარ მასალას გვთავაზობს მათემატიკაში სავარჯიშოდ. კულინარიის გაკვეთილებს წინ უსწრებს ხოლმე მაღაზიაში საყიდლებზე წასვლა. ბავშვები წინასწარ ანგარიშობენ, რა რაოდენობის პროდუქტია საჭირო ამა თუ იმ კერძის მოსამზადებლად. ზოგჯერ, ბავშვები პროდუქტების დასურათებულ სიასაც ადგენენ. მაღაზიაში ბავშვები ანგარიშობენ რა რა ღირს და ითვლიან ხურდას.

მათემატიკის დაკავშირება აქტივობის სხვა ცენტრებთან

სკოლამდელ პროგრამაში ყველა აქტიეობის ცენტრში შეიძლება მათემატიკის გამოყენება.

დრამცენტრი: როლების თამაშისას ბავშვები აქტიურად ვარჯიშობენ "ერთი – ერთს" მიმართების დაუფლებაში. ყოველი თოჯინა თავის საწოლში უნდა ჩააწვინონ ან "დედებისათვის" სუფრა გააწყონ და თითო "დედას" თითო ყავის ფინჯანი დაუდგან. "მაღაზიის" თამაშის დროს ბავშვები სათამაშო ფულზე ანგარიშს ეჩვევიან.

წერა-კითხვის ცენტრი: წერა-კითხვის ცენტრ ში მრავალი დასურათებული წიგნია რიცხვებზე. სურათებზე მოცემულია რიცხვი და სურათზე ხატია რიცხვის შესაბამისი საგნები, რომელიც ბავშვმა უნდა დათვალოს.





წყლისა და ქვიშის მაგიდაზე გამწკრივებული ქილები (ან ბრინჯისა და ლობიოს), ყუთები და სხვა ჭურჭელი ბავშვებს საშუალებას აძლევს არწყან, გაზომონ, შეადარონ.

ხელოვნების ცენტრი: ბავშვები ბუნებრივად ვარჯიშობენ „ერთი – ერთს" მიმართების დამყარებაში. ფუნჯებს, საღებავებს, ფანქრებს და ფურცლებს თვითონ ბავშვები არჩევენ. ისინი მარტივ საანგარიშო ოპერაციებს აწარ-

მოებენ. მაგ., თითოეულ ბავშვს სამი ფერადი ფანქარი ეკუთვნის: სულ რამდენი ფერადი ფანქარი გვჭირდება? ესკიზები, ნახაზები, დიზაინი, გეომეტრიის ელემენტებს შეიცავს, ბავშვები ეუფლებიან ფორმას და სიბრტყეს.

მანიპულატივები/მაგიდის თამაშობები: მანიპულატივები პაწაწინა ნაწილებისაგან შემდგარი სათამაშოებია. სათამაშოს აწყობისას ბავშვები აქტიურად ავარჯიშებენ ხელებსა და მხედველობას. მანიპულატივებს წარმოადგენენ: თავსატეხები, ლოტო, ლეგო, კონსტრუქტორი. ბავშვები სათამაშოებს ძირითადად ინდივიდუალურად აწყობენ და არა ჯგუფურად.

ყოფითი საგნები, როგორებიცაა, მშრალი ლობიოს მარცვლები, ღილები, ბოთლის საცობები, კენჭები, ნიჟარები, შესანიშნავად გამოიყენება თვლისა და კლასიფიკაციის შესასწავლად. პატარა ქილებსა და ჭურჭელში ვახარისხებთ ერთი ნიშან-თვისების მქონე ან ერთი რაოდენობის საგნებს. კონსტრუქტორის აწყობა მთელისა და ნაწილებს შორის მიმართების დამყარების საფუძველია, ბავშვი ინტუიციის დონეზე ღრმად სწვდება იმ ზოგად ცნებებს, რაც საფუძვლად უდევს ალგებრასა და გეომეტრიას.

კულინარიის ცენტრი: მასწავლებელი კერძების რეცეპტებს დიდ ფურცელზე ხატავს. რეცეპტი დასურათებულია. მაგალითად, თუ საჭიროა სამი ჭიქა ფქვილი, ფურცელზე ხატია სამი ჭიქა და ფქვილის პარკი. მართალია, კერძის რეცეპტში მასალის რაოდენობა გრამებით არის გამოსახული, მაგრამ გრამი ბავშვისათვის აბსტრაქტული ცნებაა. ამიტომაც, მასწავლებელმა ჯერ ჭიქით უნდა ასწავლოს არწყვა. მშრალ პროდუქტს ბავშვი თვლის, დროს ნიშნავს, გეომეტრიულ ფორმებში აცხობს სხვადასხვანაირ ნამცხვრის ფიგურებს და მერე ანგარიშობს რამდენი ნამცხვარი ერგება თითო ბავშვს.



მათემატიკის/მანიპულატივების ცენტრის მოწყობა

მათემატიკის/მანიპულატივების ცენტრისათვის მყუდრო ფართობი უნდა გამოიყოს, რომელიც შორს იქნება ისეთი აქტიური ცენტრისაგან, როგორიცაა, დრამცენტრი. ღია თაროებზე მანიპულატივები უნდა ეწყოს: სათამაშო მოზაიკა, ლოტო. ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ ნაწილები არ გაგვეფანტოს და სრულად ეწყოს ყუთებში.

ბავშვები მაგიდებთან სხედან და თამაშობენ. მაგიდები და სკამები საკმარისი უნდა იყოს, რომ ბავშვებმა დამოუკიდებლად ითამაშონ და ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ.

მასალად ვიყენებთ აგრეთვე ყოფით საგნებს, რომელთა საშუალებით ბავშვები ეუფლებიან თვლას, ანგარიშსა და სხვა მათემატიკურ ცნებებს. თუმცა, ამ ცენტრში საგანგებოდ მათემატიკის შესასწავლად განკუთვნილი სათამაშოებიც უნდა გვქონდეს, რათა ბავშვებმა ივარჯიშონ თვლას, ანგარიშს, თანმიმდევრობასა და შედარებაში.
ამგვარი საგნებია:



გოჯა-კუბები (2,5 სმ), რომლებიც იხმარება თვლისა და გაზომვისათვის.

მოძრავი ციფრები – პატარა მუყაოს ოთხკუთხედებზე აწერია 1-დან – 10-მდე ციფრები. ბავშვებს ვასწავლით მათ თანმიმდევრულ დალაგებასა და ციფრების გამოცნობას.

გასაზომი ხელსაწყოები – გაზომვის კონკრეტული პრაქტიკული სწავლებისათვის არ არის საჭირო სპეციალური გასაზომი ხელსაწყოები. თვითნაკეთი გასაზომი ხელსაწყოების გამოყენება საკმარისია, გაზომვის საფუძვლების ასახსნელად. თუმცა, ზოგჯერ მარტივი ხელსაწყოებიც გამოგვადგება, ეს გახლავთ: საწყაო ჭიქები ან მენზურები, რომლებზეც აღნიშნულია ზომის შესაბამისი დანაყოფები. საწყაო კოვზები, სახაზავი, სანტიმეტრი, სასწორი და თერმომეტრი. ბავშვები ხალისით სწავლობენ ამ ხელსაწყოების გამოყენებას. ჩვეულებრივი სასწორი გაცილებით სასარგებლოა ვიდრე თანამედროვე ხელის ან ფეხის სასწორები, რადგან ჩვეულებრივ სასწორზე ბავშვები აკვირდებიან როგორი შეფარდება არსებობს ორ საგანს შორის, რომელი მეტია, რომელი ნაკლები, როგორ შეიძლება მათი გაწონასწორება.

რიცხვების მწკრივი – იატაკზე ან მიწაზე იხაზება რიცხვები უჯრებში. ბავშვები ერთი რიცხვიდან მეორეში ხტებიან და ითვლიან. ხტუნვაში, ბავშვები, შეუმჩნევლად, თვლასა და გამოთვლას ეუფლებიან.

ზოგიერთი სახის კუბურები გეომეტრიული ფიგურების თანმიმდევრობის შესასწავლად გამოგვადგება. კუბურები ფერისა და ფორმის მიხედვით ეწყობა და სხვადასხვა ფიგურულ გამოსახულებებს ვიღებთ.

ატრიბუტიული კუბურები – პლასტმასის კუბურები, კარგი საშუალებაა მათემატიკური ცნებების დასაუფლებლად. ვიყენებთ სამი ფორმის, სამგვარი სისქისა, სამი ფერისა და სამი ზომის კუბურებს. ერთი კუბურა შეიძლება იყოს პატარა, სქელი წითელი და სამკუთხა; მეორე შეიძლება იყოს დიდი, თხელი, ლურჯი და ოთხკუთხა; მესამე – დიდი, თხელი, ყვითელი, მრგვალი. ბავშვებმა ერთი, ორი ან სამი ნიშნის მიხედვით უნდა დაახარისხონ კუბურები. ყველაზე ადვილია კუბურების გეომეტრიული ფორმების მიხედვით დახარისხება. შემდეგი ეტაპი უფრო რთულია: საჭიროა კუბურების დახარისხება ერთი ატრიბუტის მიხედვით – ფერის, ზომის ან ფორმის მიხედვით. შემდეგ ეტაპზე ბავშვი ორი ატრიბუტის ან ნიშნის მიხედვით ალაგებს კუბურებს. ერთი ნიშნით კუბურების გამორჩევის (ყველა თხელი კუბურა ერთად, ყველა წითელი კუბურა ერთად) შემდეგ, ბავშვი კუბურებს ორი ნიშნის მიხედვით ახარისხებს (რომელი კუბურებია თხელიც და წითელიც?). ამგვარი ოპერაციების დაუფლების შედეგად, ბავშვს უვითარდება სიმბოლური აზროვნება, ე.წ. სიმბოლური ლოგიკა. სიმბოლური აზროვნება მხოლოდ ხუთიდან შვიდ წლამდე ბავშვებში ვლინდება.

მონეტები – „სათამაშო ფულითა" და ნამდვილი მონეტებით თამაში საუკუთესოდ ავითარებს კლასიფიკაციისა და ანგარიშის უნარს.

სასწავლო საათი – სწავლისათვის გამოიყენება დიდი საათი, რომელზეც დამაგრებულია საათების მაჩვენებელი ისრები, წუთების მაჩვენებელი და წამების მაჩვენებელი ისრებიც. საათი საკმაოდ დიდი უნდა იყოს, რათა ბავშვებმა ადვილად გაარჩიონ ციფრები. ისრების

მოძრაობის საშუალებით ბავშვები ეუფლებიან ურთიერთმიმართებებს საათებს, წუთებსა და წამებს შორის.

თავსატეხები, მანიპულატივები: თავსატეხებით და მანიპულატივებით თამაში ბავშვებს ეხმარება გაერკვნენ საგნის ფორმაში და, აგრეთვე, მთელისა და ნაწილების ურთიერთმიმართებებში. ამგვარი თამაშის პროცესში ვითარდება მათემატიკური აზროვნება და კითხვის უნარი. თავსატეხების გამოცნობისას ბავშვები ეცნობიან ე.წ. „გასალების" ცნებას (მეცნიერება). ისინი აწესრიგებენ ცნებებს, როდესაც არკვევენ, სად უნდა მოათავსონ მწვანე ბალახი ან ლურჯი ცა, სად არის თავი, ხელები და ფეხები და, როგორ უნდა შეავერთოთ ეს ნაწილები ისე, რომ ბავშვის სურათი მივიღოთ. კლასიფიკაციის უნარი მნიშვნელოვანი მათემატიკის, მეცნიერებისა და კითხვისათვის.

თავსატეხებზე მუშაობა ანალიზსა და ექსპერიმენტს საჭიროებს, რაც ასევე მეცნიერული კვლევის საფუძველია. ზოგ თავსატეხს თან მოჰყვება მანქანების, ადამიანების, ცხოველების სურათები. სურათების ანალიზი შეიძლება საზოგადოებრივი მეცნიერების საფუძვლების სწავლებაში გამოვიყენოთ. ზოგი თავსატეხი ანბანის ასოებისაგან შედგება, რაც ხელს უწყობს კითხვის შესწავლას; ციფრების აწყობა, მათემატიკის სფეროა. ამგვარი სათამაშოები მარტივიც არის და რთულიც, ბავშვის ასაკისა და განვითარების შესაბამისად. სათამაშო შეიძლება რამდენიმე ნაწილისაგან შედგებოდეს და შეიძლება უამრავ ნაწილს აერთიანებდეს.

მოზაიკა – მოზაიკის აწყობა ბავშვს ეხმარება ფერებისა და ფორმის გარჩევასა და დახარისხებაში. ბავშვი ითვლის მოზაიკის კენჭებს (რაოდენობას ერთი, ორი, სამი) და რიგობის (პირველი, მეორე, მესამე) მიხედვით. მოზაიკის კენჭების მიმატებისა და გამოკლებით ბავშვი სწავლობს, რას ნიშნავს "შეტია ვიდრე", "ნაკლებია ვიდრე", "ტოლია". ბავშვები მოზაიკით სურათებს ადგენენ. ფიგურისა და სახეების ცნების დაუფლება ბავშვებს ეხმარება კითხვის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების დაუფლებაში. აგრეთვე, იხვეწება მათი მხატვრული გემოვნება და ვლინდება შემოქმედებითი უნარი.

ლოტო – ლოტო მრავალგვარია. არსებობს ფერების ლოტო, ციფრების ლოტო და სურათების ლოტო. ყოველგვარი ლოტოს თამაში მოითხოვს დაკვირვებას, შედარებას და შეხამებას ან მისადაგებას. ყველა ეს თვისება აუცილებელია კითხვისა და კვლევის უნარის განვითარებისათვის. ლოტო, რომელიც შედგენილია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების სურათებით, ბავშვს წარმოდგენას უქმნის საზოგადოებაზე.



ლეგო და წყვილი კუბურები – ამგვარი კუბურებით დაუსრულებლად შეგვიძლია სხვადასხვა კომბინაციები ავაწყოთ, სხვადასხვა სტრუქტურები ავაგოთ: შენობები, კოშკები, მანქანები, შესაძლებელია სრულიად – უცნობი კონსტრუქციებიც ავაწყოთ. ამგვარ კუბურებს თან მოჰყვება ბორბლები, ადამიანები (ოჯახის წევრები და სხვადასხვა პროფესიის ადამიანების) მანქანები და ცხოველები. ამგვარი მშენებლობაში უამრავ მათემატიკურ სიდიდე გამოიყენება (თელა, რაოდენობისა და რიგის დადგენა, სივრცის განსაზღვრა, ნაწილების შეფარდება ზომის მიხედვით, წონასწორობის დაცვა).

ხიდების, გვირაბების, ფერდობების აშენებისას, ბავშვი ეუფლება წონასწორობის, სიმყარის

ცნებებს. ბავშვი თანდათანობით ერკვევა არქიტექტურის, გეგმარების, სიბრტყის, სიმეტრიის და სქემის ცნებებში.

დომინო – დომინოც მრავალგვარია. ზოგი დომინო გეომეტრიული ფიგურებისაგან შედგება, ზოგიც ფერებისა ან სურათებისაგან. მთავარია, ბავშვმა ისწავლოს უჯრებში ან რიცხვების გასწვრივ შესაბამისი საგნის მისადაგება. (ზოგ დომინოზე, ერთ გვერდზე ციფრებია ჩამოწერილი და მეორეზე – შესაბამისი უჯრები ან წერტილები). როგორც ლოტო, დომინოც ბავშვებს უმახვილებს ყურადღებას, დაკვირვების, შედარების, გამოცნობისა და მისადაგების უნარს. ყველა ეს თვისება ბავშვებს გამოადგებათ კითხვისა და ბუნებისმეტყველების შესწავლაში.

ფერადი მძივები – როდესაც ბავშვები სხვადასხვა ზომის, ფორმისა და ფერის მძივებს ასხამენ ძაფზე, ისინი ეუფლებიან რიცხვის რაოდენობრივი და რიგობით სიდიდეებს. აგრეთვე სწავლობენ ფერთა შეხამებას.

ფერადი მაგნიტები – ლითონის სინი და სხვადასხვა ზომის, ფორმისა და ფერის მაგნიტის ფიგურები ბავშვებს საშუალებას აძლევს მრავალგვარი სურათები და ფიგურები შეადგინონ. ეს თამაში სასარგებლოა თვლის, გეომეტრიული ფიგურებისა და ფორმების შესწავლის, ფერთა შეხამების ათვისებისა და შემოქმედებითი უნარის გამოვლენისათვის. გარდა ამისა, ბავშვები ეცნობიან მაგნიტის თვისებებს.

აღმზრდელთა ჯგუფის როლი

უწინარეს ყოვლისა, აღმზრდელთა ჯგუფი ზრუნავს საკლასო გარემოს შექმნასა და იმ მრავალფეროვანი მასალის შეგროვებაზე, რაც ბავშვების მათემატიკური აზროვნების განვითარებას შეუწყობს ხელს. გარდა ამისა, მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს "სწავლების მეთოდი". მათემატიკის გაკვეთილების ნაცვლად, მან ისეთი თამაშები უნდა მოიფიქროს, რაც ბავშვებს მათემატიკურ ცნებებს აზიარებს. ამგვარად, მასწავლებელი ბავშვებს კი არ "ასწავლის", ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით, არამედ, ხელს უწყობს თავად ისწავლონ და დაეუფლონ ამა თუ იმ ცნებას.

ეს მეთოდი განსაკუთრებით ეფექტურია, როდესაც მასწავლებელი ბავშვს პრობლემის მათემატიკურად გადაწყვეტაში ეხმარება. ვთქვათ, ბავშვი აშენებს რაღაც კონსტრუქციას და რაღაც არ გამოსდის. მასწავლებელი ბავშვს მრჩევლად ევლინება, სთავაზობს სხვადასხვა ზომისა და ფორმის კუბურებს ისე, რომ ბავშვმა თავად მიაღწიოს მიზანს, ანუ გააკეთოს ის, რაც ჩაფიქრებული ჰქონდა. თვით სოციალური ხასიათის პრობლემების მოგვარებაშიც შეიძლება მათემატიკა გამოვიყენოთ. ვთქვათ, ორი ბავშვი ვერ იყოფს სამშენებლო კომპლექტს. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს თანაბრად გაიყონ კომპლექტში შემავალი ნაწილები. შეუძლებელია, ბაღში იმდენი სამთვლიანი ველოსიპედი გვქონდეს, რომ ყველა მსურველი ერთდროულად დავაკმაყოფილოთ. ამ პრობლემის გადასაწყვეტად ბავშვები იყენებენ წამმზომს ან საათს და თითოეულ ბავშვს განსაზღვრული დროს უნიშნავენ ველოსიპედის სატარებლად.

მასწავლებელი ეხმარება ბავშვებს კონკრეტულ გამოცდილებით მიღებული ცოდნის განზოგადებაში. მაგ., ორი საგანის შედარებისას, ბავშვები ეცნობიან ისეთ მათემატიკურ ტერმინებს, როგორიცა, "მეტობა", "ნაკლებობა", "ტოლობა". მათემატიკური ცოდნის გასამტკიცებლად მასწავლებელი ჩვეულებრივ, ყოფით სიტუაციებშიც მათემატიკურ ტერმინოლოგიას იყენებს. მაგალითად, სუფრის გაშლისას მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს, "რამდ-

ბავშვები იყენებენ წამმზომს ან საათს და თითოეულ ბავშვს განსაზღვრული დროს უნიშნავენ ველოსიპედის სატარებლად.

მასწავლებელი ეხმარება ბავშვებს კონკრეტულ გამოცდილებით მიღებული ცოდნის განზოგადებაში. მაგ., ორი საგანის შედარებისას, ბავშვები ეცნობიან ისეთ მათემატიკურ ტერმინებს, როგორიცა, "მეტობა", "ნაკლებობა", "ტოლობა". მათემატიკური ცოდნის გასამტკიცებლად მასწავლებელი ჩვეულებრივ, ყოფით სიტუაციებშიც მათემატიკურ ტერმინოლოგიას იყენებს. მაგალითად, სუფრის გაშლისას მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს, "რამდენი ხელსახოცი გვჭირდება"? ან "რამდენი კოვზით მეტია საჭირო"?

რაც უფრო გულდასმით აკვირდება მასწავლებელი ბავშვებს, მით უკეთ შეუძლია ყველა სათამაშო სიტუაციის გამოყენება მათემატიკის საფუძვლების დასანერგად.

მათემატიკური აქტივობა და პროექტები

ბავშვები ეუფლებიან მიმართებას „ერთი – ერთს", თვლას, თანმიმდევრობას, ანგარიშს, კლასიფიკაციას, გაზომვას, შედარებას, გეომეტრიის საფუძვლებსა და დროის ცნებას, კლასში სხვადასხვა საგნებით მანიპულაციის პროცესში.

თვლა – თვლას ბავშვისათვის მაშინ აქვს აზრი, როდესაც ის კონკრეტულ საგნებს ითვლის და, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც ბავშვი კონკრეტულ ამოცანას დაისახავს და თვლის საშუალებით გადაწყვეტს. მაგალითად, მასწავლებლის თვითნაკეთი კარტი, რომელზეც ბავშვი თვლასა და ფერთა შეხამებას სწავლობს ან დაფის თამაშები (როდესაც ფიგურები უნდა გადავაადგილოთ დაფაზე და კამათელზე წერტილები დავითვალოთ) ძალიან სასარგებლო და სახალისო თამაშებია და განამტკიცებს ბავშვის ცოდნას.

რიგი – კიბის საფეხურები შესანიშნავი საშუალებაა, ბავშვს თვალსაჩინოდ ავუხსნათ, როგორ უნდა დააწყოს საგნები რიგში, თანმიმდევრულად. მრგვალი მოძრავი რიცხვი თითოეულ საფეხურზე უნდა დავაწყოთ ქვევიდან – ზემოთ (1-დან 10-ის ჩათვლით) ერთმანეთის მიყოლებით. შემდეგ, მასწავლებელი აკრიფავს მოძრავ რიცხვებს, აჭრის და ბავშვს სთხოვს, თავიდან დააწყოს, რიგის მიხედვით. ბავშვებს შეიძლება მივცეთ ერთი რიცხვი და ვთხოვოთ შესაბამის საფეხურზე დადონ. იმისათვის, რომ თავიდან ავიცდინოთ არეულობა და ბავშვები არ დაეცნენ კიბის საფეხურებზე სირბილისას, საჭიროა, ამ აქტივობაში ერთდროულად ორზე მეტი ბავშვი არ მონაწილეობდეს.

თანმიმდევრობის ასათვისებლად მასწავლებელი ამზადებს მუყაოს მილებს, რომელთა სიგრძე თანმიმდევრულად მატულობს. ბავშვები წყვილებად მუშაობენ და თანმიმდევრობის დაცვით ალაგებენ მილებს – (მოკლე მილიდან – ყველაზე გრძელ მილამდე). შეიძლება, მილებს რიცხვებიც დავაწეროთ. ნუმერაცია კიდევ უფრო გააღრმავებს რიგისა და თანმიმდევრობის ცნების შესწავლას.



ანგარიში – ყოველდღიურ ყოფით სიტუაციაში, მრავალი შესაძლებლობა არსებობს მარტივი მიმატება – გამოკლების ოპერაციების შესასრულებლად. ანგარიშს, კონკრეტული სიტუაციის მოსაგვარებლად ვიყენებთ ("რამდენით მეტი ნამცხვარი გვჭირდება, რომ ყველას თითო ნამცხვარი ერგოს?") საგნების ყოველგვარი დახარისხებაა, დალაგება ან გადალაგება - მიმატებასა და გამოკლებას გულისხმობს. (მაგალითად, "ამოიღე ყველა პატარა ღილი წითელი ღილების ყუთიდან. რამდენი ღილი დარჩა?" ან "ჩააწყვე თეთრი ღილები შავი ღილების ყუთში. რამდენი ღილია სულ?").

კლასიფიკაცია – გადარჩევის, დახარისხების სწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვთა ყოველდღიური აქტივობის პროცესში. მასწავლებელმა ბავშვებს დამატებითი თამაშები უნდა შესთავაზოს დახარისხებისა და კლასიფიკაციის დასაუფლებლად. მაგალითად, ღილები შეიძლება სხვადასხვა ყუთებში დავახარისხოთ ფერის, ზომისა და ფორმის მიხედვით. ამის შემდეგ, ბავშვებმა უნდა დაადგინონ კლასიფიკაციის კრიტერიუმები ("ეს ღილები წითელია; ის ღილები ლურჯია"). სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ღილების კლასიფიკაცია, ბავშვებში ავითარებს ლოგიკური მიმართებების დამყარების უნარს ("ეს წითელი ღილები ოთხკუთხაა; ის ლურჯი ღილები მრგვალია").

გაზომვა – საჭმლის დამზადება და კულინარიის გაკვეთილები ბუნებრივ პირობებს ქმნის ზომისა და წონის სიდიდეების შესაცნობად. გარდა ამისა, შესაძლოა, ბავშვებს ვასწავლოთ ერთმანეთის სიმაღლის გაზომვა. ერთმანეთს შევადაროთ კედელზე აღნიშნული ბავშვის სიმაღლის მაჩვენებლები. ბავშვებს სასწორით აწონვაც უნდა ვასწავლოთ.

იატაკზე დაგებული ფილების გამოყენებაც შეიძლება გასაზომად. იატაკის ფილებით შეიძლება გაიზომოს ბავშვების სიმაღლე, ავეჯის სიგანე და სიგრძე, ტრანსპარანტების, ვიმპელებისა და საცეკვაო ლენტების სიგრძე.

შედარება – გრაფიკის შედგენა არის ანგარიშისა და ზომის კომბინაცია მათემატიკური შედარების წარმოების მიზნით. ყოველკვირეული კალენდარი შეიძლება გადაკეთდეს ამინდის გრაფიკად, სადაც მზიან დღეებს შევადარებთ ღრუბლიანს. გარდა ამისა, გრაფიკში შეიძლება შედარდეს გოგოებისა და ბიჭების რიცხვი კლასში. შესაძლებელია, საჭმლის, შინაური ცხოველების, ამოღებული კბილების, დაბადების დღეებისა და ფეხსაცმლის ზომების გრაფიკების შედგენა.

დრო – ბავშვებმა შეიძლება საკუთარი ხელითაც დაამზადონ დროის საზომი ხელსაწყო. მაგალითად, წვეთის საათი. ამისათვის მშვენივრად გამოგვადგება გამჭვირვალე პლასტმასის ბოთლი (მაგ. კოკა - კოლას). მასწავლებელი ბოთლის ძირში აკეთებს ნახვრეტს, ბოთლს წყლით ავსებს და რაიმე ჭურჭლის თავზე კიდებს. დროის გარკვეულ ინტერვალის (უმჯობესია, მოკლე ინტერვალი ავიღოთ, მაგ. ერთი წუთი) შემდეგ მასწავლებელი და ბავშვები ამოწმებენ, რა რაოდენობის წყალი გადმოიღვარა და აღნიშნავენ ბოთლზე. ამგვარი წვეთის საათით დროის გაზომვა, უმჯობესია, გამოვიყენოთ ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასასვლელად ან სათამაშოების თხოვებისას.

გეომეტრია – გეომეტრიული ფორმების შესასწავლად შესანიშნავი საშუალებაა მასწავლებლის მიერ გაკეთებული ლურსმანიანი დაფა. მრგვალი ფორმის დაფაზე მასწავლებელი არჭობს ლურსმნებს. ბავშვები ძაფებს ჭიმავენ ლურსმანიდან ლურსმანამდე და აკვირდებიან როგორი ფორმები იხატება. სხვადასხვა ფერის ძაფების გამოყენებით ადვილად შევადარებთ ფორმებსა და ფიგურებს.

დასკვნა

მათემატიკური ცნებების ადრეულ ასაკში გაცნობა, კარგ საფუძველს ქმნის მათემატიკური აზროვნების განვითარებისთვის. ყოველდღიური, ყოფითი პრობლემების მოგვარება მათემატიკის გამოყენებით, ბავშვებს საშუალებას აძლევს ადვილად დაეუფლონ მათემატიკურ სიდიდეებსა და ოპერაციებს. მტკიცე საფუძველი მათემატიკაში ბავშვებს შესაძლებლობას აძლევს, უფროსებივით გადაწყვიტონ პრობლემები, პრაქტიკულად გამოიყენონ მათემატიკური ცოდნა ყოფით სიტუაციებში და თავისი წვლილი შეიტანონ ტექნიკურად რთული, გლობალური საზოგადოების მშენებლობაში.

Դպրոց

XIV მუსიკა

ბავშვები თამაშის პროცესში: მუსიკა კლასში

ადამიანი ყველა ეპოქაში, ყველა ქვეყანასა და ყველა კულტურაში მუსიკას ქმნიდა. მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპის კულტურამ მსოფლიოს არაერთი უდიდესი მუსიკოსი უძღვნა: ჩაიკოვსკი, მუსორგსკი და სტრავინსკი (რუსეთი); ლისტი და ბარტოკი (უნგრეთი); სმეტანა და დვორჟაკი (ჩეხეთი); მალერი (მორავია) და შოპენი (პოლონეთი). ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია. მუსიკა კომუნიკაციის უნივერსალური საშუალებაა.

მუსიკა ამშვიდებს, აწყნარებს, ახალისებს, ართობს და ახარებს ბავშვებს. ბავშვები ბუნებით ნამდვილი მუსიკოსები არიან. ორ აღმოსავლეთ ევროპელ მუსიკოსს, კარლ ორფსა და ზოლტან კაუდაის, ძალზე საინტერესო და ყურადსაღები მოსაზრებები აქვთ იმის შესახებ, თუ რა როლს თამაშობს მუსიკა ბავშვის განვითარებაში. ორფის თეორია რამდენიმე ძირითად პრინციპს მოიცავს ადრეულ ბავშვობაში მუსიკის როლისა და გამოვლინების შესახებ. მისი თვალსაზრისით, მეტყველება, მოძრაობა, თამაში და სიმღერა – ყველა ერთია. იგი ამტკიცებს, რომ ბავშვის ბუნებრივი მოძრაობა და მეტყველება არის ტრამპლინი მუსიკის შექმნისათვის და თავად ბავშვები აქტიური კომპოზიტორები არიან. მისი ღრმა რწმენით, ჩვილი ბავშვის ღუღუნი არის ყველა მელოდიის საფუძველი. კაუდაი, ორფის თეორიებზე დაყრდნობით, ავითარებს სისტემას, რომლის მიხედვითაც, შედარებით მოზრდილ ბავშვებს ასწავლიან მუსიკალურ სიმბოლოებს და მუსიკალური სანოტო ნიშნების კითხვასა და დაკვრას. ამ ორი მუსიკოსის ნააზრევი უდევს საფუძვლად მსოფლიოს ყველა კუთხეში ბავშვებისათვის მუსიკის სწავლების სისტემას.

გავლენა განვითარების სფეროებზე

ემოციური განვითარება

მუსიკა უდიდეს გავლენას ახდენს ბავშვთა განვითარებაზე. განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს მუსიკა ბავშვის ემოციურ განვითარებაში. მშობლები, ძილის წინ, ბავშვებს იავნანას უმღერიან და ბავშვებიც, თავის მხრივ, თოჯინებს სიმღერით აძინებენ. ყველა ქვეყანაში, ყველა ეპოქაში, დედები ბავშვებს მარტივი ორტაქტიანი სიმღერების ღიღინით აძინებენ. ყველა ხალხსა და ერს აქვს საზეიმო და სადღესასწაულო მარტივი სიმღერები, რომლებსაც ბავშვები ადვილად ითვისებენ, მღერიან და სიმღერით გამოხატავენ საკუთარ გრძნობებს. მარშით ბავშვი სიამაყის გრძნობას გამოხატავს. სევდიანი და მწუხარე სიმღერები ბავშვს ასწავლის, როგორ უნდა მოერიოს ამ რთულ გრძნობებს. რადგან მუსიკა ემოციური სფეროს უძლიერესი მამოძრავებელია, უფროსებს, ბავშვებთან ერთად მუსიკის მოსმენის შემდეგ, შეუძლიათ ემოციურ, გრძნობათა სამყაროზე ესაუბრონ მათ. ბავშვები, ბუნებით, ნამდვილი მოცეკვავეები არიან და არც სჭირდებათ საცეკვაო რიტმული მოძრაობისა და "ნაბიჯის" სწავლა. თუკი მხიარულ მუსიკას ავაჟღერებთ, ისინი თავად შეუწყობენ მას ფეხს, ააყოლებენ მოძრაობას და საკუთარი ცეკვით გამოხატავენ სიხარულსა და აღტაცებას.

სოციალური განვითარება

მუსიკა ასევე ძლიერი საშუალებაა ბავშვის სოციალური განვითარებისათვის. ბავშვების ჯგუფი თუ ერთად ცეკვავს და მღერის, საუკეთესოდ ატარებს დროს. აქ არც რიგში ჩადგომაა საჭირო და არც სათამაშოების ერთმანეთისათვის თხოვება. ბავშვებს ძალიან ართობთ რეფრენიანი სიმღერები. ამ შემთხვევაში, ისინი თავის რიგს ელოდებიან მოძახილის სამღერად. (უამრავი ამგვარი მარტივი სიმღერის მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ, თუნდაც ასეთი: ბავშვების ჯგუფი რომელიღაც ბავშვს სიმღერით ეკითხება სახელს ან ადგილსამყოფელს, ისიც სიმღერითვე პასუხობს "მე ესა და ესა ვარ", "მე აქა ვარ" და ა.შ.). ბავშვები რომლებსაც ლაპარაკის რცხვენიათ, დიდი სიამოვნებით მღერიან გუნდში – და ასევე სიამოვნებით ცეკვავენ. საბავშვო სიმღერები ხშირად ქესტების თანხლებით იმღერება. სიმღერები, სადაც ბავშვები ერთდროულად ერთსა და იმავე მოძრაობებს ან ქესტებს იშველიებენ, ძალზე სასარგებლოა, მორცხვი, პასიური ბავშვების ჯგუფურ აქტივობაში ჩასაბმელად.

მეტყველების განვითარება

მუსიკა ხელს უწყობს მეტყველების განვითარებას. ყველა სამეტყველო ენა რიტმულიც არის და მელოდიურიც. ბავშვები სიტყვებით თამაშობენ მელოდიისა და რიტმის გამოყენებით. მასწავლებელი ბავშვების ყურადღებას ამახვილებს ბგერებზე და ენის ჟღერადობაზე. მაგალითად, მასწავლებელმა ბავშვებს ერთმანეთის სახელები შეიძლება ასწავლოს სახელის რიტმის ტაშით გამოსახვისა და ცეკვის საშუალებით. მუსიკა ბავშვებს ეხმარება გაიმდიდრონ სამეტყველო ენა. მელოდია ავითარებს მეხსიერებას. ამიტომაც, ბავშვს შეიძლება სიმღერის ისეთი ფრაზები დაამახსოვრდეს, რომლებიც მის ლექსიკონს სირთულით გაცილებით აღემატება. მუსიკა სამეტყველო ლექსიკონსაც ამდიდრებს. ბევრი სიმღერა ჩამოთვლას შეიცავს, და ბავშვებიც მრავალ ახალ სიტყვას ეუფლებიან. ბავშვებს ზოგჯერ საკუთარი სიმღერების შექმნის სურვილიც უჩნდებათ. ხშირად ისინი ნაცნობ მელოდიებს იყენებენ საკუთარი გრძნობებისა და განცდების გამოსახატავად.

ინტელექტუალური განვითარება

მუსიკა ხელს უწყობს ცნებების ჩამოყალიბებას ბავშვის აზროვნებაში. "იგივეობისა" და "სხვაობის" ცნებები ბავშვს შეიძლება ავუხსნათ ჰანგის, მოძრაობის, გაძლიერებისა და შესუსტების მაგალითზე. ყველა ქვეყანაში საბავშვო სიმღერები თვლის თანხლებით იმღერება. როდესაც სიმღერა ჟესტების, თვლის, ფეხის აყოლებით მიმდინარეობს, ბავშვის მთელი სხეული ჩართულია, მონაწილეობს და, ერთგვარად, ფიზიკური ვარჯიშიც კი გამოდის, სიმღერის თანხლებით. არსებობს ანბანზე შექმნილი სიმღერები, რომლებიც ცნებების ჩამოყალიბებას ალბათ ნაკლებად უწყობს ხელს. თუმცა, ბავშვს სიმღერით უკეთ ამახსოვრდება ანბანის თანმიმდევრობა.

მოტორული განვითარება

სიმღერა მოტორულ განვითარებასაც უწყობს ხელს. თითების თამაშის შეწყობა სიმღერასთან, ავარჯიშებს ბავშვის თითებს, და კონცენტრაციის უნარს ავითარებს. უბრალო, თვითნაკეთ ინსტრუმენტებზე დაკვრაც კი, მცირე კუნთების განვითარებას უწყობს ხელს. თუმცა, ბავშვის გამოგონილი, უშუალო ცეკვა, გაცილებით ძლიერად უწყობს ხელს მის ყოველმხრივ განვითარებას, ხალხური ცეკვების სწავლებას, მაინც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება. ბავშვებს სიმღერის საშუალებით ყოფითი ჩვევებით უყალიბდებათ. განსაკუთრებულად ეფექტურია, სიმღერები ბანაობაზე, ჩაცმაზე, ჭამაზე და გასუფთავებაზე.

მუსიკის ზემოქმედება ბავშვის განვითარების პროცესზე კიდევ უფრო ეფექტური იქნება, თუ ბავშვს ბგერის აგებულებას გავაცნობთ. ბავშვი არაერთხელ გამხდარა მოწმე, რომ ზამბარის ვიბრაცია გარკვეულ ბგერებს გამოსცემს. ბავშვს თავად შეუძლია ვიბრაციის შეწყვეტა, რასაც ბგერის შეწყვეტა მოსდევს. ადრეულ ასაკში ბავშვი ვერ წვდება ამ აბსტრაქტულ ცნებას. მას მხოლოდ ინტუიტურად შეუძლია შეიმეცნოს ბგერების სიმაღლეებს შორის სხვაობა. შეგვიძლია, რამდენიმე ბოთლი სხვადასხვა რაოდენობის წყლით ავავსოთ და ზემოდან ჩავბეროთ. ბოთლები სხვადასხვა სიმაღლის ხმას გამოსცემენ. ასევე, შეგვიძლია ბავშვებს ვაჩვენოთ, რომ სხვადასხვა სიგრძისა და სისქის სიმი, სხვადასხვა ბგერას წარმოშობს; აგრეთვე, სრულიად განსხვავებული ხმოვანება აქვთ დასარტყამ ინსტრუმენტებს და სხვა.

მუსიკა საკლასო ცხრილში

თუ არ არის შესაძლებლობა ცალკე დავაარსოთ მუსიკის ცენტრი, მუსიკა აქტიურად უნდა ჩავრთოთ ყველა აქტივობის ცენტრის მუშაობაში. უნდა გვახსოვდეს, რომ მუსიკის თანხლებით სწავლება საზიანოც კი აღმოჩნდეს ბავშვებისათვის, თუმცა მოზრდილი ადამიანისათვის შეიძლება სასიამოვნო იყოს.

მუსიკა ყოველდღიურ ცხრილში უნდა იყოს გათვალისწინებული. ბავშვები დღის განმავლობაში სწავლობენ სიმღერებს. შესაძლოა, საგანგებო მისასალმებელი სიმღერები შემოვიღოთ. სიმღერა საუკეთესო ჯგუფური აქტივობაა. სიმღერა შეიძლება გამოვიყენოთ ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასვლისას, ანდა ლოდინის პროცესშიც, – (სადილი, ტუალეტი) სიმღერაში უფრო მალე გადის დრო. სიმღერა საუკეთესოდ აწყნარებს და აძინებს ბავშვს. შესაძლოა, ბავშვებს გამომშვიდობების სიმღერაც ვასწავლოთ, რომელსაც ისინი შინ წასვლისას იმღერებენ.

როდესაც იგეგმება ხელოვნებისა და ბუნებისმეტყველების ცენტრის დაარსება, აუცილებლ-

ად უნდა გავითვალისწინოთ მუსიკა. ხელოვნებისა და ბუნებისმეტყველების ცენტრის ჰასალა, შესაძლოა თვითნაკეთ მუსიკალურ ინსტრუმენტებად გადაკეთდეს. კერძოდ: დასარტყამი ინსტრუმენტები: პლასტმასის ხუფებიანი ქვაბები და თასები, ალუმინის ქილები;



ჩხარუნები: ბრინჯის, ლობიოს მარცვლების, ღილების ყუთები, ჭრიალა, ნატურალური საჩხარუნო – გამხმარი გოგრა და სხვა.



„სიმებიანი" საკრავები – ზამბარები, სიმები, მავთული, ყუთზე დახვეული სიმები და სხვა.



„მეღერი ინსტრუმენტები" – კუბურები, ზუმფარას ქაღალდი და ყველაფერი, რაც ეღერადობას გამოსცემს.



„სასულე საკრავები" – პლასტმასის ბოთლები, მილები და ა.შ.

თუ თქვენ ნამდვილი მუსიკალური საკრავები გაქვთ, უმჯობესია, დაკეტილ კარადაში შეინახოთ და მხოლოდ საგანგებო მუსიკის გაკვეთილებზე დააკვრევინოთ ბავშვებს. რიტმული მუსიკა ბავშვების ყურადღებას იპყრობს და ისინი მაშინვე წყვეტენ საქმიანობას. ამიტომაც, შეიძლება დაუკრათ, როდესაც მთელი ჯგუფის მოზიდვა გსურთ. თვალყური ადევნეთ ბავშვებს, როდესაც ისინი ნამდვილ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე უკრავენ.

ყველა კულტურის ხალხებს აქვთ ხალხური საკრავები, რომელთა დამზადება სულაც არ არის ძნელი, იაფი ჯდება და ბავშვებიც ადვილად ეუფლებიან.

თქვენ შეგიძლიათ შეიძინოთ სხვადასხვაგვარი პირის გარმონები, სალამურები, სასტვენები, კაზუ და სხვა ჩასაბერი საკრავები, საკლასო კოლექციისათვის.

ყოველი ინსტრუმენტის შერჩევისას, აუცილებლად გაითვალისწინეთ რამდენად უსაფრთხოა იგი ბავშვისათვის. წვეტიანი ხომ არ არის, ხმა ხომ არ შეაშინებს? მომწამვლელი ნივთიერებით ხომ არ არის გაპრიალებული და სხვა.

იმისათვის, რომ ბავშვი კარგად გაერკვეს, და დაიმახსოვროს სხვადასხვა საკრავის ეღერადობა, თანაც, გაარჩიოს ბგერებს შორის განსხვავება, ყოველ ჯერზე თითო საკრავი გააცნით. რიტმული საკრავებზე ბავშვები ხშირად თავად ქმნიან მუსიკას. რიტმული საკრავით შეიძლება რიტმული სურათის გამოხატვა. აგრეთვე, რიტმული საკრავების თანხლებით, შეიძლება შევასრულოთ სიმღერა ან ცეკვა.

ალმზრდელთ ჯგუფის როლი

მასწავლებლებმა უნდა იმღერონ! არ არის აუცილებელი ბავშვების მასწავლებელს სოპერო ხმა და არაჩვეულებრივი მუსიკალური მონაცემები ჰქონდეს. ბავშვები სიხარულით უსმენენ თბილ, ნაცნობ, ცოცხალ სიმღერებს. სიმღერა საუკეთესო საშუალებაა სამუშაოს დასაჩქარებლად, გრძნობების გამოსახატავად და ზღაპრების საამბობად. მასწავლებლებმა ბავშვებს სიმღერის მაგალითი უნდა მისცენ: თავიდან, თავად მასწავლებელი ესალმება და ემშვიდობება სიმღერით ბავშვებს, უმღერის იავნანას, ასწავლის სიმღერებს ზღაპრებიდან, მღერის შესვენებისა და მუშაობის დროს.

თუკი მასწავლებელი რომელიმე მუსიკალურ ინსტრუმენტზე უკრავს, ეს კიდევ უფრო შინაარსიანს ხდის სწავლების პროცესს. საკლასო ოთახში შეიძლება გვქონდეს ფირსაკრავი ან მაგნიტოფონი და ბავშვებს ხშირად მოვასმენინოთ საბავშვო სიმღერები, თუმცა, ეს ვერ შეედრება და ვერც შეცვლის, მასწავლებისა და ბავშვების ერთად სიმღერას.

მასწავლებელი ყველანაირად ხელს უწყობს ბავშვის მუსიკალური მონაცემების გამომჟღავნებას. ხალხური და კლასიკური მუსიკის ფირები ბავშვებს საკუთარი ცეკვების გამოგონებისა და შესრულებისაკენ უბიძგებს. აგრეთვე, მისაღებია პოპულარული მუსიკის გამოყენება, განსაკუთრებით, პატარა ბავშვების წასაქეზებლად. საზოგადოდ, ბავშვებს კარგი მუსიკალური გემოვნება აქვთ: ისინი ენთუზიაზმით ეგებებიან საინტერესო ჰანგსა და ჰარმონიას.

როგორც, კი ბავშვები დაეუფლებიან თვითნაკეთი მუსიკალური საკრავების დამზადების ხელოვნებას; ისინი სხვადასხვა არამუსიკალურ საგნებსაც ამ მიზნით გამოიყენებენ, მაგალითად ქვაბებსა და ჯამებს. თუმცა, თუკი მთელი ჯგუფი სხვა საქმიანობაშია ჩართული მასწავლებელმა უნდა აღკვეთოს ამგვარი "მუსიკალური წიაღსვლები", რათა ხელი არ შეეშალოს სხვა ბავშვს. მოგეხსენებათ, მუსიკა ყველას ყურადღებას იპყრობს.

მუსიკალური აქტივობა და პროექტები

ჩხარუნების დამზადება

ჩხარუნების დამზადება ძალზე სახალისო და საინტერესო აქტივობაა მთელი ჯგუფისათვის. ჩხარუნების დასამზადებლად ვიყენებთ მარტივ მასალას: ცარიელ, სუფთა ალუმინის კონსერვის ქილებს (თითო ბავშვს თითო ქილა მაინც უნდა ერგოს), მშრალი ლობიოს მარცვლებს, ბრინჯს, ქვიშას, კენჭებს.

აღმზრდელთა ჯგუფი ხელმძღვანელობს ამ პროცესს, ხოლო ბავშვებს კი შეუძლიათ:

- დაამზადონ ჩხარუნები ყოველ ბავშვისათვის ჯგუფურ მუსიკალურ აქტივობაში გამოსაყენებლად.
- ავარჯიშონ მცირე კუნთები პატარა საგნების პატარა ნახვრეტებში ჩაწყობითა ან ჩაყრით (მაგ. ლობიოს მარცვლების ჩაყრა კონსერვის ქილის ნახვრეტებში).
- მეხსიერების განვითარება რიტმული ბგერების გამეორებით.
- ბგერების გამოცნობა, სხვადასხვა ჩხარუნას მაგალითზე.
- სხვა ერების მუსიკის გაცნობა.

ჩხარუნების გაკეთება

დაურიგეთ თითო კონსერვის ქილა თითოეულ ბავშვს (უმჯობესია, თითო ბავშვს ორ-ორი ქილა მივცეთ). მასალა თასებით მაგალითზე დავაწყოთ ისე, რომ ბავშვი თავისუფლად მოსწვდეს. ყოველ მაგიდაზე ერთი სახის მასალა დააწყვეთ (მაგალითად, ერთ მაგიდასთან მსხდომი ბავშვები მხოლოდ ლობიოს მარცვლების ჩხარუნებს ამზადებენ). თუკი ჯგუ-

ფში მცირე ასაკის ბავშვები არიან, რომელთაც ჯერ კიდევ უჭირთ განაწილება და გაზიარება, მაშინ თითოეულ ბავშვს მასალით სავსე თითო თასი დაუდგით წინ.

აჩვენეთ ბავშვებს, როგორ უნდა ჩააგდონ საგანი (ლობიოს მარცვალი ან კენჭი) ქილის ნახვრეტში, შემდეგ, ააჩხარუნეთ ქილა და ყურით დაუგდეთ ხმას. სთხოვეთ ბავშვებს, იგივე გაიმეორონ. ისინი ხალისით აჩხარუნებენ ქილებს და ამჩნევენ, როგორ იცვლება ხმა, თითოეული კენჭის დამატების შემდეგ. როდესაც ჩხარუნა მზად არის, ასწავლეთ ბავშვებს, როგორ დახუფონ ხვრელი ლენტით. ლენტი შეგიძლიათ წინასწარ დაჭრათ. პატარებს, მოხუფვისას თქვენი დახმარება დასჭირდებათ.

ჩხარუნების გამოყენება

რიგრიგობით აჩხარუნებინეთ ბავშვებს და შეეცადეთ, რომ მათ გარკვეული რიტმული კანონზომიერება გამოსახონ, რომელსაც შემდეგ მთელი ჯგუფი აყვება.

- ბავშვებს სხვადასხვა რიტმები გააცანით და აიყოლიეთ.
- იმღერეთ და პაუზების დროს ააჩხარუნეთ ჩხარუნა.
- მწყობრი სვლა ჩხარუნების თანხლებით.
- თუ სხვადასხვაგვარი მასალით დაამზადებთ ჩხარუნებს, აურიეთ და, ბავშვებს სთხოვეთ, თავიდან დააწყვილონ.
- ჩართეთ ფირი და მოუსმინეთ მუსიკას. პაუზების დროს რიტმულად. აჩხარუნეთ ჩხარუნა.

ბუნებისმეტყველების ცენტრი და წყლით სავსე ბოთლების მუსიკალური გამოყენება

მასალა:

- მძიმე, შუშის ბოთლები დაურიგეთ ბავშვებს (ბოთლები არ უნდა ტყდებოდეს).
- წყალი.
- წყლის ჭურჭელი.
- ლითონის კოვზები და ჩანგლები.

ამგვარი აქტივობა ბავშვს აცნობს სხვადასხვა ვიბრაციით წარმოქმნილ ბგერებს. ბავშვები, აგრეთვე, იმასაც ეცნობიან, თუ, როგორ არის დამოკიდებული ბგერის სიმაღლე ბგერის წარმოქმნელი საგნის სიგრძეზე.

ბოთლების მომზადება

თითოეულ ბავშვს მიეცით თითო ბოთლი და კოვზი ან ჩანგალი. წყლის მაგიდა ამ აქტივობისათვის ყველაზე უკეთ გამოგადგებათ. დააწყვეთ ბოთლები მაგიდაზე. თუ ბოთ-

ლი წაიქცა, არა უშავს. საერთოდ, შეიძლება, ეს აქტივობა ეზოშიც ჩავატაროთ. თუ აქტივობა საკლასო ოთახში ტარდება იატაკზე გაზეთები დააგეთ და წინასწარ მოიმარაგეთ ღრუბელი და ტილო. შეგიძლიათ, ბოთლები სინებზე დადგათ, რომ წყალი იატაკზე არ დაიწუწოს. შესაძლოა, თითოეულ ბავშვს საკუთარი წყლით სავსე დოქი მივცეთ. შეიძლება, სამმა ბავშვმა ერთი დოქი რიგ-რიგობით გამოიყენოს.

ჯერ ცარიელ ბოთლზე დააწკარუნეთ კოვზი და მოუსმინეთ ხმას. შეიძლება, ბოთლში ჩაბეროთ და წარმოქმნილ ხმას დაუგდოთ ყური. თქვენს შემდეგ ბავშვები თვითონ დააწკარუნებენ კოვზებს ბოთლებზე, ან ჩაბერავენ. შემდეგ ცოტაოდენი წყალი ჩაასხით ბოთლში. ისევ დააწკარუნეთ, სთხოვეთ ბავშვებს, მეტი წყალი ჩაასხან ბოთლებში და დააკვირდნენ, როგორ იცვლება ბგერა წყლის დამატების შედეგად. სთხოვეთ ახსნან, რა ხდება. ამ გზით თქვენ შეგეძლებათ ბავშვებს აუხსნათ დაბალი და მაღალი ბგერების არსებობა და წარმოშობა.

ბოთლების გამოყენება

პატარა ბავშვები ბოთლებზე აწკარუნებენ რიტმულად. რიტმებს ან თავად ქმნიან, ან თქვენს მიწოდებულ რიტმებს იმეორებენ.

უფროსი ბავშვები უფრო რთულ ოპერაციებს აწარმოებენ. ისინი წყლის დამატებითა და დაკლებით სასურველ ტონალობას ან ბგერას აგნებენ. შემდეგ ცალკე აწყობენ „მაღალი" ტონალობის ბოთლებს, და ცალკე – "დაბალი" ტონალობის ბოთლებს. ზოგიერთი ბავშვი მარტივ მელოდიასაც კი აწყობს. მარტივი ჰანგის დაკვრა ბოთლებზე წკარუნით, ან ჩაბერვით თავიდან თქვენც შეგიძლიათ აჩვენოთ!

სტუმრად ორღანთან

ზოგ ქალაქში, ძველ ეკლესიებში დღესაც შესანიშნავი ორღანები დგას. ორღანი ყველა ასაკის ადამიანს ხიბლავს, მაგრამ ბავშვებს განსაკუთრებულად აჯადოვებს. თუ თქვენ წინასწარ შეთანხმდებით ორღანისტთან და ბავშვებთან ერთად ეკლესიას ეწვევით, ბავშვები ნახავენ, მოისმენენ, და თავად დაუკრავენ ამ საოცარ საკრავზე. ორღანისტს წინასწარ უნდა მოელაპარაკოთ, რომ ბავშვები კონცერტზე კი არ მიგყავთ, არამედ ორღანის დასათვალიერებლად. შესაძლოა, ბავშვებს გრძელი ნაწარმოებების სმენა მობეზრდეთ, მაგრამ, თუკი მათთვის ნაცნობ ჰანგებს ან ვარიაციებს მოისმენენ, ძალზე გახალისდებიან (ზოგიერთ ორღანისტს ადვილად შეუძლია ნაცნობი ჰანგებზე იმპროვიზაცის აწყობა). წინასწარვე დაადგინეთ, ერთ ჯერზე რამდენი ბავშვის მიყვანა შეგიძლიათ, შესაძლოა, მთელი ჯგუფის წაყვანაც კი შესძლოთ. შეთანხმდით, ვინ შეგვხვდებათ დარბაზში, ვინ მიგიყვანთ ორღანთან, ბავშვები სად დასხდებიან.

ბოთლებით სხვადასხვა ბგერების გახმოვანებისა და "დაკვრის" გამოცდილება ძალზე გამოადგებათ ბავშვებს ორღანის აღქმაში. ორღანშიც ხომ ბგერა სხვადასხვა ზომის მილებში ჰაერის მოძრაობით წარმოიქმნება. შესაძლოა, ბავშვები ბოლომდე ვერ ჩასწვდნენ ორღანის მექანიზმს, მაგრამ კავშირს ბგერასა და მილებში ჰაერის მოძრაობასთან ნამდვილად გააცნობიერებენ.

ამგვარი ექსკურსიისათვის ბავშვები წინასწარვე, ერთი კვირით ადრე მაინც, უნდა მოამზადოთ. წინასწარ, წერილობითი თანხმობა ჩამოართვით მშობლებს, და სთხოვეთ, ვისაც შესაძლებლობა აქვთ, წამოგყვნენ ექსკურსიაზე. მშობლები დაგეხმარებიან, ბავშვებს თვა-

ლყურს ადევნებენ. ბავშებს აუხსენით, სად მიდიან, რა უნდა ნახონ, რა უნდა მოისმინონ; თუ ეკლესიის ან ორღანის სურათები გაქვთ, დაათვალიერებინეთ. თუ კლასში საორღანო მუსიკის ჩანაწერები გაქვთ, მოასმენინეთ ბავშვებს. დაახატინეთ და აცეკვეთ მუსიკის თანხლებით. ეცადეთ, ბავშვებმა აგიხსნან, რა გრძნობებს აღძრავს მათში ეს მუსიკა.

ექსკურსია

როდესაც ორღანის დასათვალიერებლად მიხვალთ, სთხოვეთ ორღანისტს, აჩვენოს ბავშვებს კლავიატურა და ყველა პედალი. თუ შესაძლებელია, ბავშვებმაც სცადონ დაკვრა ან ხელი მაინც შეახონ კლავიშებს. ორღანისტს სთხოვეთ, ბავშვების ნაცნობი მელოდია სხვადასხვა ტონალობაში დაუკრას. ძველებურ ორღანს მექანიკური საბურველები აქვს. სთხოვეთ, ორღანისტს აჩვენოს ბავშებს, რა დანიშნულება აქვს ამ საბურველებს. აგრეთვე, რამდენიმე პატარა მილი მოხსენით (ადვილად იხსნება), რომ ბავშვებმა მოისმინონ ჩაბერვის შედეგად წარმოქმნილი ჟღერადობა. ბავშვებს არ უნდა დართონ ნება მილებში ჩაბერონ, რადგან მილები, ალბათ, მტვრიანი იქნება. დაუკავშირეთ ეს ბოთლებში ჩაბერვის გამოცდილებას.

სთხოვეთ ორღანისტს, დაგათვალიერებინოთ ორღანის დიდი მილებების სისტემა. (მილების ბუდე იმხელაა რომ შიგ მთელი ჯგუფიც ჩაეტევა). აღმოსავლეთ ევროპაში ორღანის ბუდე, თავისთავად, ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს.

წამოსვლამდე, კარგი იქნება, თუ ორღანისტი კიდევ ერთხელ დაუკრავს ბავშვების ნაცნობ მელოდიებს. თუ ჩამწერი ხელსაწყოები თან გაქვთ, კარგი იქნება, ჩაიწეროთ ეს "კონცერტი", ორღანისტის მისასალმებელ სიტყვასთან ერთად.

ექსკურსიის შემდეგ

როდესაც კლასში დაბრუნდებით, ბავშვებს სთხოვეთ შთაბეჭდილებები გაგიზიარონ. შეადგინეთ "შთაბეჭდილებების რუქა", რომელსაც ხშირად წაუკითხავთ ბავშვებს და შეახსენებთ საინტერესო ექსკურსიას. სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ ორღანი. მოასმენინეთ ბავშვებს საორღანო მუსიკის ჩანაწერები, დაახატინეთ, ამღერეთ, აცეკვეთ მუსიკის თანხლებით.

დასკვნა

მუსიკა ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ბავშვების აღზრდა-განვითარებისათვის. მუსიკა ბავშვების თამაშის ბუნებრივი ნაწილია და დადებით როლს ასრულებს აღმზრდელობით პროცესში. მუსიკის სწავლებას არ ჭირდება ძვირადღირებული რთული ინსტრუმენტები. ყველაზე საუკეთესო მუსიკალური ინსტრუმენტი ბავშვებისათვის არის ადამიანის ხმა. მუსიკას, ემოციასა და მეტყველებას შორის ფარული, ღრმა კავშირი არსებობს. მუსიკა ბავშვების ყოველდღიურ პროგრამაში უნდა იყოს ჩართული.

ხაფანგი

XV სუფთა ჰაერზე

ბავშვები თამაშის პროცესში: სუფთა ჰაერზე

სუფთა ჰაერი მარტო ეზოს არ გულისხმობს, არამედ პარკებს, ქალქში სეირნობას, ტბებსა და ბაღებს. სუფთა ჰაერზე ბავშვები ბევრ რამეს სწავლობენ და ვითარდებიან.

ბავშვები სუფთა ჰაერზე თამაშისას ბუნებრივ ცნობისმოყვარეობასა და ენთუზიაზმს ამჟღავნებენ. ოთხ კედელს მიღმა საგნები სახეს იცვლიან. სუფთა ჰაერი მაცოცხლებლად მოქმედებს ბავშვთა განვითარების ყველა სფეროზე. მასწავლებელსაც მრავალი საშუალება აქვს, ხელი შეუწყოს დაკვირვების, კვლევის, თამაშისა და ურთიერთობის პროცესების განვითარებას.

ამინდი გარეთ თამაშის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ბავშვები, წელიწადის ყველა დროის ამინდის ცვალებადობას აკვირდებიან და ეგუებიან. ბავშვებს წვიმაშიც უყვართ თამაში და თოვლშიც (უფროსებისაგან განსხვავებით, რომლებიც უფრთხიან ცუდ ამინდს).

გარეთ ყველაფერი საინტერესოა ბავშვისათვის. ჩიტის ბარტყები, მოლზე კოტრიალი, გაზაფხულის წვიმის შემდეგ ჰაერში დატრიალებული გამაბრუებელი სურნელი. საკლასო გაკვეთილებიც შეიძლება გარეთ გადავიტანოთ და სახეცვლილი სახით მივაწოდოთ ბავშვებს. მოთხრობა, სადაც ქარის შრიალია აღწერილი, სულ სხვანაირად აღიქმება, როდესაც ბავშვი ხის ქვეშ ზის და ქარის შრიალს უგდებს ყურს, ვიდრე საკლასო ოთახში. გარეთ მრავალი ფერია, მრავალი ხმა და მრავალი საინტერესო რამ ხდება. ბავშვი ბუნებასთან უშუალო კავშირშია, რაც ხელს უწყობს მისი გრძნობების გამახვილებას.

სუფთა ჰაერზე ყოფნას გარკვეული წონასწორობა შეაქვს დღის წესრიგში. სუფთა ჰაერი ბავშვებისთვისაც სასარგებლოა და მასწავლებლებისთვისაც. კარგია, როცა სუფთა ჰაერს სუნთქავ, ამინდის ცვალებადობას აკვირდები, გაშლილი სივრცით ტკბები და კუნთებსაც ავარჯიშებ. მოძრაობა და ატმოსფეროს შეცვლა სტრესს ამცირებს.

საკლასო პროგრამაში სუფთა ჰაერზე გაკვეთილების გათვალისწინება სასარგებლოც არის და ერთგვარი ხიდის როლსაც ასრულებს ორ გარემოს შორის. ეზოდან მოტანილი ცარიელი ჩიტის ბუდე ბავშვებს უამრავ საინტერესო მასალას სთავაზობს. ბავშვები ხელით ეხებიან ბუდეს, იკვლევენ რისგან არის აგებული და მეტ ინტერესს იჩენენ ფრინველების თემის შესწავლისადმი. ბავშვებს ძალიან უყვართ გარეთ ხატვა. მათ თან მიაქვთ ფერადი ფანქრები, მოლბერტები, სკამები და უდიდესი სიამოვნებით ხატავენ. სუფთა ჰაერზე გაკვეთილების ჩატარება მასწავლებელს საშუალებას აძლევს ახალ ცნებებს აზიაროს ბავშვები, გაამდიდროს მათი ლექსიკონი. ხშირად მასწავლებელი გაოცებულია იმ უნარითა და ცოდნით, რომელსაც ბავშვები, სწორედ, სუფთა ჰაერზე ყოფნისას ავლენენ.

გავლენა განვითარების სფეროებზე

სუფთა ჰაერი მაცოცხლებელ ზეგავლენას ახდენს ბავშვის განვითარების ყველა სფეროზე – ფიზიკური განვითარება იქნება ეს, სოციალური, კულტურული ემოციური თუ ინტელექტუალური.

ფიზიკური განვითარება

გარეთ ბავშვებისათვის უამრავი საინტერესო, სახალისო აქტივობის დაგეგმვა შეიძლება. ბევრი ბავშვისათვის, უბრალოდ, აუცილებელია ფიზიკური ვარჯიშები. ფიზიკური აღზრდა ბავშვებში აყალიბებს: სოციალურ ჩვევებს, ურთიერთდახმარების უნარს, ღირსების გრძნობას; ბავშვები სწავლობენ თამაშის წესების დაცვას, პრობლემების მოგვარებას; ინტელექტუალურად იზრდებიან. ფიზიკური აღზრდა საბავშვო პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილია.

სუფთა ჰაერზე ვითარდება ბავშვების კუნთები. ისინი დარბიან, დახტუნავენ, მოძრაობენ, ავარჯიშებენ სხეულს. გეგმით გათვალისწინებულია, ცოცვა, ზედა და ქვედა კიდურების განვითარება, წონასწორობის დაცვა და კოორდინაციის უნარის ჩამოყალიბება.

მცირე კუნთები, ტალახში თამაშის, წყლის დასხმის, კენჭებისა და ფოთლების შეგროვებისას და კენჭაობისას ვითარდება. გარეთ, ბავშვი აცნობიერებს, როგორ მოძრაობს და მოქმედებს მისი სხეული სხვადასხვა სივრცეში. იგი ხან, მთასვლელია და მწვერვალს იპყრობს, ხან, გვირაბში დაძვრება, ხან, საქანელაზე ქანაობს და ხან, შემოდგომის ფოთლებით მოფენილ მიწაზე კოტრიალობს.

ფიზიკური ძალა, კოორდინაცია, წონასწორობა, გამძლეობა – ყოველდღიური ვარჯიშით ვითარდება. მხოლოდ გარეთ შეიძლება ყველა ამ თვისების დაუფლება.

ფიზიკურ ძალას და მოქნილობას, რაც უფროსი ასაკის ბავშვებს სპორტული თამაშების დროს სჭირდებათ, საფუძველი ადრეულ ასაკში უნდა ჩაეყაროს. აუცილებელია, ყველა ეს თვისება თუ უნარი, ხალისითა და თამაშით ისწავლოს ბავშვმა. კარგი იქნება, თუ ადრეულ ასაკში ბავშვებს ერთმანეთს არ გავაჯიბრებთ, არამედ სპორტისა და ვარჯიშისადმი სიყვარულს ჩავუნერგავთ. მოერიდეთ ისეთ თამაშებს, სადაც ერთი იმარჯვებს და მეორე მარცხდება. ბავშვი, რომელიც ხშირად მარცხდება შეჯიბრში, საერთოდ, კარგავს ინტერესს სპორტული თამაშისადმი და უარს ამბობს ვარჯიშზე. ფიზიკური აღზრდის მიზანია ბავშვებს ინტერესი გავუღვივოთ ვარჯიშისა და აქტიური თამაშისადმი.

ფიზიკურად ბავშვები სხვადასხვა ტემპით ვითარდებიან. ზოგი ოთხი წლის ბავშვი თავისუფლად დახტის ასკინკილით, ზოგი კი ამას მხოლოდ ხუთი ან ექვსი წლის ასაკში ახერხებს. ზოგი ბავშვი ადვილად იჭერს ბურთს. ზოგი -- ვერა. მასწავლებელმა დაკვირვების შედეგად უნდა დაადგინოს ბავშვის ფიზიკური განვითარების დონე და შესატყვისი აქტივობა შესთავაზოს.

სოციალური და კულტურული ჩვევების დაუფლება

სუფთა ჰაერზე თამაში ერთმანეთთან ურთიერთობის მეტ შესაძლებლობას აძლევს ბავშვებს. გარეთ დაშვებულია ხმაური, სიმღერა, ყვირილი. ზოგი ჩუმი ბავშვი გარეთ ყველაზე მეტს ხმაურობს ხოლმე. ატმოსფერო გარეთ და შიგნით სრულიად განსხვავებულია, ბავშვების ქცევაც შესაბამისად იცვლება. მასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ უკეთ დააკვირდნენ ბავშვებს და მეტი შეიტყონ მათ შესახებ.

ბავშვები ეჩვევიან შეთანხმებას, მოლაპარაკებას და მორიგებას, ველოსიპედის ტარებას და საქანელაზე მორიგეობით ქანაობის დაწესებას. ისინი იძენენ ურთიერთობის სოციალურ ჩვევებს. ბავშვები სწავლობენ დათმობას "ახლა ჩემი ჯერია, შენ უკვე დიდი ხანია თამაშობ". ბავშვები ეჩვევიან ერთად თამაშს, – საქანელაზე ზოგი ქანაობს, ზოგი საქანე-

ლას აქანებს; ერთად თამაშობენ ქვიშაში, ერთად დაცოცავენ. ბავშვები მეგობრობას სწავლობენ; მეგობრდებიან და ერთობიან თავისუფალ ატმოსფეროში.

სეირნობა, ექსკურსიები, სახანძრო სადგურში სტუმრობა, მათ უამრავ საინტერესო რამეს ასწავლის. ხან, ნაგვის მანქანა ჩაივლის, ხან, ხეიბრის სავარძლიანი მოხუცი, ხანაც, ფოსტალიონს გაესაუბრებიან. გარეთ ბავშვები უკეთ ეცნობიან გარესამყაროს.

ემოციური განვითარება

წინააღმდეგობათა დაძლევა, ამოცანათა გადაწყვეტა გარეთ, ბავშვებში დადებით თვითშეფასებას ამკვიდრებს. ბავშვები სიამაყით ივსებიან, როდესაც პირველად სასრიალოზე აფორთხდებიან ან საკუთარი ხელით ჩარგული ნარგავის ნაყოფს იხილავენ, ანდა მეგობრებთან ერთად ხის შენობას ააშენებენ.

ეზოში თამაში ბავშვებს თვითდაჯერებულებს ხდის. ისინი აცნობიერებენ, რა შეუძლიათ გააკეთონ სხეულით, როგორ დაეუფლონ საკუთარ მოძრაობას. მათ თავი მოსწონთ, როცა შეატყობენ, რომ მათი ფიზიკური ძალა იზრდება. რეალობა მათში ავითარებს რწმენას საკუთარი თავისა და სხვებისადმი. ბავშვი, რომელსაც დამოუკიდებლად ჩამოსვლა უჭირს საქანელიდან, დახმარებას ითხოვს და სჯერა მათი, ვინც დახმარებას სთავაზობს.

როლების თამაშიც გარეთ უფრო საინტერესოა, ვიდრე საკლასო ოთახში. გარეთ სივრცე არ არის შემოფარგლული ამიტომ, უფრო ადვილია "მოგზაურობანას" თამაში, ველოსიპედების, მანქანების "თვითმფრინავების" და გემების წარმოდგენა.

გრძნობების გამოხატვაც გარეთ უფრო ადვილია. როცა ბავშვი მასწავლებელთან ერთად საქანელაზე ზის, ის უფრო ადვილად საუბრობს. თავის გრძნობებზე, უამბობს მასწავლებელს, რა სტკივა და რა უხარია. სიხარული, ბრაზი, მეტოქეობა, გარეთ უფრო ადვილი გამოსახატია, რადგან აქ ბავშვებს ხმაურს არავინ უშლის.

გარეთ ბავშვი გაცილებით უკეთ აღიქვამს და აფასებს სილამაზესა და მშვენიერებას. ბავშვების ყველა შეგრძნების ორგანო აქტიურად არის ჩართული შემეცნების პროცესში: ბავშვი შეიგრძნობს ყვავილების სურნელს, ტალახში ისვრება, უსმენს ჭრიჭინების ჭრიჭინს და სახეზე მზე საამურად ელამუნება. ამგვარი შეგრძნებებით იგი გარე სამყაროს შეიმეცნებს.

ინტელექტუალური განვითარება

ბავშვები სწავლობენ, საგნებთან და აზრებთან უშუალო შეხების საშუალებით. გარეთ მასწავლებელი ბავშვებს უხსნის ფერის, ფორმისა და ზომის ცნებებს. გარეთ, მართლაც, ფერთა მოზღვავებაა (ფოთლები, ყვავილები, ცა, შენობები). აქ მრავალი საგნის დათვლა და კატეგორიებად დაყოფა შეიძლება (ყვავილების კოკრები, დღეს რომ უნდა გაიშალონ, ნაგვის რაოდენობა, რომელიც უნდა გადაიყაროს, ანდა რამდენჯერ გაქანდა საქანელა).



ზოგი ცნება გარეთ უკეთ შეიმეცნება, ვიდრე დახურულ სივრცეში. ბუნების საოცრებას აქ უშუალოდ ვეხებით და ვაკვირდებით. წელიწადის დროთა ცვალებადობა ჩვენს თვალწინ ჩაივლის. ცაზე ღრუბლები გროვდება, ეს კი წვიმს მოასწავებს, აი ციყვებიც, თხილს აკნატუნებენ. მცენარეების დარგვა, მორწყვა და ბოსტანში მოსავლის აღება ზაფხულში, ბავშვებს, მიზეზისა და შედეგის მიმართებას აზიარებს. ისინი სწავლობენ, რა არის სიცოცხლე, ზრდა, მცენარე, ფერი, ფორმა და ითვისებენ ახალი ხელსაწყოების სახელებს. ბავშვები სწავლობენ დაკვირვებას და ანალიზს. მათ მრავალი შეკითხვა უჩნდებათ, მრავალი ამოცანაა გადასაწყვეტი; როდესაც ბავშვი გაოცებულია "რატომ დაპატარავდა თოვლის პაპა?", იგი სწავლობს ტემპერატურის ცვალებადობის, გადნობისა და აორთქლების მოვლენებს.

გარეთ მეტყველებაც უკეთ ვითარდება. იმდენი რამეა ირგვლივ, გინდა შეეხე, გინდა მოუსმინე, გინდა ცქერით დატკბი. ბავშვების ცნობისმოყვარეობა იზრდება და მათ ბუნებრივად უჩნდებათ ლაპარაკისა და მოსმენის სურვილი.

გარემო ბავშვის შემოქმედებით უნარსა და ფანტაზიას ფრთებს ასხამს. ისინი სხვადასხვა როლებს განასახიერებენ, რათა უკეთ შეიმეცნონ გარესამყარო. ბავშვი საქანელაზე ისე ქანაობს, თითქოს მართლაც დაფრინავს ჰაერში, ველოსიპედზე – თავი სატვირთო მანქანის მძღოლი ჰგონია. მოძრაობა, შეხება, შეგრძნება, – მოკლედ, ყველა აქტიურობა რომელიც სუფთა ჰაერზე ტარდება ხელს უწყობს ბავშვის განვითარებას.

მასწავლებელი ეზოშიც ისეთ აქტივობებს გეგმავს, რომ ბავშვი ყველა მიმართულებით განვითარდეს.

როგორ მოვაწყოთ ეზო

ბავშვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა

როდესაც ეზოს ვაწყობთ, უპირველესი მნიშვნელობა ბავშვების უსაფრთხოებას უნდა მივანიჭოთ. რა უნდა გავითვალისწინოთ ბავშვების უსაფრთხოებისათვის:

- ეზო ისეა დაგეგმილი, რომ მასწავლებელს ყოველ წუთს ყველა ბავშვის დანახვა შეეძლოს?
- ეზო ისეა დაგეგმილი, რომ ბავშვებს ჯგუფური თამაშიც შეეძლოთ და განმარტოვებაც?
- საქანელების ქვეშ, სასრიალოებთან და ცოცვისათვის განკუთვნილ მოწყობილობებთან რბილი მოლია?
- სათამაშო მოედნები მკაფიოდ არის შემოფარგლული?
- საკმარისი დანადგარებია იმისათვის, რომ ბავშვებმა მთელი დღე რიგში დგომას არ მოანდომონ?
- სადრენაჟე თხრილები, ელექტრო - მავთულები და სხვა სახიფათო დანადგარები კარგად თუ არის დაფარული?

- არის ეზოში წყალი და ტუალეტი?
- არის ახლო-მახლო პირველი სამედიცინო დახმარების ჩანთა, რომ ბავშვების ნაკაწრებსა და ჭრილობებს მოვუაროთ?

მეთვალყურეობის აუცილებლობა

ბავშვებისათვის თვალყურის დევნება, საუკეთესო გარანტიაა მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

რამდენიმე რჩევა ბავშვთა უსაფრთხოებისათვის:

- აქტიურ სათამაშო მოედნებზე მოთამაშე ბავშვებს უფროსი (მასწავლებელი ან მშობელი) უნდა მეთვალყურეობდეს (ცოცვა, სრიალი, საქანელა, მშენებლობა).
- აქტიურად არ ჩაერიოთ ბავშვების თამაშში, მაგრამ ყურადღებით იყავით და არ მოსცილდეთ ბავშვებს.
- ქვიშაში და წყალში მოთამაშე ბავშვებს უფროსი უნდა ადევნებდეს თვალყურს. აგრეთვე, მარტო არ დატოვოთ ბავშვი ველოსიპედის ტარებისას.
- სუფთა ჰაერზე უფროსები კი არ ისვენებენ, არამედ ყველანაირად უწყობენ ხელს ბავშვებს, რაც შეიძლება მეტი გაიგონ და ისწავლონ.

ასწავლეთ ბავშვებს, როგორ გაფრთხილდნენ. ესაუბრეთ ამაზე კლასშიც და ეზოშიც. ასწავლეთ, როგორ მოუარონ საკუთარ თავს.

თამაში ეზოში

ეზოში სივრცე ისევე ყურადღებით უნდა დაიგეგმოს, როგორც საკლასო ოთახში. კარგად დაგეგმილ ეზოში რამდენიმე სათამაშო მოედანია, რომლებიც ბავშვებს თამაშისათვის განაწყობს.

ბილიკები საკმაოდ ფართო უნდა იყოს, რომ ბავშვები ერთმანეთს არ დაეჯახონ. თუ ეზოს რომელმე მონაკვეთი დანაგვიანებულია, შემოფარგლეთ მავთულით, დადგით ნიშანი ან წინასწარ გააფრთხილეთ მომვლელები. კარგად დაგეგმილი ეზო აგვაცილებს უბედურ შემთხვევებს, დაცემას, ტკივილებს.

ცოცვა



ყველა სათამაშო მოედანზე ერთი დანადგარი მაინც დგას, რომელიც ცოცვისთვის არის განკუთვნილი. ყველა ასაკის ბავშვებს უყვართ ცოცვა. პატარები მხოლოდ მცირე გორაკზე აფორთხდებიან ხოლმე, დიდები ხეებზეც ცოცავენ და მაიმუნებივით ტოტებს ეკიდებიან.

აუცილებელია, ბავშვს ასაკისა და განვითარების

შესატყვისი აქტივობა შევთავაზოთ. ბავშვები ყველაზე მეტად ცოცვისას შავდებიან და ამიტომაც, განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ვიყოთ. თუ შესაძლებელია, მიწაზე რბილი მოლი ან ხელოვნური იატაკი დავაგოთ.

ცოცვის კუთხეში შემდეგი დანადგარები გვაქვს:

ძელი	საქანელა
ბაგირი	აიწონა-დაიწონა
დვირი	ბორბლის საქანელა
დაბრკოლება	ხეები
ხიდის ზედა და ქვედა პლატფორმა	გვირაბები
პანდუსი	ხის კონსტრუქციები
სასრიალო	

მიწა, წყალი, ტალახი

საკმაოდ დიდი სივრცე უნდა იყოს გამოყოფილი, რომ ბავშვს დამოუკიდებლადაც შეეძლოს თამაში ქვიშაში, წყალში და ტალახში და, ჯგუფთან ერთადაც. კარგი იქნება, თუ ამ კუთხიდან შორს იქნება ონკანი. უმჯობესია, წყალი ბავშვების დახმარებით ურიკაში ჩაწყობილი დოქებით მოვზიდოთ, ვიდრე ბავშვებს შეეძლოთ ონკანის თავის ნებაზე მოშვება. ბავშვები ხალისით მოაგორებენ ურიკებს და წყლის ტრანსპორტირების ამ საინტერესო მეთოდსაც ეუფლებიან.

აუცილებელია სისუფთავე დავიცვათ საქვიშეში. თამაშამდე და თამაშის შემდეგაც, კარგი იქნება რამე გადავაფაროთ, რათა კატებმა და სხვა ცხოველებმა არ დააბინძურონ. თუ სახურავი არა გაქვთ, საქვიშე ყოველდღიურად უნდა გასუფთავდეს.

ქვიშაში წყალსა და ტალახში სათამაშოდ და შემდეგი სათამაშოები გეჭირდება:

- პლასტმასისა და ლითონის ვედროები, თასები.
- ქეთლები, ყველა ზომის ნიჩბები, კოვზები.
- ძველი მანქანები, სატვირთო მანქანები, სახანძრო მანქანები, მატარებლები.
- ძაბრი, საცერი.
- სხვადასხვა ზომის ფორმები.
- ურიკა.
- პატარა მუყაოს ყუთები.
- ძველი ხის და პლასტმასის ყუთები.
- ბუნებრივი საგნები – ნიჟარები, ჯოხები, კენჭები, ფოთლები.

ტრანსპორტი

ეს ერთადერთი ადგილია ეზოში, სადაც ასფალტი აგია, რადგან ასფალტზე უფრო ადვილია ტრანსპორტის ტარება, წონასწორობის დაცვა, პედლების ტრიალი, მობრუნება, უკან დახევა, დამუხრუჭება, გაჩერება. ველოსიპედის ტარება ანვითარებს დიდ კუნთებს და ბავშვებს წონასწორობის დაცვაში ავარჯიშებს. ამ კუთხეში ბავშვები ხშირად როლებსაც ასახიერებენ. ხელი შეუწყვეთ და დაურიგეთ ქუდები, საგზაო ნიშნები, სამასკარადო ტანსაცმელი. თუ ბავშვებს საავადმყოფოს თემა აინტერესებთ, ველოსიპედებს დაახატეთ წითელი ჯვრები და დაურიგეთ "სამედიცინო სათამაშოები". ამით მათ დაეხმარებით, გრძნო-

ბების გამოხატვასა და უფროსების როლების გააზრებაში.



ველოსიპედები და მანქანები ყველა ასაკის ბავშვებისათვის უნდა იყოს განკუთვნილი. მანქანებით, სამთვლიანი ველოსიპედებით, უფრო პატარა ბავშვები თამაშობენ. ხოლო უფროსებს იტაცებს ორთვალის ან ორთვლიანი ველოსიპედის ტარება.

აქ ხშირად ეცემიან ბავშვები. ამიტომაც ახლო-მახლო უნდა გქონდეთ პირველი სამედიცინო დახმარების ჩანთა. თუკი ტერიტორია კარგად არის დაგეგმილი, შეიძლება, საფრთხე თავიდან ავიცილოთ. ცარცით დახაზეთ „გზა", ისრით მიანიშნეთ "ცალმხრივი მოძრაობა". უფროსები უნდა დაეხმარონ ბავშვებს ერთმანეთს არ დაეჯახონ მოძრაობისას.

ამ ტერიტორიაზე შეიძლება ბურთის თამაში, სახტუნაო თოკით ხტუნაობა, "კლასობანა" და ხატვა. თუმცა, ხატვა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ველოსიპედების ტარება დამთავრებულია.

დასვენება

ეზოში აუცილებლად უნდა იყოს დასვენებისათვის განკუთვნილი ადგილი. თუ შესაძლებელია, ასეთი დასასვენებელი ადგილი მყუდრო ჩეროში უნდა მოვაწყოთ, რომ ბავშვებს შეეძლოთ ჩრდილს შეეფარონ და გაგრილდნენ. შეიძლება, მიწაზე რბილი იატაკი დავაგოთ ან კლასიდან მოვიტანოთ ხოლმე ხალიჩები და მუთაქები. აქაც შეიძლება სხვადასხვა საინტერესო აქტივობა შევთავაზოთ ბავშვებს: მაგალითად, დასვენება და ოცნება, რისთვისაც არანაირი მასალა და სათამაშო არ არის საჭირო. შეიძლება, გავაფერადოთ, წიგნები წავიკითხოთ, შევაგროვოთ საგნები, მოვუსმინოთ მუსიკას. აქ შეიძლება ჯგუფურად ვათამაშოთ ბავშვები.

რა გვჭირდება დასვენების კუთხისთვის:

- ფარდაგები, პირსახოცები დასაჯდომად
- ცარცი
- საზომი ჯოხები და სათამაშოები
- ფურცელი
- მსუბუქი საუზმე
- ბუნებისმეტყველების ხელსაწყოები (გამადიდებელი შუშა)
- წიგნები
- ფერადი ცარცი
- საღებავები და მოლბერტი



ხეზე მუშაობა

ხეზე მუშაობის კუთხე კლასშიც შეიძლება მოეწყოს და ეზოშიც. ორივე შემთხვევაში, ეს სრულიად განცალკევებული ტერიტორია უნდა იყოს, სადაც, არც ბავშვებს შეუშლის ვინმე ხელს მუშაობაში და, არც მასალა დაიფა-

ნტება.

ბავშვები ხშირად მთელ დღეს ამ კუთხეში ატარებენ. აქ აუცილებელია უფროსის მეთვალყურეობა, რადგან ბავშვები ნამდვილ სამუშაო იარაღებს იყენებენ. იარაღის გამოყენების წესები ბავშვებმა წინასწარ უნდა იცოდნენ. ფრთხილი მოპყრობა და ყურადღება საფრთხეს თავიდან აგვაცილებს.

ამ კუთხეში ბავშვები შემოქმედებით უნარს ამჟღავნებენ. ვითარდება მეტყველება. ვარჯიშდება მცირე და დიდი კუნთები.

რა მასალები გვჭირდება ხეზე მუშაობის კუთხეში:

კუბურები	დაფები
სისო-ხერხი	ჩაქუჩი, ლურსმანი (მსხვილთავიანი)
მუყაოს ყუთები	ხის ყუთები
პატარა კიბე	ხის პატარა ნაჭრები
მავთულის კოჭი	ხერხი

ბაღი

თესვა, რგვა და შემდეგ დაკვირვება, თუ როგორ იზრდება შენი დარგული თესლი ან ნერგი, საოცარი პროცესია. ეზოში შეარჩიეთ პატარა მზიანი ადგილი, სადაც ბავშვები თვითონ დარგავენ და გაახარებენ ყვავილებს.

ბაღისათვის საჭირო მასალა:

სამუშაო იარაღების კოპლექტი

- ურიკა
- თესლები და ნერგები
- სასუქის პარკები
- წყალი
- სარწყავები, შლანგი
- ჯოხები, კვლების შემოსარაგად

საწყობი

ეზო ისე უნდა დაიგეგმოს, რომ ბაღის ან სკოლის შენობასთან ახლოს საწყობი გვქონდეს მოწყობილი, სადაც მასწავლებლები შეინახავენ ზედმეტ მასალას. საწყობის აშენებაში ბავშვებიც ხალისით ჩაებმებიან. საწყობის მშენებლობაში მშობლები, მოხალისეები და საზოგადოების სხვა წევრებიც დაგვეხმარებიან. საწყობში შევინახავთ ეზოს სათამაშოებს, თუკი საწყობი ხისაა, ბავშვებს შესანიშნავი შესაძლებლობა ეძლევათ დიდი ფუნჯებით შეღებონ საწყობის გარე კედლები.

დასკვნა

აქ წარმოდგენილია, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს ეზო და, რა და რა კუთხეები უნდა მოვაწყოთ. მაგრამ, თუ თქვენ საკმარისი ფართობი არა გაქვთ ზემოთჩამოთვლილი ყველა

კუთხის ცალ-ცალკე მოსაწყობად, შესაძლებელია, ზოგი გააერთიანოთ. მაგალითად, ტრანსპორტის მოედანი, შეგიძლიათ ხეზე მუშაობის ცენტრს შეუთავსოთ. დასვენების კუთხეში კი ჯგუფური აქტივობა ჩაატაროთ.

აღმზრდელთა ჯგუფის როლი

ეზოში თამაში ყოველდღიური ცხრილის აუცილებელი ნაწილია. – და ისევე იგეგმება, როგორც საკლასო მუშაობა. ეზოში ყოველდღიურად, ერთსა და იმავე დროს თამაში ბავშვებისათვის მტკიცე განაწესად იქცევა. აუცილებელია, საკლასო ოთახიდან ეზოში გასვლის გარდამავალი პერიოდიც დაიგეგმოს. გარდამავალი პერიოდისათვის გამოყავით ორმოცდახუთი წუთი. ეს დრო საკმარისია იმისათვის, რომ ბავშვებმა ჩაიცვან, მოემზადონ ეზოში გავიდნენ და თამაშში ჩაებან. თანდათან, გარდამავალი პერიოდი უფრო ორგანიზებულად და მშვიდად მიმდინარეობს.

ნუ შემოიზღუდებით ერთხელ დაწესებული განრიგით. დატკბით ბუნების ძღვენით. მართლაც საოცრებაა პირველ თოვლში სეირნობა. ზაფხულის ხვატში შეიძლება "წუწაობა" ითამაშოთ ან ჩეროში პიკნიკი მოაწყოთ.

ეზოში თამაშის დაგეგმვა რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული. უპირველესად ყოვლისა, გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვების ასაკი, სწორედ ერთი ასაკობრივი ჯგუფის ბავშვები უნდა თამაშობდნენ ეზოში ერთად. მაგალითად, სამი წლის ბავშვები ჯარეთ უფრო გვიან უნდა გავიყვანოთ, როდესაც ჰაერი გათბება და ბავშვებს არ შესცივათ. იმასაც გააჩნია, რამდენი ჯგუფია საერთოდ, ბაღსა თუ სკოლაში. ცხრილი ისე უნდა დაიგეგმოს, რომ არავინ დაიქანცოს. შეიძლება ორი ჯგუფის ერთად გაყვანაც.

მასწავლებლებმა ერთობლივად უნდა დაგეგმონ ცხრილი, რათა ყველა ჯგუფის ინტერესები იყოს გათვალისწინებული. მასწავლებელთა შორის შეიძლება დაწესდეს მორიგეობა საწყობიდან მასალის გამოტანაზე.

რა უნდა გავითვალისწინოთ ეზოში თამაშისას

ამინდი

საკლასო მუშაობისაგან განსხვავებით, ამინდის ცვალებადობა მნიშვნელოვანი პირობაა ეზოში თამაშის დაგეგმვისათვის. ამინდის ფაქტორის გათვალისწინებით, რამდენიმე ძირითადი წესი უნდა დავიცვათ.

ავშვებმა ყველანაირი ამინდი უყვართ. ზოგიერთი პროგრამის მიხედვით, ბავშვები "ცუდ" ამინდში ეზოში საერთოდ არ გაყავთ. მაგრამ, განა რამე შეედრება გაბაფხულის შხაპუნა წვიმაში სეირნობას, როდესაც ოლგაზე წვიმის წვეთების ხმაურს უსმენენ, სუფთა ჰაერს სუნთქავ და ნამიანი ყვავილების ცქერით ტკბები? ეზოში თამაშის დრო, შეიძლება შევამციროთ ავდარში და გავზარდოთ მზიან, თბილ ამინდში. ცხადია, გარკვეული სიფრთხილე გმართებთ, მაგრამ, ძალიანაც, ნუ შეუშინდებით ამინდს. ყველანაირ ამინდს თავისი ხიბლი აქვს.

ჩანაცვლელი

უკი ბავშვები ეზოში ყველანაირ ამინდში თამაშობენ, ისინი შესაბამისად უნდა იყვნენ

ჩაცმულები. მშობელთა კრებაზე მასწავლებელმა უნდა აუხსნას მშობლებს, რომ ბავშვები თითქმის ყოველდღე ითამაშებენ ეზოში, თუ განსაკუთრებულად არ გაავდარდა. საინფორმაციო ბიულეტენებში და მშობელთა კრებებზე ერთად უნდა იმსჯელოთ სუფთა ჰაერზე თამაშის სიკეთის შესახებ. მშობლებმა წინასწარ უნდა იცოდნენ, რომ ბავშვები თითქმის ყველანაირ ამინდში ეზოში ითამაშებენ და არ უნდა გაუკვირდეთ, როდესაც ბავშვი უამბობთ, რომ წვიმაში ეზოში სეირნობდა.

ყოველ ბავშვს ბაღში უნდა ჰქონდეს წელიწადის ოთხივე დროის შესაფერისი ტანსაცმელი, წელიწადის დროის ცვალებადობის შესაბამისად. ბავშვებს გამოუსადეგარი ტანსაცმელი შინ მიაქვთ და ახალი ტანსაცმელი კი ბაღში მოაქვთ. ესაუბრეთ ბავშვებს წელიწადის დროების შესახებ. როგორია ამინდია გაზაფხულზე ზაფხულში, შემოდგომაზე ზამთარში. ბავშვებთან ერთად შეადგინეთ სია, როგორი ტანსაცმელი სჭირდებათ ახლა, და რატომ. თან აუხსენით, რატომ მიაქვთ შინ ძველი ტანსაცმელი. ბავშვებს დასჭირდებათ ქურთუკები, სვიტრები, ქუდები, ხელთათმანები, ჩექმები, საწვიმარები, საცურაო კოსტიუმები და პირსახოცები, ბოტები და ქოლგები. ბაღში უნდა იყოს ზედმეტი ხელი ტანსაცმელი იმ შემთხვევისათვის თუ ვინმეს დააკლდა ან შინ დარჩა.

მასწავლებელსაც ეზოსთვის უფრო თავისუფალი ტანსაცმელი სჭირდება. მასწავლებელს გარეთ უფრო სცივა, ვიდრე ბავშვებს და ეს ბუნებრივია. ის ბავშვივით აქტიურად არ თამაშობს და დარბის. დაბოლოს, როდესაც ვინმე გეხმარებათ ბავშვების მოვლაში, წინასწარ გააფრთხილეთ რა უნდა ჩაიცვას.

კიდევ რა უნდა გავითვალისწინოთ

ზოგ ბავშვს ეშინია გარეთ გასვლა. ზოგი ავად არის ან ხეიბარია, და სხვა ბავშვებივით აქტიურად ვერ თამაშობს.

ზოგ ბავშვს ძაღლის ეშინია. მათ უნდა მივეხმაროთ დასძლიონ შიში და ბავშვებთან ერთად ითამაშონ. არასოდეს დააძალოთ ბავშვს გარეთ გასვლა. ნება მიეცით დარჩეს კლასში და ითამაშოს, თუ მართლაც არ უნდა გარეთ გასვლა. ბოლოსდაბოლოს, ყველა ბავშვი სძლევს შიშს და მხიარულად ითამაშებს ეზოში.

ხშირად, სრულიად ჯანსაღი ბავშვები აქტიურად ვერ ერთვებიან ეზოს თამაშებში. მასწავლებელმა მრავალფეროვანი თამაშები უნდა შესთავაზოს ბავშვებს. აუცილებელია, ესაუბროთ ბავშვის მშობლებს და გავარკვიოთ, რა მიზეზით არ თამაშობს ბავშვი ეზოში. კარგად დაგეგმილი აქტივობა, ბოლოს, ყველა ბავშვს ჩაითრევს თამაშში. ზოგიერთი ბავშვისათვის, მისი ჯანმრთელობიდან გამომდინარე, კატეგორიულად აკრძალულია ეზოში თამაში. ცხადია, ის კლასში უნდა დარჩეს. მასწავლებელი უნდა შეეცადოს, საინტერესო აქტივობა შესთავაზოს კლასში დარჩენილ ბავშვებს. კარგი იქნება, თუ რამდენიმე ჯანმრთელი ბავშვიც დარჩება კლასში მათთან ერთად.

როგორ წარვმართოთ სწავლების პროცესი ეზოში

ეზოში სწავლების პროცესის გასავრცობად უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

- დააკვირდით, რა აინტერესებს ბავშვს.
- არ გაუშვათ მომენტი, როცა შეიძლება რამე ასწავლოთ ბავშვს.
- დაუსვით მიზანდასახული შეკითხვები.

- ასწავლეთ ახალი სიტყვები, ახალი საგნებისა და მოვლენების დასახასიათებლად.

- თავადაც ინტერესითა და ცნობისმოყვარეობით დააკვირდით გარემოს.

გარეთ უამრავი საინტერესო საგანი და მოვლენაა, რაც მასწავლებელს საშუალებას აძლევს განავრცოს სწავლების პროცესი. ბავშვები განუწყვეტლად შეკითხვებს სვამენ "რა? რატომ? როგორ? სად?". მასწავლებელი ამ დაინტერესებას ისე წარმართავს, რომ ბავშვებმა თავად გასცენ საკუთარ შეკითხვებს პასუხი ანუ შეიცნონ ესა თუ ის საგანი და მოვლენა. ხშირად, ბავშვებს სიტყვები არ ჰყოფნით ახალი მოვლენის დასახასიათებლად. მასწავლებელი მათ ახალ სიტყვებს ასწავლის. მაგალითად, ბაღში და ბოსტანში მუშაობისას, ბავშვებმა არ იციან ხოლმე სხვადასხვა თესლებისა და ნერგების სახელწოდება. მასწავლებელი ამ სიტუაციას იყენებს და ბავშვები დიდი ინტერესით იწყებენ ყვავილების, ხილისა და ბოსტნეულის სახელების სწავლას. ისინი სწავლობენ, რომ ამ პატარა თესლიდან მალე რომელიღაც მცენარე აღმოცენდება, თავად უვლიან ნერგებს და აკვირდებიან მცენარის ზრდის პროცესს. როდესაც მცენარე ნაყოფსაც მოისხავს, ისინი ნაყოფს თესლს ადარებენ.

ბავშვები ხშირად ისეთ შეკითხვებს სვამენ, რომ უფროსს პასუხის გაცემა უჭირს. რთულ კითხვებზე პასუხის პოვნა მასწავლებლის მოვალეობაა. შეგიძლიათ, ბავშვებს უთხრათ, რომ არ იცით პასუხი, მაგრამ გაარკვევთ. ამით ბავშვი ორ რამეს სწავლობს: ის იგებს, რომ ჯერ ერთი, არავინ, თვით მასწავლებელმაც კი, არ შეიძლება ყველაფერი იცოდეს. მეორეც, პასუხის გაგება შეიძლება სწავლის, კვლევისა და ანალიზის გზით. ბიბლიოთეკაში წიგნების ძიება და წიგნებში მისთვის საინტერესო საკითხების ამოკითხვა, ბავშვს შესწავლის მეთოდს აცნობს.

ჩავერიოთ თუ არა ბავშვის თამაშში

ეზოში ბავშვები ძალზე აქტიურად თამაშობენ. ხეზე მუშაობის ენტრში ისინი გატაცებით აგებენ კოსმოსურ თანამგზავრს, მანქანების მოედანზე ბენზინის გასამართ სადგურს დგამენ. მასწავლებელს შეუძლია ამგვარი შენიშვნებით გააფრთხილოს ბავშვები: "ივან, ფრთხილად იხმარე ჩაქუჩი" ან, "ევა, იქნებ უფრო მაღლა აღარ აცოცდე?"

მასწავლებელი ინტუიციით გრძნობს, როდის უნდა ჩაერიოს ბავშვების საქმიანობაში. ბავშვები ეზოში, მართლაც, ბევრს მოძრაობენ. მაწავლებელმა ბავშვისადმი უნდობლობა არ უნდა გამოამჟღავნოს და ნება დართოს, – სცადოს, მოსინჯოს, თავი გამოსცადოს. ბავშვებმა კარგად იციან, როდის სჭირდებათ დახმარება და თვითონვე ითხოვენ შველას.

ამიტომაც, ბავშვების თამაშში არ უნდა ჩავერიოთ, თუ ეს აუცილებელი არ არის მათი უსაფრთხოებისათვის. ეს მთავარი კანონია. განსაკუთრებით, არ უნდა ჩავერიოთ, როდესაც ბავშვი სპორტულ მოწყობილობით სარგებლობს. მას აქ მაქსიმალური კონცენტრაციის უნარი და დაფიქრება სჭირდება პრობლემის სწორად გადასაწყვეტად. ყოველგვარი ჩარევა ხელს უშლის და ყურადღებას აღუნებს.

როდესაც ბავშვთა უსაფრთხოებაზე ზრუნავთ, მათ ცხადი, კონკრეტული შენიშვნები უნდა მისცეთ. "კლარა, ფრთხილად", ვერაფრით დაიცავს კლარას ველოსიპედის დაჯახებისაგან, მაგრამ, "კლარა, უკან დაიხიე. გზა დაუთმე, ტაიბორი ველოსიპედით გიახლოვდება" გაცილებით ცხადი და გასაგები შენიშვნაა, ბავშვი უკან იხევს, საფრთხეც აღარ ემუქრება.

ბევრი მშობელი ზედმეტად ფრთხილია. თავს დაჰკანკალებს ბავშვს, ცდილობს ყოველგვარ საფრთხეს მოარიდოს. თუ თქვენც ასეთი ხართ, ყოველი შენიშვნა ჩაიწერეთ და შემდეგ გაანალიზეთ. მიხვდებით, რამდენად მართებულად მოიქეცით ამა თუ იმ შენიშვნის მოცემისას. თუ თქვენ ბავშვებს არ უშვებთ ბაგირზე ცოცვას, მაშინ აჯობებს, ნაკლებად საიფათო აქტივობას უხელმძღვანელოთ.

როგორ ვასწავლოთ ბავშვებს რიგის დაცვა და დათმობა

ბავშვები ხშირად კამათობენ, იმის თაობაზე, თუ ვისი რიგია, ველოსიპედი ატაროს ვინ უნდა აიღოს ჩაქუჩი ან ვინ უნდა ჩამოსრიალდეს? მაშინაც კი, როდესაც თავზე საყრელად არის სათამაშოები, ვიღაც იბუტება და თავს დაჩაგრულად გრძნობს. უმჯობესია, ბავშვებმა თავად მოაგვარონ ამგვარი პრობლემები. თუ მაინც არაფერი გამოდის, გამოვიყენოთ წამმზომი. დავადგინოთ დრო (ხუთი წუთი საკმარისია) თითოეული ბავშვისათვის. ხუთი წუთის გასვლის შემდეგ, სათამაშო შემდგომ ბავშვს გადაეცემა. ეს მეთოდი დროის ცვლებას აზიარებს ბავშვებს. ბავშვები სწავლობენ საათის ცნობას და საათს და დანიშნულებისამებრ იყენებენ.

გართობა ეზოში

ეზოში თამაში, თავისთავად, უკვე გართობაა. ეზო ნაკლებად ოფიციალური ადგილია, ვიდრე საკლასო ოთახი. ძალზე სახალისოა ბავშვებთან ერთად ეზოში ყოფნა და მათი ტიტინის სმენა. სახალისოა, მათთვის ახალი მოვლენებისა და საგნების აღწერა და სწავლება. ბავშვებს ძალიან უყვართ მაწავლებლებთან ერთად თამაში. საუბრობენ, შეკითხვებს უსვამენ, განსაკუთრებით, ხის ჩეროში ან პიკნიკის სუფრის გაშლისას. ბავშვები ცნობისმოყვარენი არიან. მათ აინტერესებთ, სად ცხოვრობს მათი მასწავლებელი, რა ქვია მის კატას და ა.შ.

მასწავლებელი ბავშვებთან ერთად ხუმრობს, იცინის და მღერის. ბავშვებს ძალიან უყვართ ამგვარი ურთიერთობა. ეს მათთვის ძალიან მშვნელოვანია.

აქტივობა და პროექტები

ეზოში უამრავი მრავალფეროვანი თამაშისა და პროექტის დაგეგმვა შეიძლება. თამაშები იგეგმება წელიწადის დროთა შესაფერისად და ბავშვების ინტერესებს პასუხობს.

დრამცენტრი

ცოცვა ხელს უწყობს მეტყველების განვითარებას, სოციალური ჩვევების ჩამოყალიბებას და ბავშვებს სხვადასხვა როლების განსახიერებისათვის განაწყობს. ზოგი ბავშვი ჩუმად და დაძაბულად ცდილობს დაეუფლოს ცოცვის ხელოვნებას. ზოგი კი – მთასვლელს თამაშობს და "ექსპედიციებს" აწყობს.
სუფთა ჰაერი ფანტაზიას ფრთებს ასხამს. აქ შეგიძლია ითამაშო ანდა წყნარად იჯდე და სხვებს უყურო. ჩვეულებრივი როლების თამაშისათვის ბევრი ნივთი არ არის საჭირო: საბანი, ქუდი და უბრალო დაფა, -ცოცვისათვის განკუთვნილ კუთხეს "ჯუნგლებად" ან "კოსმოსურ ხომალდად" გარდაქმნის.

მიწა, წყალი და ტალახი

საქვიშე შესანიშნავი მოწყობილობაა ბავშვების თამაშისათვის. ისინი აქ აშენებენ ქალაქებს, ციხე-დარბაზებს, მდინარეებს, კოშკებს და ზოგჯერ ფაბრიკებსაც კი.

პატარები სხედან და უფროსების თამაშს უყურებენ, თან ხელებს ქვიშაში ურევენ. ქვიშაზე ფეხშიშველი სიარული ბავშვებს წონასწორობის დაცვაში ეხმარება. პატარებს უყვართ სათამაშო ვედროების ქვიშით ავსება. ვედროს აუცილებლად უნდა ჰქონდეს სახელური, რათა ბავშვებს ქვიშის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა შეეძლოთ.

საქვიშეში უნდა გვქონდეს მანქანები, ამწეები, მატარებლები, გემები, ნავები, რათა ბავშვებმა მეტი მონდომებით ააშენონ გზატკეცილები და ქალაქები, მოაწყონ სათევზაო გუბურები და სხვა. ბავშვები ჯოხებითა და თასებით აშენებენ იგლუს (ესკიმოსურ ქოხს) თევზმშენებს, ფერმებსა და სხვა. აქ შეიძლება გამოვიყენოთ ყველა საგანი, რომელიც ქვიშაში არ დაიკარგება და უსაფრთხოა ბავშვებისათვის.

თუ ქვიშა მშრალია ან, თუ თქვენ გსურთ თამაშს სახე უცვალოთ, მოიტანეთ ცოტაოდენი წყალი. წყალით ქვიშა კარგად იზილება და სამშენებლო მასალად გადაიქცევა. ბავშვები წყალგარეული ქვიშით უფრო საინტერესო და რთულ ნაგებობებს აშენებენ. გაზაფხულზე წყლის დამატება არ დაგჭირდებათ. გაზაფხულის შხაპუნა წვიმა ისედაც ასველებს ქვიშას. ბავშვები აკვირდებიან, რამდენად ღრმად აღწევს ქვიშაში წვიმა, როგორ შეიწოვს წვიმის წვეთებს ქვიშა, როგორ მიედინება წყალი და სხვა.

ზამთარში თოვლიან ქვიშაში თამაშსაც თავისი განუმეორებელი ხიბლი ახლავს. თოვლითა და ქვიშით შენდება გვირაბები, ხიდები; მზადდება გოლიათი პიცა. საქვიშეში დარჩენილ თასებსა და ჯამებში წყალი იყინება და ბავშვები აკვირდებიან გაყინვისა და დნობის პროცესებს. ქვიშისა და თოვლის შენობები, შეიძლება, წყლად იქცეს ან გაიყინოს. შემოდგომით საქვიშეში ქარი ხან, რას მოიტანს და ხან, რას. საქვიშე სავსეა ფოთლებით, ტოტებით, ჯოხებით. ეს ყველაფერი მშენებლობაში გამოადგებათ ბავშვებს. ეს ყველაფერი შესანიშნავი საფუძველია ბავშვებში დაკვირვებისა და კვლევის უნარის ჩამოყალიბებისათვის.

რამდენიმე სიტყვით ტალახსაც შევეხებით. ტალახს სრულიად განსხვავებული აგებულება აქვს და ბავშვებმა იგი ქვიშისაგან უნდა განასხვავონ, არ უნდა დავუშალოთ ბავშვებს ტალახში თამაში. ტალახი უფრო გაზაფხულობით, წვიმის შემდეგ იცის ხოლმე. თუ ჯერ ნარგავები არ დაგირგავთ ბოსტანში, ნება დართეთ ბავშვებს ტალახში ითამაშონ. მათ ძალიან ართობთ ტალახში ფეხების ტყაპუნი; უყვართ ტალახისაგან "ნამცხვრების" დამზადება. ტალახში თამაში გაზაფხულზე ან ზაფხულში უნდა დავგეგმოთ, როდესაც ბავშვებს ბევრი ტანსაცმელი არ აცვიათ.

ნუ მოერიდებით ტალახს იმიტომ, რომ ბავშვები დაისვრებიან! ბავშვებს ართობს ტალახში თამაში და ნუ მოაკლებთ ამ სიამოვნებას.

ხელოვნება

ეზოში მრავალი სამხატვრო პროექტის განხორციელებაც შეიძლება. მაგალითად, ძალზე სახალისოა ფეხებითა და ფეხის თითებით ხატვა. ბავშვებმა ან დიდ ფურცელზე უნდა ხატონ, ირბინონ და იხტუნონ, ან ამისათვის ასფალტი გამოვიყენოთ. საღებავი თხევად

საპონში აურიეთ, რომ ადვილად ჩამოირეცხოს. შეიძლება, თითებით და ხელებით ხატვაც ვცადოთ. ასფალტი, ბალახი და ქვიშა სხვა ელფერს აძლევს ამ აქტივობას. შეიძლება, გამოვიყენოთ სხვადასხვა ზომის ფუნჯები და ქაღალდი. ეზოს სივრცე საშუალებას იძლევა, ბავშვებმა ჯგუფურად ითამაშონ. ბავშვებმა შეიძლება დიდი ფუნჯებით შეღებონ ღობე ან საწყობის კედლები. აგრეთვე, შეიძლება ხეების შეღებვაც. ბავშვებს დაურიგეთ მხატვრის ქუდები და საღებავები. ზამთარში საკვები საღებავებით ვღებავთ თოვლის პაპასა და თოვლის ციხე-დარბაზებს. ძალზე ართობს ბავშვებს ხელოვნებისათვის საჭირო მასალა:

– წებო და კოლაჟისათვის საჭირო ქაღალდი

- თიხა
- ფერადი ცარცი
- მოლბერტი და საღებავები
- ფერადი ფანქრები, ქაღალდი
- ფრანების დამზადებისათვის საჭირო მასალა
- ღრუბელი
- თასმები და მავთულები, ქარის ზარების დასამზადებლად
- წყალი, თოვლის სკულპტურის გასაყინად

ბუნებისმეტყველება

დაგეგმილი საბუნებისმეტყველო აქტივობის ჩათვლით, ეზოში ყველაფერი ბუნებისმეტყველების საგანს შეადგენს. ყურადღება მიაქციეთ, როგორ მოედინება წყალი კვლებში, წვიმის შემდეგ. ჩააგდეთ წყალში ქვა ან ფოთოლი და დააკვირდით, რა მოხდება. აჩვენეთ ბავშვებს ახლად გამოღებული კვირტები, მზისა და წყლის ზემოქმედება და სხვა.

ეზოს აქტივობის დაგეგმვისას აუცილებლად გაითვალისწინეთ ისეთი საქმიანობა, რაც ბავშვების კვლევისა და დაკვირვების უნარს განავითარებს. თან იქონიეთ სანტიმეტრი, გამადიდებელი შუშა, ჭურჭელი საგნების შესაგროვებლად, დურბინდი, თასმა და ბუნებისმეტყველების წიგნები.

ფიზიკური აქტივობა

ბავშვების კუნთებს შემდეგი აქტივობა ავითარებს:

მოძრაობა: ბავშვებმა ყველამხრივ და ყველანაირად უნდა ამოძრაონ მთელი სხეული. უნდა მიბაძონ ცხოველების მოძრაობას; იტრიალონ ერთ ფეხზე, იცეკვონ მუსიკის თანხლებით, იმოძრაონ ნელა და რიტმულად, განასახიერონ სხვადასხვანაირი მანქანები - მოკლედ, გამოიყენეთ ფანტაზია!

სირბილი: სირბილის ყველა სახეობა სასარგებლოა, თავისუფალი სირბილი, ცხოველების სირბილის იმიტაცია, მიზნისაკენ სირბილი და წყვილებად სირბილი.

ხტუნვა: ხტუნვა გართობის საუკეთესო სახეა. ბავშვები ახტებიან ბორდიურებს, ხტებიან სიმაღლიდან, ხტებიან სიგრძეზე, მუსიკის თანხლებით რიტმულად ხტუნავენ, ბაძავენ ცხოველებს, მიტყუპებული ფეხებით ხტუნავენ, ასკინკილას თამაშობენ და სხვა.

ბურთის სროლა – პატარები უნდა ვავარჯიშოთ დიდი ბურთის (12,7 სმ დიამ-

ეტრის) სროლასა და დაჭერაში. უფროსები უფრო პატარა ბურთით თამაშობენ. ბავშვები ბურთს მიზანში ისვრიან, ბავშვები ბურთს კენწლავენ, მაღლა აგდებენ, იჭერენ და ერთმანეთს ესვრიან. ბურთის თამაში ავითარებს მზერისა და ხელის კოორდინაციას. წრეში ბურთის თამაშიც სახალისო გასართობია.

დაბრკოლებების გადალახვა: – დაბრკოლებები ისე აწყვია, რომ ბავშვები გაძვრნენ, ზედ გადაირბინონ, გადაახტნენ; ბავშვებს ძალიან ართობთ ეს თამაში. უფროსებმა და ბავშვებმა ერთად უნდა დააწყონ დაბრკოლებებისათვის საჭირო ინვენტარი. ამგვარი თამაში საკლასო ოთახშიც შეიძლება და ეზოშიც. მასწავლებლებმა უნდა უხელმძღვანელონ ბავშვებს და დაიცვან მათი უსაფრთხოება. დაბრკოლებები შეიძლება მარტივი იყოს, მაგრამ თანდათან გართულდეს ბავშვების ინტერესებისა და განვითარების დონის შესატყვისად.

თამაშები – ბავშვებს ძალიან უყვართ თამაშები. საუკეთესო თამაში ის არის, რომელშიც ყველა ბავშვი აქტიურად არის ჩაბმული. თუ მასწავლებლები ბავშვებს ასწავლიან ისეთი თამაშებს, რომლის დროსაც, ერთი ბავშვი წრეშია და დანარჩენები თავის რიგს ელოდებიან, ბავსვებს მალე სწყინდებათ. უნდა ვეცადოთ, თამაშში მთელი ჯგუფი ჩაებას. მასწავლებლები ტრადიციულ თამაშებს სახეს უცვლიან, ანახლებენ. მაგალითად "დაჭირობანას" თამაშში შეიძლება ბევრი ბავშვი ჩავაბათ.

დასვენება

ჩეროში მოაწყვეთ დასასვენებელი კუთხე, სადაც ბავშვებს შეეძლებათ დასხდნენ, გაგრილდნენ, დაისვენონ. აქ ბავშვებს და უფროსებს შეუძლიათ სხვადასხვა თემებზე ისაუბრონ. მასწავლებელმა შეიძლება ბავშვებს იოგას ვარჯიშები ასწავლოს ან წიგნი წაუკითხოს, ანდა როლების განსახიერება შესთავაზოს. შეიძლება, ერთად დავთვალოთ ხის ტოტები, ერთად ვუყუროთ ჭიანჭველებს ან ქარის ზუზუნს მივუგდოთ ყური. სიმღერა და მუსიკა შესანიშნავი დასვენებაა. მასწავლებლებმა და ბავშვებმა შეიძლება ერთად იმღერონ, ახალი სმიღერები გამოიგონონ, ძველი სიმღერები გადააკეთონ. ბავშვები ხშირად უნდა ისვენებდნენ ეზოში თამაშის დროს. როდესაც ეზოში თამაშის დრო ამოიწურება, მასწავლებელი ჯგუფს დასვენების კუთხეში შეკრიბავს, დასხავს და რამდენიმე წუთით ასვენებს, სანამ საკლასო ოთახისაკენ წაუძღვებოდეს.

ჭამა სუფთა ჰაერზე

ბავშვებსაც და უფროსებსაც უყვართ პარკში პიკნიკის მოწყობა ან სახელდახელო სუფრის გაშლა ეზოში. საჭმელი ადვილად უნდა მზადდებოდეს. ბავშვები სიამოვნებით დაგეხმარებიან პიკნიკისათვის საჭმლის მომზადებასა და ჩალაგებაში. თუ ბოსტანი გაქვთ, სთხოვეთ ბავშვებს, ამოიღონ სტაფილო, გარეცხონ და სალათისათვის მოამზადონ. ბავშვები აღფრთოვანებით მიირთმევენ საკუთარ მოსავალს. მოიწვიეთ მშობლები და სხვა თანამშრომლები პიკნიკზე.

ხეზე მუშაობა

მშენებლობა ბავშვების საყვარელი საქმიანობაა. ისინი გეგმავენ, აწყობენ აშენებ-

ენ ფანტასტიურ ნაგებობებს, მთვარეზე გასაფრენ რაკეტებს, ხიდებს გვირაბებს. ზოგიერთი ბავშვი მთელს დროს მშენებლობას უთმობს და მეორე დღესაც დაწყებული სამუშაოს დასამთავრებლად გარბის. ზოგი – დამოუკიდებლად მუშაობს და ნამუშევარი შინ მიქვს. ზოგჯერ, გრანდიოზული პროექტების განსახორციელებლად ჯგუფურადაც მუშაობენ - ხან საავადმყოფოს აშენებენ, ხან ფერმას, ხანაც ციხე-დარბაზს და სასახლეს, სადაც მხოლოდ ბავშვები ცხოვრობენ.

ბავშვებს, რომელთაც კარგად აქვთ განვითარებული მცირე და დიდი კუნთები, ძლიერი მკლავები აქვთ და შეუძლიათ არაფრისგან რაღაცის შექმნა, ჩვეულებრივ უფროსების დახმარება არ სჭირდებათ. დანარჩენ ბავშვებს დახმარებაც სჭირდებათ, წაქეზებაც და ხელმძღვანელობაც. ბავშვები სწავლობენ ხერხის, ჩაქუჩის, ლურსმნების, სახრახნისის და სხვა სამუშაო იარაღების ხმარებას. ამიტომაც აუცილებელია, რომ უფროსები ყურადღებით ადევნებდნენ თვალს მათს მუშაობას. ბავშვებმა კარგად უნდა იცოდნენ იარაღის ხმარების წესები, რათა არავინ დაშავდეს.



მშენებლობის კუთხეში თავს იყრის თითქმის მთელი ეზოს მასალა. როდესაც ბავშვები ქალაქს აშენებენ სატვირთო და მსუბუქი მანქანები საქვიშედან მოაქვთ; როდესაც დიდ გვირაბს აშენებენ ველოსიპედებიც სჭირდებათ; როდესაც მერხს აკეთებენ, სათამაშოები და წიგნები მოაქვთ და ზედ აწყობენ. ზოგჯერ, ბავშვები ღებავენ თავისი სელით აშენებულ შენობებს და საღებავები და ფუნჯები ხელოვნების ცენტრიდან მოაქვთ. მართალია, ყველა ცენტრი ცალ-ცალკეა, მაგრამ მასალის გამოყენება არა მარტო შესაძლებელია, არამედ აუცილებელიც.

მებაღეობა

ბავშები ბარავენ, რგავენ, თესავენ, რწყავენ და უვლიან მცენარეებს, შემდეგ კი იავად კრეფენ და მიირთმევენ საკუთარი ბაღისა და ბოსტნის მოსავალს. აქ ისინი უშუალოდ ეხებიან ბუნებას და უამრავი შეკითხვა ებადებათ: ისინი საკუთარი თვალით ხედავენ, როგორ იზრდება მცენარე, როგორ ისხამს ნაყოფს და სიამაყით ივსებიან, როდესაც მშობლებს თავისი მოწეული მოსავლით უმასპინძლდებიან.

კარგ ბაღს კარგი დაგეგმვა ჭირდება. უპირველეს ყოვლისა, ეზოში გაშლილი მიწის ნაკვეთი უნდა შევათვალიეროთ, რომელსაც მზე დღის განმავლობაში, სულ ცოტა, ხუთი საათი მაინც დაჰყურებს. 8მX8მ ფართობის ნაკვეთზე ნაირგვარი მცენარეების მოყვანა შეიძლება, თუმცა, უფრო მცირე მიწის ნაკვეთზეც შეიძლება პატარა ბაღის გაშენება. საბაღე ან საბოსტნე ნიადაგი ნოყიერი უნდა იყოს, თუმცა, მაინც დაგვჭირდება მისი ბუნებრივი სასუქით განოყიერება.

ბავშვები აქტიურად უნდა ჩავრთათ ბაღის გაშენების პროცესში. კარგი ბაღის გაშენებისთვის აუცილებელია:

- მაღალხარისხოვანი თესლებისა და ნერგების დარგვა. ეცადეთ ნორჩი ნერგები არ ჩარგათ, ახალბედა მაბაღეებმა რომ არ დააზიანონ.

- დათესეთ და დარგით მრავალი სხვადასხვა მცენარე და ყვავილი. გახსოვდეთ, რომ ბოლოკი და პამიდორი სწრაფად ისხამს ნაყოფს, ხოლო გოგრა კი გვიან მწიფდება.

- ისეთი მცენარეები შეარჩიეთ, რომლებიც გარკვეული ზემოქმედებას მოახდენენ ბავშვების შეგრძნებათა ორგანოებზე. მაგალითად, ხასხასა ნემსიწვერები, სურნელოვანი პიტნა და ხავერდოვანი იები.

- მცენარეების დარგვისას წელლიწადის ყველა დრო გაითვალისწინეთ, მცენარეების ბოლქვები თოვლქვეშ გამოიზამთრებენ და ღივებს გაზახულზე გამოიღებენ.

ბაღში უამრავი რამის სწავლა შეიძლება. შეადგინეთ გრაფიკები, სადაც ჩაიწერება ყოველი მცენარის სიმაღლე, ფორმა და ზრდის ტემპი. შეადარეთ სახვადასხვა მცენარეთა ზომები და აგებულება, ისაუბრეთ ფერებსა და ბუნების მოვლენებზე. მაგ., რა ხდება, როცა მცენარეს წყალი აკლია და თაკარა მზე აცხუნებს? ბავშვები მცენარეები მიმართ პასუხიმგებლობას გრძნობენ. ისინი ადრეულ ასაკშივე იგებენ, თუ როგორ აჯილდოვებს ბუნება ადამიანს შრომისათვის. ბავშები აკვირდებიან წელიწადი დროთა ცვალებადობას, ამინდის ზემოქმედებას მცენარეებზე. ზოგი მცენარე ქოთანში გადარგეთ და გამოსაზამთრებლად კლასში შემოიტანეთ. შეადარეთ ქოთნის მცენარე გარეთ დარჩენილ მცენარეებს. ბაღი შესანიშნავი სასწავლებელია. სულ მცირე ფართობის მიწის ნაკვეთიც კი აუცილებლად ბაღად აქციეთ.



ექსკურსია

საზოგადოებრივ ადგილებში ექსკურსიები აფართოებს ბავშების თვალსაწიერს. ექსკურსია ყველასათვის საინტერესო და სასიამოვნო პროცესია. თუ ექსკურსიის მოწყობას გადაწყვეტთ, წინასწარ კარგად დაგეგმეთ და განსაზღვრეთ მიზანი. რა უნდა გაიგონ და ისწავლონ ბავშვებმა ამ ექსკურსსი შედეგად? როგორ უნდა მივაღწიოთ მიზანს? როგორ უნდა მოვამზადოთ ბავშები ექსკურსიისათვის და რაზე უნდა ვესაუბროთ ექსკურსიის შემდეგ?

წინასწარ, ყოველმხრივ გაიაზრეთ და დაგეგმეთ ექსკურსია. მოაწყვეთ მასწავლებელთა კრება და განიხილეთ ყველა წვრილმანი. ბავშვების უსაფრთხოება და მეთვალყურობა ყველა ექსკურსიის უპირველესი და აუცილებელი წინაპირობაა. ექსკურსიები არ უნდა მოეწყოს ძალინ შორს, ხალხმრავალ და ხმაურიან ადგილებში. მასწავლებელმა წინასწარ უნდა მოინახულოს საექსკურსიო ადგილი და შეუთანხმდეს იქაურ ხელმძღვანელობას. წინასწარ უნდა იცოდეთ, რას შეიძლება ბავშვები ხელით შეეხონ და რას – არა, რას შეიძლება მიეკარონ და რას – არა. სთხოვეთ მშობლებს შემოგირთდნენ. მოიფიქრეთ და დაგეგმეთ; ტრანსპორტის, მშობელთა ნებართვის, საკვების, საპირფარეშოს და შესაბამისი ტანსაცმლის საკითხები.

გთავაზობთ რამდენიმე რჩევას ექსკურსიისათვის:

ხელოვნების გალერეა ან მაღაზია საპარიკმახერო, სილამაზის სალონი

წიგნების მაღაზია	ყვავილების მაღაზია
სამშენებლო მოედანი	ორანჟერეა, ნაკრძალი
საავადმყოფო	სახელოსნო ან სამუშაო იარაღების მაღაზია
მუზეუმი	სანერგე ან ფრინველების საშენი
თეატრი	

სეირნობა

სეირნობა საუკეთესო გზაა იმისათვის, რომ ბავშვები ბუნებას ვაზიაროთ. სეირნობა ექსკურსიაზე ადვილი დასაგეგმიც არის და განსახორციელებელიც. ჯგუფური გასეირნების მოწყობას გაცილებით ნაკლები დრო და ენერგია სჭირდება. ბავშვები, რაც შეიძლება, ხშირად უნდა ვასეირნით. შეიძლება გასეირნებით აღვნიშნოთ მშვენიერი ამინდის დადგომა (მაგ., პირველი თოვლი) ბავშვების გასეირნება ყოველკვირეულ ცხრილში უნდა იყოს გათვალისწინებული. ბავშვები ბუნების წიაღში სეირნობისას უამრავ ახალ რამეს სწავლობენ. ამ დროს, მასწავლებელსაც უკეთ შეუძლია ბევრი რამის სწავლება. შეიძლება, ბავშვებს ვესაუბროთ ცხოველებზე, ყვავილებზე, მცენარეებზე, სახლებსა და შენობებზე, ფერებზე, ფორმებსა და ფიგურებზე, სურნელებაზე, ჩრდილებზე, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებზე. ამგვარი საუბრების დროს ბავშვების ყურადღება მაქსიმალურად არის ჰობილიზებული და ისინი, მართლაც, სულგანაბულები უსმენენ მასწავლებელს. შეიძლება, სეირნობისას სხვადასხვა საგნებიც შევაგროვოთ. შეგროვილი საგნები კლასში, ბუნებისმეტყველების ცენტრში უნდა მივიტანოთ. როდესაც გადაწყვეტთ, სად უნდა გაასეირნოთ ბავშვები, მოიშველიეთ წიგნები, სიმღერები, ლექსები, თითებით თამაში, რათა უფრო სინტერესო და შინაარსიანი გახადოთ სეირნობის მიზანი. თუ შესაფერისი ვერაფერი იპოვეთ, თავად გამოიგონეთ, შეთხზეთ და თან ამ პროცესში ბავშვებიც დაიხმარეთ. შეიძლება ნაცნობი თემის რითმებზე საკუთარი ლექსი გააწყოთ.

მშობლების მონაწილეობა

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა მშობელი აღიარებს სუფთა ჰაერზე ბავშვის ხშირად ყოფნის აუცილებლობას, მშობლების უმრავლესობა კარგად ვერ აცნობიერებს, რა შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს ბავშვისათვის გარეთ გატარებულ საათებს.

მასწავლებლის მოვალეობაა განუმარტოს მშობლებს, თუ რამდენი რამის სწავლა შეუძლიათ მათ შვილებს გარეთ. მშობლები თავადაც ხშირად არიან ხოლმე ბავშვებთან ერთად გარეთ. თუკი მათ ეცოდინებათ, როგორ უნდა გამოიყენონ ეს დრო ბავშვის აღზრდა – განათლებისათვის, ისინი გაცილებით შინაარსიანად გაატარებენ დროს სუფთა ჰაერზე შვილებთან ერთად.

სასწავლო წლის დასაწყისშივე მშობლები უნდა გავაფრთხილოთ, რომ მათი შვილი ყოველდღიურად გარეთ ითამაშებს ხოლმე. იმის შესახსენებლად, თუ რა სიკეთე მოაქვს სუფთა ჰაერსა და ეზოში თამაშს, მშობლებს, დროდადრო, გაუგზავნეთ ბარათები, სადაც აღნიშნული იქნება, რა და რა ისწავლა მათმა შვილმა ეზოში.

მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ ეზოც "საკლასო ოთახია" და ისე დაგეგმოს თამაში და მუშაობა, რომ ბავშვებმა, რაც შეიძლება, მეტი ცოდნა შეიძინონ.

ქვიშა და წყალი

XVI ქვიშა და წყალი

ბავშვები თამაშის პროცესში: წყლისა და ქვიშის აქტივობის ცენტრი

ბავშვების უმრავლესობა, როგორც კი ფეხს აიდგავს, გატაცებით თამაშობს წყალასა და ქვიშაში. ბავაშვები წყალში ჭყუმპალაობენ, ჭურჭელს წყლით ავსებენ და ცლიან, წყალში ყრიან საგნებს და სიამოვნებით აკვირდებიან, როგორ იძირება ან ტივტივებს ესა თუ ის საგანი. ქვიშას კი – თხრიან, ცრიან და ტკეპნიან. წყალგარეული ქვიშით ბავშვები "აცხობენ", აშენებენ, გვირაბებს აკეთებენ.

თავდაპირველად ბავშვები უნდა ეზიარონ ქვიშასა და წყალთან შეხების საოცრებას. თავიდან მათ ბევრი სათამაშო არ სჭირდებათ. თანდათან თამაში შეიძლება გავართულოთ და ბავშვებს მივცეთ ორი საწყაო ჭიქა და კვერცხის სათქვეფი, ან ორი თოჯინა, ტილო და საპონი. უფროსი ბავშვები უკეთ იცნობენ ქვიშისა და წყლის აგებულებას და ამიტომაც მათ თამაშის გასამდიდრებლად მეტი სათამაშო სჭირდებათ, კერძოდ: საცობები, ღრუბელი, საპონი, ნავები, და კენჭები ტივტივისა და ჩაძირვის მოვლენათა შესასწავლად.

ასაკის მიუხედავად ყველა ბავშვს შეუძლია ქვიშისა და წყლის წრეში ითამაშოს – უბრალოდ, ქვიშა მუჭით აიღოს და დააპნიოს ან თბილ ქაფიან წყალში ჩაყოს ხელები და სიამოვნება განიცადოს.

გავლენა განვითარების სფეროებზე

ქვიშასა და წყალში თამაში სასიკეთო გავლენას ახდენს ბავშვის განვითარების ყველა სფეროზე.

მათემატიკა

- ბავშვები ერთი რაოდენობის ქვიშასა და წყალს ათავსებენ სხვადასხვანაირ ჭურჭელში და მერე არკვევენ რომელ ჭუურჭელში მეტი ნივთიერებაა (საუბრის თემა)
- ბავშვები ანგარიშობენ რამდენი თასი თოვლია საჭირო წყლის მაგიდის ასავსებად
- ადარებენ სველი და მშრალი ქვიშის წონას.

ბუნებისმეტყველება

- ბავშვებს უვითარდებათ დაკვირვების უნარი და კვლევის სურვილი: "რა მოხდება ქაფი რომ წყალში ჩავასხა?"

- ქვიშაში წყალს ურევენ და აკვირდებიან ცვლილებას, წყალში საღებავს ასხავენ ან ყინულებს თბილ წყალში ყრიან.

- ახდენენ იმ საგნების კლასიფიკაციას რაც წყალში იძირება და ტივტივებს.

ფიზიკური განვითარება

- ვითარდება ხელისა და მზერის კოორდინაცია ქვიშაზე ხატვის, სახელების წერისა და ხაზვის შედეგად

- იწაფება თითები და ხელები, ერთი ჭურჭლიდან მეორეში წყლის გადასხმისას, სლიპინა საპნის ხელში ჭერისას და სხვა.

- ეუფლებიან მცირე კუნთებს, როდესაც საწვეთურებით საღებავს აწვეთებენ წყალში ან დოქიდან წყალს ასხავენ

სოციალური და კულტურული ჩვევები

- ეჩვევიან ერთად მუშაობას მცირე ჯგუფებში, ერთად თამაშობენ და ერთად ქმნიან.

- აწარმოებენ მოლაპარაკებას და თანხმდებიან ვინ ხმარობს ყველასათვის საყვარელ დოქს;

- ერთმანეთს უნაწილებენ სათამაშოებს;

- თამაშობენ როლებს: ხან კაპიტნები არიან და ხან მზარეულები.

- აშენებენ წიგნში ნანახსა და გაგონილს, კერძოდ: ხიდებს, გვირაბებს, ციხე-დარბაზებსა და გზატკეცილებს.

ემოციური განვითარება

- უთანაგრძნობენ მოწყენილ ბავშვს.

- წარმატებით აღწევენ მიზანს – რეცხავენ და გასაშრობად ფენენ თოჯინის ტანსაცმელს, ავსებენ ყველა საყინულეს ყინულის დასამზადებლად.

- პასუხობენ საკუთარ კითხვებს, წყვეტენ პრობლემას, მაგ., საცობს "ტივტივების"კატეგორიას მიაკუთვნებენ, ხოლო ქვებს – "ჩაძირულების".

ქვიშისა და წყლის აქტივობის ცენტრის მოწყობა

ყოველ საკლასო ოთახში უნდა იდგას მაგიდა შიგ ჩაშენებული ღრმა ავზით, რომელიც წყლით ან ქვიშით ივსება. ამგვარი მაგიდა ეზოშიც გამოგვადგება, მაგრამ კლასში ის აუცილებლად უნდ იყოს. ასეთი მაგიდა კლასში ისეთ ადგილაზე უნდა დავდგათ, სადაც,

შედარებით, არეულობაა და ადვილად მოიწმინდება იატაკი. რადგან წყალგარეული ქვიშა, ფაქტიურად, ტალახია, რაზეც ბავშვებს შეიძლება ფეხი დაუსხლტეთ. შეეცადეთ, ამგვარი მაგიდა გასასვლელებიდან მოშორებით დადგათ, რათა თავიდან აიშოროთ ხიფათი. აგრეთვე, გაითვალისწინეთ, რომ, როცა ბავშვები დედის ან მშენებლის როლს ასახიერებენ, ისინი ხშირად ხმამაღლა ლაპარაკობენ, ამიტომაც, ქვიშის მაგიდა წერა-კითხვის ცენტრიდან მოშორებით მოათავსეთ.

ავზში საკმარისი წყალი უნდა ესხას და ქვიშაც საკმარისი უნდა ეყაროს, რომ ბავშვებმა საინტერესოდ და შინაარსიანად ითამაშონ. მცირე ასაკის ბავშვებისათვის ავზში ნაკლები წყალი უნდა ჩავასხათ, თუმცა, იმდენი წყალი მაინც უნდა ესხას, რომ ბავშვებმა ჭყუმპალაობა და წყლის სხვადასხვა ჭურჭელში გადასხმა შესძლონ. უფროსი ბავშვებისათვის წყალი 8-10 სმ სიღრმეზე უნდა ესხას, რათა უფრო რთული თამაშების გამოგონება შეძლონ. ქვიშის მაგიდის ავზში ქვიშა ბლომად უნდა ეყაროს, რათა ბავშვებს საშუალება ჰქონდეთ თხარონ და გვირაბები აშენონ, თუმცა, უნდა ვეცადოთ, ქვიშა იატაკზე არ დაგვეპნეს.

ქვიშისა და წყლის მაგიდა ბავშვების შესაფერისი სიმაღლის უნდა შეირჩეს, რომ ბავშვები მოხერხებულად დასხდნენ და ითამაშონ. მცირე ასაკის ბავშვები, რომლებიც მაგიდას ვერ სწვდებიან, შეიძლება სკამზე დავაყენოთ. ბავშვი მყარად უნდა იდგეს სკამზე, რომ ფეხი არ დაუცდეს.

წყალი ავზში ყოველდღე უნდა გამოვცვალოთ, ბაქტერიები რომ არ გამრავლდენენ. საღამოობით მაგიდას ხუფი უნდა დავახუროთ. ქვიშა სუფთა უნდა იყოს და წმინდად დაფქული. ყოველი თამაშის შემდეგ იატაკი უნდა მოიწმინდოს და გამშრალდეს, რომ ბავშვებს ფეხი არ დაუცდეთ. იატაკის ტილოები წინასწარვე უნდა მოვიმარაგოთ.

წყლისა და ქვიშის მაგიდაზე სხვა მასალაც უნდა გამოვაწყოთ: ნახერხი, თოვლი, შემოდგომის ფოთლები, რკო, ბურბუშელა და ყინულის ნაჭრები. ბავშვები მასალას თვითონ აგროვებენ ეზოში, ხოლო მასწავლებლებს კი – მშენებლიბიდან ან ქარხნებიდან მოაქვთ.

ძირითადი მასალა, რაც ქვიშისა და წყლის მაგიდასთან არის საჭირო, შეიძლება შინ მოვიძიოთ ან მასწავლებლებმა და მშობლებმა შეიძინონ. ძირითადი მასალაა:

ნავები
ფუნჯები
ვედროები
ფიგურული დანები
საცობები
ფინჯნები
ჭურჭელი და ქვაბები (საოჯახო კუთხიდან)
თოჯინები
კვერცხის სათქვეფი
ცარიელი კონსერვის ქილები
საწვეთურები
საკვების საღებავი
ძაბრები
საწყაო ჭიქები
ნამცხვრის ფორმები
ქვები
სასწორი
საცერი
ნიჩბები
მცირე ზომის სათამაშოებო[მანქანები, ცხოველები]
საპონი
ღრუბელ
კოვზები
ჯოხები
კენჭები
საწურებ
სათქვეფლები

მასალა თაროებზე უნდა ეწყოს და ბავშვებმა თავად აირჩიონ რითი ითამაშონ. შეიძლება მასალა ყუთებში ჩავაწყოთ, მაგიდების ქვეშ შევდგათ და დილაობით ამოვალაგოთ სოლმე.



თამაშის დამთავრებისთანავე ბავშვებმა მასალა ტილოთი უნდა გაამშრალონ. სათამაშოები შეიძლება მაგიდაზე დავტოვოთ მომდევნო ჯგუფებისათვის. ყოველი დღის ბოლოს მასწავლებელი მასალას ასუფთავებს, ამშრალებს და ინახავს.

ალმზრდელობითი ჯგუფის როლი

მასწავლებელი ბავშვებს მასალას ნელ-ნელა, თანდათანობით აცნობს. მასწავლებელი აკვირდება, რომელ მასალას უფრო ეტანებიან ბავშვები, ამის შემდეგ ცვლის მასალას და ნაკლებად საინტერესო სათამაშოებს ინახავს.

მასწავლებელი ისეთ მასალას სთავაზობს ბავშვებს, რომ კლასში მიმდინარე თემასთან დაკავშირებით მათი ცოდნა შეივსოს. მაგალითად, თუკი ბავშვები დაინტერესებულები ჰრიან

ხიდებით, მასწავლებელი ხიდების ასაგებად ქვებსა და ხის ნაფოტებს სთავაზობს. შემდეგ მას მოაქვს ნავები და გემები, რომ ბავშვებმა ხიდებქვეშ გაატარონ. მაღალი გემი, რომელიც ხიდქვეშ არ გაეტევა, ახალ, საინტერესო თემას წამოჭრის გასახსნელი ხიდების შესახებ.

მასწავლებელი აკვირდება ბავშვებს, აქებს მათ, მოუწოდებს გაიაზრონ რას რატომ აკეთებენ და გამოიკვლიონ ის მასალა, რომელსაც სამუშაოდ იყენებენ. მაგალითად, თუ ორი ბავშვი ჭურჭელს წყლით ავსებს, მასწავლებელი მათ სთხოვს დათვალონ რამდენი ჭიქა წყალი თავსდება ერთ დოქში. ამის შემდეგ ბუნებრივად წამოიჭრება ნივთიერების ზომისა და სიმკვრივის საკითხი. დრამცენტრის მუშაობას მასწავლებელი უფრო საინტერესოდ წარმართავს თუ ბავშვებს ჰკითხავს, რის გამოცხობას აპირებენ ისინი ამ გემრიელი ქვიშით. მასწავლებლის შეკითხვები ბავშვს უბიძგებს დასვას და გადაწყვიტოს პრობლემები, წამოაყენოს ახალ-ახალი ჰიპოთეზები. "რა მოხდება, თუ წითელ საღებავს ჩავასხავთ წყალში?" ან "რატომ გგონია, რომ მართლაც ასე მოხდა?"

თანმიმდევრობა კვლევითი პროცესისი საფუძველია. ბავშვები ეჩვევიან საგნებისა და მოვლენების დამოუკიდებლად კვლევას. ბავშვები ზოგჯერ ჯგუფებში ერთიანდებიან. ბავშვები არ უნდა მოერიდონ დასვრასა და არევას. მათ სამუშაო ხალათები უნდა ეცვათ და მასწავლებლები ან დამხმარე უფროსები თვალყურს უნდა ადევნებდნენ. იქვე უნდა იყოს ტილო, რომ ბავშვებს თავად შეეძლოთ წყლის წუწების მომშრალება.

აქტივობა და პროექტები

გოლიათი ბუშტები – თბილ ამინდში ეზოში გაიტანეთ ქვიშისა და წყლის მაგიდები. ერთი ჭიქა ჭუჭლის სარეცხი ფხვნილი ჩაყარეთ 3,8 ლიტრ წყალში. ტანსაცმლის საკიდი ჯოხებით ან მავთულის რგოლებით ბავშვები წყალს მოურევენ და ააქაფებენ. წყალი ინდათან აივსება ქაფის გოლიათი ბუშტებით. ბავშვები მავთულის რგოლებით იჭერენ ბუშტებს და ფრთხილად ამოაქვთ ზედაპირზე. ძალინ დიდ ბუშტს შეიძლება ფორმაც შეუცვალოთ. ბავშვები სულს უბერავენ ბუშტებს და ისე აქრობენ.

უჩინმაჩინი საღებავი – ბავშვებს ძლიან უყვართ წყლითა და დიდი ფუნჯებით აგურების, ხის, შენობების, იატაკის ან ქაღალდის შეღებვა. როგორც კი წყალი შრება საღებავი უჩინარდება.

სილის ფორმები – თასები, ვედროები, ნამცხვრის ფორმები და სხვადასხვა სახის ჭურჭელი ივსება წყალგარეული ქვიშით, ქვიშა იტკეპნება და ამის შემდეგ ფორმა გადმოპირქვავდება გაზეთის ქაღალდზე, ან პლასტმასის დაფაზე. ბავშვები ისვრებიან, სილის ფორმები ეშლებათ, მაგრამ მაინც გატაცებით თამაშობენ. ბავშვები სილით სხვადასხვაგვარ ნამცხვრებს "აცხობენ" და ეზოში სუფრას შლიან.

კაშხლების, გვირაბებისა და ხიდების მშენებლობა – რეზინის ან პლასტმასის მილით ბავშვები წყლის მაგიდიდან წყალს მიწაზე ღვრიან. წყალი ჩაუვლის ბავშვების აშენებულ კაშხლებსა და ხიდებს, ბავშვები თავად რწმუნდებიან რა ხდება, ანუ, როგორ აჩერებს წყლის დინებას კაშხალი (დროებით) და როგორ გაივლის წყალი ხიდქვეშ.

წვიმა – ავაგოთ ტერარიუმი, სადაც ბავშვები დააკვირდებიან წყლის ცირკულაციას. ვისაუბროთ კონდენსაციისა და აორთქლების პროცესებზე.

საკლასო სამუშაოები

სამხატვრო იარაღების რეცხვა – ბავშვებისათვის სახლისო უნდა იყოს სამხატვრო იარაღების რეცხვა და გასუფთავება. ისინი წყლის მაგიდაში ღრუბლითა და საპნით რეცხავენ ფუნჯებს, სამღებრო საგორავებს, ფიგურულ დანებს და სხვა.

გეოგრაფია. – წყალგარეული ქვიშით შესაძლებელი სხვადასხვა ლანდშაფტების გაკეთება. უფროსი ბავშვები აღტაცებით შესცქერიან როგორ შთანთქავს მოვარდ!ილი წყალი მთას, როგორ გადაიქცევა მთის მწვერვალი კუნძულად ან ნახევარკუნძულად "ზღვაში". წყლის, ქვიშის, ნიჟარების, სათამაშო თევზების საშუალებით ბავშვები ქმნიან წყალქვეშა სამყაროს, რომელიც "ზღვის ფსკერზე" მდებარეობს.

ქვიშის მხატვრობა – მუყაოს ქაღალდზე ბავშვები წებოთი სატავენ კომპოზიციას, წერენ ასოს ან საკუთარ სახელს. სანამ წებო სველია ბავშვები გამოსახულებას ქ!იშას აყრიან. როდესაც ქვიშა გაშრება მუყაოზე ხორკლიანი ფაქტურის გამოსახულება დარ!ება.

რეგატა – ბავშვები ნავებს მუყაოსაგან ამზადებენ და ზედ მავთულით ამაგრებენ ქაღალდის ან ნაჭრის იალქნებს. ისინი რიგ-რიგობით უშვებენ ნავებს წყალში.

ჩაძირვა და ტივტივი – ყუთებით მოიტანეთ სხვადასხვა სახის საგნები: ქაღალდის ნაკუწები, ქვები, ბურთულები, საცობები, ჯოხები, ღრუბელი. სთხოვეთ ბავშვებს, გამიიცნონ, რომელი საგნები ჩაიძირება და რომელი – არა, შემდეგ რიგ-რიგობით ჩააყრევინეთ საგნები წყალში. ბავშვები მალევე რწმუნდებიან, რომ მძიმე საგანი იძირება, ხილო მსუბუქი – წყლის ზედაპირზე ტივტივებს.

ხსნარები – აურიეთ წყალში მარილი, შაქარი, ფქვილი, სახამებლის მარცელები, კენჭები, ჯოხები, ჭანჭიკები, სოდა და ქელატინი და შეადარეთ. ბავშვები ადგენენ გრაფიკს სადაც აღნიშნულია, რომელი ნივთიერებები იხსნება წყალში და რომელი – არა.

ქაღალდის დამზადება. პროექტი წყლის მაგიდისთვის

ქაღალდის დამზადება ბავშვებისათვის ძალზე საინტერესო და სახალისო პროექტი. ამ პროექტის განხორციელება შეიძლება წყლის მაგიდაზე. დაგვჭირდება ბაღ ეგადაკრული ჩარჩო.

უპირველესად ყოვლისა, ძველი, გამოუსადეგარი ქაღალდები უნდა დავკუწოთ. ყველაფერი გამოგვადგება – ძველი გაზეთები, ნაგლეჯები, ქაღალდის ფურცლები, გასანთლული ქაღალდის გარდა.

ქაღალდის ნაკუწები ჩავყაროთ წყლით სავსე ;ედროში ან რაიმე ღრმა ჭურჭელში. თავი დავახუროთ და ქაღალდი სამი დღე დავალბოთ. სამი დღის შემდეგ ქაღალდის ნაკუწები სუფთა წყალში გადავიღოთ. თუ გვაქვს სათქვეფი ხელსაწყო დამბალი ქაღალდი ავთქვიფოთ, თუ არა და ისეც გამოდგება. დამბალ ქაღალდს მერქნის ფაფა ან ცელულზა ეწოდება. მერქნის ფაფა ჩაგასხათ წყალში ბადეგადაჯრული ჩარჩო ჩავდოთ წყალგარეულ ფაფაში და წყლიდან ფრთხილად ამოვიღოთ. დავინახავთ, რომ ჩარჩოზე სუფთა, სველი ქაღალდია გადაკრული. დავაცადოთ, წყალი დაიწუროს, ამის შემდეგ სველი ქაღალდი ტილობე გადმოვიღოთ და ერთი დღე ვაშროთ. ამის შემდეგ ბავშვებს შეუძლიათ დახატონ, დაწერონ საკუთარი ხელით დამზადებულ ქაღალდზე. სახვებიანი, დეკორატიული ქაღალდის დასამზა-

დებლად საქაღალდე მასას უნდა დავუმატოთ ძაფი, თესლები, მარცვლები ან დაკუწული ფოთლები.

ბადეგადაკრული ჩარჩოს დამზადება



1. შეიძინეთ 2 სმ სისქის ოთხკუთხა ხის ფიცარი;
2. დახერხეთ 15-18 სმ სიგრძეზე და შეკარით ჩარჩო;
3. ჩარჩოს გადააკარით ბადე. წიბოებზე ქაღალდი გადააკარით;
4. შეიძლება ჩარჩო ლითონისგანაც დამზადდეს.



დეკორატიული ქაღალდის დამზადება

სველ ქაღალდში ჩატკეპნეთ ძაფი, ბრჭყვიალა "წვიმები" ან თასმა;

სველ ქაღალდში ჩატკეპნეთ ფოთლები ან პატარა ჩხირები;

სველ ქაღალდში ჩატკეპნეთ ფერადი ქაღალდისაგან გამოჭრილი ფიგურები;

სველი ქაღალდის ფურცელს ზემოდან მეორე ფურცელი დავაკრათ; შეგვიძლია ფურცლებს შორის საგნები ან ერთი საგანი მოვათავსოთ, ამობურცული ზედაპირის მისაღებად;

ქაღალდის დამბალ მასას საღებავი დავუმატოთ (1/2 ჩაის კოვზი საღებავი 1 ჭიქა წყალზე) ან აკრილის საღებავი (1/4 ჩაის კოვზი – ერთ ჭიქა წყალზე):

საღებავი წყალში გახსენით და ჩაასხით პლასტმასის ბოთლში, რომელზეც საწოვარა იქნება წამოცმული. სველი ქაღალდი მოხატეთ და გააფორმეთ.

ბუნების მეცნიერები

XVII ბუნებისმეტყველება

ბავშვები თამაშის პროცესში: ბუნებისმეტყველების შემსწავლელი ცენტრი

ბავშვები ბუნებით მკვლევარები არიან. ისინი გამუდმებით ინფორმაციას ეძიებენ გარესამყაროს შესახებ. ბავშვები სამყაროს დაკვირვების და ექსპერიმენტის ანუ გამოცდის გზით შეიმეცნებენ. ბუნებითი ცნობიმოყვარეობა მათ ჭეშმარიტი შემეცნებისაკენ მიუძღვის.

რაშელ კერსონი წიგნში "გაოცების არსი" (1956) ბავშვის მიმართებას საკუთარ სამყაროსთან ამგვარად აღწერს:

> "ბავშვის სამყარო ცოცხალი, ჩახჩახა და მშვენიერია, აღსავსე საოცრებითა და აღტაცებით. სამწუხაროდ, ადამიანთა უმრავლესობას ადრევე ებინდება სხივიანი მზერა, ეკარგება უშუალო, წრფელი და ჭეშმარიტი ალღო, მშვენიერების აღქმის ნიჭი. მე რომ კეთილ ფერიას ვიცნობდე, შევეეედრებოდი ყველა ბავშვისათვის მხოლოდ ერთი რამ დაენათლებინა: მთელი ცხოვრება შერჩეთ გაოცების უნარი. სწორედ გაოცების უნარს შეაქვს სინათლე ადამიანთა უფერულ, მდორე და მოსაწყენ ცხოვრებაში; სწორედ გაოცება დააძლევინებს ადამიანებს ამაოებისაკენ ფუჭ სწრაფვას და სწორედ გაოცების ძალით შესძლებს ადამიანი დაუბრუნდეს საკუთარ წიაღს ანუ ჭეშმარიტ არსებობას."

მეცნიერება პროცესსაც გულისხმობს და შედეგსაც. შედეგის თვალსაზრისით, მეცნიერება ბუნებისა და ფიზიკური სამყაროს შესახებ ცოდნის ორგანიზებული, ჩამოყალიბებული სახეა. სამეცნიერო პროცესი გულისხმობს კვლევას, დაკვირვებასა და ექსპერიმენტს. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ბავშვები ადრეულ ასაკშივე დაეუფლონ სამეცნიერო პროცესის საფუძვლებს, რადგან ეს უნარი მათ ყველა საკითხის შესწავლისას გამოადგებათ, სკოლაშიც და მთელს შემდგომ ცხოვრებაშიც. კვლევითი პროცესის წარმოებისათვის შემდეგი თვისებებია საჭირო: დაკვირვება, შედარება, აღწერა, პროგნოზი, კავშირისა და მიმართების დამყარება, კლასიფიკაცია, გაზომვა, და კომუნიკაცია.

ბუნებისმეტყველების შესწავლა ცალკე საგნად არ უნდა გამოვყოთ. წარმოიდგინეთ, რა მჭიდროდ არის დაკავშირებული ხეების შესწავლა სხვა დანარჩენ საგნებთან. შეიძლება დაითვალოს თესლების რაოდენობა; ფოთლები და ხის ქერქი ხელოვნების ცენტრში გამოგვადგება; შემოდგომით გამხმარი ფოთლები შეიძლება დიდ კასრში ჩავყაროთ და ბავშვებს ნება დავრთოთ ფოლებზე იხტუნონ და შემდგომ აღწერონ, რა გრძნობა დაეუფლათ ფოთლებთან შეხებისას, როგორი სუნი, ფორმა და ფერი აქვს ფოთლებს და ა. შ. ბავშვები ადგენენ ე.წ. "ხის დღიურს", სადაც აღწერენ ერთ რომელიმე ხეს წელიწადის დროთა ცვალებადობის ფონზე.

ხის მასალას ბავშვები იყენებენ სამშენებლო პროექტებში – აშენებენ ჩიტის ბუდეებს და სხვა. ხის ტანზე არსებული წრეების საშუალებით ბავშვები ადგენენ ხის წლოვანებას; ბავშვები სეირნობენ პარკში ან ტყეში ხეებზე ცოდნის გასაღრმავებლად, ხოლო ვაშლისა და ალუბლის ხის ნაყოფს კი – კულინარიის ცენტრში იყენებენ.
ყოველი აქტივობის დაგეგმვისას, მასწავლებელმა უწინარეს ყოვლისა ბავშვების უსაფრთხოება უნდა გაითვალისწინოს. მაგალითად, სანამ ფოთლებით სავსე კასრში ხტუნაობის ნებას დართავდეს, მასწავლებელმა წინასწარ უნდა შეამოწმოს, კასრში შუშის ნამსხვრევები ან სხვა სახიფათო საგნები ხომ არ ყრია.

ბუნებიმეტყველების ცენტრის მოწყობა

სამეცნიერო კვლევის პროცესის დაუფლება და ბავშვებში კვლევისათვის აუცილებელი თვისებების განვითარება "ნაბიჯ-ნაბიჯ" პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიზანია. ყველა აქტივობის ცენტრში უამრავი საკვლევი მასალაა თავმოყრილი. ყველა ცენტრის ხელმღვანელი ცდილობს ბავშვები შეაჩვიოს დამოუკიდებელ კვლევას. სწავლებისა და კვლეის პროცესის გასაფართოებლად კლასში ნამდვილი კვლევითი სადგური უნდა მოვაწყოc.

ბუნებიმეტყველების ცენტრი

ბუნებიმეტყველების ცენტრის მოსაწყობად საჭიროა:

- გამოვყოთ ადგილი, სადაც გამოიფინება ბუნებიმეტყველების, კვლევითი სამუშაოების წარმოებისათვის საჭირო მასალა. ამ ადგილს შეიძლება "მინი- მუზეუმი" ვუწოდოთ. ბავშვები შეაგროვებენ მასალას მუზეუმისათვის. აქვე დაიდგმება გალიები ცხოველებისათვის. პატარა მაგიდაზე ან თაროზე გამოფენილი იქნება ბღვის ნიჟარები, კრისტალები, ფრინველის ბუმბული, პეპლის ფრთები. მასალის შეგროვებაში მასწავლებლებს და ბავშვებს მშობლებიც ესმარებიან.

- ცალკე აწყვია უფრო იშვიათი ხელსაწყოები და საგნები, მაგალითად: მაგნიტი, გამადიდებელი შუშა, ფერადი ლინზები, პრიზმა. თაროებზე წარწერები და სურათებია გაკრული. ისე რომ, ბავშვები სამუშაოს დამთავრებისთანავე ყველა საგანს თავის ადგილზე აწყობენ.

- მზიანი ფანჯრის რაფაზე ქოთნებში ჩარგული მცენარეები და ნერგები აწყვია.

ის ნივთები და ხელსაწყოები, რომელთაც უფრო იშვიათად ვიყენებთ წარწერებიან ყუთებში ინახება. კვლევის თემა და მასალა ხშირად უნდა იცვლებოდეს და ბავშვების ინტერესებით უნდა იყოს განპირობებული, რთა ცენტრის მუშაობა აქტიურად და დინამიურად წარიმართოს.

კვლევის აქტიური მეთოდების დაფლება სკოლამდელი პროგრმის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს. კვლევის გამოცდილება ბავშეებს მთელი ცხოვრების მანძილზე მიჰყვებათ. რა თვისებები უნდა ღვზარდოთ ბავშეში კვლევითი პროცესების დაუფლებისათვის:

- დაკვირვება. ტემპერატურა, ქარი, ღრუბლები ფერები, ფორმა, აგებულება, სურნელი.

- შეკითხვის დასმა. რა იძირება? რა ტივტივებს? სად მივაგნებთ ჩიტის ბუდეს? რამდენად სწრაფად დნება თოვლი?

- შედარება. რომელი ჭურჭელი მეტს იტევს? რომელი თესლიდან უფრო მაღალი მცენარე იზრდება?

- კლასიფიკაცია. შეაგროვეთ ფოთლები. ნედლი ფოთლები ერთ ჩანთაში ჩაყარეთ, ხმელი ფოთლები – მეორეში.

- კომუნიკაცია. "მიამბე, რამე გველზე", "დახატე ჩვენი ბაღი", "როგორ უნდა დავაწყოთ კუბურები სატვირთო მანქანის ძარაზე ისე, რომ არ გადმოცვივდეს?".

ბუნებიმეტყველების მასალა



ბუნებიმეტყველების ცენტრისთვის საჭირო მასალის თავმოყრა ერთბაშად არ ხდება. ეს პროცესი მთელი წელი გრძელდება და მასში აქტიურად არიან ჩაბმულები მასწავლებლები, ბავშვები, მშობლები და საზოგადოების სხვა წევრები. შესაძლოა, მშობლებს ბარათებით ვაუწყოთ , რა გვჭირდება, ან, უბრალოდ, ნუსხა გავუგზავნოთ. საინფორმაციო ბიულეტენში აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ თითოეული მშობლის ღვაწლი. ამ წრეში თითქმის ყველა საგანი გამოგვადგება: პლასტმასისი ქილები, ყველა ზომისა და ფორმის პლასტმასის ცარიელი ბოთლები, ბოთლის საცობები, მუყაოს ნაჭრები, ხის სარჭები, ქსოვილის ნაჭრები და სხვა. ამ ყველაფერს მეცნიერული კვლევისა და ექსპერინენტის დროს სრულიად სხვა ელფერი ეძლევა.

შეიძლება საკლასო ოთახში გამოვაკრთ საჭირო მასალის სია. როგორც კი, რომელიმე საგანს ან ნივთიერებას მოვიპოვებთ, მას სიაში გადავხაზავთ. მშობლები ეცნობიან სიას და მასალის მოპოვებაში გვეხმარებიან.

ბუნებიმეტყველების ცენტრისთვის საჭირო მასალა:

აქვარიუმი
საკვები სოდა
სასწორი
ბარომეტრი
ბატარეები
ლობიოს მარცვლები და თესლები
ჭანჭიკები და ქანჩის გასაღები
ძვლები
ვედროები, თასები
სანთლები
საათები
ყავის თუნუქის ყუთები
კომპასი
კვერცხის მუყაოს ბუდე
საპონი
საკვები საღებავი
ძაბრი
ბეწვი
მებაღეობის იარაღები
წებო
ჩაქუჩები
ლინზები
ქვიშის საათები
ფრანი
თხევადი საპონი
კლიტე, გასაღები
მაგნიტი
საწყაო ჭიქები
ლურსმანი
ძველი ჟურნალები
პლასტმასისი ჭიქები
ცელოფანის პარკები
ბრტყელტუჩა
პინცეტი
სხვადასხვა სახის მიწა
ქოთნებით
პრიზმა
გორგოლაჭები
ქვები, კენჭები
ქლიბი
რეზინის მილები
ზუმფარას ქაღალდი
სასწორი
სახრახნისი
ჭანჭიკები
ფეხსაცმლის ყუთები
პატარა გალიები
ღრუბელი
კოვზები
სტეტოსკოპი
თასმა
შაქარი
მზის საათი
თერმომეტრი
სათამაშო ნავები
სარწყავები
ხის მასალა
ძაფი

ბუნებისმეტყველების ჩართვა სხვა აქტივობის ცენტრებში

"ნაბიჯ-ნაბიჯ" პროგრამის მიხედვით ყოველ აქტივობის ცენტრში ისეთი მასალა უნდა იყოს თავმოყრილი, რომელიც ბავშვს აქტიური თამაშისა და მუშაობისაკენ უბიძგებს. სამეცნიერო კვლევა-ძიების უნარი ყველა წრეში უნდა გავაღრმავოთ. მაგალითად:

წერა-კითხვის ცენტრში ბავშვები აკვირდებიან კლასის შინაურ ცხოველებს და მოთხრობას თხზავენ მათს შესახებ. საკუთარი ხელით ასურთებენ და კინძავენ წიგნს ღრუბლებასა და ამინდზე; სიმღერას თხზავენ მზითა და სიცივით აღძრულ გრძნობებზე. ამავე წრეში ბავშვები ეცნობიან წიგნებს ცხოველებზე, მცენარეებზე, მანქანებზე, ამინდზე და სხვა საბუნებისმეტყველო თემებზე.

კუბურების ცენტრში ბავშვები ადგენენ, რამდენი პატარა კუბურა უნდა დავაწყოთ ბავშვის სიმაღლის შენობის ასაგებად. ფიცრებზე და დაფებზე ბავშვები ბურთულებსა და სათამაშოებს აგორებენ. კუბურების ქალაქში ბავშვები აშენებენ ჭიანჭველების ქალაქს, საფუტკრეს, სკებს და სხვა.

დრამცენტრი. დრამცენტრში ბავშვები სხვადასხვა როლებს განასახიერებენ – ბაძავენ უფროსებს, ათასგვარ ექსპერიმენტს ატარებენ. თამაშის პროცესში ბავშვს უნდა დაეუსვათ შეკითხვები: "რა მოხდება თუ ... ?". საპასუხოდ ბავშვები ახალ თამაშებს იგონებენ. მაგ., "რა მოხდება თაგვი რომ გალიიდან გამოვუშვათ?", "რა მოხდება შუქი რომ ჩაქრეს?", "რა მოხდება თოვლი რომ ჩექმებში ჩაგვივიდეს?", "რა მოხდება უეცრად ჭიანჭველად რომ გადაიქცე? ან ფუტკრად? ან მუხლუხო მატლად?".

აღმზრდელთა ჯგუფის როლი

რაშელ კერსონი წიგნში "გაოცების არსი" (1956) ამგვარად ახასიათებს ბაღის მასწაელ-ებლის როლს:

> "მე გულწრფელად მჯერა, რომ ბავშვისა და ბავშვის მშობლისთვის, რომელიც მასწავლებლისაგან დახმარებას მოელის, გაცილებით მნიშვნელოვანია ის, თუ რას გრძნობს და განიცდის, ვიდრე ის, თუ რა იცის ამა თუ იმ საკითხის შესახებ. თუ ფაქტი არის თესლი, რომელიც მოგვიანებით სიბრძნისა და ცოდნის ნაყოფს გამოისხამს, ემოციას ან გრძნობას შეიძლება ნოყიერი ნიადაგი დაერქვას, რომელშიაც ეს თესლი უნდა გაღვივდეს და გაიზარდოს. ადრეული ასაკი, სწორედ ის ასაკია, როდესაც ეს ნიადაგი უნდა მომზადდეს. როგორც კი გარკვეული ემოცია გაჩნდება, – ახლითა და შეუცნობელით გამოწვეული აღტაცება იქნება ეს თუ მშვენიერების აღქმა, თანაგრძნობა თუ სიყვარული – მაშინვე ჩნდება სწრაფვა ემოციისა თუ გრძნობის გამომწვევი ობიექტის შესწავლისაკენ. რასაც ერთხელ აღმოაჩენ ან მოიპოვებ, სამუდამოდ შენთან დარჩება. გაცილებით მნიშვნელოვანია ბავშვს შეცნობის სურვილი აღვუძრათ, ვიდრე მშრალი ფაქტებით გავჭყიპოთ, რომელთა მოსანელებლადაც ის მზად არ არის." (გვ 45).

ყველა კარგმა მასწავლებელმა იცის, რომ ბავშვები ზუსტად გრძნობენ რა დამოკიდებულება აქვს თავად მასწავლებელს საგნისადმი. თუ მასწავლებელი გატაცებულია კვლევითა და აღმოჩენით, მზად არის ყოველი მოვლენა თუ საგანი თავიდან შეისწავლოს, ბავშვებსაც

მოუწოდებს "მოდით, გავარკვიოთ", ბავშვებსაც მაშინვე ედებათ მისი ენთუზიაზმი.

დასაწყისში მასწავლებლის მოვალეობაა ბავშვები შეაჩვიოს უბრალო, ნაცნობ საგნებსა და მოვლენებზე დაკვირვებას. როგორც კი ბავშვები "სრულყოფილად გამოიკვლევენ" ამ საგნებსა და მოვლენებს, მასწავლებელი მათ ახალ მასალას სთავაზობს. მასწავლებლის ვალია ბავშვებს საინტერესო მასალა მიაწოდოს, კითხვების საფუძველზე მათ ამ მასალის კვლევის სურვილი აღუძრას და თვითონაც ბავშვებთან ერთად ეძიოს პასუხი. როგორც კი ბავშვები კლასში ქოთნებით მოტანილ სხვადასხვა სახის მიწას შეახებენ ხელს, ისინი ცნობისმოყვარეობით აღინთებიან ხოლმე და ერთი სული აქვთ გაიგონ, რას ნიშნავს ეს სხვაობა, რითი არის გამოწვეული და ა.შ. კარგი მასწავლებელი მათ მაშინვე გამადიდებელ შუშებს შეაგებებს; შემდეგ კლასში შემოიტანს კენჭებსა და წყალს. ბავშვები მიწას წყალს დაასხავენ და დააკვირდებიან, რას გამოიწვევს წყალი სხვადასხვა სახის მიწასთან შერევისას. სწორად შერჩეული მასალა, კვლევისათვის საკმარისი დრო და ექსპერიმენტი ბავშვებს საშუალებას მისცემს თავად უპასუხონ საკუთარ შეკითხვებს.

ახალი მასალის გაცნობისა და მუშაობის პროცესში ბავშვი სამ სტადიას გაივლის. პირველი სტადია არის ექსპერიმენტი. ექსპერიმენტის ხანგრძლივობა განპირობებულია ბავშვის ასაკით, უნარითა და გამოცდილებით. საგნის კვლევისას ბავშვი შეგრძნების ყველა ორგანოს იყენებს. კვლევის პროცესში ჩართულია მხედველობა, შეხება, ყნოსვა, და გემოვნება (ეს უკანასკნელი მასწავლებლის ნებართვას საჭიროებს).

მეორე სტადიაზე ბავშვი შესატყვის ლექსიკონს ითვისებს. ახალ სიტყვებსა და ლექსიკონს ბავშვი უკეთ ითვისებს თუ აქტიურად იყენებს მასალას ან საგანს. მასწავლებელი ღია დაბოლოებიან შეკითხვებს უსვამს ბავშვს: "რას მეტყვი ამის შესახებ?", ან "რა უნდა გააკეთო ამით?", ანდა "რა ცდები უნდა ჩაატარო?". ძალზე მნიშვნელოვანია საუბრის პროცესში მასწავლებელმა ჯეროვანი პატივი მიაგოს ბავშვის გამომგონებლურ უნარს და მისი მოსაზრებები ყურადღებით მოისმინოს. მასწავლებელი ბავშვს ახალი საგნის, მოვლენის და პროცესის აღმნიშვნელ სიტყვებს ასწავლის; ეხმარება საგნის ან პროცესის აღწერაში, ახატინებს მოცემულ თემაზე და თემის უფრო ღრმად შესასწავლად წიგნებს უკითხავს.

მესამე სტადიაა პრობლემის მიგნების ან პრობლემის დასმის სტადია. კითხვა-პასუხის დროს ბავშვი შეძენილ ცოდნას ავლენს. რაკი პრობლემა მიგნებული და ჩამოყალიბებულია, მასწავლებლებს ისღა დარჩენია, ბავშვებს პრობლემის გადაწყვეტისაკენ მოუწოდოს.

მიწის კვლევისას სხვადასხვა მიწით სავსე ჭურჭლის გარდა (საბოსტნე ნოყიერი მიწა, თიხა, ქვიშა) სხვა მასალაც დაგვჭირდება. მაგ., კოვზები, ნიჩბები, პლასტმასის ჭურჭელი, განათება, ბოლოკის თესლი, სარწყავი. ბავშვების ლექსიკონი მდიდრდება ახალი სიტყვებით. ბავშვები სწავლობენ რა ფერია მიწა, როგორი სუნი აქვს, როგორი აგებულებისაა. მასწავლებელი ბავშვებს ეკითხება "რა მოხდება თუ სამივე სახის მიწას წყალს დავასხავთ?' ან "რომელ ნიადაგში უკეთ გაიხარებს ბოლოკის თესლი?". როგორც ვხედავთ, მასწავლებელი ბავშვებს საჭირო მასალით უზრუნველყოფს, მიზნობრივ კითხვებს უსვამს და მათში კვლევის, სწავლისა და შემეცნების ინტერესს აღვიძებს. ბავშვებზე დაკვირვების შედეგად, მასწავლებელი ცდილობს განავრცოს კვლევისა და შესწავლის პროცესი, ანუ ისე წარმართოს კვლევა, რომ ბავშვები ბოლომდე ჩასწვდნენ მოვლენის ან საგნის არსს.

სამეცნიერო აქტივობა და პროექტები

საკლასო მუზეუმი

საკლასო მუზეუმში ბავშვებს შესაძლებლობა აქვთ იხილონ და ხელი შეახონ საინტერესო, სამეცნიერო მასალას. რას არ ნახავთ აქ: ქვები, კენჭები, ფოთლები ნიჟარები ხის ქერქი,

ბეწვი, ფერადი ქსოვილები, კბილები, თესლები, მწერები და ა.შ. მასალა სხვადასხვა ზომისა და ფორმის ყუთებში უნდა დავახარისხოთ. შეგვიძლია, გამოვიყენოთ კვერცხის ჩასაწყობი მუყაოს ბუდე და პლასტმასის ჭურჭელი. მთავარია მასალა მისაწვდომი იყოს ბავშვებისათვის, ანუ შესაძლებლობა ჰქონდეთ – დააკვირდნენ, შეეხონ, დაახარსიხონ, აწარმოონ კლასიფიკაცია, პროგნოზი და კომუნიკაცია. მასწავლებელი ამბობს, "აბა, ვნახოთ, რომელი ქვა კაწრავს ცემენტს და რომელი – კრამიტს?"

ცხოველების მოვლა ბავშვებს უამრავ სამეცნიერო კვლევით პერსპექტივებს სთავაზობს. შეიძლება საიმედოდ თავდახურულ აქვარიუმებში ვიყოლიოთ ხოჭოები, მუხლოხო მატლები, ჭრიჭინები, პეპლები და სხვა მწერები. ბავშვები სიამოვნებით უვლიან მწერებსა და ცხოველებს. კვებავენ, წყალს ასმევენ, აშენებენ ჯიხურებს და სხვა. ბავშვები კლასის ცხოველებს ქუჩის ცხოველებს ადარებენ. კლასში შემოღებულია ჟურნალი, სადაც იწერება ბავშვების დაკვირვების შედეგები. მასწავლებელი ყურადრებას ამახვილებს იმაზე, რომ ცხოველები უნდა გვიყვარდეს და ვიზრუნოთ მათზე. გარედან დროებით შემოყვანლ ცხოველებს მათზე დაკვირვების შემდეგ ბუნებრივ გარემოში ვაბრუნებთ.

კლასში შეიძლება მოვაწყოთ თესლების მუზეუმიც, სადაც წარმოდგენილი იქნება ბავშვების მიერ შერჩეული თესლები. ბავშვები თესლებს ზომის, ფერის, აგებულებისა და ფორმის მიხედვით დაახარისხებენ. მოზრდილი, შედარებით უხეში აგებულების თესლები ზუმფარას ქაღალდზე უნდა დავაწყოთ, ხოლო ნაზი თესლები კი – ჩვეულებრივი ქაღალდის ფურცელზე. თესლების გამოსაფენად შეიძლება ფერადი ქაღალდების გამოყენებაც. აგრეთვე, კარგი იქნება თუ თესლების ყუთებს შესაბამისი მცენარის ან ყვავილის სურათს მივაკრავთ.

ეზოში

ყოველდღიური დაკვირვება ბუნებაზე და გამოცდილების დაგროვება სკოლამდელი პროგრამის ცხრილშია გათვალისწინებული. ბავშვები აქტიურად იკვლევენ იმ საგნებსა და მოვლენებს გარს რომ აკრავთ. ბავშვებს გარკვეული დრო ჭირდებათ იმისათვის, რომ გადმოგვცენ, რა ნახეს, რა გაიგეს და რამ გააოცათ. მასწავლებელი სთავაზობს მასალას, ბავშვები იკვლევენ. მასწავლებელმა უნდა ადროვოს ბავშვებს, მოინელონ ინფორმაცია და მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ დიწყოს საუბარი მოცემულ თემაზე. ბავშვები დამოუკიდებლად ან მცირე ჯგუფებად მუშობენ. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ ბავშვები ცოცხალ არსებებთან ურთიერთობას შევაჩვიოთ. ეზოში ან პარკში ბავშვები მთელი წლის განმავლობაში აკვირდებიან ბუნებას. წინასწარ უნდა დაიგეგმოს, სად წავიყვანოთ ბავშვები და რა ვაჩვენოთ, ანდა რაზე იმუშავებენ ეზოში და რითი დაგვეხმარებიან მათი მშობლები. მშობლებისადმი მიწერილ ბარათში ნათლად უნდა ჩამოვაყალიბოთ ჩვენი მიზნები და ამოცანები და ყველანაირად ვეცადოთ ჩავაბათ სასწავლო პროცესში.



ერთ-ერთი საინტერესო თემაა უბნის მცენარეების შესწავლა. ამისათვის ბავშვებმა უნდა დაათვალიერონ შემოგარენი. დააკვირდნენ, როგორი ფორმა აქვთ სხვადასხვა მცენარეებს., რითი გვანან და რითი განსხვავდებიან მცენარეები ერთმანეთისაგან. მასწავლებელმა ბავშვების კითხვები უნდა ჩაიწეროს, კითხვების საფუძველზე უფრო შინაარსიანად წარმართოს კვლევითი პროცესი. მასწავლებელმა უნდა ასწავლოს ბავშვებს, რა სახის კითხვები დასვან და როგორ უპასუხონ. მაგ., "განსხვავდება თუ არა მცენარე, რომელიც შენობის ჩრდილოეთით იზრდება სამხრეთის მცენარისაგან?".

ხეების გამოკვლევა ცალკე თემაა. ბავშვები აგროვებენ ფოთლებს და ფურცელზე ან ცელოფანზე აწებებენ. შეიძლება, ფოთლები ფერადი ცარცით შემოხაზონ და თან თითებით იგრძნონ. დაადგინონ, რა განსხვავებაა ფოთლებს შორის. კარგი იქნება, თუ ფოთლებზე დაკვირვებას მთელი წლის განმავლობაში ვაწარმოებთ წელიწადის დროებისა და ამინდის ცვალებადობის ფონზე. შეიძლება აგრეთვე, დავაკვირდეთ ცხოველებს, რომლებიც ხეებზე ან ხის მახლობლად სახლობენ.

ამინდზე დაკვირვება ყოველდღიურად წარმოებს. რა ზემოქმედებას ახდენს ქარი სხვადასხვა საგნებზე? საით მიქრიან ფოთლები ქარში? სად და როგორ მიედინება წვიმა წყალში? რომელი საგნები თბება მზეზე? რომელი საგნები ინახება გრილად?

ბავშვები სიამოვნებით აკვირდებიან ჭიანჭველებს. საით მიდიან ჭიანჭველები? რა საჭმელი უყვართ? ვაშლს უფრო ეტანებიან თუ პურის ნაჭერს? ბავშვებს შეუძლიათ ფერადი ცარცით დახაზონ ჭიანჭველის სავალი გზა. აგრეთვე, შეუძლიათ, სცადონ იმოძრაონ ჭიანჭველებივით.

წყალი

ბავშვება ძალიან უყვართ წყლის კვლევა. ისინი წყალში ბანაობენ, წყალს სვამენ და წყალში თამაშობენ. ბავშვებს უყვართ გუბეებში ჭყაპუნი შხაპუნა წვიმის შემდეგ; წყლის კვლევა შეიცავს წყალში საგნების ჩაძირვის, ტივტივის და შესრუტვის პროცესების შესწავლას. ბავშვები თანდათან აცნობიერებენ, რომ წყალი სიცოცხლისათვის აუცილებელი ნივთიერებაა.

რამდენიმე რჩევა წყლის კვლევის პროცესის შესახებ:

წყალი ორთქლდება. ბავშვები დაკვირვებას აწარმოებენ წყალზე, რომელიც რადიატორზე დგას. წყალზე, რომელიც არ დგას რადიატორზე; წყალი მზეში და წყალი ჩრდილში. ეძებენ სხვაობას. ბავშვები წყლით ღებავენ იატაკსა და ასფალტს, აკვირდებიან გაშრობის პროცესს. რომელი ზედაპირი უფრო სწრაფად შრება? რა ხდება, თუ წყალში ან ცხელ წყალში მარილს ჩავყრით?

წყალი აუცილებელია მცენარეთა სიცოცხლისათვის. ბავშვები აკვირდებიან ორ მცენარეს, რომელთაგან ერთს რწყავენ, მეორეს კი – არა. ადგენენ განსხვავებას. ჩათესეთ ერთი და იგივე მცენარის თესლები ერთნაირ ნიადაგში, ერთნაირ ჭურჭელში, მხოლოდ, ერთი მორწყეთ, მეორე კი – არა. დააკვირდით შედეგს.

ზოგიერთი საგანი და ნივთიერება იწოვს წყალს. დაასხით წყალი სხვადასხვა ქსოვილის ნაჭრებს, ქაღალდს და სხვა მასალას და დააკვირდით, რომელი მასალა იწოვს წყალს.

წვიმა და გამდნარი თოვლი მდინარეებში და ნაკადულებში ჩაედინება: გაისეირნეთ წვიმაში და დააკვირდით საით მიდის წყალი. აღწერეთ ადგილობრივი ნაკადული ან წყარო. დააკვირდით, არიან თუ არა თევზები ნაკადულში? დაფრინავენ თუ არა ფრინველები ნაკადულის თავზე? დაბინძურებულია თუ არა ნაკადული?

შესაძლებელია წყლის ფიზიკური თვისებების გამოკვლევა. ბავშვები წყალს იკვლევენ კოვზით, მილებით, საცრით, ღრუბლით, ტივტივა საგნების საშუალებით. შეიძლება კვლევისას გამოვიყენოთ ონკანის ნიჟარა, ავზი, ბავშვის ვარცლი ან ტაშტი. შეიძლება, წყალში გავხსნათ საღებავი, ჩავაგდოთ საპონი, ჩავყაროთ საგნები, რომელთაგან ზოგი ძირზე და ზოგი – არა.

მაგნიტიზმი

მაგნიტიზმის ცნება – მაგნიტის გარშემო მაგნიტური ველის არსებობა, მიზიდულობისა და განზიდვის ძალა – ძალზე საინტერესო ექსპერიმენტების ჩატარების საშუალებას გვაძლევს. მაგნიტის, რკინისა თუ ლითონის საგნებზე დაკვირვებისას ბავშვებს შედარების და პროგნოზის უნარი უვითარდებათ.



ერთ-ერთი საინტერესო ექსპერიმენტია მაგნიტის ყუთების გაკეთება. მუყაოს ან გამჭვირვალე პლასტმასის ყუთში (ეს უკანასკნელი ჯობს, მაგნიტის ზემოქმედებაზე დაკვირვების თვალსაზრისით) ჩავყაროთ რკინის ნაჭრები. ყუთს თავი დავახუროთ. გარედან მაგნიტის ზემოქმედებით, ბავშვები ყუთში ჩაყრილ საგნებს ამოძრავებენ. ბავშვები დამოუკიდებლად მუშაობენ მაგნიტის ყუთებით. მშობლებს ვთხოვოთ, დაგვეხმარონ ყველა ბავშვისათვის სამყოფი ყუთების შეგროვებაში.

შეიძლება ბავშვებს ქალაქი დავახატინოთ. პატარა მანქანებს ძირზე რკინის ნაჭრები მივაკრათ, "ქალაქის ქუჩებში" განვალაგოთ და ბავშვებს ვასწავლოთ, როგორ გადააადგილონ ტრანსპორტი ქუჩებში მაგნიტის დახმარებით.

მაგნიტური მიზიდულობის მოვლენის გამოყენება ხელოვნების შემსწავლელ ცენტრშიც შეიძლება. დავჭრათ ქაღლადის ფურცლები და ყუთში ჩავაწყოთ. ქაღალდს რამდენიმე წვეთი საღებავი დავაწვეთოთ. საღებავის წვეთზე პატარა რკინის ნაჭერი დავანაგროთ, მაგ., თმის სარჭი. გარედან მაგნიტის მოძრაობით ერთი წვეთი საღებავით შეგვიძლია ფერადი კომპოზიციები დავხატოთ.

საგნებზე დაკვირვებისა და ექსპერიმენტების შემდეგ ბავშვებმა ნუსხა უნდა შეადგინონ, სადაც აღნიშნული იქნება, რას იზიდავს მაგნიტი და რას არა. შეიძლება ბავშვებმა წინასწარ გამოიცნონ, რომელ საგნებს იზიდავს მაგნიტი და რომელს – არა. მიზეზების კვლევა ახალ თემას წამოჭრის, კერძოდ, საჭირო გახდება საგნის თვისებების შესწავლა და ამ თვისებებს შორის სხვაობის დადგენა. ბავშვებს გაუჩნდებათ სურვილი ახალი მიმართულებით აწარმოონ კვლევა-ძიების პროცესი.

ბიბლიოგრაფია

Almy, M. (1986). Spontaneous play: An avenue for intellectual development. In *Early childhood play: Selected readings related to cognition and motivation.* New York: Associated Educational Services.

Bredekamp, S., & Rosegrant,T. (1992). *Reaching potentials: Appropriate curriculum and assessment/or young children.* Washington, DC: National Association for the Education of Young Children.

Bredekamp, S. (1987). *Developmentally appropriate practice in early childhood programs serving children from birth through age 8.* Washington, DC: National Association for the Education of Young Children.

Beaty,J. (1996). *Skills for preschool teachers.* Englewood Cliffs, NJ: Prentice-Hall, Inc.

Brooks, J., & M. (1993). *In search a/understanding: The case for constructivist classrooms.* Alexandria, **VA:** Association for Supervision and Curriculum Development.

Bronfenbrenner, U. (1975). Is early intervention effective? In B. Friedlander, G. Sterrit, & G. Kirk (Eds.), *Exceptional Infant: Vol.33 Assessment and Intervention,* (pp.449-475). New York: Brunner/Mazel.

Caney, S. (1972). *Toy book.* New York: Workman Publishing Company, Inc.

Carson, R. (1956). *A sense of wonder.* New York: Harper and Row.

Charney, R. (1992). *Teaching children to care.* Greenfield, MA: Northeast Foundation for Children.

Cohen, D., & Rudolph, M. (1977). *Kindergarten and early schooling.* Englewood Cliffs, NJ: Hall, Inc.

Cohen, D., & Stern, V. (1974). *Observing and recording the behavior of young children.* NY: Teachers College Press.

Cooking in the Head Start Classroom — An everyday affair. (1979, March). Parkersburg, West Virginia Head Start Training Office Newsletter. p.2-10.

Dewey, I. (1938). *Experienced education.* New York: Macmillan.

Dodge, D.T., & Colker, L.J. (1991). *The creative curriculum for family day care.* Washington, DC: Teaching Strategies.

Dodge, D.T., & Colker L.J. (1988). *The creative curriculum for early childhood.* Washington, DC: Teaching Strategies.

Fortson, R.L., & Reiff, C.J. (1995). *Early childhood curriculum: Open structures for integrated learning.* Needham, MA: Allyn and Bacon.

Frost, J. & Jacobs, P. (1995). Play deprivation: A factor in juvenile violence. *Dimensions of Early Childhood,* 23_(3), 14-39.

Galambos, J.W. (1974). *A Guide to Discipline.* Washington, DC: National Association for the Education of Young Children.

Glassman, M. (1994). All things being equal: The two roads of Piaget and Vygotsky. *Developmental Review,* 14, *186—214.*

Goodwin, M, & Pollin, G. (1974). *Creative food experiences for children.* Center for Science in the Public Interest. Washington: DC.

Greenspan, S., & Greenspan, N. T. (1989). *The essential partnership.* New York: Penguin Books.

Hansen, K., Kaufmann, R. & Saifer, S. (1996). *Education and the culture of democracy: Early childhood practice.* Washington, DC: Children's Resources International.

Hansen, K.A. (1987). *Mental health in Head Start: It's everybody's business.* Department of Health and Human Services, Head Start Bureau. Washington, DC: Government Printing Office.

Hansen, K.A. (1987). *Join in: Play is free and fun.* Lubbock, TX: Institute for Child and Family Studies, Texas Tech University.

Harste, J. (1989). *Creating classrooms for authors: The reading-writing connection.* Portsmouth, NH: Heinemann.

Hartley, R. (1964). *Understanding children's play.* New York: NY.

Heath, S.B., & Taylor. (1983). *Ways with words: Language, life and work in communities and classrooms.* Cambridge, England: Cambridge University Press.

Hobbs, N. (1984). *Strengthening/amities.* San Francisco: Jossey-Bass.

Isenberg, J., & Jalongo, M. (1993). *Creative expression and play in the early childhood curriculum.* New York: Macmillian Publishing Company.

Johnston, M. (1982). Strategies for a successful parental involvement program. In *How to involve parents in early childhood education.* Provo, Utah: Brigham Young University Press.

Lowery, F. (1979). *The everyday science sourcebook.* Boston, MA: Allyn **and Bacon, Inc.**

McIntyre, M. (1984). *Early childhood and science.* Washington, DC: National Science Teachers Association.

Marrow, L.M., (1989). *Literacy development in the early years'. Helping children read and write.* Englewood Cliffs, NJ: Prentice Hall.

Marzollo, J. & Lloyd, J. (1972). *Learning through play.* New York: Harper & Row.

Montessori, M. (1965). *Spontaneous activity in education.* New York: Schocken Books.

Murphy, L. B., & Leeper, E.M. (1972). *Preparing for change..* Washington, DC: U.S. Department of Health, Education and Welfare

National Council of Teachers of Mathematics Curriculum and Evaluation Standards for School Mathematics Addenda Series Grades K-6 (Kindergarten Book).

Piaget, J., & Inhelder, B. (1969). *The psychology of the child.* New York: Basic Books.

Platts, M. (1966). *Create a handbook for teachers of elementary art.* Benton Harbor, MI: Educational Services, Inc.

Prelutsky, J. (1990). *Something big has been here.* New York: Scholastic Inc.

Restak, R.M. (1984). *The brain.* New York: Bantam Books.

Saifer, S. (1990). *Practical solutions to practically every problem.* St. Paul, MN: Redleaf Press.

Seefeldt, C., & Barbour, N. (1994). *Early childhood education: An introduction.* New York: Macmillan College Publishing.

Setting up for cooking. (1994, October). Early Childhood Today. New York: Scholastic, vol. 9, 2.

Sheehy, E. D. (1974). *The fives and sixes go to school.* New York: Henry Holt & Co.

Southern Iowa Economic Development Association. (1986). *Parent handbook.* Ottumwa, IA: Author.

Taylor, T. D. (1996). Promoting cultural diversity and cultural competency checklist. Washington, DC: Georgetown University Child Development Center (UAP).

U.S. Department of Health and Human Services, Head Start Bureau (1992). *A guide for providing social services in Head Start.* (DHHS Publication No. (ACF) 91-31188). Washington, DC: Government Printing Office.

U.S. Department of Health and Human Services, Head Start Bureau (1991). *A handbook for involving parents in Head Start.* (DHHS Publication No. (ACF) 91-31187).

U.S. Department of Health and Human Services, ACYF, Region VII (1991). Program instruction PI-92-03: Client confidentiality for Head Start programs. Kansas City, MO: Author.

U.S. Department of Health and Human Services, ACYF, Head Start Bureau (1986). *A guid for education coordinators.* Washington, DC: Government Printing Office.

U.S. Department of Health and Human Services, ACYF, Head Start Bureau (1986) Mainstreaming preschoolers series. (DHHS Publication No. (OHDS) 86-31115) Washington, DC: Government Printing Office.

Wadsworth, **B.J.** (1979). *Piaget's theory of cognitive development.* New York: Longman, Inc

Williams, R.A., Rockwell, Robert E., & Sherwood, E.A. (1989). *Mudpies to magnets.* Mt Rainier, MD: Gryphon House, Inc.

Wolfe, B. (1986). Motivating parents: Workshop materials. Portage, WI: Cooperative Servic Agency #5 (Unpublished material).

Wolfe, B., Griffin, H., Zeger, J., & Herwig, J. (1982). Training guide: Development an implementation of the individual service plan in Head Start. *Portage, WI: Cooperativ Service Agency.*

York, S. (1991). Roots and wings. *St. Paul, MN: Redleaf Press.*

ბავშვთა რესურსების საერთაშორისო ორგანიზაციის პუბლიკაციები

Creating Child-Centered Classrooms: 3-5 Year Olds - a curriculum and methods for teaches of children ages three to five

Creating Child-Centered Classrooms: 6-7 Year Olds - a curriculum and methods for teaches of children ages six and seven

Education and the Culture of Democracy: Early Childhood Practice - a book explaining the link between democracy and early childhood teaching

Early Childhood Faculty Seminar: Individualized Teaching - a university-level course designd for use by early childhood education faculty

Early Childhood Faculty Seminar: Learning Through Play - a university-level course outline designed for use by early childhood education faculty

Early Childhood Faculty Seminar: School and Family Partnerships - a university-level coure outline designed for use by early childhood education faculty

რას წარმოადგენს ბავშვზე ორიენტირებული სწავლება და როგორ უწყობს ის ხელს ბავშვთა განვითარებას? ბავშვზე ორიენტირებულ ჯგუფებში ბავშვები თამაშის პროცესში სწავლობენ. ცალკეული საგნების სწავლება ერთ, მთლიან სასწავლო პროცესშია ინტეგრირებული, რისი წყალობითაც ბავშვები ბუნებრივად ეუფლებიან ცოდნას.

წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილი "ნაბიჯ-ნაბიჯ" პროგრამა განიხილავს სწავლების პროცესში გამოყენებულ თეორიულ და პრაქტიკულ მეთოდებს, რომლებიც შემუშავებულია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისათვის – ნორჩ მოქალაქეებში დემოკრატიული პრინციპების აღზრდისა და ჩამოყალიბების მიზნით.

აღნიშნული სახელმძღვანელო – ცხრამეტ ენაზე ითარგმნა და ცხრამეტივე ქვეყანაში წარმატებით ხორციელდება. ეს პროგრამა ყოველი მონაწილე ქვეყნის განათლების სამინისტროს მიერ იქნა დამტკიცებული, როგორც ალტერნატიული სასწავლო პროგრამა.

ამერიკელი სპეციალისტების დახმარებით 3000-ზე მეტმა მასწავლებელმა აიმაღლა კვალიფიკაცია.

ამ სასწავლო პროგრამის დაწყებით კლასებში დასანერგად შეიქმნა მეორე კრებული, რომელიც ექვსიდან შვიდ წლამდე ასაკის ბავშვებისთვის არის განკუთვნილი.

სახელმძღვანელო შესაძლებლობას აძლევს მასწავლებლებს, ბავშვებში შემდეგი თვისებების განვითარებას შეუწყონ ხელი:

- ისწავლონ და შეძლონ არჩევანის გაკეთება;
- საქმეს პასუხისმგებლობით მოეკიდონ;
- შეძლონ შეგნებულად მოეკიდონ სწავლას;
- შეითვისონ დემოკრატიული პრინციპები;
- შეეძლოთ საკუთარი აზრის საინტერესოდ ჩამოყალიბება და გამოთქმა;
- იყვნენ დამოუკიდებელი მოქალაქეები და მთელი ცხოვრება გაჰყვეთ სწავლისადმი სწრაფვა;

სასწავლო პროგრამაში მშობლებისა და საზოგადების წევრების ჩაბმის მიზნით აღნიშნული სახელმძღვანელო შემდეგ ღონისძიებებს ახორციელებს:

- იწვევს მშობლებს საკლასო მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის;
- მხარს უჭერს მშობელთა წინადადებებს;
- ამყარებს ურთიერთკავშირს სკოლასა და ოჯახს შორის;
- ინტერესით ეკიდება განსხვავებულ თვალსაზრისს პროგრამის ავკარგის შესახებ;
- ცდილობს მოიზიდოს და პროგრამაში ჩართოს მთელი საზოგადოება;

ეს წიგნი მასწავლებლების დასახმარებლად არის შექმნილი და დაწვრილებით აღწერს, თუ როგორ უნდა შეიქმნას ინტეგრირებული სასწავლო პროგრამა ათი აქტივობის ცენტრის მეოხებით. ეს ცენტრებია – წერა-კითხვა, მათემატიკა/მანიპულატივები, ხელოვნება, კუბურებით მშენებლობა, კულინარია, დრამცენტრი, მუსიკა, ეზო, წყალი და ქვიშა, ბუნებისმეტყველება. სახელმძღვანელოში განხილულია, როგორ უნდა დაარსდეს და მოეწყოს თითოეული ცენტრი, წარმოდგენილია ნიმუშები, მაგალითები და ნათლად არის წარმოჩენილი, როგორ ზემოქმედებას ახდენს თითოეული ცენტრი ბავშვის ყოველმხრივ განვითარებაზე.